პაატა გუგუშვილი

საგალობელ მეურნეობის ცარცოთობა და განვითარება

ქრესტომატია

ტომი პირველი

წიგნი მეოთხე

ფეოდალური ფორმაცია

ტფილისი

სახელგამის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პროსპ. № 91.

მთავარლიტის № 630. შეკვეთის № 1059. ტირაჟი 3.000.

შემდგენელისაგან.

წინამდებარე ქრესტომატიის პირველი ტომი ჩვენი წინდაწინი განზრახვის გარეშე, გამომცემლობის სურვილის თანახმად, ორ წიგნად გამოდის. ეს გაყოფა მოხდა წმინდა ტეხნიკური თვალსაზრისით, რისთვისაც ის არ ითვალისწინებდა მეურნეობის ისტორიის შესწავლისათვის აქ წარმოდგენილი მასალების რაიმეგვარ, თვით ისტორიის თვალსაზრისით მიღებულ, დაჯგუფებას. თუმცა, უნდა ითქვას რომ ასეთიც შესაძლებელი შეიქნა: პირველი ტომის პირველ ნაწილში (წიგნში) გარდა „შესავალისა" შევიდა სამი თავი — პირველყოფილი, თემური და მონათმფლობელური (ანტიური) მეურნეობის შესახებ, ხოლო წინამდებარე მეორე წიგნში კი—ყველა თავები ფეოდალურ ფორმაციაზე.

რაც შეეხება მეორე ტომის, — მსგავსად პირველისა, — მოსალოდნელ გაყოფას, ასეთ შემთხვევაში შეხაძლებელია ნავარაუდევი იქნას შემდეგნაირი დაჯგუფება მასალებისა: მეორე ტომის პირველ წიგნში შევა, 1) სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქა და 2) მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურული პერიოდი; ხოლო მეორე წიგნში კი — 3) მსხვილი მანქანური კაპიტალისტური მრეწველობა, 4) ფინანსიური კაპიტალისა და იმპერიალიზმის ეპოქა, 5) მსოფლიო ომის ეკონომიური შედეგები და 6) მსოფლიო მეურნეობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

საერთოდ „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარებაში" წარმოდგენილი მასალების შერჩევისა და მათი თანმიმდევრული, მწყობრ მეცნიერულ სასწავლო სისტემის შესაფერად დალაგების შესახებ აქ არას ვიტყვით, რადგან ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი პირველი ტომის პირველი წიგნის წინახიტყვაობაში.

პ. გუგუშვილი.

1931. VII. 12
მოსკოვი.

თავი მეოთხე

ფეოდალიზმი

§ 1. ფეოდალიზმის დახასიათება

„მეცნიერებანი ყვავიან, ჭკუა-გონებანი იღვიძებენ — საყვარელია ცხოვრება ასეთ დროში“, ასე სწერდა ჰ უ ტ ე ნ ი თავის ეპოჭის შესახებ. და ის სავსებით მართალი იყო ისეთი მებრძოლი ნატურისათვის, როგორიც იყო ჰუტენი, სასიამოვნო იყო მუშაობა იმ დროებში, როდესაც გაბედულად ინგრეოდენ დაძველებული ტრადიციები და მემკვიდრეობად მიღებული ცრუმორწმუნეობანი, როდესაც საზოგადოების პროგრესის გზაზე ნელი მოძრაობა ჩაყენებული იყო სათანადო კალაპოტში, როდესაც ევროპის საზოგადოების გონებრივი ჰორიზონტი დაუსრულებლივ ფართოვდებოდა, როდესაც იქმნებოდენ ახალი კლასები, ახალი იდეები, და ახალი ასპარეზი გონებრივი ჭიდილისათვის.

იყო რა „გონების რაინდი“; ჰუტენს სრული უფლება ჰქონდა კმაყოფილი ყოფილიყო თავისი საუკუნით. როგორც რაინდთა წოდების წევრი, ის უნდა მოპყრობოდა უკანასკნელს ბევრად ნაკლები მეგობრული სიყვარულით. იმ დროს მისი წოდება, უეჭველია, დამარცხებას განიცდიდა: მას უნდა გაეზიარებია მისი ბედი. რაინდთა წოდების წინაშე იდგა მაშინ მხოლოდ არჩევანი გაღატაკებისა ანუ მთავრებისათვის სასამსახუროდ თავის მიყიდვისა, როდესაც მათ ფეხიდან ნიადაგი უნდა გასცლოდათ.

დამახასიათებელ, განმასხვავებელ თავისებურებას მე-XVI საუკუნისა წარმოადგენდა ასაკვდილო, გადამწყვეტი, ბრძოლა ფეოდალიზმსა და წარმომშობ კაპიტალიზმს შორის. ეს საუკუნე ატარებს ბეჭედს წარმოების ორივე წესისა, ის თავის თავში წარმოადგენს რაღაც საკვირველ გაერთიანებას პირველისა და მეორისაც.

ფეოდალიზმის საფუძველს წარმოადგენს გ ლ ე ხ უ რ ი (ბატონყმური) და ხ ე ლ ო ს ნ უ რ ი წარმოება ერთი თემის ფარგლებში (Markgenossenschaft).

ერთი ანუ ჩვეულებრივად რამოდენიმე სოფელი შეადგენდენ ერთ თემს, რომელიც ფლობდა საერთო ტყეს, საძოვრებს და წყლებს, თავდაპირველად აგრეთვე მინდვრებსაც (სახნავებსაც). ერთ ასეთ თემის საზღვრებში სრულდებოდა მთელი საშუალო საუკუნოებრივი წარმოება. საერთო მიწათმფლობელობა, და ასევე მინდვრები და ბაღები, რომლებიც კერძო პირთა ხელში გადავიდენ, იძლეოდენ ს ა ა რ ს ე ბ ო პ რ ო დ უ ქ ტ ებ ს, რომლებიც კი საჭირონი იყენენ, სახელდობრ, პურს, ნახირს, ნადირს და თევზს, და აგრეთვე ნ ე დ ლ ე უ ლ პ რ ო დ უ ქ ტ ს ა ც, რომელთა გადამუშავება ხდებოდა ან თვით პატრიარქალურ ოჯახში, ანდა სოფლის ხელოსნების მიერ. საზოგადოებრივი და კერძო მოღვაწეობა, გამოიხატებოდა ს ა კ უ თ ა რ მ ო ხ ო ვ ნ ი ლ ებ ა თ ა თ ვ ი ს აუცილებელი პროდუქტების შეძენაში, — თვით მწარმოებლისათვის ანუ მისი ოჯახისათვის, ანუ თემისათვის, ანდა-კიდევ, დასასრულ, ზოგიერთ შემთხვევაში, თვით ფეოდალური მფლობელისათვის.

ამგვარად თემი წარმოადგენდა ეკონომიურად თვითკმაყოფაზე მყოფ ორგანიზმს, რომელსაც არ ჰქონდა თითქმის არავითარი ეკონომიური კავშირი გარეშე ქვეყანასთან.

მსგავს პირობათა შედეგს წარმოადგენდა საგანგებო გამონაკლისობა. ვინც თემიდან არ იყო ითვლებოდა უ ც ხ ო დ, უუფლებოდ ანუ არასრულუფლებიანად, მაშინაც კი თუნდაც ის სამუდამოდ ჩასახლებულიყო თემში; ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ის არ შეიძენდა თავისთვის უძრავ ქონებას. მთელი გარეშე, თემის გარედ არსებული ქვეყანა ითვლებოდა „საზღვარგარეთად".

ამგვარად თემის წევრებს შორის, ერთის მხრივ, იბადება არისტოკრატიული მიმართება გარედან მოსულთადმი, რომელთაც არ შეეძლოთ უძრავი ქონების შეძენა, მეორეს მხრივ — მეტად ვიწრო, წმინდა ადგილობრივი პატრიოტიზმი, თავისი ოლქის პოლიტიკა, რომელიც განცალკევებულ ანუ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში დროდადრო თავს ამოყოფს ჩვენს დროშიაც. ამ საწყისებზე ეყრდნობა პ ა რ ტ ი კ უ ლ ი ა რ ი ზ მ ი და წ ო დ ე ბ რ ი ვ ი ც ა ლ კ ე უ ლ ო ბ ა, რაიც შეადგენს განმასხვავებელ, დამახასიათებელ ნიშანს საშუალო საუკუნოებისა.

მეურნეული (ეკონომიური) კავშირი ფეოდალური სახელმწიფოისა ასეთ პირობებში შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მეტად არამტკიცე ხასიათისა. სახელმწიფოები ისევე ჩქარა იშლებოდენ, როგორც ახლად იქმნებოდენ. თვით ნაციონალური ე ნ ა ც-კი არ შეიძლება ყოფილიყო მძლავრ შემაკავშირებელ რგოლად, რადგანაც თემების ეკო-

ნომიური. გამონაკლისობანი ხელს უწყობდენ დაცვას და განვითარებასაც-კი ადგილობრივი კილო-კავებისა.

ერთადერთი ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც თემებზე მაღლა იდგა იყო მსოფლიო კათოლიკური ეკლესია თავისი საყოველთაო ლათინური ენით და მთელ ქვეყნებში მიწების მფლობელობით. მხოლოდ ერთი ის აკავშირებდა დასავლეთის წვრილ თვითკმაყოფაზე მყოფ მწარმოებელი უჯრედების მთელ მასებს.

სახელმწიფოს მეთაურის, მეფის, ხელისუფლება, იმდენად უმნიშვნელო იყო, რამდენადაც კავშირი სახელმწიფოს ნაწილებისა ურთიერთშორის, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, არ ხასიათდებოდა სიმტკიცით. თვით სახელმწიფოსაგან მეფეს შეეძლო მიეღო მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ძლიერებისა, მმართველისათვის ხელისუფლების მთავარ წყაროს,—ისევე როგორც ყოველი სხვა საზოგადოებრივი ძალისათვის. — წარმოადგენდა მაშინ მიწათმფლობელობა. რაც მეტი ჰქონდა თავადს მიწები, რაც მეტი ყავდა ყმა-გლეხები და რაც მეტი თემები იყვნენ მის დამოკიდებულებაში, მით უფრო მეტი ლონისძიებანი იყვნენ მის განკარგულებაშიაც; მას მაშინ შეეძლო აეშენებია თავისთვის უფრო დიდი და მტერთათვის მიუდგომელი ციხესიმაგრე, შეეძლო დაეჭირა თავის სასახლეში მეტი ხელოსნები და მხატვრები, რომლებიც უკეთებდენ მას ტანისამოსს, საოჯახო საგნებს, იარაღებსა და სამკაულებს. მისი შეიარაღებული მხლებლები იზრდებოდა იმავე ზომით, როგორც მისი სტუმართმოყვარეობა, რომლის შემწეობითაც და აგრეთვე მიწებისა და კაცების (ყმების) დარიგების გზითაც მას შეეძლო თავისთვის დაეკავშირებინა მეტი რიცხვი ვასალებისა.

ჩვეულებრივად მეფე ყველაზე მდიდარი იყო და, მაშასადამე, ქვეყანაში ყველაზე ძლიერი მიწათმფლობელიც. თუმცა მისი ხელისუფლება არც ისე ურყევი და ძლიერი იყო, რომ სხვა მსხვილი მიწათმფლობელნი ვალდებული ყოფილიყვნენ უსიტყვოთ დამორჩილებოდენ მას. შედიოდენ რა ურთიერთშორის კავშირში, მათ ადვილად შეეძლოთ შეექმნათ კოალიცია, უფრო მეტად ძლიერი, ვინემ მეფეს, და თვითოეულადაც-კი მათში ყველაზე მდიდრები არ შეიძლებოდა უმნიშვნელო მოწინააღმდეგებად ჩათვლილიყვნენ. მეფე უნდა დაკმაყოფილებულიყო პირველის როლით თანასწორთა შორის. მისი მდგომარეობა მით უფრო სავალალო ხდებოდა, რაც უფრო ძლიერ ვითარდებოდა ფეოდალიზმი, რაც უფრო ძლიერი ხდებოდენ ცალკე ფეოდალები, რომლებიც თავიანთთვის იქვემდებარებდენ თავისუფალ ვლეხებს, რაც უფრო მცირდებოდა სამეფო ჯარი, და მეფე ხდებოდა

რაინდთა ლაშქრებიდან დამოკიდებული. მხოლოდ მაშინ დაიწყო საშეფომ და საერთოდ მთავართა ხელისუფლებამ გაძლიერება და თავის დაღწევა დაქვემდებარებული მდგომარეობიდან, როდესაც ქ ა ლ ა ქ ე ბ ი იმდენად განმტკიცდენ, რომ მათ შეეძლოთ გაეწვდინათ მისთვის დამხმარე ხელი.

(კ. კ ა უ ც კ ი — ტომას მორი და მისი უტოპია).

§ 2. ფეოდალიზმის წარმოშობა

თავადთა ძლიერების განვითარება სწარმოებს ომებისა და ძარცვის პირობებში.

მოხეტიალე ცხოვრების პერიოდში ომები წარმოადგენდენ შეურაცყოფილი თავმოყვარეობის ეესტებს, ანუ აქტებს შურისძიებისა. ომი მაშინ იშვიათად ხდება და მას თან არა სდევს დიდი სისხლის ღვრაც. ხოლო ბინადარ მიწათმომქმედის ცხოვრების განვითარების შემდეგ სრულებით სხვა სურათს ვღებულობთ. გიბრიასის სკოლიონი მშვენივრად აღნიშნავს ამ გარემოებას: „მთელი ჩემი სიმდიდრე გამოიხატება შუბსა, მახვილსა და ფარში. მათი დახმარებით მე ვხნავ, ვმკი და ვსწურავ ყურძნის გემრიელ წვენს, მათი დახმარებით მე ბრძანებას ვაძლევ მონებს; იმათ, რომელთაც შუბი და ფარი არა აქვთ, ქედი უნდა მოხარონ ჩემს წინაშე, როგორც თავის მბრძანებელთან და მე „მეფედ“ უნდა მიწოდებდენ. არისტოტელიც ასე იზიარებს ამ შეხედულებას და ძარცვას, ნადირობასთან, მეჯოგეობასთან, და მიწათმოქმედებასთან ერთად სთვლის, შემოსავლის ერთ-ერთ წყაროთ; ომს ბუნებრივ მოვლენად სთვლის. რაც შეეხება პირველყოფილ ხალხებს, ისინი კი მას ღვთაებრივობის ორეოლში (შარავანდედში) ახვევენ. ასე, მაგალითად, ერთი სამხრეთ-ამერიკის პირველყოფილი ტომთაგანი დარწმუნებულია, რომ ღმერთმა ყველა სხვა ხალხები დააჯილდოვა მიწით, ხოლო მის წილად კი ომი დასტოვა, რისთვისაც ყველა ხალხები მას უნდა მორჩილებდეს.

ჩვენ არ შეეხებით საერთოდ სამხედრო ნაალაფევის გაყოფის საშუალებას და აღვნიშნავთ, მხოლოდ, თუ რა ნაწილი მოდის ამ ნადავლიდან თავადის სასარგებლოდ. ავსტრალიელებში წინამძღოლს თავისთვის მიაქვს ნადავლის უმეტესი ნაწილი. ჩრდილოეთ ინდოეთის ერთი ტომი სამხედრო ნადავლიდან თავადს აძლევს მეხუთედ ნაწილს. წინამძღოლის წილი იზრდება ომის მიხედვით, რამდენადაც სამხედრო ძლიერების ორგანიზაცია სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება საყო-

ველთაო სალაშქრო მოწყობილებიდან. ეს წილი ხანდისხან ჰთელ-ნადავლის ნახევრამდე აღწევს.

რა გასაკვირველია, რომ ძლევამოსილი თავადი სულ უფრო მეტ-დიდურდებოდა და აძლიერებდა თავის ხელისუფლებასა და გაკლენას. რაზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ. თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის თავადი იწყებს შექმნას მმართველობის ახალი საფუძვლები, რომელიც განსხვავდება საგვარეულო წყობიდან, რომლის არსებობის დროს ძველებურ ჩვეულებათა თანახმად ტომს გამგებლობენ უხუცესები. გასაგებია, რომ თავადი არ მიმართავს დახმარებისათვის ამ უხუცესებს, თუნდაც იმიტომ, რომ მათი საუკუნოებით განმტკიცებულ ავტორიტეტს შეუძლია მისი საკუთარი ავტორიტეტის დამცირება, დაკნინება. გარდა ამისა, და ეს კი უმთავრესია. ჰთელ ამ ძველებურ წყობას უკვე არ შეუძლია თავი გაართვას ცხოვრების მიერ წამოყენებულ ახალ ამოცანებს. თავადს ებადება მოთხოვნილება ახალ კაცებში, რომლებიც თავისუფალი არიან ტომურ და საგვარეულო ტრადიციებიდან. თავდაპირველად ის ამათ ნახულობს თავის ნათესავთა შორის, რომელთაც კიდევაც ნიშნავს გამგებლებად ოლქებსა და შორეულ სოფლებში. მაგრამ თავადის ოჯახის წევრებისათვის თანამდებობათა დარიგება თვით თავადისათვის ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს: ამ თავიანთ მისწრაფებებში სოლიდარულ ნათესავებს შეუძლიათ გამოიწვიონ აჯანყება დინასტიის წინააღმდეგ. ამის მრავალ მაგალითს იძლევა აფრიკანული და აღმოსავლეთის მრავალ ხალხთა ისტორია. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ მწარე გამოცდილებით განსწავლული თავადები, სხვადასხვა ადგილებზე იწყებდენ თავის თავისუფალ შინა მოსამსახურეთა ანდა უბრალო მონების დანიშვნას. ადამუასის თავადები მთელ სახელმწიფო თანამდებობებს აძლევდენ მონებს, და სავსებით არ უშვებდენ სახელმწიფოს მმართველობასთან თავისუფალ ადამიანებს.

ასეთი მიმართულებით ახასიათებენ არა მხოლოდ აფრიკას, ისინი გვხვდებიან საშუალო საუკუნოებრივი ევროპის განთიადშიაც. სიტყვა Vassus თავდაპირველად აღნიშნავდა მონას, შემდეგ შინამოსამსახურეს და დასასრულ, ფეოდალს. ევროპაშიაც ჰქრება ძველი საგვარეულო არისტოკრატია, რომელიც ადგილს უთმობს ახალ, თავადთა წყებიდან გამოსულ შინა მოსამსახურეთ, რომლებიც თავადთაგან უხვად ჯილდოვდებოდენ მიწებით. ძველი საგვარეულო უხუცესობანი განაგრძობდენ ჯდომას მიწაზე და საგვარეულო ტრადიციით მიღებულ ავტორიტეტით სარგებლობას სასოფლო თემებში. ახალი ტიპის დიდებულები არსებითად თავადის შინა მოსამსახურენი

„ბიჭები“, ყურ მოკრილი ყმები იყვნენ, რომლებიც თავადის სახელით წარმომადგენლობდენ თემებში. ხანდისხან თავადი მათ ავალდებულებდა რა სამხედრო სამსახურით აძლევდა თავისი კაცებით დასახლებულ მიწებს. ამან ერთის მხრით წარმოშობის გზაზე შემდგარ სახელმწიფოში ხელი შეუწყო სამხედრო ძალის განაწილებას. ეს დიდებულები თავის მხრით, თავიანთ გარშემო თავს უყრიდენ შინა მოსამსახურეთ, და ამრიგად, გაერთიანებულ ტომებში რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ თავიანთი დამოუკიდებლობის გრძნობები, წარმოიშვა ორგანიზაცია, რომელმაც გააერთიანა ყველანი — თავადიდან უბრალო მოსახლემდე. საბოლოო ანგარიშით ისტორიულ ასპარეზზე გამოდის ფეოდალიზმი, როგორც ერთერთი შესაძლებელი ფორმა სახელმწიფოს ორგანიზაციისა ნატურალური მეურნეობის პერიოდში, რომელსაც არ გააჩნია მსხვილი დასახლებული ცენტრები, გზები და ადამიანთა კავშირის სხვა საშუალებანი. ამ თვალსაზრისით განხილული ფეოდალიზმი, თავისთავად არ წარმოადგენს არც ჯერმანულ, არც რომანულ ინსტიტუტს, არამედ გამომდინარეობს ადამიანთა ბუნების თვისებებისაგან, ე. ი. ის წარმოადგენს გარკვეული მიმართულების შედეგებს მეურნეულ და საზოგადოებრივ განვითარებაში. მას ჩვენ ვხედავთ იაპონიასა და კორეაში, მალაიებში და მანჯურიაში, აბისინიისა და კავკასიაში, ოსტი-ინდოეთსა და პოლინეზიაში.

თავადის მოსამსახურენი, რომლებიც თავდაპირველად მართავდენ ოლქებსა და სოფლებს თავადის სახით, ნელ-ნელა თავიანთ ხელისუფლებას არა მხოლოდ მემკვიდრეობითად ხდიან, არამედ აღწევენ თავადისაგან მნიშვნელოვან დამოუკიდებლობასაც. ბოლოს და ბოლოს ქვეყანა იყოფოდა განცალკევებულ ლატიფუნდიებად, რომლის სათავეში იდგა ეგრედ წოდებული ფეოდალი. მას ეკუთვნოდა სასამართლოს, ხარკის აკრეფის და სხვა უფლებანი და პრივილეგიები უზენაეს გამგებელისა. ყოველი ლატიფუნდია თავისებურ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მისი მფლობელი არსებითად მეფე იყო. მაგალითისათვის ავიღოთ საქართველო.

იყვნენ რა მემკვიდრეობითი მოსამართლეებათ, პოლიციის მოხელეებათ და ბეგარა-გამოსაღებათა ამკრეფლებად, ე რ ი ს თ ა ვ ე ბ მ ა (თავადის მოადგილენი) ისარგებლეს თავიანთი უფლება-რწმუნებულებათა გაურკვევლობით და თავისი ოლქის გლეხები ჩააყენეს თავიანთი ოჯახის წევრებისაგან პირად დამოკიდებულებაში, ამ დამოკიდებულების განმტკიცებას საქართველოში, როგორც დასავლეთ ევროპაშიაც, ხელი შეუწყო ერისთავების მიწით უხვად დაჯილდოვებამ, მათთვის მინდობილ ოლქებში.

ეს მიწა (terra comitalis) საფუძვლად დაედო უზარმაზარ კერძო მამულებს, რომლებიც წინათ დასახლებული იყო თავისუფალი მიწის მუშებით; დროთა ვითარებაში ეს კერძო მამულები, ღებულობენ ლენის ხასიათს, ხოლო მიწათმოქმედნი იქცევიან ყმებად. ერისთავებმა თავიანთი უფლების გავრცელება იწყეს იმ მიწებზედაც, რომელიც არ შედიოდა მათს ოლქში და დასახლებული იყო თავისუფალი ხალხით. თავიანთ მისწრაფებაში ისინი ხვდებოდენ მედგარ წინააღმდეგობას უკანასკნელის მხრიდან, განსაკუთრებით მთიელების მხრივ, რომლებიც ხეობაში სცხოვრობდენ. მაგრამ მიუხედავად ამისა ერისთავებმა თავისას მიაღწიეს: მათ მდინარეთა ვაკეებში გადასასვლელებზე იწყეს თავიანთი ციხეების აგება, რითაც მთიელებს დაუკეტეს გამოსავალი ხეობიდან; ამ ღონისძიებით ერისთავებმა აიძულეს ისინი დამორჩილებულიყვნენ.

ფეოდალიზმის განვითარება იყო ყოველდღიური ფაქტების საქმე; ის დღიდან დღეზე შეუმჩნევლად სწარმოებდა და ადამიანები ვეღარ ამჩნევდენ მომხდარ გადატრიალებას. ფეოდალიზმი ჩაისახა, წამოიზარდა სტიქიურად და მხოლოდ მაშინ იქნა შეცნობილი, როდესაც მან წინანდელი სოციალური წყობა უკვე გამოსცვალა.

(დ. კრეივიცკი — პირველყოფილ ხალხთა შეურნეული და საზოგადოებრივი წყობა).

§ 3. ტეხნიკის განვითარება ფეოდალიზმის პერიოდში

ადრევე ჩასახული შრომის ტერიტორიალური განაწილება უფრო გარკვეული ფორმით გამოდის. ყოველ ოლქში უფრო საფუძვლიანად იკიდებენ ფეხს ის გვარები, რომლებმაც მოცემული ოლქის ბუნებრივ პირობებისათვის წარმოების დარგში უპირატესობებს ფიალწიეს.

განვიხილოთ, როგორ მიდიოდა მიწათმოქმედების განვითარება.

მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელ ოლქში მოხვედრილი, შემავალი მიწათმომქმედი გვარები, პირველად ფეხს იკიდებენ იმ ადგილებში რომლებიც როგორღაც თვით ბუნების მიერვე მომზადებულია: ბრინჯის დამუშავების რაიონებში, არიან ბუნებრივი ჭაობები, მდინარეთა ჭალებში — ადგილები, რომლებიც ნაყოფიერდება მდინარეთა ნაპირიდან ბუნებრივი გადასვლით და რომელიც თავისუფალია ბალახ-ბულახისაგან. იქნებ უფრო სწორი იქნეს, თუ ვიტყვით, რომ ზოგიერთი ჯგუფებისათვის, რომლებმაც კულტურის გარკვეულ დონემდე მიაღწიეს და რომლებიც მოემწყვდენ ასეთ ოლქებში, მიწათმოქმედება თანდათან გამოდის შესამჩნევ ადგილზე, როგორც არ-

სებობისათვის მოცემულ პირობებთან შეგუება. ეს ჯგუფები იზრდებიან და ძლიერდებიან, შემდეგ იწყებენ აბორიგენების შევიწროებას, რომლებიც ან ნადგურდებიან, და ან გაიდევნებიან ტყეებსა, სტეპებსა და მთებში, სადაც მათ შეუძლიანთ აწარმოონ პირველყოფილ მონადირეთა და პირველყოფილ მოხეტიალეთა ცხოვრება.

ახალი გვარი ჯერ ვერ მაგრდება კარგად დაპერილ ადგილზე. „სახნავი ადგილები" იცვლება, ოლქიდან ოლქში გადადიან, მიწათმოქმედება ატარებს მოხეტიალურ ხასიათს, ხანდისხან ის თავისი მნიშვნელობით ჩამორჩება მეჯოგეებს, საფუძვლიანი ბინები არ არის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი უმნიშვნელო და ერთგვარია, — „შერჩევა" კიდევ არაა მიმართული ამ დარგისაკენ. გვარის არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა კიდევ აქვს არა მიწადმოქმედებას, არამედ სხვადასხვაგვარ სუსტად განვითარებულ და სუსტად დიფერენცირებულ საქმიანობათა ჯამს-საგვარეულო ჯგუფისა. ახალი თემები ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეგუებიან თავიანთ განცალკევებულ ტერიტორიათა ბუნებრივ პირობებს, და ეს ტერიტორიებიც კიდევ არ წარმოადგენენ მათთვის საგრძნობ უპირატესობებს, გარშემომცველ ტერიტორიებთან შედარებით.

გარედან შეუჩერებელ შემოჭრას მოსახლეობისა და ძველების გამრავლებას მივყევართ იქამდე, რომ თაობათა გრძელი წყების მიმდინარეობის განმავლობაში ყველა ადგილები, რომელიც ბუნებრივად მზად იყვენ დასამუშავებლად უკვე დაკავებულნი აღმოჩნდებიან. მიწათმოქმედება ხდება ბინადარი, საცხოვრებელი ბინა — მუდმივი; მოშინაურებული ჯოგი, თუკი მეჯოგეობა კიდევ დაცულია, — შინაურ საქონლათ იქცევა, ტერიტორია, რომელიც დაკავებულია თითოეულ გვარის მიერ იქცევა მის უდაო საკუთრებათ. ამ საკუთრებას, იმ ეპოქაში, ჩვეულებრივ თავდასხმიდან იცავს ის, რომ წარმოშობილი დასახლება ვითარდება ციხე-სიმაგრეთ; გარშემო იყოლებენ თხრილებსა და ღობეებს, სანგრებს და მესრებს, ხანდისხან ქვისა ანუ ხის კედელს. ყოველ ცდას მიწის დამუშავებისათვის ახალ ადგილზე გადასვლისა მივყევართ სასტიკ ბრძოლამდე, რომლის მსხვერპლიც ხშირათ ვერ გამოიყიდება ამონაგებით.

მოსახლეობის რაოდენობით გადიდებისათვის აუცილებელი ხდება მიწათმოქმედების მოედნების გაფართოება. ზოგ ქვეყნებში როგორც იაპონიაში, ინდოსტანისა და პერუს ზოგ ნაწილებში იწყება ტყეებისა და ბუჩქნარის მოწმენდა, რომელიც აბორიგენთა განადგურებითა და ანუ, ყოველ შემთხვევაში, დაქვეითებით თავდება. სხვა ქვეყნებში — ჩინეთში, მესოპოტამიაში, ეგვიპტეში, ნაწილობრივ ინ-

დოსტანსა და პერუში — იწყებენ მიმართვას ხელოვნური მორწყვისათვის, რომელიც იძლევა ახალ და ახალ ნაყოფიერ მიწის ნაკრებს, წინანდელ უნაყოფო ნიადაგის ადგილას.

ბუნებრივია, რომ ის საგვარეულო ჯგუფები, რომლებმაც სხვაზე ადრე მოასწრეს გაეფართოვებინათ თავის სამიწათმოქმედო ტერიტორია, მიიღებდენ მნიშვნელოვან პრივილეგიებს თავის მეზობლებთან შედარებით. ბუნებასთან ძლევამოსილი ბრძოლის პროცესით გაერთიანებულნი, რომლებიც ამ ბრძოლამ გამოიყვანა პირველყოფილ კარჩაკეტილობიდან, ისინი მთლიანად, შეუწყვეტლათ და ინტერვალებს გარეშე ფლობენ ვრცელ ოლქებს და როგორც მრავალრიცხოვანნი, კომპაქტური შინაგანათ შეკავშირებული მასა, გამოდიან თავის ჩარმორჩენილ, უძლურ დაქუცმაცებულ ჯგუფებად დანაწილებული მეზობლების წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს ამ პროცესს მივყევარ, ოქამდე, რომ ახალი, — მყარი და ბინადარი ტყეების მოსუფთავებაზე. ბოლო ადგილებზე ხელოვნურ მორწყვაზე დამყარებული მიწათმოქმედება — საკუთრებით განსდევნის პირველყოფილ მიწათმოქმედებას. ეს პროცესი არ იცვლის თავის მიმართულებას, მაგრამ უფრო ჩქარა მიმდინაოეობს, თუ კი ამა თუ იმ ზომით, დაპყრობით ანუ გარეშე მტრებთან გამკლავების აუცილებლობით, გვარები გაერთიანდებიან, მაგ. რომელიმე ნომადებათ.

ნაწილობრივ სამიწათმოქმედო ტერიტორიის გაფართოებასთან ერთად და ნაწილობრივ მის შემდეგაც ვითარდება მეორე პროცესი. ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესება, უფრო შესაფერ მცენარეულთა დაკვირვებული შერჩევა, ნიადაგის ნაყოფიერების დაცვისა და აწევისათვის სხვადასხვაგვარ ღონისძიებათა გამოყენება. ამრიგად პირველყოფილი მიწათმოქმედება, მის დაუდევრობათა და ნიადაგის ზეზეულ მოჩიჩქნით თანადათან ვითარდებოდა იმ ბოსტნის კულტურად პურეული მცენარეებისა, რომელიც უკვე მრავალი საუკუნეა რაც არსებობს იაპონიაში და განსაკუთრებით ჩინეთში. ასე წარმოიშვა ის ცნობილი „ბაღის“ კულტურა ძველ მესოპოტამიაში (ნაწილობრივ ფინიკიაში), რომლის იმპირიულ მიღწევებმა, მხოლოდ რამოდენიმე ათასი წლების შემდეგ ჰპოვენ თეორიული გაგება (დარვინთან). ველურ ნაყოფის მომცემ მცენარეებიდან, რომლის ნაყოფი ველურ პანტა ვაშლს ვერ სჯობნიდა, შეუდრეკელი კოლექტიური შრომით თაობათა გრძელი წყებისა, შექმნილ იქნენ კულტურული მცენარეები. ფინიკიის პალმა, ლეღვის ხე, ზეთის-ხილი.

მიწათმოქმედების ამ ინტენსიურ ფორმებში ნიადაგის მომზადებისა და დამუშავების მთავარ იარაღებს წარმოადგენდენ ნაჯახი, თო-

ხი და ბარი. ᲛᲣᲨᲐ საქონელს აქ არ შეეძლო ეპოვა რამოდენიმეთ ᲗᲐᲜᲘᲡ ფართე გამოყენება; ის ზოგგან საესებით არ ჰყავდათ, — როგორც იაპონიისა და ჩინეთის მრავალ სამიწათმოქმედო ოლქებში. ხელოვნური განოყიერება — სასუქი, ზოგან არ თამაშობს განსაკუთრებულ როლს, — უხვ ბუნებრივ განოყიერებას ახდენს მდინარეთა ნაპირებზე გადასვლა; ზოგან სასუქის როლს თამაშობს ადამიანის ექსკრემენტები და მოხმარებითი მეურნეობის ნარჩენები, ზღვის მცენარეები, თევზები, დაბალი ცხოველები და ა. შ. მთელი მიწა, რომლის დამუშავებაც კი შესაძლებელია იქცევა „სახნავ მიწათ", უფრო სწორად მინდვრებათ, ბაღებათ და ბოსტნებათ. ტყეები იჩეხებიან, სათიბი ველები ჰქრებიახ, ქვიშიანი უნაყოფო ტიალი ადგილები იფარებიან ნაყოფიერი მიწის ფენებით, რომელიც ხანდისხან მნიშვნელოვანი სიშორიდან მოაქვთ. ყოველივე ამ მიზეზებისა გამო, მეჯოგეობას შეუძლია მეტისმეტად შემცირდეს და დაყვანილ იქნეს რამოდენიმე ღორისა და შინაური ფრინველების მოშენებამდე თითოულ მეურნეობაში.

იმავე ძირითადი მიმართულებით, მაგრამ სხვაგვარ პირობებში, და ამიტომ სხვანაირი შედეგებით ვითარდებოდა ევროპის მიწათმოქმედებაც. საბერძნეთისა და რომის, — უშუალო გავლენის ქვეშ ეგვიპტისა, საიდანაც მან მიითვისა უმთავრესი კულტურული მცენარეებიც, ამასთანავე ძირითადი სამიწადმოქმედო იარაღები და მიწის დამუშავების ხერხები; საშუალო საუკუნოები მოყვა პირდაპირი გავლენის ქვეშ რომის მიწათმოქმედებისა, რომლის დავიწყებული ტეხნიკა ნელ-ნელა სდგებოდა და ვრცელდებოდა თითქმის 1½ ათასი წლის განმავლობაში, — ეგრედ წოდებული ხალხთა დიდი გადასახლების დროიდან.

ძველი საბერძნეთის არსებობის მთავარ საფუძველს შეადგენდა მეჯოგეობა: თხების, ცხვრების და ღორების მოშენება. პირველყოფილი მიწათმოქმედება ამის მხოლოდ ერთგვარ დამხმარე წყაროს წ�მოადგენდა. მაგრამ შემდეგში მიწათმოქმედების და მეჯოგეობის შედარებითი მიმართულება შეიცვალა. უკვე გეზიოდის ეპოქაში (800 წლით ადრე ჩვენი წელთაღრიცხვისა) მიწის დამუშავება საკმაოდ მაღლა სდგას. მიწა იხვნება კავით, რომელმაც შესცვალა თოხი და რომელშიაც გაბმულია მუშა — საქონელი (ხარი). ნიადაგის გამოფიტვა, როგორც შემდეგი ერთგვარი კულტურისა უკვე ცნობილია ამ დროის ბერძნებისათვის. შემოღებულია ნიადაგის განოყიერება პატივითა და მცენარეებით, რომელიც მოიხვნება მომწიფებამდე. განსაზღვრული ინტერვალების შემდეგ მიწას ტოვებენ დასასვენებლად; როგორც სჩანს უკვე წარმოიშობა სამმინდვრიანი სისტემის ჩანასახითი ფორმა.

სახნავი მიწის მოედანის გასაფართოებლად აწარმოებენ ადგილების ამოშრობას. მთავარ პურეულ მცენარეებს წარმოადგენენ ქერი და ხორბალი, ქალაქების ახლო მათ უერთდება ბოსტნეული, ლობიოს მაგვარი მცენარეულობანი და ა. შ.

ძველი საბერძნეთის მიწათმოქმედება თავისი განვითარებაში ამას იქით არ წასულა. ქვეყნის მთიანი მდებარეობა უფრო ხელსაყრელს ხდიდა მეჯოგეობას. ტირანების ეპოქამდე (დაახლოებით 500 წლამდე ჩვენი ხანისა) შალეულის ტანისამოსს, ხორცს, ყველს, რძეს, როგორც მოხმარების საგნებს ჰქონდათ უმეტესი მნიშვნელობა ვინემ მცენარეულ პროდუქტებს. ვაჭრობის განვითარებით ჩნდება მოტანილი პური. ადგილობრივი მიწათმოქმედება გადადის ზეთისხილის, ლეღვის, ვენახის კულტურაზე.

იტალიაში მიწის მოსუფთავება და მისი მომზადება დასამუშავებლად პრაქტიკაში იყო, როგორც სჩანს ჯერ კიდევ ეტრუსკების, — რომაელთა წინამსრბოლების — დროსაც. უკანასკნელთ ისე ენერგიულად გააგრძელეს ის, რომ უკვე რომის არსებობის პირველსაკუკუნეებში მიწათმოქმედება შეიქმნა გაბატონებულ საქმიანობად, რომელმაც შეავიწროვა მეჯოგეობა და გადააქცია ის დამატებით დარგად მიწათმოქმედებისა. საბერძნეთის სამიწათმოქმედო იარაღებს რომში უერთდება ფარცხი; გარდა ამისა ხმარებაშია ფორცხი, ნამგალი, ფიწალი და ა. შ., — ერთი სიტყვით უკვე თითქმის ყველა ძირითადი იარაღები თანამედროვე სოფლისა. მოჰყავდათ ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჭარხალი, „ბრინჯი", კანაფი, უმთავრესი ნაწილი თანამედროვე კულტურული მცენარეებისა.

კელტებსა, გერმანელებსა და სლავიანებთან მიწათმოქმედების ისტორია, როგორღაც თავიდან მეორდება. როდესაც ესენი პირველად შეეჯახებიან რომს (და ბიზანტიას) მათში ბატონობს პირველყოფილი წარმოება; თითქმის არა დიფერენცირებული მონადირეობისა, მეჯოგეობისა და მიწათმოქმედების შეერთება. მოსახლეობის გამრავლებასთან ერთად მოხეტიალების გასაქანი სულ უფრო კლებულობს და მიწათმოქმედება მაღლდება. მაგრამ ის ჯერ კიდევ დიდახნს ატარებს მაწანწალურ ხასიათს ველური, შეუცვლელი, სისტემისა: დასამუშავებლად ვარგისი ადგილები, უმთავრესად მდინარის ჭალები, ყოველ წელს ითესება ერთი და იმავე პურეული მცენარით მანამ, სანამ მიწა არ გამოიფიტება. შემდეგში, როდესაც ყველა ასეთი მიწა უკვე დაკავებულია, გადასელა ხდება ტყეების მოსუფთავებასა, ჯირკების ამოგდებასა და ხეების ნარჩენების ამოწვაზე, ჭაობების დაშრობაზე. შექმნა რა ახალი ნიადაგი, ადამიანი მასზე რჩება მხოლოდ

იმდენ ხანს სანამ არ გამოფიტავს მას ერთი და იმავე მცენარის თესვით. მაგრამ დროდადრო ის იწყებს მის მიტოვებას მხოლოთ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რათა მან „მოისვენოს“, — რათა მოხდეს მისი დაუხვიერება ფესვებითა და ბუნებრივი განოყიერება მცენარეთა ლპობადი ნაწილებით. გადანაცვლების სისტემა უფრო სრულყოფილი ხდება, მიწის უტილიზირება ინტენსიურდება; ოლქი, რომელშიაც გვარი პერიოდულად გადადის ადგილიდან ადგილზე ვიწროვდება, მეჯოგეობის შედარებითი მნიშვნელობა ეცემა, საძოვრად რჩება მხოლოდ მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი მინდვრები, ტყის საძოვრები, რომელიც თანდათან კლებულობს და სახნავი მიწა, რომელიც ისვენებს. ციმბირში თავის მნიშვნელოვან ნაწილში, მიწათმოქმედება დღემდეს ცოტათი გასცილებია ტეხნიკურად ამ საფეხურს, რომელიც ჩვენს წინაშე წარმოგვიდგენს, — ახალ ისტორიულ მდგომარეობაში — დასავლეთის შორეულ წარსულს.

სამიწათმოქმედო მოედნის გაფართოვებას თან სდევს ადგილობრივ მცხოვრებთა შევიწროვება: ლიტველებისა და სლავიანების — გერმანელთა აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით გაფართოების გამო; ფინელების — სლავიანთა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, დნეპრის ბასეინიდან ვოლგის ბასეინში გადალაგებისა გამო (XII — XVI საუკუნოებში); თათრების — სლავიანთა გვიანდელი ადგილ-გადანაცვლების დროს სამხრეთის მინდვრებსა და სტეპებში, სადაც მეჯოგეობა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იკავებს მიწათმოქმედებაზე გაბატონებულ მდგომარეობას (XVI — XVIII, ნაწილობრივ მეცხრამეტე საუკუნეშიაც); ბაშკირების, კირგიზების, ბურიატების და ა. შ. შევიწროება უახლოესი მოძრაობის დროს, ურალისაკენ და ურალის გადაღმა. ძირითადი მოსახლეობა თავისი პირველყოფილი წარმოებით სულ იქით და იქით იდევნება ტყეებსა და სტეპებში, სულ უფრო კლებად წრეში ემწყვდევა. მისი ნაწილი ნადგურდება, ნაწილი დღევანდლამდიც განაგრძობს პრიმიტიულ მონადირეთა და მეჯოგეთა არსებობას — ჩრდილოეთის ირემთა მოშენების მიმდევარნი და მეთევზეები, — ნაწილი გადადის მიწათმოქმედებაში და მოსულებში ითქვიფება.

მაგრამ იმ დროს, როდესაც პერიფერიებზე სულ უფრო შორს ვრცელდება ექსტენსიური შენაცვლების სისტემა, თავის წარმოშობის ადგილებში ეს „ახალი“ მიწათმოქმედობა უკვე მოძველებულია და ადგილს უთმობს კიდევ უფრო ინტენსიურ გამოყენებას მიწისა. სახნავი მიწების გადანაცვლება უკვე შეუძლებელი ხდება, ყოველ შემთხვევაში ძლიერ ძნელდება, თუ არა იმიტომ, რომ მოუხვნელი მიწა არ

დარჩენილა, იმიტომ — და თითქმის უმთავრესად — იმიტომ, რომ მთელი მიწა გადაიქცა საკუთრებათ. ასუფთავებს რა ახალ მიწას, მიწათმომქმედი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ წინანდელ ვალდებულებათ (ბეგარებს), ძველ დასასვენებლად მიტოვებულ მიწაზე, მიემატება ახალი ვალდებულებანი ახალ მიწაზე (აბსოლიუტური რენტის ჩანასახი ფორმა). ერთადერთი, რაც მას შეუძლია ქნას, — ეს გადავიდეს ახალ მესაკუთრესთან, რომელიც მას საშუალებას აძლევს დაამუშაოს მიწა უფრო ხელსაყრელ პირობებში. მაგრამ უკვე მარტო ეს აუცილებლობა მიწის მესაკუთრის გამოცვლისა ავიწროებს მიწათმომქმედი მოსახლეობის მოძრაობის ჩარჩოებს. დროთა ვითარებაში თვით ადგილიდან ადგილზე მოძრაობის პროცესს მივყევართ მიწით სარგებლობის ერთგვარ პირობების საზოგადოთ ყველგან გავრცელებამდე, და მაშასადამე ნაბიჯიდან ნაბიჯზე ასუსტებს, თუ სავსებითაც არ ჰკლავს, ერთი მესაკუთრიდან მეორესთან გადასვლის მიდრეკილებას. მაგრამ ამაზე არც მიწათმფლობელნიც იწყებენ მიმართონ სხვადასხვა ღონისძიებათ იმ მიზნით, რათა თავიანთ მიწაზე შეაჩერონ მიწათმომქმედნი. გადასვლა შესაძლებელი ხდება მხოლოდ როგორც გაქცევა. ხოლო ეს გარემოება ჰგულისხმობს ხელის აღებას სახლზე, ოჯახზე და თითქმის ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე, რომელიც იქმნებოდა და დიდდებოდა თაობათა მთელი წყების სიგრძეზე. მიწათმომქმედთა ადგილიდან ადგილზე გადასვლის ფაქტიური შეზღუდვა განვითარდა ერთდროულად მიწაზე კერძო საკუთრების განვითარებასთან ერთად და მოგვიყვანა მყარ აბსოლიუტურ, წმინდა სოფლურ ბინადრობამდე, ბევრად აღრე ვინემ იურიდიულად მიწათმომქმედის მიწაზე მიმაგრება მოხდებოდა.

მიწის გადანაცვლების ველური სისტემა მთელ რიგ გარდამავალ საფეხურებში ვითარდებოდა სამმინდვროვან სისტემად. იმისდა მიხედვით, როგორადაც მცირდება მოედანი ახალი სახნავი მიწისა, აუცილებელი ხდება ძველი სახნავებისათვის სულ უფრო ჩქარი დაბრუნება. რაოდენობა წლებისა, რომლის განმავლობაშიაც მიწა ისვენებს, სულ უფრო კლებულობს. მაგრამ ამასთანავე ერთად მცირდება წლების რიცხვიც, რომელთა ხანგრძლივობაშიაც მას შეუძლია გამოიღოს ზედიზედ ერთი და იგივე პურის მოსავალი. მიწის დასვენება სულ უფრო კლებულობს, — აუცილებელი ხდება ბუნებრივი განოყიერების ხელოვნურით შევსება. საძოვრები კლებულობენ, აუცილებელია შედარებითვე შემოკლდეს ჯოგის რაოდენობა, მაგრამ ამავე დროს ინტენსიურად იქნეს ის გამოყენებული მიწათმოქმედებისათვის და მეორეს მხრით, თვით მიწათმოქმედებაც აუცილებელია, თუნდაც ნა-

წილობრივ მაინც შეგუებულ იქნეს ჯოგისათვის საკვების წარმოებას.

ამ პროცესს მივყევართ იქამდე, რომ მთელი სახნავი მიწა იყოფა დაახლოებით სამ თანასწორ ნაწილად. ყოველი მათგანი თანმიმდევრობით მიდის პირველ წელს, შემოდგომის ნათესებისათვის, რომელიც უმეტესად იძლევა საკვებს ადამიანისათვის, მეორე წელს — გაზაფხულის ნათესებისათვის, რომელიც ნაწილობრივ იძლევა საზრდოს ჯოგისათვის და ნაწილობრივ ადამიანის საკვებს, მესამე წელს — ისვენებს, რომელზედაც კლიმატიური პირობებისა და მიხედვით, ივნისამდე ანუ ივლისამდე აბალახებენ საქონელს. წლის დანარჩენ დროში საბალახოთ სარგებლობენ ტყეებსა და ველებს, რამდენადაც ისინი არ არიან დანიშნული სათიბათ. ჯოგი ფარეხში რჩება მხოლოდ ზამთრობით და ღამღამობით. შემოდგომის თესვამდე დასვენებულ მიწას ანოყიერებენ პატივით.

სამმინდვრიანი სისტემა საშუალო საუკუნოების ევროპაში პირველად ჩნდება მე-V და VIII საუკუნეებს შორის. მთელი ათასი წლის განმავლობაში ის ვრცელდება ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ მიწაზე კერძო საკუთრების გავრცელებისა და განვითარების პარალელურად.

დასავლეთ ევროპაში სამმინდვრიანი სისტემა გაბატონებულ სისტემად რჩებოდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ის განიცდიდა ზოგიერთ არა არსებით ცვლილებებს, როდესაც მდგომარეობა მოითხოვდა საკვებ მცენარეთა წარმოების გაფართოებას, როგორიცაა ზოგიერთი ფესვნაყოფიანი, ბეწვებიანი ანუ ტეხნიკური მცენარეები, როგორიც არის ვაიდა (საღებავი მცენარე), სელი ანუ კანაფი. მაგრამ საერთოდ ეს რჩებოდა მაინც იგივე სამმინდვრიანი სისტემა. ევროპამ განიცადა და გადაიტანა ფეოდალიზმის განვითარება და დაცემა, დამოკიდებულების რბილი ფორმები შესცვალა განუკითხველმა და სასტიკმა ბატონყმობამ, ქალაქებში განვითარდა და აყვავდა ავტონომიური ხელოსნობა, განმტკიცების გზას შემდგარ კაპიტალის გემებმა გადაკვალეს მთელი ზღვები, შეიცნეს მთელი დედამიწა, წარმოშობაზე მიმდგარ სამრეწველო კაპიტალმა მოასწრო ხელოსნობის დაქვემდებარება, ზოგ ადგილებზე შეჰქმნა მანუფაქტურა და აქა-იქ იწყო ფაბრიკის ორგანიზაციაზე გადასვლა — ხოლო სამიწათმოქმედო წარმოების ტეხნიკა კი მაინც სულ რჩებოდა ძველ კავსა და ფარცხზე, ძველ სამმინდვრიან სისტემაზე. მთელ ამ დროის განმავლობაში სოფელი თამაშობს პასიურ, საცოდავ როლს, განვითარების მამოძრა-

ვებელი ძალები, რომელთაც მივყევართ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტეხნიკაში უმნიშვნელო, ოდნავ შესამჩნევ ცვლილებამდე და მთლიანად გადატრიალებამდე, საფუძვლიან რევოლიუციამდე სოფლის საზოგადოებრივ მიმართებათა სფეროში, იბადებიან სხვა სფეროში, — სოფელს გარეთ, მისგან თანდათან გამოცალკავებისაკენ მსრბოლავ ქალქის ეკონომიურ ურთიერთობაში. და იქიდანვე გამოდიან ის ძალები, რომლებსაც უახლოეს-დროში ევროპის კონტინეტზე მე-XVIII საუკუნის დასაწყისიდან, აზიაში გასული საუკუნის დასასრულიდან — მოქონდათ და მოაქვთ სასიკვდილო დარტყმები საშუალო საუკუნოებრივ სოფელზე და მის საშუალო საუკუნოებრივ წარმოებაზე. სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქამდე ჩვენ თითქმის არ მოგვიხდება ლაპარაკი საკუთრად სამიწათმოქმედო ტეხნიკაზე, — მთელი ამ ხნის განმავლობაში ის რჩებოდა საშუალო საუკუნოების დონეზე.

საშუალო საუკუნოების ფეოდალურ პერიოდშივე განვითარდენ და მყარი ფორმა მიიღეს მიწათმოქმედების პროდუქტთა სამრეწველო ვადამუშავების იმ პროცესებმაც, რომლებიც მოქმედებენ მცენარის დამწიფებიდან მოხმარებამდე მის მთელ დამზადებაში: კანაფიდან და სელიდან დამზადება ბოჭკოებისა (აღმოსავლეთ აზიაში ასი იოე მნიშვნელობა აქვს უხსოვარი დროიდან განვითარებულ ამოხვევას აბრეშუმისა, რომელიც დაკავშირებულია თუთის ხის კულტივირებასა და აბრეშუმის ჭიების გამოზრდასთან), წვენის გამოწურვა ყურძნიდან, დაღერღვა და დაფქვა პურისა. ზოგ ამ პროცესების დროს მაგალითად, მეღვინეობისას საჭიროა საკმაოდ რთული მოწყობილებანი. პრიმიტიული ხელის წისქვილი თავის ადგილს უთმობს მექანიურს, მაშინისას, უკვე მე-XVII საუკუნიდან, როდესაც სწრაფ გავრცელებას ჰპოულობენ წყლის წისქვილები. მეწისქვილე მჭედელთან ერთად, ევროპაში წარმოადგენს ხელოსნური ხასიათის ერთერთ პროფესიას, რომელიც ყველაზე ადრინდელ პერიოდშივე გამოეყოფა სოფელს.

საბოლოოდ მყარდება აგრეთვე მცენარეული საკვების პირველ რიგში პურის დამზადების თანამედროვე საშუალება. პირველყოფილი „პური" დაღერღავი, ანუ ოდნავ მოფქვული მარცვლეული, უბრალოდ წყალში მოხარშული (ფაფა-ღომი), რომელსაც მხოლოდ წყალში ურევენ, უფოვარი ცომი და მტკნარი კისელი კი დღემდე მოგვაგონებს თავის პირველყოფილობაზე იმ განსაკუთრებული როლით, რომელსაც ის თამაშობს რელიგიოზურ რიტუალებში, მაგ., „აღაპის" დროს. საკვების სახით ის უკვე საშუალო საუკუნოების ადრინდელ პერიოდშივე განდევნილ იქნა დაცომებული პურის მიერ, რომლის

მარგებლობას მაღლა სწევს აფუების პროცესი. მისი მომზადება მოითხოვს, შედარებით უფრო რთულ მოწყობილობათ, ვინემ ეს გააჩნია პირველყოფილ კერას. ანუ მის უახლოეს მემკვიდრეს, ბუხარს (კერაცა და ბუხარიც პირდაპირი სახით განვითარდენ უბრალო კოცონიდან, რომლისათვისაც საჭირო იყო კვამლის ამოსავალი, რომელიც ეხლაც ხმარებაშია გადასატან ქოხებში). პურის გამოცხობა, ხოლო ხანდისხან ცომის მომზადებაც, მრავალ ადგილებში თანდათან გამოეყოფა მოხმარებით მეურნეობას: ყალიბდება მეპურეს პროფესია.

იმავე ძირითადი მიმართულებით, რომლითაც მიდიოდა მიწათმოქმედების მიმდევარი ტომების განვითარება, — საარსებო წყაროს მისაღებად აუცილებელი მოედანის შემცირება — მიდის ის აგრეთვე მოხეტიალე ცხოვრების მიმდევარ ხალხებშიაც.

გავრცლების გზაზე შემდგარი მიწათმოქმედების გავლენა მოხეტიალეებს მიერეკება ისეთ ოლქებში სადაც ტეხნიკის მოცემულ საფეხურზე მეჯოგეობა შესაძლებელია მხოლოდ, როგორც წმინდა ჩეჯოგეობა, მიწათმოქმედების უმნიშვნელო დამატებით. მოხეტიალეობის ოლქი კლებულობს, აუცილებელია მისი უფრო ინტენსიური გამოყენება. ამასვე მოითხოვს მუდმივი ბრძოლა, თანდათან რომ მწვავდება ურთიერთს შორისაც და მეზობელ მიწათმომქმედ ჯგუფებთანაც, რომელნიც მოცემულ ტერიტორიაზე თანდათან ვიწროვდებიან.

ცხოველების, როგორც გადამზიდავი, ტრანსპორტის საშუალებათა გამოყენებამ, განსაკუთრებით აქლემისა და ცხენისამ, მეტად გაადვილა მოხეტიალე ხალხის მოძრაობა. გვარები ჰკარგავენ განსაკუთრებულობათ. მეორეს მხრივ, იქ სადაც ჯოგის ძოვებისათვის აუცილებელია 15-20 ქვეითი მწყემსი, საკმარისია, 4-5 ცხენოსანი. ამრიგად განთავისუფლებული შრომა შეიძლება მიმართული იქნეს წარმოების სხვა დარგებისაკენ. გარდა ამისა, მხოლოდ სასაპალნე ცხენთა გამოყენების შემდეგ იწყებენ წარმოშობას ყოველგვარი მარაგები სერიოზული რაოდენობით: იარაღები, საოჯახო ნივთები, სამკაულები. ამავე დროიდან, ჩნდება გადასატანი ბინაც: კარავი, ალაჩუხი (ფალანგი).

მას შემდეგ რაც ეს კარავი შენდება ბორბლებზე ე. ი. გადაიქცევა „კიბიტკათ" (გადახურული ურემი), მოხეტიალეთა ცხოვრებაში იწყება ახალი ეპოქა. მთელი გვარი უფრო მოძრავი ხდება და ადვილად შეუძლია გადასახლების ატანა და წარმოება. დაძლეული ხდება მარაგების შექმნის ისეთი დაბრკოლება, როგორიცაა საპალნის ერთიდან მეორე ცხოველზე გადატანა. მაგრამ, იქნებ, ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ ბორბლებზე მოწყობილი

ალაჩუხი მოძრავ სახელოსნოდ იქცევა: სამჭედლოთ, სართავად და ჭურჭლეულის საკეთებლად. მოხეტიალეთა ცხოვრება ეგუება იმ რთულ მოწყობილობათ და გაწრთვნებს, რომელთაც მოითხოვენ ეს წარმოებანი და ზოგი წარმოების დარგის ძლიერ მაღალი განვითარებაც, — როგორც მაგ., სამჭედლოსი, მეჭურჭლეობის, ნოხების ქსოვისა და სამღებროსი, — რომლებიც თავისი ტეხნიკური ორგანიზაციით ხშირად მანუფაქტურის საფეხურამდეც აღწევენ. ამ შედარებით მაღალ ტეხნიკურ განვითარებაში, გაცვლის განვითარებისავე გვერდით, რომელიც ახასიათებს ბედუინებს, უნდა ვეძიოთ უბრალო საფუძველი იმ საკვირველად ჩქარი სამრეწველო და ინტელექტუალური განვითარებისა, რომელიც ზოგ მოხეტიალეებმა, განსაკუთრებით არაბებმა, რაღაც 3-4 ასეული წლის განმავლობაში, — აზიასა, აფრიკაში და ევროპაში, ფეოდალურ სახელმწიფოთა წარმოშობიდან, — გაიარეს: ამ განვითარების ტეხნიკურ ბაზისმა ჩამოყალიბება იწყო უკვე მათი არსებობის მოხეტიალურ პერიოდში.

ქერქისა და ტყავის ტანისამოსს სცვლის მოთელილი დართული მატყლისაგან მოქსოვილი ტანისამოსი. მაგრამ გვიანაც კი ცხოველთა და მცენარეთა ბეწვეულის ტანისამოსის ბატონობის პერიოდშიაც მონარქების ქურქის მანტიები და ქობანი, საზეიმო შესამოსლებზე, მოგვაგონებს იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველად ეწეოდა მეურნეობას ველური, რომელიც ცხოველებს ხოცავდა, რათა ტანისამოსი გაეკეთებინა. ტყავისა და ქურქისაგან გაკეთებული წინსაფარი, ეს ტანისამოსის ემბრიონი, რომლიდანაც შემდეგში წარმოსდგა მთელი მისი სხვადასხვაგვარობა, ღებულობს რიტუალური შესამოსელის ხასიათს, — როგორც ეს იყო ეგვიპტის მეფეებში, — და მითვე მოწმობს თავის პირველყოფილობაზე.

პირველყოფილ მოხეტიალეთა უმთავრეს საკვებს ხორცი წარმოადგენდა. ჯოგისადმი რაციონალური მიმართების გამომუშავება დიდის თანდათანობით ხდება. ცნობილია ერთი მოთხრობა პარაგვაელ ინდოელებზე, რომლებმაც, — დარჩენ რა მამა იეზუიტების, თავის განმანათლებელთა მეთვალყურეობის გარეშე, — დახოცეს მთელი სამუშაო ჯოგი, რათა მიეღოთ ხორცის მცირეოდენი რაოდენობა. ისინი მოქმედებენ პირველყოფილი მონადირის ლოგიკით, რომელიც ისტორიაში მხოლოდ ნაბიჯიდან ნაბიჯზე არსებობის ცვალებად პირობათა გავლენით, ადგილს უთმობდა ნამდვილ მეჯოგურ რაციონალიზმს ის ჯერ კიდევ არ განვითარებულა თანამედროვე არგენტინაში, რომელსაც უახლოესი კაპიტალიზმი ძველი ქვეყნებისათვის მეჯოგეობის პროდუქტთა მიმწოდებელ ქვეყნად ხდის. პირველი ხელს მოხვედრი

ლი საქონელი ჯოგისა დაიკვლება აქ იმისათვის, რათა მიღებულ იქნას ქურქი, რქა ან იქნება ხორცის მცირეოდენი ნაჭერი. და ასეთ მეურნეულ თაოსნობას ეწევიან უკვე არა ველურები, არა ინდოელები, არამედ ევროპიელები და მათი შერეული შთამომავლობა, რომლებიც მოჰყვენ რა ექსტენსიური კულტურის მსოფლიოში, მთელ წარმოებას აშენებენ ბუნების ძალთა შეუბრალებელ მფლანგველობაზე. ისინი ჩვენი თვალების წინ ახდენენ პირველყოფილი მეჯოგეობის მიმართებათა აღდგენას, რომელიც გართულებულია კაპიტალისტური სიხარბით და გაშლილია კაპიტალისტური მასშტაბით. გარკვეული დროის შემდეგ არგენტინაც მონათლული იქნება, როგორც უშრომელი არსებობის ქვეყანა, რომელიც დაჰკარგა კაცობრიობამ შედეგად „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერებისა".

პირველყოფილ მეჯოგეობის დროს რძე არავითარ როლს არ თამაშობდა კვების საქმეში და მხოლოდ ძლიერ გვიან, ცხოველთა უფრო კარგად მოშინაურების შემდეგ წარმოსდგება რძის გამოყენება მისი გამოწოვის სახით, ე. ი. მსგავსად ჩვილი ცხოველებისა. შემდეგ გამოწოვას სცვლის მოწველის პრიმიტიული ხერხი. ხოლო შემდეგ ხდება გადასვლა რძის პროდუქტეულს უფრო მყარ მომარაგებაზე: კარაქზე და განსაკუთრებით დოზე და ყველის სხვადასხვა სახეებზე.

ბრძოლის პროცესს აძლიერებს და ამაგრებს რძის მეურნეობის მეზარდი მნიშვნელობა. ყველაზე ფართო და შეკავშირებული ხდებიან ის მოხეტიალე გვარები, რომლებიც ადგენენ განსაკუთრებულ მიმართულებას ხორცისა და რძის პროდუქტეულის საკვებს შორის, ე. ი. ცხოველთა განადგურებისა და მხოლოდ მათი რძის გამოყენების შორის. ამ პროცესის სრულყოფას მივყევართ იქამდე, რომ მეჯოგეობაში ხდება შინაგანი დიფერენციაცია: დასაკლავად უკვე მიდის ერთის მხრივ, უმეტესად ზედმეტი ახალგაზრდა ცხოველები, ხოლო მეორეს მხრივ — ბებერი ცხოველები, რომელთაც დაჰკარგეს სარგებლიანობა როგორც რძის მომცემ და როგორც გადაზიდვისათვის ვარგის ცხოველებმა; ამას გარდა გამოეყოფა განსაკუთრებული ჯიშის ჯოგი, როგორც უმეტესად დასაკლავი, სახორცე ანუ მატყლის მომცემი (წვრილფეხა რქიანი ცხოველები). წინანდელი ზომის ჯგუფების არსებობისათვის საკმარისი ხდება პირველყოფლ მეჯოგეობის დროინდელთან შედარებით, უმნიშვნელო რაოდენობის ჯოგი. ამ ჯგუფებისათვის სახეტიალოთ აუცილებელი მიწის მოედანი რამოდენიმეჯერ მცირდება. გარკვეული ზომის ტერიტორიას შეუძლია რამდენიმე საუკუნეთა განმავლობაში ასაზრდოვოს შევიწროვების გზაზე შემდგარი მოსახლეობა.

მეჯოგეებში საწარმოო ტეხნიკის განვითარებაშია იმ გარემოების ახსნა, რომ მეჯოგე ხალხებს: პართელებს, სკვითებს, სარმატებს, ავარებს, ჰუნებს, პეჩენეგებს, არაბებს, თურქებს, ვენგერლებს, ბოლგარებს, თათრებს და ა. შ. შეეძლოთ გაერთიანებულიყვენ მჭიდრო ურდოებათ, რომლებიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შიშს ზარს სცემდენ მიწათმომქმედ ევროპასა დაწინააზიას, და რომ ევროპის ქვეყნების მიწათმომქმედური კავშირი უძლური აღმოჩდა მათი კავშირის წინაშე.

შრომითი დანახარჯთა აბსოლიუტური ჯამი ახალ მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის დროს, უეჭველად გადიდდა წინამსრბოლ პერიოდთან შედარებით. მაგრამ მას შეეძლო გადიდებულიყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი უფრო მეტად ითვისებს გარეშე ქვეყნის ენერგიას, და უფრო მეტად ეკონომიურად ეპყრობა მის ხარჯვას. საკვების დამზადებით ის ანთავისუფლებს კუჭს მთელ რიგ ზედმეტ სამუშაოდან, ბინისა და ტანისამოსის გაწყობით ამცირებს, სასიცოცხლო სითბოს ფლანგავს და ა. შ. ამრიგად შრომითი დანახარჯთა შედარებითი სიდიდე, ე. ი. მათი სიდიდე მიღწეულ შედეგებთან შედარებით მცირდება. სამიწათმოქმედო და მეჯოგეობის ტეხნიკის განვითარებაში ეს ტენდენცია შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ციფრობრივ მიმართებაში, რომელიც მხოლოდ მაგალითისათვის აიღება. პირველყოფილი ადამიანი დახარჯავდა რა შრომითი ენერგიის ერთეულს თავის მონაპოვარიდან შეითვისებდა ენერგიის იმდენ რაოდენობას, რომელიც ბოლოს და ბოლოს იძლეოდა იმავე ერთეულს სასარგებლო შრომისა. პირველყოფილი მიწათმომქმედი და მეჯოგე სასარგებლო შრომის დანახარჯის ერთეულზე ღებულობენ ერთეულივე სასარგებლო შრომას მცირეოდენ დამატებით. ბოლოს ახალი მიწათმომქმედი ანუ მეჯოგე გვარი, ხარჯავს რა შრომის ერთეულს, ითვისებს ენერგიის იმდენ რაოდენობას, რომელიც გამოიხატება ერთნახევარ ერთეულში სასარგებლო შრომისა. უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელი შრომის ყოველი ერთეული იძლევა ერთეულს ზედმეტი შრომისა. მაშინ, როდესაც პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში ზედმეტი შრომა სრულებით არ არსებობდა.

მაგრამ კლებადი ნაყოფიერების თეორეტიკოსები, მიმართავენ რა პირველყოფილ ადამიანს, მოქმედებენ სხვა ციფრებით. ადრე, — ამბობენ ისინი, — თხა ღირდა ათი დღის ნადირობათ, და მეტი არაფერი. ახლა ის ღირს 20 დღის მოვლად, — მაშასადამე სტეპების ნაყოფიერებამ ორჯერ დაიკლო.

ისინი არაფერს ამბობენ, რომ წინათ თხა იძლეოდა უმი ხორცის განსაზღვრულ რაოდენობას, რითაც მონადირეს შეეძლო არსებობა იმავ ათი დღის განმავლობაში. ახლა, სიცოცხლეშიაც და დაკვლის დროსაც ის აკმაყოფილებს ამაღლებულ, უფრო მრავალრიცხოვან და სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებათ, იმ რიგად, რომ შესაძლებლობას იძლევა არა ნაკლებ 40 დღით არსებობისა. ეკონომისტები, რომლებიც ამტკიცებენ ცრუ „ფაქტს" კლებადი ნაყოფიერებისა, განგებ რიცხავენ მხედველობიდან განვითარების გზაზე შემდგარ საზოგადოებრივ-ეკონომიური მდგომარეობის მოხმარების სხვადასხვა საგნებს და ისე გამოხატავენ საქმეს თითქოს ადამიათა მეურნეობის სისტემაში „თხა", მაგ., ნიშნავს ერთ ადგილას გაყინულ, უძრავ ნივთს და არა დაუსრულებლად რთულ კომპლექსს დაუსრულებლივ ცვალებად ტეხნიკურ-ეკონომიურ მიმართებათა; თითქოს პირველყოფილ მეურნეობის თხა იგივეა რაც თანამედროვე ეპოქის თხა. ადამიანთა მიმართების ისტორია მათ ესმით წმინდა ზოოლოგიურ თვალსაზრისით. ბუნების ძალებისადმი დაზოგვილი მიმართება წარმოუდგენიათ, როგორც რეგრესი, იმისათვის, რათა კაპიტალისტური საზოგადოების მიერ მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის საშუალებით ამ ძალთა ბარბაროსულ ფლანგვა გასაღებულ იქნას, როგორც თვით მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის ბუნებრივი, აუცილებელი თავისებურებანი.

ახალი მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის განვითარება: გაჩეხა ტყეებისა, ჭაობების ამოშრობა, მიწის უფრო კარგად დამუშავება ტერიტორიისათვის მოზარდი ბრძოლა მოითხოვდენ წარმოების უფრო სრულქმნილ იარაღებს, — უფრო თანადროული მასალიდან ვინემ არის ქვა. პირველყოფილი მიწათმოქმედებიდან და მეჯოგეობიდან ახალზე გადასვლა იმავე დროს არის „ქვის საუკუნიდან" თანდათანი გადასვლა „ლითონის საუკუნეზე".

ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ შეუძლებელია ზუსტი მიჯნის გავლება იარაღების წარმოების ამ ორ ეპოქათა შორის. ახალი, მეტალიური ტეხნიკა დიდის თანდათანობით ავიწროვებს ქვისას და მხოლოდ რამოდენიმე საუკუნის გავლის შემდეგ გამომუშავდება რაღაც, არსებითად, როგორც მისგან თვისობრივად განსხვავებული. მის მიერ გამოწვეული გადატრიალება, მოქმედების მეტისმეტი სინელით არაფრით არ შეეძლება სამრეწველო რევოლიუციას, რომლის ცენტრშიაც ორთქლის მანქანა სდგას. რასაკვირველია ღრმა უფსკრული ჰყოფს განვითარებული რკინის ტეხნიკის პატრონ ხალხებს, მათივ ქვის საუკუნის წინაპრებისაგან. მაგრამ ეს უფსკრული წარმოშობილია მხოლოდ ოდნავ მნიშვნელოვან, ძლივს შესამჩნევ ცვლილებათა დაგრო-

ვებით და არა მხოლოდ იარაღთა წარმოების ტეხნიკაში, არამედ იმავე დროს ადამიანის ბუნებისადმი ცვალებად მიმართებათა მთელი ჯამის წყალობით.

წინანდელი ისტორიკოსები, რომლებიც სასტიკად ანსხვავებდენ „მეტალის საუკუნეს“ ქვის საუკუნისაგან“ და ერთიდან მეორეზე გადასვლა წარმოედგინათ, როგორც ნახტომი, — რაიც სრულ წინააღმდეგობაში დგას პირველყოფილი ადამიანის ყოველგვარ თვისებებთან, — ფიქრობენ, თითქოს მათს „რკინის საუკუნეს“ ყველგან და ყოველთვის წინ უსწრებდა „ბრინჯაოს საუკუნე“. ამ მოსაზრების წინააღმდეგ უკვე ის ფაქტი ლაპარაკობს, რომ კალას მოპოების ადგილები ძლიერ იშვიათია, — ძველ ევროპაში, მაგ., თითქმის მხოლოდ ბრიტანეთის კუნძულები.

უძველესი რკინის იარაღები სუსტი იყო, — მასალის ჯეროვანად დაუმუშავებლობისა გამო ის ადვილად ტყდებოდა, — სპილენძისა და განსაკუთრებით ბრინჯაოს იარაღები კიდევ დიდხანს იყენენ ფართე ხმარებაში; ამიტომაა, რომ გვგონია, თითქოს ბრინჯაოს უფრო ადრე ხმარობდენ ვინემ რკინას. ასე იყო მაგალითად, ჰომერისა და გეზიოდის ეპოქის საბერძნეთში (დაახლოვებით — 3000 წლით ადრე ჩვენი წელთაღრიცხვამდე). ძველ ეგვიპტეში დაახლოებით 5000 წლის წინათ ცნობილი იყო რკინა; სპილენძი და ბრინჯაო შეუდარებლად უფრო ფართე გამოყენებაში იყო, მაგრამ როგორც სჩანს იარაღები უმეტეს ნაწილად კიდევ ქვიდან კეთდებოდა. შესაძლებელია, რომ ფინიკიელთა ვაჭრობის განვითარებამ, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო საგანი იყო ბრინჯაო და ბრინჯაოს ნაკეთობანი, დიდი ხნით შეაჩერა პირველდაწყებითი რკინის ტეხნიკის განვითარება და ზოგ ქვეყნებში თვით ჩანასახებში ჩაჭკლა ის. რკინა ისევ მაღლდება ევროპის ქვეყნებში და უწინარეს ყოველისა კლასიკურ სიძველეთა ოლქებში მხოლოდ 8-10 წლით ადრე ჩვენი წელთაღრიცხვისა.

მადნიდან რკინის მიღების პრიმიტიულ საშვალებათ იყო არა გამოდნობა, არამედ „გამოჭედვა“, — მჭედელი, რომელიც იარაღებს აკეთებდა, იმავე დროს იყო რკინის მწარმოებელიც. ძველი ეგვიპტე, ნაწილობრივ თანამედროვე აფრიკელი ტომები, შორს არ გასცილებიან ამ საშუალებას. თავის უფრო სრულყოფილ ფორმაში, ის შემდეგში მდგომარეობს. წვრილად დაფხვნილი მადანი აირევა ხის ნახშირთან და ჩაიყრება თხრილში, — ჩანასახი ფორმა მჭედლის სადნობელი ქურისა და გვიანდელი ბრძმედისაც, — რომელშიაც წვა ძლიერდება ქურქის წყალობით; ქურქი მოძრაობაში მოჰყავთ ხელით. ამრიგად მიღებული გახურებული მასა კიდევ იფქვება და იგივე პროცესი

თავიდანვე მეორდება რამოდენიმეჯერ. ბოლოს და ბოლოს შიიღება გამოქედილი, გამოკვერული მასა, საიდანაც ხენჯი ამოიწმინდება ჩაქუჩის დარტყმით. ასეთი რკინა საერთოდ ძლიერ უსუფთაოა, მისი თვისებანი კიდევ უფრო უარესდებიან, თუ კი დასამუშავებლად მოხდება ცუდი მადანი, მაგ., გოგირდის დიდი ნარევით.

თავის განვითარებაში რკინის ტეხნიკა უფრო წინ წავიდა ინდოსტანში. იქ უკვე 2½ ათასი წლით ადრე ჩვენი წელთაღრიცხვისა მქედლებს შეეძლოთ ნაქედი რკინისაგან გაეკეთებინათ მთლიანი მასიური სვეტები ½ არშინზე მეტი სისქისა და 7 საჟენის სიმაღლისა. ძველ ეპოქაში ინდოსტანში, თურანის მოხეტიალე ხალხებში, წინა აზიაში ჩნდებიან ფოლადის იარაღებიც. ფოლადის წარმოება იმავ მქედლური საშუალებით ხდებოდა, როგორც რკინისა.

ევროპის ხალხებში, — ბერძნებში, ეტრუსკებში, რომაელებში, გერმანელებში, — რკინის მოპოვების პირველდაწყებითი საშუალება იმავენაირი იყო, როგორც აფრიკასა და აზიაში. მხოლოდ პირველდაწყებითი ბრძმედი, ამოთხრილი ორმო, რამოდენიმედ განიდევნება ქურის მიერ, რომელმაც ყველაზე ადრე გავრცელება ჰპოვა მოხეტიალე ხალხებში. მადნის დამუშავება არსებითად იმავე გვარად ხდებოდა: მასის გამოკვერამდე მოიყვანა, ხინჯების ჩაქუჩის დარტყმით ამოწმენდა.

რკინის მქედლური მოპოვება, — ქურის საშუალებით, — გაბატონებული რჩებოდა თითქმის საშუალო საუკუნეთა ბოლომდე. პროგრესი მადნის უფრო დაკვირვებულ ამორჩევაში, ქურების მოწყობაში ზოგიერთ გაუმჯობესებათა შეტანაში და ფოლადის ანუ რკინის მისაღებად გამოქედვაზე გადასვლის მომენტების გამორკვევაში მდგომარეობდა. საერთოდ ევროპის მეტალურგიულ მრეწველობას, თავისი ტეხნიკური დონით არ შეეძლო გვერდით ამოსდგომოდა აღმოსავლეთისას. შესამჩნევი ცვლილება მასში იწყება მხოლოდ ჯვაროსანთა ომების ეპოქიდან, რომელმაც ევროპიელები მიიყვანა წინა აზიის პირდაპირ გაცნობამდე, ხოლო არაპირდაპირ გაცნობამდე ინდოსტანისა.

მე-XIV საუკუნიდან რკინის წარმოებაში იწყება ჩქარი და მკაცრი გარდატეხათა ეპოქა. წყლის ბორბალი, რომელიც უკვე წინამსრბოლ საუკუნეში გამოიყენებოდა წისქვილის აშენებისას, ახლა გამოიყენება სამთო საქმეთა მოთხოვნილებათათვის: იმისათვის რათა მოძრაობაში მოიყვანონ ღუმელის უზარმაზარი ქურქები — საბერველი და მძიმე ურიები მადნის დასაშლელად. ღუმელებში სიმხურვალის გადიდების მიხედვით გამოკვერილი მასის ნაცვლად დრო-დადრო მიიღებოდა გამდნარი მასა. ეს შედეგი პირველ ხანებში იყო არა

მხოლოდ განუზრახველი, არამედ არასასიამოვნოც ხელოსანთათვის, რომელნიც კიდევ დიდი ხნის განმავლობაში თავის საქმის, როგორც სამჭედლო საქმის, ტრადიციის ბრეყალებში იყვნენ. თუჯი, რომელიც ხინჯებთან ერთად გამომდინარეობდა, გაფუჭებულად ითვლებოდა; ხელოსანი, რომელიც თავიდან ვერ აიცილებდა ასეთ სკანდალურ მოვლენებს, სასტიკად ვნებდა თავის რეპუტაციას. ამრიგად ძველი სამჭედლო ტეხნიკის განვითარებას მივყევართ ახალი ჩამომსხმელი ტეხნიკის შექმნისაკენ, — რომელსაც ის როგორღაც პირდაპირ ხელში იძლეოდა. მაგრამ შეზღუდული ემპირიზმის განსაკუთრებული ბატონობის ხანაში მთელ საწარმოო ოპერაციებში გაიარა კიდევ არა მცირედმა დრომ, სანამ ძველი ხერხების განუზრახველი შედეგი საფუძვლად არ დაედვა ახალ მეტალურგიულ ტეხნიკას.

თუჯის გადამუშავება განსაკუთრებული ღუმელების საშუალებით, რომლს ჩანასახ ფორმად ქურა გამოვიდა, იწყება მე-XV საუკუნეში. რკინა და ფოლადი მიიღებიან უფრო ერთგვარი, ვინემ მჭედლური დამუშავების დროს. თოფის წამლის აღმოჩენამ არაჩვეულებრივად გაადიდა მოთხოვნილება რკინაზე, როგორც ყუმბარისათვის საჭირო მასალა (ლულა). მისი თუჯიდან ჩამოსხმა წარმოიშობა მე-XV საუკუნის დასაწყისშივე. მასვე უშუალოდ მოსდევს თუჯიდან ჩამოსხმა ლორფინებისა, ზოდებისა, ზოგიერთი სამიწათმოქმედო იარაღებისა და ა. შ.

გადასაყრელი მასიდან სამჭედლო წარმოების შემთხვევითი პროდუქტიდან, თუჯი იქცევა ლითონად, რომელზედაც მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება. აწყობენ სპეციალურ ღუმელებს მის მისაღებად. უკვე მე-XV საუკუნის შუა წლებში წარმოიშობიან ბრძმედები იმ სახით, როგორადაც ზოგიერთი ცვლილებების შეტანით, ისინი არსებობდენ ორთქლის გამოყენებამდე, — ოთხი შემდგომი საუკუნის განმავლობაში და ნაწილობრივ ახლაც რომ ვხვდებით პატარა ლითონის ჩამომსხმელ წარმოებებში.

ასე განვითარდა რკინის ტეხნიკა, მისი წარმოებიდან ფეოდალური პერიოდის დასასრულამდე. ყოველი მისი მიღწევანი დაუყოვნებლივ უტილიზირდებოდა მიწათმოქმედებასა, მეჯოგეობასა და ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ქ მ ე შ ი. ქვის თოხი კიდევ გავრცელებული იარაღი იყო ფეოდალიზმის ჩასახვის ეპოქაში. რკინის ნაწილებიანი სახნისი (ანუ კავი); ჯერ კიდევ საშუალო საუკუნის ევროპის ფეოდალიზმის გარიჟრაჟზე შეიქნა უმთავრეს სამიწათმოქმედო იარაღად. ქვის ცული და შუბი, ქვის ანუ ძვლის პირით იყო მთავარ იარაღათ ფეოდალური ეპოქის წინამძღოლებისა, რომლებიც აერთიანებდენ მეზობელ გვა-

რებს. საომარი ეტლები, მეტალის ზუჩები, მახვილები და შუბები ტროიანული ომისა, რკინის და ფოლადის აბჯრები, ფარები, ჯავშნები, ხანჯლები, რაპირეები (სავარჯიშო ხმალი) წათები, (შუბ-ნაჯახი) ფრიად სხვადასხვაგვარი ფორმებისა და ა. შ., — ერთი სიტყვით ის განსაცვიფრებელი სიმდიდრე და მრავალგვარობა ცივი იარაღებისა, რომლებიც ეხლა ჩვენ მხოლოდ მუზეუმში შეგვიძლია დავათვალიეროთ, — აი რითი ხასიათდება სრული აყვავება ფეოდალური ეპოქისა. წარმოიშობა სამხედრო-საინჟენერო ხელოვნება. შენდებიან რთული სიმაგრეები, რომლებიც წარმოადგენენ ზედმიწევნით მოფიქრებულ კედლებს, თხრილებს, სანდაყებს, დაფარულ ორმოებს, წყლით სავსე არხებს, ასაწევ ხიდეებს, გასაქცევად, ანუ მოულოდნელად თავზე დასასხმელად საჭირო მიწის ქვეშა გალერეებს. შენდებიან უზარმაზარი კედლის გამრღვევი მანქანები; ალყაშემორტყმულ სიმაგრისათვის წყალის წართმევის მიზნით მიმართულებას უცვლიან მდინარეებს; ალყაშემორტყმულნიც თავის მხრივ აწარმოებენ საწინააღმდეგო გადათხრებს და ეწინააღმდეგებიან მანქანებით. წესრიგს დაუქვემდებარებელი ბრბო, რომელსაც რამოდენიმე წინამძღოლი ჰყავს, იწყებს დიფერენცირებულ ნაწილობრივ ცხენოსანთა, ნაწილობრივ ქვეითთა არმიად გარდაქმნას, რომელიც შეიარაღებულია სხვადასხვაგვარი იარაღებით, მომარაგებულია ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ბარგიბარხანით, რთული მანქანებით, შრომის განაწილებით, რომელიც უკვე ახლოს მოგვაგონებს მომავალ მანუფაქტურას *). ასე მუშავდება მატერიალური საფუძველი მეომართა როგორც განსაკუთრებული პროფესიის გამოყოფისათვის.

ახალ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა ურთიერთ კავშირის საშუალებებში. მაგრამ მისი განგითარება ძლიერ უთანმიმდევნო იყო ასე თუ ისე განცალკავებული ოლქების შიგნით გაცვლა ვერ თამაშობდა რამოდენიმედ შესამჩნევ როლს. საურმე გზები არ იყო, არც ხიდეები, რამდენადაც თვით მიწათმოქმედება არ მოითხოვდა ამის მოწყობას და გაყვანას. გაცვლა მხოლოდ საგარეო იყო გვარებისა და საგვართაშორისო კავშირისა და მას თავის გზა უზარმაზარ

---

*) „ომმა უფრო ადრე მიაღწია დასრულებულ ფორმებს, ვიდრე მშვიდობიანობამ (უნდა აღგვენიშნა) საშუალება თუ ომის შემწეობით და არმიებში და სხვ. როგორ განეითარდენ ერთგვარი ეკონომიური ურთიერთობანი, როგორიცაა საჭირაო შრომა, მანქანიზაცია და სხვ. უფრო წინეთ, ვიდრე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. აგრეთვე საწარმოო ძალასა და მიმოსვლის საშუალებათა ურთიერთ დამოკიდებულება, განსაკუთრებით თვალსაჩინოთ სჩანს არმიაში". კ. მ ა რ ქ ს ი — „შესავალი პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკისათვის". გვ. 50 ქართ. თარგმ.).

მანძილზე უნდა გაეკაფა. ასეთ მდგომარეობაში ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა სასაპალნე და განსაკუთრებით წყლის ტრანსპორტს. სასაპალნე ცხოველების გამოყენებამ — ცხენისა, აქლემისა, ზოგან ხარისა, მთიან ადგილებში ვირისა, — შესაძლებელი გახდა ფართე მასშტაბის საქარავნო ვაჭრობა. კიდევ უფრო ვითარდებოდა წყლის ტრანსპორტის საშუალებანი: რკინისა და ფოლადის გამოყენებამ ახალი ეპოქა შექმნა გემთმშენებლობის საქმეში. შორიდან ამოჭრითა და ამოწვით გაკეთებული ნავი ვითარდება შორეულ მოგზაურობისათვის ვარგისიან ხომალდათ. მრავალ ნიჩბიან ნავად, რომელსაც ამოძრავებს რამოდენიმე ასეული მენიჩბე (მეხოპე), — მნიშვნელოვანი სისწრაფის მქონე და შედარებით დიდი წყალწევის ნავად. მხეცთა ქურქისა და ანუ ხის ცილისაგან გაკეთებული იალქანი იცვლება მოქსოვილი იალქნით, რომელიც პირველად მხოლოდ დამატებას წარმოადგენს მენიჩბეთა მუშაობისა და შემდეგ კი განდევნის მენიჩბეთ, ისე, რომ იალქან-ნიჩბიანი ნავი ხომალდათ იქცევა. ფინიკიელთა და კართაგენელთა საზღვაო ვაჭრობა, რომელიც აფრიკის შორეულ სამხრეთით ეშვებოდა და გვიანდელ პერიოდში აწარმოებდა რეგულიარულ მიმოსვლას ბრიტანეთის კუნძულებზე, მათი მემკვიდრეების ბერძენთა მოგზაურობა ხმელთა შუა ზღვაზე, გაბედული მოგზაურობანი საშუალო საუკუნეების ნორმანებისა, რომლებმაც სკანდინავიის ნახევარ კუნძულიდან მიაღწიეს გრენლანდიასა და კოლუმბამდი თითქმის ხუთასი წლით ადრე აღმოაჩინეს ამერიკა, — ყოველივე ეს გვიმტკიცებს, რომ უკვე ფეოდალურ ეპოქაში საზღვაო მიმოსვლის ტეხნიკამ გააკეთა დიდი მიღწევები. ფეოდალურ პერიოდშივე ბრძოლის ტრადიციული „მოედანი" გადატანილ იქნა ზღვაზედაც.

პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში არსებითი ცვლილებისათვის საჭირო იყო ალბად, მრავალი ათეულ ათასი წელი, მთელი გეოლოგიური პერიოდები. საგვარეულო — ავტორიტარულ პერიოდში ტეხნიკასა და საზოგადოებრივ მიმართულებაში მსხვილი გადატრიალებანი მწიფდებიან ათასი წლების განმავლობაში და იქნებ დამატებით დასაყრდენს ნახულობენ იმავე დროს მომხდარ გეოლოგიურ ცვლილებებში. ფეოდალური ეპოქა (და მას დაკავშირებული გარდამავალი ეპოქაც) თავისი ტეხნიკით კიდევ შეიცავს დროის მნიშვნელოვან ინტერვალს ყოველ ქვეყანაში. მაგრამ რაც გინდ ხანგრძლივიც ის არ უნდა იყოს, სხვადასხვა ქვეყნებისათვის მისი გაზომვა მაინც ს ა უ კ უ ნ ე თ ა სხვადასხვა რაოდენობით მოგვიხდებოდა.

ასეთ ძლიერ შერგვალებულ რიცხობრივ მიმართებაში შეგვიძლია დავახასიათოთ განვითარების ტემპის სიჩქარე, რომელიც სულ

უფრო იზრდება იმისა და მიხედვით როგორადაც ადამიანი სცილდება თავის ზოოლოგიურ წინაპრებს.

(ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი და ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი — პოლიტეკონომიის კურსი, ტ. II).

§ 4. სასოფლო მეურნეობა და მამულის ორგანიზაცია მე-IX — XI ს.ს.

მე-IX — XI ს. ს. მამული (villa, manor) იყოფა ორ ნაწილად. პირველს შეადგენს საბატონო ნაწილი, რომელიც მუშავდება სენიორის ანგარიშში (terra salica ანუ mansus dominicus, mansus indominicatus), ხშირად boardland, ე. ი. მიწა, რომელიც დანიშნულია ბატონის სუფრის საჭიროებისათვის. ამის ცენტრში იმყოფება ბატონის სახლ-კარი (curtissala, curtis salica, salihus, selihus), ჩვეულებრივ ციხე-კოშკი, რომელიც გარშემორტყმულია კედლითა და არხით, თხრილით. მეორე — საგლეხო ნაწილი, სოფელი, რომელიც შესდგება 15 — 20 ოჯახიდან (ლ ა მ პ რ ე ხ ტ ი თ) მათი კუთვნილი ბინებით, ე. ი. გლეხის მეურნეობისა ანუ მანზისაგან (mai. sa, meix, mois, mas). „თითქმის არ არის შემთხვევა, რომ საბატონო მიწა შემოიცავდეს მთელ მენორს" (ვ ი ნ ო გ რ ა დ ო ვ ი). პირიქით, კაროლინგებისა და ოტტონების ეპოქაში ის უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენდა არა უმეტეს ერთი გუფისა, რომელსაც შემდეგში უერთდებოდენ მემამულის მიერ შემოერთებული თავისუფლად მდებარე (დაუმუშავებელი) სივრცეები (Bifang). პრიუმის საბატონოს რუმერსგეიმის მამულში terra dominica ძლივს შეადგენდა, მაგალითად, მთელი მიწის მოედანის ერთ მეხუთედ ნაწილს. გლეხთა მანზების სიდიდე, რომელთაგან, როგორც სჩანს, შესდგებოდა მამულის უდიდესი ნაწილი, მეტად სხვადასხვაგვარი იყო; მიუხედავად ამისა, ერთსადაიმავე მამულში მანზი შეადგენდა (როგორც ჰფიქრობს ს ე ი) რაღაც გარკვეულს, თუმცა არა მის მიერ დაკავებული სივრცის აზრით, არამედ მოყვანილი პროდუქტების სახით. საერთოდ თვით ცნება ნადელისა (როგორც გაიდა, ვიგატა, ბოვატა) აღნიშნავს არა იმდენად გარკვეული სიდიდის მოედანს, რამდენადაც ხელოვნურ ერთეულს, რომელიც იძლეოდა პურის გარკვეულ რაოდენობას და იხდიდა გარკვეულ ბეგარასა და ვალდებულებათ.

ნადელები იყვნენ თავისუფალნი (ნახევრად თავისუფალნი) და არა თავისუფალნი; თუმცა ყველა ისინი, იმყოფებოდენ რა მამულის საზღვრებში მეტად თუ ნაკლებად დამოკიდებული იყვნენ მემამული-

საგან. მისთვის განკუთვნილი ნადელის სარგებლობისათვის — მიწისა ტყისა, საძოვარისა — გლეხი (რომელიც იჯდა არა თავისუფალ ნადელზე) ვალდებული იყო მემამულის სასარგებლოდ გადაეხადა ბეგარა (curvada, corvée Frondienst), სახელდობრ სხვადასხვა, მარტოხელა, თუ თავისი პირუტყვით, სამსახური. ამათ შორის მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა მემინდვრეობითი მუშაობას, საბატონო მიწის დამუშავებაში, ე. ი. მამულის იმ ნაწილის დამუშავებას, რომელიც ხდებოდა ფეოდალის ანგარიშში, — თესვა, მიწის მოხვნა, პურის მომკა, ლეწვა და ა. შ. ამიტომ თვით სიტყვა ბეგარა არის სინონიმი „მინდვრისა"... (ს ე ნ ი ო ბ ე ს ი). მინდვრის მუშაობას უერთდება სხვა სამსახურიც — გადატანა საბატონო პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა, ბატონის ჯოგის მწყემსვა, ცხვრების გაკრეჭა, არხების გაყვანა, ტბების გაწმენდა, ცნობათა გადაცემა. გარდა პირადი ბეგარისა გლეხი ბატონს უხდიდა აგრეთვე ნატურალურ ბეგარასაც (coutume, cencive, Zins), ე. ი. სენიორს აძლევდა საგლეხო ნადელზე წარმოებული პროდუქტის ნაწილს. ეს გამოსაღები უმთავრესად სრულდებოდა ნატურით, პურის, ჯოგის, მატყლის სახით, მაგრამ ნაწილობრივ ყმათა მიერ დამზადებულ ნაკეთობათა ფორმითაც, განსაკუთრებით ნარმის სახით. დასასრულ იხდევინებოდა კიდევ მეათედი, იგივე გამოსაღები, ეკლესიის სასარგებლოდ, ჰკრებდენ სასულო გადასახადს, დაწესებული იყო აგრეთვე სხვადასხვაგვარი ვალდებულებანი გლეხის სიკვდილის შემთხვევისათვის (ჯოგის უკეთესი თავის მიცემა), ქორწინებაში შესვლა და ა. შ. მემამულე შემოსავალს ღებულობს აგრეთვე ბანალიტეტებიდანაც (სიტყვიდან: bannum — ცნებითი). ბანალიტეტს წარმოადგენს სახელდობრ წისქვილი: სანადელო გლეხებს ეკრძალებათ თავისი წისქვილის ქონა ანუ სხვაგან პურის დაფქვა თუ არა სენიორის წისქვილში. სენიორის წისქვილში დაფქვის უფლებისათვის გლეხი სენიორის სასარგებლოდ იხდიდა დაფქვული პურის ნაწილს, სენიორის მონოპოლია ანუ ბანალიტეტი ვრცელდება რაიონზე, რომელიც შეუძლია გაირბინოს ფქვილით დატვირთულ ვირს, წისქვილამდე და უკან. ამ მონოპოლიის დარღვევა იმუქრებოდა არა მხოლოდ ჯარიმით, არამედ სხვაგან დაფქვული პურისა და ხშირად კონფისკაციითაც ვირისა, რომელმაც ასეთი ფქვილი წაიღო. ასეთსავე ბანალიტეტს, არა იშვიათად, წარმოადგენს უფლებაც პურის გამოცხობის, ლუდის გამოხდის, ღვინის გამოხურვის, ზეთისხილის გამოხდისა, და, ხშირად სამჭედლოც სენიორალური ხდება. მთელი ეს ბანალიტეტები გიმოსყიდვის გზით ეძლევათ გარკვეულ პირებს, და ხშირად იქცევიან მემკვიდრეობითი ფონდებათ.

არა მხოლოდ მე-IX საუკუნის დასაწყისში ტყე შეადგენდა ხშირად (როგორც saint-Germain dés-Prés-ის სააბატოს მამულში მთელი მიწის მოედანის ცხრა მეათედს, არამედ შემდეგშიაც კი მე-XI საუკუნეში, მთელი ჩრდილოეთი საფრანგეთი (არდენის ტყე), ილ-დე-ფრანსი, გერმანიის ვრცელი ოლქები (ფრანკონის ტყე, ტიურინგიის ტყე, სპესსარტი, ჰარცი და სხვ.) დაფარული იყვნენ მთელი-მარე ტყეებით, უზარმაზარი უდაბნოებით, რომელიც დიდი მანძილით აშორებდა ერთმანეთს ზოსახლეობათ და სავსე იყვნენ დათვებითა და მგლებით, ტყის ღორებითა და ველური კატებით. ამასთან დაკავშირებით ძლიერ იყო გავრცელებული მონადირეობა, ისევე როგორც მეთევზეობა მდინარეებში. ტყეებზე კოლექტიური საკუთრების პრინციპი ჯერ კიდევ ბატონობდა, თუმცა მემამულეები მათ უკვე უყურებდენ, როგორც თავის კერძო საკუთრებას, რომლის სარგებლობის უფლებას გარკვეული შეზღუდვით ისინი აძლევდენ გლეხებს, განსაკუთრებით აუცილებელი სათბობისა, და საალმშენებლო მასალის მოსაპოებლად და საბალახოთ და ამ მიწებზე, მაშასადამე, თანდათან ვრცელდება პრინციპი „mille terre sans seigneur". ტყე ისაზღვრებოდა მასში მყოფი ღორებით რომელთა ჯოგები აღწევდენ 200 და მეტ თავს. ტყეების უფართოესი სივრცეებისა გამო ძლიერ იყო განვითარებული მეცხვარეობაც; ფულდას მონასტერს, მაგალითად, ჰყავდა 5 ათასზე მეტი ცხვარი. ამ ეპოქაში ცხენებით მხოლოდ როგორც საჯდომ ცხოველით სარგებლობდენ, თითქმის მხოლოდ ომებში; სამხრეთში მას კონკურენციას უწევდა ჯორი. ამგვარ პირობებში ტყეების გაწმენდა, მათი გაჩეხვა წარმოადგენდა მეტად მნიშვნელოვან საქმეს; ამ საქმით განსაკუთრებით მონასტრები, არა მხოლოდ დიდათ იყვნენ გატაცებულნი, რომელნიც ამ მიზნით ტყეებს იძენდენ, არამედ აღძრავდენ სხვებსაც, სამართლიანად უწოდებდენ რა ტიალ ველთა დამუშავებას ღვთის სასურველ საქმეს. მიუხედავად ამისა მუდმივი თარეშები, რასაც თან სდევდა მეურნეობათა განადგურება აფერხებდენ ამ მუშაობას და იწვევდენ დამუშავებული მიწების კვლავ გატიალება-გაველრანებას. მხოლოდ მე-XI საუკუნის დასასრულს (1095 წ.) კლერმონის კრებამ დაადგინა საღვთო მშვიდობა მთელ სამეურნეო ჯოგზე (ხარებზე, ძროხებზე, ვირებზე, ცხენებზე, ცხვრებზე): omnibus diebus sintin pace. მან აკრძალა სამხედრო მოქმედებათა დროს ჯოგის განადგურება, მაშასადამე დაიწყო ბრძოლა წინააღმდეგ გლეხთა მიწების გაველრანებისა რასაც მეომარი ბარონების მოქმედება იწვევდა.

უმთავრესად სახლდებოდენ მდინარეთა ჭალებში, ხეობებში, გაურბოდენ მაღლობებსა და მდინარეთაგან უფრო დაშორებულ ადგილებს. განსაკუთრებით მთები წარმოადგენდენ მთვლემარე, გაუტეხელი ტყეებით დაფარულ და გაუვალ უდაბნოებს. ტყის გაკაფვის საქმეში ყველგან პიონერებად იყვნენ მონასტრები. ისინი ჩნდებიან ყველგან — ბოჰემიაში (ორი მონასტერი მე-VIII ს., ერთი მე-IX საუკუნეში), შვარცვალდში (სამი მონასტერი მე-XI ს.), ალპებში (სანკტ-გალენის მონასტერი, დაარსდა 610 წ., 13 მონასტერი მე-VIII ს. ფულდა და გერსფელდი) იურის მთებში, ვოგეზებში, ამის შედეგად სოფლები ვრცელდებიან — ასე, მაგალითად ტიურინგიაში — ტენტრებიდან მთიან ადგილებშიაც. ისინი ვრცელდებიან რაინის ზემო ხეობების გასწვრივ, უფრო სუსტად ბოჰემიაში; სხვა ადგილებში, როგორც მაგალითად მაინის ჭალებში ტყე მხოლოდ ნაპირებზე იჩეხება.

ტყეები, წყლები, საძოვრები გლეხთა საერთო სარგებლობაში იმყოფებოდენ — ყოველი ოჯახის წარმომადგენელ პირს ჰქონდა უფლება ესარგებლა მადანით, სათესი მიწები კი, პირიქით, წარმოადგენდენ ინდივიდუალურ საკუთრებას. თუმცა წინანდელი მარკის ნაშთები უკანასკნელთა მიმართაც დაცული იქნენ კიდევ დიდხანს, მიწების გადამიჯვნისა და იძულებითი თესლბრუნვის (ე. ი. მინდვრის სხვადასხვა მცენარეებით დათესვის წესში) სახით, რომლის შესრულება ევალებოდა არა მხოლოდ ყველა მიწის მუშა გლეხებს არამედ ფეოდალსაც. მართალია უკანასკნელი თავისი მოურავის (ნოქარის) სახით დიდი გავლენით სარგებლობდა თვით თესლბრუნვის მოწესრიგებაზე, მაგრამ რადგანაც დომენიალური მიწები გაფანტული იყვნენ ზოლებათ, გლეხთა მიწის ნაკვრებს შორის, ცხადია მას არც შეეძლო ეწარმოებინა სხვებისაგან განსხვავებული თესლბრუნვა. სთველის, ჭირნახულის მოწევის შემდეგ მთელი მინდორი, როგორც სანადელო ისე საბატონო, იქცეოდა თემის საერთო საძოვრად, და თუ რომ ვინმეს ნადელზე ანუ საბატონო მიწაზე ამ დროს დარჩენილი იყო ნათესი, ისინი განადგურებულ იქნებოდენ. ამიტომ იყო რომ მებატონე მიწათმფლობელს არ შეეძლო თავის დომენალურ მინდვრებზე ეწარმოებინა უფრო სრულქმნილი წესის მეურნეობა, ვინემ ისეთი, რომელიც შემოღებული იყო გლეხთა მიწებზე. მთელი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ სათიბი მინდვრები, ტყეებისა და ტიალი მინდვრების სათიბად გადაქცევისა გამო, რამდენიმედ უფრო გაფართოებულ იყო საბატონო მიწებზე, მაშინ როდესაც გლეხთა მიწებზე ის საესებით არ იყო. საერთოდ როგორც მ ე ი ც ე ნ ი, — ადარებს რა კარლოს დიდის ეპოქას ხლოდვიგის ეპოქასთან, — მიუთითებს, ჩვენ ვერ ვნახულობთ

რაიმე ადრე უცნობ ანუ ახლად მოშენებულ მემინდვრეობის კულტურას, ვერ ვნახულობთ რაიმე ახალ ანდა გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ბაღის მცენარეები და ყვავილები, რომელთა მოყვანას ურჩევს Capitulare de villis, თუმცა შემდეგში გავრცელდენ, განსაკუთრებით მონასტრების ბაღებში ბერების საქმიანობის წყალობით, მაგრამ სამეურნეო მნიშვნელობა მათ არ ჰქონიათ. ქვავის მოყვანაზე პირველად ნათქვამია საქსონიის კაპიტულიარიებში 797 წ., მაგრამ ის მნიშვნელოვნად გვიან ვრცელდება – ვეზერის ჭალებში ჯერ კიდევ 1060 წ. ის არ იყო ცნობილი. სვია ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ჩნდება მე-VIII ს. სხვა ადგილებში არა უადრეს მე-XI — XII საუკუნეებისა. ვენახი ზოგ ადგილებში მოყავდათ უკვე მე-VII—VIII საუკუნეებში—პფალცში რეგენსბურგის ოლქში, ბოდენის ტბაზე, მაგრამ რეინსა და დუნაიზე — მევენახეობის უმთავრეს რაიონებში — ჩვენ მას ვხვდებით მხოლოდ პირველ ნახევრიდან მე-XIII საუკუნისა, როდესაც მისი მოყვანა დაიწყეს ბაღებში. თესლბრუნვაშიაც ვერავითარ ცვლილებას ვერ ვხვდებით თუმცა მართალია, სამმინდვროვანი მეურნეობა მოხსენებულია უკვე მე-VII საუკუნეში. მაგრამ, რადგან მეურნეობის ამ სისტემაზე მითითებანი გვხვდებიან მხოლოდ გამონაკლისთა სახით, ძნელია დაშვება, რომ ის მნიშვნელოვნად იქნებოდა გავრცელებული მე-X — XI საუკუნეთა უადრეს. Capitulare de villis-ში, მაგალითად, ის სულ არ არის მოხსენებული. ამავე დროს მე-XI საუკუნეშიაც, იმ ხანების ადამიანთა თვალსაზრისითაც, მიწების რაციონალური დამუშავება იშვიათად გვხვდება. როგორც სჩანს ყველაზე უკეთ მუშავდებოდა საეკლესიო მამულები — მიწები; ამ მხრივ ქების ერთადერთი შემთხვევა, რომელიც წყაროებში გვხვდება, მიმართულია აბატისაკენ. ინგლისში, ჯერ კიდევ მე-XIII საუკ. სამმინდროვანი სისტემა არ წარმოადგენდა საყოველთაო მოვლენას. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი თვით კარლოს დიდის ვილებშიაც მეტად საცოდავ სანახაობას წარმოადგენდა. მთელ მამულზე მოდიოდა სულ თითო ცხენი; ურმები, — როგორც ეს აღნიშნულია Capitulare de villes-ში – ჰყავდათ მხოლოდ სამხედრო მიზნებისათვის. სახნისები და ფარცხები სრულებითაც არ იხსენიება. მუშაობდენ მხოლოდ ბარებითა და კირკებით, ამავე დროს მთელ მამულში იქნებოდა სამიოდ ათეული ნამგალი და შვიდიოდ ათეული თოხი, და სხვა არავითარი ინსტრუმენტი. ჯერ კიდევ მე-XI საუკუნეში გლეხების გვერდით, რომლებიც მიწას ხარვებისა ანუ ცხენების შემწეობით ამუშავებდენ, მოხსენებულია ადამიანები, რომლებიც მიწას ხელით სჩიჩქნიდენ. არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან ის გარემოება, რომ საბა-

ტონო მიწები უმეტეს შემთხვევაში შესდგებოდენ ტიალი მინდვრებისაგან, მაშინ როდესაც ის მიწები რომლებიც გლეხებს ეკავათ დამუშავებული იყვნენ. ასეთი იყო მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, სააბატო სენ-ჟერმენ დე პრეს ვრცელ სამფლობელოებში, სადაც საბატონო და სანადელო (გლეხების) მიწებს უჭირავთ თითქმის თანასწორი სივრცე (16 ათასი და 16,7 ათასი ჰექტარი); პირველიდან დამუშავებულია სულ ერთი მესამედი, მთელი დანარჩენი კი (11 ათასი ჰექტ.) დაფარულია ტყით, მაშინ როდესაც სანადელო მიწებზე სულ 244 ჰექტარი უჭირავს ტყეებსა და საძოვრებს. სწორეთ ასევე 14 ათასი მოდი პურიდან, რომელიც ბიბიოს ლანგობარდის სააბატოში მოჰყავდათ, 12 ათასი სანადელო მიწებზე მოდიოდა.

აშრიგად, არც თუ შეიძლება დავეთანხმოთ ინამა-სტერნეგს იმაში, რომ მსხვილ მამულებმა ითამაშეს უდიდესი ისტორიული, როლი,—ეს ძირითადი დებულებაა, რომელიც მას მოჰყავს თავის გერმანიის საშუალო საუკუნეთა ეკონომიურ ისტორიაში. მხედველობაში გვაქვს რა ის უმნიშვნელო წარმატებანი სასოფლო სამეურნეო კულტურის სფეროში, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღებულ ეპოქაში, ძნელია სწორად იქნას მიჩნეული, რომ მსხვილ მემამულეებმა არა მხოლოდ შესძლეს მიეცათ უფრო მდიდრული ხასიათი თავიანთ საკუთარი ცხოვრებისათვის, არამედ ნაციონალური წარმოებისათვის დაესახათ ახალი, უფრო ფართე გზები,—დააყენეს რა მიწისავე გვერდით იმ დრომდე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმოებისა ნაციონალური შრომა, როგორც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ფაქტორი. ინამა-სტერნეგის მტკიცებაზე, რომ ფეოდალის მამულში ყოველი შრომა ნახულობდა სათანადო გამოყენებას და წესიერი ორგანიზაციის წყალობით, შეიძლებოდა ყოველ სამუშაო ძალის საკვებით გამოყენება, ლამარეხტი სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ საბატონო ბეგარათა და გამოსაღებთა სპეციალიზაცია, განსაკუთრებით თავისუფლება გლეხთა მიერ ბეგარის ფორმის ამორჩევისა, გვხდებიან მხოლოდ გამონაკლისთა სახით. უკვე თვით ფაქტი კერძო მიწათმფლობელობის დაქუცმაცებისა და გაბნეულობისა (Streubesitz)—როგორც ლამპრენტი აღნიშნავს—შეუძლებელს ხდიდა სამამულო მეურნეობის სათანადო ორგანიზაციას: ერთსა და იმავე რაიონში ადგილი ჰქონდა ხშირად მემამულეთა მთელ დიუჟინ სამფლობელოებს; მხოლოდ ერთ მოზელზე შეიძლება ჩამოთვლილ იქნას 78 სხვადასხვა სამფლობელო.

ლამპრეხტის აზრი საკვებით დამტკიცებულ იქნა შემდგომი გამოკვლევებით გერმანიის სხვადასხვა ადგილებისა—ბავარიისა, შვა-

ბიისა, ვესტფალენისა, ელზასისა, შვეიცარიისა და აგრეთვე საფრანგეთისა და იტალიისა, რომლებიც წარმოებულ იქნა განსაკუთრებით სიგელ-გუჯრებზე უძრავ ქონებათა (traditiones) გადაცემისა მონასტრებზე—სანკტ-გალენისა, ფულდისა, ლორშისა, ფრეიზინგისა, ვეისენბურგისა, ვერდენისა, სენ-ჟერმენისა და სხ. დადგენილ იქნა, რომ ყველგან, როგორც სასულიერო ისე საერო მსხვილი მიწათსამფლობელოები დაფანტულ იყო წვრილ ზოლებათ. ეს შედეგია მიწების თანდათანი დატაცებისა ანუ შეძენისა: მონასტრების მიერ მილებული მიწები არა მხოლოდ მრავალრიცხოვან მფლობელებს ეკუთვნოდენ, არამედ, თავის მხრივ, წარმოადგენდენ, სამფლობელოთა მხოლოდ ნაწილებს, რომელიც ამ რაიონის ერთი მოცემული პირის ხელში იმყოფებოდა. გადაეცემოდა portio, გუფის ნაწილი—ნახევარი, მესამედი, მისი ერთი მერვედიც კი, მცირე ნაწილები, სახნავი მიწების, ტყეების, ზვარებისა. ვერდენის—მონასტერის სამფლობელოები ვესტფალიაში, სახელდობრ 450 მიწის ნაჭერი გაფანტული იყო 250 კვ. მილს სივრცეზე, უმეტეს შემთხვევაში თითო, ანუ ორ-ორი, უფრო იშვიათად 4-6 ერთ ადგილას, რის გამოც აქ საბატონო მიწები არ არსებობდენ და მონასტრის მთელ მეურნეობას ვესტფალიაში მე-XI ს. ჰქონდა ნატურალური ბეგარის ხასიათი. საბატო კორვეის ტრადიციებში გვხდებიან მეპატრონენი, რომელთაც მიწა აქვთ 10 სხვადასხვა ადგილას; ვეისენბურგის მონასტრის წყაროებში გვხდება პირები, რომელთა მიწები 14—35 ადგილში არიან დაფანტულნი.

მიუხედავათ ამისა, ერთს საკითხში ლ ა მ პ რ ე ხ ტ ი ეთანხმება ი ნ ა მ ა-ს ტ ე რ ნ ე გ ს, ისიც, ცნობდა საიმპერიო მამულთა დიდ მნიშვნელობას, რომელიც „წარმოადგენდა ერთიან ტერიტორიას 1—2 და ხშირად 5—6 კვადრატ. მილის სიფართოვისა“, და რომელზედაც იყო ცენტრალიზირებული მმართველობა და ცენტრალიზირებული მეურნეობა, რომელიც თავის პროდუქტებს თავს უყრიდა გარკვეულ პუნქტებში—პალატებში, სადაც დროიდან დრომდე თავის სამყოფელ ადგილს მართავდა იმპერატორი. პირიქით, დ ო პ შ ი უარყოფს საიმპერიო მამულთა ცენტრალიზაციასაც. მისი აზრით, უმრავლესი მათგანი, ისევე დაქუცმაცებული იყო მცირე ნაჭრებად, რომელიც მდებარეობდა სასულიერო თუ საერო სამფლობელოებს შუა და ხშირად შეადგენდა ერთ ან რამოდენიმე გუფას, მიწაზე მიმაგრებულ რამოდენიმე გლეხით. როგორც სასულიერო და საერო ხელისუფალთა სამფლობელოებში, ისევე აქაც,—ამბობს ის,—ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ცალკეულ და დაქუცმაცებულ, სიდიდით სხვადასხვაგვარ, დამოუკიდებელ ვილებს: fiscus აღნიშნავს სხვას არაფერს, თუ არა ვი-

ლას, რომელსაც განაგებს მოურავი (ნოქარი, iudex, maior), ამავე დროს ფისკთა უმრავლესობაში ჩაყენებული იყო მხოლოდ ერთი maior-ი. ასევე იწოდებიან მოურავები არისტოკრატიის მამულებშიაც (meiere, villici, bailiff, sculteti ანუ scultez, შემდეგში schultheiss ანუ Meir, maire), სადაც გამგებლობენ საბატონო პირადი ბეგარის შრომით დამუშავებულ დომენალურ მიწებს და მემამულესთან მიაქვთ გლეხთა ნადელებიდან მოტანილი ღალები, გამასაღებნი და ბეგარები.

ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს, რომელზედაც დაყრდნობილია მწერალთა უმრავლესობისაგან მოცემული კაროლინგების ეპოქის მიწათმფლობელობის დახასიათება, წარმოადგენს (Capitulare de villis vel curtis—რეგლამენტი ფისკალური მამულების მმართველობის შესახებ რომელიც შეეხება მე-IX საუკუნის დასაწყისს, და რომელიც დარჩენილა მხოლოდ ერთი ხელთნაწერის სახით და მიეწერება კარლოს დიდს. მაურერი, ინამა-სტერნეგი, ნიცში, გარეისი,—ყველანი ლაპარაკობენ ამ კაპიტულიარის საფუძველზე „ახალ ბრწყინვალე სისტემაზე", რომელიც კარლოს დიდმა შემოიღო მამულების მართველობაში: Capitulare de villis, „რომელიც კაროლინგების ეპოქის ყველა კანონებზე მაღლა სდგას, მოწმობს კარლოს დიდის სიბრძნეზე, მის შეხედულებათა სიფართოეზე, როგორც იმ მზრუნველობაზედაც, რომლითაც იკრება ის მეურნეობის ყოველ წვრილმანშიაც". ის მიუთითებს იმაზედაც, რომ მის განკარგულებებმა დიდი გავლენა დააჩნიეს მთელ სამამულო მიწათმფლობელობის ორგანიზაციაზედაც, როგორც სასულიერო ისე საერო მიმართულებითაც. ჯერ კიდევ ლამპრეხტი, ჰკიცხავს მაურერს და ეაიცს იმაში, რომ ისინი Capitulare de villis იხილავენ, როგორც magna charta-ს მსგავილი მიწათმფლობელობისა საერთოდ, მაშინ როდესაც ის შეეხება მხოლოდ ფისკის მამულებს. ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს მიდის დოპში, რომელიც საერთოდ უარყოფს ამ კაპიტულარიის მნიშვნელობას როგორც ანგარიშ-გასაწევ წყაროს იმ ეპოქის მიწათმფლობელობის შესასწავლად, რომელმაც, ბრინკმანის გამოთქმით „განაქორწინა" ის და, მიუთითა რომ არავითარ „ბრწყინვალე სურათს" ფისკილური მამულების მეურნეობისა ის არ გამოხატავს, ისევე როგორც მას არავითარი ახალი რამ მასში არ შეაქვს. ყველაზე ადრე ის მოწმობს, რომ კაპიტულარიის ავტორს, მიუთითებს რა ძველ წესებზე, ჰსურდა მხოლოდ წინანდელი წესრიგის აღდგენა; რომელიც დარღვევამდე მისულიყო. ამ კაპიტულარიის მხოლოდ ერთად ერთი ხელთნაწერის არსებობა, მაშინ როდესაც სხვა კაპიტულარიები მრავალ ეკზემპლიარ ხელთნაწერთა სახით დაცულან, მისი აზრით გვიჩვენებს,

რომ Capitulare de villis სავსებითაც რომ ქვია არ არის კაპიტულიარი,—რომელიც შედგენილია ფისკის მამულებისათვის,—არამედ მხოლოდ რეგლამენტია, რომელსაც ჰქონდა დროებითი მნიშვნელობა და დანიშნული იყო მხოლოდ ზოგი მამულებისათვის (ამ გარემოებაზე კიდევ უფრო ადრე მიუთითებდა Suérard-ი თავისCapitulare de villis-ის კომენტარიებში). მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: დოპშიამტკიცებს, რომ ამ რეგლამენტის ავტორია არა კარლოს დიდი (812 წ.) არამედ ლიუდოვიკო ღვთის მსახური (794 წ.); რომ რეგლამენტი შეეხება მხოლოდ იმ მამულებს, რომელთაც მეფისათვის უნდა მიეწოდებინათ პროდუქტები (და არა იმ მამულებს რომლებიც ბენეფიციების სახით იმყოფებოდენ სხვა პირთა ხელში); დასასრულ, რომ ეს კაპიტულიარი შეეხება ამ მამულებს მხოლოდ ერთ რაიონში—საფრანგეთის სამხრეთით, სახელდობრ აკვიტანიას, რომლის მეფედ იყო ლიუდოვიკო და სადაც აღმოჩენილ იქნა ბოროტმოქმედებანი მამულების მართვა-გამგეობის საქმეში. უკანასკნელ გარემოებას დოპშიამტკიცებს კაპიტულარიის ენისა (ეს ლათინური კი არარის, არამედ რომანული დიალექტია, რაც ახასიათებს სამხრეთ საფრანგეთს) და აგრეთვე იმ ყვავილებისა და მცენარეთა სახელების საფუძველზე, რომლებიც რეგლამენტის მოთხოვნის თანახმად უნდა მოყვანილ იქნენ ფისკის მამულებში, მაგრამ რომელნიც, როგორც ამას ცნობენ ბოტანიკოსები, არ არსებობდენ არც გერმანიაში, არც ჩრდილოეთ საფრანგეთში, და არც შეეძლოთ გახარება მათს ცივ კლიმატში (მაგ. ლავრი, როზმარინი, ფიკუსი, წაბლის და თუთის ხე და სხვ.); ლაპარაკია სამხრეთის ნაყოფებსა და ყვავილებზე, რომლებიც მათი სახელების მიხედვით... ხარობდენ ადგილებში, რომლებიც, მავრიტანული ქვეყნებისა და ხმელთაშუა ზღვის მეზობლად იყვნენ, ე. ი. სამხრეთ საფრანგეთი (აკვიტანია).

თავის-თავად დოპშის შესწორებანი შესახებ Capitulare de villis-ის ავტორისა, მისი შედგენის დროისა, ადგილისა, რომლისთვისაც ის დანიშნული იყო, რასაკვირველია ძლიერ მნიშვნელოვანია და იმსახურებენ ყურადღებითი განხილვას. მაგრამ ისტორიკოს-ეკონომისტისათვის, რომელიც სწავლობს მხოლოდ საერთო ხასიათს კაროლინგების ეპოქის მიწათმფლობელობისა, მის მიერ აღძრულ საკითხთა ასეთ თუ ისეთ გვარ გადაწყვეტას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა; თვით საკითხიც კი იმის შესახებ, ამყარებს თუ არა ეს რეგლამენტი რაიმე ახალს, ჩვენს წინ ძევს თუ არა კარლოს დიდის (ანუ ლიუდოვიკო ღვთისმსახურის), შემოქმედების პროდუქტი ან თუ ის სავსებითაც არ ააშკარავებს იმპერატორის სახელმწიფო სიბრძნეს,

ამ თვალსაზრისით არაა არსებითი გარემოება, ყოველ შემთხვევაში Capitulare de villis ჩვენ გვაძლევს ფისკალური მამულების მართველობისა და მასში მეურნეობის წარმოების სურათს მე-VIII—IX ს. ს. ის მით უფრო მნიშვნელოვანია მკვლევარისათვის, რომ კაპიტულარი ეხება ყველა კითხვებს, შესახებ მეურნეობისა; მეფეს ეგზავნება პური, თაფლის სანთელი, ღორი და ცხვარი, იხვი და ქათამი; მასში ლაპარაკია ცხენების, ფრინველების, თევზების მოშენებაზე, ხარებისა და ღორების გამოკვებაზე, მეფუტკრეობაზე, სატყეო და სასოფლო მეურნეობაზე, სახელოსნოთა მომარაგებაზე, სადაც მუშაობდენ ქალები და ა. შ. ჩვენ საქმე გვაქვს კარჩაკეტილ მეურნეობასთან—მამულთან რომელიც დანიშნულია მეფის სარჩოთ.

(ქ ულ ი შ ე რ ი—დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების ისტორია, ტ. I).

§ 6. ფეოდალური ეპოქის სოფელი. — ორგანიზატორის ფუნქციების გამოცალკევება. — ფეოდალური გაერთიანების პროცესი

I

იმ ეპოქაში, როდესაც ევროპის სხვადასხვა მხარეში ხდებოდა შინადარ მიწათმოქმედებაზე გადასვლა, გვარის დაშლა საკმაოდ შორს იყო წასული; წარმოებამ და მეურნეობამ საგვარეულო ჯგუფისა მნიშვნელოვანად დაუთმო ადგილი ცალკე ოჯახების ინდივიდუალურ მეურნეობას. საშუალო საუკუნოების მიწათმოქმედების ტექნიკა მხოლოდ მცირე შემთხვევაში შოითხოვდა თანასოფელლთაგან გაერთიანებულ მოქმედებას და ამ შემთხვევაშიაც, თვით წარმოება უმეტეს წილად რჩებოდა როგორც ინდივიდუალური. შრომის კოლექტიური ორგანიზაცია თავს გამოჰყოფდა ჯოგის მოწყესვის, ჭებისა და საგუბართა მოწყობასა, კიდევ ზოგ მოწყობილებათა აშენებისას, რომელზედაც მოხსენებული იქნება ქვემოთ. ხანდისხან ახალი მიწების მოწშენდის დროსაც. სამხედრო ორგანიზატორული ფუნქციების გამოყოფის დროიდან გარედან დაცვის ორგანიზაციაც კი თავს ინთავისუფლებს სოფლის წარმოებიდან; ხოლოთ მხედარის ცალკე პროფესიათ ვამოყოფიდან — პროცესი, რომელიც, ასე თუ ისე, შორს წავიდა ინდოსტანში, იაპონიაში და საშუალო საუკუნოების ევროპაში, — სოფლის მცხოვრები საბოლოოთ ვითარდება Bauer-ად დამშუშავებლად, პურის ზომყვანად, გლეხათ, რომლის

მთელი ცხოვრება თითქმის მთლიანად მიმდინარეობს მის ინდივიდუალურ მეურნეობაში და ამოიწურება, როგორც ამას გვიჩვენებს ზოგი ამ სახელწოდებათაგანი, მისი მიწის განსაზღვრული ნაჭრისადმი მიმართებით. ის მცირეოდენი საერთო ფუნქციები, რომელნიც კიდევ სრულდებიან საერთოდ თანასოფლელთაგან, განსაზღვრავენ მხოლოდ მეტად თუ ნაკლებ ზერელე მეზობლურ კავშირს მათს შორის და არ ჰქმნიან იმ ღრმა ეკონომიურ გადაჯაჭულობას, იმ არადიფერენცირებულ მიჯრილ არსებობას, რომელითაც ხასიათდებოდა ძველი გვარი. მათ თვითონ თავის თავად არ ძალუძთ შეაჩერონ სასოფლო თემის შემდგომი დაშლა, და მისი ეკონომიური ორგანიზაციიდან უბრალო ადმინისტრატიულ ორგანიზაციათ გადაქცევა. ეს საერთო ტენდენციაა ყველა თემების განვითარებაში, და სრულებით არ წარმოადგენს, სპეციფიურ თავისებურებას მათში იმ თემებისა, რომელთაც მიეწერება წმინდა გარეგანი ფისკალური საშუალება წარმოშობისა.

მიუხედავად სასოფლო თემების არსებობისა და ზოგ შემთხვევებში მის დიდ სიცოცხლის უნარიანობისა გლეხური ოჯახის მეურნეობა უკვე ფეოდალურ პერიოდში იწყებს ინდივიდუალურ მეურნეობათ გადაქცევას. მოხმარების ყველა უმნიშვნელოვანესი საგნების წარმოება ხდება მის საკუთარ მეურნეობაში და ის სულ ვითარდება იმ სახით, რათა ყოველივე აუცილებელი ყოველ ინდივიდუალურ მეურნეობაში კეთდებოდეს. უკანასკნელი ხდება თვით კმაყოფაზე მყოფ ქვეყნად. გლეხი თვითონ აკეთებს კავსა და ურემს. ყოველ შემთხვევაში მის ხის ნაწილებს, თვითონ აშენებს სახლს, ხურავს მას სახურავით და აკეთებს ბუხარს, ჩვეულებრივად თვითონვე გამოქნის ხოლმე ტყავსაც და ჰკერავს ფეხსაცმელს. მის ინდივიდუალურ მეურნეობაში გამოიხდება ლუდი და თაფლი. დამუშავების ყველა სტადიებს უკანასკნელამდე თან ჩართვით გადიან სელი და ქერელი. უბრალოთ როდია, რომ არა მარტო ჩვენში, არამედ გერმანიაშიაც და საფრანგეთშიც ძველებური ტიპის გლეხის ქალზე წარმოდგენა მჭიდროთ უკავშირდება (მოგვაგონებს) ტიბეირსა ანუ თითისტარს. ყოველ მოწესრიგებულ გლეხის ოჯახს უნდა მოეგვარებინა თავისი საქსოვი ბაზა და ეწარმოებინა ყოველი ქსოვილი, რაც აუცილებელი იყო ოჯახის წევრებისათვის. შეკერვა სახლში ხდებოდა. სულ ახლო წარსულში გლეხ ქალისათვის სირცხვილად ითვლებოდა თუ მას არ შეეძლო მთელი ოჯახისათვის საჭირო ტანისამოსის შეკერვა. შეძლებისდაგვარად საკუთარი ძალებით სწარმოებს აგრეთვე ქსოვილთა და ნართების შეღებვაც კი.

ტიპიური გლეხური შეურნეობა ემბრიონი ხდება წარმოების ყველა დარგებისა, რომელთა წარმოდგენაც კი შეიძლება. გლეხი ვითარდება უნივერსალობის იმ საოცრებად, რომლითაც ის რჩება თვით კაპიტალიზმის შემოჭრამდე და რომელიც ჩვენმა ხალხსნებმა და მათ ნათესავურ დასავლეთურ მიმართულებებმა აიყვანეს კაცობრიობის სრულ-ყოფის იდეალამდე.

ტექნიკის პრიმიტიულობა და მოთხოვნილებათა სრული განუვითარებლობა იყენენ აუცილებელ წინამძღვრებად გლეხური მეურნეობის ასეთი ორგანიზაციისა. მხოლოდ ექსტენსიურ მიწათმოქმედებას, რომელიც განაგებდა მიწის ვრცელ სივრცეებს, შეეძლო შერიგებოდა გლეხის მიერ მოწყობილ კავსა და ფარცხს, რომელიც თითქმის მთლიანად ხისაგან იყო გაკეთებული. მხოლოდ ადამიანს, რომლის თვალში მთელ ცხოვრებასა და მთელ შოღვაწეობას აქვს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა: კვება, ყველაზე ელემენტარული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, საზრდოობისა, ტანისამოსისა და ბინისა, შეუძლია ფანტავდეს სამუშაო ძალას ისე, როგორც შაპ ფლანგავს გლეხი, რომლის მთელი ცხოვრება უშუალოდ დაყვანილია ყველაზე აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებაზე.

ძლიერ არა მრავალ განსაკუთრებულ შემთხვევებში გლეხს არ ძალუძს დაკმაყოფილდეს თავისი საკუთარი და ოჯახის მუშაობით, გააკეთოს აუცილებელი საგნები უშუალოდ „საკუთარი ხელის შრომით". „წესიერი" გლეხი, ე. ი. ფეოდალურ ეპოქის ტიპიური წარმომადგენელი თვით მჭედლის გასაკეთებელ სამუშაოც ცდილობს შეასრულოს თავის საკუთარ სახლში. გერმანიის ზოგიერთ ოლქებში, მაგ., რუდის მთებში, ტრირის ოლქში და რიუგენში ეს გამომდგარ-კარჩაკეტილი მეურნეობის ტრადიციები ჯერ კიდევ გასულ საუკუნის შუა წლებშიაც გხვდებოდენ.

მიუხედავად ამისა მჭედლების ცალკე პროფესიათა ის გაფოყოფა, რომელიც წინამსრბოლ პერიოდში დაიწყო, გრძელდება ფეოდალურ სოფელშიაც, მაგრამ მჭედლის მოვლინებაც ცოტათი სცელის თვითკმაყოფაზე მყოფი მეურნეობის საერთო ხასიათს. თვით მჭედელი, განსაკუთრებით პირველ ხანებში—ისეთივე გლეხია, როგორც დანარჩენები, მხოლოდ სახნავის რაოდენობა შედარებით მას ნაკლები აქვს. მჭედელი, მსგავსად თანამედროვე რუსი მწვემსისა როგორღაც მთელი სოფლის სამსახურშია; პროდუქტთა ყოველ წლიურად განსაზღვრული რაოდენობისათვის — ფეტვი, ბოსტნეული, შეწბა და ასე შემდეგ, რომელიც ნაწილდება თემში შემავალ ოჯახებს შორის ის ღებულობს ვალდებულებას შეაკეთოს მათთვის ყველა იარაღები,

ხოლო სხვადასხვა ექსტრაორდინალური სამუშაოები შეასრულოს ცალკე დამოუკიდებელ ჯილდოსათვის, რომელიც აგრეთვე ეძლევა ნატურით. გლეხურ მეურნეობათა სასამსახუროდ მოწყობილი მჭედლის ასეთი ორგანიზაცია უახლოეს დრომდეც დაცული იქმნა, რუსეთისა და გერმანიის მივარდნილ სოფლებში; მხოლოდ ნატურის სახით გასამრჯელოს გაცემას შეუერთდა ფულადი გასამრჯელოც.

მეწისქვილეს მდგომარეობა მცირეოდენ განსხვავდებოდა მჭედლის მდგომარეობიდან. წისქვილში მუშაობას ის ანდომებს მისი სამუშაო დროის მხოლოდ ერთ ნაწილს. ის, ანუ უკიდურეს შემთხვევაში მისი ოჯახი, გლეხურ მეურნეობას მისდევს ე. ი. ამუშავებს მიწას ისევე, როგორც დანარჩენი თანასოფლელნი. თუ მეწისქვილე მოსულია მაშინ მისი ხვედრი მიწა, რომელსაც თემიდან ღებულობს, შეადგენს სამინდო გასამრჯელოს ნაწილს. ჩვეულებრივ და წმთავარ ფორმად დაჯილდოვებისა თანამედროვე სოფელშიაც კი რჩება ფქვილის ანუ მარცვლის განსაზღვრული ნაწილი (მინდი). ხანდისხან მიმართავენ დაჯილდოვების საშუალებებს, რომელიც სავსებით უცხოა ზუსტ ზომასა და წონასთან, — მოვლენა, რომელიც ახასიათებს ძველ სოფელს, რომელშიაც მთელი წარმოება უშუალოდ მიმართულია საკუთარ მოხმარებისაკენ და პური არ ქცეულა საქონლად, რომლის საცვლელი ღირებულება უნდა იყოს სავსებით განსაზღვრული სიდიდისა.

გლეხური მეურნეობა ასეთი მიმართულებით განვითარდა არა მხოლოდ საშუალო საუკუნოების ევროპაში, არამედ ძველ საბერძნეთსა და რომშიც, ეგვიპტეში, მესოპატამიაში, ჩინეთში, იაპონიაში. — საერთოდ ყველა შემთხვევებში სადაც, როდესაც, მიწათმოქმედი ინარჩუნებდა თუნდაც რამოდენიმედ მაინც წარმოებითი დამოკიდებულებას. მეურნეული დამოკიდებულება, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მას უხდებოდა მიეცა თავისი პროდუქტების ანუ შრომის ნაწილი ფეოდალებისა ანუ სახელმწიფოსათვის, არაფრით არ არღვევდა მის საკუთარ წარმოების წმინდა ინდივიდუალისტურ ხასიათს. თავისი არსებობის მხოლოდ ზოგიერთ ნაწილებში ის შედიოდა სხვა მეურნეობასა და წარმოებაში, დანარჩენში კი იყო ძველებურად გლეხურ ნატურალურ-მეურნეულ, ინდივიდუალურ მწარმოებლად.

რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჩვენამდე მოღწეულ ცნობების თანახმად, საფუძვლიანი გადასვლა მიწათმოქმედებაზე, სხვადასხვა ქვეყნებში ხდებოდა, ეპოქაში, როდესაც ძველი შინაგანი წყობით მთლიანი გვარი უკვე მნიშვნელოვნად დაიშალა. ცალკე შემ-

თხვევები, რომლებშიაც ჰგულისხმობენ თემურ-გვაროვნულ მიწათ-მოქმედურ წარმოებას, პროდუქტთა საგვარეულო ჯგუფის წევრთა შორის განაწილებით, არ შეიძლება უდაოდ მიჩნეულ იქნან.

მით უმეტეს მიწათმომქმედთა პირველდაწყებითი გასახლების საშუალებანი — გერმანული მარკა, რუსულ „ვოლოსტი"-ს თემი — განვითარდენ პატრიარქალურ საგვარეულო თემებიდან. ინდივიდუალური საკუთრება მიწაზე ნელ-ნელა წარმოიშობოდა მხოლოდ ამ თემთა განვითარებისა და შემდგომი დაშლის პროცესში. მიწათმოქმედების და მეჯოგეობის ექსტენსიურ ტეხნიკას მივყევართ იქამდე, რომ შედარებით მყარი მიწათმფლობელობანი სარგებლობისა, — მიწათმომქმედ ოჯახში, — მუშავდება მხოლოდ სახნავი მიწისადმი, მაგრამ ეს მიწაც როდესაც სთველი თავდებოდა შედიოდა საერთო სარგებლობაში: მინდვრები, საბალახოები, ტყეები, ტიალი ადგილები ანუ სოფლის საერთო სარგებლიანობაში იმყოფებოდენ.

ფეოდალურ მიწათმოქმედებამ არ მიგვიყვანა რა მიწის ინდივიდუალურ საკუთრების შექმნამდე, მაინც ნიადაგი მოამზადა მხოლოდ დროებით და საკმაოდ არა ღრმა კავშირისათვის მეზობლური გლეხურ ოჯახთა, ერთეულ მეურნეობათა შორის, და ამიტომ არ შეეძლო შეეჩერებინა გვარის შემდგომი დაშლა და სასოფლო თემის ეკონომიურიდან ადმინისტრატიულ ორგანიზაციად გარდაქმნა. მაგრამ ამგვარი ორგანიზაცია წარმომშობ სახელმწიფომ ყოველშემთხვევაში ნახა არსებულად და შეაკავშირა რა მისი წევრები ურთიერთ თავდებობით, მას (სახელმწიფოს) არ შეუქმნია თემი არარისაგან,—როგორც ამტკიცებს თემების წმინდა ადმინისტრატიული წარმოშობის თეორია,—არამედ უბრალოდ გააფართოვა და გამოსცვალა ფუნქციები იმ თემისა, რომელიც იყო პროდუქტი ძველი გვარის დაშლისა.

პატრიარქალურ გვარმა თავის დაცემის პროცესში საწყისი მისცა პატრიარქალურ საოჯახო თემებს, რომელიც წარმოადგენს ფეოდალური ეპოქის ძირითად ეკონომიურ ჩანასახს. დაკავშირებულია რა სასოფლო თემის სხვა წევრებთან უპირატესათ მეზობლური მიმართებებით ყოველი გლეხური ოჯახი წარმოადგენს თვითკმაყოფაზე მყოფ მეურნეობას. მისი მთავარი მისწრაფებაა დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნილებანი უშუალოდ საკუთარი წარმოებით. ის არა მრავალრიცხოვანი „ხელოსნები", რომლებიც ფეოდალურ სოფელში ჩნდებიან, კი არ არყევენ არაბედ უფრო ანმტკიცებენ გლეხური ოჯახის საერთო ნატურალურ-მეურნეულ წყობას და თითონაც ძლიერ ცოტათი განსხვავდებიან გლეხთა მასებიდან.

ამგვარად სოფლის ეკონომიური წყობა იძლევა ახსნას იმ ლოკალური და პროვინციალური შეზღუდულობის და განსაკუთრებულობისა რომლითაც ხასიათდება ფეოდალური პერიოდი და იმ ინდივიდუალიზმისა რაიც ხდება გლესის ტპიურ ნიშნეულობად.

II

ორგანიზატორული ფუნქციების ის გამოყოფა, რომლითაც ისაზღვრებოდა საგვარეულო-პატრიარქალური თემის წყობა გრძელდებოდა მიწათმოქმედების მიმდევარ თემშიაც. ზოგიერთ შემთხვევევაში ეს პროცესი, რომელიც შედარებით გვიანდელ დროში ხდებოდა გამჭვირველობამდე აშკარა გარდაშავლობას წარმოადგენდა — საკუთრად საგვარეულო წყობიდან — ფეოდალურ სისტემაზე. ასე მაგ., როდესაც დაახლოვებით ათასი წლის წინათ ირლანდიის კლანები გაერთიანებას იწყებდენ, მათი მეთაურები, — რომელნიც თავდაპირველად ამორჩევითი, ხოლო შემდეგ მეჭვიდრეობითნი იყვნენ, — იქცევიან, ყოველი თავისი პატრიარქალური ჯგუფის, სენიორებად. დროთა ვითარებაში გამოეყოფა ხუთი საოლქო კავშირი, რომელთა რიცხვი შემდეგ ოთხამდე მცირდება. ყოველი ასეთი „სამეფოს" სათავეში, თანრიგობით, ექცევა ხან ერთი და ხან მეორე კლანის მეთაური. თავდაპირველად მეფე მოქმედობს კრების კონტროლისა და თანხმობის მიხედვით; ეს კრება კი სდგება გაერთიანებული კლანების მეთაურებისაგან. შემდეგში მეფე იწყებს ბრძოლას თავის მოქმედებათა კონტროლიდან გასანთავისუფლებლად. ამრიგად ირლანდიაში შეიძლებოდა თვალის გადევნება იმ პროცესის თანმიმდევარი საფეხურებისათვის, რომელიც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ. სწორედ ასევე ზიდიოდა ფეოდალიზაციის პროცესი ინდოსტანში. ასეთია მისი პირველდაწყებითი საფეხურები სხვა ქვეყნებშიაც, რამდენადაც შესაძლებლობა გვეძლევა მათი წარმოდგენისა — ნაწყვეტ-ნაწყვეტად შენახული დოკუმენტებით.

რაკი დაიწყო მიწათმომქმედი თემების ორგანიზატორის ხელისუფლებისადმი დაქვეშდებარების პროცესი, — ის გამალებით წინ მიდის. თემი აღებული მთლიანად, სულ უფრო ჰკარგავს ქმედითუნარიანობას. შინაური მოღვაწეობის სფეროში ყოველი შრომითი ოპერაციები, რომელიც ცალკე ოჯახის ღონეს აღემატება უკვე ორგანიზატორის ინიციატივით სრულდება. ყველა მსხვილი მოწყობილობანი, რომელიც აუცილებელია მთელი თემისათვის და რომელიც მისივ კოლექტიურ შრომით კეთდება, თანდათან ვითარდებიან, როგორც ორგანიზატორის საკუთრებანი, იქცევიან მისი საკუთარ მე-

ურნეობის ელემენტებად; რომელიც სულ უფრო ფართოვდება. ასეთია მაგ., წისქვილები, პურის საცხობი ფურნეები, სელის საწეწი მოწყობილობანი, ყურძნის საწნეხი პრესები (საწნეხელი) და ა. შ.

ჯილდო, რომელსაც ორგანიზატორი თემისაგან ასეთი მოწყობილობათა სარგებლობისათვის ღებულობს, კიდევ უფრო ანცალკევებს მის მეურნეობას გლეხთა მეურნეობის წყებიდან. ორგანიზატორის მეურნეობა იქცევა იმ პუნქტად, რომელშიაც თავს იყრის თემის მთელი ზედმეტი პროდუქტი; და მისი ის ნაწილიც, რომელიც ძველ, არადიფერენცირებულ გვარში წარმოების გაფართოებას ემსახურებოდა; და ის ნაწილიც, რომელიც ინახებოდა როგორც მარაგი მეურნეობის მოულოდნელი შერყევის დროისათვის: მოუსავლიანობის, ხანძრის და ა. შ. გზით. ორგანიზატორი, როგორც მთელი საზოგადოებრივი ფუნქციების ერთადერთი მატარებელი, როგორც განხორციელება ინდივიდუალურ მიწათმომქმედთა შორის აუცილებელი კავშირისა, ნელ-ნელა საკუთარ ხელში თავს უყრის მთელ მეურნეულ შარაგს. ახალი მეურნეობის დაარსების დროს გლეხი მისგან ღებულობს კავს, ფარცხს, ნახირს, ერთის სიტყვით მთელ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, სათესლე მარცვლეულისა და პურსაც უახლოეს სთველამდე. მოუსავლიანობის დროს შედარებით სუსტი ოჯახები სანოვაგეს ღებულობენ ორგანიზატორის მარაგებიდან. ყოველივე ეს თემის ეკონომიურ დაქვემდებარებას ორგანიზატორისადმი სულ უფრო ანმტკიცებს,—შესაძლებლობას აძლევს ორგანიზატორს სულ უფრო გააფართოვოს თავისი ხელისუფლება ახალ გლეხებზე, ახალ თემებზე; და ნაბიჯ-ნაბიჯ მას აქცევს სენიორად, მის ხელისუფლების ქვეშ მოქცეული თემისა და მთელ გარშემო მდებარე სოფლების ბატონად.

ისეთ ოლქებში, სადაც ძლიერი მდინარეების მოწესრიგება შეიქმნა წინასწარ პირობად მჭიდროთ დასახლებული მიწათმომქმედი მოსახლეობის არსებობისა, ორგანიზატორული შრომა სწრაფად განცალკევდა აღმასრულებლისაგან და განვითარდა სასტიკ იერარქიულ სისტემად. მაგრამ, როგორც სჩანს ეს სასტიკად გამომდგარი ავტორიტარული სისტემა, დამოუკიდებლად როდი განვითარებულა — მიწათმომქმედ გვართა განვითარების პროცესში: ის, ყოველშემთხვევაში მისი ძირითადი საწყისები, მოტანილია დამპყრობელ-მოხეტიალე ხალხების მიერ. დაინახეს რა ნაწილობრივად, მეტად თუ ნაკლებად ადგილობრივი მასშტაბით, მეზობელ გვარების ურთიერთ შეთანხმების ნიადაგზე, მოწესრიგებული მდინარეები, დამპყრობელ-მოხეტიალეებმა აამუშაევეს ძალდატანების თავიანთი ცენტრალიზი-

რებული აპარატი იმისათვის, რათა მდინარეთა მოწესრიგებისათვის მიეცათ ფართე გეგზაშეზომილი მტკიცე ხასიათი. და ამ მიწათმოქმედების მიმდევართათვის ეკონომიურად აუცილებელი მოწესრიგებით ისინი მტკიცედ ამყარებდენ თავიანთ ბატონობას მიწათმომქმედ ტომებზე, რომელიც მდინარეთა მიდამოებში მოსახლეობდენ; ასე აღმოცენდენ საწარმოო მიმართებანი ჩინეთში, მესოპოტამიაში და ეგვიპტეში.

იმავე მიმართულებით მიდიოდა სამხედრო ორგანიზატორული ფუნქციების გაშოცალკევებაც. იმისდა მიხედვით, როგორაც თემებს შორის შეტაკებანი და ურთიერთობანი ჩვეულებრივ მოვლენებად ხდებიან, მეთაურის წოდება სწყვეტს დროებითობის ხასიათს. მას ეკისრებოდა მუდმივი ხელმძღვანელობა იმ მიმართებებისა, რომელნიც შერყეობდენ ომისა და გაცვლას შორის. თავი მოუყარა რა ამ ფუნქციებს ხელში, სამხედრო ორგანიზატორმა დაასრულა გლეხის განცალკევება გარეშე ქვეყნისაგან. გლეხურ მეურნეობას არ შეუძლია იარსებოს, მაგ., რკინის ერთგვარი რაოდენობის გარეშე, რომელიც მოცემულ ადგილას არ არის; მაგრამ ამ რკინის შოპოება — გაცვლით იქნება ის, თუ ძარცვით — ეხება მხოლოდ მეთაურს, წინამძღოლს. მისსავე განსაკუთებულ საქმედ იქცევა გარედან თავდაცვის ორგანიზაციაც. გლეხი ვალდებულია ან თვითონვე შეიარაღდეს, მისი ბრძანებით, როგორც ეს იყო კლასიკურ ქვეყანაში, ანდა უმთავრესად წინამძღოლსა და მის რაზმს მიაწოდოს არსებობისა და ტრანსპორტის საშუალებანი, როგორც ეს იყო ეგვიპტესა, მექსიკასა, ინდოსტანსა, იაპონიასა და განსაკუთრებით საშუალო საუკუნოების ევროპაში.

მფარველობისა და დაცვის ფუნქცია ფეოდალურ მსოფლიოში ისეთ როლს თამაშობდა, რომელზედაც ჩვენს დროში წარმოდგენაც ძნელად შეიძლება. „მთელი“ მსოფლიოს საზღვრები, რომელიც მას „სხვათა“, „მტრების“ მსოფლიოსაგან ჰყოფდა, ხანდისხან უახლოეს არემარეზე გადიოდა. თანამედროვე სახელმწიფოებში ნამდვილი ციხე-სიმაგრეები გადატანილია შორეულ პერიფერიებში; ფეოდალურ პერიოდში ტერიტორიები მთლიანად დაფარული, იყვნენ ციხე-დარბაზებით, ბურგებით, კედლებითა და სიმაგრეებით, რომლებიც ერთ და იმავე დროს იყო სიმტკიცე და დასაყრდენიც პატარა ოლქების ეკონომიური და პოლიტიკური ავტონომიისათვის. თავდაპირველად ამ ოლქების გაერთიანება, რომელსაც თავის-თავად თან სდევდა შათ შორის ბრძოლა, სრულებითაც ვერ სპობდა შეუწყვეტელ ომებს, მუდმივ თარეშებსა და ძარცვებს, რომლებიც მთელი

თავისი სიმძიმით თავზე აწვებოდა გლეხთა მშვიდობიან მოსახლეობას. მოსკოვის სახელმწიფოში გვიანდელ პერიოდშიაც კი მე-XVI და ნაწილობრივ მე-XVII საუკუნეში, მსხვილ ბოიარებს დაუსჯელად შეეძლოთ თავისი თარეშებისა და ძარცვათა მოწყობა იმისთვის, რათა მათთვის საზღვარი დაედვათ, საჭირო იყო ისეთი ხარისხის სამხედრო და ადმინისტრატიული ცენტრალიზაცია, რომელიც შორს აღემატება ეკონომიურად დეცენტრალიზირებული ფეოდალური ეპოქის შესაძლებლობას.

სამხედრო-ორგანიზატორული ფუნქციების გამოცალკევებით, მეომართა ცალკე პროფესიად გამოყოფით, მშვიდობიან მოსახლეობას არ დარჩენია სხვა გამოსავალი, თუ არა თავის ოლქის წინამძღოლის შფარველობის ქვეშ შესვლა. გლეხთა დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი ხდება, როგორც თავის მიწას, ისე მთელ თავის ქონებას და თვით სიცოცხლეს ის იცავს მხოლოდ სამხედრო ორგანიზატორის მოღვაწეობის წყალობით. რასაკვირველია ყოველივე ამისათვის მას უხდება. სხვადასხვაგვარ ვალდებულებათა გადახდა: თავის შრომის ანუ პროდუქტების ნაწილის, ან და ერთიცა და მეორეც ერთდროულად. ეს ახალი საფუძველია, — თუ რატომაა, რომ ორგანიზატორის განკარგულებაში გადადის გარშემო მდებარე — ოლქის ზედმეტი შრომა და ზედმეტი პროდუქტი. წინამძღოლი და მისი რაზმი, — რომელიც წინად მხოლოდ დროებით, სანამ ომი გრძელდებოდა, გამოიყოფოდა თემისაგან და მის მშვიდობიან საწარმოო მოღვაწეობიდან, — ახლა მუდმივ, დამოუკიდებელ საარსებო წყაროს ღებულობს, მათი შენახვა თემისათვის გარედან დაწესებულ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა დ იქცევა: მეომართა პროფესიის განვითარება სრულდება მეომართა წ ო დ ე ბ ი ს გამოყოფით. ამასთანავე ერთად ქვემოდ გამოეყოფა გ ლ ე ხ თ ა წ ო დ ე ბ ა: მიწათმომქმედთა ფართე პროფესიონალური ჯგუფი, რომელთა მუდმივი ვალდებულებანი სამშვიდობო თუ სამხედრო ორგანიზატორთა პრივილეგიების მეორე მხარეს წარმოადგენს.

თვით თავისი ფუნქციათა ხასიათისა გამო, სამხედრო ორგანიზატორი დროთა ვითარებაში, ავიწროებს მშვიდობიან-წარმოებითი მოღვაწეობის ორგანიზატორს და მას უკანა რიგში დენის, უკანასკნელი ან შეიცვლება ბატონის რწმუნებულით: მოხელით, მოურავით, შეიერით, villicus-ით, რომელიც ხელმძღვანელობს სენიორის საკუთარ მეურნეობას და სასოფლო თემსაც, მთელ რიგ თანამდებობის პირთა საშუალებით: ათასის თავების, ასის თავების და ა. შ.; ოგივე აწარმოებს ყოველივე ბეგარათა გამოღებინების საქმეს. ანდა სამშვი-

დობო ორგანიზატორი იქცევა სამხედრო ორგანიზატორის ვასალად, ხოლო მეორეხარისხოვან სამშვიდობო ორგანიზატორებს კი თავის ვასალებათ აქცევს. განვითარების მეორე წესი განსაკუთრებული რელიეფობით გამოდის ზოგიერთ შემთხვევაში, — როდესაც ფეოდალურ მიმართებათა განმტკიცება დაკავშირებული იყო გარედან დაპყრობასთან რომელშიაც მოსულ ორგანიზატორთა ადგილობრივ ორგანიზატორებთან კავშირი ხორციელდებოდა *).

ამასთანავე ერთად ზედმეტი შრომა და მის მიერ წარმოებული ზედმეტი პროდუქტი უფრო თვალსაჩინო გამოხატულებას ღებულობდა. მთელი ხარკი, რომელსაც დამარცხებული გვარი იხდიდა, — სპილენძის, სელის, ქუერქის, ჯოგის და ა. შ. განსაზღვრული რაოდენობა, — წარმოადგენდა გამონაკლებს მისი წარმოების წლიური პროდუქტებიდან. თუ, მაგალითად, ის შეადგენდა მთელი პროდუქტების $^1/_3$-ს, მაშინ დამარცხებული გვარის მთელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად რჩება $^2/_3$ პროდუქტებისა, რომელიც მას წლის განმავლობაში უწარმოებია. შროშის მთელი ჯამი, რომელიც წლის განმავლობაში იხარჯება, მთელი სამუშაო წელიწადი იყოფა ორ ნაწილად.

ერთი მათგანის განმავლობაში, რომელიც 8 სამუშაო თვეს შეადგენს, გვარი როგორლაც აწარმოებს იმ საარსებო საშუალებათ, რომელიც აუცილებელია ახალ დაპყრობის წყალობით გამოცვლილ პირობებში. ის შრომა, რომელიც ამ შემთხვევაში იხარჯება, წარმოადგენს აუცილებელ შრომას, ე. ი. შრომას, რომელიც აუცილებლად საჭიროა გვარის არსებობის შესანარჩუნებლად ახალ დაწეულ დონეზე.

წლის დანარჩენი ნაწილის განმავლობაში, რომელიც 4 საწუშაო თვეს შეადგენს, დამარცხებული გვარი აწარმოებს პროდუქტებს, რომელიც შეადგენს ხარკს გამარჯვებულისათვის. ამ დროს დახარჯული შრომა წარმოადგენს აუცილებელი შრომის დამატებას, ის ემსახურება არა დამარცხებული გვარის, არამედ გამარჯვებული გვარის მოთხოვნილებებს; ეს პროდუქტი მოიხმარება არა დამარცხებულის, არამედ გამარჯვებულის მიერ. დახარჯვა შრომითი ენერგიისა იმ ზომაზე ზევით, რომელიც აუცილებელია თვით დამარცხებული გვარის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, წარმოადგენს ზედმეტ შრომას. დრო, რომლის განმავლობაშიაც სრულდება ეს და-

---

*) ასეთია, მაგალითად, ინდოსტანის პირვანდელ დრავიდული მოსახლეობის დამორჩილება არიელთაგან.

მატერიალური შრომის დახარჯვა, იწოდება ზედმეტ დროთ. პროდუქტი, რომელსაც აწარმოებს ზედმეტი შრომა, იწოდება ზედმეტ პროდუქტად.

მიმართება ზედმეტი პროდუქტისა, იმ პროდუქტისადმი, რომელიც რჩება დამარცხებულ გვარს და მიდის მის მიერ დახარჯული შრომითი ენერგიის აღსადგენად, წარმოდგენილია ზეზოდ სამუშაო წლის ორი ნაწილის სახით: 4 თვე 8 თვისადმი. შაგრამ მისი წარმოდგენა შეიძლება ერთი სამუშაო დღის ორი ნაწილის სახითაც. თუ რომ ერთი მესამედი მთელი წარმოებული პროდუქტისა, წარმოადგენს ზედმეტ პროდუქტს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ დამარცხებული გვარი $^1/_3$ თავის სამუშაო დროისა ხარჯავს არა თავისი თავის, არამედ გამარჯვებულის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაშასადამე თუ გვარის სამუშაო დღე საშუალოდ 12 საათს შეადგენს, მაშინ მათგან 8 საათი წარმოადგენს, აუცილებელ დროს, ხოლო დანარჩენი 4 საათი — ზედმეტ დროს.

ამრიგად წარმოიშობა შესაძლებლობა ზედმეტი შრომისა და მისი პროდუქტების იმათ შიერ მისაკუთრებისა, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შრომითი მოღვაწეობაში, — ექსპლოატაციის შესაძლებლობა.

ექსპლოატაციის ასეთივე მიმართებანი, რომლებიც წარმოიშვნენ ერთი გვარის მეორისაგან დაშორჩილების გზით, შესაძლებელია ნელ-ნელა განვითარდეს ცალკე გვარებს შიგნითაც. მაშინ გვარის წევრთა ნაწილი თავისუფლდება წარმოებითი შრომისაგან, ხოლო საარსებო წყაროებს მას აწვდის გვარის დანარჩენ წევრთა შრომა. ამათი სამუშაო დრო იყოფა აუცილებელ დროთ, — ის დრო რომლის განმავლობაშიაც იწარმოება საკუთრათ მათი საარსებო საშუალებანი, — დე ზედმეტ დროთ, რომლის განმავლობაშიაც ხდება წარმოება გვარის არა მომუშავე წევრთა არსებობის საშუალებებისა.

ორგანიზაციული ფუნქციები თავის შემდგომ განვითარებასა და დანაწილებაში საწყისებს აძლევს მთელ რიგ სხვა სახეებს მოღვაწეობისა, რომლებიც დაკავშირებულია ნაწილობრივ მშვიდობიან წარმოებასთან, ნაწილობრივ სამხედრო თავდაცვასთან, ნაწილობრივ ორივესთან ერთად. ასეთებია წინდაწინ გაფრთხილება და გარჩევა მეზობელ თემებს და ცალკე წევრებს შორის მოსალოდნელ შეტაკებათა. შესრულება განაჩენთა, რომელიც საქმის გარჩევიდან იქნება გამოტანილი. კონკრეტულ პირობათაგან დამოკიდებულებით უზენაესი სასამართლო და ადმინისტრატიული ხელისუფლება უფრო ჩქარა, ანუ ნელ-ნელა ცალკევდება თემისაგან და გადადის სენიორის

ხელში. სენიორი, როგორც მთავარი წარმომადგენელი ორგანიზირებული კოლექტიური ძალისა, მხოლოდ თვითონ ფლობს რესურსებს, რაც აუცილებელია ამ ხელისუფლების განსახორციელებლად. თავის განვითარების პროცესში ის (ხელისუფლება) თანდათან ღებულობს არა თემის, მის მთლიანად აღებულ კოლექტიური ხელისუფლების, არაშედ სენიორის პირადი ხელისუფლების გარეგან ფორმას.

ამრიგად ორგანიზატორი თავის მეურნეობასთან ერთად სულ უფრო ცალკევდება თემისაგან. სახნავი მიწის გაფართოვების დროს ის საკუთარი მეურნეობისათვის ღებულობს გარკვეულ წილს, ახალი მიწებიდან. ყოველ წარმატებულ გალაშქრების დამთავრების დროს ის თავის განკარგულებაში იტოვებს დაპყრობილი მიწების ერთ წილს და მასზე მცხოვრებ გლეხურ მოსახლეობას აქცევს თავის უშუალო ვასალებად. სასოფლო წარმოების წყობა სულ უფრო ჰკარგავს იმ ერთგვაროობას, რომელიც განვითარების წინამსრბოლ საფეხურებზე არსებობდა.

სახნავი მიწა ორ ნაწილად იყოფა: გლეხებისა და ბატონების მიწად. უკანასკნელი მუშავდება დამოკიდებული გლეხების შრომით; ეს გლეხები ვალდებულნი არიან კვირის განშავლობაში დღეთა გარკვეული რაოდენობა ბატონის მამულზე იმუშაონ. ამ აუცილებელ სამუშაოს გლეხი ასრულებს თავისი სამუშაო ნახირით, ან ყოველ შემთხვევაში თავის საკუთარი სამუშაო იარაღებით. ბატონს თავისი ინვენტარი მხოლოდ ფეოდალური ეპოქის მიწურულისათვის უჩდება, როდესაც მისგან დამოკიდებულ გლეხთა შრომას თანდათან სცვლის შინაყმათა შრომა, ე. ი. გლეხები, რომელნიც მოკლებული არიან მიწასაც და საკუთარ წარმოებასაც. შაგრამ მაშინ სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც ხმარებაშია საბატონო წარმოებაში, არაფრით არ განსხვავდებიან მარტოხელა-მიწათმომქმედთა იარაღებისაგან.

ბატონის სახნავი მიწები, ისევე როგორადაც გლეხთა მიწებიც ექვემდებარებიან იძულებითი თესლბრუნვას, და განსაზღვრულ მომენტებში წარმოადგენენ, როგორც გლეხთა ისე საბატონო ნახირის საძოვრებს. საერთო სარგებლობაში რჩებიან ისეთი ვარგისი მიწები, როგორიცაა სათიბები, ტყეები და ა. შ. სარგებლობის ზომები საერთოდ აქაც შეეფარდებიან სახნავთა რაოდენობას.

ფეოდალიზმის ადრინდელ პერიოდში საბატონო სახნავი მიწები შედარებით დიდი არ არის, საბატონო ბეგარათა რაოდენობაც უშნიშვნელოა. საბატონო მეურნეობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს არა საკუთარი სამიწათმოქმედო წარმოება, არა ზედმეტი

შრომა, რომელიც მიიღება გლეხებისაგან როგორც ბეგარა, არამედ ზედმეტი პროდუქტი, რომელსაც გლეხი თავის საკუთარ წარმოებაში ჰქმნის და რომელიც შემოდის საბატონო მეურნეობაში ნატურალური ბეგარის ფორმით: მარცვლეული, ქსოვილები, ნახირი, ! ფრინველები და ა. შ.

დროთა ვითარებაში ბეგარები ვითარდებიან გამოსაღებთა რთულ სისტემად, რომელიც ათეული სხვადასხვა სახელწოდებას შეიცავს და ემყარება ყოველგვარ იურიდიულ ტიტულებს, რომელიც ხანდისხან აშკარად მოგონილია, — ახალ გამოსაღებთა გასაშართლებლად. მაგრამ პირველდაწყებითი ფეოდალური ბეგარანი აშკარად და უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ იმ სასარგებლო ფუნქციებთან, რომელიც აწვა სენიორს, როგორც ფაქტიურ ორგანიზატორს იმ მოსახლეობის კოლექტიური მოღვაწეობისა, რომლის წარმომადგენლადაც ის გამოდიოდა. მიუხედავად მეტის-მეტი მრავალგვაროვნებისა, თავის სახელწოდებასა და ფორმებში, ეს ბეგარები წარმოადგენდენ სენიორის ჯილდოს იმისათვის, რომ ის ჰქმნიდა და ანმტკიცებდა საერთო პირობებს, რომელიც აუცილებელი იყო სამიწათმოქმედო წარმოებისათვის: იცავდა გარედან შემოსევიდან, უზრუნველჰყოფდა შინაურ მშვიდობიანობას, აწოდებდა აუცილებელ ინვენტარს მოსულ ანდა გაყრილ გლეხებს, რომელთაც ახლად დაფუძნება უხდებოდათ მიწაზე, აშენებდა მოწყობილობათ, რომელიც აუცილებელი იყო მთელ გლეხთა მეურნეობისათვის საერთოდ, და ა. შ.

მაშასადამე, მთელი შემოსავალი, რომელსაც სენიორი ღებულობდა ბეგარათა თუ გამოსაღებთა სახით, იმ თავითვე ღებულობს ფორმას რ ე ნ ტ ი ს ა, ე. ი. ნაცვალგების, ჯილდოს ხასიათს, იმისთვის, რათა ის აძლევდა შესაძლებლობას მიწით სარგებლობისა. ფეოდალურ ეპოქაში რენტა იხდეევინება არა იმიტომ, რომ მიწა რომელზედაც გლეხი მისდევს თავის წარმოებას, განსხვავდება განსაკუთრებული ხარისხით, ანდა განსაკუთრებით ხელსაყრელ მდგომარეობაშია, — არამედ გლეხი იხდის გამოსაღებთა და ბეგარათ მიწის უბრალო წარმოებითი გამოყენებისათვის. საკუთრად ფეოდალურ მიმართებაში, რენტის სიდიდე უშუალო კავშირში დგას იმ სასარგებლო ფუნქციებთან, რომელთაც ფეოდალი ასრულებს. გაძლიერებული საგარეო თავდაცვის აუცილებლობას მივყეევართ გამოსაღებთა გადიდებისაკენ, რომელიც სამხედრო მიზნით იხდეევინება, — აშენება ღუმელისა, წისქვილისა, ანუ ციხე-სიმაგრისა დროებით ადიდებს საბატონო ბეგარის დღეთა რიცხვს.

ეს რენტა, რომელიც იხდევინებდა უბრალოდ სამიწათმოქმედო წარმოების შესაძლებლობისათვის, იწოდება ა ბ ს ო ლ ი უ ტ უ რ რ ე ნ ტ ა დ. დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი რ ე ნ ტ ი ს ა გ ა ნ განსხვავებით, რომლის სიდიდე მეტ ნაწილად ისაზღვრება ხარისხობრივ განსხვავებითა, მიწის ნაკერითა, მდებარეობითა და მისი დამუშავების გულმოდგინებით. ფეოდალურ პერიოდში დიფერენციალური რენტა ვერ თამაშობდა განსაკუთრებულ როლს. უფრო ნაყოფიერ ნიადაგიდან ოლქებში თავს იყრიდა უფრო მჭიდრო მოსახლეობა. მაგრამ ყოველი გლეხის ოჯახი ვალდებული იყო სენიორისათვის მიეცა დაახლოებით იმდენივე ნაწილი თავის სამუშაო დროისა, იმდენივე წილი თავისი პროდუქტისა, რამდენიც უფრო ნაკლებ ნაყოფიერ ოლქებში. ერთეულ მოედანზე მიწის დამუშავების საშუალებებში და შრომის დანახარჯთა რაოდენობაში არ იყო დიდი სხვადასხვაობა. და ფეოდალური ოლქის სენიორი თავის ოლქის განსაკუთრებული სარფიანობით სარგებლობდა არა იმისათვის, რათა დამოკიდებულ გლეხთა ექსპლოატაციის ნორმა აეწია, არამედ იმისათვის, რათა გაედიდებინა გლეხთა მოსახლეობის სიმჭიდროვე. ფეოდალურ პერიოდში, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც სამხედრო რაზმები საბოლოოდ არ იყო გამოყოფილი მოსახლეობის მასისაგან, სენიორის სოციალური ძლიერება მეტად მჭიდრო და აშკარა კავშირში იყო არა მის ინდივიდუალურ სიმდიდრესთან, არამედ იმ კოლექტივის სიდიდესა და ძლიერებასთან, რომელსაც ის წარმომადგენლობდა.

საკუთრად ფეოდალური ეპოქის აბსოლიუტური რენტა, — ეს პირველი ჩანასახითი ფორმა, გვიანდელი, არა შრომითი შემოსავლისა, — არავითარ კავშირში არა სდგას მიწის საკუთრებათა მიმართებასთან, საკითხს, იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ავტონომიური სამეურნეო მიწა, შეეძლო წარმოშობილიყო მხოლოდ უფრო გვიანდელ პერიოდში, როდესაც სენიორისაგან იწყებს გაცლას ყველა მისი სასარგებლო ფუნქციები და ეკონომიურ-რაციონალური საფუძვლები გამოსაღებთა და ბეგარათაგან შემოსავლის მიღების უფლებისა ერთიან ამოცანად გადაიქცენ. მაშინ კი საჭირო გახდა გამოძებნილიყო იურიდიული ტიტულები იმ მიმართებათა ასახსნელად, რომელიც ჰკარგავდა ეკონომიურ აზრს და რეტროსპექტიულად გარდაქმნილიყვნენ ფეოდალური სენიორები თავდაპირველ მფლობელებათ, თუ არა სრულ მესაკუთრეებათ მთელი მიწებისა.

თავის წარმოშობაში რენტა, — როგორც განსაკუთრებული შემოსავალი, განსაზღვრულ პირთა ჯგუფისა, — წლიური პროდუქტის საერთო მასიდან გამოეყოფა იმდენად, რამდენადაც ორგანიზატო-

რული ფუნქციები თანდათან ცალკევდებიან რა ალმასრულებლისაგან, იქცევიან ამ ჯგუფთა სპეციალურ საქმიანობად. ორგანიზატორთა მიერ რენტის მითვისება, პირდაპირ და უშუალოდ გამომდინარეობს მათი ეკონომიურ მიმართულებათაგან ორგანიზირებულთა მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს მაინც იმავ საწარმოო მიმართებათ ამ ჯგუფთა შორის, მხოლოდ განწილადებულ მიმართებათა ენაზე გამოთქმულს.

მაგრამ უკვე ძლიერ ადრე, იმისდა მიხედვით, როგორაც გაცვლა პროდუქტებს საქონლად აქცევდა, ეს საზოგადოებრივი მიმართება იწყებს მიიღოს ისეთი ხასიათი, თითქოს ის არავითარ კავშირში არ სდგას საწარმოო პროცესთან; იმ მდგომარეობით, რომელიც მასში სენიორსა და გლეხს უჭირავთ, თითქოს ის წარმოადგენს არა ადამიანის ადამიანისადმი მიმართებას, არამედ პირველ რიგში მათი სამიწათმოქმედო წარმოების ძირითად პირობათადმი მიმართებას: ნივთებისადმი, მიწისადმი. რენტა და სენიორის მიერ მისი მისაკუთრება უკვე გამოდის არა როგორც მატერიალური პირობა და დასაყრდენი მისი ორგანიზატორული მოღვაწეობისა, არამედ, როგორც ჯილდო, ნაცვალგება შიშველ იურიდიულ ტიტულისათვის, მიწაზე საკუთრების უბრალო უფლებისათვის, — როგორც გინდ არ უნდა იყოს მოღვაწეობისაგან დამოუკიდებლად. სენიორი-ორგანიზატორი იწყებს სენიორ-მიწათმფლობელად გადაქცევას. ამის შემდეგ ის უკვე თავის გავლენას აფართოებს არა იმდენად თავისი ორგანიზატორული ფუნქციების გაფართოებით, რამდენადაც თავისი საკუთრების გავრცელებით. მისი საკუთრება ვრცელდება ისეთ ოლქებზედაც, რომელთა მოსახლეობა სრულებითაც არ საჭიროებს მის ორგანიზაციულ მოღვაწეობას. თანდათან მუშავდება შეხედულება, რომლის თანახმად herrenloses Land; მიწა, რომელიც რომელიმე სენიორს არ ეკუთვნის, უაზრობას წარმოადგენს; ასეთი მიწის არსებობა შეუძლებელია; nulle terre sans seigneur, — ასე გამოითქმება საშუალო საუკუნეების ფრანგული წესი. გლეხისა და სენიორის მიმართებანი სულ უფრო იქცევიან საკუთრებათა მიმართებებათ, შიშველი იურიდიული მიმართებები, რომლებიც ყოველგვარ შუამავლურ რგოლთა გარეშე ემყარებიან ორივე მხარის ძალთა მიმართებებზე.

საკუთრად ფეოდალური მიმართებანი საერთოდ განირჩევიან დიდის მერყეობით. როგორც ორგანიზატორი-სენიორი მხოლოდ შეუმჩნეველი მიჯნით განირჩევა არა მხლოდ მიწისა, არამედ დამოკიდებული მოსახლეობის სენიორ-მესაკუთრესაგან, ისევე ფეოდალური მიმართებანიც თანმიმდევარ შუალედ რგოლთა გვერდით

უერთდებიან მონურ და ბატონყმურ მიმართებათ. თავისი წმინდა სახით, ფეოდალური მიმართება, რეალიზაციას ჰპოულობს ისტორიაში, უმეტეს წილად, მხოლოდ როგორც გარდამავალი მომენტი. სიცოცხლის უნარიანობასა თუ სიმყარეს ის ააშკარავებს მხოლოდ მეტად შეურყეევია გაცვლითი მიმართებებს. აბსტრაქტულ თხრობაში ტად შეურყეევია გაცვლითი მიმართებებს. ობსტრაქტულ თხრობაში ფეოდალურ სისტემას შესამჩნევი ადგილი უჭირავს, იმიტომ, რომ მხოლოდ ის გვაძლევს ჩვენ ახსნას, თუ როგორ შეეძლოთ წარმოშობა მრავალ გვიანდელ კატეგორიებსა და მიმართებათ, რომლებიც უახლოეს დრომდე შენახულან: ყმათა და ფეოდალთა წოდება, მიწის კერძო საკუთრება, მსხვილი მიწათმფლობელობა, რენტა. მაგრამ ზოგიერთი ქვეყნისათვის, ძნელია აღნიშვნა ეპოქისა თუ როდის ეკუთვნოდა ფეოდალიზმს ასეთი განუყოფელი ბატონობა, როგორც თავის დროზე, მაგ., საგვარეულო-პატრიარქალურ საწყისებს.

სენიორის მეურნეობაში, რომელიც აშენებულია ბეგარებზე და გამოსაღებებზე, გაბატონებულია იგივე ძირითადი ეკონომიური პრინციპები, რომელიც არის გლეხთა მეურნეობაშიაც. ბატონის სასახლე, — Hof, curtis, ვილა, მენორ, ბოიარის მამული, — რომელიც მებეგრე და მოყალნე გლეხობის ცენტრში იდგა, არა მხოლოდ უძველეს ხანაში, არამედ საშუალო საუკუნოებშიაც წარმოადგენდა ოიკოსს: სახლს, თვითკმაყოფაზე მყოფ ეკონომიურ ორგანიზაციას. ის უნდა გამოსულიყო არა დაგროვების ამოცანათა სასამსახუროთ, არა სენიორის გასამდიდრებლად, არამედ სენიორისა და ყველა მასთან უშუალოდ დაკავშირებულთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად: მისი ოჯახის, რაზმების, მშართველების და ა. შ.

თავდაპირველად სენიორის მთელი შემოსავალი ღებულობს რენტის ფორმას: ყოველგვარი ბეგარანი, რომელთაც იხდიდენ გლეხები იმისათვის, რომ ისინი უზრუნველყოფილი იქნებოდენ მიწით სარგებლობაში. მის მთავარ მასას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები წარმოადგენენ, რომელთაც გლეხები, როგორც თავიანთ საკუთარ მინდვრებზე, ისე საბატონო სახნავებზე აწარმოებენ. ისინი სავსებით აკმაყოფილებდენ სენიორის, მისი რაზმების და შინაყმების მოთხოვნილებებს, საზრდოობის საშუალებებში.

შატყლი, სელი, ქერი, რომელთაც იხდიან გლეხები, როგორც გამოსაღებთ, იძლევიან საკმარის მასალას ტანისამოსისათვის. მათი გადამუშავება სენიორის სახლში სწარმოებს. ფეოდალური ეპოქის გერმანელი წარჩინებული ქალები საქმის ისეთი ცოდნით აწარმოებდენ სართავის, საქსოვის და საფეიქრო საწარმოოთ, როგორც რუსი

ქალბატონები ხელმძღვანელობდენ მოახლეთა რთულ წარმოებას. მრავალ შემთხვევებში გამოსაღები პირდაპირ ნაქსოვისაგანაც შესდგებოდა.

საოჯახო მოწყობილობათა სხვადასხვა საგნები: ჭურჭლები, ზოგიერთი სამკაულები და ხშირად საომარი იარაღებიც მოჰქონდათ, როგორც გაშოსაღები ან და კეთდებოდა საბატონო ბეგარის დღეებში. მეურნეული სენიორი სცდილობდა თავის ოლქში შეექმნა ფრიად მრავალგვარი წარმოებანი, რათა სავსებით განთავისუფლებულიყო გარეშე ქვეყნისაგან, — თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. ასე წარმოიშვა მაგ. შტირიისა და ზოლინგერის მეტალურგიული წარმოება.

დაშოკიდებული გლეხები, რომელთაც საკმარისი მოხერხებულობა მიიღეს გარკვეულ სამრეწველო წარმოებებში, თავდაპირველად უკანასკნელს, მხოლოდ სხვათაშორის მისდევენ და ინარჩუნებენ თავიანთ მიწათმოქმედურ მეურნეობას. დანარჩენ გლეხობისაგან ისინი მხოლოდ იმითი განსხვავდებიან, რომ გამოსაღებნი სამიწათმოქმედო პროდუქტებისა და მიწათმოქმედური ბეგარა მათთვის იცვლება სამრეწველო გამოსაღებით და ბეგარით.

ვიდრე ფეოდალური მეურნეობის შიერ მრავალ პროდუქტთა მიღება სრულ დამოკიდებულებაში იყო გლეხური წარმოებისაგან, ოიკოსის საერთო წყობა რჩებოდა არა ამტან უნარიანი. ამიტომ სენიორი მიისწრაფოდა რათა თავის უშუალო გამგებლობაში მოეყარა თავი ყველა აუცილებელ დარგებისათვის წარმოებისა და გლეხებისაგან შიეღო მხოლოდ შრომა, კვების საგნები და ნედლი მასალა.

ის გლეხები, რომლებიც დასპეციალისტებულან სამრეწველო წარმოებაში, ესახლებიან ბატონის ეზოში, სასახლესთან. მათვე უერთდებიან გარედან მოზიდული ანდა მოყვანილი, — როგორც სამხედრო ტყვეები — სპეციალისტები. ეს გვიანდელი შინაყმა-გლეხთა ჩანასახი ფორმაა. უკანასკნელთაგან ისინი განსხვავდებიან იმით, რომ მათი კავშირი საკუთარ სამიწათმოქმედო წარმოებასთან საბოლოოდ არ გაწყვეტილა. ისინი კიდევ ღებულობენ მიწის მცირეოდენ ნაჭერს; მათ თვითონვე უნდა აწარმოონ თავიანთთვის საჭმელი და ტანისამოსი. მაგრამ ეს მხოლოდ გარდამავალი საფეხურია შინაყმათა მდგომარეობისაკენ, რომელთაც არა აქვთ საკუთარი მეურნეობა და რომლებიც მთელ თავის სამუშაო ძალას აბანდებენ ბატონის წარმოებაში.

მსხვილი სენიორის კარ-მიდამო თანდათან იქცევა მსხვილ საწარმოო ორგანიზმად, რომელშიაც თავს იყრიან ყოველგვარი სპეციალისტები: მჭედლები, დურგლები, თოფ-იარაღის ოსტატები, ფეი-

ჭრები, მრეცხავები, მუსიკოსები, მეფურნეები, თერძები, დალაქები, ლუდის გამომხდელნი, მეღვინეები, მეკასრეები და ა. შ. ამათ უერთდება მთელი არმია სხვადასხვა ხარისხისა და სპეციალობის ორგანიზატორები: მმართველები, განმკარგულებლები, მწერლები, მნიხრავები, სამხედრო საქმის სხვადასხვა დარგების გამგეები — სურსათ-სანოვაგისა, ციხე-სიმაგრეებისა, დარაჯებისა, გადასაზიდ საშუალებათა. მსხვილი ფეოდალის განვითარებულ მეურნეობაში, ჩვენ შეეხვდებით ემბრიონალურ ფორმებს, როგორც ყოველი გვიანდელი მეურნეული პროფესიებისა, ისე გვიანდელი სასახლისა და სახელმწიფოებრივ წოდებათა და თანამდებობათა სრულ მრავალგვარობათ. ზოგიერთი მათგანის, სახელწოდებით: ბაზიერთ-უხუცესი (ეგერმეისტერი), მეჯინიბეთ-უხუცესი (შტალმეისტერი), დარბაზ-ბატონი (კამერგერი — ნადირობისა, თავლისა, სახლთუხუცესი ანუ ნაზირი), და, განსაკუთრებით მათი მატარებელთა საერთო სულიერი შესახედაობით თანაშედროვე სახელმწიფო, ნაწილობრივ დღემდეც მოგვაგონებს, რომ მისი ორგანიზაცია ფეოდალის მამულში ჩაისახა, მან თავის ამოსავალ წერტილად ჰპოვა ფეოდალის სახლ-კარის შინამოსამსახურეები. ამავე მიმართულებით ბევრს ლაპარაკობენ ისეთი სახელწოდებანი, როგორიცაა სამეფო თეატრი, საიმპერატორო უნივერსიტეტი, სამეფო ბიბლიოთეკა და ა. შ.

მიუხედავად სენიორის მეურნეობის უზარმაზარი ზომისა, მისი მიზანი ძველებური რჩება, ისეთივე როგორც გლეხურ მეურნეობაშია: ყოველგვარ მოთხოვნილებათა უშუალო დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების პროდუქტებით. გაცვლის საშუალებით მოიპოვება მხოლოდ ის საგნები, რომელიც მოცემულ ადგილზე არასგზით არ იშოვება, მხოლოდ ის პროდუქტები იცვლებიან, რომელიც ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა გადანაჭარბს წარმოადგენენ. ამრიგად გაცვლა ვერ არყევს ოიკოსური მეურნეობის ძირითად საფუძვლებს, არამედ, პირიქით მათ განმტკიცებას ემსახურება.

მთელი ფეოდალური ეპოქის მანძილზე წვრილი რაინდის ცხოვრების დონე ცოტაოდნად განსხვავდება გლეხის ყოფისაგან: ცხოვრების უბრალო მკაცრ წესებსაც კი კარნახობს მას თვით მისი პროფესიაცა და ეკონომიურ მიმართებათა მთელი ჯამიც. თავის სახლ-კართან ის დაკავშირებულია მოკლე ხნის განმავლობაში, სიცოცხლის უდიდეს ნაწილს ის ატარებს ლაშქრობაში და მთავარი წინამძღოლის გვერდით. ამიტომ, თუმცა რაინდებს ჰყავთ სულ რაშოდენიმე ათეული ვასალური გლეხთა ოჯახი, ისინი კმაყოფილდებიან ცოტათი. უზომოთ არ ადიდებენ გლეხთა ვალდებულებათ; ხო-

ლო მეორეს მხრით იძულებულიც არიან რბილად მოეპყრან მათ, რათა ისინი მეორე სენიორთან არ გადავიდენ.

ფეოდალურ ეპოქის ადრინდელ პერიოდში სენიორსაც უხდებოდა ფრთხილად მოპყრობოდა გლეხებს. სამხედრო რაზმები კიდევ არ განცალკევებულიყვენ წმინდა მიწათმოქმედურ მასალებიდან. ოლქების მსხვილ სენიორალებში გაერთიანებას კიდევ არ მიეღო მყარი ფორმები. დაფუძნებასთან გლეხობა ჯერ კიდევ შორს იყო. ის ტერიტორიალურად არ იყო გამიჯნული თავის ვასალურ დამოკიდებულებაში. განმაერთიანებელ სენიორთა შორის ადგილი ჰქონდა თავისებურ კონკურენციას, რომელშიაც ის იმარჯვებდა, ვინც გლეხთა დიდ მასებს მიიზიდავდა; გლეხები ან თავის შიწიანად გადადიოდენ, ანდა სტოვებდენ ძველ მიწას.

მაგრამ ეს ცოტაა: ამ პერიოდის სენიორს არ ამოძრავებდა განსაკუთრებული ძალები გლეხთა ექსპლოატაციისაგან. სენიორი, მოლაშქრეთა უფროსი ამხანაგი, ატარებდა ისეთივე ლაშქრულ ცხოვრებას, როგორსაც ისინი, იცავდა ისეთივე უბრალო და სასტიკ ჩვეულებებს, რომელიც მას გლეხთან აახლოვებდა. მოლაშქრე გლეხებს შისკენ იზიდავდა არა ფუფუნება, არამედ მეომარის ღირსებანი. ყველა ხალხებში, ფეოდალიზმის ადრინდელ პერიოდში, თქმულებანი მოგვითხრობენ წინამძღოლებზე, რომლებიც არ უცხოობდენ უხეშ ქეიფობათ, მაგრამ ზიზღით უყურებდენ კეთილ-მოწყობილ ცხოვრებასა და კომფორტებს, რომ არა ვსთქვათ რა ბინადარ ფუფუნებაზე. ფეოდალიზმის დეგრადაციის ეპოქის მორალისტები, — ყველა ხალხების და არა მხოლოდ პუნიურ ომთა ეპოქის რომაელებისა, — დასტირიან ამ უბრალო პატრიარქალურ ზნე-ჩვეულებათა დაღუპვას.

ლაშქართა მიმართებებში მეორდებიან მშვიდობიან ფეოდალურ ჯგუფთა შინაგანი მიმართებანი. როგორც წინამძღოლი ლაშქრიდან, ისევე სენიორიც, თავისი ცხოვრების წესით, თანდათან ცალკევდება უბრალო მიწათმომქმედთაგან. უკანასკნელის ბეგარებმა უნდა უზრუნველჰყონ მისთვის მეტად თუ ნაკლებად ელემენტალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

III

გვართა გაერთიანებას და მათ შორის მშვიდობიანობის დამყარებას, ჩვეულებრივად წინ უძღვოდა ომი. შრომის ნაყოფიერების აწევისდამიხედვით და ჯგუფის არსებობისათვის აუცილებელი ზომის მოედანთა შემცირებით, თვითეული გვარი ყოველი მხრიდან გარშემოირტყმებოდა მტრული ჯგუფებით. მეზობელთა განადგურება

განუხორციელებელ ამოცანად რჩება. გვარი, რომლის მხარეზედაც დაიხრება სასწორი, პირველ ხანებში კმაყოფილდება მეზობელი გვარის დამორჩილების სუსტი ფორმით, — მას იძულებით აქცევს თავის სამხედრო მოკავშირეთ. ხოლო მას შემდეგ რაც გააძლიერა თავის ძალები, მოკავშირის ძალებით, პირველი საგვარეულო ჯგუფი უკვე უბრალოდ იმორჩილებს დაქუცმაცებულ მეზობლებს, ე. ი. მეტად-თუ-ნაკლებად, ვრცელ ოლქს გადაიჯაჭვავს კავშირით. იქმნებიან ტერიტორიალური კავშირები, რომლის ცალკე ნაწილები სუსტად და გარეგნულად გაერთიანებულია ურთიერთშორის გაცვლით, — რომელიც შიგნით მაინც ვერ აღწევს, — და დამპყრობელის იძულებითი ძალით. სწორედ ასეთი კავშირები წარმოშობენ ჩვენ მიერ ცნობილი ჯგუფების გაცვლის მესამე ფორმას, მერყეევი ადგილობრივი, „ფულით", — როგორიცაა ქარვა, ჯოგი, ქურქი, სპილენძის ნაჭრები და ა. შ.

წესრიგი, რომელიც თანსდევს ხელშეკრულების დადებას, „სიმბოლიურად გამოხატავს, რომ ერთი მხარე დამარცხებულია, მეორე გამარჯვებული. დამარცხებული მუხლებზე დგება, თავით მიწაზე იხრება, მიაპყრობს გაშარჯვებულს უმწეო ხელის გულს; უკანასკნელი კი ხანდისხან მას სთავაზობს დარტყმას, ხან მოითხოვს, რომ მან მის ფეხებს ეამბოროს, ხან თავზე ადგება ფეხებით, ხან ქედს მოახრევინებს და ა. შ. შერბილების წყალობით, ამ ჩვეულებას შეუძლია დაჰკარგოს თავისი პირველყოფილი აშკარა ხასიათი; შაგრამ ის მაინც ინახავს ხსოვნას თავის ბრძოლითი მიმართებიდან წარმოშობაზე და ისეთ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ხელშეკრულების, კავშირის, დადებას არავითარი ბრძოლა წინ არ უძღოდა.

ხელშეკრულების შინაარს წარმოადგენს მფარველობის აღთქმა, პირველ რიგში სამხედრო მფარველობისა, — გამარჯვებული გვარის მეთაურისაგან, — და ვალდებულება სამსახურისა, უწინარეს ყოვლისა სამხედრო სამსახურისა, — დამარცხებული გვარის წარმომადგენელის მხრით. პირველი იქცევა ბატონად, სენიორად, მეორე—ვასალად, მსახურად. ბატონის პირველ გამოძახებისთანავე ის „თავისი კაცებით", უნდა გამოცხადდეს.

რაკი წარმოიშვა, ვასალურ მიმართულებათა ფორმა ღრმად ვრცელდება, ისეთ სფეროებში, სადაც საერთოდ რომ ითქვას, შეიარაღებულ შეტაკებათ ადგილი არა აქვთ. საგვარეულო ჯგუფების წინამძღოლი (როგორც მაგალითად ირლანდიის კლანებისა — მე-VII — IX საუკ.), იქცევა სენიორად; მეთაურები, საოჯახო თემებისა, რომლებადაც ახლა გვარი დაყოფილია, იქცევიან მის წინაშე

სამსახურითა და ხარკით ვალდებულ ვასალებათ. დასასრულ ეს მეთაურებიც-კი თავის თავს გრძნობდენ იქნება თავისი ჯგუფის არა უბრალო წარმომადგენლებათ, — რომლებიც უბრალოდ ასრულებენ გარკვეულ ტეხნიკურ ფუნქციებს, — არამედ სიუზერენებათ, მბრძანებლებად. ამრიგად ეწყობა ოჯახის ის აგებულება, რომელსაც როგორც მიღებულია, აღმოსავლურს უწოდებენ, მაგრამ რომელმაც თავის ძირითად ელემენტებში სავსებით საკმარის განვითარებას მიაღწია ევროპაშიაც. როგორც ამ, ისე სხვა მიმართულებაშიაც, ფეოდალიზაცია წარმოადგენდა ახალ საფეხურს პატრიარქატის განვითარებაში, — გამგრძელებელსა და დამსრულებელს იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებს ორგანიზატორი, თავის ფუნქციების, მის განსაკუთრებულ შემკვიდრეობითი პრივილეგიათ გადასაქცევად.

ფეოდალური მიმართებანი ნელ-ნელა აფართოვებენ თავიანთი მოქმედების ასპარეზსს. იქმნებიან საოლქთაშორისო კავშირები; ცალკეულ ოლქთა სენიორები იქცევიან თავიანთი წრიდან იმის ვასალად, ვისაც ხელს უწყობენ მისი ოლქის ბუნებრივი და ეკონომიური მიმართებანი: ეკონომიური მოთხოვნილება გაერთიანებაში და უკვე ნახევრად შესრულებული გაერთიანებანი გამოიყენა რა პოლიტიკურად, ის გამოდის, როგორც „განმაერთიანებელი“ თავისი მიწისა, ხდება სუვერენად; რომელიც მონარქი კიდევ არ არის, ე. ი. არა „ერთმპყრობელად“ და ყოველშემთხვევაში უკვე არა „თვითმპყრობელად“ სიტყვის გვიანდელი მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ, როგორც ნამდვილად „პირველი თანასწორთა შორის“. თავის ოლქშიაც კი „მპყრობელური“ უფლებით ის განაგებს, მხოლოდ იმ სამფლობელოებს, რომლებიც მემკვიდრეობით თუ ნადავლის გაყოფით მიღებულ მის პირდაპირ საკუთრებას წარმოადგენს. ცალკეულ გვართა წარმომადგენელნი თავიანთი ჯგუფების მიმართ ინარჩუნებენ მთელ თავის უფლებებს. ფეოდალური გაერთიანება, თავისი, გაერთიანებულ გვართა, სამხედრო ძლიერებით მფარველობაში იქცევს მათ საგარეო თავდასხმისაგან და შესაძლებლობას აძლევს მშვიდობიანად მოარიგონ თუნდაც ზოგიერთი ნაწილები ურთიერთ შეტაკებისა. ფეოდალური სისტემის ცალკე ჯგუფები თავის დამოუკიდებლობას ჰკარგავენ მხოლოდ იმ ზომით, როგორც ამას მოითხოვს გარედან დაცვა და შიგნითა გამიჯვნა.

ფეოდალიზაციის პროცესს ხშირად გამოხატავენ, როგორც ხელისუფლებისა და თვით საზოგადოების **დაქუცმაცებას**. ასეთი წარმოდგენა მთლიანად შემცდარია. სინამდვილეში ფეოდალიზაცია არის გაერთიანების პროცესი, რომელიც გარეგნულად დაქუცმაცე-

ბული ერთს სახეს ღებულობს. ლენის*) სახით უბრუნებდა რა ვასალს იმას, რაიც მას ადრე ეკუთვნოდა სენიორი, სიუზერენი, უზრუნველყოფდა თავის თავს, რომ მასში (ვასალში) ეყოლებოდა მოკავშირე, ნაცვლად შტერისა. ხოლო ვასალი კი ღებულობდა რა სიუზერენისაგან ლენს, განსაზღვრული სახით უზრუნველყოფდა უკანასკნელს როგორც მეზობლისა, ისე თვის სიუზერენის სამხედრო შემოჭრისაგან. ასე იქმნება სუსტი, მაგრამ მით უმეტეს ორგანიზირებული საზოგადოებრივ კავშირთა სისტემა ჯგუფებს შორის, რომლებიც ამ დრომდე წარმოადგენდენ განცალკევებულ მირებს (თემებს), — არა მტკიცე შემთხვევითი და უორგანიზაციო კავშირებით, რომელიც მერყეობს ძარცვა-გაცვლასა და უბრალო ომს შორის.

პირველ ხანებში სენიორი იძულებულია ვასალთა თითქმის მხოლოდ ნომინალური დამოკიდებულებით დაკმაყოფილდეს. ვასალებს ეკუთვნის ფართე უფლება ძველთან უარისა და ახალ სენიორთან გადასვლის საქმეში. პრინციპიალურად ის არაფრით არ არის შეზღუდული, პრაქტიკულად კი იზღუდება ცვალებად კონკრეტიულ პირობებით: ერთმანეთში მებრძოლ „განმაერთიანებელთა“ ძალების მიმართებით, მათში ამა თუ იმისაგან მოსალოდნელი შედარებითი საფრთხით. პრეტენდენტის მხარეზე, როშელსაც წარმატებამ გაუღიმა, გადადიან მისი მოწინააღმდეგის ვასალები და ამით კი აჩქარებენ და ანმტკიცებენ მის ძლევამოსილებას იმ დრომდე სანამდე არ გაჩნდება ახალი „გამაერთიანებელი“, რომელიც თავის მხრივ იწყებს სხვებისაგან ვასალთა ჩამოგლეჯასა და თავისკენ მიზიდვა-შიბირებას.

ერთმანეთის კონკურენტ „განმაერთიანებელთა“ სამფლობელოების მოსაზღვრე ტერიტორიები წარმოადგენენ ვასალების ერთიდან მეორე მხარეზე გადასვლის ოლქებს. ჯერ კიდევ ასწლიანი ომის (XIV — XV საუკ.) ეპოქაში მსხვილი საოლქო სიუზერენები თავიანთ თავს თანაშიმდევრობით აცხადებენ ხან ინგლისისა და ხან საფრანგეთის მეფის ვასალებად, — ასევე სანაპირო რიურიკეველები ხან ლიტვისა და ხან მოსკოვისაკენ გადადიოდენ.

საზოგადოებრივ დაჯგუფებათა ეს სისუსტე და ადვილი დაშლის უნარიანობა წარმოადგენს ტიპიურ ნიშანს ფეოდალური პერიოდის საზოგადოებრივობისა. ამაშია ახსნა იმ ჩქარ რევოლიუციებისა, რო-

---

*) ლენი — მამული და თვით სამფლობელოს უფლება, რომელსაც სიუზერენი აძლევდა თავის ვასალს, სამაგიეროთ ვასალი უხდიდა ფულად, ნატურალურ და სამხედრო ბეგარას.

ბლებიც ერთი მეორეს მისდევდენ მოხეტიალე ხალხებში, — პოლოვცებში, თათრებში, არაბებში, უკანასკნელებში ბინადრობაზე გადასვლისა და ძლიერი სახელმწიფოების შექმნის შედეგადაც, — რომელსაც ისინი მიჰყავდა სრულ უძლურებამდე, ანდა მრისხანე გაერთიანებამდე, რომელიმე დამპყრობელისაგან, რომელიც მოკლე ხნის შემდეგ, ისევ განიდევნებოდა ახალი „გამაერთიანებელის“ მიერ. ამავშივე უნდა ვეძიოთ ახსნა მრავალ მოვლენებისა თანამედროვე სპარსეთსა, მცირე აზიასა, მაროკოსა, ალბანიასა და ა. შ., რომლებიც ჩვენს თვალთა წინაშე ბევრ რამეში იმეორებენ ევროპის ადრინდელ საშუალო საუკუნოებს. წვრილმანი და მსხვილმანი „თავადები“ და თავადები, მთელი ეს „სულთანები“, „ხანები“ და „ბეგები“ წარმოადგენენ ფეოდალურ წინამძღოლთ ცალკე „ტომებისა“, ე. ი. საოლქო გაერთიანებათა, რომელნიც ურთიერთ შორის სუსტად და თითქმის ნომინალურად არიან შეკავშირებული ცენტრალურ ხელისუფლებასთან. უკანასკნელის მიერ დანიშნული აგენტებიც კი, ცალკე ოლქების ეკონომიურ თავისებურებაში, ნახულობენ საკმაო დასაყრდენს მათი დამოუკიდებლობისათვის და შეშთხვევის დროს თავისი სუვერენის მოწინააღმდეგეთა მხარეზე დგებიან, — როგორც ძველი ეგვიპტის მონარქები, და განსაკუთრებით ძველი სპარსეთის სატრაპები თავიანთ ამა თუ იმ მხარესთან შეერთებით სწყვეტენ გადატრიალებათა შედეგს.

ახალი ტერიტორიის გატაცებისათვის, ანუ ძველის დაცვისათვის ძალთა გაერთიანების აუცილებლობას შეუძლია ხანდისხან დაჭუცმაცებული ფეოდალური თემები მიიყვანოს სამხედრო ცენტრალიზაციამდე. ასე იყო დაპყრობათა ეპოქის თათრებთან, არაბებთან და ნორმანებთან; ასე იყო მე-VIII და მე-IX საუკუნეთა საზღვარზე დასავლეთ ევროპაში, როდესაც მას საქსების იძულებითი ასიმილაციისა და არაბებისა და განსაკუთრებით მავრების უკუქცევისათვის შოუხდა მთელ თავის ძალთა დაძაბვა. მიუხედავად ამისა ამ შემთხვევაშიაც ჩვეულებრივ პირობების დროს ცენტრალიზაცია თითქმის განსაკუთრებით სამხედრო იყო, და მხოლოდ რამდენადაც მას თანა სდევს ჩანასახითი ფორმები ეკონომიური, ფინანსიური და ადმინისტრატიული ცენტრალიზაციისა, იმდენად ეს გამოწვეულია სამხედრო ცენტრალიზაციის მოთხოვნილებებით. თვით სამხედრო ცენტრალიზაციაც ძლიერ მერყეევია, თუ რომ წინამსრბოლ განვითარებას არ შეუქმნია მისთვის ეკონომიური წინამძღვარები, ის ირღვევა ისე, რომ საუქვოა საერთო მტერს მოხვდა თუ არა სერიოზული დარტყმა.

იერარქიულ დანაწილებას ჩამოყალიბების გზაზე შემდგარი საზოგადოებისა რაიც ფეოდალიზმის დამახასიათებელია, შეუძლია წარმოიშვას, როგორც არა მხოლოდ შეზღუდულ ოლქებში მცხოვრებ და არსებობისათვის ბრძოლის ერთიანობით ნელ-ნელა შემჭიდროებული გვართა ჯგუფების თავისთავად გაერთიანების შედეგი. ეს პროცესი მრავალ შემთხვევაში ჩქარდება გარედან ზედმოქმედებითაც.

..... სამხედრო ორგანიზატორული ფუნქციების შეშდგომი განცალკევებათა და მისი პირთა გარკვეული ჯგუფისადმი დაკავშირებით, ლაშქრის ხასიათი იცვლება. წინამძღოლი თვითონ გამოდის გალაშქრების ინიციატორად და იმთავითვე აწყობს ლაშქარს: აგროვებს თავის საკუთარ მოლაშქრეთ, თავისაკენ იზიდავს, როგორც ვასალებს, სხვა მეთაურებს, რომლებიც მოდიან თავიანთი მოლაშქრე ვასალებით. ლაშქრის წყობაში აქაც მეორდება გაერთიანებულ გვართა ჯგუფებში არსებული საზოგადოებრივი მიმართებანი, მაგრამ უპირველესად ყოვლისა ლაშქრის წყობა დასცილდა საგვარეულო თემისას, იმ აზრით, რომ მეომარს შეუძლია ერთიდან მეორე მეთაურთან გადასვლა; ისე რომ ყოველი რაზმი შესდგება სხვადასხვა გვართა წევრებისაგან. მეორე მხრით ლაშქარში, როგორც სპეციალურ სამხედრო ორგანიზაციაში, ფეოდალური სისტემა, მის მიმართულებათა იერარქიული დამოკიდებულების კიბით. უფრო ჩქარა აღწევს ჩამოყალიბებისა და გამომუშავების მაღალ ხარისხს. მესამედ, ლაშქარში ფეოდალური სისტემა სცილდება თავის საფუძველს, მეზობელ საგვარეულო ჯგუფთა კავშირს, ჰპოულობს დამოუკიდებელ არსებობას და ღებულობს ადგილის გადანაცვლების საშუალებას, მაშინ, როდესაც მისი პირველდაწყებითი ბაზისი რჩება წინანდელ ადგილას. ლაშქარი როგორღაც იქცევა განსაკუთრებულ დამოუკიდებელ გვარად, რომლის მთავარ წარმოებას შეადგენს ომი და გაცვლა.

თუ რომ გალაშქრება წარმატებით მთავრდება ფეოდალურ მიმართებათ ახალ დაპყრობილ ქვეყანაში შეუძლიათ ჩქარი განშტკიცება და კრისტალიზირება. მთავარი მეთაური სუვერენად იქცევა, მსხვილ ლაშქართა წინამძღოლები, მისი ვასალები, ბენეფიციების *) სახით ღებულობენ ვრცელ ოლქებს, მათ ნაწილს თავიანთ უშუალო განკარგულებაში სტოვებენ, მეორე ნაწილს ვასალური ხელშეკრუ-

---

*) ბ ე ნ ე ფ ი ც ი ა — საშუალო საუკუნოებში — ადგილმამულის პირობითი მფლობელობა, რისთვისაც მფლობელს განსაზღვრული ბეგარა უნდა ეხადა ადგილ-მამულის უზენაეს მესაკუთრე მეფისათვის, სიუზერენისათვის.

ლების საფუძველზე გადასცემენ თავის უახლოეს ამხანაგ-თანაშოლაშქრეებს და ამრიგად იქმნებიან მსხვილ სიუზერენებად. როგორც მთავარი მეთაურის ისე მეორე ხარისხოვან მეთაურთა უბრალო მოლაშქრენი თავის მხრივ ღებულობენ, ყოველი თავისი სიუზერენისაგან, მცირეოდენ ბენეფიციებს, რათა დაპყრობილ მოსახლეობათა შემოსავლის ანგარიშზე შეინარჩუნონ თავიანთი მეომრული მზადყოფნა და თავისი სენიორის პირველი გაწვევისთანავე გამოცხადდენ სამსახურში. ესენია სამურაიები *) იაპონიისა, ქვევასალები და რაინდები დასავლეთ ევრპისა, ძველი პერუის ინკების უმთავრესი მასა, წვრილი ბოიარების საუფლისწულო პერიოდის რუსეთის ბოიარების შვილები და მსახურნი, პოლონეთის შლიახტები *), მეომართა კასტა ინდოსტანში. უკანასკნელი ისე, როგორც სხვა კასტებიც ინდოსტანში ალბად ნაკლებად განსხვავდებოდა ფეოდალური ევროპის პროფესია-წოდებებიდან, ვინემ ეს წინანდელ ისტორიკოსებს წარმოედგინათ.

სარგებლობა იმ ფეოდებით, რომლებიც ასეთ შემთხვევაში წარმოიშობიან, ატარებს უფრო პირობით ხასიათს, ვინემ იმ შემთხვევაში, როდესაც ვასალი ფეოდალურ ხელშეკრულების დადებისას არ ღებულობს მიწებს სიუზერენისაგან, არამედ ცხადდება მასთან თავისი მიწით, რომელსაც ვასალურ მიწათ აქცევს, რათა წინდაწინვე უზრუნველყოს მისი თავისობა. დაპყრობის შემთხვევაში კი ერთი სენიორიდან მეორესთან მიწითა და სამსახურით გადასვლის უფლება მნიშვნელოვნად იკვეცება. ვასალი ბენეფიციებით სარგებლობს მხოლოდ ინდენხანს, სანამ ის სამსახურს უწევს თავის სენიორს; ასე წარმოიშვენ უფრო ცენტრალიზირებული ფეოდალური მიმართებანი, მაგ., ინგლისში მე-XI საუკუნ., — ნორმანთა დაპყრობის შემდეგ.

მაგრამ დროთა ვითარებაში ბენეფიციები ჰკარგავენ პირობითი ნაბოძვართა ხასიათს, რომელიც დაკავშირებულია სამსახურის ვალდებულებათაგან და იქცევიან ვასალის ალოდათ, მამულად. ეს — საშუალო საუკუნოების მიწათმფლობელობის სავსებით ბუნებრივი ტენდენციაა. საზოგადოებაში, რომელიც მთელ რიგ ეკონომიურად დაშოუკიდებელ თემებს წარმოადგენს, გაერთიანება შეიძლება იყოს მხოლოდ, მეტად თუ ნაკლებად, გარეგნული; პოლიტიკური ხელისუფლება კი — მეტად თუ ნაკლებად, ადგილობრივი; ადგილობრივ

---

*) სამურაი — ძველი ფეოდალური ეპოქის იაპონიაში წვრილი თავადაზნაურობა, რომლებიც დიდი ფეოდალების ვასალებს წარმოადგენდენ.

*) შლიახტა — პოლონეთის წვრილი თავად-აზნაურობა.

თემთა საგვარეულო დამოკიდებულება, — მეტად თუ ნაკლებად, ნომინალური.

მაგრამ გარეგნული, უცხოტომური დაპყრობანი საერთოდ არ თამაშობდა ისეთ შემომქმედ როლს ფეოდალიზმის განვითარებაში, მას არ ჰქონდა ისეთი უზარმაზარი გავლენა, რომელსაც მიაწერენ თქმულებანი სხვადასხვა ხალხებში „სახელმწიფოს დაარსებაზე", ანუ ფეოდალური წარმოდგენები „თეთრ ძვალზე" და „ცისფერ სისხლზე", რომელიც დანიშნული იყო ბატონობისათვის და „შავ ძვალსა" და „წითელ სისხლზე", რომელიც დასაბამითვე დანიშნული იყო მორჩილებისათვის. იმ ეპოქის შეზღუდული შემეცნებისათვის ყოველივე რაც მის ნატურალურ-მეურნეული „ქვეყნის" მიღმა არის, წარმოადგენდა „უცხოტომურს". უშნიშვნელო როდი იყო, რომ საშუალო საუკუნის ევროპულ საქალაქო თემისათვის ყოველი მოსული ვაჭარი, დასაწყისში უბრალოდ ყველი ვაჭარი, როგორც ახალ ფორმათა წარმომადგენელი, რომელიც ეკონომიურ მიმართებათა ძველ წყობას ანგრევს, ყოველივე რაიც გარედან შოეკლინებოდა, ყოველი, ვინც მოცემული „ქალაქის" მცხოვრებთა რიცხვს არ ეკუთვნოდა — ყველა ესენი იყვნენ „Fremden", უცხოელები, სხვა მიწის ხალხი, საზღვარგარეთლები. მესოპოტამიის, ეგვიპტის, ირანის, ძველი რუსეთის ფეოდალურ გამაერთიანებელთა ლაშქარიც გაერთიანებულთათვის მუდამ წარმოადგენდა მთლიანად უცხოტომურს. და ეს ისეთ შემთხვევაშიც როდესაც, როგორც ძველ აღმოსავლეთში იყო ის პირველ ხანებში, უეჭველად ადგილობრივი იყო და მხოლოდ შემდეგში ფეოდალურის მერმინდელ პერიოდში შეცვლილ იქმნა დაქირავებული ჯარითა და ამალით ანუ მეფის გვარდიით, — თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ. ასეთი მოვლენა მეტი არ შეიძლება იმდენად ბუნებრივია. წინაფეოდალურ პერიოდში მოკავშირე საგვარეულო გვართა ყოველი ჯგუფი, მისი ვიწრო საზოგადოებრივ მიმართებებით არავითარ შემთხვევაში არ იყო ნაკლებად ეკონომიურად გამოყოფილი სხვა ჯგუფებისაგან ვინემ განვითარების გვიანდელ საფეხურზე, ვინემ ერთი ერის წარმომადგენელი სხვა მიწის ანუ ერის წარმომადგენელიდან. მეორე მხრივ, ლაშქარი როგორც ზემოთ იყო მოხსენებული ნამდვილად ცალკევდება იმ თემთა მასისაგან, რომელთაც მას საწყისი შისცეს და ვითარდება თავისებურ ყაიდაზე დამოუკიდებელ გვარად: წარმოების განსაკუთრებული წესით, განსაკუთრებული ფუნქციებით, განსაკუთრებული ინტერესებით, ყოფით და ჩვეულებით.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ნამდვილ გარეგან დაპყრობას უეჭველად ჰქონდა ადგილი ფეოდალურ სისტემის წარმოშობის ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ თუ რომ საქმეს უფრო ახლოს დავაკვირდებით, მაშინ აშკარა იქნება თუ რა არის მთავარი, — სრულებითაც არა დამპყრობელთა უცხოტომიანობა და დაპყრობაც კი თავის თავად.

უწინარეს ყოვლისა ის გაერთიანება, რომელიც აკავშირებდა დამპყრობელებს, — სანამ ისინი ლაშქარს შეადგენდენ, — დაპყრობის შემდეგ მასში მხოლოდ ფეხს[1] იმაგრებს გარკვეულ პირობებში. ირანის, მცირე აზიის, ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ზოგიერთი ნაწილებისა და საერთოდ მთებისაგან მიუვალ ჩაკეტილ ოლქებით დაყოფილ ტერიტორიების დამპყრობელებმა ვერ შესძლეს გამკლავება ცენტრომსრბოლ ტენდენციათა ძლიერების წინაშე. ფუძნდებოდენ რა ამ ოლქებში ისინი ჰკრავდენ ურთიერთშორის კავშირს; ცალკეული „ქვეყნების" გაერთიანება ხდებოდა, როგორც წინდა ნომინალური. პატრიარქალურ-გვაროვნული დაქუცმაცება — დაუსრულებელი წვრილ ბრძოლებით, სისხლის აღებით, ორგანიზირებული სასამართლოს მაგიერ თვითგასამართლებით, — ღებულობდა გადამწყვეტ ძალას ფეოდალურ გაერთიანებაზე, რომელიც მაინც რომ ხასიათდება მისწრაფებით, ორგანიზირებულად მოაწესრიგოს ავტონომიურ ნაწილთა ურთიერთ მიმართებანი. როგორც გინდ ძლიერიც არ უნდა ყოფილიყვენ დამპყრობლები მათ არ ძალედვათ რამოდენიმედ ჩქარა შეეცვალათ წარმოების ხერხები დაპყრობილებისა. მაშასადამე იმისთვის, რათა დამპყრობელთა ლაშქარმა შისცეს საწყისი განვითარებულ ფორმებს ფეოდალიზმისა, საჭიროა ფეოდალიზაციის პროცესი დაპყრობილ ქვეყანაში დაიწყოს ჯერ კიდევ დამპყრობელთა შემოჭრამდე; რათა მასში უფრო ადრე შეიქმნას ფეოდალური გაერთიანების ეკონომიური წინამძღვარები, გარეშე ძალას, დაპყრობას შეუძლია მხოლოდ დააჩქაროს შინაურ ძალთა მოქმედება.

მეორე მხრივ აუცილებელია, რომ თავისი წარმოების დონით და მაშასადამე ფეოდალურ მიმართებათა გამომუშავებისა და სიმყარის მხრივ დამპყრობელები დიდად არ განსხვავდებოდენ დაპყრობილთაგან, მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ახალ ქვეყნის ეკონომიურ წყობის ასიმილიაცია მისი ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარება, თავიანთი დაპყრობანი გადააქციონ მტკიცეთ, დაპყრობილთა დაქვემდებარება ღრმად და ხანგრძლივად. ისტორიამ არა მცირედი მაგალითები იცის, როდესაც დროებითი გარემოებათა ზედმოქმედებით მძლავრ სამხედრო ძალად გაერთიანებული მოხეტიალენი უძლუ-

რი გამოდიოდენ დაპყრობილთა წარმოეთის დაქვემდებარებისა და-ძალი პოლიტიკური აპარატისათვის დაპატრონების საქმეში. მოხეტიალე დამპყრობელთა ფეოდალიზმში გაბატონებული იყო ცენტრომსრბოლი ტენდენციები, მაშინ, როდესაც დამარცხებულთა ფეოდალიზმი ემყარებოდა განვითარების გზაზე შემდგარ ეკონომიურ მიმართებებს, — რომელიც თითქმის ხელუხლებელი იყო დამპყრობელთაგან და გადადიოდა გაერთიანების მაღალ ფორმებზე, უფრო მჭიდრო საზოგადოებრივ კავშირზე. დამარცხებული მხარე რამოდენიმე საუკუნის შემდეგ განსაკუთრებულ ლონისძიებათა გარეშე თავიდან გადაიგდებდა ხოლმე გამარჯვებულთა უღელს, ასე იყოთათართა დამპყრობელობის მიმართ ძველ რუსეთში და ალბად ასევე მოუვიდა გიკსების *) ბიერ ძველი ეგვიპტის დაპყრობას.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ გარედან დაპყრობა არ წარმოადგენს, როგორიც არ უნდა იყოს განსაკუთრებულ საშუალებას ფეოდალურ საზოგადოებათა წარმოშობაში და რამოდენიმეთაც ვერ გვიხსნის თუ რატომ ვითარდება საერთოდ ფეოდალური მიმართებანი, ამის ახსნა ყოველთვის უნდა ვეძიოთ დამპყრობელთა და დაპყრობილთა შინაგან ისტორიაში: ამავე დროს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ იქნებიან ისინი, — თანატომელები თუ უცხოტომელები.

..... საკუთრად ფეოდალური პერიოდიდან, როდესაც გაბატონებული იყო ნატურალური შეურნეობა, გვართა ანუ მათ სენიორთა შორის უშუალო გაცვლა, სენიორთა და განსაკუთრებით საგვარეულო პატრიარქალური საწყობების ნაშთებზე მცხოვრებ მოსახლეობათა მასის მიმართებებიდან, ეკონომიურ, სამხედრო, ადმინისტრატიულ, ფინანსიურ და სასამართლო დეცენტრალიზაციიდან, იმათ ჩვენ მივყევართ: ფულადი-გაცვლითი მიმართებების გაძლიერების, პატრიარქალურ-საოჯახო საწყისების განმტკიცების, ფეოდალების მიწათმფლობელებად გადაქცევის, ჯარის პოლიციური ცენტრალიზაციის, მმართველობისა და სასამართლოს ბატონყმური სისტემათა განვითარების ეპოქის პერიოდში.

---

*) გიკსები ანუ გიკსოსები — (მეფენი-მეჯოგენი") ხორეიისა და სინაიის ნახევარკუნძულის აზიელ ტომთა კავშირი, რომელიც პყრობდა ეგვიპტეს მე-XIV დინასტიიდან მე-XVI საუკ. ნახევრამდე (ჩვ. წელთაღრიცხვამდე). ესენი ისრაელთა თანატომელები იყვნენ. გიკსები ფარაონ რაზეკენენ მე-III განდევნა დელტიდან; ხოლო აგმეს I კი საბოლოოდ გაანთავისუფლა გიკსებისაგან ეგვიპტე.

სწერედ იმ ეკონომიურ განვითარებამ, რომელიც შესაძლებელი გახდა ვრცელ ტერიტორიათა სუსტი ფეოდალური განვითარების წყალობით, არა საკმაოდ აქცია გაერთიანების ეს ხარისხი. ფეოდალიზმმა გაშალა ყოველი მასში მოქცეული შესაძლებლობანი და ადგილი დაუთმო ახალ თვით მის მიერ მომზადებულ საზოგადოებრივ მმართველობათა სისტემას.

(ა. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი და ი. ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი — პოლიტიკური ეკონომიის კურსი, ტ. I).

§ 6. ფეოდალური საკუთრება

ფეოდალური საკუთრება ორ ფორმაში მოგვევლინება: უძრავ ქონების ფორმაში, რომელიც ფეოდალიზმის მცოდნეთაგან იწოდება corporelle-დ, და რომელიც შესდგება ციხე-კოშკისა ანუ კარმიდამოსაგან, მისი გალავანით, სიმაგრეებით და გარშემო მდებარე მიწებით, რომლის საზღვრები „ისე ფართეა რომ მამალს შეუძლია მიძოფრინდეს ერთის გაქანებით, დაუსვენებლივ", — და მოძრავი ქონების ფორმაში, რომელიც იწოდება incorporelle-დ და შესდგება სამხედრო ვალდებულებათაგან, საბატონო ბეგარისაგან, მეათედებისაგან და სხვადასხვა გამოსაღებებთაგან.

ფეოდალური საკუთრება, — საეკლესიო საკუთრება მხოლოდ მისი ერთერი სახეობაა, — იბადება სასოფლო თემთა შორის, რომელიც აშენებულია კოლექტიურ საკუთრებაზე, მათივე ანგარიშზე იზრდება და საუკუნოებრივ ცვალებადობათა პროცესში გარდაიქმნება ბურჟუაზიულ საკუთრებად, — ინდივიდუალური საკუთრების ნაშდვილ ფორმად.

ფეოდალური საკუთრება და მის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს საოჯახო კოლექტივიზმიდან — ზუსტად, სისხლითი ნათესაობაზე აშენებულ კოლექტივიზმიდან, — ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმში.

ფეოდალიზმის ეპოქაში საკუთრებასა და მესაკუთრეზე ვრცელდებოდა გარკვეული ვალდებულებანი. მესაკუთრეებს კიდევ არ მოეპოვებინათ ბურჟუაზიული ბანუსაზღვრელი უფლება კერძო საკუთრებისა. მიწა არც შეისყიდება და არც გაიყიდება; ის დატვირთულია ვალდებულებებით და გადაცემა ხელიდან ხელში თანახმად ჩვეულებებისა და კანონებისა, რომელთა დარღვევაც მესაკუთრეს არ შეუძლია. მესაკუთრე ვალდებულია ასრულებდეს თავის მოვალეობა-

იერარქიული კიბის, როგორც მაღალი ისე დაბალი საფეხურის პირთა მიმართ *).

არსებითად ფეოდალიზმი არის ხელშეკრულება ურთიერთ სამსახურის შესახებ. ბარონი ფლობს მიწებს და უფლებას შრომასა და პროდუქტებზე თავისი ყმებისა და ვასალებისა მხოლოდ იმ პირობით, რომ სამსახური გაუწიოს თავის სენიორს და თავის ქვეშევრდომთ. ფეოდალური სენიორი თავისი ვასალისაგან ღებულობდა „La foi et l'homnage" — „ის კისრულობდა დაეცვა იგი ყველასაგან და ყველას წინააღმდეგ, და დახმარებოდა მას ყოველგვარ პირობებში". რომ უზრუნველეყო თავისათვის ეს მფლობელობა, ვასალი თან უნდა მიყოლოდა თავის სენიორს ომში და უნდა ეხადა მისთვის განსაზღვრული ხარკები: პირადი ვალდებულებათა და მეათედების სახით თავისი მოსაელისა დ ნახირისაგან. რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარება მიეღო, ბარონი უკავშირდებოდა უფრო ძლიერს, ვინმე ის იყო თვითონ, სენიორს, რომელიც თავის მხრივაც ვასალი იყო, მეფის ანუ იმპერატორის, რომელიმე მსხვილი ფეოდალისა.

ფეოდალური იერარქიის ყველა წევრები, დაწყებული ყმა-გლეხიდან და გათავებული მეფითა ანუ იმპერატორით, ურთიერთ-ვალდებულებათა წყალობით მჭიდროთ იყვნენ დაკავშირებულნი. მაშინ ვალი ისეთივე მამოძრავებელი საზოგადოებრივი ძალა იყო, როგორიც ახლა არის მოგება. ყოველივე ამოძრავებული იყო იმ მიშართუ-

---

[1]) ამხ. მ. ნ. პოკროვსკი, თავის, რუსეთის მოკლე ისტორიაში, ლაპარაკობს, რომ თანამედროვე მეცნიერება ფეოდალურ საზოგადოებას ახასიათებს სამი ძირითადი თვისებით: 1) მსხვილი მიწათმფლობელობის ბატონობით; 2) ამ მსხვილ მიწათმფლობელობისა და პოლიტიკური ხელისუფლების კავშირით, რომელიც იმდენად მტკიცეა, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში შეუძლებელია წარმოდგენა მსხვილი მიწათმფლობელისა, რომელიც იმავე დროს არ იყოს, ამა თუ იმ ხარისხით, ხელმწიფე და, პირიქით — ხელმწიფისა, რომელიც არ იყოს მიწათმფლობელი. ფეოდალიზმი, უწინარეს ყოვლისა, არის გარკვეული სისტემა მეურნეობისა, და აქედანვე კი უკვე უფლების სისტემაც, აქ სახელმწიფო ითვეფება საბატონო ეკონომიასთან ერთ ცენტრში, სადაც თავს იყრიდა როგორც ნატურალური გამოსაღებნი, ისე სასამართლო საფასური, რომელიც მოსახლეობიდან იხდეინებოდა, და საიდანაც მოეკლინებოდა გლეხობას მოურავებიცა და მოსამართლეებიც; 3) თავისებური მიმართებებით ამ მიწათმფლობელ-ხელმწიფეთა შორის, — მიწათმფლობელთა გარკვეული იერარქიის არსებობით და იმდენად აშკარად გამოხატული მათი ურთიერთდაქვემდებარებით, რომ მთელი ფეოდალური საზოგადოება გამოხატავდეს რაღაც მსგავსს კიბისა, რომელიც მისი ყველაზე მაღალი საფეხურიდან ძირამდე შეკავშირებული იყოს ბატონობისა და მორჩილების მიმართებაში, ურთიერთობაში. (რუსული გამოცემის რედაქციის შენიშვნა).

ლებით, რათა ღრმად აღბეჭდილიყო ის ამა ქვეყნის დიდთა თუ მცირეთა გულებში.

..... სისხლითი ნათესაობაზე აშენებულ კოლექტივიზმს შეეძლო შეექმნა ერთობა მხოლოდ თემის ფარგლებში. ფეოდალიზმმა კი შექმნა პროვინციალური და ნაციონალური ცხოვრება, გააერთიანა ურთიერთ ვალდებულებათა და სამსახურის ნიადაგზე ავტონომიური და განმხოლოებული ჯგუფები ერთი პროვინციისა, ერთი ნაციისა. ამ თვალსაზრისით ფეოდალიზმი არის საბარონოების სამხედრო ორგანიზაცია.

ბარონის ვალდებულებანი თავის ყმა-მეიჯარადრეთა და ვასალთა მიმართ იყო მრავალრიცხოვანი და მძიმე. მაგრამ ფეოდალიზმის დაცემის დასაწყისიდან ბარონი განთავისუფლდა თავის ვალდებულებათაგან, ხოლო ამავე დროს კი დაიტოვა და კიდევ უფროც გადიდა ის ბეგარები და გამოსაღები, რომლებიც ოდესღაც იყვნენ ნაცვალგება, ჯილდო იმ სამსახურისა, რომელსაც სინამდვილეში უწევდა ის თავის ქვეშევრდომთ. მაგრამ, ის არ კმაყოფილდება რა მარტო იმით, რომ განთავისუფლდა ფეოდალურ ვალდებულებათაგან, აცხადებს თავის უფლებას (პრეტენზიებს) მის ვასალთა მიწაზე, ტყეებზე და თემის სხვა ვარგის მინდვრებზე. ფეოდალური უფლების ფრანგი დამცველები, — რომლებიც სამართლიანად შეითითხნენ სახელწოდებით „ფ ე ო დ ა ლ უ რ ი კ ა ლ მ ე ბ ი ს ა“ (plumes feodeles), — ამტკიცებდენ, რომ მიწა, ტყე, მინდორი და წყალი ყველა დროებში ეკუთვნოდა სენიორს, რომელმაც თავის ყმებსა და ვასალებს მისცა მხოლოდ უფლება მათი სარგებლობისა. ასეთივე ისტორია შესთხზეს ინგლისელ სპეციალისტებმაც ფეოდალურ უფლებებზე. მათ განაცხადეს, რომ ჩვენთვის უცნობ ეპოქაში, რომელიც „ხშირად გაურკვევლად უკავშირდება ევროპის ფეოდალიზაციას, ხანდისხან — უფრო გარკვევით ნორმანთა დაპყრობებისას, — მთელი ტერიტორია ინგლისისა კონფისკაციაქმნილი იყო; მიწები თვითეული სენიორიისა ებოძა სენიორს სრულ საკუთრებათ; მისი ერთი ნაწილი მან დაურიგა თავის გამყოლ თავისუფალ ადამიანებს. ნაწილი კი თვით დაიტოვა და დასამუშავებლად მისცა თავის ყმებს; რომ მთელი მიწები, რომლებიც არ მოყვა გაყოფას, რჩებოდენ ტიალად, დაუმუშავებელი მიწების სახით, რომელიც სენიორს ეკუთვნოდა; რომ მიწებით სარგებლობის ყველა უფლებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ფეოდალიზმის პრინციპებთან, უკვე შემდეგში შეუმჩნეველად გავითარდენ სენიორთა თავმდაბლობის წყალობით“. — ამგვარ უსირცხვილო არევდარევის წყალობით საფრანგეთისა და ინ-

გლისის თავად-აზნაურობამ შესძლო ხელში ჩაეგდო ტყეები და მიწები, რომლებიც სასოფლო თემის საკუთრებას შეადგენდენ.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები და მერლენი, კონვენტის სასტიკი იურისტი და თემური მფლობელობათა დიდი მნგრეველი, თავიანთ სურვილში რომ გამოეძებნათ საკუთრების ინდივიდუალური ფორმა ჯერ კიდევ ფეოდალიზმის დროშიაც, დაეთანხმენ არისტოკრატების ცალმხრივ თეზისებს. ფეოდალური საკუთრების წარმოშობისა და განვითარების ისტორია გამოააშკარავებს ფეოდალური "უფლების „ბოდნეთა" აზრის სიცრუეს, სიყალბეს და დაგვანახებს, თუ როგორ, შემწეობით მოტყუილებისა და ძალადობისა, ჩამოყალიბდა სენიორალური საკუთრება.

(პოლ ლაფარგი — საკუთრების წარმოშობა და განვითარება).

§ 7. გაცვლა ადრინდელ საშუალო საუკუნეებში

საშუალო საუკუნეების ადრინდელ ხანების ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს განსაკუთრებით სირიელები თამაშობდენ. „აქამდე — ამბობს წმ. იერონიმე, — სირიელები ამოლავნებენ ვაჭრობისადმი თანდაყოლილ მიდრეკილებას; მოგების წყურვილი მათ ამოგზავრებს მთელს დედამიწაზე და იმდენად ძლიერი სურვილი აქვთ ვაჭრობისა, რომ ეხლაც კი, როდესაც ბარბაროსები ფლობენ რომის ქვეყანას — ისინი მახვილთა და გვამთა შორის ცდილობენ სიმდიდრის მოპოებას და საფრთხეთა საშიშროების ქვეშ სძლევენ სიღარიბეს. მე-IV საუკუნეში ტირს ეწოდა „ძალზე ბედნიერი, რადგან აღმოსავლეთის არც ერთ ქალაქს არა აქვს ვაჭრობის დარგში ასეთი ცოდნა", ხოლო ტირის მცხოვრებნი „ყველაზე მდიდარი და ძლიერია, მათი სავაჭრო მოღვაწეობის წყალობით". მათ აქვთ ფაქტორიები იტალიის უმთავრეს ნავთსადგურებში — პოცუოლიასა და ოსტიაში, ისე როგორც აკვიტანიაშიაც, სირიელი ვაჭრები არა ერთხელ იხსენიება. „ვაჭარი ევსევი სირიის წარმოშობისაა" (591 წ.); პროკოპი იხსენიებს სირიელ ანტიოქს, რომელიც ცხოვრობდა (მე-IV საუკ.) ნეაპოლში და ეწოდა საზღვაო ვაჭრობას; გრიგოლ ტურიელი იხსენიებს სირიელ ვაჭარს ბორდოში; სირიელები ეზიდებიან ღვინოსა და აბრეშუმის ნივთებს, რომელთა წარმოებითაც განთქმულ იყო სირია. ისინი მევახშეობასაც ეწოდენ (მაგ. რავენაში).

გერმანული ზღვაოსნობის ისტორიაში 500-900 წ.წ. პერიოდს ფოგელი უწოდებს ფრიზების ეპოქას; ისინი ითვლებიან საზღვაო ვაჭრობის განსაკუთრებულ წარმომადგენლებად; ჩრდილოეთის ზღვას

ამ დროში ეწოდებოდა „ფრიზების ზღვა“, ფრიზები — „Gens durissima maritima“-ად. მათი სავაჭრო გზა მიდიოდა რეინზე, ისე როგორც ინგლისში და ჩრდილოეთ საფრანგეთში. ფრიზები დაესახლენ კსანტენში, კელნში, მაინცში და ვორმსში. ისინი იხსენიება ლონდონსა და იორკში, მათ ხვდებიან ანგლოსაქსონიის ვაჭრებთან ერთად სენ-დენის (პარიზის ახლო) ბაზრობაზე მე-VIII საუკუნეში. თვით ფრიზების ქვეყანაში მთავარი სავაჭრო პუნქტი დორესტადი იყო. „წმ. გოარას“ სასწაულებში (839 წ.) მოთხრობილია ფრიზელ ვაჭარზე, რომელიც ერთ თავის მსახურთან ერთად საქესთან დგას, მაშინ როდესაც დანარჩენები ეწევიან ბაწარს (ხეზსს) და სძრავენ ხომალდს მდინარის ზემოთკენ.

უცხოელ ვაჭართა რიცხვს, რომლებიც ფრანკთა მონარქიაში მოგზაურობდენ ეკუთვნოდენ, შემდეგ, განსაკუთრებით მე-VIII და მე-IX საუკ. საქსები (Saxones) ანუ ანგლოსაქსები. მლოცველ - საქსებთან ერთად, — რომელთაც ეძლევათ უფლება, „მშვიდობიანი მსვლელობისა თავიანთ გზაზე, ყველა საჭირო საგნების თანტარებით“, — მათ სახელს თავს აფარებდენ ნამდვილი ვაჭრები, „მოგების მაძებარნი, და არა მსახურნი რელიგიისა“; თუ მათ შორის მოიპოვება ასეთები, მაშინ ისინი ვალდებული არიან სათანადო ადგილებში გადაიხადონ დაწესებული საბაჟო გამოსაღები (796 წ.). ასეთი მოხეტიალე ვაჭარ-საქსებით სარგებლობდა დანიის მეფე, რომელიც მათ 809 წ. ელჩებათ აგზავნიდა. საქსები იხსენიება ლიუდოვიკისა და დანიის მეფეს შორის დადებულ შეთანხმებაში, რომელიც ანიჭებდა უფლებას „ორთაკე სამეფოს ვაჭრებს ურთიერთთან მიმოსვლის, საქონლის მოტანისა და ყიდვა-გაყიდვისა“ ფრიზების მოსახლეობასთან ერთად რომში იხსენიება აგრეთვე საქსების მოსახლეობაც. ფინურ ენაზე „saxa“ ნიშნავდა „ვაჭრობას“.

დასასრულ მნიშვნელოვან როლს თამაშობდენ ებრაელებიც. მათ გრიგოლ ტურიელი (მე-VI საუკ.) იხსენიებს, როგორც ტკბილეულით მოვაჭრეებს; პაპა ნიკოლოზ I დროს ისინი რომში ყიდიან ბეწვეულს, აგობარდი იხსენიებს მათ მიერ ქრისტიანებისადმი ხორცისა და ღვინის მიყიდვას; რაბი გერშომი, რომელიც მე-X საუკ. ბოლოსა და მე-XI საუკ. დასაწყისში მაინცში ცხოვრობდა, აღნიშნავს ებრაელთა მოგზაურობას კელნის ბაზრობაზე, სადაც ისინი ასაღებდენ ბეწვეულს, შალს, ტყავს, ძვირფას ქვებს, მარგალიტს. ჩვენ გვაქვს ცნობები შესახებ იმისა, რომ იმ დროში ებრაელები ივლიდენ ყველა ქვეყნებს: მე-X საუკ. არაბეთის მწერალი ი ბ ნ-ხ ო რ დ ა დ-ბ ე ხ ი იტყობინება, რომ ისინი მთელ გზას ფრანკთა მონარქიიდან ვიდრე ჩინეთამდე გა-

დიოდენ ნაწილობრივათ ზღვით, ნაწილობრივად ხმელეთით; ის მიუთრთებს ოთხ სხვადასხვა გზაზე, რომლითაც მოგზაურობდენ ისინი. აღმოსავლეთში ისინი ეზიდებოდენ მონებს, ბეწვეულს, აბრეშუმს, იარაღს, დასავლეთში მუსკუსს, ალოეს, კამფორას, კორიცას. „ზოგნი მიდიან კონსტანტინოპოლში საქონლის გასაყიდათ, მეორენი ბრუნდებიან ფრანკთა ქვეყნებში“.

მაგრამ, თითქმის პირველი ადგილი ეჭირათ არაბებს. აღმოსავლეთის როგორც ინდოეთისა და ჩინეთის, ისე ხალიფატის ნაწარმოები კონსტანტინოპოლში ჩაქონდათ უმთავრესათ არაბებს, რომლებიც ამ ეპოქაში ძალზე მაღლა იდგენ, როგორც მათემატიკის, მედიცინის და არქიტექტურის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის სფეროში. მათ მიერ იყო გატანილი აღმოსავლეთიდან (მავრიტანულ) ესპანეთში ბრინჯი, შაფრანი, შაქრის ჭარხალი, ბამბა, ლიმონის ხე, თუთის ხე. მათ განავითარეს აქ ტყავის დამუშავება, განთქმულ კორდოვის ანუ კორდუანის ტყავების (ქალაქ კორდოვიდან) დამზადებით, წარმოება ფაიფურ-მაიოლიკისა და ლითონის საგნებისა, რომლითაც განთქმული იყო ტოლედო, და აბრეშუმის ქსოვილთა დამზადება. არაბების როლმა ვაჭრობაში გავლენა იქონია ენაზე, საავაჭრო ტერმინებზე, რომლებიც გადაღებულ იქნა ევროპიელ ხალხთა მიერ და აქამდე შენახული (არაბული სიტყვები: ქარავანი, მაღაზია, სარაია, ამბარი, ტარა, ტარიფი, ადმირალი, დრაგომანი, დოგანა, ფრანგულათ douane — საბაჟო და სხვა). არაბებისათვის ცნობილი იყო თამასუქი, ისე როგორც შემდეგში წარმოშობილი საკომისიო ხელშეკრულება, კომენდა (ამხანაგობა), სამაკლერო ინსტიტუტი. მათი ვაჭრობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მექაში პილიგრიმობას, რასაც ყურანი ავალებდა მოციქულის ყველა მართლმორწმუნე მიმდევარს; მოგზაური მლოცველები ამავე დროს საავაჭრო ქარავანს წარმოადგენდენ, რომლითაც გაქონდათ აღმოსავლეთის საქონელი. მაგრამ ვაჭრების როლიც საერთოდ უმნიშვნელო იყო; და ისინი გამოჩნდებოდენ მხოლოდ დროგამოშვებით და მოქონდათ უმთავრესად — აღმოსავლეთიდან კონსტანტინოპოლზე გავლით—მეურნეობისათვის ნაკლებათ მნიშვნელობის მქონე ფუფუნების საგნები ან სხვა იშვიათი საქონელი. ეს საგნები დანიშნული იყო ან ეკლესიის (აბრეშუმის ქსოვილი და ნოხები, ნელსაცხებელი, ძვირფასი ქვები) და ღმერთმსახურებისათვის (ღვინო, ლამფის ზეთი, სანთელი), ან კიდევ მეფეებისა და ფეოდალებისათვის, რომლებიც იძენდენ აღმოსავლეთის განძეულობას, — მონებსა და ოქრო-ქსოვილებს, ქარვას, შუშის მძივს და ჭურჭელს, ბეწვეულს, ღვინოს, სანთელს, მარილს, — მათი მრავალრი-

ცხოვან ყმების შიერ დამზადებულ სანოვაგეზე გადაცვლის საშუალებ-ებით. ბერები არ საჭიროებდენ ამ საგნებს; ამასთანავე აძლევდენ რა ყოველივეს მებატონის საჭირო მოთხოვნილებათა დასაფარავად — აღარა ჰქონდათ საშუალება მათი შეძენისა.

საშუალო საუკუნოების ადრინდელ ეპოქის ვაჭრობაში ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ობიექტთაგანი უდაოთ მონები იყვნენ. მონობა ჯერ კიდეე არ გამქრალა. ბარბაროსული სამართლის წიგნები მრავალჯერ იხსენიებს არა თავისუფალთ, განსაკუთრებით დანაშაულებს, რომელთა ჩადენაც იწვევს თავისუფლების დაკარგვას, მაგ., ლანგობარდიის სამართლის წიგნით მკვლელი, რომელიც ვერ შესძლებს ვირას გადახდას მოკლულის მემკვიდრეების მონა უნდა გახდეს; ვესტგოთური სჯულის წიგნის მიხედვით მუცლის მომშლელი ქალი მეფის შეხედულებით შეიძლება ამა თუ იმ პირს მიეცეს მონად. სჯულის წიგნებში შეხვდება კაცი არა თავისუფალთა შორის დადებულ გარიგებებს, ისე როგორც თვით ადამიანთა ყიდვა-გაყიდვას და მხოლოდ ქრისტიანების სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით წარმართებისათვის, გაყიდვის შემდეგ, ქრისტიანენი ცდილობენ ბრძოლის წარმოებას, თუმცა ჰერცოგის განკარგულებით ესეც დასაშვებია (ალამანის სჯულის წიგნში). მე-X — XI ს.ს. მონებით გაცხოველებული ვაჭრობა სწარმოებდა იმგვარად, რომ მონებს ყიდულობდენ სლავიანურ ოლქებში ან მათთან მოსაზღვრე გერმანულ ადგილებში (ესენი იყვენ უმთავრესად ტყვეთ ჩავარდნილი სლავიანები), ხოლო იყიდებოდენ ისინი მოვაჭრეების (ნაწილობრივათ ებრაელების) მიერ ესპანეთში, სადაც ხალიფები მათგან აწყობდენ თავის დამცველ რაზმს. სლავიანებთან ერთად ვაჭრობის ობიექტად გერმანელებიც კი იყვენ გამხდარი და თუმცა ეკლესია სხვადასხვა ედიქტებში კრძალავდა ქრისტიანების მონებად ქცევას, მაგრამ პრინციპიალურად ის მონობის წინააღმდეგ არ ილაშქრებოდა და მეფის განკარგულებებში ჩვენ ვპოულობთ ეკლესიის მიერ მონობის არაპირდაპირ ცნობას: ეკლესია სარგებლობდა მათი შრომით. თვით პაპა გრიგოლ I-მა გასცა ბრძანება ეკლესიისათვის ანგლო-საქსონელ მონების ყიდვისა. საშუალო საუკუნოების არა მარტო ადრინდელ ხანებში არამედ შემდეგი საუკუნოებშიაც მონობით ვაჭრობა საქონელთ ბრუნვის სრულიად კანონიერი დარგი იყო.

რომის იმპერიის ეპოქაში მის ცალკე ნაწილებს შორის არსებობდა გაცხოველებული საქონლის გაცვლა-გამოცვლა, განსაკუთრებით ხმელთა-შუა ზღვაზე. მაგრამ რომაელი ვაჭრები სანაპირო გაცვლა-გამოცვლას ბარბაროსებთანაც კი აწარმოებდენ. ტაბილი დამათრა-

ბელი ღვინო და ბრწყინვალე ძვირფასი ლითონები, ე. ი. ის ნიეთები. რომლებიც ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას ახდენდენ პირველყოფილ ხალხებზე, მოქონდათ რომაელებს გერმანელებისათვის; ამასთანავე გერმანელები პირველად უპირატესობას აძლევდენ ვერცხლს, რადგან მნიშვნელოვანად ღებულობდენ ამ ლითონის ნაკრებს, შემდეგში კი წითელ ოქროს, რომელსაც დემონიურ ძალას აწერდენ. ამის სამაგიეროდ რომაელები იღებდენ გამქვირვალე ქარვას, ბეწვეულს, ბრწყინვალე მძივობას, სხვადასხვა ფერ ფრინველთა ფრთებს და ქალის თმას, — ფუფუნების საგნებს, რომლებიც შეეძლოთ მათ დიდ ფასებში მიეყიდათ მდიდარ და სახელოვან რომაელებისათვის.

დასავლეთ რომის იმპერიის საზღვრებში არსებული საქონლის გაცვლა-გამოცვლა მისი დაცემის შემდეგაც არ შეწყვეტილა: რომანულ ქვეყნებში, იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში, ესპანეთში, გალიაში ის გრძელდება შემდეგშიაც, თუმცა ძალზე შემცირებული სახით; როგორც სჩანს ვაჭრობა არ ჰქრება გერმანიაშიც, მაგრამ აქ ვაჭრობა სწარმოებდა მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში და თავდაპირველად ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი.

საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი მე-IX — XI საუკუნეებში კონსტანტინოპოლი იყო. აქ იყრიდენ თავს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ვაჭრები — ბოლგარები, სომხები, რუსები, არაბები, იტალიელები და აქედან უკვე საქონელი ვრცელდებოდა მთელს ევროპაში. კონსტანტინოპოლისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნების სურვილით, ბიზანტიის იმპერატორები არ აძლევდენ ვაჭრებს ნებას გზის გაგრძელებისა და აღმოსავლეთის საგნების მათი წარმოშობის ადგილზე შესყიდვისა, არამედ აიძულებდენ მათ საქონელი კონსტანტინოპოლში ეყიდნათ და ამასთანავე ხშირად ბიზანტიის ხაზინის საშვალებით. ბიზანტიის მრავალი ნაწარმოების შეძენაც შესაძლებელი იყო მხოლოდ იმპერატორის საწყობებში; უკანასკნელნი ვაჭრობდენ პურით, აბრეშუმით, ღვინით, ზეთის ხილით, რომლებიც შემოდიოდა გადასახადების სახით მოსახლეობისაგან და რომელთა გასაღებაც ფისკის მონოპოლიას შეადგენდა.

აქედან აღმოსავლეთის ნაწარმოები მიდიოდა ნაწილობრივათ შავი ზღვიდან ბალტიისაკენ — კიევზე, შემდეგ დნეპრის ზეგით და ვოლგაზე, მერე ნოვგოროდის ოლქში, სჭრიდა რა მთელ აღმოსავლეთის ველებს. ნაწილობრივათ ის მიდიოდა ხმელთაშუა ზღვით მარსელში და შემდეგ ეხლანდელ საფრანგეთში; განსაკუთრებით სენ-დენისა და ტრუას ბაზრობაზე. ანდა მათ ეზიდებოდენ იტალიაში პავიისა და ფერარის ბაზრობაზე; აქ, — მემატიანეს სიტყვით — შეაბელი ბარონები

იძენდენ „ზღვის იქეთა ქვეყნებიდან აღმოსავლეთის ყველა სიმდიდრის მომტან ვენეციელ ვაჭრებისაგან ბეწვეულს და ძვირფასად შემკულ აბრეშუმის სამოსელს. დასასრულ, მნიშვნელოვანი გზა სამხრეთიდან მიდიოდა ქვევით რაინზე ფლანდრიაში, და რაინზე იყო სავაჭრო ცენტრი — მაინცი. მე-X საუკუნის არაბულ წყაროდან, ოტონ დიდთან გაგზავნილ საელჩოს მონაწილესაგან ჩვენ ვგებულობთ, რომ მან თავის გასაკვირველად ნახა „შორეულ დასავლეთში მდებარე მაინცში" (Maganga) სანელებლები, რომლებიც მხოლოდ აღმოსაკლეთში გვხვდება, მაგ., პილპილი, იმბრი, მიხაკი. რამოდენიმეთ უფრო გვიან სავაჭრო მნიშვნელობა მოიპოვა კელნმა, რომელმაც ურთიერთობა დაიპირა ინგლისთან. მემატიანეს სიტყვით „მთელს დედამიწაზე განთქმულ" საალდგომო დღესასწაულების დროს მოწყობილ კელნის ბაზრობაზე „ხალხი ესწრებოდა არა მარტო რაინის მახლობლად მდებარე ყველა ადგილებიდან, არამედ, ზღვის იქეთა და უფრო შორეულ ქვეყნებიდანაც უამრავი რაოდენობით". მე-X — XI საუკ. წყაროებში იხსენიება აგრეთვე პირენეის სხვა ქალაქების — ვორმოსისა და შპეიერის ვაჭრობა. ვესტფალიის ქალაქებიდან მნიშვნელობა მოიპოვა დორტმუნდმა, მაშინ როდესაც უტრეხტი ნელნელა სწორდებოდა წელში ნორმანების განადგურების შემდეგ, ხოლო კაროლინგების დროს ცნობილი ქალაქი დორესტადი მათ მიერ იმ ზომამდე იყო დანგრეული, რომ მისი სახელიც კი დავიწყებულ იქნა. პირიქით იმავე ოლქში დაწინაურდა ტილი, რომელიც ინგლისთან ეწეოდა ვაჭრობას. დუნაიზე მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო რეგენსბურგი. ამ ქალაქს ჰქონდა განსაკუთრებული ნაწილი, სადაც ცხოვრობდენ ვაჭრები (pagus mercatorum) და თვით მისი სახელწოდება (Ratispona) წარმოსდგებოდა იქედან, რომ ყველა ქვეყნებიდან საქონლის მომზიდი გემები აქ ჩერდებოდენ და აწარმოებდენ საქონელთა გადმოტვირთვას (rates ponuntur). რეგენსბურგი როლს თამაშობდა ვაჭრობაში კიევთან, პოლონეთთან, უნგრეთთან და ჩეხიასთან, რადმენადაც ასეთი ვაჭრობა შესაძლებელი იყო ამ ქვეყნებში წარმოებული თითქმის განუწყვეტელ ომიანობისა და თარეშების პირობებში; მუდმივი ვაჭრობა კონსტანტინოპოლთან დუნაიზე, — როგორც ეხლა გამოირკვა — მაშინდელ დროში არ ყოფილა. ჩრდილოეთ-საფრანგეთისა და გერმანიის ვაჭრები მე-X — XI საუკ. დადიოდენ ინგლისში. ეტელირედ II (978-1016) დროინდელ ლონდონის სტატუტებში იხსენიება ბაჟები, რომელთაც იხდიდენ რუანის, ნორმანდიის, საფრანგეთის და ფლანდრიის ვაჭრები და აგრეთვე იმპერატორის ქაცები. მათ მოაქვთ ღვინო და ყიდულობენ მატყლს. გოტლან-

დისა და გერმანელების ნოვგოროდთან ვაჭრობის შესახებ უდაო ცნობებია მხოლოდ მე-XII საუკ. ბოლოდან.

ამ ეპოქის ვაჭრობას (ხელოსნობის დაგვარათ) აქვს მოხეტიალე ხასიათი (mercator cursorius). ერთი ადგილიდან მეორეზე თავიანთი ყუთებით მოსიარულე ვაჭრები გვხვდება ვესტგოთურ სამართლია წიგნში, ისე როგორც უფრო უგვიანეს წყაროებში. ასეთი მოხეტიალე ვაჭრის მოღვაწეობის აღწერას მის სხვადასხვა ფორმებში ჩვენ ვპოულობთ Vita S. Godrici-ში, რომელიც მიეკუთვნება მე-XI საუკუნის ბოლოს, ამ დროს წმ. გოდრიკი ეწეოდა ვაჭრობას. მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო უმნიშვნელო მეწვრილმანეობიდან; ლინკოლნშირის (ინგლისშია) ჩრდილო ნაწილში ის ატარებდა „წვრილ" საქონელს, „ეთრეოდა დაღლილი ფეხებით" სოფელ-სოფლად. შემდეგში მან დაიწყო ქალაქის ვაჭრებთან ერთად ციხეების, ქალაქებისა და ბაზრების შემოვლა და „უფრო ძვირფასიან საქონლის" გაყიდვა. დასასრულს მან ხელი მიჰყო ზღვებზე მოგზაურობას, სხვა ვაჭრებთან ერთად შეიძინა უფლება ხომალდის ნახევარ ნაწილზე და დაიწყო მიმოსვლა მათი თანხლებით დანიასა და ფლანდრიაში, — ყოველ ადგილზე ისინი იძენდენ ერთგვარ საქონელს და ყიდდენ მეორენაირს. ის ყოველთვის ყიდულობდა „ისეთ საქონელს, რომელიც სხვა ადგილას დიდათ ფასობდა და ეზიდებოდა მას იქ, სადაც თითქმის არ იცნობდენ და ამიტომ მზად იყვნენ მასში ოქროზე მეტი ფასი გაეღოთ". ასე მოგზაურობდა ის და „ოფლის ღვრით მოიპოვა თავისთვის დიდი სიმდიდრე". ის იყო არა მარტო ვაჭარი, არამედ თავისი გემის კაპიტანიც, და ზღვათა დენისა და ვარსკვლავთა დაკვირვების საფუძველზე საზღვრავდა გემის კურსს, ხოლო ქარის მიმართულებით „მოხერხებულათ" წინასწარმეტყველობდა ამინდს, ლოცვები იფარავდა მას გემის დაღუპვისაგან, ისე როგორც მეკობრეებისაგან და აგრეთვე მისი საკუთარ ამხანაგების თავდასხმისაგან.

უნდა ითქვას, რომ ერთი ადგილიდან მეორეში მოხეტიალე ვაჭრები რომლებიც ხშირად მთელ თავის საქონელს ზურგით ატარებდენ, იმ ხანებში კმაყოფილდებოდენ უბრალო გაცვლა-გამოცვლით. ფეოდალურ სამფლობელოს შიგნით გაცვლა-გამოცვლას არ ჰქონდა ადგილი; საგნები მემამულესათვის მოქონდათ გამოსაღებთა სახით, ხოლო გლეხებს კი ეძლეოდათ დახმარების სახით (თესლი). საქმიანობის შესრულება სწარმოებდა, როგორც საბატონო შრომა, ან ურთიერთ დახმარება გლეხებს შორის, ქოხის აგების დროს და სხვ. ამგვარადვე თითქმის არ ხდებოდა გაცვლა-გამოცვლის გარიგებანი არც დასახლებულ ადგილებს შორის; არა მარტო იმის გამო, რომ საქმიანობის სპეცია-

ლიზაცია არ იყო, არამედ იმიტომაც, რომ ხალხი ვერ შეჩვეოდა გაცვლა-გამოცვლას, — ამ უკანასკნელის მაგიერ მოქმედობდა ჩუქება. როგორც ლ ა მ პ რ ე ხ ტ ი აღნიშნავს მე-XI საუკუნეშიც კი რაიმეს ყიდვა გამონაკლისის სახით სწარმოებდა, ჩვეულებრივი იყო საჩუქრის მიღება ან ძალადობის ჩადენა უცხო ტომის მიმართ. მებატონეები ერთი მეორეს სთხოვდენ რომელიმე ნივთის ჩუქებას. ამ საჩუქრებისაგან მხოლოდ თანდათანობით წარმოიშვა ნაცვალგებითი გაცვლა-გამოცვლა. ჩუქებას თან სდევდა ასეთივე ჩუქება, ან დასაჩუქრებული თავის მხრივ აძლევდა მჩუქებელს რაიმეს pro caritate. გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა აგრეთვე ეკლესიისათვის ქონების გადაცემა ლოცვებისათვის და სულის ეშმაკის ძალისაგან განთავისუფლების (redemito animae) სანაცვალგებოდ.

ამრიგათ შინაგანი გაცვლა-გამოცვლა ევროპის ხალხებს შორის შედარებით გვიან წარმოიშვა. სატომთაშორისო გაცვლა გაჩნდა უფრო ადრე; დროებით ის წარმოიშვა ჯერ კიდევ რომის იმპერიის ხანაში — ეს იყო როგორც ზევით აღვნიშნეთ გაცვლა მოსაზღვრე ტერიტორიებზე (commercium in ripa) რომაელებსა და გერმანელებს შორის, შემდეგში ის შემცირდა (თუმცა არ გამქრალა სრულიად) და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მის მაგიერობას სწევდა უმთავრესად ქონების უსასყიდლოთ შეძენა — ძარცვა-გლეჯა. ვაჭრები ერთდაიმავე დროს მეკობრეებიც იყვენ; თავდაპირველად მოგების მნიშვნელობა იყო — ნაძარცვი ქონება. სიტყვები „Cocrum" და „Lohu", „Vinnunge" და „Geurnn" აღნიშნავენ გატაცებულ ნადავლს. ნორმანელი ვიკინგები ერთსა და იმავე დროს იყვენ ვაჭრებიც და ყაჩაღებიც. როდესაც ნავთსადგურში შედიოდენ, ისინი იალქანზე წითელ ფარს ასწევდენ ხოლმე — ნიშნად მშვიდობიანობისა, და შეუდგებოდენ პატიოსან გაცვლა-გამოცვლას; ამ უკანასკნელის დამთავრების შემდეგ კი ჩაუშვებდენ ფარს და დაიწყებდენ, ასევე პატიოსან ძარცვა-გლეჯას. საკსებმა, დანიელებმა და ვენდებმა — თავიანთი სავაჭრო მოღვაწეობა ძარცვა-გლეჯით და მეკობრეობით დაიწყეს. რამდენათაც ძალადობა შეწყდა, მოგება უმთავრესად წარმოადგენდა შედეგს დატყვილებითი მოქმედებისა. Kaufmann, mercator, mercender, negotiator — მაშინდელი დროის გაგებით — პირველად ყოვლისა ცრუა, მომტყვილებელია, ისეთი კაცია, რომელიც საეკვო საშუალებას მიმართავს თავისი ცუდი ხარისხის საქონლის გასაღების მიზნით; და კაროლინგების ეპოქაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა მოტყვილების დაშვება ვაჭრობაში (touschen— გაცვლა და täuschen მოტყუილება ერთი და იგივეა). „ვაჭრობა სუ-

ლისათვის საშიშია, რადგან მოტყუილებას აქვს მასში ადგილი" — წმ. იერონიმეს სიტყვებია.

საჩუქრების საშუალებით სხვადასხვა ტომთაშორის წესდება მშვიდობიანი სავაჭრო ურთიერთობა; ასე მაგ., კარლოს დიდი გაცვლა-გამოცვლას იწყებს ხალიფებთან, უგზავნის მათ თავის კაცებს საჩუქრებით, და სამაგიეროთ იღებს აღმოსავლურ ქსოვილებს, ნელსაცხებლებს და წყლის საათსაც კი. მტრობა სწყდება მხოლოდ დროებით და შესაძლოა ყოველ წუთში მისი განახლება, რისთვისაც თვით გაცვლა სწარმოებს ნეიტრალურ, მოსაზღვრე ზონაში; მხოლოდ ასეთ ხასიათს ატარებდა გაცვლა გერმანელებსა და რომაელებს შორის. ვაჭრები ვერ ბედავდენ უცხო ქვეყანაში ღრმად შეჭრას: ბრიტანეთში რომაელ ვაჭრებისათვის მხოლოდ სანაპირო ადგილები იყო ცნობილი; თუმცა მათ არც უშვებდენ შიგ — ნერვების ტომი სრულ უარყოფდა რომაელ ვაჭრების დაშვებას, არა იმიტომ, რომ ეშინოდათ ღვინის გამნებივრებელი გავლენისა, როგორც ფიქრობს ც ე ზ ა რ ი (წიგ. II თ. 15), არამედ იმის გამო, რომ ეშინოდათ მათი მხრივ მტრული მოქმედებისა. და შემდეგში ბაზრები ეწყობოდა საზღვრებზე; ჩვენ მათ ეპოულობთ უმთავრესად საფრანგეთ-ვალონიის მოსაზღვრე ზონაში, — „კარლოს დიდის" საზღვარზე. ბარდოვიკი, მაგდებურგი, ერფურტი, ფორხგეიმი, რეგენსბურგი, ლორხი მოსაზღვრე ბაზრებია სავაჭრო გაცვლა-გამოცვლისათვის სლავიანებსა და ავარებს შორის. მემატიანეს სიტყვით „სახელგანთქმული საერთაშორისოდ ცნობილი" მე-IX საუკუნის სავაჭრო ქალაქი დორესტადი, პირველად მოსაზღვრე ციხეს წარმოადგენდა ფრიზების ქვეყანაში.

ვაჭრობა მჭიდრო კავშირში იყო ღვთის მსახურებასთან, სიტყვები „მესსა", „feriae" ნიშნავენ სერობასაც და ბაზარსაც; ვაჭრობა უერთდებოდა საეკლესიო დღესასწაულებსა და პროცესიებს, რადგან უკანასკნელი იწვევდა განსაზღვრულ დღეებში ხალხის შეჯგუფებას; ხშირად ეკლესიის კურთხევის დღეს ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებნი ვალდებული იყვნენ ეკლესიაში ევლოთ სალოცავათ. ეს კავშირი ისე შორს მიდიოდა, რომ პირველად ვაჭრობა თვით ტაძარში სწარმოებდა: იმ დროს, როდესაც ეკლესიის შენობის ერთ ნაწილში ღვთის მსახურება მიდიოდა, მეორეში, ე. წ. ეკლესიის გემში ხდებოდა საქონლის გაცვლა-გამოცვლა. მხოლოდ აქ, „ღვთის სამყაროში" შეიძლებოდა წარმოებულიყო ტომთაშორისო გაცვლა-გამოცვლა მტრული შეჯახების გარეშე. აქედან ამ ეკლესიებმაც მიიღეს სახელწოდება (მაგ., იპრში, რუანაში, ნოიონში, პატიეში, მეტცაში, ვესტმინსტერში) სავაჭროსი, საბაზრო ეკლესიებისა (ecclesia forensis,

ecclesia mercatorum). მხოლოდ შემდეგ საჯარო ვაჭრობა გადატანილ იქნა ტაძრის წინ მდებარე მოედანზე; მთელი საშუალო საუკუნოების ხანაში ამ მოედნებზე იყო ბაზრები, ეწყობოდა სავაჭრო რიგები, სდგამდენ დარაბებს, კარვებს და სწარმოებდა ვაჭრობა. უძველესი სიგელები ბაზრის მოწყობაზე უფლების შესახებ ეძლეოდათ ეკლესიებსა და მონასტრებს, როგორც ფრანკთა მონარქიაში, ისე ინგლისშიც, სადაც მონასტრებმა — ვესტმინსტერის, იორკის, დურგეშის, ვინჩესტერის — მოაწყვეს ახალი ბაზრები; მე-XII საუკუნის ბოლომდე გერმანიაში გაცემული ყველა პრივილეგიების ცხრა შეათედი სასულიერო პირებზე მოდის. საშუალო საუკუნოების მნიშვნელოვანმა სავაჭრო ქალაქებმა, როგორიც არის ბაზელი, სტრასბურგი, კონსტანცი, კელნი, ჟახენი, ნიურენბურგი, პრაგა, უტრეხტი, ვესტმინსტერი და სხვ., თავიანთი სავაჭრო მნიშვნელობა დაიმსახურეს იმ წმინდანების წყალობით, რომელთაც იქ თაყვანს სცემდენ და იზიდავდა აღნიშნულ ქალაქების მონასტრებში შორეულ ადგილების პილიგრიმებს. გოტლანდზე მდებარე მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტ ვისბის ეწოდება „წმინდანის ქალაქი", — ის პირველად იყო მსხვერპლის შეწირვის ადგილი. ზანდეფიორი ნორვეგიაში ერთ და იმავე დროს ტაძარიც იყო, ბაზარიც და ნავთსადგურიც. ტყუილა არ იყო, რომ ვენეციელები კომერციული მიზნით ყოველის მხრივ ცდილობდენ შეეძინათ (ნაწილობრივად ეს ხდებოდა ძალდატანების სახით) წმინდანების ნაწილები; მაგ., მაფ იშოვეს წმ. ბართლომეს ხელი, წმ. მარკოზის ნაწილი და სხვ.

გაცვლა, მაშასადამე თავმოყრილი იყო განსაზღვრულ ადგილებში და ხდებოდა განსაზღვრულ დროს. მისი წარმოება შესაძლებელი იყო მხოლოდ საეკლესიო მოედანზე, ბაზარზე, მაგრამ არ უნდა წარმოებულიყო ბაზრის გარეშე, ე. ი. ფარულად ან ღამით. ჩვეულებრივად გაცვლა ხდებოდა მხოლოდ უქმე, ე. ი. საღვთისმსახურო, დღეებში. ამიტომ კვირა, მიუხედავათ ეკლესიის მხრივ ყოველივე აკრძალვისა, მთელ საშუალო საუკუნოების ხანაში საბაზრო დღეს წარმოადგენდა. ანდა გაცვლა სწარმოებდა იმ დღეებში, როდესაც მოვიდოდენ სავაჭრო ქარავანები, უფრო მეტი, გაცვლა-გამოცვლას ადგილი ჰქონდა დღის განსაზღვრულ საათებში, რა დროის განმავლობაშიც გრძელდებოდა ბაზარი. მხოლოდ საბაზრო ადგილზე და ბაზრობის დროს წყდებოდა ტომთაშორის შუღლი; მთელს გოლშტინიაში, მაგ., სამი ყოველწლიური ბაზრობა ერთადერთი დრო და ადგილი იყო სრულიად უშიშარ გაცვლა-გამოცვლისათვის. ამის გარეგან გამოხატულებას წარმოადგენდა ბაზრის გახსნის დროს დასობილი და საბაზრო დროის

განმავლობაში აღმართული ჯვარი (ან დროშა), ნიშანი იმისა, რომ ბაზარი იმყოფება მეფის მფარველობის ქვეშ (ისევე როგორც მას იცავს ეკლესია), — თანდასწრებით მისი ან მისი წარმომადგენელის, გრაფის ან index-ის, რომელიც თვალყურს ადევნებს წესრიგს ბაზარზე, და აგრეთვე მოწმეებისა... ხდება სავაჭრო გარიგებანი. ამასთანავე საჭირო იყო რწმუნებანი ორთავე მხარისა, შესახებ იმისა, რომ გარიგება (სწორი გარიგება) დადებულია ურთიერთ-თანხმობით, ძალდატანების გარეშე. გარიგების საჯარო ხასიათს და მოწმეთა თანდასწრებას მოითხოვს აგრეთვე ანგლო-საქსური კანონებიც (თუ ობიექტის საფასური 4 დენ. აღემატება, სავალდებულოა მოწმები). მეფის მფარველობით (ისე როგორც ეკლესიის, — წმ. პეტრეს მშვიდობა, pax Dei), სარგებლობს ბაზარზე მყოფი ყოველი პირი; აქედან წარმოიშვა მათი სახელწოდება: „მეფის" ვაჭრები. ისინი მფარველობით სარგებლობდენ, როგორც თვით ბაზარზე, ისე მის მიდამოებში ერთი მილი მანძილის დაშორებით და აგრეთვე ბაზარში მიმავალ გზებზე („მეფის" გზები), ბაზრობის დროს და რამოდენიმე ხნის განმავლობაში მისი დამთავრების შემდეგ, ჩვეულებრივად 40 დღეს წელიწადში (მაგ., ინგლისში, ფლანდრიაში). ყოველი დარღვევა ამ საბაზრო მშვიდობიანობისა საბაზრო თავისუფლების და უშიშროებისა დაუყოვნებლივ სასტიკათ ისჯება ბაზარზე დამსწრებ თანამდებობის პირის გაჩენით, საბაზრო მოსამართლის მიერ (index fori), რომელიც იქვე იხილავს ხოლმე აგრეთვე ბაზარზე აღმოცენებულ სამოქალაქო ხასიათის ყოველ დავას. მიუხედავად ამისა იშვიათი იყო შემთხვევა, რომ ბაზარზე არ მომხდარიყო მტრული შეჯახება, ჩარვებისა და დუქნების დამტვრევა; ძნელი იყო შერიგება იმ მდგომარეობასთან, რომ ადამიანი თუნდაც დროებით არა მტრულად მოეპყრას უცხო ტომელს. ჯერ კიდევ მე-X საუკ. მეორე ნახევარში ბაზარზე წარმოშობილი ჩხუბი, რომელიც საერთო ხოცვა-ჟლეტაში გადავიდა, დამთავრდა ქალაქ აუგსბურგის დანგრევით.

ბაზრობის დროს იჭრება ფული; მსგავსად ხელოსნებისა და ვაჭრებისა, ფულის მომჭრელნიც თავდაპირველათ მოხეტიალენი იყვნენ. ბაზარზე ეწყობა ფულის გადამხურდავებელი კანტორა (ზარაფხანა); აქვე ჰკრეფენ საბაზრო გამოსაღებს; პრივილეგიებში ყოველთვის ნათქვამია — donavimus merafum cum theleneo ac moneta. უფლება ფულის მოჭრისა, გამოსაღების გადახდევინებისა, ისე როგორც თვით უფლება ბაზრების მოწყობისა, შეადგენს მეფის რეგალიას; შემდეგში ის გადადის ფეოდალებზე. შემცდარი იქნებოდა მტკიცება იმისა თითქოს ამ ეპოქაში ფულის როლი იმაში მდგომა-

რეობდა, რომ ის იყო იარაღი გაცვლა-გამოცვლისა, რადგან თვით გაცვლა იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. პირველად ყოველისა ფული გადასახადის საშუალება იყო. ის იყო დანიშნული ჩინშას, ბეგარების, ხარკის, ვირას, სავაჭრო გამოსაღების გადასახდელად, საჩუქრისათვის და აგრეთვე წარმოადგენდა ფასეულობის საზომს. ფული გამოხატული იყო, არა მარტო კეთილშობილ ლითონების ფორმაში, არამედ ბევრ სხვა საგნებშიაც. ჩინშას გადახდა სწარმოებდა პურით, კვერცხით, ქათმით, გოჭით, ღვინით; ხშირად გვხვდება ვირაში გადახდილი განსაკუთრებით მეწველი ძროხები „რქებით, თვალთა ხედვას უკლები და ჯანსაღ“, ანდა ქსოვილები; ბეგარა იხდევნებოდა იარაღით, პირუტყვით; სავაჭრო გამოსაღები — ხშირად პილპილით, საჩუქრისათვის დანიშნული იყო უმთავრესად ტომრით მარილი. და რამდენადაც მოქმედებდენ ლითონები (არა მარტო ვერცხლი, არამედ არაკეთილშობილი ლითონებიც), მათ ჰქონდათ სხვადასხვაგვარი სამკაულების ფორმა, და მხოლოდ ბაზრობის დროს იქედებოდა მონეთი. ლითონებს განსაკუთრებით ვხვდებით ბეჭდებისა და სამაჯურების სახით: გულუხვი მეფე გერმანულ ეპოსში იხსენიება „ბეჭდების გამცემათ“; ძველ ისლანდიურ სასამართლო წიგნაკში კარს ვირას შესახებ ეწოდება „Baugotal“, ე. ი. ბეჭდების სია. მე-X — XI საუკ. დაგროვილი სიმდიდრე (განძი — thesaurus, მემკვიდრეობა) შესდგებოდა ჭურჭლეულობისაგან, კეთილშობილ ლითონების სამკაულებისაგან და სხვ. და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილში მონეთისაგან. ამრიგათ ისინი დანიშნული იყვენ მოსახმარებლად; საგნების სიმარტივის და ყმების შრომის სიიაფის გამო, არ წარმოადგენდა საზარალოს საჭიროების შემთხვევაში მონეთად გადაექციათ ისინი, რაც ნამდვილად ხდებოდა განსაკუთრებით მონასტრების მიერ, როდესაც დადგებოდა დრო მნიშვნელოვანი გამოსაღების გადახდისა. იმავე მიზეზის გამო მონეთი წმინდა ვერცხლისაგან შესდგებოდა და მას პირველად არ ურევდენ სხვა ლითონებს, რადგან ეს გარემოება შეუძლებელს გახდიდა ფულის ისევ სხვა რაიმე საგნათ გადაქცევას. იმ დროს როდესაც სხვა საგნების რაოდენობა განისაზღვრება, შემდეგ კიდევ დიდხანს, დაახლოვებით, თვალით, ზომა-წონის გამოუყენებლად, ძვირფასს ლითონების აწონა, გამოსაღების დროს, ხმარებაში შემოვიდა ჯერ კიდევ ადრინდელ საშუალო საუკუნოებში, — კეთილშობილი ლითონები მიიღება წონით. ჩნდება მონეთი „დენარიების სახით, რაიც შეადგენს გირვანქა წმინდა ვერცხლის 1/240 ნაწილს, წონის ერთეული ლიბრა ან გირვანქა იმავე დროს მიღებულია ფულის ერთეულადაც.

მაგრამ მთავარ ფულს საერთაშორისო ვაჭრობაში წარმოადგენდა ბიზანტიური ოქრო — uperperus ან besand (სიტყვიდან: ბიზანტიური) და არაბული — dirhem ან დრახმა (მას ეწოდებოდა აგრეთვე migliaresi). ეს მთლიანად შეეფერებოდა ბიზანტიისა და არაბების როლს, როგორც მაშინდელი დროის საავაჭრო შუამავლებისა, — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

დასასრულ ჩვენ მიერ განხილულ პერიოდის საერთო დახასიათებისათვის საჭიროა ყურადღება მიექცეს ერთ მეტად ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას, რომელმაც თავის დაღი დაასვა მთელ ამ ეპოქას: მუდმივი სიმშილობანი. მე-VIII — XIII ს.ს. სიმშილობათა ისტორიის მკვლევარი ფრიც კურშმანი მიუთითებს იმაზე, რომ მე-IX საუკუნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ოთხ პერიოდს საერთო სიმშილიანობისა, რომელიც რამოდენიმე წელს გრძელდებოდა და მოდებული იყო დასავლეთ ევროპის უმთავრეს ნაწილზე. გარდა ამისა მე-IX საუკუნის 65 წლის განმავლობაში და მე-XI საუკუნის 60 წლის განმავლობაში (მე-X საუკუნის შესახებ არ არის ცნობები), როგორც დასტურდება სიმშილს ადგილი ჰქონია ევროპის ამა თუ იმ რაიონში. ამ სიმშილიანობას თან მოსდევს ჟამის (შავი ჭირის) ეპიდემიები, ის იწვევს კანიბალიზმს. მემატიანეები გადმოგვცემენ, რომ 793, 868, 869, 896, 1005 და 1032 წ.წ. სწარმოებდა კაციჭამიობა და არა ერთეული ფაქტების სახით, არამედ როგორც მასიური მოვლენა. „კაცი კაცს სჭამდა", სთხრიდენ საფლავებს და გვამებით იკვებებოდენ; უფრო ძლიერი კლავდა სუსტს, სწვავდა მას და სჭამდა; დედები ხოცავდენ თავიანთ შვილებს, რომ მათი ხორცით მოეკლათ სიმშილი.

(ი. კულიშერი — დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების ისტორია, ტ. I).

§. 8. მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ა

პროცენტის მომტანი კაპიტალი, — თუ მისი ძველი ფორმიდან გამოვალთ, როგორც ჩვენ შეგვიძლია მას უწოდოთ, — სავახშო კაპიტალი თავის ტყუბ საავაჭრო კაპიტალთან ერთად, ეკუთვნის კაპიტალის წარღვნაზე ადრინდელ ფორმას, რომელიც ბევრად წინ უსწრებს წარმოების კაპიტალისტურ წესს და არსებობდა ფრიად მრავალგვარ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებში.

იმისთვის რათა სავახშო კაპიტალს არსებობა შეეძლოს, აუცილებელია მხოლოდ ერთი, რამ: უკიდურეს შემთხვევაში პროდუქტთა

ნაწილი უნდა გადაიქცეს საქონლად და საქონლური ვაჭრობის გვერდით ფულებმა უნდა განაგითაროონ თავისი სხვადასხვაგვარი ფუნქციები.

სავაჭრო კაპიტალის განვითარება დაკავშირებულია სავაჭრო კაპიტალის და ნაწილობრივ ფულით მოვაჭრეთა კაპიტალის განვითარებასთან. ძველ რომში, რესპუბლიკის უკანასკნელი წლებიდან დაწყებული, როდესაც მანუფაქტურა საშუალო დონეზე მნიშვნელოვანად დაბლა იდგა, ფულით სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალმა განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია — თავის ანტიური ფორმის ფარგლებში.

ჩვენ დავინახავთ, თუ რაგვარი აუცილებლობით მივყევარ ფულს საგანძურთა წარმოშობისაკენ. მიუხედავად ამისა განძეულობის პროფესიონალური შემქმნელ-დამგროვებელი მნიშვნელობას ჰპოულობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იქცევა მევაჭრეთ.

ვაჭარი ფულს სესხულობს იმისთვის, რომ მისგან მიიღოს მოგება, გამოიყენოს ის, როგორც კაპიტალი, ე. ი. დააბანდოს. მაშასადამე, განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურებზედაც, ფულადი კრედიტორი სწორედ იმავე მიმართებაშია მასთან, როგორც თანამედროვე კაპიტალისტთან. ამ მიმართებათა სპეციფიურ ხასიათს გრძნობდენ ჯერ კიდევ კათოლიკური უნივერსიტეტები. „უნივერსიტეტები ალკალისა, კელნისა, სალამანკისა, ინგოლშტადტისა, ფრეიბურგისა ბრეისგაუში, მაინცისა და ტრირისა ერთი მეორეზე სცნობდენ სავაჭრო სესხებში პროცენტების სამართლიანობას... ყველა იმ ფორმებში, რომლებშიაც გამდიდრების საშუალებას წარმოადგენს მონური მეურნეობა (არა პატრიარქალური, არამედ იმ ფორმაში, რომელშიაც ის ჩამოყალიბდა საბერძნეთისა და რომის გვიანდელ ეპოქაში), სადაც მაშასადამე ფულები მსახურებენ სხვათა შრომის მისაკუთრების საშუალებად, — მონათა და მიწების ყიდვით, და ა. შ., — ყველა ასეთ შემთხვევაში საბელდობრ იმიტომ, რომ შესაძლებელია ფულების ამ ხერხით დაბანდება, შესაძლებელია მათი გამოყენება როგორც კაპიტალისა, ისინი იწყებენ პროცენტების მოტანას.

კაპიტალისტური წარმოების წესის წინამსრბოლ პერიოდში სავაჭრო კაპიტალი არსებობს ორ მისთვის დამახასიათებელ ფორმაში, მე ვლაპარაკობ „დამახასიათებელ" ფორმებში. სწორედ იგივე ფორმები მეორდებიან შემდეგშიაც, კაპიტალისტური წარმოების ბაზისზე, მაგრამ მხოლოდ როგორც დაქვემდებარებული ფორმები. აქ ისინი უკვე არ წარმოადგენენ ფორმებს, რომლებიც არკვევდეს პროცენტის მომტანი კაპიტალის ხასიათს. ეს შემდეგი ორი ფორმაა: პ ი რ ვ ე ლ ი, მევაჭრეობა ფულადი სესხების შემწეობით წარჩინებულ

მფლანგველებზე, უმეტესად მიწათმფლობელებზე; მ ე ო რ ე, მევახშეობა ფულადი სესხის სახით წვრილ-მწარმოებლებზე, რომლებიც ფლობენ თავიანთი შრომის პირობებს და რომელთა რიცხვს ეკუთვნის ხელოსანიც, მაგრამ განსაკუთრებით გლეხი, რადგანაც წინაკაპიტალისტური მიმართებების დროს, რამდენადაც ესენი საერთოდ შესაძლებელს ხდიან ცალკე მწარმოებელთა წვრილ დამოუკიდებელ წარმოებას, უკანასკნელთა დიდი უმრავლესობა უნდა შეადგინოს გლეხობის კლასმა.

მევახშეთა მიერ მიწების მდიდარ მესაკუთრეთა განადგურებაა და წვრილ მწარმოებელთა ექსპლოატაციას ერთგვარი ზომით მივყევართ მსხვილი ფულადი კაპიტალის წარმოშობისა და კონცენტრაციისაკენ. მაგრამ თუ რა ზომით ანადგურებს ეს პროცესი წარმოების ძველ წესს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა თანამედროვე ევროპაში, და აყენებს თუ არა მის ადგილას წარმოების კაპიტალისტურ წესს, — ეს დამოკიდებულია საფეხურისაგან ისტორიული განვითარებისა და ამასთან დაკავშირებულ გარემოებათაგან.

სავახშო კაპიტალი, როგორც პროცენტის მომტანი კაპიტალის დამახასიათებელი ფორმა, შეეფარდება დამოუკიდებელ მეურნეობის მიმდევარ გლეხთა და წვრილ ხელოსნურ ოსტატთა წვრილი წარმოების გაბატონებულ მდგომარეობას. იქ, სადაც მსგავსად განვითარებული კაპიტალისტური წარმოების წესისა — შრომის პირობები და შრომის პროდუქტი უპირდაპირდებიან მუშას, როგორც კაპიტალი, მუშას როგორც მწარმოებელს არა აქვს საჭიროება ისესხოს ფული. თუ ის სესხულობს, — მაგალითად, გამსესხებელ სალაროდან, თავის პირადი საჭიროებისათვის. მაგრამ იქ, სადაც მუშა წარმოადგენს მესაკუთრეს — ნამდვილს ანუ ნომინალურს — თავისი შრომის და თავისი პროდუქტის პირობებით, ის უკვე როგორც მწარმოებელი, იმყოფება გარკვეულ მიმართებაში კაპიტალისადმი ფულადი კრედიტორისა, რომელიც უპირისპირდება მას სავახშო კაპიტალის სახით. ნ ი უ მ ა ნ ი ამ ფაქტს გამოხატავს თანასწორ ფორმაში, ამტკიცებს რა, რომ ბანკირი სარგებლობს პატივისცემით, ხოლო მევახშე სიძულვილით იმიტომ, რომ პირველი ფულს ასესხებს მდიდრებზე, ხოლო მეორე ღარიბებზე... ის ვერ ამჩნევს რომ ბანკირსა და მევახშეს შორის მდებარეობს განსხვავება ორი საზოგადოებრივი წარმოების წესისა და მათი შესაბამი საზოგადოებრივი წყობის ფორმებისა, ასე რომ საკითხი სავსებითაც არ ამოიწურება სიღარიბისა და სიმდიდრის დაპირისპირებით. სინამდვილეში ის მევახშე რომელიც სწოვს წვრილ მწარმოებელს, ჩვეულებრივად ხელიხელჩაკიდებული მიდის იმ მე-

ვახშესთან, რომელიც სწოვს მდიდარ მსხვილ მიწათმფლობელს. როდესაც რომის პატრიციათა მევახშეობამ საბოლოოდ გაანადგურა რომის პლებეები, წვრილი გლეხები, დადგა აღსასრული ექსპლოატაციის ამ ფორმისა და წვრილ-გლეხური მეურნეობის ადგილი დაიჭირა წმინდა მონათმფლობელურ მეურნეობამ.

მევახშეს ამ ეპოქაში პროცენტის ფორმით შეუძლია ჩანთქას მთელი ნაჭარბი (ის, რისგანაც შემდეგში ხდება მოგება და მიწის რენტა) მწარმოებლის არსებობისათვის აუცილებელ საშუალებაზე ზევით (იმ ჯამზე ზევით, რაიც შემდეგში შეადგენს მის ხელფასს), და ამიტომ ყოველად უაზრობაა ამ პროცენტის სიმაღლის, — რომელიც შეიცავს მთელ ზედმეტ ღირებულებას, მისი იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც სახელმწიფოს წილზე მოდის, — შედარება თანამედროვე ეპოქის პროცენტის სიმაღლესთან, როდესაც პროცენტი, ყოველ შემთხვევაში ნომინალური პროცენტი, შეადგენს მხოლოდ ნაწილს ამ ზედმეტი ღირებულებისა. ამავე დროს ივიწყებენ, რომ დაქირავებული მუშა აწარმოებს და აძლევს კაპიტალისტს, — რომლისთვისაც ის მუშაობს, — მოგებასაც, პროცენტსაც და მიწის რენტასაც, ერთის სიტყვით, მთელ ზედმეტ ღირებულებას. კერი მიმართავს ამ თანასწორ შედარებას, რათა გვიჩვენოს, თუ რამდენად ხელსაყრელია მუშისათვის კაპიტალის განვითარება და მისი თანამდევი პროცენტის ზომის დაცემა. და თუ მევახშე არ კმაყოფილდება თავისი მსხვერპლიდან ზედმეტი ღირებულების გამოქაჩვით, შემდეგ მიისწრაფის რათა ნელ-ნელა მოიპოოს ტიტული საკუთრებისა თვით მისი შრომის პირობებზე, მიწაზე, სახლზე და ა. შ., და თანდათანობით ხელს მიყოფს მის ასეთ ექსპლოატაციას, და როდესაც ამ გარემოებაზე მიუთითებენ, ისევ ივიწყებენ, რომ მუშისათვის მისი შრომის სრული ექსპროპრიაცია წარმოადგენს არა შედეგს, რომლისადმი მოისწრაფის მხოლოდ წარმოების კაპიტალისტური წესი, არამედ მზა წინამსრბოლს საიდანაც ის გამომდინარეობს. საქირაო შრომის მონა, სწორედ ისევე როგორც ნამდვილი მონა, თვით თავისი მდგომარეობით ჩაყენებულია პირობებში, რომელიც მისთვის, — ყოველ შემთხვევაში, როგორც მწარმოებლისათვის — სპობს შესაძლებლობას რათა გადაიქცეს გამსესხებელის მონად; მართალია მას შეუძლია გახდეს ასეთი, მაგრამ მხოლოდ როგორც მომხმარებელს. ამგვარად, საკუთრო კაპიტალი მის იმ ფორმაში, რომელშიაც ის ნამდვილად ითვისებს უშუალო მწარმოებელთა მთელ ზედმეტ შრომას, არ სცვლის რა ამავე დროს თვით წესს წარმოებისა; რომელშიაც მის არსებით წინამსრბოლს წარმოადგენს საკუთრების უფლება ანუ მწარმოებლის მფლობელობა მისი

შრომის პირობებისა და ამისივე შესაბამი წვრილი დაქსაქსული წარმოება; რომელშიაც კაპიტალი, მაშასადამე, არ იქვემდებარებს უშუალოდ შრომას და ამიტომ არ უპირისპირდება მას, როგორც სამრეწველო კაპიტალი, — ასეთ მევახშურ კაპიტალს მივყევართ წარმოების მოცემული წესის პაუპერიზაციისაკენ, ის ასუსტებს საწარმოო ძალებს ნაცვლად იმისა, რომ განავითაროს ისინი, და იმავე დროს სამუდამოდ აქცევს იმ ბოროტ მიმართებათ, რომლის დროსაც შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერება ვითარდება, როგორც კაპიტალისტურ წარმოებაში თვით შრომის ანგარიშზე.

ამგვარად, ერთის მხრივ, მევახშეობა ანგრევს და აქარწყლებს ანტიურ და ფეოდალურ სიმდიდრეს, და, ანტიურ და ფეოდალურ საკუთრებას. მეორეს მხრივ, ის ანგრევს და აჩანაგებს წვრილ-გლეხურ და წვრილ-ბურჟუაზიულ წარმოებას, მოკლეთ რომ ვსთქვათ, მთელ ფორმებს, რომლის დროსაც მწარმოებელი კიდევ წარმოადგენს თავის წარმოების საშუალებათა მესაკუთრეს. განვითარებულ კაპიტალისტური წარმოების წესის დროს მუშას არ ეკუთვნის მისი წარმოების პირობები, — მინდორი, რომელსაც ის ამუშავებს, ნედლი მასალა, რომელსაც ის ამუშავებს, და ა. შ. მაგრამ მწარმოებლიდან საწარმოო პირობათა ამ გამოთიშვას ამ შემთხვევაში ამართლებს თვით წარმოების წესში მომხდარი ნამდვილი გადატრიალება. დაქუცმაცებული მუშები ერთიანდებიან მსხვილ სახელოსნოში, ცალკეულ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ფუნქციათა შესასრულებლად, შრომის იარაღი შანქანად იქცევა. თვით წარმოების წესი უკვე შეუძლებელს ხდის ამ წვრილ საკუთრებასთან დაკავშირებულ საწარმოო იარაღთა დაქსაქსულობას, სწორედ ისევე როგორც თვით მუშათა გაცალკავებას. კაპიტალისტურ წარმოებაში მევახშეს უკვე არ შეუძლია წარმოების პირობები განიცალკევოს მწარმოებლისაგან, რადგანაც ისინი უკვე განცალკევებულნი არიან.

იქ სადაც წარმოების საშუალებანი დაქსაქსულია, მევახშეობა ერთ ხელში აგროვებს ფულად ქონებას. მევახშეობა არ სცვლის წარმოების წესს, მაგრამ სწოვს მას როგორც პარაზიტი, და ჰფიტავს მას სრულ დაცემამდე. ის გამოსწოვს მის წვენს, უსისხლოდ აქცევს მას და მიყავს იქამდე, რომ დანახარჯთა აღდგენა ხდება სულ უფრო საცოდავ პირობებში. აქედან ხალხის სიძულვილი მევახშეობისადმი, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიური იყო ანტიურ ქვეყანაში, სადაც მწარმოებლის საკუთრება მისი წარმოების პირობებზე იმავე დროს წარმოადგენდა პოლიტიკურ მიმართებათა, მოქალაქეთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ბაზისსაც.

— სანამ ბატონობს მონობა, ანუ სანამ ზედმეტ პროდუქტს ითვისებს ფეოდალი და მისი შინამოსამსახურენი და მევახშის ხელში ხვდება მონათმფლობელი ანუ ფეოდალი, წარმოების წესი სულ იგივე რჩება, ის მხოლოდ იწყებს უფრო მძიმედ დაწოლას ძუშის კისერზე. ვალებით დატვირთული მონათმფლობელი ანუ ფეოდალი-სენიორი უფრო მეტს ექაჩება იმიტომ რომ თვით მისგანაც მეტს ექაჩებიან. ანდა ბოლოს და ბოლოს ის თავის ადგილს უთმობს მევახშეს, რომელიც თვითონ იქცევა მიწათმფლობელი ანუ მონათმფლობელი, — როგორც რაინდები ძველ რომში. ძველი ექსპლოატატორის ადგილას, რომლის ექსპლოატაცია მეტად თუ ნაკლებად ატარებდა პატრიარქალურ ხასიათს, რადგანაც უმთავრესად წარმოადგენდა პოლიტიკური ბატონობის იარაღს, გამოდის დაუნდობელი, ფულებს დახარბებული მეტიჩარა. მაგრამ თვით წესი წარმოებისა კი არ იცვლება.

ყოველი წინაკაპიტალისტური წარმოების წესის დროს მევახშე მხოლოდ იმდენად თამაშობს რევოლიუციონურ როლს, რამდენადაც ის ანგრევს და სპობს საკუთრების ფორმებს, რომელთა მყარ ბაზისსზე და ერთსა და იმავე ფორმაში განუწყვეტელ ხელახალ აღდგენაზე დაფუძნებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება. აზიური ფორმების დროს მევახშეობას ძლიერ დიდხანს შეუძლია არსებობა, ამავე დროს ის არაფერს არ გამოიწვევს გარდა ეკონომიური დაცემისა და პოლიტიკური კორრუპციისა (გარყვნილობისა). მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც სინამდვილეში მოცემულია კაპიტალისტური წარმოების წესის დანარჩენი პირობები, მევახშე წარმოადგენს ერთერთ იარაღთაგანს, რომელიც ჰქმნის წარმოების ახალ წესს, — ანადგურებს რა ერთის მხრივ ფეოდალებსა და წვრილ მწარმოებლებს, ცენტრალიზაციაში მოყავს რა, მეორეს მხრივ, შრომის საშუალებანი და გადააქცევს რა მათ კაპიტალად.

საშუალო საუკუნეებში არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა დადგენილი პროცენტის საერთო ზომა. ეკლესია კრძალავდა საერთოდ ყოველგვარ გარიგებათ, რომელთაც მოქონდათ პროცენტები. კანონები და სასამართლოები მხოლოდ არასაკმარისად უზრუნველყოფდენ ვალების აღებას. ცალკე შემთხვევებში მით უფრო მაღალი იყო პროცენტის ნორმა.

უმნიშვნელო ფულადი მიმოქცევა, გადასახადთა უმრავლესობის ნაღდი ფულით გადახდის აუცილებლობა აიძულებდა ადამიანს მიემართა ფულადი სესხისათვის, და ამავე დროს მით უფრო მეტად რაც ნაკლებ იყო განვითარებული სათამასუქო საქმე. გაბატონებული იყო მეტად დიდი სხვადასხვაობა, როგორც პროცენტის ზომაში, და ასევე

თვით მევახშეობის ცნება'მიაც. კარლოს დიდის დროს მევახშეობათ ითვლებოდა, თუ კი ვინმე ახდევინებდა 100%. ლინდაუში ბოდენის ტბასთან 1348 წელს ადგილობრივი მოქალაქენი ახდევინებდენ 216%. ციურიხში საბჭომ დაადგინა 43 — 1/3% როგორც პროცენტის კანონიერი ნორმა. იტალიაში ხანდისხან იხდევინებოდა 40%, თუმცა მე-12 — 14 საუკუნეებში ჩვეულებრივი ნორმა არ აღემატებოდა 20%. ვ ე რ ო ნ ა მ დაადგინა როგორც კანონიერ პროცენტად 12½%. იმპერატორ ფრიდრიხ II დააწესა 10%, მაგრამ მხოლოდ ებრაელებისათვის; მას არ უნდოდა ქრისტეანებს შეხებოდა. გერმანელთა მიწებზე, რაინის გასწვრივ უკვე მე-13 საუკ. 10% ჩვეულებრივი ნორმა იყო...

„პროცენტების აღება ეკლესიამ აკრძალა; მაგრამ ის არ კრძალავდა ქონების გაყიდვას, რათა დახმარებოდა თავის თავს უბედურებაში; არ კრძალავდა ამ ქონების გარკვეული ვადით, თვით ვალის გადახდამდე, გადაცემასაც ფულის მსესხებელი პირისათვის, რათა უკანასკნელს ჰქონოდა ის როგორც უზრუნველყოფა, და აგრეთვე ისარგებლებდა რა ამ ქონებით, მას შეეძლო ამოეგო ჯილდოც გასესხებული ფულისათვის... თვით ეკლესია, ანუ მისი კუთვნილი კომუნები pia copora აქედან ღებულობდენ დიდ სარგებლობას, განსაკუთრებით ჯვაროსანთა ომების დროს. ამ გზით ნაციონალური სიმდიდრის ფრიად მნიშვნელოვან ნაწილმა თავი ამოყო ეგრეთ წოდებულ „მკვეტარ ხელში", განსაკუთრებით იმის წყალობით, რომ ამ საშუალებით მევახშეობის წარმოება ებრაელებს არ შეეძლოთ, რადგანაც ასეთი მყარი საწინდართა მფლობელობის გასაიდუმლოება არ შეიძლებოდა... პროცენტების აკრძალვის გარეშე ეკლესიები და მონასტრები ვერასოდეს ვერ მოუყრიდენ თავს თავიანთ ხელში ამდენ სიმდიდრეს".

(კ. მ ა რ ქ ს ი — „კაპიტალი" ტ. III, ნაწილი II).

თავი მეხუთე

გასტრონომია

§ 1. საბეგრო-საბატონო მეურნეობის ძირითადი თვისებები

თანამედროვე საბატონო მეურნეობის სისტემის განხილვის დროს ამოსავალ წერტილად აღებულ უნდა იქნას ამ მეურნეობის ის წყობა, რომელიც გაბატონებული იყო ბატონყმობის დროს. მაშინდელი მეურნეული სისტემა არსებითად იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი მიწა მოცემული მიწათმოქმედური მეურნეობისა, ე. ი. მოცემული მამულისა, იყოფოდა საბატონოდ და საგლეხოდ; უკანასკნელი ეძლეოდა გლეხებს, რომელნიც (გარდა ამისა იღებდენ წარმოების სხვა საშუალებებსაც, მაგალითად, ტყეს, ხანდახან ნახირს და სხვ.) თავის შრომით და ინვენტარით ამუშავებდენ მას და იღებდენ მისგან სარჩო-საბადებელს. გლეხების ამ შრომის პროდუქტი წარმოადგენდა აუცილებელ პროდუქტს, — თეორიული პოლიტიკური ეკონომიის ტერმინოლოგიით; აუცილებელს — გლეხებისათვის, რადგან ის აძლევდა მათ საარსებო საშუალებებს, და მებატონეთათვის, რადგან ის აძლევდა მათ მუშა-ხელს; სავსებით ისე, როგორც პროდუქტი, რომელიც ანაზღაურებს კაპიტალის ღირებულების ცვალებად ნაწილს, წარმოადგენს აუცილებელ პროდუქტს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. გლეხების ზედმეტი შრომა მდგომარეობდა მათ მიერ საბატონო მიწის დამუშავებაში მ ა თ ი ვ ე ინვენტარით; ამ შრომის პროდუქტი მიდიოდა მებატონის სასარგებლოდ. ზედმეტი შრომა, მაშასადამე, დაშორებულია აქ სივრცით აუცილებელ შრომისაგან: მებატონისათვის ამუშავებენ საბატონო მიწას, თავისთვის — თავის სანადელო მიწას; მებატონისათვის მუშაობას ანდომებენ კვირის განმავლობაში განსაზღვრულ დღეებს, თავისთვის — დანარჩენ დღეებს. ამნაირად, გლეხის „ნადელი" ამ მეურნეობაში იყო როგორც ნატურალური შრომის ხელფასი, ანდა თანამედროვე ცნებებთან შეფარდებით, რომ ვსთქვათ, საშუალება მებატონის მუშა-ხელით უზრუნველსაყოფად. გლეხის „საკუთარი" მეურნეობა თავის ნადელში იყო პირობა საბატონო მეურ-

ნეობისა, მას მიზნად ჰქონდა არა გლეხის საარსებო საშუალებებით, არამედ მებატონის — მუშა-ხელით „უზრუნველყოფა *).

მეურნეობის ამ სისტემას ჩვენ უწოდებთ საბეგრო-საბატონო მეურნეობას. ცხადია, რომ მისი ბატონობა ჰგულისხმობდა შემდეგ აუცილებელ პირობებს: პირველად — ნატურალური მეურნეობის ბატონობას. ბატონყმური მამული წარმოადგენდა თავისთავზე დაყრდნობილ კარჩაკეტილ ერთეულს, რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოსთან. მებატონეთაგან პურის დამზადება გასაყიდათ, რაც განსაკუთრებით განეითარდა ბატონყმობის არსებობის უკანასკნელ დროს, უკვე შველი რეჟიმის დანგრევის მომასწავებელი იყო. მეორედ — ასეთ მეურნეობისათვის საჭიროა, რომ პირდაპირ მწარმოებელს მიცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოთ და მიწა კერძოდ; მაგრამ ესეც საკმარისი არ არის, საჭიროა რომ ის იყოს მიმაგრებული მიწაზე, რადგან სხვანაირად მებატონე არ იქნება უზრუნველყოფილი მუშა-ხელით. მაშასადამე, ზედმეტი პროდუქტის მიღების საშუალებანი საბეგრო-საბატონო და კაპიტალისტური მეურნეობის დროს ერთიმეორეს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან: პირველი დამყარებულია მწარმოებლისათვის მიწის მიცემაზე, მეორე — მწარმოებლის მიწიდან გაქნთავისუფლებაზე **). მესამედ — მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მებატონისაგან. მებატონეს რომ არ ჰქონდეს პირდაპირი ძალა-უფლება გლეხის პიროვნების მიმართ, მას არ შეეძლებოდა ემუშავებია მის სასარგებლოდ ადამიანი, რომელსაც აქვს ნადელით მიღებული მიწა და აწარმოებს საკუთარ მეურნეობას. საჭიროა, მაშასადამე, „გარეშე ეკონომიური იძულება", როგორც მ ა რ ქ ს ი ამბობს,

---

*) მეტისმეტად რელიეფურად ახასიათებს ა. ე ნ გ ე ლ გ ა რ ტ ი მეურნეობის ამ წყობას თავის „Письма из деревни"-ში (ს. პ. ბ. 1885. გვ. 556 — 557). ის სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბატონყმური მეურნეობა იყო ერთგვარი სწორი და დასრულებული სისტემა, რომლის გამგე იყო მებატონე, რომელიც უნაწილებდა გლეხებს მიწებს და ნიშნავდა მათ ამა თუ იმ სამუშაოზე.

**) ჰ ე ნ რ ი ჯ ო რ ჯ ი ს საწინააღმდეგოდ, რომელიც ამბობდა, რომ მოსახლეობის მასის ექსპროპრიაცია არის უდიდესი და უნივერსალური მიზეზი სიღატაკის და ჩაგვრისა, ე ნ გ ე ლ ს ი სწერდა 1887 წელს: „ისტორიულად ეს სავსებით მართალი არ არის... საშუალო საუკუნოებში მ ი წ ი დ ა ნ ხალხის განთავისუფლება კი არა, არამედ, პირიქით, ხალხის მ ი წ ა ზ ე მიმაგრება იყო ფეოდალური ექსპლოატაციის წყარო. გლეხი ინახავდა თავის მიწას, მაგრამ იყო მიმაგრებული მასზე როგორც ყმა და ვალდებული იყო ეხადა მასში ქირა მიწის მფლობელისათვის შრომით ან პროდუქტით. (ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი — „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში 1844 წელს". ნეიორკი, 1887 წინასიტყვაობა, გვ. III.

როცა ის ახასიათებს ამ მეურნეულ რეჟიმს (რომელსაც ის უქვემდებარებს, როგორც ზემოდ უკვე იყო ნაჩვენები ს ა ბ ე გ რ ო რ ე ნ ტ ი ს კატეგორიას „Das Kapital" III, 2, 324). ამ იძულების ფორმა და ხარისხი შესაძლებელია სულ სხვანაირი იყოს, დაწყებული ბატონყმური მდგომარეობიდან და გათავებული გლეხის წოდებრივ არა სრულ უფლებიანობით. ბოლოს, მეორეხედ, როგორც პირობა, ისე შედეგი აღწერილი მეურნეობის სისტემისა იყო ტეხნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა, რადგან მეურნეობის ხელმძღვანელობა წვრილ გლეხობის ხელში იყო, რომელიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდა და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაქვეითებული იყო.

(ვ. ლ ე ნ ი ნ — კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში).

§ 2. ფრ. ენგელსი ბატონყმობის შესახებ

I

ყველაზე უფრო მე მაინტერესებს საკითხი ბატონყმობის თითქმის სრულ უფლებრივ თუ ფაქტიურ გაუქმების შესახებ მე-XIII და XIV საუკუნეებში — სწორედ იმიტომ, რომ ამის თაობაზე წინედ შენ სხვა აზრის იყავი. რაც შეეხება მიწებს ელბის აღმოსავლეთით, იქ გ ე რ მ ა ნ ე ლ გლეხთა თავისუფლება დამყარდა კოლონიზაციის მეოხებით. შლეზვიგ-გოლშტინის შესახებ მაურერი თვითონ აღიარებს, რომ მაშინ „მთელმა" გლეხობამ ხელ-ახლა მოიპოვა თავისუფლება (შეიძლება XIV საუკუნეზე ცოტა უფრო გვიან). ის აგრეთვე აღიარებს, რომ სამხრეთ გერმანიაში მაშინ ყმებთან დამოკიდებულება კარგი იყო. აგრეთვე იყო ცოტად თუ ბევრად ქვედა საქსონიაში (მაგ. ახალი „Meier"-ები (მამასახლისები) ფაქტიური მემკვიდრეობით მოიჯარადრენია). იგი კი ილაშქრებს კინდლინგერის აზრის წინააღმდეგ, თითქოს ბატონყმობა მხოლოდ მე-XVI საუკუნეში — წ ა რ მ ო შ ო ბ ი ლ ი ყ ო ს. მაგრამ არ ვეჭვობ, რომ იგი გაჩნდა მხოლოდ ხელმეორედ განახლებულად. მეიტცენს წლებიც მოყავს, თუ როდის დაიწყეს ხელახლა ლაპარაკი ყმებზე აღმოსავლეთ პრუსიაში, ბრანდენბურგში, სილეზიაში: მეთექვსმეტე საუკუნის შუა წლები.

ამასვე ლაპარაკობს შლეზვიგ-გოლშტინიის შესახებ ჰანსენი. თუ ამას მაურერი შ ე რ ბ ი ლ ე ბ უ ლ ბატონყმობას უძახის, ის მართალია შედარებით IX — XI საუკუნეებთან, როდესაც კიდევ არსებობდა ძველი გერმანული მონობა. აგრეთვე მართალია ის, თუ შევადარებთ

(XVI ს. ბატონყმობის) სიგელებს, რომელიც ბატონს ხელთ ეპყრა თავის ყმების მიმართ თანახმად სამართლის დებულებათა მე-XIII ს. და უფრო გვიანაც. მაგრამ შედარებით გლეხების ფ ა ქ ტ ი უ რ მდგომარეობასთან მე-XIII და მე-XIV საუკუნეებში, ხოლო ჩრდილო გერმანიაში აგრეთვე მე-XV — საუკუნეშიც, ახალი ბატონყმური ურთიერთობა, რაც გინდათ ყველაფერი იყო, მხოლოდ შერბილება კი არავითარ შემთხვევაში. განსაკუთრებით ოცდაათწლოვან ომის შემდეგ. შესანიშნავია აგრეთვე შემდეგი: საშუალო საუკუნეებში ბატონყმურ ურთიერთობას იმდენი სხვადასხვა საფეხური ჰქონდა, რომ „საქსონიის სარკე" — (ჩვეულებითი სამართლის კრებული) აღარც კი იხსენიებს „უფლებას თავის კაცებზე"; ხოლო ოცდაათწლოვანი ომის შემდეგ მდგომარეობა, საოცრად გამარტივდა.

(ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი — წერილი კ. მ ა რ ქ ს ს 1882 წ. 16 დეკემბრიდან).

II

კიდევ პოდოლინსკის შესახებ. მე მინდა შესწორება შემოვიტანო იმ აზრით, რომ შრომით ენერგიის დაგროვება არსებითად სწარმოებს მხოლოდ მ რ წ ა დ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი (მინდვრების დამუშავების დროს). მესაქონლეობაში მცენარეების მიერ დაგროვებული ენერგია პირდაპირ გადადის ცხოველებში. აქ დაგროვებაზე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ იმ აზრით, რომ მცენარეულობას საკვებად ხმარობენ და ამნაირად იყენებენ მას, ხოლო მესაქონლეობის გარეშე მცენარეულობა უსარგებლოდ იღუპება. პირიქით, მრეწველობის ყოველ დარგში ენერგია მხოლოდ ი ხ ა რ ჯ ე ბ ა. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ვიანგარიშოთ, რომ მცენარენი — ხე, ჩალა, კანაფი და სხვ. და ცხოველნი, რომლებშიაც დაგროვილია მცენარეულობის ენერგია, სასარგებლონი ხდებიან მუშაობის საშუალებით, მაშასადამე, შესაძლებელია მათ უ ფ რ ო მ ე ტ ხ ა ნ ს გ ა ს ძ ლ ო ნ, ვიდრე უშრომლად და უზრუნველად. ამგვარად ძველის ძველი ეკონომიური ფაქტი, რომ მრეწველობაში მომუშავე ადამიანები მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ნადირობის და თევზაობის ანგარიშზე ცხოვრობენ, თუ გნებავთ შესაძლებელია გადავიტანოთ ფიზიკის ენაზე. მაგრამ აქედან, მგონია, სასარგებლო არა გამოვა, რა.

მე მოხარული ვარ, რომ ბატონყმობის ისტორიის საკითხში ჩვენ, კომერციული ენით რომ ვლაპარაკობთ, თანხმობით ვმოქმედებთ. ეჭვს გარეშეა, ბატონყმური ურთიერთობა არ წარმოადგენს განსაკუთრებით საშუალო საუკუნის ფეოდალურ ფორმას. ჩვენ მას ყველგან

ვხედებით, სადაც კი დამპყრობელნი დაპყრობილთ იძულებით ამუშავებინებენ მიწას. ასე იყო, მაგალითად, თესალიაში ადრე. ამ ფაქტმა მე და ბევრს სხვასაც ცოტა არ იყოს შეგვირყია შეხედულება საშუალო საუკუნის ბატონყმობაზე. ძალიან შემაკთენელი აზრი იყო — ბატონყმობის ისტორიული დასაბუთება უბრალო დაპყრობით; ამნაირად ყველაფერი ერთობ სწორედ და ლამაზად გამოდიოდა. იხილე, სხვათა შორის, ტიერრი. ასეთივე იყო ქრისტიანეთა მდგომარეობა ოსმალეთში ძველ-ოსმალურ ნახევარ-ფეოდალიზმის აყვავების ხანაში.

(ფრ. ენგელსი — წერილი კ. მარქსს 1882 წ. 22 დეკემბრიდან).

§ 3. ბატონ-ყმური მეურნეობის საერთო დახასიათება

ა) ბატონ-ყმური მეურნეობის დამოკიდებულება სხვა ეკონომიურ ფორმებთან

ბატონ-ყმური ურთიერთობა იმ გვარადვე განვითარდა საშუალო საუკუნოების ფეოდალურ ურთიერთობიდან, როგორც ძველი სამყაროს ფეოდალური ურთიერთობიდან განვითარდა მონათმფლობელური ურთიერთობაც. ამ რიგათ მონათმფლობელებისა და ბატონ-ყმობის სისტემებს შორის არ არის მემკვიდრეობითი კავშირი. მართალია, გერმანელებს, კელტებს და სლავიანებს, — რომელთა განვითარებაც საშუალო საუკუნეთა ისტორიის მთავარ შინაარს შეადგენს, — ჰყავდათ მონები, ზოგიერთ ქვეყნებში მონობამ ძლიერ გვიანდელ დრომდე გასტანა; მაგ., ინგლისში მე-XI საუკუნემდე, ხოლო რუსეთში კიდევ უფრო დიდხანს გასძლო, მაგრამ ის რჩებოდა უმთავრესად ეგრეთ წოდებულ „შინაური მონობის“ საფეხურზე, რომლის დროსაც მონები შინა-მოსამსახურეები იყვნენ — არსად ევროპაში რამოდენიმედ ხანგრძლივ დროის განმავლობაში მან ვერ შესძლო საწარმოო ურთიერთობის ბაზისად გახდომა, და ყოველ შემთხვევაში მას არ მიუცია საწყისი ბატონ-ყმობისათვის. ცხადია „პოლონის“ გაყიდვა, ე. ი. ტყვეთ წაყვანილი დამარცხებულით ვაჭრობა დიდ როლს თამაშობდა ნოვგოროდის უძველეს ვაჭრობაშიაც; მაგრამ დატყვევებულნი შედიოდენ არა გამყიდველთა მეურნეობის სისტემაში, არამედ მყიდველების: არაბების, ოსმალების, სპარსელების და სხვ., ე. ი. არა ევროპის, არამედ აზიისა და აფრიკის ხალხების მეურნეობის სისტემაში, ანდა არც ამათთვის ჰქონდათ მეურნეული მნიშვნელობა და წარმოადგენდენ ფუფუნების საგნებს (ტყვე-ქალები, რომლებიც ჰარამხანებისათვის

იყიდებოდა). საშუალო საუკუნოებში თითქოს თავიდან დაწყებულ ისტორიას საფუძვლათ ედება ფეოდალურ-საგვარეულო მიმართებანი, რომელიც ძლიერ გვაგონებს უძველეს აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნის „სახელმწიფობრიობის ხანამდე" არსებულ ყოფა-ცხოვრებას. მაგრამ აქ განვითარება სწარმოებდა სულ სხვა ბუნებრივ და ისტორიულ გარემოცვაში და ამიტომ სოფლის ფეოდალურ სისტემიდან წარმოშობილი ბატონ-ყმური ურთიერთობა დიდათ განსხვავდება უძველესი მონობისაგან.

ბატონ-ყმობა სოფლად თუმცა უშუალოდ ფეოდალიზმიდან წარმოიშვა, მაგრამ ეკონომიური ურთიერთობის ერთობლივ განხილვისას, ამ ორ სისტემას შორის იკრება ორი დიდმნიშვნელოვანი რგოლი: ხელოსნობა და სავაჭრო კაპიტალი. საშუალო საუკუნოების ევროპაში ტიპიურსაზოგადოებრივ ფორმათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ასეთი იყო: ფეოდალიზმი, ხელოსნობა, სავაჭრო კაპიტალი, ბატონ-ყმობა. ბატონ-ყმური ურთიერთობის წინამორბედათ იყო გარკვეული საფეხური სოფლისა და ქალაქს შორის შრომის საზოგადოებრივი განაწილების განვითარებაში, ე. ი. საშუალო-საუკუნოებრივი ქალაქების გაწვითარება, რომლებიც ასრულებდენ სრულიად გარკვეულ, საზოგადოებრივად აუცილებელ წარმოებითი ფუნქციებს, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო ვინემ წარმოებითი ფუნქციები ძველი, თითქმის მარტოოდენ მომხმარებელი ქალაქებისა.

ფეოდალური ეპოქის აყვავების ხანებში გაბატონებულ ეკონომიურ ორგანიზაციის ცენტრში იდგა სენორი, რომელიც სუვერენულათ იქვემდებარებდა ყველა ეკონომიურ ურთიერთობას. მისთვის არსებობდა სახლკარი, მიწა-მამულით; სახლკარისათვის არსებობდა სოფელი, და იგივე ბატონობის დაღს ასვამდა მაშინდელ ქალაქის ძველ ცხოვრებას. ხელოსნობა და ვაჭრობა მხოლოდ ერთი ელემენტთაგანი იყო მისი მოხმარებითი მეურნეობისა. ხელოსანი და ვაჭარი იმავე სახლკარის ან სოფლის უბრალო კუთვნილებას შეადგენდენ. სოფელი თავის მხრივ თანდათან ვითარდებოდა, როგორც სრულიად პასიური დამატება ფეოდალის სახლკარისა. ამ რიგათ ფეოდალურ მსოფლიოში ეკონომიური ცხოვრება თითქმის მარტოოდენ ფეოდალის სახლკარის ცხოვრებით ამოიწურება. აქ არა აქვს ადგილი განვითარებას ახალი საწარმოო ფორმებისა, რომელსაც შეეძლოს ფეოდალის სახლკარზე გარედან გავლენის მოხდენა.

მაგრამ საშუალო საუკუნოებრივი ევროპის განვითარების მსვლელობაში ქალაქი თავს ინთავისუფლებს ფეოდალური წოდების ეკონომიური დამოკიდებულებიდან. ქალაქში წარმოშობილი ახალი და-

მოუკიდებელი წოდებანი ხელოსნობისა და განსაკუთრებით ვაჭრებისა სულ უფრო შორდებიან ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობას, და თავის არსებობას თანდათან მხოლოდ გაცვლას უკავშირებენ. ქალაქებიდან ახალი ურთიერთობა საშუალო საუკუნოების მთელ საზოგადოებაში გადადის. ქალაქებში წარმოშობილ პირობებთან შეთვისების პროცესში ფეოდალი ნელის ნაბიჯით მემამულედ იქცევა.

საკუთრივ საშუალო საუკუნოებრივი ევროპის ეკონომიური ისტორია წარმოადგენს ისტორიას ფეოდალიზმის, ხელოსნობის და ვაჭრობისა, რომელიც წვრილ ხელოსნურ და მსხვილ ეპიზოდიური ვაჭრობიდან თანდათანობით კაპიტალისტურში გადადის. პირიქით ფეოდალურ ურთიერთობიდან ბატონ-ყმურში გადასვლა, და განსაკუთრებით ამ უკანასკნელის სრული აყვავება, უმრავლეს ქვეყნებში ახალ დროსა და ეპოქაში მოხდა, როდესაც ხელოსნობა იხრწნებოდა და ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას, როდესაც პირვანდელი დაგროვება ორგიებს მართავდა ძველ ქვეყანასა და ახალ კოლონიებში, როდესაც კაპიტალი მანუფაქტურის ფორმით, გადადიოდა მსხვილ სამრეწველო წარმოებათა ორგანიზაციაში. მეორეს მხრივ, ბატონ-ყმურმა სისტემამ ისეთი ელასტიობა და შემთვისებლობა გამოიჩინა, რომ მან სავაჭრო-კაპიტალისტური ეპოქის მიჯნაზე აღმოცენებულმა წინ წაუსწრო მანუფაქტურულ პერიოდს და დაიმსხვრა — ავსტრიაში, გერმანიაში და განსაკუთრებით რუსეთში — ამ ეპოქაში, როდესაც ხდებოდა კაპიტალიზმის მანუფაქტურულიდან მანქანურ პერიოდში გადასვლა...

აქამდე ჩვენ ვიხილავდით ეკონომიურ სისტემებს უმთავრესად ნატურალური მეურნეობის ურთიერთობით: ყოველი ეკონომიური უჯრედი, მონათმფლობელური მეურნეობის გამოუკლებლივ მიისწრაფის მთელი თავისი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს საკუთარი წარმოებით. პირველად გაცვლა-გამოცვლის საგნათ ხდება სახმარი საგნების მხოლოდ ზედმეტი, ჭარბი ნაწილი; ფეოდალური და მონათმფლობელობის სისტემების უმაღლეს საფეხურებზედაც კი გაცვლა-გამოცვლა ავსებდა ნაკლს იმ სახმარი საგნებისა, რომელსაც საჭიროებდა მეურნეობის მეთაური, პირველ რიგში სენიორი ან მონათმფლობელი.

აი ამ მხრივ ბატონ-ყმურ სისტემას დიდი მსგავსება აქვს განხილულ ეკონომიურ ფორმებთან. ბატონ-ყმური მეურნეობა ბოლომდე რჩება სამომხმარებლო მეურნეობის ტიპად. ცხადია, რაც მეტი დრო გადის, მით მემამულის მეურნეობა მეტ ნაწილს საგნებისას ამზადებს არა როგორც უშუალოთ სამომხმარებლოს, არამედ როგორც საქონელს, არა როგორც სახმარ ღირებულებას, არამედ როგორც საცვ-

ლელ ღირებულებას. მაგრამ ამ საგნების გაყიდვა წარმოადგენს უბრალო საშუალებას გარდაქმნას ერთი სახმარი ფორმა, რომელსაც ამ მომენტში მემამულე არ საჭიროებს, მეორე ისევ სახმარ ფორმად. შაშასადამე, ღირებულებათა წარმოება ფეოდალის სახლკარისათვის წარმოადგენს არა თვითმიზანს, ან უკეთ არა საშუალებას მათი ფულად ფორმაში დაგროვებისა, არამედ მხოლოდ პირად მოხმარების საშუალებას. ეს გარემოება ბატონ-ყმურ მეურნეობას ნაწილობრივათ აახლოვებს ხელოსნობასთან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი თავის განვითარებულ ფორმით უფრო ღრმად და მჭიდროთ არის დაკავშირებული ბაზართან.

ამ რიგად მემამულეთა მეურნეობა (და ხელოსნობა) ასრულებს ისტორიას იმ ძველ, ბიოლოგიურად წარმოშობილ და სტიქიურად ცვალებად, სამეურნეო ფორმებისა, რომელთა უახლოესი და ერთადერთი მიზანი იყო პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ რამდენადაც სამომხმარებლო ღირებულებათა უშუალო წარმოება ადგილს უთმობს საცვლელ ღირებულებათა წარმოებას, იმდენად მემამულის მეურნეობა (და ხელოსნური წარმოება) გადაჭრით შორდება ნატურალურ-სამეურნეო ფორმებს და წარმოადგენს განვითარებულ გაცვლითი მეურნეობისაკენ გარდამავალ საფეხურს. ამდენათვე მემამულე (ისე როგორც ხელოსანი ოსტატი) უახლოვდება კაპიტალისტურ მწარმოებელს, და გარდაიქმნება ამ უკანასკნელად, უკეთუ მოხდა იძულებითი შრომის ურთიერთობის გადასვლა თავისუფლად დაქირავებული შრომის ურთიერთობაში.

ბატონ-ყმური დამოკიდებულება ეკონომიური გაგებით ძალზე გარკვევით იფარგლება მონურ მდგომარეობისაგან. მონური სამომხმარებლო მეურნეობა (Haushalt) შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს ბატონის სამომხმარებლო მეურნეობიდან; მაგრამ საკუთრივ მწარმოებელი მეურნეობა მათ არა აქვთ, ისინი წარმოების უბრალო იარაღებია, და როგორც მიწა და შრომის იარაღი წარმოადგენენ ბატონის საწარმოო მეურნეობის სრულ კუთვნილებას. პირიქით, ყმა-გლეხი ეწევა, როგორც საკუთარ სამომხმარებლო, ისე საკუთარ საწარმოო მეურნეობას. ის თავის არსებობის და თავის შრომის ძალის მხოლოდ ერთი ნაწილით ეკუთვნის მემამულის წარმოებას. შაშასადამე, ის ფლობს წარმოებისათვის საჭირო პირობებსა და საშუალებებს: მიწას და შრომის იარაღს. სანამ ის მთლიანად არ ჩაერთვის ბატონის წარმოებას, მანამ ის — ყმაა, საბატონო გლეხია, და არი მონა. ხოლო ე. წ. შინა-ყმანი, მცხოვრებნი ბატონის სახლკარში, — პირიქით, მონებისაგან ეკონომიურად არაფრით არ განსხვავდებიან.

ჩვეულებრივად, ყმა-გლეხის მონობისაგან განსხვავებისათვის ასახელებენ მთელ რიგ ნიშნებს. მაგრამ თითქმის არც ერთი ნიშანი არ არის მტკიცე. გოლშტინიაში, მეკლენბურგში და მე-XVIII საუკ. პომერანიაში და რუსეთში თვით რეფორმამდე გლეხს მამულთან დაუკავშირებლად ყიდდენ, კარტში აგებდენ და საერთოდ მას ექცეოდენ დენ ისე, როგორც უსულო საგანს. ზოგიერთების აზრით ასეთი ფაქტები ლაპარაკობენ არა მარტო ბატონყმობის, არამედ ნამდვილი მონობის არსებობაზედაც, — ზემოხსენებულ ქვეყნებში. ცხადია გაყიდვის მომენტში გლეხის მდგომარეობა არაფრით არ განსხვავდებოდა მონის მდგომარეობისაგან. მაგრამ ეს კიდევ არაფერს ამბობს იმ ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ, რომელშიც ცხოვრობდა გლეხი გაყიდვამდე და რომელშიაც მოუხდება მას ცხოვრება გაყიდვის შემდეგ. ამ გვარადვე ზოგი მკვლევარი აღიარებს იმ გარემოებას, რომ ავსტრიაში არსებობდა მონობაც, რადგან მთელ რიგ ოლქებში მემამულეები თავიანთ უფლებას აცხადებდენ გარდაცვალებული გლეხის დარჩენილ მთელ ქონებაზე და მე-XVIII საუკ. ნახევრამდე არც კანონმდებლობა, არც ადათ-ჩვეულება არ ილაშქრებდა მემამულის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ. ამავე საუკუნეზე რუსის გლეხების მდგომარეობა მე-XVIII საუკ. მეორე მეოთხედიდან დაწყებული უახლოვდება „ხოლოპის", ე. ი. მონის მდგომარეობას. მაგრამ ყველა ეს ფაქტები მოწმობენ მხოლოდ გლეხის პირადი არათავისუფლების და ქონებრივათ არაუზრუნველყოფის ხარისხს, მაგრამ სრულიადაც არ ეხებიან მეურნეობის იმ წყობილებას და იმ ეკონომიურ ფორმებს, რომელთა შორისაც მიმდინარეობდა მემამულისა და გლეხის ცხოვრება.

გერმანიისა და ავსტრიის ზოგიერთ ნაწილებში მე-XVIII საუკ. ნახევრიდან დაწყებული, ხოლო რუსეთში მე-XIX საუკუნეში უმნიშვნელოდ შეკვეცეს მემამულის უფლება გლეხზე: მემამულეს შეუძლია ყმის გაყიდვა მხოლოდ მიწასთან ერთად; უმიწოთ მას უფლება აქვს გაყიდოს მხოლოდ შინა-ყმა. მაგრამ რადგანაც მემამულის უფლება ყმის შინა-ყმათ გადაქცევაზე რუსეთში არაფრით იყო შეზღუდული — უნდა ვიფიქროთ, რომ ეკატერინე მე-II ეპოქიდან გლეხი მონა უფრო იყო, ვინემ ყმა. საბოლოოდ, ცხადია, ეკონომიურათ უფრო სწორი იქნებოდა იმ დასკვნის გამოყვანა, რომ რუსის მემამულეს უფლება ჰქონდა, ყოველი ყმა-გლეხი მონათ გაეხადა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ სიმკაცრე ან სირბილე ფაქტიური დამოკიდებულებისა ბატონსა და მიწისმუშის შორის წმინდა ვარეგან ნიშანს წარმოადგენს, რომელიც ბევრს არაფერს ამბობს ამ

დამოკიდებულების ეკონომიურ მხარეზე. ბატონ-ყმური უფლება, რა-საკვირველია, არ შეიცავს იმ სრულ, უსაზღვრო, აბსოლუტურ დამოკიდებულებას, რომლითაც ხასიათდება მონობა. ამიტომ, როგორც ფორმა ეკონომიური დამოკიდებულებისა, ის უდაოდ მონობაზე მსუბუქია — კოლონატი, მონათესავეა ბატონ-ყმური უფლების, და ფაქტიურათ ის რომის მონობის შემსუბუქებელი იყო. მაგრამ ზოგჯერ, — გოლშტინიაში, მეკლენბურგში და განსაკუთრებით კი რუსეთში მე-XVIII საუკ. მეორე ნახევრიდან, — მემამულეც ანხორციელებდა თავის უფლებას განუსაზღვრელი ულმობელობით: ტანჯვა-წამება, შეგნებულათ სიკვდილამდე ცემა, საბატონო სამუშაოები კვირაში 6 და ხან 7 დღეს, ისე რომ გლეხს საკუთარ სამუშაოს შესასრულებლად მხოლოდ კვირა-დღე ან ღამეები რჩებოდა. თუმცა თავის სიმკაცრით ასეთი დამოკიდებულება არაფრით ჩამოუვარდება მონათმფლობელურ მეურნეობას, მაგრამ გლეხი აქაც ყმა იყო, და არა მონა.

ამ რიგად რჩება მხოლოდ ერთი უფრო საერთო და მუდმივი ნიშანი, რომელიც ეკონომიურად ანსხვავებს ყმას, საბატონო გლეხს მონისაგან: ყმა-გლეხი არ არის მხოლოდ მემამულის საკუთრება, მხოლოდ მისი წარმოების იარაღი, არამედ იმავე დროს ნაწილობრივად დამოუკიდებელი მწარმოებელიც არის. ამაში მდგომარეობს ბატონ-ყმური მეურნეობის კავშირი ეკონომიურად უმაღლეს ფორმებთან. უკეთუ გლეხის საკუთარი წარმოება ფართოვდება იმ ზომამდე, რომ ის საჭიროებს გლეხის მთელ სამუშაო ძალას და ამასთანავე მისი ბეგარა ამოიწურება ნატურალური, ხოლო შემდეგში ფულადი გადასახადით (სასარგებლო მიწის სივრცესთან შეფარდებით) — ვიტყვით, რომ ჩვენს წინაშე არის თანამიმდევრობითი სატეხურები საბატონო გლეხის მოიჯარადრეთ გარადაქმნისა. ყოველგვარი ბეგარის გაუქმება ან მისი შეცვლა სახელმწიფო გადასახადით — მას ხდის თავისუფალ, დამოუკიდებელ გლეხათ. პირიქით, თუ რომ ბატონის სახნავები ფართოვდება გლეხის ანგარიშზე — მაშინ საბატონო გლეხის მდგომარეობა თანდათან უფრო უახლოვდება მონის მდგომარეობას, და ბოლოს, როდესაც გლეხის მთელ სამუშაო ძალას იხმარს მემამულის წარმოება და ის გადაყავთ საშინა-ყმო სადგომში, მაშინ ყოველი ეკონომიური განსხვავება, ბატონ-ყმური გლეხისა და მონას შორის ისპობა. თუ რომ საბატონო გლეხი თანდათანობით ჰკარგავს წარმოების ყველა პირობებსა და საშუალებებს, მაგრამ ინარჩუნებს საკუთარ ქოხს, ბოსტანს და სხვ., ავსებს საკუთარ მეურნეობის დეფიციტს იმ საგნებით, რომელსაც იღებს მემამულის მეურნეობაში მუშაობისა-

თვის — მაშინ ჩვენს წინაშე იდგომება თანმიმდევრობითი საფეხურები გლეხის დაქირავებულ მუშათ გადაქცევისა. დასასრულ, როდესაც ქოხსა და შრომის ყველა საშვალებებს მოკლებული, ის იწყებს ოთხსავე მიმართულებით ხეტიალს, მაშინ ის ხდება პროლეტარად.

ამდენათმრავალგვარია ის ეკონომიური ფორმები, რომელთა საწყისსაც იძლევა ბატონ-ყმური სისტემა სხვადასხვანაირი კონკრეტული პირობებისადამიხედვით. და ის მართლა ამოსავალ პუნქტს შეადგენდა მათთვის. ცალკე წყებათა რიგში ბატონყმური მეურნეობა ეკონომიური განვითარების ისტორიაში უერთდებოდა კაპიტალისტურსაც, დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობასაც, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მონათმფლობელობის ურთიერთობასაც. წარმოშობის მხრივ კი ბატონყმური მეურნეობას ყველაზე მტკიცე კავშირი აქვს ფეოდალურ სისტემასთან.

ბ) ფეოდალის მემამულეთ გადაქცევა. — მსხვილი მიწათმფლობელობისა და წვრილი გლეხური მეურნეობის განვითარება (ინგლისში)

საწარმოო ტეხნიკის ცვლილებანი, რომელიც საფუძვლად უძევს ფეოდალურიდან ბატონყმურ მიმართებებზე გადასვლას, ხდებოდენ არა ფეოდალური წარმოების სფეროში, არა სოფელში, არამედ სასოფლო მოსახლეობის ზურგს უკან, ქალაქში. ბატონყმური მეურნეობის ტ ე ხ ნ ი კ უ რ ი წინამსრბოლები, წარმოადგენდენ წინამსრბოლთ დამოუკიდებელი საქალაქო ხელოსნებისა და განსაკუთრებით დამოუკიდებელი საქალაქო ვაჭრობისა, რაც სცვლიდა ტეხნიკურად ერთ ადგილას გაყინულ სოფლის სოციალურ ცხოვრებას. მაშასადამე, მათზე ლაპარაკი მოგვიხდება სათანადო თავებში, საშუალო საუკუნოებრივი ხელოსნობისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან დაკავშირებით. სწორედ აქვე ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ, როგორც მზამზარეული ფაქტიდან, ეკონომიურ მიმართებებში მომხდარ იმ ცვლილებებიდან, რომლებიც დაკავშირებული არიან საშუალო საუკუნეთა ქალაქის განვითარებასთან.

ამ ცვლილებათა არსება ხასიათდება, როგორც გადამწყვეტი გადასვლა ნატურალურ-მეურნეობიდან გაცვლითი მიმართებებზე. პოლიტიკურ სფეროში მან მიგვიყვანა ისეთ ცენტრალიზაციამდე, რომელზედაც წინად ფიქრიც შეუძლებელი იყო. მიწათმოქმედების პროდუქტები, რომლებიც შეადგენენ ფეოდალურ სიუზერენის შეშოსავალის მთავარ მასას, თავის გადატანას შესაძლებელს ხდიდენ, — განსაკუ-

თრებით საშუალო საუკუნეთა გზებით, — მხოლოდ განსაზღვრულ მანძილზე. ისინი ადგილზევე მოიხმარებოდენ და ამიტომ, თუმცა სიუზერენს ჰქონდა უზარმაზარი სამფლობელოები. და მამულები, მისი ძალები იფანტებოდა და ქუცმაცდებოდა სივრცეში, ხანდისხან, იქნებ, არც დიდდებოდა, არამედ მცირდებოდა ფეოდალური სამფლობელოების შემდგომი გაფართოების წყალობით.

ნატურალური ვალდებულებათაგან ფულადზე გადასვლა,—რაიც ჰგულისხმობს ვაჭრობისა და მაშასადამე სატრანსპორტო საშუალებათა მნიშვნელოვან განვითარებას, — შესაძლებლობას აძლევს წარმატებით განმაერთიანებელ-სიუზერენს მთელ შემოსავალსა და მათზე უშუალო განკარგულებასაც თავი მოუყაროს საკუთარ ხელებში. ვასალურ გაერთიანებათა სუსტი დამოკიდებულება, რაიც უმთავრესად საშხედრო დახმარებაში, გამოიხატებოდა, ახლა გადადის რეალურ დამოკიდებულებაში; რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ვასალები სიუზერენს უხდიან რეგულიარულ ვალდებულება-გამოსაღებთ და ექსტრაორდინალურ გადასახადებს გაუთვალისწინებელი მოთხოვნილებებისათვის. სენიორის გვერდით ჩნდება სუვერენის რწმუნებული, სამეფო მოხელე, რომელიც. პირველ რიგში, მეთვალყურეობს ცენტრალიზირებულ გამოსაღებთა. წესიერ გადახდას. ხოლო შემდეგ, სულ უფრო აფართოებს რა თავის საზოგადოებრივ როლს, ავიწროებს სენიორის მოღვაწეობის სფეროს: თავის თავზე ღებულობს, მთლიანად ან ნაწილობრივად, სასამართლო, საპოლიციო და ადმინისტრატიულ ფუნქციებს, აწყობს გზების გაყვანის, ხიდეების აშენებას და ა. შ. საქმეებს ადგილობრივ სენიორების, — რომლებიც გამოხატავენ ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ფეოდალური ეპოქის საოლქო დემებისა — იერარქიის გვერდით, ხოლო შემდეგ ამათი იერარქიის ზემოდ ვითარდება მოხელეების იერარქია, რომელიც წარმოადგენს ახალ ეკონომიური ეპოქის ცენტრალიზატორული ტენდენციების გამოხატულებებს. ფეოდალური კავშირი თანდათან ღებულობს ცენტრალიზირებული სახელმწიფოს სახეს.

მაგრამ იმ დროს, როდესაც ახალ ეკონომიურ მიმართულებათ, რაც ქალაქებიდან გამომდინარეობდა, მივყევართ ფეოდალის, მისი წინანდელი მშვიდობიან-ორგანიზატორული ფუნქციებისაგან მოშორებისაკენ, — სწორეთ ამ დროს მწიფდებოდა სრული გადატრიალება ომის წარმოების პირობებსა და მეთოდებში, რომელიც აგრეთვე სასიკვდილო დარტყმას წარმოადგენდა ჯარის საშუალო საუკუნოებრივ, ფეოდალურ, რაინდული ორგანიზაციისათვის. სანამ ფეოდალი ასრულებდა გარკვეულ ორგანიზაციულ ფუნქციებს, სანამ ის საშუ-

ალო საუკუნოებრივ საზოგადოებისათვის იყო საზოგადოებრივად აუცილებელი ელემენტი, ფიქრიც არ შეიძლებოდა მის მოსპობაზე: ისეთი სამხედრო ორგანიზაციის არსებობა, რომელსაც შეეძლებოდა დახშარების გაწევა ფეოდალური რეჟიმის საერთოდ დამხობისათვის, — და არა ამავე წოდების ერთი წარმომადგენელთა მეორით შეცვლით, შეუძლებელი იყო. ერთი რაინდის წინაშე გლეხთა და მოქალაქეთა მთელი ჯგუფები შიშითა თრთოდენ. როგორც ფეოდალის ციხე-კოშკი ბატონობდა მთელ მხარეზე, ისევე რაინდი, რომელიც თავის სამხედრო საქურველში მოძრავ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, გაშლილ მინდორში ბატონობდა ვასალურ მოსახლეობაზე. იმისთვის რათა ფეოდალს ვრცელი ქვეყანა მორჩილებაში ყოლოდა საკმარისი იყო რიცხვობრივად უმნიშვნელო რაოდენობის რაინდთა ჯარის ყოლა, მიუხედავად იმისა, თუნდაც ის მოკლებული ყოფილიყო შინაგან ორგანიზაციას, დისციპლინასა და უძლური ყოფილიყო წაშოეყენებინა და გადაეჭრა რამდენიმედ რთული სტრატეგიული ამოცანები; ასეთი რაინდთა ლაშქრები ეყრდნობოდენ არა იმდენად გეგმაშეწონილად განაწილებულ მასიურ მოქმედებათ, რამდენადაც მის კერძო ნაწილების და ზოგან კერძო რაინდებისაც-კი ამტანობასა და შეტევის უნარიანობაზე. საშუალო საუკუნეთა ომები დიდ უმრავლეს შემთხვევაში რჩებოდენ რაინდთა ტურნირებად. ამგვარად საშუალო საუკუნეთა ფეოდალების ადგილ-მამულების ეკონომიურ ავტონომიამ თავისი გამოხატულება საშუალო საუკუნეთა ჯარის წყობაში ჰპოვა.

იმისდამიხედვით, რამდენადაც ეს ავტონომია თავის დროს მოიქამდა, ფეოდალებიც ზედმეტი ხდებოდენ, დამოკიდებული მოსახლეობა იწყებდა ბრძოლას რაინდებთან და აწყობდა თავის საკუთარ სამხედრო ორგანიზაციას. რაინდული შეიარაღება მის საშუალებებს აღემატებოდა. მაგალითად, ფრანკებში რაინდის მოწყობილება: ფარი, აბჯარი, მახვილი, შუბი, ცხენი, ფასდებოდა 45 ძროხა ანუ 15 ცხენი, ე. ი. ღირდა არა ნაკლებ ვინემ მთელი ჯოგი პატარა სოფლისა. პლებეების ჯარი წარმოიშვა როგორც მსუბუქად შეიარაღებული, როგორც ქვეითი ჯარი, რომელიც თავდაცვისა და შეტევის ინდივიდუალურ საშუალებათა ნაკლებობას ცვლიდა მასიურ მოქმედებათა მწყობრი თანხმობით.

ახალი ქვეითი ჯარის სამშობლო იყო არა რომელიმე ეკონომიურად მოწინავე ქვეყანა, არამედ მე-XIV საუკუნის შვეიცარია, რომლის მთებშიც ყველაზე დიდხანს შენახულ იქნა პატრიარქალურ-საგვარეულო წყობა. შვეიცარიის სახალხო მილიცია (ლაშქარი) ფეო-

დალური დაქუცმაცების წინააღმდეგ იბრძოდა არა სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციისათვის, არამედ ძველებურ დამოუკიდებლობისათვის, — მეზობელ ფეოდალურ სიუზერენთა შემადგენლობაში ჩარიცხვის წინააღმდეგ: აქ კულტურის დაბალი საფეხური ისევ ზეიმობდა გამარჯვებას მაღალ საფეხურზე, როგორც ოდესღაც გერმანელები რომაელებზე გამარჯვებას ზეიმობდენ ტევტობურგის ტყეში (ენგელსი). მაგრამ ასი წლით ადრე შვეიცარიელ მთიელთა ბრწყინვალე გამარჯვებები ავსტრიელებსა და ბურგუნდიელებზე დარჩებოდენ წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე ეპიზოდებად. ახლა კი მეზობელ სიუზერენებმა გაკვეთილი მიიღეს იმ დამარცხებათაგან, რომელსაც რაინდთა ჯარები შეუწყვეტლივ განიცდიან შვეიცარიაში.

ბოჰემია პირველი ქვეყანა იყო, სადაც ფართო მასშტაბი მიიღო საშუალო საუკუნოებრივ სამხედრო ორგანიზაციებისა და ხალხთა მასების შეტაკებამ, რაიც საშუალო საუკუნეთა მიმართებაში გადავიდა. ჰუსისტთა ომებში (მე-15 საუკუნის პირველი ნახევარი) პირველად საშუალო საუკუნეთა ისტორიაში თაბორიტებმა ააშენეს სამხედრო საქმე შრომის მანუფაქტურულ განაწილებაზე სხვადასხვაგვარ იარაღთა შორის, და პირველად აღამაღლეს ის ხელოვნების სიმაღლეზე. დაღუპვა ამ სამხედრო ძალისა, რომელიც შესდგებოდა გლეხობისა, წვრილ საქალაქო ბურჟუაზიისა და განსაკუთრებით პროლეტარიზირებული ელემენტებისაგან, იყო არა კრახი ახალი სტრატეგიისა, — პირიქით, მან დაამტკიცა თავისი შეუდარებელი და განუზომელი წარმატება საშუალო საუკუნოებრივთან შედარებით,— არამედ შედეგი ჰუსისტთა ორგანიზაციის შინაგანი გახრწნისა.....

რაინდთა განიარაღების პროცესი ყველაზე ადრე დამთავრდა ინგლისსა და საფრანგეთში. შედარებით ჩამორჩენილ გერმანიაში სახელმწიფოებრივი გაერთიანება ბევრად უფრო ნელა მიდიოდა. მაგრამ განვითარებას აქაც მივყევართ უფრო ცენტრალიზირებულ პოლიტიკურ ფორმებამდე. საიმპერიო რაინდთა და წვრილ ფეოდალთა ცდები შეეჩერებინათ ეს პროცესი იმთავითვე განწირული იყო. მათი აჯანყება (მე-XVI საუკუნის პირველ შეოთხედის დასასრულს: ზიკინგენი, ულრიხ ფონ-ჰუტენი) ჩაქრობილ იქნა სიუზერენთა მიერ. მხოლოდ, გერმანიის ეკონომიური ჩამორჩენილობის შესაბამად ამ სიუზერენებად იყვენ არა ნაციონალური განმაერთიანებლები, როგორც ინგლისსა და ანუ საფრანგეთში, არამედ პროვინციალური ცენტრალიზატორები. მაგრამ მიუხედავად იმისა მოხდა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ნაციონალური თუ პროვინციალური

მასშტაბით, ის ორივე შემთხვევაში ერთგვარად ნიშნავდა რაინდთა ლაშქრების აღსასრულს.

დღეიდან სენიორის შთამომავალი, თუ მას სურს ასრულებდეს გარკვეულ საზოგადოებრივ ფუნქციებს და ღებულობდეს შესაფერ შემოსავალს, უნდა წავიდეს სახელმწიფო სამსახურში. მას აქვს უპირატესი უფლება საწეფო არმიის მეთაურობაზე და სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა მნიშვნელოვან თანამდებობებში. თავის ხარჯზე შეჭურვილი მხედარი თანდათან იცვლება „ოფიცერით", რომელსაც სამსახურში იზიდავს მეფის ჯამაგირი. ფეოდალი, თავისი ტერიტორიის შემკვიდრეობით მეთაური სულ უფრო იქცევა აზნაურად, რომელსაც მხოლოდ სასახლის ნებით შეიძლება დაეკისროს გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქციები.

ახალი სახელმწიფო, რომელიც პერსონალურად დაკავშირებულია ფეოდალურ წარსულთან მრავალრიცხოვანი ძაფებით, მიისწრაფოდა ყოფილი სენიორების გარეგანი დაქვემდებარება შეეცვალა მათი შინაგან დამორჩილებად, და შესაძლებლობის გვარად ცდილობდა ყველა მნიშვნელოვან ადგილებზე დაეყენებია ფეოდალთა შთამომავალნი, როდესაც ის ხშირად მხოლოდ იმიტომ ჰქმნიდა ამ თანამდებობათა, რომ მათთვის შემოსავალი გაეჩინა. მაგრამ დიდგვარიანები, რომელნიც მთელი რიგი შთამომავალთა სახით შეზრდილი იყვნენ ვიწრო ნატურალურ-მეურნეულ ურთიერთობას მათი სახლ-კარისა, რომელნიც მტრულად იყვნენ განწყობილი გაცვლითი მიმართებათადმი, რაიც ახალი საზოგადოების მთავარ ბაზისად ხდება, — უძლური აღმოჩნდენ თავის გამგებლობათა ქვეშ მოექცია მთელი რიგი ფუნქციები, რომლებიც საშუალო საუკუნოებრივი ფეოდალის ფუნქციათა შემდგომ განვითარებას წარმოადგენდენ. ასევე მისი ხელიდან წავიდა ფინანსიური მმართველობის ორგანიზაცია, სამრეწველო ურთიერთობათა გამგებლობა, სასამართლო საქმე. მას ძლიერ ხშირად რჩებოდა მხოლოდ ეგრეთწოდებული „მთავრობის მოვალეობანი", რომელიც იძლეოდა რა გავლენიან მდგომარეობასა და კარგ შემოსავალს, ხელს არ უშლიდა იმას, რომ ის თავის მამულში დარჩენილიყო: ნამდვილ სამუშაოებს ასრულებდენ ხელქვეითნი, — ახალი საქალაქო წოდების წარმომადგენელნი. მეორე მხრივ ზოგ აზნაურს არ ჰქონდა არავითარი მიდრეკილება სამსახურისადმი. ყოველივე ამას მივყევართ იქამდე, რომ ფეოდალმა შესაძლებლობა მიიღო მეტი ყურადღება მიაქციოს თავის ადგილ-მამულს. მაგრამ უკანასკნელით ის უკვე დაინტერესებული იყო არა იმგვარად, როგორც საშუალო საუკუნეთა პერიოდში, როდესაც ის იყო საზოგადოებრივ-ორგანიზა-

ტორული ფუნქციათა აღმასრულებელი პიროვნება: ახლა ის უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეა, რომლის სურვილია რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღოს თავის ადგილ-მამულიდან. ფეოდალი იქცევა მემამულედ.

სასახლიდან ძირს დაშვებული, დახვეწილი ფუფუნება იქცევა ფეოდალთა შთამომავლებისათვის განათლების, ზრდილობის და ევროპეიზმის წოდებრივ კრიტერიუმად. მეფის სასახლე იქცა სკოლად აზნაურის ცხოვრებისათვის. თავდაპირველად ფეოდალი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო სასახლეში, რათა დაემტკიცებია თავისი ლოიალური გრძნობები სიუზერენისადმი, რომელსაც ჯერ თვითონვე არ სჯეროდა, რომ ის იქცა მონარქად, და რომ მან საბოლოოდ გასტეხა თავისი ყოფილი ვასალების ავტონომიჰ. შემდეგში სასახლეში მოწვევა იქცევა განსაკუთრებულ პატივად, რომლისაკენაც ისწრაფოდა ყოველი სენიორი. სასტიკი რაინდის შთაშრომავალი თანდათან ვითარდება სახელმწიფო კარისკაცად, რომლის საზოგადოებრივი და წოდებრივი მდგომარეობა ისაზღვრება არა სამხედრო სიქველით, არამედ „ცხოვრებისათვის ალლოს აღებით", ე. ი. სასახლის ჩვეულებათა გადაღებით.

გაცვლითი ურთიერთობით გამოწვეული გადატრიალება ფეოდალის ცხოვრებაში თავის მხრივ სულ უფრო ფართედ და ღრმად აკავშირებდა მას ბაზართან. ცხოვრობდა ის შონარქის რეზიდენციაში თუ თავის მამულში, — ორივე შემთხვევაში ბრწყინვალება და ფუფუნება იპყრობდა მას. გამგეობდა ის თავის მამულს უშუალოდ თუ მოურავის საშუალებით, — ის ერთნაგად მიისწრაფოდა რომ რაც შეიძლება მეტი პროდუქტები მიეღო, რათა მისი ბაზარზე გაყიდვით დაეკმაყოფილებინა თავისი სულ მოზარდი მოთხოვნილებანი.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ზემოდ ლაპარაკი გვჭონდა ამა თუ იმ მხარის თავისებურ განვითარებაზე, ეს სავსებითაც არ ნიშნავს, რომ თითქოს სხვა ქვეყნებში შესაბამ მოვლენებს ადგილი არ ჰქონდათ: ნამდვილად ისინი არ გამოდიოდენ უბრალოდ ნაკლები რელიეფობით, ანდა განვითარდენ გვიანდელ ხანებში. ასე, თუმცა, საფრანგეთის სასახლე შეიქნა მისაბაძი ყველასათვის, მაგრამ ტენდენციები ასეთივე მიმართებათა დამოუკიდებელი განვითარებისა, იშავე დროს, ეჩინევა ყველგან, მთელ ევროპის ქვეყნებში, მათში რუსეთშიაც, უკვე ივანე III ნიისწრაფოდა აღედგინა ბიზანტიური ტრადიციები და თავისი ცხოვრება ჩაება „ევროპიზაციის" ფერხულში არა მხოლოდ ბერძენთა არამედ იტალიიდან გამოსულთა დახმარებითაც.

ფეოდალის მემამულეთ და აზნაურად გადაქცევა იმავე დროს იყო ფეოდალური ორგანიზატორის მესაკუთრედ განვითარების პროცესი.

ფეოდალური ეპოქის სენიორი არ იყო თავისი ტერიტორიის მესაკუთრე. მას ეკუთვნოდა ტერიტორიალური უზენაესობა (Oberhoheit) — დაშოკიდებულ მოსახლეობაზე სენიორალური ხელისუფლება. ფეოდალის გლეხისადმი მიმართება იყო არა შრომის ყველა საშუალებათა შესაკუთრის მუშისადმი მიმართება, რომელსაც მხოლოდ მისგან შეეძლო წარმოების აუცილებელ საშუალებათა მიღება: ეს იყო ისეთი პირის მიმართება, რომელიც თავს უყრის რა თავის ხელში ამ მიდამოების კოლექტიურ ძალებს, აწესრიგებს და მიმართავს მათ იმგვარად, რომ საერთოდ შესაძლებელი გახდეს ფეოდალური წარმოება. ზედმეტი პროდუქტი, რომელიც მის განკარგულებაში მოდიოდა, იყო მხოლოდ კოლექტიური შრომის მატერიალიზაცია, რომელიც ჰპოულობდა საზოგადოებრივად სასარგებლო გამოყენებას. სენიორის მთელი არსებობა ისე ორგანიულადაა გადაჯაჭვული ფეოდალურ წარმოებასთან, რომ შეუძლებელია წამოიჭრას საკითხი მის უფლებაზე ფეოდალური შემოსავალთა მიღების შესახებ.

გაცვლითი ურთიერთობათა განვითარებას მივყევართ ფეოდალის მოთხოვნილებათა ზრდისაკენ, იმ მოთხოვნილებათა გაზრდისაკენ, რომელსაც ის უყენებს დამოკიდებულ მოსახლეობას. ახალი სახელმწიფოს განვითარება, რომელმაც გაანთავისუფლა ფეოდალი, როგორც ასეთი, მის წინანდელ საზოგადოებრივ ფუნქციებიდან, მის არსებობას სასოფლო წარმოებისათვის ზედმეტსა ხდის: თუ რომ შემამულე სავსებით გამქრალიყო, უკანასკნელი ამით არავითარ დანაკლისს არ მიიღებდა, გაგრძელდებოდა ისევე, როგორც ფეოდალის დროს. ახლა კი ფეოდალის მოთხოვნილებანი ეყრდნობიან არა მის შოლვაწეობას, არამედ შიშველ იურიდიულ ტიტულზე — უ ფ ლ ე ბ ა ზ ე ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ა. ფეოდალურ ეპოქაში სენიორის ფუნქციებთან თავისი კავშირით შეზღუდული ეს მოთხოვნილებანი (მიჩემებანი), ახლა პრინციპში უსაზღვრონი ხდებიან, ხოლო პრაქტიკულად ისაზღვრებიან მხოლოდ წინააღმდეგობებით გლეხებისა, რომელიც სულ უფრო იდრიკება, იტეხება, და აუცილებლობით რომ დაუტოვონ გლეხებს საარსებო საშუალებათა ისეთი მინიმუმი, რომლის გარეშე მათ არ შეუძლიათ ცხოვრების გაგრძელება, და დახარჯულ ენერგიის აღდგენა.

ფეოდალის საკუთრების უფლება ისტორიულად უწინარეს ყოვლისა განვითარდა როგორც საკუთრების უფლება იმ მიწებზე, რომლითაც მრავალ წელთა განმავლობაში ფაქტიურად სარგებლო-

ბდენ ფეოდალი და გლეხები. საშუალო საუკუნოებრივი ფორმულა: არ არის მიწა სენიორის გარეშე, რომელიც ნიშნავდა, რომ არ არის მიწა რომელიც არ შედიოდეს ამა თუ იმ სენიორის ტერიტორიალურ უზენაესობაში, ღებულობს ახალ გაგებას: არ არის მიწა რომელიც არ იყოს საკუთრება ამა თუ იმ სენიორისა, ე. ი. რომელზედაც სენიორს არ შეეძლოს თავის სურვილისამებრ განკარგულება. სენიორს შეუძლია დაუტოვოს გლეხს ძველი ნადელით სარგებლობის უფლება გარკვეულ გადასახადზე პროდუქტებით, ფულით, ანუ შრომითი ბეგრისა; მაგრამ ასევე შეუძლია განდევნოს აყაროს ის, გადასცეს მისი ნადელი სხვა მიწის მუშას, ანდა შეუერთოს ის თავის საკუთარ სახნავებს. გლეხს რჩება მხოლოდ ერთი უფლება; გამოძებნოს დოკუმენტები, გუჯრები რომლებიც უნდა ამტკიცებდენ, რომ მისი წინაპრები თავისუფალი მიწის მფლობელები იყვნენ და არა ფეოდალის მიწებს ამუშავებდენ: მოთხოვნილება, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში განუხორციელებელია, რადგან ფეოდალურ ეპოქაში არ არსებობდა ფაქტიური ურთიერთობის ქალალდის დოკუმენტებით განმტკიცების საჭიროება. ფეოდალური ურთიერთობის გაგებისათვის იწყებენ მისთვის სავსებით უცხო რომის სამართლის ნორმებიკ გამოყენებას, რომელიც შეიქმნა საკუთრების მეტად განვითარებული ფორმების საფუძველზე. რომის სამართალი გადაიქცა იდეოლოგიურ იარაღად მიწათმფლობელთა ექსპროპრიაციისათვის.

მაგრამ მსხვილ მიწათმფლობელობის განვითარებას, თავისთავად აღებულს, შეეძლო მივეყვანეთ არა ბატონყმურ მიმართებამდე, არამედ სხვადასხვაგვარ ფორმებამდე წვრილი გლეხური იჯარისა და მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედებისა. ფეოდალურად დამოკიდებული მიწის მუშა, თუ კი ის ჰკარგავდა მიწას, არ რჩებოდა წემამულისაგან პირად დამოკიდებულებაში, გადაიქცეოდა არა ყმად, არამედ მეიჯარადრეთ, ერთი მხრივ და პროლეტარად — მეორეს მხრივ. სენიორიდან (Grundherr, განმტკიცებული გერმანული ტერმინოლოგიით) მაშინ განვითარდებოდა არა Gutseherr (მემამულე) არამედ უახლოესი კაპიტალისტური ფორმაციის მიწის მესაკუთრე (Grundeigentümer).

ბატონყმური მიმართებანი წარმოიშობიან მხოლოდ იმ შეთხვევაში, თუ რომ მსხვილი მიწის საკუთრების განვითარება კომბინირებულია გლეხის პირადი დამოკიდებულების დაცვასთან. მემამულე ფაქტიურ დამმუშავებლებზე აწარმოებს არა მხოლოდ ეკონომიურ გავლენას, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, რომ ის უპირისპირდება მათ, როგორც მიწათმოქმედური წარმოების აუცილებელი პი-

რობის მესაკუთრე: ის უქვემდებარებს მათ იმ იძულებისაც, რომელიც აშენებულია ძალთა შიშველ მიმართებაზე და რომელსაც წარქმი გარეშე ეკონომიურ იძულებას უწოდებს. უახლოესი მიწის მესაკუთრისაგან განსხვავებით, — რომელიც თავის მიმართებას იჯარადრის ანუ დაქირავებული მუშის შიმართ აწესრიგებს ფორმალურად თავისუფალი ხელშეკრულების საფუძველზე, — მემამულე იურიდიულად წარმოადგენს გლეხების ბატონს; გლეხის შრომა მემამულისათვის — აშკარად იძულებითი შრომაა.

უკვე აქედანვე სჩანს, რომ ბატონყმურ ურთიერთობათ აქვთ შერეული ხასიათი. ფეოდალი, რომელიც ისეთ საზოგადოებაში მოჰყვება, რომელში მის ზურგს უკან შეიქმნა ზოგიერთი წინამსრბოლები კაპიტალისტური მეურნეობისა ამ ახალ პირობებს აგუებს თავის მიწათმფლობელობას. მაგრამ, მეორეს მხრივ, ფეოდალური ეპოქიდან ის ინარჩუნებს მიწათმომქმედი მოსახლეობის იურიდიულ დამოკიდებულებას. ამგვარად ბატონყმური მეურნეობა არ არის კაპიტალისტური მეურნეობა, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსები ამტკიცებენ (მაგალითად, კ ნ ა პ ი, ლ ა მ პ რ ე ხ ტ ი): ის წარმოადგენს გარდამავალ ფაზას ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში, ის აშენებულია საკუთრების ფორმათა ისეთ კომბინაციაზე, რომელიც წინამორბედია კაპიტალიზმის სიახლოვისა, მიწათმომქმედთა მიმართ ურთიერთობის ისეთ ფორმებზე, რომელიც მოგვაგონებს განვლილ ფეოდალურ სისტემას. მემამულე აერთიანებს კაპიტალისტური ექსპლოატაციის პრიმიტიულ მეთოდებს, — რამდენადაც ის უპირისპირდება მიწათმომქმედთ, უბრალოდ, როგორც მიწის მესაკუთრე, — გადაშენების გზას შემდგარი ფეოდალური ექსპლოატაციის მეთოდებთან, — რამდენადაც ის უპირისპირდება გლეხებს, როგორც მათი ბატონი.

საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმათა განსხვავება, რომლებიც წარმოიშობოდენ, როგორც ფეოდალიზმის გახრწნის პროდუქტი, ყველაზე უკეთ ისაზღვრებოდა სახელდობრ იმით, თუ როგორ როლს თამაშობდა იძულებითი შრომა მიწათმოქმედებაში.

ამ მხრივ ინგლისი წარმოადგენს კონტინენტის სხვა ქვეყნებისაგან მეტად არსებითად განსხვავებულ ქვეყანას. უკვე წარმოების დაპყრობათა ეპოქაში (მე-XI საუკ. მეორე ნახევარი) ინგლისში იყო 80 ქალაქი. ზოგი მათგანი კიდევ რომაელებისაგან იყო დაარსებული საქსების მიერ უკანასკნელთა განდევნას თან სდევდა საქალაქო ცხოვრების დაცემა. მე-XI საუკუნეთა ქალაქები იყვნენ გამაგრებული პუნქტები სადაც შედარებით მცირეოდენი მოსახლეობა ცხოვრობდა. რაც ოდნავ თუ აღემატებოდა ზოგან, ლონდონის გამოკლებით,

7 — 8 ათასს. მათი ცხოვრების საერთო წყობა მხოლოდ თანდათან სხვავდებოდა სოფლური ცხოვრებისაგან. მაგრამ, იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში გაცვლა შედარებით ნელ-ნელა ჰქმნიდა ახალ ეკონომიურ მიმართულებათა ცენტრებს, ინგლისში ნორმანებს, ის, ნაწილობრივ, უკვე მზა-მზარეული დახვდათ. უკვე მე-XII საუკუნეში ზოგიერთი ძველი ქალაქები შეიქნენ საბაზრო ვაჭრობის ცენტრებად, წარმოიშვენ ახალი სავაჭრო პუნქტები, გაიბა შუდმივი სავაჭრო კავშირები ფლანდრიის ვაჭრებთან. მე-XII საუკუნიდანვე და არა უგვიანეს მე-XIII საუკუნის დასაწყისისა გატანის ერთერთ მნიშვნელოვან ობიექტად შეიქნა მატყლი.

ის წინასწარი პირობები, რომელსაც საჭიროებს განვითარებული გაცვლა, და რომელიც კონტინენტზე მეტისმეტი სინელით ყალიბდებოდა: საქონლის გადატანის თავისუფლება, ქარავანთა ძარცვებიდან დაცვა, — ინგლისში უკვე მე-XI საუკუნ. განხორციელდენ. უბრალოდ როდი იყო, რომ ქვეყნის ბატონები იყვნენ ნორმანები, რომელთათვისაც გაცვლა იმდენადვე თანდაყოლილი სტიქია იყო, როგორც ზღვა; და უბრალოდ როდი იყო, რომ მათი ბატონობა განმტკიცდა როგორც დაპყრობათა შედეგი, რომელიც ყოველთვის გულისხმობს ცენტრალიზაციის გარკვეულ ხარისხს. გაცვლითი მიმართებების ჩქარ განვითარებას მოყვა ის, რომ ეს საშხედრო ცენტრალიზაცია, მსგავსად სხვა ქეყნებისა, არ ყოფილა უბრალოდ გარდამავალი ეპიზოდი, არამედ ის მოგვეელინა როგორც **მ ყ ა რ ი** საწყისი მტკიცე პოლიტიკური გაერთიანებისა. დამახასიათებელია, რომ ნორმანთა პერიოდის დასაწყისიდანვე ინგლისის შეფეები დამოკიდებულ მოსახლეობას იქვემდებარებენ უშუალოდ, — და არა მხოლოდ ვასალებისა და ქვევასალთა იერარქიის მეშვეობით. წყობა, რომლის სუსტ ჩანასახებმა საფრანგეთში თავი იჩინეს მხოლოდ მე-XIII საუკუნეში, ინგლისში განმტკიცდა უკვე მე-XI საუკ. დასაწყისიდან და უკვე ამ დროიდანვე ინგლისის ცხოვრების შთელი მნიშვნელოვანი მოვლენები იშლებოდენ ნაციონალური და არა პროვინციალური მასშტაბით, როგორც ეს იყო მე-XV საუკუნემდე საფრანგეთში, სადაც, მაგ., ბურგუნდიის ჰერცოგის ომები ოდნავ ეხებოდენ დანარჩენი ოლქების ინტერესებს.

ჯერ კიდევ ნორმანთა დაპყრობამდე, გაფართოებულ გაცვლასთან დაკავშირებით, დაიწყო დამოკიდებულ მოსახლეობის ნატურალურ ვალდებულებათა გამოცვლა მუდმივი ფულადი გადასახადებით. შთელი იმ მიწებისათვის რომელთაც სარგებლობდა მიწათმოქმედი, — თავის ნადელისათვის სახნავს მინდორში, და სათემო მინდვრების

ბარკვეული ნაწილისათვის, — ის სენიორს უხდიდა ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული ფულის ჯამს. ეს გადასახადები საერთოდ იმდენად დაბალი რჩებოდენ, რომ, როგორც სჩანს, მათს სოციალურ მნიშვნელობას არა იშვიათად სჭარბობდა სიმბოლიური, რომელიც სენიორალური უზენაესობის ცნობაში მდგომარეობდა. განვითარების სიჩქარის წყალობით ფულად გადასახადებში აქ თითქოს გამოიხატებოდა რბილი ფეოდალური ურთიერთობანი. ასე წარმოსდგა მიწათმომქმედთა ის კატეგორია, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ფრიგოლდერებისა", „მიწების თავისუფალი დამმუშავებლებისა", რომლებიც თავისუფალნი იყვნენ პირადი დამოკიდებულებიდან. მე-XI საუკუნის დასასრულს ეს ფენა გაფართოვდა, რადგან მასში შევიდნენ ქვევასალები, — წვრილი რაინდები, რომელნიც თან მოჰყვნენ ვილჰელმ დამპყრობელს, — ხოლო შემდგომ საუკუნეებში მასშივე შევიდნენ ის გლეხებიც, რომლებმაც შესძლეს თავიანთი ვალდებულებანი შეეცვალათ მოწესრიგებულ ფულადი გადასახადებით. მაშასადამე, უკვე მე-XII საუკუნეში ინგლისში, საერთო ხაზებში ჩაისახა თავისუფალი დამოუკიდებელი გლეხობა, რომელიც სხვა ქვეყნებში ჩამოყალიბდა მხოლოდ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.

ნორმანთა დაპყრობებით ფესვგადგმულ პოლიტიკურ ცენტრალიზაციას თანსდევდა ყოველგვარი შინაგანი ჩვეულებრივი მოვლენები. სენიორს იზიდავს მეფის სასახლე, მას ითრევს ქალაქური ცხოვრება და ის ეცნობა ფუფუნებით ცხოვრების გემოს. მაგრამ აქ გაცვლით ურთიერთობის სწრაფი განვითარების წყალობით, მეტისმეტი ძლიერებით თავი გამოყო მასში მიდრეკილებამ დამოუკიდებელ მოსახლეობის არა ნატურალური ვალდებულებათა გადიდებისა, არამედ მისწრაფებამ მიიღოს შემოსავალი უშუალოდ ფულის სახით, რომლის გადაქცევა შეიძლებოდა კონტინენტიდან მოტანილი ფუფუნების საგნებად. ნორმანთა დაპყრობებს თან სდევდა ადგილობრივი გლეხობის ნაწილის მიერ მიწების დაკარგვა და უფრო ნაკლები ზომით მათი სარგებლობის ქვეშ მყოფი მიწების მოედანის შემცირება. ამგვარად ინგლისის სოფელში გაჩნდა ნახევრად პროლეტარიზირებული ფენა, რომლის წარმომადგენელნი თავისუფალ დაქირავების საფუძველზე ამუშავებდენ მებატონის მიწებს. ყოველივე ამ მიზეზების გამო მე-XII საუკუნის ნახევრიდან იწყება საბეგრო სამუშაოთა სწრაფი გაწოცვლა ფულადი გადასახადებით. დამოკიდებული გლეხობა თანდათან იქცევა „კოპიგოლდერებად", რომლებიც მიწას ამუშავებდენ ხელშეკრულების საფუძველზე. კოპიგოლდერების პირადი არა თავისუფლება გამოიხატებოდა იმაში, რომ სენიორის ნებართვის

გარეშე მათ არ შეეძლოთ ქორწინებითი კავშირის დაქერა, სოფლის დატოვება და სხვ.. ამავე დროს მათ არ ჰქონდათ დაკარგული ფეოდალური უფლება სენიორის მიტოვებისა: ამ უფლების ერთადერთი შეზღუდვა მდგომარეობდა იმაში, რომ წამსვლელს უნდა მოენახა თავისი მოადგილე, რომელიც თავზე აიღებდა მთელ მის ვალდებულებათ სენიორის წინაშე.

მაშასადამე გლეხების მიწაზე, ანუ სენიორზე მიმაგრება არ წასულა ჩანასახითი საფეხურების იქით, „კოპიგოლდერები" არ არიან ყმები ამ სიტყვის ნამდვილი კონტინენტალური მნიშვნელობით, არამედ ისინი უფრო წარმოადგენენ კაპიტალისტური ეპოქის თავისუფალ მოიჯარადრეთა გარდამავალ საფეხურს. და რაც უფრო ფართედ და ღრმათ ვრცელდებოდა გაცვლითი ურთიერთობანი, მით უფრო კოპიგოლდერები თავისი მდგომარეობით უახლოვდებოდენ მოიჯარადრეებს.....

(ა. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი და ი. ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი — პოლიტ. ეკონომ. კურსი, ტ. I).

§ 4. საბატონო ბეგარა, პირადი ვალდებულებანი და გამოსაღებნი

საშუალო საუკუნოების უგვიანეს პერიოდის აგრარულ წყობილების დარგში გამოწვეული ცვლილებანი პირველად ყოვლისა დამოკიდებულია საქონლურ და ფულად მეურნეობაზე გადასვლასთან, — რომელიც სწარმოებს დაწყებული მე-XII საუკუნ. ორივე ეს მოვლენა — გაცვლითი და ფულადი მეურნეობანი — მჭიდროთ არიან ერთი მეორესთან დაკავშირებული. ცხადია, გაცვლა შეიძლება არსებობდეს უფულოდაც, ხოლო ფულადი გამოსაღების გაცემა შეიძლება სწარმოებდეს ხარკის, ე. წ. სისხლის გამოსაღების (ვირა), ბეგარის სახით მაშინაც კი, როდესაც არ არის საქონლური გაცვლა. მაგრამ გაცვლითი მეურნეობის რამოდენიმეთ მაინც მნიშვნელოვნათ განვითარებისას მას არ შეუძლია ფულისათვის გვერდით ავლა, და ნატურალურ გადასახადთა შეცვლა ფულადი გადასახადით პირველ რიგში სწორეთ გაცვლის დარგში ხდება. ხოლო მეორეს მხრივ, რამდენადაც მტკიცდება ფულადი მეურნეობა, იმდენათ ყოველგვარი გადასახადი: ბეგარა, ვირა, სისხლის გამოსაღები ღებულობს ფულად ფორმას. ეს ნიშნავს საგნების ბაზარზე გატანის აუცილებლობას, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ღებულობს მეურნეობა ფულადი გადასახადებისათვის საჭირო თანხებს. როგორც მემამულე, ისე გლეხიც იძულებული ხდება

ბაზარს შიმართოს იმისათვის, რომ იშოვოს სხვადასხვაგვარი გადასახადებისათვის აუცილებლად საჭირო რაოდენობა ჩხრიალა ფულისა.

სენიორალური მეურნეობა უკვე საშუალო საუკუნოების ადრინდელ ხანებში ნაწილობრივათ ასაღებდა ზედმეტ, ჭარბ ღვინოს, ხან ყველსა და მატყლს, ხოლო სამხრეთში ზეთის ხილსაც, მაგრამ ეს გამონაკლისს შეადგენდა და Capitulare de villis (მე-VIII საუკ. დასასრულს) მუდამ ხაზს უსვამდა მას, რომ რამდენადაც სოფლის მეურნეობის ყსა თუ ის ნაწარმოები — ქათამი, კვერცხი, თევზი — არ შეიძლება მოხმარებული და გამოყენებულ იქნას საკუთარ მეურნეობაში, ის სხვაზე უნდა გაიყიდოს. მონასტრები ცდილობენ მოიპოვონ პრივილეგიები, რომელთა ძალითაც მათი ნავ-ჭურჭელი და ხალხი, ისე როგორც მათ შიერ შესყიდული და გაყიდული საქონელი ყოველგვარი ბაჟებისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლდეს. მაგრამ, მე-X — XI საუკუნეებში-კი, თუნდაც შუა ევროპაში ასეთ პრივილეგიებს ძალიან იშვიათად ვხვდებით, ალბათ, მათთვის ჯერ კიდევ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ბაზარს; ის დიდ როლს თამაშობდა სამხრეთის მონასტრებისათვის, რომლებიც ასაღებდენ მარილს — საკუთარი მარილის სარეწაოებიდან.

გვიანდელი საშუალო საუკუნოები ორთავე მიმართულებით ამჟღავნებს მნიშვნელოვან ცვლილებებს. საქალაქო მეურნეობის განვითარებასთან ერთად წესდება ერთის მხრივ მეწამულეთა მეურნეობის ნაწარმოების გასაღება უახლოეს ქალაქის ბაზარზე, ხოლო მეორეს მხრივ, შესყიდვა იქვე მათთვის საჭირო ქალაქის ხელოსანთა საგნებისა, უმთავრესად კი სხვადასხვა ქვეყნიდან შემოზიდულ ფუფუნების ნივთებისა. მაგრამ საკუთარი მეურნეობის ნაკლებობის გამო, მისი ნაწარმოების გასაღებას ბევრი არაფერი შემოქონდა, ხოლო ომებისათვის საჭირო ხარჯები კი დიდი იყო,—ამიტომ სენიორებს ეშინოდათ მისწრაფება გლეხების ნატურალური ბეგარა და პირადი ვალდებულებანი ფულადი გამოსაღებით შეიცვალოს, რის გამოც გლეხები იძულებული ხდებიან თავიანთი მეურნეობის ნაწარმოებიც ბაზარზე გაიტანონ. ქალაქი თითქმის უმთავრესად იკვებება გლეხის პურით და გლეხის მეურნეობის სხვა სანოვაგით. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უფრო ადრე იყო გადადგმული (იტალიაში და საფრანგეთში), შაგრამ ფართო გავრცელება მას მხოლოდ მე-XI — XII საუკუნეში მიეცა.

ყველაზე ადრე საქონლურ და ფულად მეურნეობაზე გადასვლა ინგლისში მოხდა. „საჭიროა მხოლოდ წაიკითხოთ, — ამბობს დ. მ. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი — ინგლისის ფეოდალთა შოურავების მიერ შედგენილი რომელიმე საშეურნეო ანგარიშ-მოხსენებათაგანი, რომ

ამაში არავითარი ეჭვი არ შეგეპაროთ. საშემოსავლო მუხლებში ჩვენ ვხვდებით აღნუსხულს მარცვლეულათ, გაყიდულ პურს, პირუტყეს, ტყავს და სხვ. „ხოლაიუელის წერილობითი საბუთების საფუძველზე — ეკითხულობთ რ ო ჯ ე რ ს ი ს წიგნში — ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ოქსფორდის ბაზარზე ოთხშაბათობით და შაბათობით მომხდარი ბაზრობა, კესგერმში ჩაწერილი საბუთების საფუძველზე — ვაჭრობა გენლში. ბაიფი (ნოქარი) წესიერათ ესწრებოდა უახლოეს ბაზარს სენიორალური მეურნეობის ნაწარმოების გასასაღებლათ და სხვადასხვა საგნების საყიდლათ“, რამზეიდან ვილანებს, მაგ., ლორდის ხორბალი გაქონდათ ლონდონში, კემბრიჯში, კოლჩესტერში, იპსვიჩში, ალბათ შის გასაღებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მეურნეობისათვის.

ამ ცვლილებებს ცრ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა გლეხების მდგომარეობაზე; მას უნდა შეემსუბუქებინა ბატონყმური დამოკიდებულება და თანდათანობით დაებრუნებინა გლეხები ისევ თავისუფალი მიწათმომქმედის მდგომარეობაში. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი მდგომარეობდა გადასახადების ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრულ დაწესებაში (მათი გადახდევინება უნდა სწარმოებდეს ძალადობის გარეშე „ისე ჩუმათ, რომ აკვანში ბავშმა არ გაიღვიძოს, ქათამი საბუდარში არ დაფრთხეს“), რომ ის მოურავის ნება-სურვილზე აღარ ყოფილიყო დამყარებული (დიდ ნაწილს ნოქარი თვით ითვისებდა), თუმცა წესიერი ზომა-წონის უქონლობის გამო აღნიშნული განსაზღვრა მხოლოდ დაახლოებითი შეიძლება ყოფილიყო.

ხანდახან კიდეც ითქმებოდა: საბატონო ბეგარის სახით მოყვანილი მამალი, იმ ზომის უნდა იყოს, რომ 1½ ფუტის სიმაღლის სკამზე შეხტომა შეეძლოს; გლეხი-ქალის მიერ მოტანილ პურს მისი საკუთარი საჯდომის სიმძიმე და სისქე უნდა ჰქონდეს; ყველი ისეთი მაგარი უნდა იყოს, რომ კედელზე დარტყმით არ გატყდეს.

ხოლო ამას კი თან მოყვა შემდეგი, ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი — ნატურალური გადასახადების და საბატონო სამუშაოების ფულზე გადაყვანა. უკანასკნელი ფეოდალს უზრუნველყოფდა განსაზღვრულ შემოსავალით და დაცემის დროს ვილასათვის შემოსავლის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ფორმა იყო, მით უმეტეს, რომ გლეხებს ნატურით ცუდი ხარისხის პროდუქტები მოჰქონდათ. ფულის ღირებულების შემდგომი დაცემის გამო, გლეხებისათვის ამ გადასახადების უკანასკნელთა უცვლელობის გამო, ფულის სახით გაღება ხელსაყრელი შეიქნა. რაც შეეხება პირველ ყოვლისა რეალურ

ლალას, ან გადასახადებს, რომლებიც მიწასთანაა დაკავშირებული და როგორლაც წარმოადგენს საფასურს მიწით სარგებლობისათვის, მათ (საფრანგეთში) ძლიერ ადრე მიიღეს მუდმივი, განსაზღვრული ხასიათი, მათი ზომა დამოკიდებული იყო ნადელის სიდიდესთან. ეს კიდევ ცოტაა: ჯერ კიდევ მე-XII საუკუნეში (ნაწილობრივად მე-XI საუკ. და უფრო ადრეც) ისინი ნაწილობრივად მუდმივ ფულად გამოსაღებში, ჩინშში გადავიდენ, რომელთა სიმძიმეც, ფულის ღირებულების დაცემით, დროთა მსვლელობაში, თანდათან მსუბუქდებოდა, მაგრამ ამის გამო შეშოღებული დამატებითი ჩინშიც (Surcens) უფრო სიმბოლიური გამოხატულება იყო მიწაზე მეშამულის უფლებისა, ვიღრე ნამდვილი ღალა. შედარებით უფრო საძნელო იყო ნატურით გადასახდელი (Coutumes), ჩინშის მეორე ნაწილი, პურის (საშობაოთ), კვერცხის (სააღდგომოდ) და ყოველგვარ ცხოველის (ქათამის, ცხვარის, გოვის) სახით და აგრეთვე მოსავლის ნაწილით გადასახდელი ჩინში (campipars, champart, ე. ი. ყანის ნაწილი) მეცხრე, მეათე ძნა და ყურძნის განსაზღვრული ნაწილი — vinage და სხვ. ასეთ შემთხვევაში გლეხს არ შეეძლო ყანაში აეკრიფა ძნები, სანამ სენიორის ნოქარი (მოურავი) არ განსაზღვრავდა მოსავლის რაოდენობას, სენიორის კუთვნილ ნაწილს, და ეს უკანასკნელი არ იქნებოდა გადატანილი სენიორის ბეღელში; მთელი ამ ხნის განმავლობაში გლეხის პური მინდორში იმყოფებოდა და მას ქარწვიმა აფუჭებდა. მე-XIII და მე-XIV საუკ. პროგრესი სწორეთ იმაში მდგომარეობდა, რომ ღრიეე ეს მძიმე ბეგარა, — ნატურალური ჩინში და მასზე კიდევ უარესი champart-ი, — გლეხების მიერ მიღწეულ იქნა შეცვლილი ყოფილიყო განსაზღვრულ ფულადი გამოსაღებით. ორლეანში, ნორმანდიაში (მე-XII საუკ.), რუსილიონში, ლანგედოკში, პუატში ბურგუნდიაში (მე-XIII საუკ.) — ყველგან ისინი თანდათანობით გადადიან ამ დიდ ფულად ღალაში: „rentes qui ne croissent ni ne décraissent". ინგლისში უფრო ხშირად ნატურალური გადასახადი იცვლება განსაზღვრული ფულადი რენტით, პირიქით, გერმანიაში ნატურალური ღალის მოშორება შედარებით იშვიათი მოვლენა იყო, თუმცა ჩინში (Jins) აქაც გადაიქცა მიწის რენტათ, რომელიც ნადელის სიდიდით ისაზღვრებოდა. ხოლო შემდეგში მათ სპეციალურ კულტურებისათვის დაერთო განსაკუთრებული დამატებითი გადასახადი. როგორც სჩანს, სპეციალურ გადასახადებმა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ძირითადი ჩინში ფულადი რენტით იყო შეცვლილი, შეინარჩუნეს თავისი ნატურალური ხასიათი. ყოველ შემთხვე-

ვაში, მემამულეები მუდამ იტოვებდენ ფულად და ნატურალურ ღალას შორის არჩევანის უფლებას.

მეორე, უფრო გაბედული ნაბიჯი იმავე მიმართულებით მდგომარეობდა საბატონო ბეგარის ფულადი ღალით შეცვლაში. საბატონო მიწის გამოყიდვა ზედმეტათ ხდიდა საბატონო ბეგარას, ყოველი მისი შემცირება საშვალებას აძლევდა ვილანების განსაზღვრულ ჯგუფებს განთავისუფლებულიყვნენ ამ მძიმე ბეგარისაგან. მაგრამ საერთოდ ფეოდალისათვის საბეგრო შრომა, როგორც სჩანს, არ იყო ყოველთვის ხელსაყრელი. საბეგრო დღეებში გლეხების სმა-ჭამა ფეოდალის ხარჯზე ხდებოდა, რომელიც ხანდისხან ისე დიდი იყო, რომ მათი კვება უფრო ძვირი ჯდებოდა ვიდრე მათივ ნაკლებათ ინტენსიურ შრომით მიღებული შემოსავალი.

ელზასის საბუთებში არის მითითება, რომ ბაზელში ყოველწლიური ღვინის შემოტანის გამო, მენავეები იღებენ საკმაო რაოდენობით საჭმელს და იმდენ ღვინოს, რომ მათ მხოლოდ ბარბაცით შეუძლიათ ნავამდე მისვლა. მეორე შემთხვევაში მებეგრეებს შეეძლოთ ისეთი ზომის პური მოეთხოვათ, რომ მისი სიდიდე მუხლებიდან ნიკაპამდე მისწვდომოდა, ან მისი იღლიაში ამოდობისას შეუძლებელი გამხდარიყო თითის სარტყელში ჩადება; გადაზიდვის დროს მათ უფლება აქვთ ყოველ განვლილ მილზე მოითხოვონ ერთი ჩარექი ღვინო, ხოლო მათ ცხენებს სიმაღლით მკერდამდე დაეყრებათ ქერი. მცელავს უფლება აქვს იმდენ მოთიბულ თივაზე, რამდენის აწევასაც შესძლებს ცელის ბოლოთი; ქერის გადაზიდვისას — იმდენზე, რამდენსაც სამ გზობათ დაიტევდა ხელებში; გარდა ამისა მას აქვს უფლება წაიღოს თავისთვის თივით სავსე ურემი და ყოველ გადაზიდულ ტვირთიდან ერთი ძნა.

ასეთ პირობებში ფეოდალისათვის ხშირად უფრო ხელსაყრელი იყო (იქაც კი, სადაც არსებობდა სენიორალური მეურნეობა) წლიდან წლამდე განსაზღვრული ფულადი გამოსაღების გადახდევინება; ისინი ქირაობდენ მოჯამაგირეებს, რომელთა შრომასაც თავისუფლად იყენებდენ მიწების დასამუშავებლად. არ უნდა იქნას გაშვეებული მხედველობიდან ის გარეგნობა, რომ სამხედრო მოღვაწეობა ფეოდალთა ჩვეულებრივი საქმიანობა იყო და მათგან დიდ ფულად თანხებს მოითხოვდა. მაგრამ გლეხებისათვისაც ასეთი შეცვლა (ფულადი გამოსაღების დაწესება) მნიშვნელოვანი შემსუბუქება შეიქნა, რადგან ამით მცირდებოდა დამოკიდებულება სენიორებისაგან და ეს უკანასკნელნი მათ პირად ცხოვრებაში ვეღარ ერეოდენ; ვილანი, რომელიც მანამდე ბატონის სამეურნეო იარაღს წარმოადგენდა თავის შრომისა და დროის სურვილისამებრ განმკარგულებელი ადამიანი გახდა და ბატონის სასარგებლოთ მხოლოდ განსაზღვრულ ფულად

თანხას იხდიდა. საბატონო მუშაობის ფულადი გამოსაღებით შეცვალა ნიშნავდა შემფერხებელ კონტროლის გაუქმებას, რომელიც მუდამ სხვადასხვა ბეგარის მოხდასთან და მებატონის მოსამსახურეთა თავაშვებულ მოქმედებასთან იყო დაკავშირებული; მოსამსახურეები კი მთელ რიგ უპასუხისმგებლო საქმიანობით, მხოლოდ იმის ცდაში იყვენ, რომ თავის სასარგებლოთ, რაც შეიძლება, მეტი ეშოვნათ, მეტი გამორჩენა ჰქონოდათ; ის აგრეთვე ნიშნავდა სენიორის სასარგებლოთ გლეხის სამუშაოთ გამოსვლას ისეთ დროს, როდესაც მისი (გლეხის) საკუთარი მეურნეობა მუშა ხელს ითხოვდა და უიმისოთ ნადგურდებოდა. ტყუილა არ არის, ინგლისში, რომ იურიდიულ განსხვავებასთან ერთად, ჩვეულებისამებრ, ე. ი. იურიდიულათ არა უზრუნველყოფილ მდგომარეობასა, (რომელიც ლორდს უფლება ჰქონდა ყოველთვის წაერთმია) და ფორმალური ხელშეკრულებითი მდგომარეობას შორის, ტარდება სხვა განსხვავებაც ორი სისტემისა: ღალა და საბატონო ბეგარა. საბატონო ბეგარისაგან თავდახსნილნი წყაროებში პირდაპირ იწოდებიან როგორც თავისუფალნი, ხოლო ისინი რომლებიც იხდიან ამ ბეგარას, იწოდებიან „მუშებათ, მონებათ, ვილანებათ“.

საბატონო ბეგარის ფულადი გამოსაღებით შეცვლის პროცესი — კომუტაცია — ცხადია, თანდათანობით, ხდებოდა. როგორც სჩანს ამოსავალ წერტილად მიღებული იყო საბატონო ბეგარის მოხდისათვის ერთხელ და სამუდამოთ ზუსტად განსაზღვრული დღეების დაწესება. საერთო წესის თანახმად, ინგლისში, ვილანი, რომელიც ფლობდა სრულ ნადელს (ვირგიტს) ვალდებული იყო სამუშაოზე გამოსულიყო მთელი ოჯახით (მხოლოდ ცოლის გამოკლებით) და ლორდის სასარგებლოთ ემუშავნა კვირაში ორი-სამი დღე, ხოლო გადაუდებელ სამუშაოების დროს ზედმეტათ კიდევ 1 — 2 დღეს ყოველკვირეულად, ისე, რომ გლეხი ასეთ პირობებში მთელ თავის შრომას ლორდს ახმარდა. ამავე დროს უხუცესს (წამასახლისს) ევალებოდა განსაკუთრებული თვალ-ყური ედევნებია შეუსრულებელი მუშაობისათვის და მიეღო ზომები მისი ფულადი სახით გასანაღდებლათ. ამრიგათ თანდათანობით წესდება ყოველ სამუშაოსათვის შეფასების ერთგვარი ნიხრი, და თუ პირველ ხანებში ფულად გადასახადებს ჰქონდა გაცდენილი დღის ასანაზღაურებელი ჯარიმის ფორმა, შემდეგში ის გადაიქცა საბატონო ბეგარის შემცვლელ, ჩვეულებრივ, ფულად გადასახადათ. მაგრამ შემდეგაც, როცა ასეთი ფულადი გადასახადი ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა, ის მაინც დიდხანს აუცილებლობით მხოლოდ ფაკულტატიური იყო. მთავრობის მე-XIII საუკუნის

კადასტრში რამოდენიმე საგრაფოებისათვის მოყვანილია ყველა საბატონო სამუშაოების პარალელური ფულადი შეფასება. პირადი საბატონო ბეგარისა და ღალას შორის არჩევანი ლორდს ეკუთვნოდა, მაგრამ პირადი ბეგრის თანხა, სამუშაოს შეფასება, წინასწარ იყო დაწესებული, ე. წ. „ასეულის სიებში" (Rotuli Hundredorum) ჩვენ ვხვდებით არა იშვიათ შემთხვევებს, როდესაც განსაზღვრული წესი კიდევ არ იყო შემოღებული და ლორდი ვილანს ერთ რომელიმე წელიწადში ახდევინებს ფულს, შემდეგ წელიწადს კი კვლავ ითხოვს მისგან საბატონო ბეგარას (onera) მთელი მისი სისრულით: araturae, averagia manuoperationes. სამაგიეროთ სხვა შემთხვევებში, — როგორც დასტურდება აღნიშნულ სიებიდან — ფულად გამოსაღებმა უკვე შესძლო განმტკიცება, და ლორდმა შეინარჩუნა მხოლოდ უფლება ad voluntatem ისევ საბატონო ბეგრის აღდგენისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოსაღები თანდათანობითი მტკიცე ხასიათს ღებულობს, განმტკიცებული ჩვეულებრივი ნორმებით (consuetudo maneri) ის ბორკავს ლორდის უფლებებს, და მისი დარღვევა ითვლება თვითნებობათ. იმ დროს, როდესაც ზოგიერთ მამულში კიდევ ახსოვდათ იმ პირის ვინაობა, რომელმაც საბატონო ბეგარა ფულზე გადაიტანა, დანარჩენებში ფულადი გამოსაღები იმდენათ განმტკიცდა, რომ იმავე მიწის გადაცემა ახალ „მოიჯარადრისათვის" „სამუშაოების შესრულებისათვის". და არა „რენტისათვის", უსამართლობათ ითვლებოდა. ხშირად გამოსყიდვას ახდენდენ არა ცალკე პირები, არამედ მთელი სოფლები და ოლქებიც კი, ის, მთელი მხარის ჩვეულებათ იქცა, და უფრო მტკიცე ხასიათს ღებულობდა. ხანდისხან ამ ნიადაგზე ნამდვილი ხელშეკრულება იკვრებოდა ლორდებსა და გლეხებს შორის, და მისი დარღვევა გლეხებს უფლებას აძლევდა სარჩელი აღეძრათ სამეფო სასამართლოში.

ცხადია, როგორც აღნიშნავს პ. გ. ვინოგრადოვი, საბატონო ბეგარა მთლიანად კიდევ დიდხანს არ გამქრალა; განსხვავება საბატონო ბეგარისაგან თავისუფალ და მისგან არათავისუფალ მიწის დამშუშავებელთა შორის მხოლოდ რაოდენობითი იყო, — განსაზღვრული ვალდებულებათა მთავარი მასის სიმრავლით. იმის მსგავსად, როგორც საბატონო შრომის გადამხდელნი იხდიდენ, არა დიდ გამოსაღებსაც, საღალო მიწებზედაც რჩებოდა გარკვეული შრომითი ვალდებულებანი. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, — დ. მ. პეტრუშევსკის სიტყვით მე-XIII საუკ. მთელი თავისი ბეგარის ნატურით გადამხდელი ვილანი იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. „გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, ამ დროში შედგენილი კუსტუმარიებში არ

მოიძებნება არც ერთი ვილანი, რომლის საბატონო ბეგარის ესა თუ ის ნაწილი ფულზე არ იყოს გადატანილი".

ყველაზე უფრო ადრე ეს, ალბათ მოხდა მეფის დომენებში, სადაც ჯერ კიდევ მე-XII საუკ. პირველ ნახევარში (ჰენრიხ I დროს) ვილანების ნატურალური ბეგარა ფულად გამოსაღებზე იქნა გადატანილი. „ბაზინის შესახებ დიალოგში" (Dialogue de Scaccario), რომელიც ამ დროს მიეკუთვნება, ნათქვამია, რომ ჩოდესაც მეფე ჰენრიხ I „შეუდგა ზღვის გადაღმა, შორეულ ქვეყნებში მოგზაურობას აჯანყებათა ჩასაქრობათ, მას დასჭირდა ამისათვის საშუალებანი მოკრილი ფულის სახით". ამასთანავე მისი მოგზაურობის დროს გლეხები ხშირად გამოდიოდენ მასთან გუთნის ნაწილებით ხელში ნიშნათ იმისა, რომ მიწათმოქმედება დაქვეითების გზას ადგება, რადგან მათ ევალებათ დიდძალი სურსათ-სანოვაგის გადახდა და თავიანთ საცხოვრებელი ადგილებიდან მისი სამეფოს სხვადასხვა ადგილებში მიტანა". მოთხოვნილება ფულში და ვილანების მიერ ნატურალური ბეგარის მოხდისას უნაყოფოთ დროის დაკარგვა კომუტაციის გამომწვევი ორი ძირითადი ფაქტორია, რომელიც აქ სიცხადით აშკარავდება. მეფეს მიყვენ მალე ლორდები, შემდეგ მონასტრები, თუმცა სასულიერო ადგილ-მამულებში კომუტაცია უფრო ნელი ტემპით ხდებოდა, ვინემ საეროში.

ინგლისში კომუტაციის დიდ და ჩქარ გავრცელებას 1349 წლის ეამის (შავი ჭირის) ეპიდემიის წინა ეპოქაში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რ ო ჯ ე რ ს მ ა. სხვა მკვლევარებმა აღნიშნეს ფაქტი საბატონო ბეგარის არსებობისა ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო ზოგან მე-XV და მე-XVI საუკ. დასაწყისშიაც. თუმცა რ ო ჯ ე რ ს ი ს დებულება — რომ თითქმის ყველა საბატონო შრომითი ბეგარის მაგივრ ფულს იხდიდაო, — მეტად გადამეტებულად მიაჩნია, მაგრამ პ ტ ი - დ ი უ - ტ ა ი მაინც სცნობს, რომ მე-XIII საუკ. და მე-XIV საუკ. პირველ ნახევარში საბატონო შრომითი ბეგარა დაქვეითების გზას დაადგა; მხოლოდ ამასთანავე აღნიშნავს რ ო ჯ ე რ ს ი ს ზედმიწევნითი ოპტიმიზმისადმი სიფრთხილით მოპყრობის საჭიროებას. ხოლო ტ ო მ ა ს პ ე ჯ ი მიუთითებს, რომ საქონლის მოწყესის მხრივ საბატონო ბეგარა ადრევე შეიცვალა დაქირავებული შრომით, რადგან ის განსაზღვრულ დღეებს უდრიდა და არ შეიძლებოდა ცხვრებისა და ღორების ვილანისათვის მინდობა, რომელიც კვირაში მხოლოდ სამ დღეს მსახურობდა; მწყემსებს მიყვენ მხვნელები და მეურმეები და მალე ყოველგვარი ცხენებით სამსახური გამოყოფული შეიქნა, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ საქმიანობათ მხოლოდ შეძლებული გლეხები. იხდიდენ; ისინი ჯერ კიდევ 1349 წლის ეამამდე საერთო წესის მიხედვით გადასახადებზე იქნენ გადაყვანილი. რაც შეეხება ხელით სამუშაოებს, რომელთაც მცირე მიწა-წყლის მქონე ვილანები ასრულებდენ, უსახსრობის გამო, უკანასკნელთ თავის გამოსყიდვა ვერ შესძლეს; და ესენი ისეთ სამუშაოებს ასრულებდენ, რომ, განსაკუთრებით თიბვისა და პურის დაგროვების დროს, როდესაც საჭირო ხდებოდა მუშა-ხელის დიდძალი რაოდენობა, — შეუძლებელი იყო იმ ეპოქაში საკმაო რიცხვის მოჯამაგირეების შოვნა. ამის გამო, პ ე ჯ ი ს სიტყვით, ხელით სამუშაოები მე-XIV საუკუნის ნახევრამდე, მხოლოდ ნაწილობრივ შეცვლილი იქნა

ფულადი გამოსაღებით. პეჯის მიერ შესწავლილ 78 მენორისაგან ხელით სამუშაოები 40-ში ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად იყო შენახული, ხოლო 21-ში ასეთი სამუშაოების ნახევარი საბატონო შრომის სახით სრულდებოდა.

შემცდარი იქნებოდა ფიქრი, რომ თითქოს — საბატონო — მიწათმფოლებელობის შეურნეულ წყობაში ასეთ ცვლილებას მხოლოდ ინგლისში ჰქონდა ადგილი. როგორც პროფ. პისკორსკი მიუთითებს, მათ ადგილი ჰქონდათ დიდი რაოდენობით კატალონიაშიაც, სადაც, განსაკუთრებით მე-XIV და მე-XV საუკ., სწარმოებდა განსაზღვრულ ფულად გამოსაღებზე გადატანა არა მარტო ნატურალური გადასახადისა, არამედ გლეხის პირადი შრომისაც, — მუდმივათ, ან და განსაზღვრული ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივათ პირად ვალდებულებათა შეცვლა ყოველწლიური გადასახადით ხდებოდა გამოსყიდვის საფუძველზე, ერთდროული განსაზღვრულ თანხის გადახდით. საბატონო ბეგარაზე უარის თქმის გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ფეოდალი ფულის დიდ საჭირობას განიცდიდა. საფრანგეთში პირველად საბატონო ბეგარის რაოდენობა მთლიანად ბარონის შეხედულებაზე იყო დამოკიდებული; მაგრამ შემდეგში საბატონო ბეგარა იქცევა ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრულ გადასახადათ; ან ხელშეკრულების ძალით ან ჩვეულება-ადათის, მიხედვით ყოველწლიურად განსაზღვრება რიცხვი დღეებისა, რომლებშიაც უნდა იმუშაოს ვილანმა *). არა მარტო სამხრეთში, რუსილიონსა (არა უმეტეს 8 დღისა) და ლანგედოკში, არამედ სხვა ადგილებშიაც — ნორმანდიაში, აკვიტანიაში, ბურგუნდიაში (არა უმეტეს 4 დღისა) — საბატონო დღეების რიცხვი თანდათანობით მცირდება და აღწევს წელიწადში 1 — 3 დღეს. ხან საბატონო ბეგარა მთლიანადაც კი უქმდება, მაგალითად, ფლანდრიაში, მე-XII საუკ. ბოლოდან შამპანიის ახლად დაარსებულ სოფლებში, ორლეანის სახაზინო ადგილებში. სხვა შემთხვევებში რჩება მხოლოდ საზოგადოებრივი დახმარება და სადარაჯო სამსახური, ან გადაზიდვა-გადატანის ვალდებულება; დანარჩენი სამუშაოები თანდათან ფულზე გადააქვთ და იცვლება, განსაკუთრებით ზვარებში, მოჯამაგირეთა დღიურ შრომაზე.

გერმანიაში მე-XIII საუკუნის ბოლოდან, გუფების**) დანაწილების გავლენით, მასთან დაკავშირებული ბეგარებიც ძალზე იშლებო-

*) ვილანი — საშუალო საუკუნოებში ყმა-გლეხი.

**) გუფა — მიწის ზომა, ნაკერი, გერმანიაში უდრის 30 ჩვენებურ ქცევას (27.000 კვადრ. საჟენს).

და, ნაწილდებოდა და ხშირად სრულიად ჰქრებოდა; ალბად, ამის გამო, საბატონო სამუშაოებიც ძალზე შემცირდა და შემამულეები ამჯობინებდენ თავის დროზე მათი ფულადი გადასახადით შეცვლას. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე საბატონო მიწის სივრცის შემცირებაც; თუმცა გადახნულ სათემო მიწების (Reunde) სივრცის ახლად გაფართოვებამ მე-XIV საუკუნეში კვლავ აუცილებელი გახადა გლეხის შრომის გამოყენება, შაგრამ საერთოდ ის გასულ პერიოდებთან შედარებით ყველგან შემცირდა, საბატონო ბეგარა წელიწადში 12 დღეს არ აღემატებოდა, ხოლო ხან კიდევ 2 ან 1 დღეს უდრიდა წელიწადში; ზოგ შემთხვევაში შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ საზიდი ტრანსპორტის, საალმშენებლო და ნახირისათვის მოვლის ბეგარა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში გლეხები შესცვალეს მებატონის შინაყმებმა.

დასასრულ, თანდათანობით იცვლის თავის ხასიათს მესამე კატეგორიის ბეგარაც, წმინდა პირადი ხასიათის ბეგარა, ცუდი ჩვეულებანი, როგორც მათ უწოდებდა მოსახლეობა. ისინი მონურ ელფერს ატარებდენ და გამომდინარეობდენ პირვანდელ შონურ მდგომარეობიდან. შემდეგშიაც დაცულ იქნენ და ყველა თავისუფლება დაკარგულ პირებზე გავრცელდენ. იმდენად, რამდენადაც წინეთ ეს ბეგარა ნატურით უნდა ყოფილიყო შესრულებული, ეხლა ის იცვლება ფულადი გამოსაღებით, ხოლო რამდენად ის ქონებრივი ხასიათისა იყო მცირდებოდა უმნიშვნელო რაოდენობამდე; დასასრულ ბრავალ შემთხვევაში ისინი სრულიად ჰქრებიან: ხდება მათი გამოსყიდვა ან სავსებით გაუქმება. ამ ბეგარათა შორის პირველ რიგში იდგა სხვადასხვაგვარი სასულო გამოსაღები — ნიშანი არათავისუფალი მდგომარეობისა. ეს ბეგარა, განსაკუთრებით გერმანიის სხვადასხვა ადგილებში რეალურ სიმძიმით აწვა მიწას, რომელსაც გლეხი ფლობდა, და იკრიფებოდა ყოველ კომლიდან. ან ის იქცა (საფრანგეთში) — taille à arbitraire-დან (თავდაპირველად სენიორს უფლება ჰქონდა იმ ნაწილის წაღებისა, რომელსაც მოისურვებდა: taille à volonté) განსაზღვრულ გამოსაღებათ: censive; შას აგრეთვე ხანდისხან მიაკუთვნებენ ხოლმე taille extraordinarie-საც, ან, დასასრულს, აღნიშნული ბეგარა გამოხატავდა რა მხოლოდ დამოკიდებულების ფაქტს, ის შემცირდა (ინგლისში) მინიმალურ ზომამდე, და გამოიხატებოდა წელიწადში ყვერულის მოყვანაში, იმბირის ანუ ვაშლის ძირის მოტანაში.

ასეთივეა სენიორის მიერ ვილანის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონების მთლიანად ან ნაწილის მითვისება: ის გამომდინარეობდა სენიორის უფლებიდან და ვრცელდობოდა ყველაფერზე, რაც კი ყმის კუთვნილებას შეადგენდა. ეს უკანასკნელი წარმოსდგებოდა მო-

ნური მდგომარეობიდან და არ შეეძლო საკუთარი ქონება ჰქონოდა, მას იღებდა მხოლოდ თავის სიცოცხლეში სარგებლობისათვის და მასზე განკარგულების უფლება მას არ ეკუთვნოდა; ამის გამო მას არ შეეძლო ქონების ვისმესთვის ანდერძით გადაცემა და არც განსხვისება; ასევე მას არ შეეძლო პირადათ თავისთვის მიწის შეძენა, არამედ ის სენიორისათვის უნდა შეეძინა. მაგრამ, თანდათანობით ყმის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონების სენიორზე გადაცემის წესი შეიცვალა, — მიწის სივრცესთან შეფარდებით, — საუკეთესო ერთეული ნახირის თავის და განსაზღვრულ ფულადი თანხის გაღებით, ან მხოლოდ ერთი მათგანის გადახდით. აკრძალვა მიწის განსხვისების ან შეძენისა შეიცვალა სენიორის სასარგებლოდ არა დიდი თანხის გაღებით, მიწის განსხვისების თუ შეძენის დროს.

ინგლისში ფორმალურად მთელი მიწა მხოლოდ ლორდს ეკუთვნოდა და ამიტომ მას უფლება ჰქონდა ყოველთვის წაერთმია ვილანისათვის მიწა, ასევე დაენარჩუნებია ის ვილანის სიკვდილის შემდეგაც, და აგრეთვე მიეთვისებია მთელი ის მიწა, რომელსაც ვილანი სხვა ადგილში შეიძენდა. მაგრამ ამ უფლების ფაქტიურათ განხორციელების შემთხვევა გამონაკლისს წარმოადგენდა. მე-XIII საუკუნეში ჩვენ ვხვდებით მხოლოდ ცალკე ერთეულ შემთხვევებს, გლეხებისათვის მიწის ჩამორთმევისა; სწორედ ასევე, წინეთ აკრძალული სხვა თავისუფალი მიწის ნაკვეთის შეძენა ამ ეპოქაში უკვე შეიცვალა უბრალო ფორმისათვის ლორდისაგან ნებართვის გამოთხოვით და ერთგვარი ფულადი თანხის გადახდით.

მენორის ფარგლებში დაწესდა ჩვეულება, რომელიც, მართალია, მეფის სასამართლოების თვალში იურიდიულ მნიშვნელობას იყო მოკლებული, მაგრამ პრაქტიკაში ერთგვარი სავალდებულო ძალა ჰქონდა, როგორც გლეხებისათვის, ისე თვით ლორდისათვის და ქმნიდა თავისებურ უფლებრივ წესს, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო გლეხების უფლება საკუთრებაზე — და მით შეზღუდული ლორდის ძალა-უფლება. „მუშავდება გარკვეული მუდმივი ნორმები, ადათები, რომლებიც აწესრიგებენ ჩვეულებრივ ფაქტებს ქორწინებისა, მემკვიდრეობისა, განსხვისებისა და სხვ., ამ ადათების მფარველობის ქვეშ გლეხებს შორის ხდება გარიგება, წესდება სამართალი, — ანალოგიური თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვის გარიგებებისა და სამართლისა“. ვილანის მიწაზე ლორდის მიერ თავის უფლების განხორციელება თანდათანობით უბრალო ფორმალობათ იქცეოდა. სინამდვილეში მიწა გადადიოდა in manus domini მხოლოდ იმ დროამდე, სანამ არ გამოჩნდებოდა გარდაცვალებულის მემკვიდრე, რო-

მელსაც „უფლებით უნდა გადაეცეს ეს მიწა სამემკვიდრეო წესის თანახმად", — როგორც ნათქვამია ძველ ძეგლებში; ეს მემკვიდრე დაუბრკოლებლივ შედიოდა თავის უფლებაში.

მაგრამ სწორედ აშგვარათვე, დანარჩენი ქონებიდან სენიორს უფლება ჰქონდა მხოლოდ გარკვეულ, არა დიდ ნაწილზე—ჰერიეტზე (herietum). თავდაპირველად, ვილანის გარდაცვალების შემდეგ თითქმის მთელ მის უძრავ ქონებას ლორდი ითვისებდა: „ყველა ცხენებს, მთელ სკას, ყველა ღორებს, ერთის გამოკლებით, მთელ შალის ტანსაცმელს, რქიანი ნახირის საუკეთესო ნაწილს, ქვაბს". შემდეგში ეს შეიცვალა ლორდისათვის ერთი საუკეთესო ნახირის თავის გადაცემით; უკეთუ გარდაცვალებულ ვილანს პირუტყვი არ დარჩებოდა ლორდი ვერაფერს იღებდა. უფრო ხშირად ნატურალური ჰერიეტი იცვლებოდა განსაზღვრულ ფულადი გამოსაღებით, რომელსაც იგივე სახელწოდება შერჩა.

სხვა გარიგებანიც ვილანების მიერ იდებოდა შეუფერხებლად; მაგ., ერთი გლეხის მიერ მეორესათვის მიწის ოჯარით გადაცემა; როგორც დ. მ. პეტრუშევსკის ნაშრომიდან ირკვევა, გლეხთაშორისი ეს ოჯარა ძალზე გავრცელდა მე-XIII საუკ., პირველად მას ადგილი ჰქონდა გარიგების სახით ლორდსა და ახალ მოიჯარადრეს შორის და ამრიგად მისი დადების დროს ძველი მფლობელი სრულიად არა სჩანს; უკანასკნელი მიწას უბრუნებდა სენიორს და ისიც თავის მხრივ მიწას გადასცემდა მოიჯარადრეს. მაგრამ მალე ეს ფორმა შეიცვალა: ძველი მფლობელი ლორდს სთხოვდა მხოლოდ ნებართვას მიწის ერთ რომელიმე პირისთვის განსაზღვრული ვადით გადაცემის შესახებ და ამ ნებართვისათვის იხდიდა ფულად თანხას. მაშასადამე ვილანს ცნობდენ მიწის ნამდვილ მფლობელად; როგორც სჩანს, სხვადასხვა ძეგლებიდან — ის ინარჩუნებდა უფლებას მიწაზე და მოიჯარადრის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, მას უფლება ჰქონდა უკანასკნელისაგან სასამართლოს წესით მოეთხოვა დაკმაყოფილება.

საფრანგეთში mainmorte ანუ relief (ესპანეთში — ეკზორკია და ინტესტია), ე. ი. უფლება ვილანის ქონებაზე მისი გარდაცვალების შემდეგ, ჯერ კიდევ მე-XIII საუკუნეში იცვლება იმ მხრივ, რომ ქონება გადადიოდა გარდაცვალებულის შვილებზე (თუ შვილი არ დარჩა — მემკვიდრეობა სენიორს ეკუთვნის) არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მასთან ერთად ცხოვრობდენ, არამედ მაშინაც, როცა ისინი ცალკე მეურნეობას ეწეოდენ. სენიორი კი იღებს ერთ საუკეთესო ნახირის თავს (meilleur atel გენეგაუში, halve-have ბრაბანტში, Kurmede ბელგიის სხვა ნაწილებში), ან საუკეთესო მორთულობას, და მის სასარგებლოთ წესდება განსაზღვრული გამოსაღები, ქონების გადასვლის დროს (lods et ventes).

გერმანიაში გამოსაღები სიკვდილის შემთხვევისათვის, რომელიც წინეთ მთელ მოძრავ ქონებას ან მის მნიშვნელოვან ნაწილს უდრიდა, გადაიქცა, როგორც სხვა დანარჩენი გამოსაღები, ქონების განსხვისების დროს, რეალურ ვალდებულებად, რომელიც დაკავშირებული იყო ნადელთან და უნდა გადახდილიყო ყოველ, თუნდაც უმნიშვნელო სიდიდის ნაკვეთიდან. „თუ მასზე კიდევ მოთავსდება სამფეხა სკამი". ისინი იცვლებოდენ ერთი საუკეთესო ნახირის თავით, ანდა მეორე ხარისხოვანით: პირველად მემკვიდრეს ეძლეოდა უფლება ერთი თავი საუკეთესო პირუტყვის ამორჩევისა, ხოლო შემდეგ ირჩევდა მემამულე; ან დასასრულ სენიორი იღებს საუკეთესო ტანსაცმელს. ამასთანავე, ხშირად, საუკეთესო საქონლად ითვლებოდა ის პირუტყვი, რომელსაც სენიორის მსახური თავლაში თუ ბოსელში გავლის დროს, პირუტყვზე ზურგ შექცევით, ჯოხით შეეხებოდა ან შორიდან შეხედვით ამოირჩევდა, მაგრამ ასეთი Kurmede-ც უკვე მე-XIII საუკუნეში ზოგიერთისათვის სხვისი ქონების გატაცებათ ითვლებოდა, რომელიც სენიორს უნდა დაებრუნებია მისი ნამდვილი მესაკუთრესათვის. დასასრულს Besthaupt-ი ღებულობს აგრეთვე ფულადი თანხის ფორმას, ან იქცევა სენიორისადმი დაქვემდებარების გამომხატველ წმინდა სიმბოლიურ ნიშნათ, რომელიც გამოიხატებოდა სენიორისათვის სამფეხას მიძღვნაში, — ამ სამფეხას შემდეგ გარდაცვალებულის ქვრივის ეზოში სწვავდენ.

> საერთოდ და ნაწილობრივად გერმანიაშიც ადგილ-მამულების შიგნით დაწესდა ახალი ადათური უფლება, რომლის ძალითაც გლეხი უკვე აღარ იმყოფებოდა მემამულის სრულ დამოკიდებულებაში. მისი მამული უკვე აღარ შეადგენდა მებატონის საკუთრებას: ის გადადიოდა მემკვიდრეობით. მემამულის ნებართვით ქონების განსხვისება შეიძლებოდა, ან მემამულეს ეძლეოდა უპირატესობა მისი ყიდვისა, ან დასასრულს მას ეძლეოდა მხოლოდ განსაზღვრული საფასური განსხვისებულ ქონებიდან. რომ გლეხებს თანდათანობით უყურებენ, როგორც მესაკუთრეებს, ეს იქიდან დასტურდება, რომ ისინი აღარ არიან მემამულის ვალდებულებათა პასუხისმგებელნი, და ამავე დროს ცდილობენ მოიპოვონ უფლება თავიანთი ნადელების საფუძველზე ვალის აღებისა, და რომ მათ მიერ მიწების მფლობელობა სამემკვიდროთ არის მიჩნეული და განმტკიცდება, — მემამულის მიერაც ცნობილი, — განსაზღვრული წესი მემკვიდრეობისა.

ამასვე მიეკუთნება გლეხის ცოლზე სენიორის უფლებიდან გაშომდინარე ე. წ. პირველი ღამის უფლება (ius primea noctis) ესეც ნიშანი მონური მდგომარეობისა. თავდაპირველად ის გამოიხატებოდა იმაში, რომ მემამულეს ჰქონდა უფლება პატარძალით სარგებლობისა, მისი ქმრისათვის გადაცემამდე. შემდეგ კი ის შეიცვალა სხვადასხვა-

გვარ სიმბოლურ მოქმედებით, როგორც მაგ., სენიორის უფლებით ახალ დაქორწინებულის ლოგინში ერთი ფეხის შედების ან მასზე ფეხით გადარების, — ius coxae locandae, droit de Jambage, — წინეთ ნამდვილად მომქმედ ჩვეულების ნარჩენით. აგრეთვე ფულადი გამოსაღებით (maritagium formariage, merchetum) დაქორწინების ნებართვისათვის. უკანასკნელს ინგლისში ეწოდებოდა redemcio sanguinis — სისხლის ბეგარის გამოყიდვა (merchet pro carne et sanguine), საფრანგეთში—cullage, ე. ი. ნაყოფის მოწყვეტა (payer le cullage de mariage), ესპანიაში — firma di spoli forzada, გერმანიაში — Jungfernzins, Hemdschilling და აგრეთვე cunnagium. სიმბოლიური მოქმედებაც და გადასახადთა სახელწოდებაც პირდაპირ ამეღავნებენ პირვანდელ ბეგარების ხასიათს; ამასთანავე დიდი ხნის განმავლობაში ასეთი შეცვლა ფაკულტატიური იყო, და ის დამოკიდებული იყო მემამულის ნება-ყოფლობაზე ან გლეხის სურვილზე.

მაშინ, როდესაც საშუალო საუკუნოების აგრარული წყობის მკვლევართა უმრავლესობა (მაგ., მ. მ. კოვალევსკი, პ. გ. ვინოგრადოვი, ბონმერი, ვეინგოლტი და სხვ.) იმ თვალსაზრისის არის, რომ ius primae noctis-ს საერთო გავრცელება ჰქონდა საშუალო საუკუნოებში და მხოლოდ თანდათანობით ქრებოდა, ზოგიერთი მეცნიერი, როგორც, მაგალითად, დელილი, განსაკუთრებით კი Karl Schmidt-ი ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში — „ius primae noctis"-ში უარყოფს მის არსებობას. მაგრამ ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება იმაში მდგომარეობდა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია საბატონო ყმის ასეთ ვალდებულებაზე, ეს არის მხოლოდ უბრალო ხუმრობა, რომელიც აიძულებდა ვილანს ზუსტად გადაეხადა განსაზღვრული ფულადი თანხა, რადგან მათ ეკვი არ ეპარებათ, რომ ის ახლად შეუღლებულის სენიორისათვის დათმობას არ ამჯობინებდა ამ თანხის გადახდას. მაგრამ უწინარეს ყოვლისა, თვით არსებობა ასეთი გამოსაღებისა გაუგებარია, თუ ანგარიშს არ გაუწევთ იმ გარემოებას, რომ ის წარმოადგენდა წინათ არსებულ ნატურალურ ბეგარის შემცვლელ ნაშთს, — ყველა დანარჩენ გამოსაღებთათვის ჩვენ ვპოულობთ მათ წინამსრბოლ ნატურალურ ბეგარებს. შემდეგ ვერ ავხსნით აგრეთვე ზემოთაღნიშნულ სიმბოლიურ მოქმედებას. მაგ., სენიორის უფლებას ახლად დაქორწინებულის ლოგინში ერთი ფეხის შედებისა, თუ არ დაუშვებთ, რომ ეს არის ნაშთი ius primae noctis-ისა. ამასთანავე არ უნდა იკნას დაეიწყებული ისიც, რომ ერთის მხრივ ვილანს შესაძლოა არ ჰქონოდა საშუალება გარკვეული ფულადი თანხის გადახდისა, რადგან, როგორც ქვემოდ დავინახავთ, გლეხების მატერიალური მდგომარეობა ძალზე ცუდი იყო, და მაშინ მას უნდა აერჩია ბეგარის ნატურით გადახდა, ხოლო მეორეს მხრივ ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ მაშინდელ დროში სქესობრივ ურთიერთობაზე შეხედულება სულ სხვაგვარი იყო და ამიტომ დაუშვებელია თანამედროვე მოსაზრებიდან გამოსვლა, როგორც ამას სჩადის შმიდტი. ვილანს შე-

ეძლო დათანხმებულიყო სენიორის უფლების ნატურით მოხდაზე, რაშიც ის არაფერ ცუდს არ ხედავდა, უკეთუ სურდა მისთვის საჭირო ფულადი თანხის გადახდის აცილება. მაურერის და კრიგკის გადმოცემით ხომ ცნობილია, რომ საშუალო საუკუნეებში საპატიო მოქალაქენი თავიანთ ცოლებსა და შვილებს საროსკიპო სახლებში აგზავნიდენ საშოვნელად. Haeser-ის მოწმობით უბრალო გაუპატიურება მაშინდელ დროში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და დანაშაულადაც არ ითვლებოდა.

ასეთივე გამოსაღებს იხდიდა გლეხი, თუ რომ მისი ქალი სოქალწულეს დაჰკარგავდა (რადგან ამ შემთხვევაში სენიორი ჰკარგავდა შესაძლებლობას თავის უფლება გაეხორციელებია), — ესპანეთში ამას ეწოდება „აუგუსია" — ან თუ მას სურს ქმარს გაყვეს სენიორის ადგილ-მამულის საზღვრების გარეთ (ზემოთ აღნიშნულს მოემატება აგრეთვე ქვეშევრდომი ქალის და მისი შთამომავლობის დაკარგვაც, რის გამო საფასური დიდდება). თვით უფლება გადასვლისა კი უკვე გლეხების მიერ იქნა მოპოებული არა მარტო ინგლისში, არამედ საფრანგეთშიაც და გერმანიაშიც (Unterzug); ამ უფლების კატალონიაში ეწოდებოდა „რემენსა"; სენიორებს შორის იკვრება ხელშეკრულება მათ ქვეშევრდომთა შორის ასეთი ჯორწინების დაშვების შესახებ.

ამ ძირითად პირად ბეგარასთან ერთად ვპოულობთ მთელ რიგს უფრო წვრილ ბეგარათაც, როგორიც არის: ვილანის ვალდებულება ბატონის მიწის საკუთარი ნახირით დამუშავებისა, ვალდებულება სენიორის წისქვილზე ხორბლის დაფქვისა, ყურძნის დასაწურად სენიორის საწნეხელით სარგებლობისა; ვალდებულება მემამულის და მისი ჯალაბის გამოკვებისა. მათი ვილანის ახლო მდებარე ადგილებში ყოფნის დროს (droit de gite). ეს უკანასკნელი ალბათ ძველი დროის ნაშთია, როდესაც მემამულე (მეთაური) უმთავრესად ასეთი გზით ირჩენდა თავს, მის ხელისუფლების ქვეშ მყოფ მოსახლეობის ხარჯზე, ეს იყო მაშინ ბეგარის მთავარი სახე. თანდათანობით ეს ბეგარა იზღუდება: ისაზღვრება, თუ წელიწადში რამდენჯერ შეიძლება სენიორის ასეთი სტუმრობა და რამდენი კაცის თანხლება შეუძლია მას. „Selb dritt mit zweien und einem Vogelhund" — მას შეუძლია ჩაბოვიდეს არა უმეტეს ორი მსახურის თანხლებით, ორი მწევარით და ერთი გავაზი ძაღლით; ეს ბეგარა ზოგჯერ იცვლება მცირედი გამოსაღებით.

მსგავსათ იმისა, რომ საბატონო ბეგარა მთლიანად არ გაუქმებულა საშუალო საუკუნეების ეპოქაში, არამედ იჩენდა თანდათანობით ფულად გადასახადათ შეცვლის ტენდენციას და ნაწილობრივათ ინგლისში, ხოლო კონტინენტზე კი, მით უმეტეს, თუმცა მცირე რაოდენობით, კიდევ იყო დაცული, — ასევე ზემოთ ჩამოთვლილი პირადი ბეგარები ყველგან არ შეცვლილან ფულადი გადასახადებით და თანდათან მცირდებოდენ მინიმუმამდე. ინგლისშიც კი ნარჩენები ამ მონური ბეგრებისა, როგორც მათ უწოდებდენ, დაცულ იქნა ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნეშიც; კატალონიაში ყველა ექვსი „ცუდი ჩვეულებანი" გაუქმდა მხოლოდ 1486 წ. (ნაწილი უფრო ადრე გაჰქრა).

საფრანგეთში ჩვენ ვნახულობთ მოსახლეობის ორ კატეგორიას, — ე. წ. თავისუფალი ვილანებისა (Vilans francs) და საბატონო გლეხებისა. პირველი მათგანნი, წინააღმდეგ საბატონო გლეხთა მდგომარეობისა, სრულიად თავისუფალი იყვნენ ყველა ან ზოგიერთ პირად ბეგარებისაგან, ხოლო იმავე დროს იხდიდენ საბატონო ბეგარასა და სხვა გადასახადებს. და სწორედ ამგვარათვე გერმანიაში გვხვდებიან გლეხები, რომლებმაც მოიპოვეს უფლება ნადელის განსხვისებისა, შესძლეს შემცირება ან სრულად გაუქმება ფეოდალის უფლებისა მათ ქონებაზე და ქორწინების ნებართვისათვის (თვით ნებართვა ფორმალური ხდება) ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრულ რაოდენობითი გამოსაღების დაწესება; პირად ბეგარებისაგან ასეთი განთავისუფლება მნიშვნელოვანი ზომით მოხდა ვესტფალიაში, საქსონიაში, ტიროლში და სხვ., ხოლო მათი პარალელურად ძველებურადვე შენარჩუნებულ იქნა გლეხთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელთაც ისეთივე სიმძიმე აწვათ ბეგარებისა, როგორც წინეთ; მრავალ ადგილებში, სადაც ვილიკაციები განადგურებული იყო და გლეხები ფოგტს ექვემდებარებოდენ, არა მარტო მემამულე, არამედ ფოგტიც *) ახდევინებდა გლეხებს სხვადასხვა გამოსაღებს, Besthaupt-ს და ა. შ.

(ი. მ. კ ულ ი შ ე რ ი — დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების ისტორია, ტ. I).

§ 6. საბატონო მეურნეობა. — ყმა-გლეხთა ვალდებულებანი

ბატონყმური მეურნეობის წარმოშობას ყველგან თან სდევდა მემამულე-ბატონის საკუთარი საწარმოო მეურნეობის გაფართოება, ე. ი. უწინარეს ყოვლისა მისი სახნავების გაფართოება, ხოლო შემდეგ აბსოლუტური და შედარებითი გადიდება ბეგარებისა. ამგვარად ბატონყმური მეურნეობის წარმოშობის პროცესი იმავე დროს არის მსხვილი სამიწათმოქმედო წარმოების გაფართოებისა, და ზოგიერთ ქვეყნებისათვის კიდეც — მისი შექმნის პროცესიც. მსხვილი მიწათმფლობელობა და მსხვილი კერძო საკუთრებითი წარმოება ისტორიულად ერთდროულად ყალიბდებოდა, და მიწაზე კერძო საკუთრების განვითარებისთანავე ერთად, თავის გაშლას ჰპოულობს მისი გამანადგურებელი მოქმედება.

---

*) ფ ო გ ტ ი (Vogt — ფოხტი). — საშუალო საუკუნოების გერმანიაში მეფის ან სიუზერენის სრულუფლებიანი რწმუნებული, ნაცვალი, „ნამესტნიკი".

ფეოდალურიდან ბატონყმურ ურთიერთობაზე გადასვლა არ ყოფილა შედეგი მიწათმოქმედების ტეხნიკის განვითარებისა. ის, გერმანიასა და საფრანგეთში, საერთოდ, ერთ ადგილას იყო გაყინული მე-XVIII საუკუნის ნახევრამდე, რუსეთში კი კიდევ უფრო გვიანდელ ხანებამდე. მნიშვნელოვანი პროგრესი ხდებოდა მხოლოდ გლეხთა დამხმარე სარეწაოებსა და სატრანსპორტო საქმეში. მაგრამ საბატონო ბეგარის შრომა როდი იყო ის სამუშაო დრო, რომელიც ამის წყალობით თავს ინთავისუფლებდა გლეხიდან, ანუ, უფრო სწორედ, ის წარმოადგენდა არა მხოლოდ ამ დროს, არამედ ბევრად მეტს. ბატონყმური მიმართებანი იმგვარად წარმოიშვენ, რომ ფეოდალებმა, რომლებიც გაცვლითი ურთიერთობის გამო შეკავშირებული იყვნენ ორგანიზაციულად, კომპაქტურ მასად, რომლის ხელშიაც იყო ახალი სახელმწიფოს ძლიერი რესურსები, დაიმორჩილეს გლეხები, რომლებიც დაქუცმაცებული იყვნენ საშუალო საუკუნოებრივი სამიწადმოქმედო მიმართებათა წყალობით, და გასტეხეს უკანასკნელთა ცდა ამის წინააღმდეგობისა. საბატონო ბეგარათა გაფართოება იყო უბრალო ეკონომიური დასკვნა ამ დაქვემდებარებიდან.

რამდენადაც საწარმოო ტეხნიკა უცვლელი რჩებოდა, იმდენადვე გლეხს უხდებოდა დაეხარჯა სამუშაო დროის წინანდელი რაოდენობა, რათა მიეღო არსებობისათვის აუცილებელი საშუალებანი მისთვის და მისი ოჯახისათვის. მაშასადამე საბატონო ბეგარათა გადახდა ხდებოდა ან 1) გლეხის ოჯახის სამუშაო დროის უბრალო გადიდებით, ან, ამის გარდა, 2) მისთვის აუცილებელი დროის წმინდა-მექანიკური შემცირებით.

პირველ შემთხვევაში სამუშაო დღის აბსოლუტური სიდიდე რჩებოდა. დასვენების დრო მცირდება იმდენად, რამდენიც ოდნავ საკმარისია ძილისათვის. ფეოდალურ ეპოქაში ზამთარშიაც მუშაობდენ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე. ახლა, როდესაც გლეხი, თავისი დღის მნიშვნელოვან ნაწილს მემამულის სამუშაოზე ხარჯავს, ის იძულებულია თავისთვის, ღამით იმუშაოს. მაგრამ ბატონი-მემამულე მოითხოვს მუშაობას არა მარტო მისგან, არამედ მისი ოჯახის წევრებიდანაც. მეტად გაფართოვდა მიწათმოქმედებაში ქალის შრომის გამოყენება, ზოგ ადგილებში, განსაკუთრებით პრუსიაში, დაიწყო სასტიკი ექსპლოატაცია ბავშთა შრომისა. მთელი ეს დამატებითი შრომა, რომელიც გლეხის ოჯახისაგან გამოიწურებოდა, მთლიანად წარმოადგენდა ზედმეტ შრომას, რომელიც მიწათმფლობელის განკარგულებაში მიდიოდა. გლეხის მდგომარეობაში მომხდარი ცვლილების ხასიათი შეიძლება დასურათებულ იქნას ასეთი რიც-

ხვობრივი მიმართებით, რომელიც აიღება, უბრალოდ, როგორც მაგალითი. დაუშვათ, რომ ფეოდალურ ეპოქაში სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა, გლეხის ოჯახის ყოველი წევრისათვის შეადგენდა 8 საათს; აქედან 2 იხარჯებოდა მემამულის მეურნეობაში და 6 კი რჩებოდა თვითონ გლეხს. ადიდებს რა ბეგარას, რომელშიაც აბამს რა აგრეთვე ქალებსა და მცირეწლოვანებსაც, მემამულე სამუშაო დღის ხანგრძლივობას ადიდებს, დაუშვათ, 15 საათამდე. აქედან გლეხს ძველებურად რჩება 6, ხოლო მემამულეზე კი უკვე მოდის 9 საათი. მაშასადამე მსხვილ სამიწათმოქმედო წარმოების განვითარებას მოცემულ შემთხვევაში როგორც ის იყო სინამდვილეშიაც, თან სდევს გლეხებისათვის მეტის-მეტი შრომის განვითარება.

მ ე ო რ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, საშუალო დღის წინანდელი ხანგრძლივობის დროს, მცირდება მისი ის ნაწილი, რომელიც გლეხის განკარგულებაში რჩება. გარკვეულ საზღვრამდე საბატონო ბეგარა იზრდება უბრალოდ საშუალო სამუშაო დღის გახანგრძლივებით, გლეხის ოჯახის წევრებისათვის. ვსთქვათ, მაგ., რომ ამ საზღვარს წარმოადგენს 15 საათი; როდესაც ის მიღწეულია, მაშინ საბატონო ბეგარის შემდგომი გადიდება შეიძლება მხოლოდ აუცილებელი შრომის ხარჯზე, ე. ი. დღის იმ ნაწილის ანგარიშზე, რომელიც წინად გლეხს თავისთვის რჩებოდა. გლეხი თავის სახნავს ამუშავებს მხოლოდ შიგადაშიგ გამორეული თავისუფალი საათების დროს, — უქმე დღეებსა, და ღამღამობით; მემამულის პირველ მოთხოვნილებასთანავე ის სწყვეტს თავისთვის დაწყებულ მუშაობას. გლეხის ქალი სულ უფრო ხშირად სწყდება საოჯახო სამუშაოს, ბავშები რჩებიან ყოველგვარი მეთვალყურეობის გარეშე, მათთვის დედას სცვლის ძმები და დები, სანამ მემამულეს არ დასჭირდება ამ უკანასკნელთა „სამუშაო ხელიც“. გლეხის ოჯახის ყოველი წევრი საშუალოდ მუშაობს 15 საათს ყოველდღიურად, როგორც წინამსრბოლ შემთხვევაში; მაგრამ აქედან საკუთარ მეურნეობაზე იხარჯება უკვე არა 6 საათი, არამედ 5½ — 5 საათი, ანუ კიდევ ამაზე ნაკლებიც. თანაბრადვე მცირდება პროდუქტთა ის რაოდენობაც, რომელიც შეადგენს გლეხის ოჯახის სამომხმარებლო ფონდს. ამგვარად მსხვილ კერძო-მფლობელურ წარმოებასთან ერთად თავს გამოყოფს ჩვეულებრივი გლეხის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ის მოვლენა, რომელიც ა რ ა ს ა კ მ ა ო მ ო ხ მ ა რ ე ბ ა დ *) იწოდება.

---

*) ე. ი. მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა.

პირადი საბატონო ბეგარით არსად და არასოდეს არ ამოიწურებოდა ყმა-გლეხის ვალდებულებანი. მას უერთდებოდა გამოსაღებები, ხოლო ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად, პომერანიაში ის თავისი მნიშვნელობით შორს აღემატებოდა ბეგარას (პირად ვალდებულებას). გამოსაღები წარმოადგენდა რა გლეხთაგან ზედმეტი შრომის გამოწურვის განსაკუთრებულ საშუალებას, მას თავისი ზრდის წყალობით მივყეევართ იმავე მოვლენებისაკენ, საითაც მოზარდ ბეგარასაც: მეტის-მეტი შრომისა და არა საკმაო მოხმარებისაკენ. ადიდებდა რა პირად ბეგარას მემამულე ამით გლეხის ოჯახს აიძულებდა გაედიდებინა სამუშაო დღე. გარკვეულ საზღვარზე გამოსაღებთა გადიდება ხდებოდა პროდუქტთა იმ ნაწილის შემცირებით, რომელიც წინათ გლეხის ოჯახში რჩებოდა. ბეგარა თავდაპირველად წარმოადგენდა რა უბრალო დამატებას იმ სამუშაო დროისა, რომელიც მშრომელის ოჯახს უნდა დაეხარჯა საკუთარი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, შემდეგში იზრდება ამ სამუშაო დროის ხარჯზე. სწორეთ ასევე გამოსაღები, რომელიც თავდაპირველად შესდგებოდა პროდუქტებისაგან, მათი იმ რაოდენობის დამატებისაგან, რომელიც აუცილებელია თვით გლეხის ოჯახისათვის, დროთა ვითარებაში შეიძლება გადიდდეს უკვე ეხლოლოდ ამ აუცილებელი რაოდენობის ანგარიშზე.

მაშასადამე, მსხვილი მიწათმფლბელობა, რომელიც ერთი მხარისათვის ნიშნავს მოზარდ უბრალო მოხმარებას, უკვე თვით თავის მოვლინებისას ხასიათდებოდა მეორე მხარისათვის შრომის თანდათან მოზარდი სიმძიმით და შედარებით, ანდა აბსოლუტურადაც მოთხოვნილების დაცემით, შემცირებით. მემამულის მეურნეობა, როგორც წარმოებითი ისე მოხმარებითი იმთავითვე შენდება უშუალო მწარმოებელის სამუშაო ძალაზე განუკითხველი და შეუბრალებელი მოპყრობით. სოფელი იძულებით დაყავთ იმ ბარბაროსობამდე, იმ ზოოლოგიურ არსებობამდე, იმ ქრონიკულ „ცოტა ჭამიაობაზე", რომელიც გადადის სასტიკ სიმშილობებში, რომელზედაც მოგვითხრობენ შემაძრწუნებელი აღწერანი რევოლიუციის წინადროინდელი საფრანგეთის გლეხთა ცხოვრებაზე, აგრეთვე გლეხებზე გერმანიისა, ავსტრიისა და რუსეთისა XVIII და XIX საუკუნეებში. მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ფ ა რ თ ო მ ა ს ე ბ ი ს გ ა დ ა შ ე ნ ებ ა იყო აუცილებელი შედეგი მემამულეთა მეურნეული მოღვაწეობისა.

მსხვილი მიწათმოქმედური წარმოება — რომელიც ორგანიზირებული იყო მემამულეთა მიერ გლეხთაგან მეტი ზედმეტი შრომის გამოქაჩვის მიზნით, — თუმცა ტეხნიკური ბაზისი უცვლელი რჩებოდა, თავის თან-მომდევნო ისტორიაში ატარებდა თავის-თავში არა მარტო

ტეხნიკური გაყინვის, არამედ ტ ე ხ ნ ი კ უ რ ი დ ე გ რ ა დ ა ც ი ი ს ელემენტებსაც.

როგორც ჩვენ დავინახეთ, მსხვილი მიწათმფლობელობა წარმოიშვა იმ რიგად, რომ სენიორი შესაძლებელ მინიმუმამდე ამცირებდა მიწათმომქმედი მოსახლეობის რაოდენობას. მიიღებოდა ისეთი შედეგი, რომ მიწის მოცემულ მოედანიდან მემამულის განკარგულებაში მიდიოდა სულ უფრო და უფრო მეტი მასა მიწათმოქმედების პროდუქტებისა, როგორც ნედლი ისე დამუშავებული სახით: და რაც უფრო ვითარდებოდა მემამულეთა კვალიფიცირებული მოთხოვნილება, რაც უფრო ენერგიულად ავიწროებდენ ისინი სოფლის მოსახლეობას, მით უფრო ძლიერ იზრდებოდა ბეგარა და გამოსაღები, მით უფრო მეტი ნაწილი პროდუქტთა ამ მასისა უნაცვალგებოდ გამოიქაჩებოდა სოფლიდან. მიწიდან მიიღება ელემენტთა მოზარდი ჯამი, რომელიც აუცილებელია მცენარეთა კვებისათვის, მაგრამ მისი სულ უფრო ნაკლები რაოდენობა უბრუნდება მიწას უკან, ნიადაგის ნაყიერების აღსადგენად. ამგვარად მსხვილი მიწათმოქმედური წარმოება. რომელიც აშენებულია კერძო საკუთრებაზე, იმთავითვე გამოდის არა მხოლოდ, როგორც მფლანგველი გლეხობის ცხოველ-მყოფელი ძალისა, არამედ როგორც ნიადაგის ბუნებრივი ძალების მფლანგველიც.

მემამულეს და საერთოდ მსხვილ მიწათმფლობელს, როგორც ასეთს, — რომელიც დაკავშირებულია სოფელთან უბრალოდ როგორც პარაზიტი მომხმარებელი, ე. ი. როგორც პროდუქტის გარკვეულ ნაწილის მიმღები, და არა როგორც მონაწილე საწარმოო პროცესისა, — უკვე თვით თავისი ბუნებით არ შეუძლია გამოვიდეს როგორც ტეხნიკური ცვლილებათა ინიციატორს. მისი შემოსავალი მიიღება და იზრდება არა მის მოღვაწეობის გამო, არამედ მისი მოღვაწეობისაგან დამოუკიდებლად. მთელი მისი აღმოჩენითი უნარი პირველ რიგში მიმართულ იქნა გლეხისაგან ზედმეტი შრომისა და ზედმეტი პროდუქტის გამოქაჩვისაკენ და ისიც წუწნიდა როგორც პირველის, ისე მეორის სულ უფრო მოზარდ რაოდენობას, უბრალოდ სარგებლობდა რა თავის გ ა რ ე შ ე-ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი უფლებით გლეხებზე. დამახასიათებელია, რომ ინგლისში მსხვილი მიწათმოქმედური მეურნეობის შედარებითი პროგრსი იწყება მე-XV საუკუნის დასასრულიდან. საფრანგეთსა და გერმანიაში მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში მე-XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან. ეპოქებიდან, როდესაც ფაქტიურ მეურნედ იქცევა კაპიტალისტური ფერმერი, ანუ როდესაც ქალაქის ბურჟუა იწყებს მიწის საკუთრების შეძენას და

აძლევს რა მეურნეობის ახალ ფეხზე დაყენების მაგალითს, აიძულებს ძველ მესაკუთრეთ, ზედმეტი შრომის რუტინულ გამოქაჩვიდან ზურგის შექცევით, ყურადღება მიაქციონ ამ საქმის უფრო სრულქმნილ ორგანიზირებას. მაგრამ უკანასკელ შემთხვევაში ჩვენს წინაშე გამოდის უკვე არა უბრალო მსხვილი მიწათმფლობელი, არამედ მასთან ერთ პიროვნებაში შეერთებული კაპიტალისტური მიწათმომქმედი მეწარმე. მაშასადამე, ამ მოვლენებს ჩვენ მივყევართ ბატონყმური მეურნეობის მიჯნებს გადაღმა ანუ, როგორც ეს ევროპის კონტინენტალურ ქვეყნებში იყო, ეს მოვლენები მის უკიდურეს მიჯნაზე მდებარეობენ.

ტეხნიკურ ცვლილებათა ინიციატივას არ შეუძლია გამოვიდეს საბატონო ყმა-გლეხისაგანაც. მას მემამულის მეურნეობაში შეაქვს არა მხოლოდ თავისი სამუშაო ძალა, არამედ უმეტეს ნაწილად თავისი ინვენტარი და შრომის თავისი ხერხები, და მთელი არა უბრალოდ გლეხური, არამედ კიდევ საბატონო-გლეხურ-ყმური ფსიქოლოგიაც. მაშასადამე, იმ წვრილმანური და ბარბაროსულ რწმუნებით მოსილ კონტროლს რომელსაც ჩვეულებრივად უქვემდებარდება საბატონო საბეგარო შრომა, უკეთეს შემთხვევაში შეუძლია მიაღწიოს მხოლოდ იმას რათა გლეხი დროის ერთეულში ბატონის მინდვრებზე ხარჯავდეს შრომის იმდენსავე რაოდენობას, რამდენსაც თავის სახნავზე, და რათა ბუნების ძალებისადმი მიმართებამ არ მიიღოს კიდეე უფრო მტაცებლური ხასიათი, ვინემ ეს საკუთრად გლეხის მეურნეობაშია.

ამდენხანს ჩვენ ვჩერდებოდით გლეხთა ვალდებულებებზე და მემამულეთა პრივილეგიებზე, რომლებიც მეტად თუ ნაკლებათ უშუალოდ არიან დაკავშირებული ნაყოფიერ შრომასთან გლეხისა ანდა ბატონის მეურნეობაში: ჩვენ გამოვდიოდით წარმოდგენიდან ისეთი მეურნეული მოღვაწეობისა, რომელშიაც შეიტანება რაციონალობის რაც შეიძლება მეტი ხარისხი, რაც კი შისაღწევია ეკონომიურ ურთიერთობის მოცემული სისტემისათვის. საწარმოო ძალთა ფლანგვა ასეთი მეურნეულ მოღვაწეობის დროსაც შესაძლებელი ჩანდა. ამავე დროს ბატონყმური სისტემისათვის სწორედ დამახასიათებელია, რომ ის თვით თავის საფუძვლებში ეწინააღმდეგება მეურნეულ რაციონალობას, და რომ ტეხნიკურად და ეკონომიურადაც მიზანშეწონილი დაყენება მეურნეობისა არ გამომდინარეობს მისი არსებიდან, არამედ უფრო წარმოადგენს შემთხვევით გამონაკლისს. მინამ დარჩენილია თუნდაც რაიმეგვარი შესაძლებლობა მოხმარების გაფართოებისა, ადიდებს რა მექანიკურად ექსპლოატაციას დამოკიდებული ყმა-გლეხისა, მემამულეს არაფრით არ აინტერესებს წარმოების პროცესი. რო-

გორც წმინდა მომხმარებელი, მას ყოველგვარი რყევის გარეშე მიაქვს ყოველივე რისი წაღებაც კი შეიძლება მამულიდან, და საკუთებითაც არ ჰფიქრობს საწარმოო ძალთა დაშლაზე, რომელიც ამას შედეგად მოჰყვება. მისი, განსაკუთრებული მომხმარებლის, შეხედულებამ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე აშკარა გამოხატულება ჰპოვა ცნობილ თქმაში, რომელიც მიეწერება ლიუდოვიკ მე-XIV: „ჩვენს შემდეგ თუნდაც წარღვნა მოხდეს", და, უნდა ითქვას, უფრო მოსწრებულ ფორმულაში ფერდინანდი I ავსტრიელისა: „კიდევ ჰკმარა ჩვენთვის, მეტერნიხთან".

მოხმარებითი მსოფლმხედველობის ბატონობიდან გამომდინარეობს, რომ მთელი რიგი მემამულეთა პრივილეგიებისა, რომელიც მრავალ ისტორიკოსებს წარმოუდგენიათ უბრალო „ექსცესებათ" ბატონყმური უფლებისა — იმდენად შეუსაბამონი არიან ესენი კაპიტალისტური ეპოქის თვალსაზრისით, — ნამდვილად ღრმად დაკავშირებული იყვნენ თვით არსებასთან ბატონყმობის სისტემისა. მემამულე თვით გახურებული მუშაობიდან სწყვეტდა გლეხებს იმიტომ რომ ის სანადირო მიდიოდა და კაცები სჭირდებოდა ნადირთა გამოსადენად. მემამულე ბატონი უკრძალავდა გლეხებს რათა უკანასკნელთ მიემართათ ნადირთა საწინააღმდეგო ღონისძიებისათვის, — რომელიც დაუბრკოლებლად ანადგურებდა მინდვრებს, — იმიტომ რომ ნადირობა მემამულის ერთერთი უკეთილშობილესი გასართობი იყო. შეიძლებოდა მოგვეყვანა უშველებელი სია ისეთ თავისებურ საბატონო ბეგარებისა და გამოსაღებთა, რომლებიც, სულ იზრდებოდენ რა დროთა ვითარებაში, ხანდისხან, მაგალითად, კურდღლებისა და მტრედთა დიდი გამრავლების წლებში, გლეხებისათვის ნამდვილ სასჯელს წარმოადგენდენ. ამათ განსაკუთრებით ფართე განვითარება ჰპოეს, საფრანგეთში, თუმცა იურიდიულად ბატონყმური ურთიერთობა, აქ, ჯერ კიდევ ახალ დროს დასაწყისისათვის, გაუქმებულად ითვლებოდა. ფეოდალურ პრივილეგიათა გამოყენების ეკონომიური შეუსაბამობა საფრანგეთში, ალბად, კავშირშია სასახლის, ტახტის, აზნაურთა სიმრავლეში, რომელთა შორის მოხმარებითი ტიპმა უმაღლეს გამომუშავებას მიაღწია. მაგრამ არა მცირედ როლს თამაშობდენ ისინი სხვა ქვეყნებშიაც. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ყმა-გლეხთა ამგვარი ვალდებულებანი. — მაგალითად, ვალდებულება ხელშეუშლელად მისცენ ბატონის კურდღლებსა და მტრედებს საკვები თავიანთ მინდვრებზე, ყანებზე, — წარმოადგენენ საფუძველს მემამულის კომერციული ოპერაციისათვის. შეუდარებლად უფრო ხშირად ბუნებისა და გლეხის ძალთა ამ მტაცებლურ მფლანგველობას

ერთადერთ მიზნად აქვს მემამულის უშუალო კმაყოფილება, სიამოვნება.

გარდა იმ ვალდებულებათა, რომელთა შესრულებას ყმა-გლეხისაგან მოითხოვდა მემამულეთ გადაქცეული სენიორი, დამოკიდებული გლეხი კიდევ მთელ რიგ ვალდებულებათ იხდიდა სიუზერენის სასარგებლოდაც, რომელიც უკვე მონარქად იყო გადაქცეული: გარდა უზომოდ გაზრდილ ფეოდალურ ვალდებულებათა, მას აწვებოდა უმთავრესი სიმძიმე იმ ახალ გამოსაღებთა და სამსახურთა, რომელზედაც აშენებულია ახალი დროის ცენტრალიზირებული სახელმწიფო. ამ ვალდებულებათა ჩამოთვლაზე შეჩერება საჭირო არ არის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მათი თავდაპირველი ფორმა იყო საბატონო ბეგარა და გამოსაღები, და რომ ამასთან დაკავშირებით ყმა-გლეხთა წოდება ისტორიულად იყო ამოსავალი წერტილი, გვიანდელი ეგრეთწოდებული „შებეგრე წოდებისა“.

როგორც ბეგარა-ვალდებული წოდება, ის ვალდებულია გაიყვანოს და შეაკეთოს გზები, ააშენოს ხიდეები, მიაწოდოს ცხენები გამვლელ უფროსობას, მოამარაგოს ცხენებით, გადასატან და გადამზიდ საშუალებებით სამხედრო რაზმები. მასვე აწვება კისერზე თავისებური სახელმწიფო ბეგარაც, რომელიც სწყვეტს რა ოჯახს გლეხთა შვილებს მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ სიცოცხლეს აქცევს მთლიან საბეგრო შრომად: ჯარისკაცობა, მოლაშქრეობა.

როგორც გამოსაღებ-ვალდებულ წოდებას, მხოლოდ გლეხებს აწვებათ ყოველი, მუდმივი და ექსტრა-ორდინალური, ათასგვარი სახელწოდების გამოსაღებნი. ადგილზე შეჩერების დროს ჯარისკაცებიც მხოლოდ მათ უნდა შეინახონ, რომელსაც ხშირად ისეთივე განმანადგურებელი შედეგი მოსდევს, როგორც მტრის შემოსევისას.

გაცვლითი მიმართებათა განვითარებისა-და მიხედვით, მრავალი ამ ნატურალური ბეგარათაგანი იწყებენ გამოცვლას ფულადი გადასახადით, რომელიც, ბუნებრივი, მთავარი სიმძიმით აწვება ისევ და ისევ გლეხობას. მემამულეთა მიწები ან სავსებით თავისუფალნი არიან გამოსაღებთაგან, ანდა იმ ზომით იბეგრებიან, როგორც ეს უნდა თვით მემამულეთა და სასულიერო წოდებას. თვით არაპირდაპირი გადასახადებიც იმ რიგად ორგანიზირდებიან, რომ ფეოდალთა შთამომავალთ სრული შესაძლებლობა აქვთ თავი დააბწიონ მათგან, და მთელი ჯაში ამ გადასახადებისა უნდა წილად ხვდეს გლეხს. საერთოდ, ცენტრალიზაციის გზას შემდგარი სახელმწიფოს ახალი მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან იმგვარად, რომ მათგან შექმნილი გადასახადებისა და გამოსაღებთა სისტემა თითქმის ხელ უხლებელს სტოვებს ზედმეტ ღი-

რებულებას, რომელსაც მემამულე ექაჩება გლეხებისაგან, და, რომელიც წარმოადგენს უბრალო, სულ უფრო მოზარდ დამატებას იმ შრომისა, რომელსაც ყმა-გლეხი ასრულებს მემამულის სასარგებლოდ. ადრე ჩვენ დავინახეთ, რომ ბატონყმური ურთიერთობათა განვითარება საბოლოო ანგარიშით ნიშნავდა, — ნელად ცვალებად, თითქმის გაყინულ ტექნიკურ პირობებში, — სამუშაო დღის გახანგრძლივებას და გლეხთა ცხოვრების საერთო დონის დაწევას. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ცენტრალიზირებული სახელმწიფოს ერთდროული განვითარება ნიშნავდა შემდგომ ნაბიჯს იმავე მიმართულებით.

გლეხებისაგან ზედმეტი ღირებულების გამოსაქაჩავად სახელმწიფო დროთა ვითარებაში ჰქმნის მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელ აპარატს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეებისა, ადგილობრივი მემამულეებისა, ამორჩევითი ანუ დანიშვნითი სასოფლო-თანამდებობის პირებისა და ა. შ. კომბინაციას. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში, ჩნდებიან ერცელი პროფესიონალური ჯგუფები, რომლებიც სპეციალიზირდებიან სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა გამგებლობის საქმეში და, ღებულობენ რა თავიანთ შემოსავალთ ამ ფუნქციათა შესრულებისაგან, მით ჰქმნიან ახალ ვალდებულებათ უკვე როგორც წყაროს თავისი თავის გამოკვებისა. ამ გზაზე ბატონყმური სახელმწიფო მიდის იმგვარ პარადოქსებამდე, როდესაც ბეგარათაგან აკრეფილი თანხა ვერ ჰფარავს მის აკრეფაზე გაწეულ ხარჯებს; გამოსაღები აქ არაფრით არ ადიდებს სახელმწიფოს რესურსებს და ის იქცევა მხოლოდ საბაბად გადამხდელთაგან ზედმეტი ღირებულების გამოქაჩვისა, რომელსაც მთლიანად ითვისებს ამ ბეგარათა აკრეფი, („გამომსყიდველი"). ეს ორგანიზაცია სპობს მოზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების იმ მიჯნებს, რომელიც ვრცელდება წვრილ მემამულეებზე მათი მამულის მცირე ზომისა და ტექნიკის ერთ ადგილზე გაყინვის წყალობით. ბატონ-ყმური ეპოქის სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა სენიორებთან კონფლიქტში, აქ გამოდის ფეოდალური წოდების ახალ ეკონომიური ურთიერთობისათვის შეგუების, როგორც განსაკუთრებული ფორმა. ის იქცევა მექანიზმად, რომელიც უზრუნველყოფს ფეოდალთა შთამომავლობის ბატონობას.

გერმანიის ზოგიერთ ნაწილებში და, განსაკუთრებით, რუსეთში სახელმწიფომ მხოლოდ ძლიერ გვიან განავითარა საკმაოდ ფართო ყველაფრის გამწე ფუნქციებით მოწყობილი ბიუროკრატიული აპარატი. მემამულე აქ, ნაწილობრივ, გამოდიოდა სახელმწიფო მოხელის როლშიაც. სახელმწიფო, გლეხებს განმგებლობდა არა მოხელეების,

არამედ სულ იმავე მემამულის სახით. ის ჰკრეფს გლეხთაგან ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადებს, ისაა პასუხისმგებელი ამ გადასახადების ნარჩენებზე, ის აწოდებს მოლაშქრეთა განსაზღვრულ რიცხვს, ის — მეთაურია ადგილობრივი პოლიციისა და იგივეა ერთად ერთი მოსამართლე გლეხებისათვის ისეთ საქმეებშიაც კი, სადაც თვითონ ისიც ერთერთი მხარეა. ეკატერინე II-ის დროიდან რუს მემამულეს უფლება აქვს გლეხის ციმბირში გადასახლებისა, უბრალო თავხედობის საბაბით ციმბირის „კატორღაში" გაგზავნისა, — გლეხი რაც არ უნდა იყოს მოკლებულია უფლებას იჩივლოს მემამულეზე. მემამულის სახელმწიფოებრივი ფუნქციათა მეტისმეტი გაფართოება ჰარმონიულადაა იმ გარემოებასთან, რომ შესაფერ ოლქებში ბატონობა ღებულობს ყველაზე სასტიკ ფორმებს. მას მთელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სრულ გამომუშავებამდე მიჰყავს მემამულეთა ინტერესების ის ბატონობა, რომლის ვრცელი ბაზისი ქვეშ ედება აზნაურთა უპირატეს უფლებებს ყოველ მნიშვნელოვან თანამდებობებზე.

მემამულისა და სახელმწიფოს უფლება ყმა-გლეხის ზედმეტ შრომაზე პრინციპიალურად ისევე უსაზღვროა, როგორაც ექსპლოატაცია მონისა მისი პატრონისაგან. მაგრამ სახელდობრ იმაში, რაც ბატონყმური ურთიერთობას განასხვავებს მონათმფლობელურიდან, მდებარეობს ფაქტიური მიჯნა ყმა-გლეხიდან ზედმეტი ღირებულების გამოქაჩვისა: ბატონყმური ურთიერთობა არსებობს მანამდი, სანამ სულ უფრო მოზარდი ექსპლოატაციის მიუხედავად, გლეხი ინარჩუნებს საკუთარ მეურნეობას.

მონათმფლობელურ მეურნეობას, როგორც ჩვენ დავინახეთ არა აქვს უნარი თვითწარმოებისა: ის ისე ჩქარა მოიხმარს სამუშაო ძალებს, რომ უკანასკნელი განუწყვეტლივ უნდა შევსებულ იქნას გარედან, და ამიტომ წმინდა სახით არსებობს მხოლოდ მანამ, სანამ შესაძლებელია გარედან ახალი მონათა იაფად შეძენა.

პირიქით, ბატონყმური საზოგადოებანი ვითარდებიან ისეთ ისტორიულ გარემოებათა შორის, რომ მათ არ შეუძლიათ დაეყრდნონ გარედან რამოდენიმედ მუდმივ და უხვ მოპოებას სამუშაო ძალისა. სამუშაო ძალის, ე. ი. გლეხობის თვითწარმოება, — აუცილებელი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი პირობაა მათი არსებობისა, და რადგანაც გლეხობა წარმოადგენს რეგულიარული ჯარის მთავარ საფუძველს და თითქმის ერთად-ერთ წყაროს მთელი სახელმწიფო რესურსებისა, — მისი მუდმივი თვითწარმოება წარმოადგენს აგრეთვე აუცილებელ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ პირობასაც ბატონყმურ საზოგადოებათა არსებობისა.

ამაშია პირველდაწყებითი და ღრმა ფესვები იმ კონფლიქტებისა სახელმწიფოებს შორის, — ამ მემამულეთა და მემამულეთა წოდების საერთო ორგანიზაციებისა, — რაიც ბატონყმობის განვითარების გარკვეული საფეხურებიდან ემჩნევა კონტინენტის ყველა ქვეყნებს. ერთი და იგივე გლეხი წარმოადგენს ობიექტს მემამულისა და სახელმწიფო ვალდებულებისათვისაც; მისგან გამოწურული ზედმეტი შრომა წარმოადგენს არსებობის მთავარ ბაზისს ყოველი ინდივიდუალური მემამულის და მთელი სახელმწიფოისაც; რომელიც აწესრიგებს და იცავს მემამულეთაგან წარმოებულ ექსპლოატაციის საერთო პირობებს. ბატონყმური ტეხნიკის გაყინული მდგომარეობის დროს ამ ექსპლოატაციის გაძლიერება ძლიერ მალე ემჩნევა სახელმწიფოებრივ საშუალებების მდგომარეობას, ხოლო შემდეგში არმიის უზრუნველყოფასაც. ყოველივე ამ მიზეზებისა გამო სახელმწიფო უკვე ძლიერ ადრე იწყებს ცდებს ჩაერიოს მემამულეთა და ყმა-გლეხთა ურთიერთობაში; რათა დაუდვას თუნდაც ზოგიერთი საზღვარი მემამულეთა თვითნებობას, რათა დაიფაროს გლეხობა, როგორც მოზარდი სახელმწიფოებრივი ბეგარებისა და ნატურალურ ვალდებულებათა ობიექტი.

ასე წარმოიშობიან ის ლონისძიებანი, რომელთა ჯამმა მიიღო „გლეხთა დაცვის კანონმდებლობათა" სახელწოდება. ეს საფრანგეთში ნაწილობრივ დაიწყო უკვე მე-XV საუკუნეში, შემდეგ განახლდა რეფორმიუციის წინად; ავსტრიასა და პრუსიაში შედარებით ფართე განვითარება მიიღო მან მე-XVIII საუკუნეში; რუსეთში ის არ წასულა გაუბედავი ჩანასახების იქით, რასაც ადგილი ჰქონდა პეტრე I უახლოესი მემკვიდრეების დროს, სავსებით მივიწყებულ იქნა მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, და შემდეგ გამოცოცხლდა მხოლოდ რაზოდენიმე ათეული წლით ადრე გლეხთა რეფორმებისა.

ყმა-გლეხს შეუძლია გაუძლოს სახელმწიფო ვალდებულებათ მხოლოდ მანამდი, სანამ ის მისდევს საკუთარ მეურნეობას, — შინაყმები ჩვეულებრივად თავისუფლდებიან ყოველგვარ ვალდებულებათაგან, — ე. ი. სანამ მას რჩება სანადელო მიწა და სანამ მას შეუძლია ამ მიწის დამუშავება. ამით სავსებით ისაზღვრება და ირკვევა გლეხთა დაცვის მთავარი ღონისძიებათა არსება: ცდები საბატონო ბეგარის მაქსიმალური სიდიდის დამყარებისა, აკრძალვა გლეხთა მიწიდან აყრისა და მათი უმიწოდ გაყიდვისა, — საერთოდ მისწრაფება დაცულ იქნას და განმტკიცებული გლეხის კავშირი მიწასთან. ამგვარად უკვე თვით მთლიანად აღებული ბატონყმური საზოგადოების ძირითად შოთხოვნილებათაგან გამომდინარეობენ ჩანასახითი ფორმები იმ ლი-

ბერალური პროგრამებისა, რაც შემდეგში საფუძვლად დაედვა ყმა-გლეხთა განთავისუფლებას გერმანიასა, ავსტრიასა და რუსეთში.

გლეხთა დაცვის კანონმდებლობას, თუმცა ის თავდაპირველად საკმაო სიფართოვით იყო განზრახული, პრაქტიკაში მივყეევართ უმნიშვნელო შედეგებამდე, თუ კი ის იმთავითვე არ ყოფილა, უბრალოდ, ქაღალდის კანონმდებლობად. წმინდა ბატონყმურ სახელმწიფოში როგორიც იყო ის ბატონყმობის აყვავების ეპოქაში, არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც საკმაოდ ღრმა ამოძრავებანი, არც ძალები, არც საშუალებანი ამისათვის, რათა განხორციელებულიყო მებატონეთაგან ექსპლოატაციის სერიოზული შეზღუდვა. საჭირო შეიქნა ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების საკმაოდ მაღალი საფეხური იმისთვის, რათა მემამულის პირადი ხელისუფლება გლეხზე შეცვლილიყო, უკანასკნელზე სახელმწიფოს უპიროვნო ხელისუფლებით, იმისთვის, რათა მომხდარიყო საბატონო ბეგარა-გამოსაღებთა ლიკვიდაცია.

სახელმწიფო, რომელიც აწარმოებდა ეგრეთწოდებულ გლეხთა განთავისუფლებას, იყო უშუალო მემკვიდრე წმინდა მემამულური სახელმწიფოისა. ამგვარი მდგომარეობის დროს არა არის რა გასაკვირველი იმაში, რომ გლეხთა რეფორმა ნაკარნახევ იქნა ისეთივე ძირითადი მოტივებით, როგორიც წინად წმინდა ბატონყმური მფარველობა გლეხებისა: მისწრაფებით რათა დაეცვათ ის უმთავრესად, როგორც მებეგრე წოდება, როგორც მთავარი ბაზისი მთელი სახელმწიფო აპარატისა. ამ მიზნით სხვადასხვა ქვეყნებში ტარდება სხვადასხვა კონკრეტული ღონისძიებანი. რუსეთში ისინი განირჩეოდენ მხოლოდ მეტისმეტი გამჭვირვალობით. ბატონყმობის დროს გლეხი, თანახმად პოპულიარული გამოთქმისა, მიმაგრებულია მიწაზე. გლეხთა რეფორმით მიწა, — როგორც დაბეგვრის მთავარი ობიექტი და როგორც აუცილებელი პირობა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ვალდებულებათა შესრულებისათვის, — მიემაგრება რეფორმირებულ გლეხზე. საგლეხო ნადელთა გასხვისების უუფლებობა, გლეხების მიერ გირავნობის (მიწის ქვეშ) უფლების უქონლობა, სათამასუქო კრედიტის უფლების უქონლობა, ურთიერთ თავდებობითი პასუხისმგებლობა გლეხთა მთელი თემისა ბეგარების ნარჩენებზე, სოფლიდან მხოლოდ თემის ნებართვით წასვლის უფლება, თემის უფლება მიწით სარგებლობის მიმართების შეცვლისა გადამხდელთა წესიერებისა თუ ნარჩენების დატოვების მიხედვით, — ყოველივე ამათ და სხვა მსგავს ღონისძიებებმა დაასრულეს გლეხების მებეგრე წოდებათ გახდომის პროცესი.

ზემოდ ჩვენ დავინახეთ, რომ ბატონყმობა იყო არა მხოლოდ უარყოფა, არამედ განმტკიცება ფეოდალიზმისა: განმტკიცება იმდენად, რამდენადაც ის იყო განსაკუთრებულ ფორმათ ფეოდალთა ახალ ეკონომიური ურთიერთობისათვის შეგუებისა. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხთა რეფორმა, როგორაც ის განხორციელდა კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნებში (საფრანგეთის გამოკლებით, სადაც გაუქმება მებატონეთა პრივილეგიებისა, რომელიც შენახულ იქნენ ფეოდალური ეპოქიდან, მოხდა არა როგორც რეფორმა, არამედ როგორც რევოლიუცია), იყო ერთდროულად და ნაწილობრივ უარყოფა, და ნაწილობრივ განმტკიცება ბატონყმური მიმართებისა.

შემდეგში, როდესაც ჩვენ ლაპარაკი გვექნება ბატონყმობის გაუქმებაზე, ჩვენთვის აშკარა შეიქნება, რომ ბატონყმური საზოგადოების ისტორია არ დამთავრებულა გლეხთა რეფორმებით, და რომ შესწავლა ამ საზოგადოებრივი ფორმისა წარმოადგენს არა მხოლოდ ისტორიულ ინტერესს.

ბატონყმური ურთიერთობის წარმოშობის დროს სენიორში კიდევ შენახული იყო მრავალი ხაზები ფეოდალური ეპოქისა. ნატურალურ-მეურნეული წყობა კიდევ გაბატონებული იყო სოფლად, უშუალო მოთხოვნილება კვლავ მთავარ მიზნად რჩებოდა მეურნეულ მოღვაწეობისა, პროდუქტთა დიდი უდიდესი რაოდენობის მასა კვლავ მზადდებოდა როგორც სახმარი ღირებულება. ბატონყმობის პერიოდის დასასრულისათვის ბატონის მამული სულ უფრო სავაჭრო-სამრეწველო წამოწყებათ იქცეოა, მემამულე სულ უფრო ღებულობს მეწარმის სახეს, რომელიც ძველი პრივილეგიათა უტილიზირებით ჰქმნის ახალ პრივილეგიებს. რომელიც არ სტოვებს რა წარმოების ძველ დარგებს, მისდევს ახლებსაც. უბრალოდ, როგორც კომერციულ საქმიანობას. — როგორც საშუალებას. რომლის წყალობითაც შეიძლება ღირებულებათა მითვისების გაფართოება.

ამ საფუძველზე ეკონომიური განვითარების ზოგიერთი ისტორიკოსები ხედავენ, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი ყველაზე ადრე წარმოიშვა მიწათ-მოქმედებაში, და რომ საბატონო მამული იყო თავდაპირველი ფორმა კაპიტალისტურ წამოწყებისა. მაგრამ ისინი მხედველობიდან უშვებენ ორ არსებით გარემოებას. პირველი. საბატონო მეურნეობის საფუძველი იყო გარეგანი, იერარქიულად იძულებითი შრომა. მცირე გამონაკლისებს რომ თავი დავანებოთ და მემამულეთა წოდების მეურნეული მოღვაწეობა რომ მთლიანად ავიღოთ, დავინახავთ, რომ წარმოება და ღირებულებათა მითვისება აქ არ წარმოადგენდა თვითმიზანს, როგორც ამას ადგილი აქვს კაპიტალისტურ წამოწყებაში. ღირებულებას აქ ითვისებდენ არა იმისთვის, რათა დაეგროვებიათ ისინი აბსტრაქტულ ფულად ფორმაში, ხოლო შემდეგ ისევ ბრუნვაში გაეშვათ შემდგომი დაგროვებისათვის; ჩვეულებრივ ღირებულებანი ფულად იქცეოდენ უბრალოდ იმისათვის, რათა ამ ფულებზე მეტად თუ ნაკლებათ არა ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესყიდული ყოფილიყო მემამულის პირადი მოხმარების საგნები.

რასაკვირველია, გვხედებიან ისეთი მემამულენიც. რომლებიც განზრახვის გარეშეც კი ავტომატიურად, — ისე უზარმაზარი იყო მათი მამული და შემოსავალი, — აგროვებდენ კოლოსალურ ფულად შეძლებას, ანუ რომლებსაც თავიანთ მოღვაწეობაში შეჭონდათ საქალაქო პრინციპები და შეგნებულად მიმართავდენ დაგროვებას. მაგრამ საერთოდ მოხმარება შეურნეობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ბატონის მამულში, — მხოლოდ მოხმარებამ შესწყვიტა უშუალობა და მის აუცილებელ გარდამავალ რგოლად შეიქნა გაცვლა.

ამგვარად მებატონის მამული ჯერ კიდევ არ არის კაპიტალისტური წამოწყება. თვით გლეხთა პირადი დამოკიდებულების გაუქმებითაც ხორციელდებოდა მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობა კაპიტალისტური მიწათმოქმედებაზე ნამდვილად გადასელისათვის. წარმოების კაპიტალისტური წესი რეფორმების შემდგომ ეპოქაშიაც მიწათმოქმედებაზე ვრცელდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩნდება ახალი კაპიტალისტური ფერმერი-მეწარმე, ანდა რამდენადაც მიწაზე საკუთრება ფეოდალების შთამომავალთა წოდებიდან გადადიოდა ახალ, ბურჟუაზიულ კლასის ხელში, ქალაქის ანუ სოფლის ბურჟუაზიის ხელში.

ბატონყმურ ეპოქამ დაგვიტოვა მემკვიდრეობა, რომელიც კარგა ხანს გრძელდება: დაგვიტოვა საკუთრება მიწაზე. რომელიც წარმოადგენს საფუძველს საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარების, მატერიალურ შედეგთა მნიშვნელოვან ნაწილს კერძო წმინდა-მოხმარებითი მითვისებისა. და ხანგრძლივად მიამგრა მიწა იმ კლასს, რომელსაც არ ძალუძს თუმცა იმდენად მაინც შეუწყოს ხელი ამ ძალთა განვითარებას, რამდენადაც ამას კაპიტალისტური მეწარმე ჩადის.

ამ მემკვიდრეობაზეა აგებული ერთერთი მთავარი საფუძველთაგანი თანამედროვე ევროპაში მიწათმოქმედების რელატიური ჩამორჩენილობისა მრეწველობასთან შედარებით.

(ა. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი და ი. ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი — პოლიტიკური ეკონომიის კურსი. ტ. I).

§ 6. გლეხთა ომის საფუძვლები გერმანიაში

...თავადის მოთხოვნილება ფულებში,—ფუფუნების განვითარებასთან, სასახლის ცხოვრების ზრდასთან, მუდმივი ჯარის გაჩენასთან და მმართველობის სულ უფრო მოზარდ ხარჯებთან ერთად, — სულ მეტად იზრდებოდა. გადასახადები მეტად და მეტად მძიმე ხდებოდა. ქალაქები უმრავლეს შემთხვევაში დაცული იყვნენ ამ გადასახადთა ტვირთისაგან, თავიანთი პრივილეგიების წყალობით და მთელი სიმძიმე ყმებსა და ლენური სამსახურით ვალდებულ რაინდთა დამოკიდებულ გლეხებს აწვებოდა. იქ, სადაც არ ქმაროდა პირდაპირი გადასახადები სცენაზე თავს ამოყოფდა არაპირდაპირი ბეგარები; რათა გაევსოთ უძირო ფისკი მიმართავდენ ყველაზე გაქნილ მანევრებს საფი-

ნანსო ხელოვნებისა. თუ რომ ყოველივე ესეც საქმეს არ შველოდა, თუ რომ უკვე არა იყო რა რისი დაწინდრებაც შესაძლებელი ყოფილიყო, და თუ არც ერთი თავისუფალი საიმპერიო ქალაქი მეტ სესხებს არ იძლეოდა, მაშინ მიმართავდენ ყველაზე საეჭვო თვისების სამონეთო ოპერაციებს: სჭრიდენ უვარგის ფულებს, აწესებდენ ხან მაღალ ხან დაბალ იძულებითი კურსებს, იმისდამიხედვით, როგორც ეს ხელსაყრელი იქნებოდა ხაზინისათვის. ვაჭრობა საქალაქო და ყოველგვარი სხვა პრივილეგიებით, რომელიც შემდეგში ძალით წაერთმეოდა, რათა კელავ ხელახლა გაყიდულიყო კიდევ უფრო ძვირ ფასებში, გამოყენება ოპოზიციის ყოველგვარი ცდებისა იმ მიზნით რათა ამოეგლიჯათ კონტრიბუციები და ეწარმოებინათ ყოველგვარი ძარცვა-გლეჯანი და ა. შ. ასევე წარმოადგენდენ ფრიად მომგებიან და ყოველდღიური შემოსავლის წყაროებს იმ დროის თავადებისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვან და ვაჭრობის მუდმივ საგნათ თავადების ხელში იყო აგრეთვე მართლ-მსაჯულება. ერთის სიტყვით იმ დროის ქვეშევრდომთ, — რომელთაც ხსენებულთა გარდა უნდა დაეკმაყოფილებინათ კიდევ თავადთა ფოგტებისა და მოხელეების კერძო სიხარბენიც,—მთლიანად უნდა ეგემნათ მთელი მშვენიერებანი მმართველობის „მამობრივი" სისტემისა.

საშუალო საუკუნეთა ფეოდალური იერარქიიდან თითქმის საკვებით გაჰქრა საშუალო აზნაურობა: მისი ერთი ნაწილი ამაღლდა დამოუკიდებელი წვრილი თავადების მდგომარეობამდე. ხოლო მეორე-- დაქვეითდა დაბალ ხარისხოვან აზნაურთა რიგებში. დ ა ბ ა ლ ი ა ზ ნ ა ურ ო ბ ა, რ ა ი ნ დ ო ბ ა, ჩქარი ნაბიჯებით მიდიოდა დაღუპვისაკენ. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საკვებით განადგურდა ქონებისაგან და ცხოვრობდა თავადებთან სამსახურით. სადაც ეკავათ სამხედრო თუ სამოქალაქო თანამდებობანი; მეორე ნაწილი იმყოფებოდა ლენურ დამოკიდებულებაში და ქვეშევრდომობაში თავადებისა; დასასრულ; მესამე, ყველაზე მცირე ნაწილი, უშუალოთ იყო დაქვემდებარებული საიმპერიო ხელისუფლებისათვის. სამხედრო საქმის განვითარებამ, ქვეითა ჯარის მოზარდმა მნიშვნელობამ და ცხელი იარაღების გამოყენების სრულყოფამ ნიადაგი გამოუთხარა რაინდთა საშხედრო სამსახურის მნიშვნელობას მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი ჯარის სახით და იმავე დროს იავარყო მათი ციხე-სიმაგრეების შეუდგომლობა და ძლიერება. მრეწველობის პროგრესმა რაინდები არა საჭიროდ გახადა იმავე ზომით, როგორც ნიურნბერგის ხელოსნები. რაინდთა მოთხოვნილებამ ფულში იქონია მნიშვნელოვანი გავლენა მათი განადგურებისა და დაღუპვის საქმეში. ფუფუნებანი ციხე-

ოშკებში, ტურნირებისა და დღესასწაულების დროს დიდებულ მორთულობაში შეჯიბრება, ფასები იარაღებზე და ცხენებზე იზრდებოდენ ცივილიზაციის პროგრესთან ერთად, იმ დროს, როდესაც რაინდებისა და ბარონების შემოსავალთა წყაროები იზრდებოდენ მეტად მცირეოდენი რაოდენობით ანდა საკვლებით უცვლელნი რჩებოდენ. ფეოდალთა ურთიერთ შორის ბრძოლანი მათი აუცილებელი ძარცვებით და კონტრიბუციებით, თარეშები და ძარცვა-გლეჯანი დიდ გზებზე და სხვა მსგავსი კეთილშობილი საქმიანობანი თანდათან უფრო საშიშ საქმედ ხდებოდენ.

დამოკიდებული მოსახლეობის გადასახადები და ვალდებულებანი ოდნავად თუ იძლეოდენ მეტ შემოსავალს, ვინემ წინათ. რათა დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მოზარდი მოთხოვნილებანი კეთილშობილ რაინდებს უნდა მიემართათ იმავე საშუალებებისათვის, რომელსაც მიმართავდენ თავადები. აზნაურთა მიერ გლეხების ექსპლოატაცია ყოველ წლიურად სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ყმებიდან გამოიქაჩებოდა სისხლის უკანასკნელი წვეთები, დამოკიდებულ ხალხს ბეგრავდენ ახალ-ახალი გადასახადებითა და ვალდებულებებით ყოველგვარი საბაბისა და სახელწოდების ქვეშ. ბეგარანი, ჩინშები, ვალდებულებანი, გადასახადები მიწის გაყიდვიდან, გადასახადები, რომლებიც აიღება მიწის დამჭერთა სიკვდილის შემდეგ, და ა. შ. თვითნებურად იზრდებოდენ, ყოველი ძველი შეთანხმებებისადა მიუხედავათ. სასამართლო არ არსებობდა ანდა ის იყო მოსყიდული, ხოლო თუ რაინდს არ შეეძლო გლეხისაგან სხვა რაიმე საშუალებით მიეღო ფული, მაშინ ის უბრალ-მიზეზოდ საპყრობილეში აგდებდა მას (გლეხს) და მოითხოვდა რათა უკანასკნელს თავი გამოესყიდა.

...ყმა-გლეხებს თავზე აწვა თავისი სიმძიმით საზოგადოებრივი შენობის მთელი იერარქია: თავადები, აზნაურები. ღვდლები, პატრიციები, საქალაქო ბიურგერები. ეკუთვნოდა ის თავადს; თავისუფალ საიმპერიო რაინდს, მონასტერს თუ ქალაქს, ყმას ყველგან ისე ეპყრობოდენ როგორც ნივთს ან სასაპალნე ცხოველს ანდა კიდევ უფრო უარესად. თუ გლეხი ყმა იყო (Libeigener). მაშინ ის იმყოფებოდა თავისი ბატონის ხელისუფლებაში; თუ ის იყო დამოკიდებული (Höriger) მაშინ მხოლოდ ერთი კანონიერი ხელშეკრულებით დაწესებული ვალდებულებანიც კი საკმარისი იყო, რათა საშინლად შეეიწროებია ის; მაგრამ ეს ვალდებულებანიც ყოველ დღე იზრდებოდენ. თავისი დროის უდიდესი ნაწილის განმავლობაში გლეხს უნდა ემუშავნა მისი მებატონის მიწაზე. ხოლო იქიდან რისი დამუშავებაც-კი მას შეეძლო მისი ისედაც მცირედი თავისუფალი საათების

განმავლობაში, მას უნდა გადაეხადა მეათედები, ცენზები, გამოსაღებნი, სამხედრო ბეგარანი (Bede, Reisegeld), ადგილობრივი და საერთო-საიმპერიო ბეგარანი. მას არ შეეძლო არც ქორწინებითი კავშირში შესვლა, არც სიკვდილი თავისი მებატონისათვის სათანადო გამოსაღების გადახდის გარეშე. გარდა ჩვეულებრივი ბეგარებისა მას თავისი ბატონისათვის უნდა დაემზადებინა თივა, ნადირობის დროს გამოედენა ნადირი, მოეჭრა შეშა და ა. შ. თევზის ჭერისა და ნადირობის უფლება ეკუთვნოდა ბატონს, და გლეხს უშფოთველად და უდრტვინველად უნდა ეცქირა თუ როგორ ანადგურებდა ნადირი მის ჭირნახულს.

სათემო საძოვრები და ტყეები გლეხებისა თითქმის ყველგან იძულებით იქნა გლეხთა ხელიდან გამოგლეჯილი მებატოხეთა მიერ, და ბატონის თვითნებური ხელისუფლება ვრცელდებოდა არა მხოლოდ გლეხის საკუთრებაზე (ქონებაზე), არამედ მის პიროვნებაზედაც, და, მისი ცოლისა და ქალიშვილების პიროვნებაზედაც. ის სარგებლობდა პირველი ღამის უფლებით, მას სასურველ მომენტში შეეძლო ჩაეგდო გლეხი ჯურღმულში (ციხეში), სადაც უკანასკნელს უცდიდა წამება ისეთივე აუცილებლობით, როგორც ახლა დაპატიმრებულს უცდის სასამართლოს გამომძიებელი. ბატონი გლეხს სიკვდილამდე სცემდა და, თუ სურდა, შეეძლო ებრძანებინა რომ მისთვის თავი მოეჭრათ. „კაროლინების" იმ სამოძღვრო თავებიდან. რომლებიც ლაპარაკობენ „ყურების მოჭრაზე", „ცხვირის მოჭრაზე", „თვალების ამოწვაზე", „თითებისა და ხელების მოკვეთაზე" „დაწვაზე" „გახურებული გაზებით წამებაზე", „ბორბალზე მიკვრაზე" „ოთხად გაგლეჯაზე", არ არის არც ერთი, რომელიც პატივცემულ ბატონს და მფარველს შეხედულებისამებრ, არ გამოეყენებინოს თავის გლეხების მიმართ. და ვის შეეძლო მფარველობა გაეწია გლეხისათვის? სასამართლოში იჯდენ ბარონები, ღვდლები. პატრიციები ანუ იურისტები, რომლებმაც კარგად იცოდნენ, თუ რისთვის ღებულობდენ ისინი ფულებს. რადგან იმპერიის მთელი ოფიციალურ წოდებანი ცხოვრობდენ გლეხთა ექსპლოატაციის ანგარიშზე.

(ფრ. ენგელსი — გლეხთა ბრძოლა გერმანიაში).

§ 7. გლეხთა ომების ეკონომიური ფესვები

გლეხთა ომები საშუალო საუკუნეების ბოლო ხანაში სრულიადაც არ იყო იშვიათი მოვლენა. ასაფეთქებელი მასალა ყველგან ბევრი იყო; საკმარისი იყო ერთი ნაპერწკალიც, რომ ის ანთებულიყო.

ამის გამოსარკვევად საჭიროა თვალი გადავავალოთ იმ ცვლილებებს, რაც გლეხთა მდგომარეობაში ქალაქთა განვითარების გავლენით მოხდა.

ქალაქთა განვითარებამ შექმნა ბაზარი არა მარტო მრეწველობის, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის. რაც უფრო იზრდებოდა ქალაქები, მით უფრო ძნელი ხდებოდა მოქალაქეებისათვის — ვაჭარ-ხელოსნებისათვის — საკუთარი ძალებით დამზადება ყველა მათთვის საჭირო საარსებო საგნების და ნედლი მასალის. ისინი ახლო-მახლო სოფლის მეურნეებისაგან ყიდულობდენ პროდუქტების ნაჭარბს, რაც ამ მეურნეთ რჩებოდა თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ. ამ ნაჭარბ პროდუქტებში მოქალაქენი თავის ნაწარმოებს ან უცხოეთიდან შემოტანილ მრეწველობის პროდუქტებს სცვლიდენ ან ფულს იხდიდენ. ამგვარათ ფული გლეხებსაც გაუჩნდა. ამან ბუნებრივად გამოიწვია სურვილი, რომ ნატურალური გადასახადი და საბატონო სამუშევრები ფულით გადახდილიყო. ხშირათ თვით სენიორები მოითხოვდენ ამას, რადგან ფული ეხლა მათაც სჭირდებოდა. გლეხთა მისწრაფებაც ხშირათ ამავე მიმართულებას ღებულობდა, რადგან ნატურალური ბეგარის ფულად ბეგარად გადაქცევა უფრო თავისუფლად ხდიდა მათ და საშუალებას აძლევდა ისე ესარგებლათ თავისი ქონებით, როგორც თვითონ მოისურვებდენ.

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ორივე კლასის მისწრაფება, რომ ნატურალური ბეგარა ფულადათ გადაქცეულიყო, სრულ ჰარმონიას და საერთო კმაყოფილებას იწვევდა. ნამდვილად კი სრულიად წინააღმდეგი ხდებოდა. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ნატურალური ბეგარის სისტემის დროს ამ ბეგარის გადიდების სურვილი არ შეიძლება მეტის მეტად ძლიერი იყოს: ბეგარის სიდიდე სენიორისა და მისი ჯალაბობის ფიზიკური მოთხოვნილებით არის განსაზღვრული. ფულის სურვილი კი უსაზღვროა. რადგან არ შეიძლება კაცს საჭიროზე მეტი ფული ჰქონდეს. ამის გამო ფულად ვალდებულებათა შემოღება ჰბადებს ფეოდალებში გლეხთა ტვირთის გადიდების მისწრაფებას. მაგრამ ამასთან ერთად გლეხების მხრითაც მატულობს წინააღმდეგობა. სანამ გლეხს არ ჰქონდა თავის ნაწარმოებთა ნაჭარბის გაყიდვის შესაძლებლობა, მისთვის მაინცა და მაინც დიდ მსხვერპლს არ წარმოადგენდა ამ ნაჭარბის სენიორისათვის გადაცემა. მაგრამ როდესაც არსებობს ბაზარი პროდუქტებისათვის, ნაჭარბის ან მისი გაყიდვით შეძენილი ფულის გადაცემა მემამულისათვის ნიშნავს იმას, რომ გლეხი ვერ დაიკმაყოფილებს ზოგიერთ მოთხოვნილებას, რომელსაც ის ადვილათ ეჩვევა.

ამ ინტერესთა წინააღმდეგობას მოემატა მეორეწაიოი წინააღმდეგობა. სანამ ქალაქები განვითარდებოდა, გლეხს არსად არ ეგულებოდა ისეთი თავისუფალი ადგილი, სადაც მას შეეძლო თავი შეეფარა ბატონისაგან გაქცევის შემდეგ. ქალაქთა ზრდამ გლეხს ეს თავშესაფარი გაუჩინა და ბევრმა, ძალიან ბევრმა ისარგებლა გაქცევის შესაძლებლობით. რაც შეეხება შეძლებულ გლეხებს, ამათ იცოდენ ბატონების ფინანსიურ ხელმოკლეობის გამოყენება, რომ თავი გამოეხსნათ ვალდებულებებისაგან. ყოველივე ამის გამო საბატონო გლეხთა რიცხვი სწრაფად კლებულობდა, მამულის მეურნეობა კი ამისაგან ხშირათ ზარალდებოდა. ამგვარათ იმ დროს, როდესაც ქალაქთა გავლენით გლეხებში იზრდებოდა ბეგარისაგან განთავისუფლების ან ერთდროულათ თავის გამოსყიდვის მისწრაფება, ფეოდალებში, პირიქით, სულ უფრო ძლიერი ხდებოდა იმის ინტერესი, რომ გლეხი რაც შეიძლება უფრო მკვიდრათ მიმაგრებულიყო მამულთან და გადიდებულიყო გლეხის საბატონო სამუშეევარი და ბეგარა.

მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ინტერესთა წინააღმდეგობა მიწათმოქმედებაში. რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქტები ღირებულებად გადაიქცა, ღირებულება მიიღო აგრეთვე მიწამაც რომელზედაც პროდუქტები იბადებოდა, — არა მარტო დამუშავებულმა არამედ თავისუფალმა, მოუხნელ-დაუთესელმა მიწამაც. იმ დროს, როდესაც ქალაქებმა ძლიერ და გავლენიან მდგომარეობას მიაღწიეს, მოსახლეობა უკვე ისე მცირე აღარ იყო, როგორც წინეთ, როდესაც მიწა უსაზღვრო სჩანდა და ყველას — გლეხს, ფეოდალს მისი ყმებით, თუ ბერების ასოციაციას, — ვისაც კი ახალი მიწის გატეხვა მოესურვებოდა, თემი — მარკები და სიუზერენები სიამოვნებით უთმობდენ, იმდენ მიწას, რამდენიც მათთვის საკმარო იყო. ეს დრო დიდი ხანია წავიდა. თუმცა ჯერ მთელი ვარგისი მიწა დამუშავებული არ იყო მაგრამ მოსახლეობა უკვე იმდენათ მჭიდრო იყო, რომ მიწის მარაგი განუსაზღვრელ სიდიდეს აღარ წარმოადგენდა. მიწათმფლობელობა იქცეოდა პრივილეგიად, მერე ისეთ ძვირფას პრივილეგიად, რომ მისი გულისთვის მალე სასტკი ბრძოლა გაჩაღდა. ერთის მხრით თემმა-მარკებმა კარი ჩაიკეტეს და მთელი თავისი მიწა თემში შემავალ ოჯახების საკუთრებად გამოაცხადეს. სოფლად, ისევე როგორც ქალაქებში, თემი-მარკის წევრთა გვერდით წარმოიშვა თემის არასრულუფლებიან წევრთა ფენა.

მეორეს მხრით სენიორები, სარგებლობდენ რა თავისი უპირატესი ძალა-უფლებით მარკის მიმართ, ცდილობდენ მიეთვისებინათ თემის მიწა, თავის კერძო საკუთრებად გამოეცხადებინათ იგი და შემ-

დეგ მოწყალებით ებოძათ თემის წევრთათვის ამ მიწით სარგებლობის უფლება.

რაც წინ მიდიოდა ეკონომიური განვითარება, მით უფრო მწვავდებოდა ეს წინააღმდეგობანი, მით უფრო მტრული ხდებოდა გლეხთა და ფეოდალთა ურთიერთ-დამოკიდებულება და მით უფრო ადვილათ ჩაღდებოდა კონფლიქტები, რომლებსაც ჩვეულებრივად წმინდა ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ გარკვეულ პირობებში ერთბაშათ მოედებოდა ხოლმე მთელ პროვინციებს, მთელ ქვეყნებს და ნაჰდვილი ომებით — გლეხთა ომებით — თავდებოდა.

ომის ბედი ამ შეტაკებებში ცვალებადი იყო. საზოგადოთ კი შეიძლება ითქვას, რომ XIII და XIV საუკუნეებში, — იტალიაში კი უფრო ადრეც, — გლეხთა მდგომარეობა, აქა-იქ დამარცხების მიუხედავათ, თანდათან უმჯობესდებოდა.

ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ ექსპლოატაციის ქვეშ მყოფ კლასის მდგომარეობა შეიძლება უმჯობესდებოდეს, მაგრამ მისი ანტაგონიზმი ექსპლოატატორ კლასთან მაინც მწვავდებოდეს. უკიდურესად უაზროა აპოლოგეტების, — სინამდვილის შემამკობელ თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომისტების ცდა შეაგონონ მუშებს, რომ რაკი მათი მდგომარეობა უმჯობესდება, სოციალისტურ მუშათა მოძრაობისათვის არავითარი საფუძველი აღარ არსებობს. ის მხოლოდ გაუგებრობის ნაყოფია. რომც მართალი იყოს მათი მსჯელობა, რომ „მუშათა კლასი წინ მიდის", ეს კიდევ ვერაფერს დაამტკიცებდა. ამ ბატონებმა ყოველ შემთხვევაში ის უნდა იცოდენ, რომ მარქსმა და ენგელსმა უკვე ნახევარი საუკუნის წინათ სთქვეს, რომ სოციალ-დემოკრატიული (კომუნისტური) მოძრაობა — ს ი ღ ა ტ ა კ ი ს ნაყოფი კი არ არის, არამედ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა და კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს; და ვერც ერთი ვოლფი ან ბრენტანო, რომელნიც ვარდის ფერებით ღებავენ სინამდვილეს, ვერ გაბედავენ იმის მტკიცებას, რომ კლასობრივი ბრძოლა სუსტდება და კლასობრივი წინააღმდეგობა კლებულობს.

გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზეზები ნაწილობრივ უკვე აღნიშნულია ზემოთ ნათქვამში. ქალაქები უმაგრებდა ზურგს გლეხობას და გლეხობაც ამ დახმარებით კარგათ სარგებლობდა. იურიდიული დამონება და ფიზიკური ჩაგვრა ბევრს ვერას შველიდა, თუ ქალაქები მფარველობას აღმოუჩენდენ შემოხიზნულ გლეხებს. თუ „მუშა ხელის" შენარჩუნება სურდა, სენიორი უფრო ფრთხილად უნდა მოპყრობოდა მას და ცხოვრების პირობები შეემსუბუქებინა მისთვის.

მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხშირად ფეოდალების ფინანსიური ხელმოკლეობაც. მე-XII საუკუნეში ქრისტიანული სამყარო იმდენად ძლიერი იყო, რომ არა თუ მტრის შემოსევის მოგერიება შეეძლო, არამედ შეტევაც იმათზე, ვინც თავისი სიმდიდრით და მაღალი კულტურით სამხედრო და სასულიერო კასტების სიხარბეს იწვევედა: ასეთი იყო აღმოსავლეთის ერები. ჯვაროსანთა ლაშქრობა დაიწყო თავზე ხელაღებულ და მტაცებელ სენიორების ცოცხალი მონაწილეობით. მაგრამ ჯვაროსანთა ლაშქრობას ერთი მზგავსება აქვს თანამედროვე კოლონიალურ პოლიტიკასთან: დიდი ილიუზიებით დაიწყო იგი, მაგრამ სავალალოთ გათავდა და მისმა შედეგებმა სრულიად ვერ აანაზღაურა ის დიდი მსხვერპლი, რაც მოლაშქრეებმა გაიღეს. მაგრამ თანამედროვე კოლონიალურ პოლიტიკასთან შედარებით ჯვაროსანთა ომებს ერთი უპირატესობა ჰქონდა. კოლონიალური პოლიტიკის მსხვერპლს, „სახელმწიფოს იდეის" გავრცელებისათვის გაღებულს, ეხლა სახელმწიფოს, ე. ი. მოსახლეობის მასსებს მოაქვს, ხოლო მისი ნაყოფით რამოდენიმე ავანტიურისტი და ვაჭარი სარგებლობს.

„შავბნელ" საშუალო საუკუნეებში საქმე სხვანაირი იყო, იმ დროს არ არსებობდა სახელმწიფოებრივი ხელისუფლება იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ახლა გვესმის. აღმოსავლეთში გასამდიდრებლად მიმავალი სენიორები სახელმწიფოს ხარჯზე კი არ ლაშქრობდენ: ხარჯი მათი იყო და თუ ექსპედიცია მარცხით თავდებოდა, პასუხს თვითონ აგებდენ და არა სახელმწიფო. ჯვაროსანთა ლაშქრობამ ბევრი ქალაქი გაამდიდრა, განსაკუთრებით იტალიის ქალაქები. ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. მაგრამ ამასთანავე მან ევროპის თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი გააკოტრა. თავად-აზნაურობის დანარჩენ ნაწილში კი გააძლიერა უმაღლესი კულტურის ნაწარმოებთა მოთხოვნილება. რომლის დაკმაყოფილება ევროპაში მხოლოდ ფულით შეიძლებოდა. საკვირველიც არ არის, რომ ფულის მოთხოვნილება თავად-აზნაურობაში იზრდებოდა. აქედან კი, ცხადია, გლეხთა სულ მეტი და მეტი შევიწროების სტიმული იბადებოდა; მაგრამ ხშირათ ისიც ხდებოდა, რომ ვალში ჩავარდნილი სენიორი კმაყოფილებით თანხმდებოდა, რომ გლეხს თავისი ვალდებულებანი ერთდროულად გამოესყიდა განსაზღვრული თანხის გაღებით. მსხვილი თავად-აზნაურობის ზარალი ამიტომ შედარებით მცირე იყო, წვრილი თავად-აზნაურობა კი ღარიბდებოდა და თავის დამოუკიდებლობას თითქმის სრულებით ჰკარგავდა.

ბოლოს, კიდევ ერთი გარემოება უნდა აღვნიშნოთ. თემ-მარკების განკერძოებამ, სენიორთა მიერ მარკების ექსპროპრიაციამ და

მოსახლეობის ზრდამ ის გამოიწვია, რომ გლეხთა დასახლება ახალ ადგილებზე ძალიან გაჭირდა. მოსახლეობის ჭარბი ნაწილი იძულებული გახდა მიწათმოქმედების გარეშე ეძია სახსარი, განსაკუთრებით, ქალაქურ ხელოსნობაში და **სამხედრო სამსახურში**. გაკოტრებულ თავად-აზნაურების გარდა, ჯარში სამსახურს ეტანებოდა ჯანღონით სავსე სოფლის ახალგაზრდობა, რომელსაც შინ სამუშაო ვერ ეშოვნა. სოფლელი ახალგაზრდები მიდიოდენ სენიორებთან, ვინც კარგ ჯამაგირს დაუნიშნავდა და ალაფის შოვნის იმედს მისცემდა, ემსახურებოდენ აგრეთვე მდიდარ ქალაქებს, ხელმწიფეებს ან კიდევ ცალკე ბედნიერ სარდლებს, რომელთაც სამხედრო სამსახური ხელობად ჰქონდათ გადაქცეული და რომელნიც ქირით უდგებოდენ სამსახურში თავისი ბანდებით ყველას, ვისაც ჯარი სჭირდებოდა.

იტალიაში დაქირავებული ლაშქარი XIII საუკუნეში გვხვდება. სისმონდის მოწმობით პირველ ხანებში დაქირავებულ ლაშქარს სამშობლოდან განდევნილი და გადასახლებული პირნი შეადგენდენ: ასეთნი მრავლათ მოიპოვებოდენ იმ დროის საქალაქო პარტიებს შორის არსებული ბრძოლის გამოისობით.

ფეოდალური კასტის ცხენოსანი ლაშქრის ანუ რაინდთა ლაშქრის გარდა დგება აგრეთვე გლეხთა ლაშქარი; ქვეითი ჯარი კვლავ სამხედრო საქმის მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

ჯარში გამოწვეული გლეხები ჩვეულებრივათ სრულიადაც არ იყვნენ პროლეტარები; ისინი გლეხთა შვილები არიან, სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ სახლში ბრუნდებიან ნადავლი ფულითა და საქონლით საოჯახო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ ან საკუთარი კერის შესაქმნელად. თან მოჰქონდათ სოფელში თავისი იარაღი და სამხედრო საქმის ცოდნა და გამოცდილება. XIV და XV საუკუნეების რაინდებს ხშირათ გამოუცდიათ საკუთარ ზურგზე გენუელთა და ინგლისელთა მშვილდ-ისრის, შვეიცარიელთა შუბის და ბოჰემიელთა ფოცხისა და საცეხველი ჯაჭვის სერიოზული მოქმედება. ეჭვი არაა, ამ საგნებმა დიდათ შეუწყო ხელი გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

როგორც ვიცით, იტალიაში ყველა ქვეყნებზე ადრე განვითარდა საშუალ-საუკუნეების ქალაქი. აქვე წარმოიშვა ყველაზე ადრე ის ინტერესთა წინააღმდეგობა ფეოდალებსა და გლეხებს შორის, რომელზედაც ესეც არის ლაპარაკი გექონდა.

გარდა ამისა იტალიაში შეიქმნა ერთი თავისებური მოვლენა, რომელსაც შეეძლო განსაკუთრებით გაემწვავებინა აღნიშნული წინააღმდეგობა: სენიორთა **აბსენტეიზმი**.

ძველად მსხვილი მიწათმფლობელნი იტალიაში (აგრეთვე საბერძნეთშიაც) უმთავრესად ქალაქებში ცხოვრობდენ. იტალიის საშუალო საუკუნეების ქალაქები, სადაც არასდროს არ გამქრალა კავშირი ძველი დროის ტრადიციებთან, თავიდანვე ცდილობდენ ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობაში სოფლის აზნაურობა შეეყვანათ. როდესაც ქალაქები იმდენად ძლიერი გახდენ, რომ სოფლებზედაც გაბატონდენ, მათ ა ი ძ უ ლ ე ს აზნაურობა სოფლიდან ქალაქში გადმოეტანათ თავისი რეზიდენცია. ბევრმა ქალაქმა თავისი მორჩილი აზნაურნი აიძულა რომელიმე საქალაქო სარეწავისთვისაც კი მოეკიდათ ხელი ქალაქში. იტალიის ქალაქთა ეს პოლიტიკა, აზნაურთა ქალაქებში გადმოსახლება, იმავე მოტივებით იყო გამოწვეული, რომლითაც საფრანგეთის XVII და XVIII საუკუნეების მეფეები აიძულებდენ აზნაურებს მიეტოვებინათ თავისი ციხე-დარბაზები და მეფის კართან დასახლებულიყვნენ. ამგვარად დაძლეულ იქნა აზნაურობის დამოუკიდებლობა და ამავე დროს ხელი შეეწყო ერთ შემთხვევაში — ტახტის და მეორე შემთხვევაში ქალაქთა ბრწყინვალეგას და გავლენიანობას. მაგრამ ამ მიზეზითვე იტალიის სოფლის მოსახლეობა ისეთსავე მდგომარეობაში ვარდებოდა, როგორც საფრანგეთში რევოლიუციის წინ.

როდესაც ექსპლოატატორი ახლო იმყოფება იმ პირებთან, რომელთაც ის ყვლეფს, ექსპლოატაცია, დანარჩენ თანასწორ პირობებში, ისეთ მძიმე ფორმას არ იღებს, როგორც მაშინ, როდესაც ისინი დიდი მანძილით არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი. ერთად ცხოვრება ჰბადებს არა მარტო ერთგვარ სულიერ განწყობილებას, არამედ ნაწილობრივ ინტერესთა ერთობასაც, რომელიც ბევრნაირ წინააღმდეგობას ასუსტებს; იმ სენიორისათვის, რომელიც გლეხებთან ცხოვრობს სოფელში, სულ ერთი როდია, თუ რა მდგომარეობაშია გარშემო მცხოვრები მოსახლეობა: ახარებს მას ეს მდგომარეობა თუ ლახავს მის გრძნობებს, მძვინვარებს იქ ცოება, რომელიც მის ოჯახსაც ემუქრება, თუ საღი მხარეა ჯანმრთელი მოსახლეობით.

იმ ფეოდალს კი, რომელიც ქალაქში ცხოვრობს გლეხის ცხოვრება არც ესმის, არც აინტერესებს; მთელს მის მიწა-წყალს მხოლოდ ე რ თ ი ს მ ხ რ ი თ აქვს მისთვის მნიშვნელობა — წმინდა შემოსავლის მხრით. ტიალ უდაბნოთაც რომ გადაიქცეს მთელი ქვეყანა, ფეოდალს ეს არ შეაწუხებს, თუ მისი წმინდა შემოსავალი იგივე დარჩება, რაც წინათ იყო. რომის კამპანია, — მჭერმეტყველი მაგალითია იმის, თუ რა შედეგი მოსდევს ბოლოს და ბოლოს ამ სახის მეურნეობას.

ჯერ XV საუკუნეში კამპანია კარგათ დამუშავებულ და მრავალ სოფლიან ქვეყანას წარმოადგენდა. ეხლა ის ჭაობიანი უდაბნოა. კამეჩების და მალიარიის სათარეშო.

აბსენტეიზმის გავლენას საშუალო საუკუნეებში კიდევ ის გარემოება მოემატა, რომ ქალაქურმა ყოფა-ცხოვრებამ თავად-აზნაურობა კაპიტალისტურ აზროვნებასა და სულისკვეთებას აზიარა. საკვირველიც არ არის, რომ კაპიტალისტური წარმოება მიწათმოქმედებაში ყველაზე ადრე სწორედ იტალიაში გაჩნდა. თუ გლეხები ვერ ახერხებდენ თავის მიწაზე სრული საკუთრების უფლების მოპოებას,— ეს კი ძალიან იშვიათად ხერხდებოდა, — ისინი მოიჯარადრეების ან დღიური მუშების მდგომარეობაში ვარდებოდენ, რომელთაც არავითარი უფლება არ გააჩნდათ მათი შრომით დამუშავებულ მიწაზე.

(კ. კაუცკი — უახლოესი სოციალიზმის წინამორბედნი).

§ 8. 1381 წლის გლეხთა ომი

ზევით... ჩვენ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ მე-XIII საუკუნიდან მე-XV საუკუნემდე გლეხთა მდგომარეობა საერთოდ უმჯობესდებოდა. საფრანგეთში ასი წლის ომმა ეს ტენდენცია მის საწინააღმდეგო ტენდენციად გადააქცია. ამ ქვეყნის უბედური გლეხობა ინგლისის ჯარმა გაძარცვა და დაარბია. და ამავე დროს ომში დამარცხებული საფრანგეთის რაინდობა იმით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რომ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ღონე მიხდილი გლეხობა და ქალაქები ეტყავებინა. გლეხობის სიღატაკემ საზარელი სახე მიიღო და, შედეგად მთელი ილდე-ფრანსის (იგი პარიზის გარშემო მდებარეობდა დიდ სივრცეზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით პარიზიდან ვიდრე ახლანდელ ბელგიის საზღვრამდე) სასოწარკვეთილ გლეხთა ამბოხება ე. წ. ჟაკერია*) გამოიწვია (1358 წ. მაისი). გაძვალტყავებულ გლეხთა აჯანყებამ მყისვე ჩააქრო ეროვნული ანტაგონიზმი ფრანგებსა და ინგლისელებს შორის — ისევე, როგორც თითქმის 200 წლის შემდეგ, გლეხთა ომის დროს გერმანიაში უეცრად მოისპო რელიგიური ანტაგონიზმი კათოლიკებსა და ლიუტერანებს შორის. ორივე ქვეყნის რაინდობამ შეერთებული ძალით ადვილად ჩაახრჩო აჯანყება საშინელ სისხლის გუბეში. აჯანყების ბედი გადაწყდა ქ. მო-ში, რომელიც იმ დროს ინგლისელებს ეკუთვნოდა; მოქალაქეებმა ქალაქში შემოუშვეს გლეხთა ურდოები, რიცხვით 9.000 კაცამდე. ამ დროს

*) ჟაკი, იაკობი — ფრანგ-გლეხთა დაცინვითი სახელია.

ს ა მ ო ც ი (!) რაინდი შემოიჭრა ქალაქში, თავს დაესხენ უიარაღო გლეხებს და დაიწყეს მათი ჟლეტა. ჟლეტეს მანამდე, სანამ არ მობეზრდათ. შ ვ ი დ ი ა თ ა ს კ ა ც ზ ე მ ე ტ ი ამოწყვიტეს მაშინ. შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს ქალაქ მო-ს და გადაბუგეს იგი მთელი მისი მოსახლეობით, რადგან უკანასკნელმა „ჟაკების" მხარე დაიჭირა. ამ დროიდან მთელი აჯანყებაც დამარცხდა: უღვთოდ ხოცავდენ ყველგან აჯანყებულ გლეხებს.

ფრუასსარი დიდი სიამოვნებით მოგვითხრობს ამ ამბავს, თუმცა ცოტა ზევით უსაზღვრო გულის წყრომას გამოთქვამდა იმის გამ, რომ ზოგიერთ აზნაურსაც ხვდომია ასეთი წილი გლეხებისაგან.

ამის შედეგი ის იყო, რომ საფრანგეთის სოფლის მოსახლეობა წინანდელზე უფრო მწარე მონობაში ჩავარდა.

ზემოთ ნაამბობის მსგავსად მოგვითხრობენ ინგლისის გლეხთა აჯანყების შესახებაც, რომელიც ოცი წლის შემდეგ მოხდა.

მაგრამ, ჩვენს აზრით, სრულიად დამტკიცებულად უნდა ჩავთვალოთ, რომ ინგლისში გლეხთა ომს სულ სხვა ხასიათი ჰქონდა.

ინგლისში ომმა არა თუ არ მოსპო, არამედ, პირიქით, გააძლიერა იმ დროის საერთო ტენდენცია — გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. ბატონ-ყმობა თითქმის ჰქრებოდა, პირადი ბეგარა, რომელიც ყმებს უნდა ეხადათ, ფულად გადასახადებად იცვლებოდა. ამის გამო მსხვილ ლენდლორდებისათვის საჭირო გახდა დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მ უ შ ა თ ა შ რ ო მ ი თ შეეცვალათ ყმა-გლეხთა შრომა.

მაგრამ მე-XIV საუკუნეში ჯერ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა რიცხვობრივად მნიშვნელოვან სასოფლო პროლეტარიატზე. „სასოფლო-სამეურნეო ქირის მუშები შესდგებოდენ ნაწილობრივ გლეხებისაგან, რომელნიც თავისუფალ დროს მსხვილ მიწათმფლობელებთან მუშაობას ახმარდენ, ნაწილობრივ კი როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებით მცირერიცხოვან, დამოუკიდებელ, საკუთრივ ქირის მუშათა კლასისაგან. მაგრამ უკანასკნელნიც ფაქტიურად იმავე დროს გლეხები იყვნენ, რადგან ქირის გარდა იღებდენ კოტტეჯს 4 ან მეტი აკრი მიწით. გარდა ამისა ისინი, ნამდვილ გლეხებთან ერთად, სარგებლობდენ საზიარო (სათემო) მიწით, რომელზედაც საქონელს აძოვებდენ და სათბობ მასალას კრეფდენ, როგორიცაა შეშა, ტორფი და სხვა". (მარქსი — „კაპიტალი", ტ. I).

ამ მდგომარეობას ის ცუდი შედეგი მოქონდა ლენდლორდისათვის (ან მისი მეურნეობის მოიჯარადრისათვის), რომ მას ძალიან დიდი ხელფასის გადახდა უხდებოდა; ეს მიწის რენტას ამცირებდა და, შედეგად, წვრილი თავად-აზნაურობის თვალსაჩინო ნაწილი გაკოტრდა.

ლენდლორდების მდგომარეობა კიდევ უარესი გახდა შავი ჭირის დიდი ეპიდემიის შემდეგ, რომელიც 1348 წ. მოედო მთელს ევროპას და თითქმის 20 წლის განმავლობაში მძვინვარებდა. ამ ჭირმა, რომელმაც 25 მილიონი სიცოცხლე შთანთქა, საფრანგეთის სოფლის მოსახლეობა კიდევ უფრო გააღატაკა, ხოლო ინგლისში, პირიქით, ხელი შეუწყო გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შავ ჭირს უეჭველად ერთი ღირსება აქვს, რომელიც ახალ დროშიაც მჟღავნდება სხვადასხვა ეპიდემიების დროს: ის უმთავრესად უღარიბეს კლასებში მძვინვარებს *). ხოლო მდიდრებისადმი უფრო ლმობიერია. მაგრამ იმ დროს ცივილიზაციას ჯერ იმდენად ღრმად არ ჰქონდა გამდგარი ფესვი, რომ ქუჩები უმუშევართა ბრბოებით ყოფილიყო გავსებული. ეპიდემია მდიდრებს უფრო ზოგავდა, მაგრამ სამაგიეროთ მათს სასიცოცხლო ნერვს, — ფულის ქისებს, — ძლიერ აზიანებდა. ჭირის შემდეგ ხელფასი საშინლად გაიზარდა; ამგვარად სრულიად აუტანელი მდგომარეობა შეიქნა, — აუტანელი, რა თქმა უნდა, მიწათმფლობელებისათვის. ამის გამო უკვე 1349 წელს გამოვიდა მეფე ედუარდ III-ის დეკრეტი, რომლის თანახმად ყოველი მიწის მუშა (labourer) და მოჯამაგირე (servant) ვალდებული იყო ემუშავნა, როდესაც მას სამუშევარს მისცემდენ, ემუშავნა განსაზღვრულ ხელფასში და განსაზღვრული დროის განმავლობაში. ვინც მეტს ხელფასს გასცემდა ისჯებოდა იმასთან ერთად, ვინც ამ ზედმეტ ხელფასს მიიღებდა.

მაგრამ ამ კანონმა, რომელიც მიწათმფლობელთა დასაცავად მინიმალურ ხელფასსა და მაქსიმალურ სამუშაო დღეს აწესებდა, თავის მიზანს ვერ მიაღწია; ასეთივე ბედი ხვდა 1350 და 1360 წლებში დამატებით გამოცემულ ანალოგიურ კანონებს. საქმე იმაშია, რომ კანონს არ შეეძლო შეექმნა განსაზღვრული რაოდენობა პროლეტარიზისა, რომელნიც იძულებული უნდა ყოფილიყვნენ ლენდლორდთა მოთხოვნილების შესაფერი ხელფასი მოეთხოვათ.

---

*) „არის ცნობა, რომ ეპიდემიის სიმძიმე ინგლისში ღარიბებს დააწვა, უმაღლეს კლასებს კი იგი ნაკლებად შეეხო". „თითქმის წარმოუდგენლად გვეჩვენება ის გამანადგურებელი ზომედება, რომელიც ამ ჭირს მოუხდენია: მაგ., ვენიცაში, როგორც სჩანს, 100.000 სულამდე დახოცილა, ლიუბეკში 90.000-მდე, სტრასბურგში — 16.000-მდე, ვენაში ერთ დღეს 900-ზე მეტი სიკვდილის შემთხვევა ყოფილა; ამბობენ, რომ ბევრ ალაგას მთელი მოსახლეობის 0,9 ნაწილი ამოწყვეტილა. მაგრამ ეს ბედი მეტ წილად ღარიბ კლასებს ხვდომია და, მაგ., არც ერთი შემთხვევა არ არის ცნობილი, რომ რომელიმე ხელმწიფე მომკვდარიყო ამ სენისაგან".

ომმა საფრანგეთთან მრავალი მუშა დაქირავებულ ჯარისკაცად გადააქცია, რამაც კიდევ მეტად გაამწვავა მუშათა საკითხი მიწათმოქმედებაში. მაგრამ, მეორეს მხრით, მიწათმფლობელთა ეს „გაჭირვებული მდგომარეობა“ აიძულებდა მათ დაეფარათ თავისი კასსის დეფიციტი დიდ ჯამაგირიანი სამხედრო სამსახურით და ახალ-ახალი ძარცვით საფრანგეთში. ლენდლორდთა ნივთიერი ხელმოკლეობა უეჭველად ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო იმისა, რომ ომი საფრანგეთთან ასე დაუბოლოვებელი შეიქნა; ამავე მიზეზით მოხდა, რომ როდესაც ორლეანელ ქალწულის სახელთან დაკავშირებულმა ცნობილმა აჯანყებამ, ერთი მძლავრი მოქნევით ინგლისელები საფრანგეთიდან გადაისროლა, ინგლისელ თავად-აზნაურებმა ერთმანეთის ძარცვა და ხოცვა დაიწყეს თეთრი და წითელი ვარდის სამოქალაქო ომში.

ლენდლორდთა იმავე „გაჭირვებულმა მდგომარეობამ“ მიუნიჭა უდიდესი პოპულიარობა მიწათმფლობელთა წრეებში ვიკლეფის იდეებს რეფორმაციის შესახებ ან, პირდაპირ რომ ვთქვათ, ვიკლეფის იმ მოთხოვნილებას, რომ საეკლესიო ქონება ლენდლორდებს გადასცემოდა.

კანონმდებლობას არ შეეძლო „მუშათა საკითხის“ გადაწყვეტა: და, აი, თვით მიწათმფლობელებმა სცადეს მისი გადაწყვეტა სხვა საშუალებით, სახელდობრ, აშკარა ძალმომრეობით. მათ დაიწყეს ძველი ბატონ-ყმურ დამოკიდებულების აღდგენა, დაქირავებული შრომის ადგილზე გლეხის იძულებითი შრომის შემოღება.

გლეხთა და ლენდლორდთა მტრობა დღითი-დღე ღრმავდებოდა. გლეხთა სულიერი განწყობილება პოხიერ ნიადაგს უმზადებდა ლოლლარდთა აგიტატორებს. რა თქმა უნდა, გლეხებს სულ სხვა ინტერესები ჰქონდათ, ვიდრე ქალაქის ღარიბ კლასებს; მაგრამ მათ წინ საერთო მტერი და საერთო უახლოესი მიზანი იდგა: მდიდართა თავდასხმის მოგერიება და მდიდართა მიერ დანიშნულ ხელისუფალთა ჩამოგდება. და რომ ამ ხალხის ერთი ნაწილი მდიდრებად უმთავრესად ლენდლორდებს გულისხმობდა, ხოლო მეორე — მეტ წილად ეპერებს, — ეს სულ ერთი იყო.

რასაკვირველია, ლოლლარდთა მოძრაობამ დაჰკარგა თავისი გარკვეული სახე იმის შემდეგ, რაც ქალაქის დაბალი კლასები გლეხობას დაუკავშირდა; კომუნისტურ მოძრაობიდან ის გადაიქცა დემოკრატიულ ოპოზიციონურ მოძრაობად, რომელიც მრავალნაირ მიმართულებებს აერთიანებდა. მაგრამ, დაჰკარგა რა გარკვეულობა, მოძრაობამ ძალა მოიგო.

გლეხები შეუდგენ შეკავშირებას და მზადებას ლენდლორდებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. არის ცნობები, რომ ისინი ადგენდენ კავშირებს და ჰკრეფდენ ფულს, რათა მოეგროვებინათ თავის ინტერესთა დაცვისათვის საჭირო თანხები. ტ. როჯერსი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ამ მოძრაობის გამოსარკვევად და რომლის გამოკვლევით ვსარგებლობთ ამ მიმოხილვაში, ფიქრობს, რომ ამ მოძრაობის ორგანიზატორები უმთავრესად ლოლლარდთა „ღარიბი ღვდლები“ იყვნენ.

რიჩარდ II-ის მეფობის დამდეგისთვის ანტაგონიზმი გლეხებსა და ლენდლორდების შორის უკიდურესად გამწვავდა. ედუარდ III-ის მეფობის უკანასკნელ წლებში ომის ბედმა უღალატა ინგლისელებს. 1374 წ. ისინი იძულებული გახდენ დროებითი ზავი ჩამოეგდოთ, რომლის ძალით მათ მიიღეს საფრანგეთის მხოლოდ ზოგიერთი მოწინავე სიმაგრენი: კალე, ბორდო და ბაიონნი. რიჩარდი 11 წლის ვაჟი იყო, როდესაც ტახტზე ავიდა. ასეთი მეფით დიდი ომის წარმოება შეუძლებელი იყო. მეორეს მხრით, საფრანგეთიც ისე ილაჯგაწყვეტილი იყო, რომ ხელსაყრელ მდგომარეობის გამოყენება არ შეეძლო. რასაკვირველია, დროებითი ზავი რამოდენიმეჯერ დაირღვა, მაგრამ საქმე უმნიშვნელო შეტაკებებზე შორს არ წასულა. ინგლისის თავადაზნაურობას ახლა მხოლოდ თავისი მამულები დაურჩა ერთადერთ შემოსავლის წყაროდ; ახლა მას შეეძლო მთელი თავისი ძალა მიემართა გლეხთა გატყავებაზე.

მაგრამ თუ, ერთის მხრით, თავად-აზნაურთა ძალმომრეობა მატულობდა, მეორეს მხრით ომის შეწყვეტამ ბევრი ყოფილი ჯარისკაცი დაუბრუნა სოფელს, ომს შეჩვეულ გლეხთა რიცხვი გაამრავლა და, ამგვარად, გააძლიერა გლეხობაში ბრძოლის უნარი. საკვირველი არაა, რომ ორ მტრულ კლასს შორის მალე ჩამოვარდა სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

გლეხები იძულებული გახდენ აჯანყება მოეხდინათ, რადგან ხელისუფლებამ გამართა ბრძოლა დემოკრატიულ მოძრაობის წინააღმდეგ და საშინელი სიმკაცრით სდევნიდა ლოლლარდთა აგიტატორებს, მათ შორის, რათქმა უნდა ჯონ ბოლლსაც; კენტენბერის არქიეპისკოპოზმა ბრძანება გასცა მეიდსტონის ციხეში ჩაეგდოთ იგი. როგორც ამბობენ, ბოლლს დატუსაღებისას განუცხადებია, რომ 20.000 მისი მეგობარი მალე გაანთავისუფლებენ მას. მართლაც, ეს წინასწარმეტყველება მალე შესრულდა.

ჩვეულებრივად ამ საქმეს ისე გვიამბობენ, თითქოს გლეხთა აჯანყება სრულიად შემთხვევითი საბაბით დაიწყო: ერთს გადასახადთა

ამკრეფ მოხელეს ვინმე უოტ ტაილერის ქალი გაუპატიურებია; უკანასკნელს შურის ძიება გადაუწყვეტია, მოხელე მოუკლავს და ხალხისთვის ბრძოლისკენ მოუწოდებია.

ნამდვილად კი მოძრაობა სხვადასხვა ადგილას დაიწყო ერთ და იმავე დროს, 1381 წ. 10 ივნისს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აჯანყება ნ ო რ ფ ო ლ კ შ ი, საფეიქრო მრეწველობის ცენტრში, და კენტში, სადაც ბატონ-ყმობა იმ დროს უკვე სრულიად გაუქმებული იყო. კენტის აჯანყების წინამძღოლნი იყვნენ უ ო ტ ტ ა ი ლ ე რ ი და ერთი სასულიერო პირი, სახელად ჯ ე კ ს ტ რ ო უ. ტაილერს წინეთ მონაწილეობა მიუღია საფრანგეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში და დიდი გამოცდილება შეუძენია სამხედრო საქმეში. ინსურგენტები ლონდონისკენ გაემართენ, გზაზე ჯონ ბოლლი გაანთავისუფლეს ციხიდან და შემდეგ ბლეკჰიტზე („შავ ვაკეზე") დაბანაკდენ, ლონდონის ახლოს. აჯანყებულებმა მოითხოვეს, რომ მეფე გამოცხადებულიყო მათთან. რიჩარდმა ტემზა გადალახა ხომალდით, მაგრამ ნაპირზე ჩამოსვლა ვერ გაბედა, და შინისკენ დაბრუნდა. 12 ივნისს გლეხები შეიჭრენ ქალაქში, რომლის კარები მათ ქალაქელმა ამხანაგებმა გააღეს. სატახტო ქალაქის ღარიბი კლასები გლეხებს შეუერთდენ და ინსურგენტთა რისხვა თავს დაატყდა მჩაგვრელთა სასახლეებს, რადგან თვით ბატონებს აჯანყებულნი ვერ მისწვდენ. დასწვეს სხვათა შორის სასახლე ჰერცოგ ლანკასტერელისა, რომელიც ყველაზე მეტად სძულდათ. მაგრამ ძარცვა არ იკადრეს და „როდესაც ვინმეს ქურდობაში შეასწრებდენ, თავს ჰკვეთდენ, როგორც ხალხი, რომელსაც ყველაფერზე უფრო ქურდობა ეზიზღება".

ჭაბუკი მეფე, რომელსაც ჯერ თხუთმეტი წელიც არ ჰქონდა შესრულებული, თავისი მრჩეველებით რამოდენიმე თავადით და კენტერბერის არქიეპისკოპოზით ტოუერში გაიქცა. ამაოდ ურჩევდა მეჯეს. ლონდონის ლორდ-მერი უოლვორტი თავს დასხმოდა მეამბოხეებს. და ამაოდ არწმუნებდა, რომ ლონდონის მდიდარი მოქალაქენი მეფის ჯარს შეუერთდებოდენ. გრაფ სოლსბერიმ განაცხადა, რომ საქმე მთლად დაიღუპება, თუ მეფე დამარცხდება ამ ბრძოლაში; ამ აზრმა გაიმარჯვა, თუმცა მეფის განკარგულებაში 8.000 კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი იყო.

შიშმა გლეხთა წინაშე მოქმედების უნარი მოუდუნა გამოცდილ მეომრებს. რაკი სამხედრო ძალით აჯანყების დამარცხება შეუძლებელი შეიქმნა, მეფემ მოლაპარაკების ჩამოგდება გადასწყვიტა. ეს ის სურათი როდია, რაც საფრანგეთში დავინახეთ ჟაკერიის დროს!

რიჩარდს სრული საფუძველი ჰქონდა დათმობისათვის, ვინაიდან 14 ივნისს ინსურგენტებმა ტოუერის ციხე აიღეს იერიშით და მოჰკლეს არქიეპისკოპოზი, სწორეთ ის, რომელმაც ჯონ ბოლლი დაატუსაღებინა, და მოჰკლეს სხვა მტრებიც, ვინც კი ხელთ იგდეს.

ცოტა ადრე, სანამ აჯანყებულნი ტოუერს ალყას შემოარტყამდენ, მეფემ დასტოვა ტოუერი და მაილ-ენდში გაემგზავრა მეამბოხეებთან მოსალაპარაკებლად. აჯანყებულებმა განაცხადეს, რომ მათ სურთ სამუდამოდ თავისუფალი გლეხები იყვნენ და რომ ეს თავისუფლება წერილობით უნდა იქნეს დამოწმებული. ისინი მოითხოვდენ, შემდეგ, თავად-აზნაურთა პრივილეგიების გაუქმებას ნადირობაზე და თევზაობაზე და სხვა ამგვარ დათმობას. მეფემ მიიღო ყველა ეს მოთხოვნილება და თანხმობა განაცხადა ყველა საჭირო საბუთების დაუყოვნებლივ გაცემაზე. საბუთების შედგენა ოცდაათ მწერალს დაავალეს.

ამგვარად გლეხებმა მიიღეს ყველაფერი, რაც სურდათ. მასა დაიშალა და თავთავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდა. შეიძლება ისინი იმიტომაც დაიშალენ, რომ სურსათ-სანოვაგე არ ყოფნიდათ. მათ ძალიან მცირე მარაგი ჰქონდათ თან წამოღებული; ფრუასსარის სიტყვით, ჯერ კიდევ ბლეკჰიტზე, ლონდონის აღების წინ, თავმოყრილ გლეხთა მეოთხედს ძალაუნებურად უნდა ემარხვა უსურსათობის გამო. მაგრამ აჯანყებულთა მეტი ნაწილი მაინც დარჩა უოტ ტაილერის, ჯეკ სტრუოს და ჯონ ბოლლის მეთაურობით, რათა ზედამხედველობა გაეწიათ დოკუმენტების გაცემაზე და, შეიძლება, სხვა ახალი დათმობაც მიეღოთ.

მეორე დღეს ახალი მოლაპარაკება გაიმართა. ინსურგენტები სმისფილდში შეხვდენ მეფეს მისი კავალერიით. რიჩარდმა წინადადება მისცა უოტ ტაილერს შეხვედროდა მას მოსალაპარაკებლად ორი ლაშქრის ბანაკებს შუა; ტაილერი დათანხმდა.

მეფისა და ტაილერის საუბრის დროს მათ მოუახლოვდა ერთი რაინდი; როდესაც ტაილერმა პროტესტი განაცხადა ამის გამო, მეფემ ბრძანა შეეპყროთ ტაილერი. ჯარისკაცთა გუნდი უკვე მოხსენებულ ლორდ-მერ ულვორტის მეთაურობით თავს დაესხა ტაილერს; ვერაგულათ გაცემული რამოდენიმეჯერ მახვილით განგმირული ტაილერი მიწაზე დაეცა. რიჩარდი კი, — ვერაგობაში და თვალთმაქცობაში გამოცდილი, მიუხედევათ თავისი სიჭაბუკისა, — მიუახლოვდა განცვიფრებულ ინსურგენტებს და დაუწყო მათ მტკიცება, რომ თვით უოტ ტაილერი იყო მოღალატე და რომ მას მეფის მოკვლა სურდა; თვით მე, მეფეს, მსურს თქვენი წინამძღოლი ვიყოო, გა-

ნაცხადა რიჩარდმა. ამ ლაპარაკით მეფემ დრო მოიგო. სანამ ლონდონელი შეიარაღებული მოქალაქენი გამოცხადდებოდენ. მაგრამ მაშინაც რიჩარდმა და მისმა ხალხმა ვერ გაბედეს პირდაპირ შებრძოლებოდენ ინსურგენტებს და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდენ, რომ მეამბოხენი ლონდონს მოსწყვიტეს და ქალაქში „წესრიგი" აღადგინეს. გლეხებს გადასცეს ბარათები განთავისუფლების შესახებ და ამ საბუთებით ისინი დაიშალენ.

ნორფოლკში აჯანყება უფრო ცუდათ გათავდა. 11 ივლისს გლეხებმა ვინმე ჯონ ლიტტლსტრიტის მეთაურობით ქ. ნორვიჩი აიღეს; მაგრამ ნორვიჩის ეპისკოპოზმა ჰენრიხ სპენსერმა სწრაფათ მოუყარა თავი ჯარს, თავს დაესხა ინსურგენტებს და დაამარცხა ისინი ბრძოლაში, რომლებიც მან საკუთარი ხელით ბევრი დახოცა. მისი ბრძანებით დაუყოვნებლივ სიკვდილით დასაჯეს ტყვეები, მათ შორის ჯონ ლიტტლსტრიტი. აქაც ისიამოვნა ქველმა არქიეპისკოპოზმა: ის პირადათ მობრძანდა ლიტტლსტრიტთან რელიგიის უკანასკნელი ნუგეშით.

შედარებით წვრილი ამბოხებანი თავის თავად დაცხრენ. როდესაც გლეხები ყველგან დაამშვიდეს, რიჩარდმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა წაელო უკან თავისი „მეფური სიტყვა", რომელიც იმთავითვე გლეხთა მოსატყუებლად იყო მიცემული. ასეთი ლინი ჩვეულებრივი იყო იმ დროს.

ახალი დროის დიპლომატია თავის ბავშობის ჰასაკს განიცდიდა იმ ხანაში და მოტყუება, გამცემლობა და საიდუმლო მკვლელობა მაშინ გაცილებით უფრო იოლად ხდებოდა, ვიდრე უფრო გვიან. როდესაც საზოგადოებრივი კრიტიკის შიშმა დიპლომატიური ხრიკები ზნეობრივობის სამოსელში გახვია, მეფის სიტყვას რაღაც უმტკიცეს რამედ წარმოგვიდგენენ ხოლმე. მაგრამ მე-XIV საუკუნიდან მე-XVII-მდე — და ამაზე გვიანაც — სიტყვის სიმტკიცე და პატიოსნება არა საკადრის სისუსტის ნიშნებად ითვლებოდა ძლიერი მეფისთვის.

როდესაც მეფის გარშემო 40 ათასიანი ჯარი შემოიკრიბა, — ისეთი ჯარი, როგორიც ინგლისს მანამდის არ ენახა, — მეფემ ნილაბი აიხადა და სასამართლოები დანიშნა მეამბოხეთა დასასჯელად. ესსექსიდან გლეხებმა თავისი წარმომადგენლები გამოგზავნეს, რათა მოეგონებინათ მეფისთვის მისი დაპირებანი. მაგრამ გვირგვინოსანმა ბიჭმა, ოგრძნო რა თავი დიდ ჯარში გმირად, მედიდურად უპასუხა: „თქვენ მონები იყავით, მონებათვე დარჩებით. თქვენ უნდა დარჩეთ ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში, მაგრამ ისეთში კი არა, როგორშიაც აქამდის იმყოფებოდით, არამედ გაცილებით უფრო მძიმეში;

სანამ ჩვენ ცოცხალი ვართ და ღვთის წყალობით ამ სახელმწიფოს განვაგებთ, მთელს ჩვენს გონებას, ძალას და ნიჭს იმას მოვახმართ, რომ თქვენი საკადრისი სიმკაცრით მოგეგცეთ; დე, თქვენი მონობა მომავალ თაობათა გაფრთხილება იყოს".

პროვოკაციამ გასჭრა. ესსექსის გლეხები კიდევ ერთხელ აჯანყდენ, მაგრამ მარტოდ დარჩენილნი, — რადგან სხვა საგრაფოებიდან დახმარება ვერ მიიღეს, — დამარცხდენ მეფის ჯართან ბრძოლაში.

ერთის შეხედვით, „წესრიგის" საქმე გამარჯვებას ზეიმობდა. მაგრამ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებს კარგათ ესმოდათ რომ მთავარი აჯანყება პირდაპირ ბრძოლაში კი არ დაუმარცხებიათ მათ და რომ უმთავრესი საფრთხე მათ მოტყუებით, ვერაგული მკვლელობით და მოულოდნელი თავდასხმით აიცდინეს.

ამგვარად, აჯანყებას, თითქოს დამარცხებულს, უშედეგოდ არ ჩაუვლია. გაბატონებულმა კლასებმა ძალიან ფრთხილად ისარგებლეს თაეისი გამარჯვებით იმის შიშით, რომ კვლავ არ გამოეწვიათ გლეხთა საყოველთაო აჯანყება. ინგლისის გლეხთა განთავისუფლება ბატონ-ყმობისაგან გრძელდებოდა და მე-XIV საუკუნის დამლევისათვის სრულიად დამთავრდა.

მაგრამ გლეხებთან ერთად მოქალაქეთა დაბალი კლასებიც აჯანყდენ ლონდონში და ნორვიჩში და, აი, გამარჯვებულთა რისხვა უმთავრესად ამათ დაატყდა. საზარელი სიმკაცრით გაასამართლეს აჯანყების წინამძღოლნი; 1.500 კაცი, მათ შორის, ჯონ ბოლლი და ჯეკ სტროუ სიკვდილით იყვნენ დასჯილნი. საპარლამენტო აქტებში დღემდის შენახულია 289 დასჯილ ბელადის სახელები; მათ შორის 151 კაცი ლონდონელი მოქალაქეა და 138, მაშასადამე, ნახევარზე ნაკლები, — სხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ რომ შურის ძიების სიმძიმე იმდენად გლეხებს კი არ დააწვა, რამდენადაც მათ ქალაქელ მოკავშირეებს.

აჯანყების უბედურ დასასრულს მცირე ხნითაც არ შეუჩერებია გლეხთა განთავისუფლების საქმე. მაგრამ მან თითქმის სასიკვდილოთ დაამარცხა ლოლლარდთა მოძრაობა და საზოგადოთ მთელი ოპოზიცია პაპობის წინააღმდეგ.

მართლაც, ასეთ შფოთიან მოსახლეობასთან მოკავშირეობა და მასთან ერთად რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობა მეტის მეტად სახიფათო აღმოჩნდა მეფისა და თავად-აზნაურობისათვის: საშიშარი აღმოჩნდა პაპისაგან განდგომა და საეკლესიო ქონების კონფისკაცია. კომპრომისი პაპობასთან მით უფრო ადვილად მოხერხდა,

რომ პაპობა იმ დროს მარტო საფრანგეთის პოლიტიკის იარაღი უკვე აღარ იყო.

(კაუცკი — უახლოესი სოციალიზმის წინამორბედნი).

§ 9. ორდონანსი მუშებსა და შინამოსამსახურებზე 1349 წ.

ეამის (შავი ჭირის) დროს დაიღუპა მოსახლეობის დიდი ნაწილი და ყველაზე უფრო მუშები და შინამოსამსახურენი. და აი მრავალთ, ხედავენ რა მებატონეთა მძიმე მდგომარეობასა და შინამოსამსახურეთა სიმცირეს, — არ სურთ სამსახური, მეტად დიდი გასამრჯელოს გარეშე, ხოლო ზოგნი არჩევენ ხელი მოკიდონ უქმი ცხოვრების წარმოებას და მოწყალების თხოვნას, ნაცელად იმისა, რომ შრომით შეიძინონ საარსებო საშუალებანი. მიიღო რა მხედველობაში ის სერიოზული სიძნელენი, რომელთა გამოწვევა შეუძლია განსაკუთრებით მხენელებისა და სხვა სასოფლო მუშების სიმცირეს, მეფეს ჰქონდა ამის შესახებ მსჯელობა პრელატებთან, დიდებულებთან და სხვა საქმის მცოდნე პირებთან და ამათი ერთსულოვანი რჩევის თანახმად ადგენს:

„ყოველი მამაკაცი და დედაკაცი ჩვენი ინგლისის სამეფოისა, როგორიც გინდ მდგომარეობის ისინი არ იყვნენ, თავისუფალი ან ყმები ჯანმრთელნი და არა უხნესნი 60 წლისა, ვინც არ მისდევს ვაჭრობას და ან რაიმე ხელობას, ვისაც არა აქვს არსებობისათვის საკუთარი საშუალებანი, ანუ საკუთარი მიწა, რომლის დამუშავებით ის დაკავებული იყოს, და ვინც არ იმყოფება სხვასთან სამსახურში, თუ მათ დაუძახებენ მათი მდგომარეობის შესაფერ სამსახურში ვალდებული არიან დადგენ სამსახურში იმასთან, ვინც მათ უძახის; და ამავე დროს ისეთ ჭირაზე ფულით და ნატურით, რამდენსაც. იმ ადგილში, სადაც ისინი ვალდებული არიან იმსახურონ. ჩვეულებრივად აძლევდენ ჩვენი ინგლისში მეფობის მეოცე ან უკანასკნელ ხუთ-ექვს წლებში. ამავე დროს სენიორებს უნდა ჰქონდეთ სხვების წინაშე უპირატესი უფლება, რომ თავისთან სამსახურში დაარჩინონ ვილანები, ან მათი საკუთარი მიწის დამკერნი, მაგრამ. ისე. რომ ამ სენიორებმა თავისთან დააკავონ მხოლოდ იმდენი (ვილანი), რამდენიც მათთვის აუცილებელია და არა უმეტესი.

თუ ვინმე მოინდომებს ასეთი ადამიანის დაქირავებას, ხოლო ის უარით უპასუხებს, და თუ ეს დამოწმებული იქნება ორი ნდობა დამსახურებული კაცის პირი საგრაფოს შერიფისა (მოსამართლე) ანუ სასოფლო კონსტებლეს (პოლიციელი) წინაშე, ასეთ შემთხვევაში ის ადამიანი დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაპატიმრებული ამ თანამდებობის პირთა განკარგულებით და უნდა გაიგზავნოს უახლოეს სატუსაღოში, სასტიკი პატრულების ქვეშ. მას თავისუფლება დაუბრუნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვინმე ითავდებებს მის მაგიერ, რომ შემდეგში ის მზად იქნება დამქირავებელის სასამსახუროდ.

სატუსაღო უცდის ყოველგვარი მდგომარეობის მცელავს, მთიბავს და ყოველ სხვა მუშას და შინამოსამსახურეს ისეთ შემთხვევაშიაც, თუ რომ ის არა საპატიო მიზეზს გარეშე და დამქირავებელის ნებადაურთველად დასტოვებს სამსახურს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადაზე ადრე. ასეთივე სასჯელი ემუქრება იმასაც, ვინც გაბედავს ამგვარი მუშის დაქირავებას და მის თავისთან გაჩერებას.

დამჭირავებელს ეკრძალება შეპირდეს და მისცეს, ხოლო მუშას მოითხოვოს ჩვეულებრივზე მაღალი ქირა; ამის დამრღვევი გადაიხდის ორმაგ ჯარიმას იმის სასარგებლოდ, ვინც თავს გრძნობდეს იქნება დაზარალებულად, ხოლო თუ ასეთი პირი არ აღმოჩნდება, მაშინ გადაუხდის ყოველ სხვა პირს, ვინც კი მოიფიქრებს ამ დადგენილების დამრღვევის დასჯას სასამართლო წესით. საქმე იმ ლორდის კურიაში გაირჩევა, ვის სამფლობელოშიაც მოხდა ეს შემთხვევა. თუ, რომ ამ დადგენილების დარღვევაში დამნაშავე აღმოჩნდება თვით ლორდი ანუ მისი მინისტერიალები, მაშინ ლორდს მიესჯება მაძიებლის სასარგებლოდ გადაიხადოს სამჯერ იმაზე მეტი თანხა, რაიც მან ანუ მის მინისტერიალებმა გადაუსადეს ანდა შეპირდენ, რომ გადაუხდიდენ მუშას ან შინამოსამსახურეს.

გაუქმებულად ცხადდება ამ ორდონანსის გამოცემამდე მუშებთან დადებული ყველა კონტაქტები, თუ კი მათი პირობები არ ემთხვევიან ორდონანსს. დამჭირავებელს ნება ეძლევა არა მხოლოდ არ გადაუხადოს მუშას თუ მოსამსახურეს მის მიერ ამ კონტაქტში გამოთქმული ჩვეულებრივზე მაღალი გასამრჯელო, არამედ ევალება არ შეასრულოს ეს ორჯერ ან სამჯერ მეტით, — ყოველ მსურველი მაძიებელის სასარგებლოდ, — დაჯარიმების მუქარით.

ხელოსნებს (დასახელებულია: მეუნაგირეები, მეტყავეები, მეჩექმეები, თერძები, მკედლები, დურგლები, კალატოზები, მესახურავენი, ნავების ოსტატები და ყოველივე სხვა ხელოსნები და მუშები) სატუსაღოში დამუქრების ქვეშ ეკალებათ, რომ თავიანთ შრომაზე და ხელობაზე არ აიღონ იმაზე მეტი, რამდენსაც მათ ჩვეულებრივად უხდიდენ ამა თუ იმ მხარეში ამ მეფობის მე-20-ცე წელსა და უფრო ადრე.

მრავალი, სრულებით ჯანმრთელი მათხოვრები უარს ამბობენ მუშაობაზე, იკვებებიან მოწყალებით, ატარებენ უქმ ცხოვრებას, ჩადიან სამარცხვინო საქმეებს, მიმართავენ ქურდობას და სხვა ბოროტმოქმედებათ. რათა იძულებულ იქნან ესენი, რომ შრომით მოიპოონ საარსებო საშუალებანი, ორდონანსი დაპატიმრებით ემუქრება ყველას, ვინც კი გაბედავს მისცეს მათ მოწყალება და ამით ხელი შეუწყოს მათ უსაქმო ცხოვრებას.

ესე ორდონანსი შერიფების მიერ გამოქვეყნებულ უნდა იქნას ყველა ქალაქებში, სავაჭრო ცენტრში, ნავსადგურებში და სხვა ადგილებში, სადაც ისინი ამას აუცილებელ საჭიროდ დაინახავენ, როგორც საზღვრებს გარეშე-კერძო იურისდიქციისა, ისევე მის შიგნითაც".

(დ. პეტრუშევსკი — უოტ ტაილერის აჯანყება).

§ 10. გლეხთა თანდათანი განთავისუფლების მიზეზები

რითი იყო გამოწვეული საშუალო საუკუნოების უკანასკნელ დროში გლეხების მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები? უეჭველია, რომ გლეხების სხვადასხვა გვარი ბეგარათაგან განთავისუფლებისა და ჩინშას შემცირების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდენ ფისკალური მოსაზრებანი. შესაძლებლობას, გამოსყიდვის გზით, ერთბაშად დიდი თანხის მიღებისა, — გლეხის ასეთი ბეგარისაგან განთავისუფლებისათვის, (საფრანგეთში აღნიშნული თანხა ხშირად 1.300, 3.200, 4.850 ლივრს აღწევდა ხოლმე), — ფეოდალზე,

რომელიც ბუდამ ფულს საჭიროებდა, დიდი გავლენა ჰქონდა; ეუფვ, რომელიც ყველაზე შეტად საჭიროებდა ჩხრიალა ფულს, სხვაზე პირველად ადგებოდა ამ გზას. მაგრამ ამასთან ერთად იყო სხვა, უფრო ღრმა მიზეზები, რომლებიც არა თუ შესაძლებლად, არამედ აუცილებლადაც ხდიდენ საბატონო მოსახლეობის თანდათანობითი განთავისუფლებას.

ეს მიზეზები მდგომარეობდა პირველ ყოვლისა თავისუფალი მიწების სიმრავლეში, ერთის მხრივ, და მოსახლეობის ნაკლებობასა და მისი ნელ ზრდაში, მეორეს მხრივ. ინგლისში (განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში) და საფრანგეთის სხვადასხვა ადგილებში მოიპოვებოდა ფართე სივრცეები, სადაც ჭაობების ამოშრობის, ტყეების გაჩეხვის და გარეულ ცხოველთა გაწყვეტის საშუალებით შესაძლებელი იყო ახალი სახნავი მიწების მიღება; ეს ასეც ხდებოდა 1200 — 1350 წ. წ. პერიოდში. კიდევ უფრო მრავალი დაუსახლებელი ადგილები იყო ჩრდილოეთ ფლანდრიასა და ბრაბანტაში გადასახლებულთათვის: მათ აქ ძალზე ადრე დაიწყეს გაწმენდა უზარმაზარი სივრცის მქონე ტიალი მიწებისა (solitudines), ზღვასა და ჭაობებს სტაცებდენ ახალ მიწებს, დამბების მოწყობით, რითაც გზას უკრავდენ ზღვის ტალღების მოქმედებას. ფლამანდიის, ზელანდიის და ფრისლანდიის კოლონისტებმა განავითარეს რა ფოლადისებური ენერგია სამშობლოს მკაცრ ბუნებასთან განუწყვეტელ ბრძოლაში და დაესახლენ რა ბრემენის ოლქში და გოლშტინიაში, გადავიდენ შემდეგ აღმოსავლეთშიაც და გასწმინდენ ჭაობებისა და ტყეებისაგან ტიურინგიის, ლუზაციის, საქსონიის, შემდეგ ბრანდენბურგის, შეკლენბურგის და ლაუენბერგის სხვადასხვა ადგილები, გადავიდენ ბალტიის სანაპიროთა მიწებზე და დასასრულ დაიწყეს დასახლება სამხრეთში, — ბოჰემიაში. სტოვებდენ რა თავიანთ სენიორებს, ისინი მნიშვნელოვან პირად თავისუფლებას ჰპოულობდენ: ფლამანდური უფლება ყველგან ითვლებოდა მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის არსებითად გამაუმჯობესებლად. ამასთანავე ისინი აწყობდენ უფრო ინტენსიურ მეურნეობას, — იყენებდენ რა ჭაობების ამოშრობისა და დამბების აგების სისტემას, — მათი მოღვაწეობის კვალი ბრანდენბურგში დღევანდლამდეა შენახული; ისინი აწყობდენ ბინდვრის მეურნეობას, ანვითარებდენ შესაქონლეობას, მერძეობას (vaccarie) და მეცხვარეობას.

ფლამანდიელებსა და ჰოლონდიელებს აღმოსავლეთში გაჰყვენ გერმანელებიც: ელბისა და ზალას შორის მდებარე ადგილებში გადასახლდენ საქსონელები და ტიურინგიელები; ბრანდენბურგისაკენ და

შემდეგ ლუზაციასა და მეკლენბურგისაკენ შიეშურებოდენ საქსონიისა და ვესტფალიის გლეხები; ალპიისა და დუნაის მხარეში (ბოჰემიაში, მარავიაში, სილეზიაში, ტიროლში) მიემგზავრებოდენ ბავარელები და რაინის ნაპირების მცხოვრებნი. წყაროები პირდაპირ მიუთითებენ მასზე, რომ მძიმე ბეგარამ და სამსახურმა მიიყვანა მოსახლეობა უაღრეს სიღატაკემდე და აიძულა ის მიეტოვებია საშობლო და მამათაგან დამკვიდრებული მიწები (1102 წ.), რომ მემამულეთა თვითნებობამ გლეხებს მიატოვებინა თავიანთი მიწები და გადაასახლა სხვა ქვეყნებში (ძეგლები 1141, 1146, და 1183 წ. წ.). აღმოსავლეთი გლეხებს იზიდავდა მიწებით სარგებლობის უფრო ხელსაყრელი პირობების არსებობის გამო: კოლონისტებს მიწა ეძლეოდათ სამემკვიდრო მფლობელობაში, როგორც ეკვივალენტი მათ მიერ ნიადაგის გაწმენდისა, გაუშჯობესებისა, (jure hereditario possidere). ჩინში უმნიშვნელო იყო, და, ამასთანავე ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული რაოდენობისა. გაბატონებული იყო პიროვნების შედარებითი თავისუფლება, განსაკუთრებით ფართო თავისუფლება, საცხოვრებელ ადგილის გადანაცვლებისა, რაიც გამომდინარეობდა ხასიათიდან თვით კოლონიზაციისა. XII საუკ. დაწყებული ეს კოლონიზაცია, უმთავრესად სლავიანური მიწებისა გერმანული მოსახლეობით (გერმანიზაცია), გრძელდებოდა სამი საუკუნის (XII, XIII, XIV) განმავლობაში.

მე-XII — XIII საუკ. ეხლანდელი ტიროლი მთლიანად გერმანელებით იყო დასახლებული ვენეციის ოლქამდე, ვერონამდე და ვიჩენცამდე; სისტემატიური, წესიერი გადასახლება სწარმოებდა თვით მე-XIV საუკუნემდე. ასეთივე კოლონიზაციამ ბოჰემიაში, მე-XII — XIII საუკუნეში, ის ნაყოფი გამოიღო, რომ მე-XIV საუკ. ბოლოს ბოჰემიისა და მორავიის მოსაზღვრე ადგილები სავსებით გერმანული გახდა. მეკლენბურგის დასახლება დამთავრდა მე-XII საუკ., ბრანდენბურგის — მე-XIII საუკუნეში. უკანასკნელის კოლონიზაცია, რომელიც დაიწყო 1143 წ., შემდეგ გავრცელდა ლუზაციაზე, შეისენზე, აღმოსავლეთ ტიურინგიაზე, აღმოსავლეთ გოლშტინიაზე, პომერანიაზე, რომელიც დასახლებული იქნა მე-XIII საუკუნეში; შემდეგ მოდის სილეზიის კოლონიზაცია; აქ 1350 წლამდე წარმოიშვა 1500-მდე ახალი სოფელი, სადაც დასახლებული იყო 150 — 180 ათასამდე გერმანელი კოლონისტი; დასახლდა პოზნანიც, მე-XIII — XIV საუკუნეებში; გერმანელი გლეხების მიერ ელბასა და ზალას შორის მდებარე ადგილების დასახლება გრძელდებოდა მე-XIV საუკუნემდე. ახლად დაპყრობილ ქვეყნებში გადასახლება, რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენდა გერმანელ ბარონისათვის, წყდება მხოლოდ მე-XIV საუკ. დასასრულიდან.

მოსახლეობა სხვა ადგილებში მიდიოდა, სადაც მას შეეძლო მეტი პირადი თავისუფლებით და მიწაზე უფლებით ესარგებლა; ამავე

დროს მისი კლებადობა დიდი სიკვდილიანობის გამო არ იფარებოდა ბუნებრივი ნამატით. ინგლისში მხოლოდ ერთ მე-XIII საუკ. განმავლობაში ვპოულობთ ჟამის (შავი ჭირის) მთელ რიგ ეპიდემიებს და დიდ შიმშილიანობას (1201, 1247, 1257, 1258, 1259, 1271, 1294 წ. წ.); წინამსრბოლ საუკუნეში მათი რიცხვი კიდევ უფრო მეტი იყო. გერმანიაში 1326 წლიდან 1400 წლამდე ადგილი ჰქონდა ეპიდემიას მთელი 32 წლის განმავლობაში. ყველაზე საშინელი „საერთაშორისო" ეპიდემია იყო შავი ჭირი ანუ ჟამი, რომელიც მძვინვარებდა 1347 — 1350 წ. წ., ის აღმოსავლეთ აზიიდან კასპიისა და შავ ზღვებზე გავლით შეტანილ იქნა სირიაში და მცირე აზიაში და შემდეგ 1346 წ. ბოლოს და 1347 წ. ჟამი გავრცელდა ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ნაწილზე. კონსტანტინეპოლსა და სირიიდან ის აღმოსავლეთიდან დაბრუნებული სავაჭრო გემებით მოედო ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ქალაქებს, შესინას, გენუას, ამალფის. „საკვირველია, სწერს ისტორიკოსი, რომ სადაც კი არ მიადგებოდენ მენავეები, ყველა მათთან ურთიერთობის დამჭერნი წყდებოდენ, თითქოს მათ სუნთქვაში სასიკვდილო შხამი ყოფილიყო ჩაქსოვილი. მალე ჟამი მოედო იტალიის, საფრანგეთის და ესპანეთის ზღვისპირა ქალაქებს (1347 წ. დასასრულს და 1348 წ. დასაწყისს), მხლოდ შემდეგ (1348 წ. აგვისტო) ის გადავიდა ინგლისის სავაჭრო ნავთსადგურებშიაც. აქედან, სანავთსადგურო ქალაქებიდან და ზღვისპირა ადგილებიდან ეპიდემიამ გავრცელება დაიწყო მატერიკის შიდა ნაწილებში, პირველად იტალიაში (1348 წ. შუაში), შემდეგ შუა ევროპის სხვა ქვეყნებშიაც (განსაკუთრებით საფრანგეთში), გერმანიაში (1349 წ.) და ინგლისში, სადაც ეპიდემია იანვრის 1-ს დაიწყო ნორვიჩში (ჯერ კიდევ ნოემბერს მან ლონდონში იჩინა თავი), შემდეგ ის ჩრდილოეთისაკენ შეიჭრა, და შეწყვეტილ იქნა მხოლოდ შემდეგი წლის შემოდგომაზე. ხალხი საშინელებამ შეიპყრო. „რომ დაწერილი არ დაღუპულიყო მის დამწერთან ერთად, — ვკითხულობთ ერთ ირლანდიელ ბერი-ისტორიკოსის ნაშრომში, — და შრომა არ დაკარგულიყო მშრომელთან ერთად, მე ვტოვებ პერგამენტს გასაგრძელებლად, იმ შემთხვევისათვის, თუ ადამის შთამომავლობიდან ვინმე გადაურჩა ამ ჟამსა და შეუდგა შრომის გაგრძელებას, რომელიც მე დავიწყეო". ისტორიკოსები, — იმ საშინელების გაელენით, რომლითაც მოცული იყო მთელი მათი თანამედროვენი, როდესაც წყდებოდა მთელი სოფლები და ყოველივე ეს უბედურება აღემატებოდა მანამდე ცნობილსა და გაგონილს (თუმცა ამ მხრივ მაშინდელი ხალხი არ იყო განებივრებული), — ამტკიცებდენ, რომ ათი კაციდან

ეს საშინელი ეპიდემია მხოლოდ ერთმა გადაიტანაო (vix decima pars hominum fuisset relicta ad vitam). მაგრამ, თუნდაც ეს გადამეტებული იყოს, ისტორიკოსები იმაში მაინც თანხმდებიან, რომ ჟამმა ევროპის ყველა ქვეყნებში იმსხვეპლა მოსახლეობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა, ხოლო საფრანგეთსა და ინგლისში, შესაძლებელია ნახევარიც *).

ამის გამო ინგლისში, როგორც როჯერსი მიუთითებს მოსახლეობა მე-XVI საუკუნემდე არ აღმატებია იმ ციფრს, რომელსაც მიაღწია მე-XIV საუკუნის დასაწყისში **). სწორეთ ასევე საფრანგეთში უკვე მე-XI საუკ. დაწყებული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა — ლევასერის მიხედვით — მე-XIV საუკუნის შუა ხანებიდან იცვლება მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით, ისე, რომ მე-XVI საუკუნის დასასრულს საფრანგეთს არ ჰყავდა იმდენი რიცხვი მოსახლეობისა, რამდენიც იყო შავი ჭირის დასაწყისამდე ***).

შავი ჭირის შემდეგ ყველგან, მთელი მამულების ამოულეტის გავლენით იწყება ეპოქა მიწების გატიალებისა, სახნავების ტყეებით დაფარვისა, ეპოქა უპატრონოდ დარჩენილი მიწების უკანვე, სენიორის ხელში გადასვლისა. „მაშინ შეწყდა შემოსავლიანობა, მაშინ მიწა, მიწის მუშების ნაკლებობის გამო, დაუმუშავებელი დარჩა“—იუწყება ისტორიკოსი. ლორდი ხშირად ვერ ჰპოულობდა ხალხს, რომელთაც მიეღოთ თავზე გატიალებული მიწების მოვლა და ამიტომ ის ყოველივე დათმობაზე მიდიოდა. კერძოთ ის თანხმდებოდა საბატონო ბეგარის ფულადი გამოსაღებით შეცვლაზე; და ინგლისში სადაც ჯერ კიდევ არსებობდა საბატონო ბეგარა, ის შეცვლილ იქნა თავის რაოდენობით ხშირათ უფრო ნაკლებ გამოსაღებზე, ვიდრე ჟამამდე იყო. მაგრამ ამავე დროს მოსახლეობის ასე დიდათ შემცირებამ, მრავალ მოჯამაგირის საბატონო ბეგარისაგან თავისუფალ მოიჯარადრეთ გახდომასთან დაკავშირებით, გამოიწვია ხელფასის ორჯერ და

---

*) როჯერსისა და სიბომის დასკვნით ინგლისში დაიღუპა მოსახლეობის ნახევარი; კრეიტონის, Gasquet-ის, კენინგემის და პეტრუშევსკის აზრით — ნახევარი, ხოლო კოვალევსკის — ½-დან ⅓-მდე. ჯერ კიდევ ფრუასერი ამტკიცებდა, რომ ამოწყდა ერთი მესამედი.

**) სიბომი და მ. მ. კოვალევსკი ინგლისის მოსახლეობას განსაზღვრავენ 4 — 5 მილიონ სულით, როგორც შავი ჭირის წინა ხანებში, ისე ასი წლის გასვლის თავში, მას შემდეგ, რაც მოსახლეობა დროებით შემცირდა 2 — 2½ მილიონამდე.

***) მე-XVI საუკ. დასასრულს იყო: 14 მილიონი შავი ჭირის დაწყებამდე, ლევასერის მიხედვით, — 20 — 28 მილ., ბოდრილარის და მარტენის — 25 მ., პოდიურო დე-ლა მალას მიხედვით კი — 32 მილ. სული.

კიდეე მეტად გადიდება. დადგა „ისეთი სიმცირე მუშა ხელისა, ყოველ საქმიანობაში, რომლის წარმოდგენაც მანამდე არავის შეეძლო“ — ჩივიან თანამედროვენი და დასძენენ: „მუშები, ხელოსნები და მოსამსახურეები ამ დროიდან ჩვეულებრივზე უფრო მოხერხებულნი და ცბიერები შეიქნენო“. შავი ჭირის შემდეგომი ეპოქა ხასიათდება ევროპის ყველა ქვეყნებში შრომაზე მაქსიმალური ნიხრის დაწესებით; სასტიკათ ისჯებოდა ვინც მიიღებდა ან მოითხოვდა უფრო დიდ საფასურს; დადგენილი იყო, რომ სოფლის მოჯამაგირეები არ წასულიყვნენ ქალაქში, ხოლო ვინც წავიდა უკან უნდა დაბრუნებულიყო, რადგან მათ სოფელშივე ეძლეოდათ საშუალება სამუშაოს შოვნისა.

ამას მიემატა საქალაქო მოსახლეობის წარმოშობა, ქალაქში ყოფნა განსაზღვრული ვადის განმავლობაში, ჩვეულებრივათ ერთი წელი და ერთი დღე, ხშირათ ამაზე უფრო ნაკლები ხანიც, ადამიანს პირადათ თავისუფალს ხდიდა, თითქოს ქალაქის ჰაერი ანთავისუფლებდა ბატონყმური მდგომარეობისაგან: standtluft macht frei, — საქალაქო წყობილების ძირითადი პრინციპი, რაიც ზოგიერთის მხრივ წინააღმდეგობაა პრინციპისა: „nulle terre sans seigneur“, რომელიც ბატონობდა ფეოდალების ადგილ-მამულში; იმისათვის, რომ ამ ხნის განმავლობაში სენიორს ვილანი უკანვე დაებრუნებია, უნდა დაემტკიცებია მისი არა თავისუფალი მდგომარეობა და ფაქტი მისი ფეოდალის ადგილ-მამულში დაბადებისა, მოწმეთა ჩვენებით; ეს კი არ იყო ადვილი საქმე, საჭირო იყო მოწმეთა შოვნა და სხვ., ისე, რომ საბატონო გლეხისათვის საკმარისი იყო მიეღწია ერთ როშელიმე ქალაქამდე, — რომლებიც მრავლად იქნენ აღმოცენებული მე-XII და შემდეგ საუკუნოებში, რათა პრივილეგიის მქონე საზღვრებში თავი თავისუფლად ეგრძნო.

პრინციპი, რომ ადამიანი, რომელიც დაჰყოფს განსაზღვრულ დროს, — ჩვეულებრივათ წელიწადსა და დღეს — პრივილეგიის მქონე ადგილას თავისუფალი ხდება, ფართოდ იქნა გავრცელებული მე-XII საუკ. პრივილეგიებში, რომლებიც ეძლეოდათ სხვადასხვა ქალაქებს: quicumque hic per annum unum et per diem unum manserit, liber erit — ამბობს 1163 წლის ფლამანდიური პრივილეგია. ამ პრინციპს მე-XII საუკუნეში ადგილი ჰქონდა არა მარტო ფლანდრიაში (სეტ-ომერში უკვე 1127 წლის სტატუტში, ჰოპერინგენში — 1147 წ.), არამედ ინგლისშიც (ნოტინჰემი, ლინკოლნი, ნიუკესტლი), გერმანიაში (ლიუბეკი, ბრაუნშვეიგი, ბავარიის ქალაქები), საფრანგეთის კუტიუმებში (ლიუდოვიკ მე-VII დროს), თვით გამოთქმა „Staudtluft macht frei“ — წყაროებში არ გვხვდება და ეკუთვნის ისტორიკოსებს, რომლებმაც შეჰქმნეს ის საწინააღმდეგოთ მეორე გამოთქმისა — Luft macht eigen, ე. ი. სენიორის სამფლობელოში დასახლე-

ბული ადამიანი მის ყმად ხდება. პრინციპი, რომ ადამიანი, რომელიც ქალაქში დაყოფს განსაზღვრულ დროს, პირად თავისუფლებას იძენს, შეიდრო კავშირშია უკანასკნელ დებულებასთან, რომ ის ეკუთვნის იმ სენიორს, რომლის მიწაზეც დასახლდა. ორივე შემთხვევაში გამოსავალი წერტილია ხანგრძლივობის ინსტიტუტი, რომელიც საგნებს ეფარდებოდა. არა თავისუფალი ადამიანი ითვლება, როგორც საგანი და მასზე უფლება ხანდაზმულობის გამო იკარგება: სენიორს, რომლისაგანაც ის წავიდა, აღარა აქვს უფლება განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ უკანვე მოითხოვოს თავისი ყმა. მასზე უფლება მოიპოვა (jus in eum) მეორე სენიორმა, რომლის ადგილებშიაც ის დასახლდა, კერძოთ ქალაქის ფარგლებში, სენიორმა, რომელსაც ეკუთვნის ქალაქი, მაგრამ, დროთა განვლის შემდეგ ქალაქის მეუფლე სენიორის უფლება, თვით ქალაქზე გადადის, ისე რომ უფლებაც ახლად დასახლებულზე ეკუთვნის ქალაქს. და რადგან ქალაქის მოსახლეობა პიროვნულად თავისუფალთაგან შესდგება, ისიც, ქალაქის ფარგლებში მოქცეული ყმა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, თავისუფალი ხდება. ამრიგად პრინციპი „Luft macht frei“ მხოლოდ თანდათანობით შორდება პირველად პრინციპს; „Luft macht eigen“. შემდეგში კი, მოსახლეობის შემდგომი დიფერენციაციით: ქალაქის თავისუფალ და სოფლის საბატონოთი, — წარმოიშვა ამ ორი პრინციპის აშკარა წინააღმდეგობა.

დებულება, რომ ადამიანი, რომელიც განსაზღვრულ დროს დაყოფს პრივილეგიის მქონე ადგილას ხდება თავისუფალი, იღებს სხვადასხვაგვარ ფორმას. ზოგ შემთხვევაში საჭიროა ასეთ ადგილზე წელიწადის და დღის დაყოფა; სიცილიაში — ერთი წელიწადის, ერთი თვის, ერთი კვირის და ერთ დღის, ხან მას ემატება აგრეთვე ერთი საათიც. ზოგიერთ ადგილას კიდეე საჭირო იყო ქალაქის მოქალაქეთა შემადგენლობაშიაც ჩარიცხვა. ჩვეულებრივათ სენიორი, თუ რომ მან ამ ხნის განმავლობაში არ მოითხოვა ის უკანვე, ჰკარგავს სრულიად უფლებას წასულ ყმაზე და უკანასკნელი მთლიანად თავისუფალი ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში კი ის თავისუფლდება მხოლოდ განსაზღვრულ ბეგარისაგან — სულობრივი გადასახადისაგან, ან მისი გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების სენიორის კუთვნილებათ გადასვლისაგან და სხვ.; დასასრულ ეს პრინციპი ხანდისხან იღებს დაუყოვნებლივ განთავისუფლების ფორმას, დაუცველად ქალაქში ცხოვრების წლიური ვადისა. ამ შემთხვევაში ადგილები, რომლებიც სარგებლობენ ასეთი პრივილეგიით, ხდება თავშესაფარათ (წესდება Asylrecht); და ესპანეთში (უკვე მე-X — XI ს. ს.) განსაკუთრებით ახლად დაარსებულ საცხოვრებელ ადგილების დასახლების მიზნით, ყველა მოსულს დაუყოვნებლივ ეძლევა სრული პირადი თავისუფლება, — ბოროტმომქმედი სასჯელის მოხდისაგან თავისუფლდებოდა. ამავე დროს ერთგვარ პრივილეგიებს ვხვდებით გერზენბურგში, ტულუზაში, იტალიის სხვადასხვა ქალაქებში.

ქალაქი იძლეოდა აგრეთვე უკეთეს ხელფასს; შრომა მრეწველობაში ფასდებოდა მეტათ ვიდრე მიწის სამუშაოებზე. ინგლისში მე-XIV — XV ს. ს. ხელფასი უდრიდა ისეთი კომლის შემოსავალს,

რომელიც ჰფლობდა 30 აკრ მიწას, ხათანადო ინვენტარით, და შეადგენდა ერთ ნახევარჯერ მეტს იმისას, რასაც შოულობდა საშუალო ნადელიანი მიწათმომქმედი კომლი. გლეხების ქალაქში გასვლა მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო; ჯერ კიდევ მე-XIV — XV საუკ., — როდესაც საამქრო რეჟიმის შევიწროების გავლენით ქალაქებისაგან მოსახლეობის დენა შეწყდა, — გერმანიაში ½ — ²/₃ ქალაქებში ყველა გადასახლებულებისა ახლო შდებარე სოფლებიდან იყო გამოსული. ინგლისში 1348 წ. შავი ჭირის შემდეგაც გრძელდება სოფლების დაცარიელება, ფცირე მიწა-წყლის მქონე გლეხების ქალაქებში გადასახლებით.

საბატონო ადგილების მფლობელთ, — თავიანთი მოსახლეობის შესანარჩუნებლათ, — დათმობაზე წასვლა უხდებოდათ; ხოლო რამდენადაც ისინი დაადგებოდენ ამ გზას, იმდენად დანარჩენებიც იძულებული ხდებოდენ მიებაძათ მათთვის, რადგან გლეხი იქითკენ მიდიოდა, სადაც ნაკლებათ მძიმე იყო საცხოვრებელი პირობები. „გაქცეული, ვილანი და მონდობილი მოსახლე, ჩვეულებრივ მოვლენათ იქცენ ფეოდალური საზოგადოების ცხოვრებაში". მოსახლეობის შოძრაობა გაიზარდა, ვილანებმა დიდი რაოდენობით დაიწყეს თავიანთი სენიორების მიტოვება, სადაც ისინი არ იყვენ თავისუფალნი, და დასახლება სხვა პირთა ხშირად უშუალო მეზობლათ მდებარე მიწებზე, უფრო, შეღავათიან პირობებში. გამოქნილი მიწათმფლობელები სხვადასხვა სარფის მიცემით სხვის ხალხს თავისაკენ იზიდავდენ. პირადი ყმობა თითქოს ადგილობრივ ყმობათ გადაიქცა, რადგან ახალ მემამულეებთან ყოფილი ვილანები, — რომლებიც ილებდენ თავის თავზე ვალდებულებას ტყეების გაკაფვისა და ჭაობების ამოშრობისა და ხშირად ავსებდენ ახალ საცხოვრებელ პუნქტებს, — დებდენ ხელშეკრულებებს, როგორც hotes, hospites, laeten-ი და არა როგორც ყმები. საბატონო ბეგარა მათთვის ან სრულიად არ არსებობს (ინგლისში), ან ზედმიწევნით განსაზღვრულია (საფრანგეთში); ისინი თავისუფლდებიან პირად გადასახადებისაგან, — მაგ., ტალიის, main-morte-ს ან Resthaupt, formariage ან maritagium-ისაგან (თუმცა ზოგიერთი გამოსაღებები შენარჩუნებულ იქნა), ამასთანავე ეს თავისუფლება უზრუნველყოფილ ხდებოდა განსაკუთრებული ხელშეკრულებით. გასაკვირი არ არის, რომ ეს ასეთი მოძრავი მრავალრიცხოვანი მასები შექმნისას, რომლებიც სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდენ უუფლებო გადასახადებით დაბეჩავებულ ერთ ადგილზე მომუშავე გლეხებთან შედარებით, ამ უკანასკნელთა მიმართაც „თვითნებობა შემცველი იყო უფრო ზომიერი, ხელშეკრულებით და ადგი-

ლობრივი ადათი განსაზღვრული ექსპლოატაციით, ვინაიდან მებატონეს მუდამ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის გარემოება, რომ ზედმეტათ შევიწროებული გლეხი იძულებული შეიქნება მეზობელთან, ქალაქში ან ტყეში წავიდეს" *). არა მეფის მოთხოვნით, რომელიც არ ერეოდა ფეოდალისა და მისი გლეხების ურთიერთობაში, არა მის მიერ მონაცემ შესანიშნავ მაგალითის გავლენით, არამედ გლეხის წასვლით მეფის დომენებში, სადაც ყველაზე ადრე იყო მოხდენილი გლეხთა განთავისუფლება, მებატონეები იძულებული შეიქნენ მოსახლეობის მიწასთან კავშირის შეჩანარჩუნებლად და თავის მიწების გატიალების ასაცილებლად, მიებაძათ მეფისათვის ბატონ-ყმობის შემსუბუქების და ზოგან მის სრულიად გაუქმების საქმეში. და არა მარტო სხვა ადგილებიდან მოსულ, არამედ საკუთარ გლეხების მიმართაც წესდება თავისუფალი იჯარა 10 — 25 წლით, ხან უფრო ნაკლები ვადით ან პირიქით სიკვდილამდე, განსაზღვრულ ჩინშის გაღებით, ან სანახევროდ (გლეხი იძლევა მოსავლის ½ ან ¹/₃). ინგლისში 1371 — 1380 წ. წ. პ ე ჯ ი ს მიერ გამოკვლეულ 73 მამულიდან საბატონო ბეგარა შენარჩუნებული იყო მხოლოდ 14-ში და ისიც ხელით სამუშაოებზე (და არა შესამბელით), თუმცა უკანასკნელმაც საბატონო მიწის სივრცის შემცირების გამო ძალზე დაიკლო.

კ. კ ა უ ც კ ი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ „ქალაქების ზრდამ ბაზარი მოუპოვა არა მარტო მრეწველობის საგნებს, არამედ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებსაც... გლეხებმა დაიწყეს ფულის მიღება". აქედან ტენდენცია „ნატურალური გადასახადები და საბატონო ბეგარა ფულად გამოსაღებად გადააქციონ". გლეხებს ნატურალური გადასახადების ფულადზე გადატანა თავისუფალ ადამიანებად ხდიდა, რომელთაც შეეძლოთ თავისი ქონების თავისუფალი განკარგულება". მიწათმფლობელებისათვის კი ეს ხელსაყრელი იყო, — რადგან ისინი ფულს საჭიროებდენ. ფეოდალებისადმი მიდრეკილება მათში დიდი იყო; „სიმდიდრე მათი ძლიერების ნიშანი და საფუძველი იყო, ისინი სიამაყითა და კვეხნით აფენდენ მას ყველასათვის დასანახათ; მათი ტანისამოსი, ჭურჭლები და სახლები ბრწყინავდენ ოქრო-ვერცხლით, ძვირფასი ქვებით, მარგალიტით". ამის გამო „ფულის გამოჩენის დროიდან მემამულეთა მისწრაფება მიმართული გლეხების დატვირთვისაკენ, განუწყვეტლივ იზრდება". მაგრამ მაინც გლეხების ექსპლოატაცია სინამდვილეში არ ძლიერდება.

როგორც შემდეგ კ ა უ ც კ ი მიუთითებს: „მე-XIII და მე-XIV საუკ., ხოლო იტალიაში უფრო ადრე გლეხების მდგომარეობა, მიუხედავად მათი ზოგიერთი დამარცხებისა, თანდათანობით უმჯობესდებოდა, გლეხებისა-

*) მე-XIII საუკ. ბოლოში ნორვიჩის მოსახლეობა შესდგებოდა 450 სხვადასხვა ადგილებიდან წარმოშობილ ხალხიდან; ეს ადგილები მდებარეობდა ნორფოლკის და სერეის საგრაფოებში.

თვის ქალაქები წარმოადგენდა დასაყრდენს, რომლითაც სარგებლობა მათ ზედმიწევნით იცოდენ. იურიდიულ დაბეჭავებას და ფიზიკურ იძულებასაც მცირე სარგებლობა მოჰქონდა, — მაშინ, როდესაც ქალაქები თავშესაფარს აძლევდენ გამოქცეულ გლეხებს და იცავდენ მათ. მემამულე რომ გლეხების სამუშაო ძალა არ დაჰკარგოდა, — უკეთ ეპყრობოდა მათ, — არსებობის პირობებს უფრო ასატანს ჰქმნიდა". აზნაურების საპიროება ფულებში ჩქარა იზრდებოდა, ამიტომ შედეგათ იბადებოდა მისწრაფება გლეხებისაგან რაც შეიძლება მეტის გამოქაჩვისა, მაგრამ ამავე დროს ხშირი იყო ისიც, რომ ვალებში ჩავარდნილი მიწათმფლობელი სიამოვნებით თანხმდებოდა გლეხების მიერ თავიანთ ბეგარა ვალდებულებათა გამოსყიდვაზე, ოღონდ კი ფული მიეღო. „ზოგიერთ შეძლებულ გლეხმა კარგად იცოდა თავის მეპატრონის შევიწროებული ფინანსიური მდგომარეობით სარგებლობა, — იმისათვის, რომ თვით დაეხწია თავი საკუთარი ბეგარებისაგან".

თუ ასეთი იყო განვითარების საერთო ტენდენცია, აგრარული წყობილების ევოლიუცია მაინც არ იყო ერთგვარი სხვადასხვა სახელმწიფოში, რადგან აღნიშნული მომენტები სხვადასხვაგვარათ ეწყობოდა და მოქმედობდა ამა თუ იმ ადგილას არა ერთგვარი ინტენსიობით; ამასთანავე მასვე დაემატა კიდევ სხვა ფაქტორები, რომლებიც აფერხებდენ განვითარებას ანდა სხვადასხვა მხარისაკენ ხრიდენ მას.

(ი. მ. კ ულ ი შ ე რ ი — დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების ისტორია, ტ. I. მეშვიდე გამოცემა).

თავი მეექვსე

ქალაქების წარმოშობა და განვითარება

§ 1. ქალაქის არსება

პირველი შეხედვით გვეჩვენება, რომ სიტყვა „ქალაქს“ აქვს საკმაოდ ზუსტი აზრი და აღნიშნავს სავსებით გარკვეულ მოელენას. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ გვესმის ეს სიტყვა, ჩვენს წინაშე წარმოიშობა ნათელი სურათი: სურათი დასახლებისა, რომელშიაც ცხოვრობს მრავალი ადამიანი, რომელშიაც არის მრავალი სახლები და ქუჩები, რომლებიც უმეტესწილად გარშემორტყმულია თავწაწვეტიანებული მესრებით-კედლებით, — დასახლება, რომელიც მკაცრად განირჩევა „სასოფლო ოლქის“ ფონზე და. რუკაზე აღინიშნება მეტად თუ ნაკლებად მოზრდილი წრეთი. რაღაც მსგავსად **ალბრეტ დიურერის** მიერ დახატულ ნიურენბერგის სურათისა. მაგრამ თუ ჩვენ უფრო დაჟინებით მივადგებით და შევეცდებით განვსაზღვროთ სიტყვებით, თუ სახელდობრ რა გვესმის ჩვენ „ქალაქის“ ქვეშ, ე. ი. თუ ჩვენ შევეცდებით დავადგინოთ ზუსტი და არა ორაზროვანი **ცნება ქალაქისა**, მაშინ ჩვენ ძლიერ მალე შევატყობთ, რომ ეს არც ისე ადვილია. ნიშნები, რომლებიც შედიან ქალაქის ცნებაში, მეტად არა ზუსტად არიან დადგენილნი და განსაზღვრულნი. ისინი არ არიან ზუსტი ყოველდღიურ სიტყვებში, და ასევე (ანდა კიდევ ნაკლებად ზუსტია) მეცნიერებაშიაც.

მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი ლიტერატურიდან რომელიც ეხება საშუალო საუკუნეთა ქალაქებს. ყველაზე პოპულიარობით სარგებლობს **მაურერის** განსაზღვრა: „ქალაქები—ეს კედლით გარშემორტყმული სოფლებია“. პირიქით, მეორე მეცნიერი (K. H. Roth von Schreckenstein), პროტესტს აცხადებს ასეთი განსაზღვრის წინააღმდეგ: „ქალაქის მთავარი ნიშანი მდგომარეობს არა კედლებში,

არა მის გარშემოყოლილ თხრილებში, არა მოსახლეობის რიცხვში, არა ვაჭრობისა და მრეწველობის აყვავებაში. გერმანული ქალაქის, რომელმაც სრულ აყვავებას მიაღწია, ზუსტი ნიშანია მოქალაქეთა მიერ არჩეული და შესაფერი უზენაესი ხელისუფლების მიერ დამტკიცებული საქალაქო საბჭო. ბეჭედი საქალაქო საბჭოისა არა ნაკლებ ვინემ საქალაქო კედლები ახასიათებს იურიდიულად ცნობილ და ქალაქსა და სოფლის შორის გამოაშკარავებულ სხვაობას.

იმავე აზრს გამოსთქვამს **კალსენი** (O. Kallsen), რამოდენიმეთ სხვაგვარ საღებავში: „ქალაქის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს არა საქალაქო კედლებით განცალკევებული კარკვეული ადგილი, მის გარშემომცველი სასოფლო ოლქიდან. არამედ თავისებური, დამოუკიდებელ თემურ ორგანიზაციაზე დამყარებული ცხოვრება, რომელიც ვითარდება საქალაქო კედლების მფარველობის ქვეშ".

ქალაქი — ეს არის ადგილი რომელისთვისაც ნაწყალობებია საბაზრო უფლება: „ქალაქი არის საბაზრო დასახლება" — ლაპარაკობენ საბაზრო უფლების თეორიის წარმომადგენელნი.

სხვა მეცნიერები მოითხოვენ, რომ ქალაქის ცნებაში შედიოდეს რამოდენიმე ნიშანი: ადგილი უნდა იყოს გამაგრებული, ის უნდა იყოს საქალაქო ოლქის ცენტრალური პუნქტი (Seb. Schvarz), მას უნდა ჰქონდეს თავისი სტატუტი, მას უნდა ჰქონდეს სავაჭრო უფლებები და ის უნდა იყოს საჯარო სამართლის კორპორაციად (W. Varges). „ქალაქს აქვს ბაზარი... ის გარშემორტყმულია სიმაგრეებით. ის წარმოადგენს განცალკევებულ სასამართლო ოლქს... თავის თემურ საქმეებში ის სარგებლობს დიდი დამოუკიდებლობით და საერთო დაწესებულებათა დიდი რაოდენობით... ვინემ სასოფლო თემები, დასასრულ, სოფელთან შედარებით ის სარგებლობს გარკვეული პრივილეგიებით თავის ვალდებულებათა შესრულებაში... საერთოდ საშუალო საუკუნოებრივი ქალაქის დამახასიათებელია პრივილეგიური მდგომარეობა" (G. v. Below).

ძლიერ ნათელ განსაზღვრას ქალაქისა იძლევა **ოჰან ჰაინრიხ გოტლობ ფონ იუსტი** თავის „სახელმწიფო მეურნეობაში„ (1758), ტ. I, § 477: „ქალაქი არის ჯამი საზოგადოებათა, ოჯახთა და კერძო პირთა, რომლებიც ცხოვრობენ დაფარულ ადგილას მეთვალყურეობისა და მმართველობის ქვეშ პოლიციური კოლეგიისა,—რომელიც საქალაქო საბჭოდ იწოდება, ანუ სხვა პირთა, რომელნიც დანიშნული არიან საპოლიციო ფუნქციათა შესასრულებლად, — რათა მით უფრო წარმატებით, ნამდვილად და უკეთესად მისდევდენ ისეთ სარეწაებს და აწარმოონ მათი ცხოვრებისათვის საჭირო საქმიანობა,

რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და აუცილებელია რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის საერთო საზრდოობა". შემდეგ იუსტი ანალიზს უკეთებს თავის განსაზღვრას: ქალაქი უნდა იყოს დაცული" (ბუნებრივი პირობებით ანუ ხელოვნური მოწყობილობებით) ისე რომ მასში შესვლა შეიძლებოდეს მხოლოდ გარკვეულ, ამისათვის სპეციალურად შეგუებულ ადგილებიდან. რომელნიც იწოდებოდენ ალაყაფის კარებად, რადგან სხვა პირობებში ვერ იარსებებენ საპოლიციო დაწესებულებანი, რომელთაც შეეძლებათ მიახწიონ ქალაქების უმთავრეს მიზანს".

უახლოეს ხანებში წამოყენებული იყო, მაგალითად, „ქალაქის" შემდეგი განსაზღვრანი. საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესი ქალაქს საზღვრავს „როგორც 2000-ზე მეტ მცხოვრებიან დასახლებას",—განსაზღვრა, რომელიც დღეს მიღებულია ოფიციალური სტატისტიკის მიერ კულტურულ ქვეყანათა უმრავლესობაში. პრუსიის საქალაქო დებულება 1853 წ. შეიცავს „ყველა დაბებს, რომლებიც აქამდე პროვინციალურ ლანდტაგში წარდგენილი იყვნენ, როგორც ქალაქები". აყვავებული ამერიკელი ლაპარაკობს: „ქალაქი ადგილია, სადაც არის უნივერსიტეტი" (**Victor V. Branford**). ერთი უახლესი სამართლის ისტორიკოსი ამტკიცებს: „ქალაქი არის დასახლების ადგილობრივი ფორმა ფართე სოციალური წრისა". (**P. Sander**). მეტად დიდ და შედარებით ახალ თხზულებაში, რომელიც მიძღვნილია ქალაქთა წარმოშობის პრობლემისადმი, და რომელიც ცდილობს გადაჭრას საკითხი „სოციოლოგიის" თვალსაზრისით, ქალაქი განსაზღვრულია შემდეგნაირად: „რთული საზოგადოება, რომლის გეოგრაფიული ბაზა მეტად განსაზღვრულია მის მოცულობასთან შედარებით და რომლის ტერიტორიალური ელემენტი წარმოდგენილია შედარებით სუსტად, მის ადამიანთა ელემენტებთან შედარებით".

[როგორც წარმოდგენილ განსაზღვრათა სხვადასხვაგვარობიდან სჩანს ქალაქის ცნება ყველას, იმის მიხედვით თუ რა თვალსაზრისით უდგება იგი მას, ესმის თავისებურათ.]

აქედან გამოდის, რომ იმან, ვინც სწავლობს მეურნეობის ისტორიას უნდა დაადგინოს **ქალაქის ეკონომიური ცნება, გაგება.** სხვა სიტყვებით, მან ჩვენ უნდა გვითხრას, რა უნდა გვესმოდეს ქალაქის ქვეშ, თუ კი ჩვენ გვინდა შევიცნოთ და შევაფასოთ გარემოებანი, რომელნიც მნიშვნელოვან ეკონომიურ როლს თამამობდენ მის წარმოშობაში. მე ვიძლეევი ასეთ განსაზღვრას: **ეკონომიური გაგებით ქალაქი არის მეტად თუ ნაკლებად ადამიანთა მსხვილი და-**

სახლება, რომელთა არსებობის წყარო დამოკიდებულია სხვის, სასოფლო-სამეურნეო შრომის პროდუქტებისაგან, ამ ცნების განსაკუთრებული ეკონომიური ელფერი ჩვენთვის ნათელი გახდება, როგორც კი მას ჩვენ დაუპირდაპირებთ—არქიტექტურულ, იურიდიულ, სტატისტიკურ და ყოველგვარ სხვა ცნებებს ქალაქისა.

ის რაც ქალაქს წარმოადგენს ეკონომიური გაგებით, ადმინისტრატიული თვალსაზრისით შეიძლება, რასაკვირველია, განხილულ იქნეს როგორც სოფელი: მაგალითად შეიძლება გამოდგეს თანამედროვე ლანგებილაუ და კემპენი 1294 წლამდე.

სიტყვის ეკონომიური აზრით სოფელი კიდევ არ ხდება ქალაქად, როდესაც მას შემოევლება სიმაგრე. ასე, მაგ.,„ vici in modum mancipiorum“ რომის აფრიკაში, რომელთაც იხსენიებს ფრონტინი და რომელნიც იწოდებიან სხვა წყაროებში „ციხეებათ“, იყვნენ ნამდვილი სოფლები, დანიშნულნი თავდაცვისათვის.

ასევე სოფელი არ იქცევა ქალაქად იმ შემდხვევაშიც, როდესაც მასში ეწყობა ბაზარი, ანუ მაშინაც, როდესაც მას უწყალობებენ კიდევაც საბაზრო უფლებას.

მაგრამ ეკონომიური გაგებით სოფელი მაშინაც კი ვერ ხდება ქალაქად, როდესაც ადმინისტრატიულის გაგებით ის ყოველ მიმართებაში ცნობილია ქალაქად; მრავალრიცხოვანი „სოფლები“, რომლებიც საშუალო საუკუნოებში „ქალაქთა მდგომარეობამდე მაღლდებოდენ“, საქალაქო უფლებათა წყალობის გამო, მეურნეულად იგივე რჩებოდენ, რაიც მანამდე იყვნენ ისინი —სოფლებად.

დასასრულ, ქალაქის ეკონომიური ცნება განსხვავდება სტატისტიკურისაგანაც, რომელიც ქალაქად გულისხმობს „შეჯგუფებულად მცხოვრებ პირთა“ დიდ რიცხვს. ჩვენ უნდა გადავეჩვიოთ, ეკონომიური აზრით ქალაქად მიჩნევას ისტორიული წარსულის გიგანტური „ქალაქებისა“ როგორიც იყვნენ ნინევია და ბაბილონი, მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია ქალაქური ხასიათი მივაკუთნოთ ძველ ინდოეთის მსხვილ დასახლებათ, მსგავსათ კალკუტისა ანუ თანამედროვე თეგერანისა და ამის მსგავსი პუნქტებისა.

(ვერნერ ზომბარტი — თანამედროვე კაპიტალიზმი, ტ. I წიგნი I).

§ 2. ქალაქის წარმოშობა

მოხეტიალე ხელოსანი — ვაჭრები, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ — თავიანთი საქონელით ჩერდებოდენ არა უდაბნო, არამედ მნიშვნელოვნად დასახლებულ ადგილებში, ფეოდალურ ან მონასტრის

სიმაგრესთან, გარშემო სიმაგრედ შემოვლებულ ადგილთან, ქალაქ-სიმაგრესთან. რამდენათ ეს ქალაქები (გარს კედელ შემოვლებული ადგილის თვალსაზრისით) — სამხედრო, საეკლესიო ან ადმინისტრატიულ ხასიათს ატარებდენ — იმდენათ მათ ჰქონდათ მომავალი და არ იქცეოდენ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებად, საიდანაც იზრდებოდენ ქალაქები თანამედროვე გაგებით. თავშესაფარისა და ადმინისტრატიული მმართველობის დანიშნულებისათვის აგებული, ისინი ქალაქ-პარაზიტებს წარმოადგენენ წარმოების მიხედვით და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მოკლე დროით აცოცხლებდენ განსაზღვრულ ადგილს და მის მცხოვრებთ თავშესაფარს აძლევდენ. ნამდვილ ქალაქად გახდომისათვის საჭირო იყო მთელ რიგ ხელსაყრელ გარემოებათა, პირველ რიგში განსაზღვრული გეოგრაფიული პირობების, არსებობა.

როგორი-ღა იყო ეს პირობები?

როგორც წყალი მთის მწვერვალიდან დაბლობისკენ მიისწრაფის, რათა იქ უფრო უშფოთველად და დაუბრკოლებლივ გააქანოს წინ თავისი ტალღები, ისე ვაჭარი ძვირფასი საქონლის ტვირთით ეძებს ისეთ ადგილს, სადაც ყველაზე უკეთ დაალაგებს მას, და საიდანაც ადვილად გააბამს სავაჭრო ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან. ნავთსადგურის სიღრმე, ზღვის მშვიდი ყურე, დიდი მდინარეების გასწვრივ კიდევ ზემოთ ცურვის შემაფერხებელი ზღურბლი, ორი ან რამოდენიმე მდინარის შესართავი, მაღალი ციხის ძირი, მონასტრის მტკიცე კედელი, სასწაულმომქმედი ეკლესიის ჯვარის მახლობლად, მდინარის ციცაბო მოსახვევი, ორი სხვადასხვა ადგილის შემაერთებელი ხიდი, გზა-ჯვარედინი (ხმელეთისა მდინარეების), ადგილი სადაც მდინარე გაუვლელი ხდება და ვაჭარს აიძულებს შეწყვიტოს შემდგომი ცურვა — აი ყველა ის ადგილები, რომლებშიც მუდმივად წარმოიშობა ხოლმე დროებითი სადგომები მოსულ ვაჭართათვის, სადაც სწარმოებს საქონლის გადმოტვირთვა, ეწყობა დებარკადერი, პორტი. საქონლის ეს საწყობები იზიდავს გარშემო მოსახლეობის ყურადღებას, და უკანასკნელი ყიდულობს საქონელს ისეთი სიჩქარით, რომ ვაჭრებმა ყინვების დადგომამდე უნდა შესძლონ გაუყინავ მდინარით შინ დაბრუნება. საქონლის გაყიდვა ატარებს უფრო შემთხვევითი ბაზრობის და დროებითი გამოფენის ხასიათს.

მაგრამ ეს მოკლევადიანი სადგომები, სადაც სწარმოებდა იშვიათი საქონლის საჩქარო წესით გაყიდვა მოუხერხებელი იყო, როგორც გამყიდველების, ისე მყიდველებისათვის და თანდათან უფრო-

დაუფრო მეღავნდებოდა მისწრაფება ამ ღია ბაზრების, შემთხვევით გადმოსატვირთი ადგილების გარდაქმნისა მუდმივათ და გარეშე დაცემისაგან დაფარულად, რომელიც მით უფრო ადვილი შესაძლებელი იყო, რომ „ეშმაკი სტუმრების“ საქონელი განსაკუთრებით აღიზიანებდა ნაკლებად მოძრავ მოსახლეობის გემოვნებას. ამ საქონლის დაცვის მიზნით ვაჭრებმა დაიწყეს მტკიცე საწყობების აგება, გადმოსატვირთ ადგილების გამაგრება და მათი კედლით შემოფარგვლა. ამ სიმაგრეებმა მიიღეს სახელწოდება ბურგებისა, ისინი ძალზე წაგავდენ იმ ციხე ქალაქებს castra, ბურგი, ციხე, რომლებიც აგრეთვე წარმოადგენენ თავშესაფარს, მხოლოდ არა საქონლის, არამედ ადამიანთათვის. პირველიც და მეორეც კედლით, გალავნით იყო გარშემოვლებული და წარმოადგენდა შემორაგულ ადგილს — ქალაქს, ბურგს, ციხეს, კრემლს. გამაგრებულ ადგილების მუდმივმა მცხოვრებლებმა მიიღეს სახელწოდება მოქალაქისა ანუ ბურჟუასი, ე. ი. ისეთი ხალხისა, რომელიც გალავნის, ბურგის შიგნით ცხოვრობს. თავის შემადგენლობით ამ ახალი ბურგების („ახალი ქალაქების„ Neustädte, Villes neuves) მცხოვრებნი დიდათ განსხვავდებოდენ ძველი ბურგების მცხოვრებთაგან: აქ არ იყვნენ არც ადმინისტრატიული მოსამსახურეები, არც სამხედრო ხალხი, არამედ იყვნენ მხოლოდ ვაჭრები, მოსულნი, ერთნი საქონლის გასასაღებლათ და მეორენი — საყიდლათ. აი ამიტომ „ახალი ქალაქები“ ხშირად იწოდებოდენ Kopstad, thingstad, ე. ი. ყიდვა-გაყიდვის ადგილათ (cauponari ნიშნავს გაყიდვასა და ყიდვას), საქონლის ადგილათ; ხოლო მათი მცხოვრებნი გარდა ბურჟუისა ატარებდენ ვაჭრის სახელსაც (mercateres, choufman, poorter) ანდა, რომ აღენიშნათ მათი უცხო შთამომავლობა,—სტუმრების, ხროვის, უცხოელების სახელწოდებას.

ეს „ხროვა გეოგრაფიული პირობების გავლენით ერთ განსაზღვრულ ადგილზე რჩებოდა საცხოვრებლათ, ამიტომ ყველა „ახალ-ქალაქები“პირველად წარმოიშობოდა ხოლმე მიმოსვლის უფრო ხელსაყრელ გზებზე, ცხადია ბუნებრივზე, რადგან ხელოვნური გზები მაშინ არ იყო, გარდა რამოდენიმე ძველი რომის გზებისა. მაგრამ, უდაბნოში საქონლის გადმოტვირთვა უსარგებლო იყო, და „მოგზაურები“ ცდილობენ ძველ ფეოდალურ-საეკლესიო ქალაქებში შეჩერებას, რომლებიც ჩვეულებრივად ხელსაყრელ სამიმოსვლო გზებზე იყო გაშენებული, მაგრამ „ხროვას“ ყოველთვის არ ეძლეოდა უფლება ძველ ქალაქში შესვლისა: ჩვეულებრივად მოსული ვაჭარი მის კედლების გარეთ უნდა დარჩენილიყო, და სადმე მის მახლობლათ მოწყობილიყო. ამრიგათ, ბურგის, ადმინისტრატიულ-სამხედრო-საეკლესიო პუნქტის

მახლობლათ წარმოიშვა მეორე სავაჭრო ბურგი, რომელიც მაშინვე იღებდა ფობურგის (hors bourg)—ე. ი. ბურგის გარეშე დარჩენილ ბურგის, ძველი ქალაქის კედლების გარედ დარჩენილ ახალი ქალაქის, სახელწოდებას: ფობურგს გაცხოველებული დამოკიდებულება ჰქონდა არა მარტო ძველ ბურგთან, არამედ მთელ ოლქთან და არა ნაკლებათ ძირს უთხრიდა ფეოდალური წეს-წყობილების ნატურალურ რეჟიმს, რომლის დროსაც ყველაფერი შინაურული საშუალებებით უნდა ყოფილიყო წარმოებული (omnia domi nascuntur,—ასეთია საშუალო საუკუნოების მეპატრონეს იდეალი), და როდესაც საქონლის გაცვლა-გამოცვლას თითქმის სრულიად არ ჰქონდა ადგილი. არ არის ძნელი გასარკვევი, რომ ბაზარი (იარმარკა) და ქალაქი თავის წარმოშობით მჭიდროთ არიან ერთი-მეორესთან დაკავშირებული. ორივე გამოწვეული იყო ერთიდაიმავე მიზეზით: საჭიროებით პროდუქტთა გაცვლა-ზამოცვლისა. ეს საჭიროება დაიბადა. მოსახლეობის ზრდის გამო. ის შესაძლებელი შეიქნა უფრო მშვიდობიანი დროის დადგომასთან ერთად, მაშინ როდესაც აცილებულ იქნა გარეშე და შინაური ომები, რომლებიც ანადგურებდა დასავლეთ ევროპას მე-IX და მე-X ს. ს. არეულობის ხანებში არსებითად. ქალაქი წარმოადგენდა მუდმივათ მომქმედ ბაზარს, ადგილს საქონლის გაცვლა-გამოცვლისა, რაიც სწარმოებდა არა მოკლე დროის განმავლობაში, არამედ ყოველთვის, მუდმივათ.

ზოგიერთი საბაზრო ადგილი ქალაქათ გადაიქცა; ზოგი ქალაქები კი, პირიქით დაიხშო ან წვრილ საბაზრო მოედნათ იქცა, სადაც დადიოდა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში გადამწყვეტ მომენტს გეოგრაფიული პირობები წარმოადგენდა: მიმოსვლის მოსახერხებელი გზები, ადგილმდებარეობის დასახლებულობა, მისი მდგომარეობა სხვადასხვა ქვეყნების დამაკავშირებელ გზების მიმართ და სხვ. განცალკევებულ მონასტრებს, გაშენებულთ საერთაშორისო გზების დაშორებით, მიუხედავათ ვაჭრებისათვის მინიჭებულ პრივილეგიებისა და განსაზღვრულ დღეებში მლოცველთა შეჯგუფებისა, შეეძლოთ გამოეწვიათ მხოლოდ ბაზრების დაარსება, ქალაქებს ისინი ვერ შეჰქმნიდენ, რადგან საამისოთ პირველად ყოვლისა საჭიროა გარკვეული გეოგრაფიული პირობები; მეორეს მხრივ რომელიმე პუნქტის კეთილსასურველ მდებარეობის შემთხვევით მიზეზთა გამო შეეძლო ქალაქის განვითარების შეფერხება, — მაგრამ ადრე თუ გვიან ასეთ ადგილებში ქალაქი მაინც წამოიზრდებოდა. გასაგებია აგრეთვე, რომ ქალაქები, როგორც მუდმივი რამ ბაზართან შედარებით უფრო მეტად საჭი-

როებდენ სიმაგრეებს და იზიდავდენ მეტ ხალხს ვიდრე, პერიოდულათ მოწყობილი სადღესასწაულო ბაზრობანი, რომლებიც რამოდენიმე კვირას სტანდენ. ქალაქის მოსახლეობა არ შეიძლება მრავალფეროვანი არ ყოფილიყო. მის საფუძველს წარმოადგენდენ ის უცხოელი ვაჭრები, რომლებმაც პირველად გადმოტვირთეს თავიანთი საქონელი მიმოსვლის უფრო მოსახერხებელ ადგილებში. ამიტომ არის, რომ მოქალაქეები ხშირად აღინიშნება სიტყვით „უცხოელები“, და შრომის მრავალი სახე წარმოიშობა ახალ ადგილზე დასახლებულ უცხოელებისაგან. ასე, მაგ.. ინგლისელს მინის (შუშის) გაკეთება ფრანგმა შეასწავლა, იარაღის ხელოსნობა ქალაქ ზოლინგენის მცხოვრებლებმა შტირიელებისაგან შეისწავლეს. ინგლისის მთელ რიგ ქალაქებში ქსოვისა და ტყავის საქმე უცხოელთა გავლენით წარმოიშვა. აბრეშუმის წარმოება ვენეციაში მორეიდან იქნა შეტანილი. ინგლისში ფლამანდიელებმა განავითარეს საალმშენებლო ხელოვნება, რომლის წყალობით ნორმანების შემოსევის შემდეგ ინგლისი უცბად დაიფარა ფლანდრიის ნაგებობათა მსგავს არქიტექტორული შენობებით. მრავალ ქალაქების უცხოელებისაგან წარმოშობა მიუთითებდა სენიორებს რომ ახალი ქალაქების დასაარსებლათ საჭიროა უცხოელთათვის მიმართვა. მაგალითათ, ჰერცოგმა კონრად ცერინგენელმა, თავისი შემოსავლის გაზრდის მიზნით მოიწვია უცხოელები, რომლებმაც ჩაუყარეს საფუძველი ფრეიბურგს ბრეისგაუში. ამგვარათვე შპეიერის ეპისკოპოსმა რიუდიგერმა მოიწვია ებრაელები „ჩვენი ადგილების მნიშვნელობის ერთი ათასად გაზრდის მიზნით“. მრავალი ქალაქების ქარტიები პირველ ადგილს უთმობდენ უცხოელთა უფლებებს, როგორც ქალაქის ყველაზე უფრო მრავალ რიცხოვან ჯგუფს და ამიტომ პირველ რიგში მოსახსენებელს.

უცხოელები, როდესაც აარსებდენ ქალაქს, სახლდებოდენ გილდიებად, ჯგუფდებოდენ თავიანთი წარმოშობის ადგილის მიხედვით. აქედან — „ეროვნული ქუჩები“ ახლად აღმოცენებულ ქალაქებში. ადრინდელი საშუალო საუკუნოების ქალაქში ჩვენ თითქმის ყველგან ვნახულობთ სირიის, საბერძნეთის, ებრაელთა, ინგლისის, ფლამანდიის, ფრიზის, იტალიის ქუჩებს. ხშირად ქუჩები აღინიშნება არა მთელი ქვეყნის სახელწოდებით, არამედ ცალკე ქალაქის, საიდანაც გამოვიდა ახალ ქალაქში დასახლებული ჯგუფი: გენუის, ვენეციის, აუგსბურგის, კელნის ქუჩები. რადგან ერთი ადგილიდან გამოსული ჯგუფის წევრები ჩვეულებრივათ მოიტანდენ ხოლმე მათ სამშობლოში გავრცელებულ ერთ და იმავე საგნებს, ან ერთგვარი სარეწავს მიყოფდენ ხელს, ისევ საერთო სამშობლოს პირობების გავლენით,

ამიტომ წარმოიშვა ქუჩების „ხელოსნური“ სახელწოდება: მჭედლების, მეტყავეების, მექოთნეების, თევზის, მარილის, შალის, ქსოვილის და სხვა. ახალ ადგილზე დასახლებულ ვაჭრებსა და ხელოსნებს არ შეიძლება, რომ სხვა, დამხმარე საქმიანობისათვისაც არ მოეკიდათ ხელი, პირველად ყოვლისა ასეთი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო: აი ამიტომ ისინი ძალზე სქლათ არ ჯგუფდებოდენ. ერთი სახლი მეორისაგან გაიყოფა ყანით, ბაღით, ბოსტნით. სახლებს შორის დატოვებულ თავისუფალ მიწებს სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდათ. უფრო ხშირია სახელწოდება: ambitus, winkel, tuscheuveg. ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ბუნებრივად, სამიწადმოქმედო შრომა თანდათან მეტათ იდევნება სავაჭრო-ხელოსნური შრომის მიერ. ქალაქი ჰკარგავდა სოფლის ელფერს: სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების წინანდელი კვალი მასში გაქრა. ადრინდელი დასახლებული ადგილები, რომელთაც მნიშვნელოვანი სივრცე ეჭირათ, ატარებდენ ხშირად სახელს „კოლონია“ და პირველ ხანებში მოქალაქეებიც აღინიშნებოდენ ტერმინით coloni. ციხეებში, ბურგებში და სიმაგრეებში მცხოვრებ სენიორთათვის ეს კოლონიები, რომლებიც უმთავრესად გამაგრებულ ადგილების ახლო იყვნენ მოთავსებული, წარმოადგენდენ უბრალო სასახლის ქვეშეთ მოთავსებულ სადგომებს და უწოდებდენ საგვარეულო სიმაგრეებთან, ციხე-ქალაქებთან მიმაგრებულ ადგილებს, ან ვილებს (წინააღმდეგ სიმაგრეებისა): აქედან სავაჭრო ქალაქის აღნიშვნა სიტყვით სადგომი nocag, stadt. ამბობდენ **სადგომი ციხესთან, ბურგთან**; აქედან გერმანულათ stat zu Regensburg, stat zu strassburg, როგორც ოდესღაც ლაპარაკობდენ რეგენსბურგის და სტრასბურგის შესახებ, ან როგორც ეხლა ფრანგები უწოდებენ ხოლმე პარიზს—ville de Paris ან რეიმსს ville de Reims.

მაგრამ თანდათანობით სადგომის, nocag-ის (stat, ville) მნიშვნელობა დიდათ გასცილდა ბურგის, ციხე-ქალაქის გავლენას და სადგომმა მიითვისა იმ ბურგის საგვარეულო სახელწოდება, რომლის კედლებთანაც იყო ის მოწყობილი. შემოიფარგლა რა თავი კედლით, სიმაგრით, სადგომმა მითვისებულ საგვარეულო სახელს იმ ციხისას, რომელთანაც ის წარმოიშვა მიუმატა სიტყვა „ბურგი“, რითაც იმის თქმა სურდა, რომ ამიერიდან ეს სადგომიც გამაგრებულია, — ხოლო ამის შედეგად მიღებული იქნა საგვარეულო, გამაგრებული სახელწოდება, მსგავსად ლიუქსემბურგის, ლაუენბურგის, მარიენბურგისა, მაგდენბურგის, აღსანიშნავათ იმ ადგილისა, რომლებიც პირველად მხოლოდ ღია დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა, და რომელიც შე-

დგებოდა რამოდენიმე დუქნისა და სახლისაგან და მდებარეობდა ფეოდალურ ციხესთან ან გამაგრებულ მონასტერთან.

თუმცა ქალაქების სახელწოდების უმრავლესობა წარმოიშვა არა ფეოდალურ ციხეების საგვარეულო მფლობელებიდან, არამედ გეოგრაფიულ სახელწოდებიდან; ამავე დროს ჩვეულებრივათ აღინიშნება კავშირი ქალაქსა და მდინარეს შორის, რადგან მდინარეთა გასწვრივ წარმოიშვა უფრო ძველი და სავაჭრო ქალაქები. როდესაც ვიხილავთ ძველი ქალაქების სახელწოდებას, არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს მრავალრიცხოვანი ჯგუფები ქალაქებისა, რომლებიც პირდაპირ ატარებდენ იმ მდინარის სახელს, რომელზედაც ეს ქალაქებია გაშენებული. ამ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგ., მაინცი, ჰანოვერი, ლიპე, ლინცი, ორბე, ელსი, მოსკოვი, დვინსკი, ენისეისკი, სესტრორეცკი და სხვ. ქალაქების ამ ჯგუფს მოყვება მეორე, რომელთაც შეიძლება ეწოდოსთ **ხანაპირა** და **სახიდა** (ბრიუგე, ოსნაბრიუკი, საარბიუკი, ინსბურკი, პონტუაზი, კემბრიჯი, ბრისტოლი); შემდეგ ფონის ქალაქები (ფრანკფურტი, კლაგენფურტი, ერფურტი ოქსფორდი, ბრადფორდი). აღვნიშნავთ აგრეთვე **სათავეს** ქალაქებს, დაბოლოვებით: mund, munde, mouth, monde; აგრეთვე **კუნძულების** ქალაქებს დაბოლოვებით verder, worth, holm. ბევრია აგრეთვე ქალაქები, დაკავშირებული სახელწოდებასთან „**პორტი**" (გავრი, კოპენგაგენი, მთელი მხარეც კი — პორტუგალია); დასასრულს არის **წყაროს** ქალაქები დაბოლოვებით font, brunnen, kilde (ჭის ან წყაროს სკანდინაური სახელწოდება), ain (არაბული სახელწოდება). წყალთან ასეთი კავშირი გასაგებია, რადგან ვაჭრობა პირველ ხანებში და შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, როგორც ჩვენ რამოდენიმეჯერ მოვიხსენიეთ, იწყებოდა და ვითარდებოდა მდინარისა და ზღვის გზით[1]). თავისთავად ცხადია, რომ ზღვების ნაპირები ძალზე ადრე იყო მოფენილი სავაჭრო სადგომებით, რომლებიდანაც წარმოიშვა ქალაქები, სადაც თავს იყრიდა ზღვის იქითა ქვეყნებიდან მოზიდული საქონელი. რადგან საშუალო საუკუნეებში ყველა ზღვებიდან უფრო მეტათ სავაჭრო ხმელთაშუა ზღვა იყო, რომელიც ზღვათა დედოფლათ ითვლებოდა და რომელიც აერთებდა სამხრეთ ევროპას მაშინდელ კულტურულ აღმოსავლეთთან,—ამიტომ სწორეთ ამ ზღვის ნაპირებმა პირველათ იხილეს მნიშვნელოვანი ზღვისპირა ქალაქები,

---

[1]) ზოგიერთ მკვლევარის აზრით, რომს რომელსაც გერმანულათ Rom,ი ეწოდება დამოკიდებულება აქვს აგრეთვე წყალთან, რადგან ის იმ ფესვისაგან წარმოსდგება, როგორც სიტყვა strom, რაც ნიშნავს ნიაღვარს.

და საშუალო საუკუნეების ქალაქების ისტორია იწყება ხმელთაშუა ზღვის ქალაქების ცხოვრებით უმთავრესად კი იტალიის ქალაქების ცხოვრებით, რომლებმაც ძალზე ადრე დაიწყეს სავაჭრო ურთიერთობის გაბმა მცირე აზიის, სირიის, არაბეთის შორეულ ინდოეთის და ეგვიპტის კულტურულ ცენტრებთან.

წარმოიშობოდა რა გეორგაფიულ მიზეზთა გავლენით და წარმოადგენდა რა საქონლის გაცვლა-გამოცვლის გაცხოველებულ ცენტრს ხელოსნურ-სავაჭრო სადგომები, — რომელთაც შემოიფარგლეს თავი სიმაგრეებით და გახდენ ქალაქები — ამდიდრებდენ არა მარტო მოქალაქეებს, არამედ იმ ადგილების მფლობელებსაც. სადაც გადმოსხდებოდენ ვაჭრები და სადაც იზრდებოდა ქალაქები. აი ამიტომ არის, რომ ბევრი მიწის მაგნატები ხელოვნურათ აწყობდენ თავიანთ მიწებზე ქალაქებს და ყოველგვარი პრივილეგიებით ცდილობდენ თავისაკენ მოქალაქეების მიზიდვას. გავეცნოთ რომელიმე ქალაქის ხელოვნურათ შექმნას.

1100 წელს მონასტერმა რეიხენაუმ გადასწყვიტა მოეწყო ბაზარი მის კუთვნილ ადგილზე რადოლფცელზე, რომელიც ტბაზე მდებარეობდა. ამ მიზნით მონასტერმა გამოყო რადოლფცელის განსაზღვრული ნაკვეთი, საკმარისი მომავალ ვაჭრების დასასახლებლად. ნაკვეთი დანაწილებული იყო ცალკე, არა თანასწორ სიდიდის ნაწილებათ, რომლებიც უნდა დარიგებოდათ მოსულთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ უკეთუ მოსულნი გადაცვლიდენ თავიანთ წილს, — სულ ერთია რა რაოდენობისაც ის იქნებოდა, — მეოთხედი ვინი (quartarium vini) უნდა გადაეხადათ ე. წ. ვილიკუსისათვის ან მეიერისათვის, რომელიც ბაზრის მოწყობამდე განაგებდა რადოლფცელს. ეს მცირე გამოსაღები სიმბოლო იყო მონასტრის უზენაესი საკუთრების უფლებისა, რომლის წარმომადგენლათ ვილიკუსი ითვლებოდა. მოსულებს, გარდა დათმობილი ნაწილებისა სახნავი ადგილები აღარ მიეცათ, რადგან ბერები ალბათ იმ მოსაზრებიდან გამოდიოდენ, რომ ვაჭრები მიწათმოქმედებას არ უნდა ეწეოდენ და მათი მთელი ყურადღება მხოლოდ ვაჭრობისაკენ უნდა იყოს მიქცეული. სამაგიეროდ, ახლად მოწყობილ მოსულთა სავაჭრო თემის გიერდით უნდა განეგრძო არსებობა ძველ სამიწადმოქმედოსაც (gebursame), სადაც ცხოვრება ძველ ფორმებში მშვიდად მიმდინარეობდა. თუმცა ამ gebursame-ს გლეხებმა განიცადეს ის ცვლილებანი, რომელიც მოხდა რადოლფცელში ვაჭრების მოსვლით: თუ რომ მოსული ვაჭრები არ იყვნენ მიწადმომქმედნი და არ საჭიროებდენ სახნავ მიწას, მათ მაინც

ყავდათ ნახირი. ამას ვარდა მაინ არ შეეძლოთ არ მოესმარათ საალმშენებლო მასალა, შეშა და ტყე. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მონასტერმა რეიხენაუმ რადოლფცელის ვაჭრებს მიანიჭა უფლება ნახირის გაშვებისა საგლეხო თემის საძოვარ მიწებზე და აგრეთვე უფლება სათემო ტყეებით სარგებლობისა. ვაჭრების მოსელით გლეხებს ცხოვრება გაუძნელდათ, და, სამიწადმოქმედო თემისათვის მიყენებულ ზარალს ბერები ანაზღაურებდენ მით, რომ გლეხები იღებდენ უფლებას მათ მიწების გვერდით მოწყობილ ბაზარში მონაწილეობის მიღებისა: მათ შეეძლო ყოველგვარი სპეციალური ბეგარის გაუღებლათ ეყიდათ და გაეყიდათ. ყოველგვარ საკაჭრო საქმეებში გლეხები პასუხისმგებელი იყვენ საბაზრო ხელისუფლების წინაშე და ასეთი საქმეები არ ექვემდებარებოდა სენიორალურ სასამართლოს; ამ რიგათ გლეხები ისეთივე თავისუფალი ბალხი იყო, როგორაც მოსული ხელოსან-ვაჭრები, ცხადია, იმის ხაზგასმით, რომ თავისუფლებით ისინი სარგებლობდენ მხოლოდ სავაჭრო დარგში, დანარჩენი მხრივ კი რჩებოდენ ძველებურადვე საბატონ-ყმო პირებათ. უკეთუ საბატონო გლეხი ბაზრის ადგილზე ყიდულობს სახლს ფულით ან სხვა საშუალებით, სენიორალური სასამართლოს არას გზით არ შეეძლო ამისითვის მისი თავის, ან საბაზრო სასამართლოს პასუხის გებაში მიცემა; ბაზარში მოქმედობს თავისი ხელისუფლება და ამიტომ მასში შესული პირი, განსაკუთრებით თუ მის ტერიტორიაზე ის შეიძენს რაიმე საკუთრებას, აღარ უნდა ცხოვრობდეს ფეოდალური ბატონყმობის მძიმე უღელ ქვეშ. ბაზრის მცხოვრები თავისუფალი ადამიანია, რა შთამომავლობისაც ის აო უნდა იყოს. ამ აზრით უნდა იქნეს განმარტებული საშუალო საუკუნოების ცნობილი გამოთქმა, რომ ქალაქის ჰაერი ადამიანს თავისუფლად ხდის და რომ მამალი, — ბატონყმური დამოკიდებულების სიმბოლო,—ქალაქის გალავანს ვერას დროს ვერ გადააფრინდება.

მონასტრის მიერ ვაჭრებისათვის დათმობილი ბაზრის ტერიტორია განცალკევებულია ძველი სასამართლო ოლქებიდან და არავითარ მათ დაქვემდებარებას აღარ განიცდის (sub nullo districtu;) ამიერიდან რადოლფცელი სამუდამოთ იღებს კონსტანცის მართლმსაჯულებას და თავისუფლებას, რაც შეადგენს საბაზრო სამართალს. თუ რაში მდგომარეობს კონსტანცის მართლმსაჯულება და თავისუფლება რადოლფცელის დამფუძნებელი სიგელი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მიუთითებს მხოლოდ ცალკე საბაზრო სასამართლოს არსებობაზე (judicium fori), რომელიც აწარმოებს საბაზრო ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებს და რომელმაც გამოიმუშავა განსაკუთრე-

ბული საბაზრო სამართალი. ამრიგად ფეოდალურ მფლობელობის გულში წარმოიშვა პრივილეგიების მქონე სამეურნეო ერთეული, რომლისგანაც იზრდება ქალაქი დამოუკიდებელი დაწესებულებებით, სენიორალურ სამეურნეო ერთეულის მეზობლათ, რომელსაც სოფელი ეწოდება.

მაგრამ რადოლფცელი, ფორმალურად ქალაქად გახდომამდე, მიწების ვაჭრებისათვის დათმობის მომენტშიც 1100 წელს წარმოადგენდა ქალაქს, რადგან სარგებლობდა იმ პრივილეგიებით, რომლებითაც ხასიათდება ქალაქები და რომლებიც წარმოადგენდენ საქალაქო სამართლის არსებას: უფლებით, ეკონომიურ და პოლიტიკური მხრივ ქალაქსა და ბაზარს შორის არ იყო პრინციპიალური განსხვავება, და სწორეთ საფუძველი ჰქონდა რიეხენაუს მონასტერს, როდესაც ის რადოლფცელში დასახლებულთ ეუბნებოდა, რომ ისინი ისეთ პირობებში იქნებიან ჩაყენებული, რომელშიც არიან კონსტანცის, ე. ი. უკვე არსებული ქალაქის მცხოვრებნი. სახელდობრ რა აკლდა რადოლფცელს 1100 წ. რომ ის ქალაქათ ყოფილიყო ჩათვლილი? მას არ ჰქონდა გამაგრებული კედლები, ბურგი, რომელთაც იშენებდენ, ჩვეულებრივად, ქალაქები. მაგრამ ბურგი სრულიადაც არ იყო საავალდებულო ატრიბუტი ყოველი ქალაქისათვის და საშუალო საუკუნოებში ადვილად შეიძლებოდა გეპოვნათ ღია ქალაქები, ე. ი. ისეთნი, რომლებიც არ იყვნენ გარშემოვლებული კედლით, რომელთაც არ ჰქონდათ ბურგი. ამიტომ არის, რომ იმ დროის ოფიციალური დოკუმენტები ქალაქებისადმი მიმართვაში აღნიშნავდენ როგორც ისეთებს, რომლებიც მოკლებული იყვნენ ქალაქის კედლებს, აგრეთვე ისეთებსაც—რომელთაც ასეთი ჰქონდათ. ცხადია რადოლფცელი ნაკლებათ დასახლებული იყო და პირველ ხანებში მაინც უმნიშვნელო რაოდენობის ჩამოსახლებულები იყვენ მასში. მაგრამ მოსახლეობის რაოდენობა არას დროს არ წარმოადგენდა ქალაქისა და სოფლის განსხვავებას. საშუალო საუკუნოებისათვის ცნობილია მცირერიცხოვანი ქალაქები და მრავალრიცხოვანი სოფლები. **რაოდენობით** კი არ განსხვავდებოდა ქალაქი სოფლისაგან, არამედ **ხარისხით**, ე. ი. ქალაქი არ ასრულებდა სოფლის ეკონომიურ ფუნქციებს და სარგებლობდა ისეთი უფლებით და პრივილეგიებით, რაიც სოფელს არ ჰქონდა. ამ გაგებით ბაზარი თავისი jus fori-თ (საბაზრო სამართლით) და judicium fori-თ (საბაზრო სასამართლოთი) წარმოადგენდა ქალაქს, მიუხედავათ იმისა გამაგრებული იყო ის ქვის ან ხის კედლით, თუ რჩებოდა ყოველგვარი კედლის გარეშე, სრულიად ღიათ.

რადოლფცელის ისტორია ჩვენს წინაშე ნათელყოფს ახალ ფაქტებს, რომელთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობის ინტერესი აქვთ. ირკვევა რომ თურმე შესაძლებელია ქალაქი იყვეს, მაშინ როდესაც სიმაგრე არა აქვს და სოფელი მაინც სოფლათ დარჩეს თუნდაც მან კედელი შემოიკრას. სხვა სიტყვებით: სიმაგრე არა თუ წარმოადგენს აუცილებელ ატრიბუტს ქალაქისას, არამედ სრულიადაც არ ახასიათებს მარტოოდენ ქალაქს. ქალაქად გახდომისათვის საჭიროა სარგებლობა თავისუფლებით და განსაზღვრული ეკონომიური ფუნქციების შესრულება. სხვა დანარჩენი თვისებანი არ არის იმდენათ არსებითი და უიმათოდაც ქალაქს თავისუფლად შეუძლია განვითარდეს. რადოლფცელის სახელძღვანელო მაგილითი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც მან 1276 წელს შემოიფარგლა თავი კედლითა და თხრილით შეეხო არა მარტო საბაზრო ადგილს, არამედ ახლოს მდებარე სამიწადმოქმედო თემსაც, და, ამ რიგად ბურგის შიგნით აღმოჩნდენ არა მარტო ვაჭრები, არამედ გლეხებიც, რომლებიც მუდამ ბატონყმობის უღელ ქვეშ ცხოვრობდენ. მეზობლები, რომლებიც წინათ სხვადასხვა სასამართლო დაწესებულებებს ექვემდებარებოდენ და სხვადასხვაგვარი უფლებრივი მდგომარეობა ჰქონდათ, ერთად მოხვდენ ქალაქის კედელში მომწყვდეული. რაც ჩვეულებრივათ სიმბოლო იყო განსაზღვრული თავისუფლებისა და პრივილეგიების. მაგრამ გაშენებულ კედელს აღარ შეეძლო დაემსხვრია ის უფლებრივი ტიხრი, რომელიც არსებობდა 1100 წლიდან ბაზარსა და gebursane-ს შორის და რომელიც ხალხის ორ მეზობლურ ჯგუფს სხვადასხვაგვარ სასიცოცხლო შინაარსს აძლევდა. ძველებურადვე ქალაქის კედლებშიგნით მოხვედრილი გლეხები რჩებოდენ საბატონოთ, სამონასტროდ, ხოლო ვაჭრები კი თავისუფალ მოქალაქეებათ, რომელთაც ისეთივე უფლებრივი პირობები დარჩათ, როგორც ჰქონდათ რადოლფცელის ირგვლივ ქალაქის კედლების აგებამდე. მხოლოდ აბატი ალბრეხტ ფონ-რამშტეინის კეთილი ნების წყალობით ორივე თემი, რომლებიც სულ სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობდენ, დაბოლოს გათანასწორებული იქნენ უფლებრივათ, და რადოლფცელი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ორი სახე ჰქონდა,—ერთი ქალაქისა და მეორე სოფლის — იქცა მთლიან თემათ, ისეთივე ქალაქად როგორიც იყო იქვე ახლოს მდებარე მსხვილი ცენტრი, კონსტანცი.

გავეცნოთ კიდევ ერთ რადოლფცელზე უფრო ძველი ქალაქის დაარსების სიგელს. 1075 წ. ალენსბახმა იმპერატორ ოტონ მე-III-საგან მიიღო პრივილეგიები, რომლებიც ხდიდა ამ პატარა კუთხეს მაინ-

ცისა და ვორმსის თანასწორუფლებიანად. ამიერიდან ქალაქად წოდებულ ალენსბახის ყველა მცხოვრებთ მიენიჭათ ის თავისუფლებანი და შეღავათები, რომლებითაც სარგებლობდენ ძველი პრივილეგიის მეონე ქალაქები, — ამასთანავე პრივილეგიურ მდგომარეობიდან გამოიირიცხებოდენ ის პირნი, რომლებიც ეწეოდენ მეღვინეობასა და მიწათმოქმედებას. ალენსბახის ვაჭრები უფლებრივათ თანასწორდებიან კონსტანცისა და ბაზელის მოქალაქეებთან, და აბატს შეუძლია მათგან მოითხოვოს მხოლოდ ის, რასაც იღებენ აღნიშნული ორი ქალაქის ეპისკოპოსები. წელიწადში სამჯერ 14 დღის განმავლობაში ვაჭრებს არა აქვთ უფლება ღვინისა და სხვა საქონლის გაყიდვისა მანამდე, სანამ არ იქნება გაყიდული აბბატის საგნები. დანარჩენის მარად ალენსბახის ვაჭრები სარგებლობენ ქალაქის ყველა თავისუფლებით, რამდენადაც ისინი ვაჭრებია და არა მიწათმომქმედნი ან მეღვინეები. წინააღმდეგ რადოლფცელისა, სადაც უფლებივი ჯგუფები ტერიტორიულათ განაწილებული იყვენ, სადაც განსაზღვრულ სივრცეზე მცხოვრები ერთი ჯგუფი სარგებლობდა უფლებებით, რომელთაც მოკლებული იყო მეორე, მეზობელი ჯგუფი, მაგრამ სხვა უბანში მცხოვრები — ალენსბახი არჩევდა ადამიანთა ორ უფლებრივ ჯგუფს, რომელთა ცალკე ტერიტორიები კი არ ჰქონდათ დაკავებული, არამედ ერთი, საერთო. როდესაც რადოლფცელის ქალაქის კედლებმა გააერთიანეს ორი თემი, მაშინაც კი სხვადასხვა უფლებრივი ჯგუფები განაგრძობდენ ცალკე ტერიტორიებზე ცხოვრებას და მხოლოდ გარეგნულად იყვნენ დაკავშირებული ერთი კედლით. ამას არ ჰქონდა ადგილი ალენსბახში. აქ ძირითად პრინციპად აღებული იყო პერსონალური, და არა ტერიტორიალური საქმიანობა. ერთ ქუჩაზე და ერთ სახლში მცხოვრები პირნი, თუ რომ სხვადასხვა პროფესიის იყვენ ისინი — ორ სხვადასხვა გვარ თემს ეკუთვნოდენ: მიწათმომქმედნი — ბატონყმურს, ვაჭრები — თავისუფალს; პირველნი იყვენ საბატონო ხალხი, ხოლო მეორენი — დამოუკიდებელი მოქალაქენი. გლეხებს უკრძალავდენ სავაჭრო საქმეებისათვის ხელის მოკიდებას, რადგან ისინი უნდა დარჩენილიყვნენ ისეთებათ, როგორიც იყვენ 1075 წლამდე, — რა მდგომარეობიდანაც მათი განთავისუფლება არ სურდათ; მათ არავითარ პრივილეგიებს არ აძლევდენ და არც ახალ საქმიანობა-ხელობაზედ უშვებდენ 'იმ მოსაზრებით, რომ ალენსბახის მფლობელი საჭიროებდა არა მარტო ვაჭრებს, არამედ არათავისუფალ მიწის მუშებსაც, — წინააღმდეგ რეიხენაუს მონასტრისა, რომელიც ანთავისუფლებდა ბატონ-ყმობისაგან იმ გლეხებს, რომელთაც შეეძლოთ საქალაქო მუშაობის შესრულება. მაგრამ თუ ალენსბახი შესდგებოდა

თავისუფალ და არა თავისუფალ აზღუდისაგან და არ ატარებდა მთლიან ერთგვარობის ხასიათს, როგორც რადოლფცელი, ის მეორეს მხრივ იმ ტერიტორიაზე ვრცელი იყო, რომელიც ატარებდა ალენ-ბბახის სახელწოდებას: უფლებრივი პრივილეგიები და ქალაქის თავისუფლებანი ვრცელდებოდა ისეთ ადგილებზედაც, რომლებიც ალენ-სბახის საზღვრებს იქით მდებარეობდა: ალენსბახის ირგვლივ მდებარე სივრცეები, ტყის ნაწილი, გზები შეტანილი იქნენ საბაზრო სასამართლოთი მოსარგებლე ოლქში, რომელიც იმ დროინდელ ტერმინოლოგიით წარმოადგენდა Weichbild-ს, ე. ი. საქალაქო თავისუფლებას. იყო თუ არა ალენსბახი კედლით შემოვლებული, ძნელი სათქმელია; ყოველ შემთხვევაში მას ჰქონდა ის „**პრივილეგიური კედელი**", რომელიც სხვაზე უფრო უზრუნველყოფდა მის მცხოვრებთათვის განსაზღვრულ უფლებებს და იმავე დროს შეიცავდა მეტ ან ნაკლებ სივრცეს, მედარებით იმისა, რის შემოფარგლასაც შესძლებდა ჩვეულებრივ კედელი: მეტს იმით, რომ სიმაგრის კედლის გაოეშეც ვაჭრები ალენსბახის სიგელის ძალით სარგებლობდენ ბაზელისა და კონსტანცის ფართო უფლებებით; მაგრამ იმავე დროს პრივილეგიური მოედანი შიგნითვე იყო დასერილი საბატონო, არა თავისუფალ აზღუდებით, რომლებიც დასახლებული იყვენ არა ვაჭრებით და იმ უფლებებს მოკლებული ხალხით, რომლებითაც სარგებლობდენ ყველგან, ერთ ქალაქის გალავანში მცხოვრებნი მოქალაქენი. **ამრიგად გალავანი კი არ ხდიდა ადგილს თავისუფლათ, ქალაქათ, არამედ ვაჭრული საქმიანობა, ბაზარი, რომელშიც წარმოებდა საქონლის გაცვლა-გამოცვლა, ყიდვა-გაყიდვა.** იმისათვის, რომ ერთი რომელიმე ადგილი ბაზრად გამხდარიყო, პირველად ყოვლისა საჭირო იყო ბაზრის ვაჭართათვის განსაზღვრული პრივილეგიების მიმნიჭებელი სიგელი. ეს პრივილეგიები საქალაქო უფლების არსებას წარმოადგენდენ. მაგრამ სივრცე, რომელზედაც ვრცელდებოდა საბაზრო სამართალი ყოველთვის არ უდრიდა შემოფარგლულ ადგილის სივრცეს, ქალაქის ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით და ეს სხვადასხვაობა იწვევდა ორ არა ერთგვარი უფლებრივ ადგილ-მდებარეობის არსებობას, რომელიც ხშირად მოქცეული იყო ერთდაიმავე ციხის კედლებში. ჩვენ ერთ სამხედრო ერთეულში გვაქვს ორი უფლებრივი ერთეული, თუ რომ კიდევ მიჩნეული იქნება თავდასხმისაგან ხალხის დაცვის საუკეთესო საშუალებათ. ეს ორგვარობა უფლებრივი ნორმებისა, ერთდაიმავე ქალაქის საზღვრებში, აიხნება მით, **რომ ქალაქი ბაზრის უშუალო გაგრძელებაა,** და არა შედეგი განსაზღვრული ადგილის მტკიცე და საიმედო კედლით შემოფარგლისა.

ქალაქის თავისუფალი ადგილების და მისი შეღავათების მხოლოდ ბაზრისაგან წარმოშობით შეიძლება ახსნა იმისა თუ სტრასბურგში 1050 წლამდე ქალაქის სასამართლოს ძალაუფლება რატომ არ ვრცელდებოდა მთელ ქალაქზე, არამედ მხოლოდ ცხენის მოედნამდე, და რატომ იყო, რომ მრავალრიცხოვანი ქალაქები თავიანთ ტერიტორიაზე სვამდენ სხვადასხვაგვარ ჯვრებს, ფიგურებს და როლანდებს, რომლებიც თითქოს ქალაქის სივრციდან, რომელიც არ სარგებლობდა საქალაქო უპირატესობებით, ანცალკევებდენ პრივილეგიის მქონე ცალკე ნაკვეთებს.

საქალაქო თავისუფლების საბაზროსაგან მემკვიდროებით წარმოშობა შედარებით არ არის დიდი ხანი რაც შეიჩნეული იქნა და ახლაც ყველა მკვლევარი როდი იზიარებს ამ შეხედულებას მთლიანად. წინეთ არსებობდა საქალაქო სამართლის წარმოშობის სხვა თეორიები. პირველად ყოვლისა საშუალო საუკუნოების ქალაქს უცქეროდენ, როგორც უშუალო გაგრძელებას ანტიურ მუნიციპალური წყობილებისა: საშუალო საუკუნოების ქალაქებში ხშირად იხმარებოდა რომაული ტერმინები—სენატი, კონსული, ჰურია და სხვ. და ეს გარემოება აძნელებდა ერთიდაიმავე სიტყვების შინაარსის იგივეობის შესახებ არსებულ აზრის უარყოფას. მსწავლულნი მკვლევარნი ვეო ამჩნევდენ, რომ რომაულ შერჩენილ სახელწოდების ქვეშ სრულიად ახალი ცნება გამოიხატებოდა და რომ ძველ გუდაში ახალი ღვინო იყო ჩასხმული, რომელიც უცნობი იყო უძველეს რომისათვის, და მოტანილი იყო, გერმანელების მიერ დაჩაჩანაკებულ იმპერიაში ახალი ქვეყნიდან. წინააღმდეგ მემკვიდრეობის ამ თეორიისა, რომელიც ცნობილი იყო **რომანისტულის** სახელწოდებით—და წარმოდგენილი ისეთი სახელებით როგორიც არის **ხავინი** გერმანიაში, **გიზო, ტიერი** და სხვები საფრანგეთში—ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში წამოყენებულ იქნა **ეიხგორნის** მიერ. ის მოსაზრება, რომ გერმანულ ნიადაგზე რომის მუნიციპიები იმდენად მცირე დარჩა, რომ არ შეიძლებოდა მხოლოდ მათგან ჰქონოდა წარმოშობა საშუალო საუკუნოების მრავალრიცხოვან გერმანულ ქალაქებს.

ამ უკანასკნელთა უფლებრივი წყობილება, რამდენადაც ისინი ახალი იყვენ და რომის ეპოქაში არ არსებობდენ,—**ეიხგორნის** აზრით ვითარდებოდა დამოუკიდებლათ და შემდგომი მიმართულებით. ქალაქების მოსახლეობა თავიდანვე ორ ნაწილათ იყოფოდა: ქალაქის სენიორის ყმებად (მისი familia), რომლებიც საბატონო რეჟიმის ქვეშ ცხოვრობდენ (Hofrecht) და თავისუფალ ხალხებად, რომლებიც დაქვემდებარებული იყვენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს და

იცნობდენ მხოლოდ საჯარო-უფლებრივ რეჟიმს. საქსონიის დინასტიის იმპერატორმა (მე-X საუკ.) ქალაქების სენიორებისადმი ბოძებულ პრივილეგიებით უფლებრივათ გაათანასწორეს ქალაქების მცხოვრებნი მით, რომ თავისუფალი მოქალაქენი ყმების მდგომარეობაში ჩააყენეს, თუმცა ასეთი ჩამოყენება არ იყო მთლიანად მოხდენილი: ყოფილ თავისუფალ პირთაგან და ყოფილ ყმებისაგან შეიქმნა უფლებრივი მხრივ ჯგუფი, რომელმაც დაიწყო ცხოვრება შემსუბუქებულ საბატონო რეჟიმის ქვეშ (gemildertes Hofrecht). შემსუბუქებულ რეჟიმს არ შეეძლო დაემშვიდებია ისინი, რომლებმაც დაკარგეს თავის ძველი დამოუკიდებლობა, და გამოეწვია აგრეთვე ყოფილ ყმებს შორის იმედი სენიორალური უღლისაგან სრულიად განთავისუფლებისა. ამ რიგათ ახალი რეჟიმი არ აღმოჩნდა მტკიცე და მან გააერთიანა მოქალაქენი თავისუფლებისათვის, იმ წყობილებისათვის ბრძოლის საქმეში, რომელიც ხანგრძლივი პერიპეტიების შემდეგ გამოიხატა საქალაქო თაყისუფლებაში და პრივილეგიებში. მაგრამ **ეიხგორნის** აზრით ამ რეჟიმს საფუძვლად ედება ძველი საბატონო სამართალი, და Hofrechet-ისაგან (საბატონო, სენიორალურ სამართლისაგან) შემსუბუქებისა და ბრძოლის საშუალებით წარმოიშვა Stadtrecht, საქალაქო სამართალი.

გასული საუკუნის მე-50-ან წლებში **ეიხგორნის** წინააღმდეგ მტკიცედ გაილაშქრა **ვილჰელმ არნოლდმა**. უკანასკნელის აზრით საბატონო რეჟიმი, საქსონიის დინასტიის იმპერატორების პრივილეგიებით, სრულიადაც არ გავრცელებულა ქალაქის მოსახლეობის ძველიდანვე თავისუფალ ნაწილზე, არამედ პირიქით, საბატონყმო მოქალაქენი, მოხსენებული იმპერატორების პრივილეგიების საფუძველზე, დაუახლოვდენ თავისუფალ ხალხის მდგომარეობას და წარმოიშვა სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა იმისა, რასაც ამტკიცებდა **ეიხგორნი**: არათავისუფალნი გახდენ თავისუფალნი, ხოლო თავისუფალნი ბუნებრივათ განაგრძობდენ თავისი თავისუფლებით სარგებლობას. საშუალო საუკუნოების საქალაქო თემმა, **არნოლდის** მოძღვრების თანახმად, საბოლოო ანგარიშით, მიიღო ამრიგათ სასამართლო და ადმინისტრატიული დაწესებულებები იმპერატორისა და მეფეებისაგან— გრაფების, ეპისკოპოსების ან სენიორების მეშვეობით; იმპერატორი იყო ჭეშმარიტი წყარო სამართლისა, ცხადია სახელმწიფო და საჯარო სამართლისა ხოლო საქალაქო წყობილება უშუალოდაა დაკავშირებული ფრანკის ხელმწიფების წყობილებასთან, წარმოადგენს საბატონო რეჟიმის სრულ უარყოფას. მაგრამ სულ სხვა შეხედულებას

დაადგა ნიჩი, 1859 წელს გამოცემულ წიგნში Ministerialität und Bürgertthum im 11 und 12 jahrhundert".

ნიჩის აზრით საშუალო საუკუნოების ქალაქის უფლებრივი წესები ჩამოყალიბდა საბატონო ელემენტებისაგან და ქალაქის მშენებლებათ იყვენ არა თავისუფალი ხალხი, არამედ საბატონო, სენიორალური მოხელეები, სხვადასხვა ხარისხის მინისტერიალები. თანდათანობით მსხვილი მინისტერიალები გახდენ მდიდრებათ და გავლენიან პირებათ, ცდილობდენ სენიორებისა და ეპისკოპოსებისაგან განთავისუფლებას და ქალაქის მმართველობის ხელში ჩაგდებას. ყოფილი მსახური ხალხი პატრიციები, ქალაქის არისტოკრატები შეიქნა და მტრულათ იყვენენ განწყობილი თავის ყოფილ ბატონებთან. შემდეგში ნიჩმა მნიშვნელოვნათ შეცვალა თავისი მოსაზრება, და შესაძლებელია ოტო გირკეს გავლენით მიემხრო ნაწილობრივათ გილდიურ თეორიას, რომელიც გერმანელებს შორის ძველთაგანვე გავრცელებულ სავაჭრო გილდიაში ხედავდა საქალაქო ორგანიზაციის ჩანასახს. თუ რომ დასავლეთ და სამხრეთ გერმანიაში ძველი კულტურის ქალაქებმა, ნიჩის აზრით, თავის ორგანიზაცია ბატონებისაგან მიიღეს, ეს არ შეიძლება ითქვას ჩრდილო და აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქებზე, რომლებმაც არ იცოდენ რთული საბატონო წესები და რომლებიც წარმოადგენდენ გერმანულ ახალშენებს შორეულ ქვეყნებში. ბურგის კედლებ ქვეშ და ვაჭრობისათვის მოსახერხებელ ადგილებზე სახლდებოდენ გერმანელი ვაჭრები და ხელოსნები და აწყობოდენ ერთ საერთო ასოციაციას, დიდ გილდიას, ურთიერთ დაცვის მიზნით. შემდეგმა ეკონომიურმა ევოლიუციამ გამოიწვია ამ გილდიის შინაგანი დიფერენციაცია და ვაჭრები ხელოსნებიდან გამოყო. შეინარჩუნეს რა თავის კორპორაციისათვის გილდიის სახელწოდება, ვაჭრებმა ის დახშულ არისტოკრატიულ ჯგუფად აქციეს, — რომელმაც ხელთ იგდო ქალაქის მმართველობა. ნიჩი-გირკეს ამ თეორიის შესახებ დიდი ხანია რაც აღინიშნა, რომ „სავაჭრო გილდიის გავლენა განიცადა არა ქალაქის წყობილების წარმოშობამ, არამედ მისმა განვითარებამ". კიდევ უფრო მკაცრი კრიტიკა გაეწია ნიჩის ძველ თეორიას ქალაქის საბატონო სოფელისაგან წარმოშობის შესახებ.

პირველ ყოვლისა, მოსაზრება საშუალო საუკუნოების გერმანიაში საბატონყმო მდგომარეობის დიდათ გავრცელებისა და საბატონყმო თემის ჭევრთა სამეურნეო მოღვაწეობის ბატონის სახლკარის მოთხოვნილებათა მიერ ჩანთქმის შესახებ, უნდა უსაფუძვლოთ იქნას ცნობილი. საშუალო საუკუნოების გერმანიაში ადგილი ჰქონდა თავისუფალი გლეხების მნიშვნელოვან მასებს, და მიწაზე მიმაგრებულ

გლეხებს არ შეეძლოთ ქალაქების ისეთი დიდი რაოდენობის შექმნა, რამდენიც შედარებით მოკლე დროის განმავლობაში წარმოიშვა გერმანიაში. რამდენადაც არათავისუფალი ელემენტები ქალაქად გაჰხდარ ადგილზე ცხოვრობდენ, ისინი განაგრძობდენ ქალაქში ცხოვრებას როგორც არათავისუფალნი: ქალაქის განვითარება მათ არ შეხებიათ, როგორც ეს ჩვენ დავინახეთ ალენსბახში და ნაწილობრივათ რადოლფცელში. საბატონო სახლ-კარი, მისი საბატონყმო მოსახლეობით ცალკე ზოლებათ გაწოლილი სამფლობელოების სახით, შენახულ იქნა კედლების შიგნით და წარმოადგენდა თავისუფალ საქალაქო ცხოვრების საოცარ კონტრასტს. **სამამულო** თეორიის მიერ წამოყენებული მოძღვრება საბატონყმოს გლეხების თანდათანობითი ამაღლების შესახებ არაფრით არ არის დასაბუთებული: ქალაქი არ წარმოშობილა საბატონყმო კარ-მიდამოდან, რომელიც არ თამაშობდა როლს ახალი საქალაქო ცხოვრების განვითარებაში, **ის წარმოიშვა თავისუფალი სოფლის თემიდან**, როგორც ასწავლიდა ჯერ კიდევ **გეორგ-ლიუდვიგ მაურერი** თავის ცნობილ ოთხტომიან გამოკვლევაში გერმანიის საქალაქო წყობილების ისტორიის შესახებ.

მაურერისათვის გერმანიის ქალაქის პოლიტიკური და სოციალური განვითარების ამოსავალი წერტილია თავისუფალი აგრარული კავშირი, მარკა. **მარკა-თემი** იყოფა **მარკა-სოფლებად**, რომლებიც თანდათანობით იქცევიან ან სენიორალურ ადგილებად, ან კიდევ თავისუფალ ქალაქებად. უკანასკნელის წყობილება სასოფლო ორგანიზაციის შემდეგი განვითარებაა და სოფლიდან პირდაპირი ხაზი მიდის ქალაქისაკენ.

მაურერის თეორიის მომბრეა ამ ჟამათ სხვათა შორის **გეორგ ფონ-ბელოვი** უდიდესი ავტორიტეტის მქონე ისტორიკოსი გერმანიის საშუალო საუკუნოების საქალაქო წყობილებისა. „გერმანული საქალაქო თემი (Stadtgemeinde)—სწერს ბელოვი, არის ქალიშვილი თავისუფალი სასოფლო თემისა (Landgemeinde)“. დამოუკიდებელი სასოფლო თემი უმეტეს შემთხვევაში, ასე თუ ისე, დამოკიდებული ხდებოდა სენიორისაგან, თუმცა არ გამხდარა საბატონყმო, და „ქალაქის განვითარება გამოიხატებოდა თემისათვის იმ მდგომარეობის დაბრუნებაში, რომელშიც ის იმყოფებოდა მსხვილ სენიორალური კარ-მიდამოების ჩამოყალიბების წინ... როდესაც არსებობდა ახალი საქალაქო თემები, სხვა არაფერი დარჩენილიყო გარდა იმისა, რომ ისინი ჩაესვათ იმ ჩარჩოში, რომელსაც იძლეოდა ძველი სასოფლო თემი“. როგორც ქალაქის მოსახლეობა არ წარმოშობილა საბატონო კარ-მიდამოს ყმა-გლეხებისაგან, ისევე საქალაქო სასამართლო არ

წარმოშობილა ქალაქის სენიორის საბატონო სასამართლოსაგან (Hofrecht): საქალაქო სასამართლო წარმოიშვა ერობის სასამართლოდან (Landgericht), ხოლო საქალაქო სამართალი სოფლის ოლქებში მომქმედ სამართლიდან (Landrecht) წარმოიშვა.

ღებულობს რა **მაურერის** ძირითად დებულებებს, **ბელოვი** აკრიტიკებს საბაზრო თეორიას, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ **რადოლფ-ცელსა** და **ალენსბახში** ბაზრის დაარსების შესახები სიგელის განხილვის დროს. **ბელოვის** განცხადებით ყველაფერი როდი „ასწევს ადგილს ქალაქის მდგომარეობამდე", და ქალაქის წარმოშობის დროს გადამწყვეტ როლს თამაშობს „არა ბაზარი, არამედ სავაჭრო გზა, ინდუსტრია, ნიადაგის სიმდიდრე, საერთო გეოგრაფიული პირობები". **ფრიდრიხ კეიტგენის** სახით **ბელოვმა** იპოვა ტალანტიანი თანამიმდევარი და გამგრძელებელი, რომელმაც მთელი ძალღონე მოახმარა იმის მტკიცებას, რომ საქალაქო სამართალი მტკიცეთ არის დაკავშირებული **ბურგის სამართალთან** (Burgrecht) და არა საბაზროსთან. „ბურგში უნდა იქნეს ნაპოვნი, ამბობს **კეიტგენი**, პირველი უფლებრივი საფუძველი განსაკუთრებული საქალაქო სასამართლო ოლქების მოწყობილობისთვის". ყოველ კარჩაკეტილ სივრცეს აქვს თავისი ქვეყანა (ist befriedet); **ბურგისათვის** კი მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მისი ნაგებობანი არის რეგალიები, ე. ი. ყოველი ბურგი არის სამეფო ბურგი, ხოლო ყველაფერი რაც მეფეს ეკუთვნის, იმყოფება ქვეყნის განსაკუთრებულ, უზენაესი მფარველობის ქვეშ. „არა საბაზრო ქვეყანა გახდა ბურგის ქვეყნად, არამედ უფრო პირიქით: ბურგის ქვეყანა გავრცელდა აგრეთვე გარეუბანზედაც (Vorburg), ე. ი. ვაჭართა სადგომებზე, რომლებიც დასახლდენ ბურგის მფარველობის ქვეშ. ბაზრის მოედანზე. ეს გარეუბანიც (Suburdium, Vorburg предместье) მალე კედლით იქნა შემოვლებული, მას ეწოდებოდა ახალი ქალაქი და ძველ ქალაქთან (ბურგთან) ერთად შეადგენდა **ნამდვილი** ქალაქის უძველეს ნაწილს". გამოყავს რა საქალაქო სამართალი ბურგის სამართლისაგან, **კეიტგენი** გაუგებრათ ასკვნის: „ქალაქი არ არის თუ იქ მოვაჭრე ხალხი არ იქნა დასახლებული; მაგრამ ვაჭრებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, მოაწყვეს სრულად ახალი ახალშენი, დასახლდენ უკვე არსებულ თემში გლეხებს შორის ბურგის მახლობლათ, თუ ისეთ ადგილზე, სადაც არ იყო ბურგი. ეს სრულიად შემთხვევითი საქმეა". რომ მათ კიდევაც არ დაეკავშირებიათ თავიანთი თავი ბურგთან, ამ შემთხვევაშიც მიიღებდენ ისინი ქალაქის შეღავათებს, რადგან ვაჭრებს, მათი სარგებლიანობის გამო ეძლეოდათ თავიანთი პროფესიის შესრულებისათვის

ახალი უფლებები. უკანასკნელი ეძლეოდა არა რომელიმე ვაჭარს პირადათ, არამედ ყოველთვის განსაზღვრულ ჯგუფს. წინააღმდეგ მინისტერიალებისა, ვაჭრები არ შეადგენდენ კარჩაკეტილ ჯგუფს, წოდებას ან კასტას, და მათთვის ბოძებული უფლებები არა ვაჭრებზეც ვრცელდებოდა: **სავაჭრო სამართალი** (Kaufleutrecht), ხდება ადგილობრივ სამართლად, საქალაქო სამართლად (Stadtrecht). თუ ეს ასეა, თუ რომ საქალაქო სამართლის მატარებელნი ვაჭართა ჯგუფები იყო, რომლებიც თავის სარგებლიანობისა და ურთიერთშორის მტკიცეთ შეკავშირების, ე. ი. **ასოციაციების** ან გილდიის წყალობით, იღებდენ განსაკუთრებულ უფლებებს, რომელთაც საქალაქო ეწოდებოდა,— მაშინ ბურგის საშუალებით ახსნა-განმარტება, თითქოს უკანა რიგში უნდა ყოფილიყო დაყენებული, რადგან ვაჭრების მოღვაწეობას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ბაზარზე და იარმუკაზე, რომლებიც განსაზღვრულ ადგილს აქცევდენ ქალაქისებურ სადგომათ და ბატონყმურ ბურგს აძლევდენ ნამდვილ ქალაქის ხასიათს: ამასთანავე არა თუ ძველი ბურგის არ არსებობა, არამედ ახალი ციხის კედლის აუგებლობაც არაფრით არ უშლიდა ხელს ამა თუ იმ ადგილს გამხდარიყო ქალაქად, ე. ი. ეუფლა ყველა ის უფლებები და თავისუფლებანი, რომლებითაც ხასიათდებოდა ქალაქი საშუალო საუკუნოებში. თუ რომ ბაზრისათვის სადგომის გამორჩევისათვის, რომელიც შემდეგ მუდმივ ბაზრათ უნდა გამხდარიყო, **კეიტგენის** სიტყვით, არ იყო არავითარი განსაზღვრული წესები ბურგთან სიახლოვის აზრით, თუ, რომ „ეს—სრულიად შემთხვევითი საქმეა" რადგან ვაჭრები თავიანთ საქონლის ტვირთებში ატარებენ ქალაქის ახალ ჰაერის თესლებს, თუ რომ სავაჭრო ბრუნვა იწვევს აუცილებლად თავისუფლებისა და შეღავათიანი ქვეყნის მოჩვენებას,—მაშინ რითი ღა განსხვავდება **კეიტგენი**—საბაზრო თეორიის წარმომადგენლების **ალოის შულტსა** და **რუდოლფ ზომასაგან?** სავაჭრო მოღვაწეობა შესაძლებელია მხოლოდ ბაზარზე; ბაზრის გარეშე ვაჭარი არ არის ვაჭარი.. გზაში, მგზავრობაში ვაჭარი — მოძრავი ბაზარია, პოტენციალური ბაზარი; თავის საქონელში ის ატარებს მეფის ქვეყანას, და, ის ყველგან იმყოფება მეფის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ. ის მეფის კაცია, რადგან მოღვაწეობს მეფის ნებართვით, რადგან ბაზარი არის რეგალია. მეფეს შეუძლია დაუთმოს ბაზარი სასულიერო ან საერო საქალაქო სენიორებს (Stadtherren), მაგრამ როგორც არ უნდა გასმოდა ხაზი ამ გადაცემის, მარადისობას, რამდენადაც არ ყოფილიყო განმეორებული Jure heriditario et perpetuo (სამემკვიდრო და სამარადისო უფლებით)—თეორიაში მეფე რჩებოდა ბაზრის უზენაესი მფლო-

ბელი და ის აძლევდა მას სხვადასხვა სენიორებს საექსპლოატაციოთ (Leihe).

საშუალო საუკუნოები ხომ ადვილათ ვერ ურიგდებოდენ საკუთრებაზე განსაკუთრებით კი მიწაზე, მთლიანად უარის თქმის იდეას, აი ამიტომაა რომ მიწის მიმართ ყიდვა-გაყიდვის ცნება დიდხანს არ იყო ხმარებაში: ლაპარაკობდენ მიწის სამემკვიდროთ და სამარადისოთ გადაცემაზე, მაგრამ არა გაყიდვაზე და მფლობელობის ერთი პირიდან მეორეზე გადასვლის შესახებ. თუ მაგალითად, სახლი ეძლეოდა ვისმეს მოსახმარათ იმ ანგარიშით, რომ სამუდამოთ დარჩენოდა ის მიმღებს, რომელსაც ენიჭებოდა უფლება მისი მემკვიდრეობით გადაცემისა და სხვ., მაშინ საგირაო ნივთს გამოხატავდენ ფორმულაში, რომელიც თანამედროვე გაგებით სრულიადაც არ შეიცავდა აზრს არა სრული, დროებითი დათმობისას, მაგრამ მარნც ამ ფორმულის ბოლოში მოყვანილი იყო სიტყვები, რომელიც თეორიულათ უზრუნველყოფდა ნივთის სამარადისოთ დათმობის „უფლებას:“ ეთმობოდა ყოველივე, მხოლოდ აღნიშვნით — Salvo in omnibus jure nostro, ე. ი. ჩვენი უფლების დაცვით, ეს შენიშვნა ამასთანავე იყო მოჩვენებითი, როგორც უბრალო ხარკი უზენაესი მფლობელისათვის.

ქალაქის წარმოშობის საბაზრო თეორიის მომხრეთ რამოდენიმედ შეიძლება ჩათვლილ იქნეს გამოჩენილი ბელგიელი ისტორიკოსი **ანრი პირენი** და ამჟამად გარდაცვლილი ტიუბინგენელი პროფესორი **ზიგფრიდ რიშტელი** (გარდ. 1912 წ.). პირენი აპირისპირებს ორს, ერთიმეორესაგან განსხვავებულ ქვეყანას. ძველებურს (სენიორანულს) და მოსულ სავაჭრო ქვეყნებს. საქალაქო ცხოვრება და საქალაქო სამართალი წარმოიშვა ერთ ამ ქვეყანათაგან, სახელდობრ კი: სავაჭრო ახალშენში, სენიორალური სიმაგრის კედლებთან, იმ ფობურგში, იმ სადგომში (Suburbium), რომელიც შემდეგში არა თუ თვით გახდა ბურგი, არამედ რომელმაც მიიზიდა თავისკენ ძველებური სენიორალური ციხე-სიმაგრე და ყოველივე ეს გადააქცია ნამდვილ ქალაქად. საქალაქო თავისუფლებით ამაყ ბელგიის ქალაქში, ისევე როგორც კელნში, სტრასბურგში, რეგენსბურგში, აუგსბურგში — სავაჭრო ახალშენი (ის, რომელიც მალე გახდა ახალ ქალაქათ Neustadt) იმყოფებოდა რომაულ სიმაგრეთა გარედ, ბურგის გარედ; იმყოფებოდა მის კედლებთან, ჩვეულებრივათ მდინარის ნაპირზე, რომელზედაც მიმოდიოდა სავაჭრო ხომალდები, და ახალშენი — ეს მომავალი ნამდვილი ქალაქი — წარმოადგენდა ადგილს სადაც სწარმოებდა საქონლის გადმოტვირთვა, წარმოადგენდა ნავთსადგურს, პორტს (portis, emportium). პარიზის ბაზარი, რომლიდანაც შემდეგ წარმო-

იშვა პარიზი, იმყოფებოდა არა პარიზის სიმაგრეში, არამედ მის მახლობლად, ბურგის გარეთ: ad Parisius civitate („ქალაქ" პარიზთან). მეორეს მხრივ ახალშენს ან პრივილეგიის მქონე გარე-უბანს (Siburbium), რომელსაც ეწოდებოდა უბრალო ბაზარი, უმთავრესად ეჭირა ფართო სივრცე და დიდათ შორდებოდა ქალაქის კედლებს. ასე მაგ., ლაიპციგის კედლების ირგვლივ მდებარე ადგილზე დასობილი იყო საბაზრო ჯვრები, რომლებიც ამ ადგილს ქალაქად ხდიდა, ამასთანავე ერთი ჯვარი დასობილი იყო მდ. ელსტერისა, მეორე მდ. პარტიის შუა, მესამე კონეიციის გზაზე და მეოთხე გადალმა იმ ხრამისა, საიდანაც ქვებს იღებდენ. მთელი ეს სივრცე სიმბოლო-ჯვრების მეოხებით გადაიქცა ბაზრათ, მან მიიღო ყოველგვარი შეღავათები და ის არა მარტო თვით იქცა ქალაქათ, არამედ ლაიპციგის სენიორალური სიმაგრეც გახადა ერთიან ქალაქ ლაიპციგად.

რიტშელისათვის უდიდესი ნაწილი გერმანული ქალაქებისა წარმოადგენს „ბაზრების მახლობლათ წარმოშობილ ვაჭრებისა და ხელოსნების სადგომებს", რომელთაც, ეწოდებათ ქალაქები, თუ ისინი გამაგრებულია, და ღია ბაზრები (offene Markte) თუ ისინი არაა გამაგრებული. საერობო სამართალი მათში გარდიქმნება და იქცენთება სავაჭრო სამართლის პრინციპებით. მათში გამეფებულია ბურგის მსფლმხედველობა, ან სხვა მისი მსგავსი (ein dem Burgfriedan nachgebildeter Freide) საბაზრო ადგილების სათემო წყობილება განსხვავდება სასოფლო თემის მონარქიული წყობილებისაგან; ის თავის გამოხატულებას ჰპოულობს ქალაქის საბჭოში, რომელიც ამ საბაზრო ქალაქებისაგან სხვებშიც დადის, უფრო ძველ საბურგო ქალაქებში, რომლებიც დაცულ იქნენ რომის იმპერიის ეპოქიდან. ამ რიგად, **რიტშელისათვისაც** სავაჭრო საცხოვრებელი ადგილები წარმოადგენდენ წყაროს საქალაქო სამართლისა და სპეციალური საქალაქო რეჟიმისა. მაგრამ სავაჭრო საცხოვრებელი ადგილი არის პირველ ყოვლისა და უმთავრესად—ბაზარი, ამიტომ ამ უკანასკნელისაგან უნდა ვეძიოთ წარმოშობა საშუალო საუკუნოების ქალაქების დიდი უმრავლესობისა.

(ხ. ლოზინსკი — კლასთა ბრძოლა საშუალო საუკუნის ქალაქში).

§ 8. ბრძოლა ბაზარზე კონტროლისათვის

საგულისხმოა ერთი ფაქტი, რომელსაც შეუძლია ჰეგელიანელს გული გაუხაროს; ადრინდელი ქალაქები, როგორც სჩანს, ხელს უწყობდენ ამ კომერციული თაოსნობის დამახასიათებელი ნიშნების აღ-

ზრდა-განვითარებას, რომელნიც ახლა, უკანა რიცხვით, ჩვენ მიგვაჩნია სოციალური პროგრესის მიჯნებად მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მკაცრად უპირდაპირდებოდენ და ეჯახებოდენ ფეოდალურ ინსტიტუტებს. ამგვარ დაჯახებათაგან დაიბადენ ის ინსტიტუტები, რომელთაც დაამარცხეს ფეოდალიზმი. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე სხვანაირი გეზით მიიმართებოდა, ახლადწარმოშობილი ვაჭრობა განსხვავდებოდა განსაკუთრებული და რაღაც მოდუნებული ხასიათით იქ, სადაც, როგორც იტალიასა და ესპანეთში, ქალაქელი ვაჭრები ითქვიფებოდენ ფეოდალ-ბატონებში, ან მათს მორჩილებაში იმყოფებოდენ — ვაჭრობას დამბლას სცემდა ფეოდალური კონსერვატიზმი და უძრაობა. აქ ვაჭრები ეგუებოდენ არსებულ ტრადიციებსა და საქმის მდგომარეობას, რათა სამსახური გაეწიათ მემამულე თავადაზნაურობის გემოვნებისათვის, რომელიც დროს უსაქმობასა და ფუფუნებაში ატარებდა. ამგვარ ვაჭრობას აკლდა ჭაბუკის გაბედული ცეცხლიანობა. იგი ნაკლებ გასაქანს აძლევდა ჯერ კიდევ მოუმწიფებელ კაპიტალისტურ მეწარმეს, საშუალებას არ აძლევდა რა მას გაეკაფნა გზა თავისუფალი ფულადი გარიგებათა შეოხებით. ეს იყო ვაჭრობა, მოკლებული თავისნობის სულს, რომელსაც სიცოცხლე უნდა შთაებერნა ცხოვრებისათვის და ამის მაგივრად მას უძლოდა და მართავდა ფეოდალური ტრადიცია.

საფუძველი იმ ანტაგონიზმისა, რომელიც ასეთ როლს თამაშობდა წარსულისაგან ახალი ქალაქების გაშოთიშვისა და მათში მომავლის ჩანასახთა გაჩენის საქმეში, — იყო ბაზარზე კონტროლის საჭირბოროტო საკითხები. და მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც მოქალაქეებმა საბაზრო ოპერაციების საქმეში საერთო ინტერესიანობა შეიგნეს, ჩნდება მათ შორის ის კავშირი, რომელიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ისინი communitas — თემად გადაექცია. როგორც კი ეს საერთო მოთხოვნილება შეიგნეს, სავსებით ბუნებრივია, რომ მოქალაქეებს, რომელნიც, როგორც ვაჭარნი, ყველაზე შეტად იყვნენ დაინტერესებულნი საბაზრო ფასების მოძრაობის საქმით, უნდა დაეარსებინათ კორპორაცია თავისი ინტერესების დასაცავად. სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ მოთხოვნილებამ წარმოშვა ვაჭართა გილდია. ამიტომ იყო, რომ გრეტტონმა სამართლიანად უწოდა ამ ორგანიზაციას საბაზრო გილდია, რათა ხაზი გაესვა მისი ქალაქის ბაზართან კავშირისათვის. ეს გილდია ფუნქციონალური ორგანო იყო, და თუმცა იგი მთლიანად ვერ ჰფარავდა ქალაქის ორგანიზმს, მაგრამ წარმოადგენდა მის იმ უმთავრეს ფენებს, რომელნიც ამ ქალაქს კორპორაციად აქცევდენ. იგი მოქალაქეთა ეკონომიური ორგა-

ხო იყო მსგავსად იმისა, როგორადაც შემდგომ საუკუნეებში ტრედ-უნიონი სწევდა დაქირაველებული მუშათა კლასისათვის ეკონომიური ორგანოს როლს. და როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში. მისი წარმოშობის გამომწვევმა ეკონომიურმა მოთხოვნილებებმა მოვლენათა შეწდგომი მსვლელობის დროს დაჰბადეს ფართოდ პატივსაცემი გეგმები პოლიტიკური გავლენის შესახებ.

რამდენადაც ქალაქი წარმოადგენდა ვაჭრებისა და ხელოსნების ეკონომიურ ჯგუფს, ბუნებრივია, იგი ცდილობდა უზრუნველეყო სასურველი პირობები თავის აღებმიცემობისათვის, როგორც უცხო ვაჭრებთან, რომელნიც შათ ბაზარს ეწვეოდენ ხოლმე, — ისე ახლო მდებარე სოფლებთან. მემამულე კი ბაზრით დაინტერესებული იყო, უმთავრესად, როგორც მომხმარებელი. ბაზარს მისთვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი იზიდავდა მის მხარეში მრავალ ვაჭრებს ეკზოტიური საქონელით, რომელსაც იგი იძენდა საკუთარი შამულის ნაჭარბ პროდუქტებზე გაცვლით. შეიძლება მას იმის იმედიც ჰქონდა, რომ ასევე მიიზიდავდა ქალაქში დასასახლებლად ხელოსნებს, რომელთაგან იგი იაფად მიიღებდა საქონელს და რომელთაც იგი, ალბათ, ისევე უყურებდა, როგორც თავისი მამულის ყმებს, რომელნიც მისთვის ადათის მიხედვით ასრულებდენ სავალდებულო სამუშაოს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ქალაქებში, რომლებიც ექვემდებარებოდენ საერო ან სასულიერო ბატონებს, — როგორც მყიდველ. ისე გაშყიდველ მოქალაქეთა ინტერესების დაცვის საქმეში — ვაჭართა გილდიების გამარჯვებას უეჭველად წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა.

მთავარი მემამულე მოქალაქეებს ზოგჯერ უარს ეუბნებოდა საერთოდ გილდიათა დაარსების უფლებაზე, სხვა შემთხვევებში კი ცდილობდა მისთვის ძველებურად კონტროლი გაეწია და შეენარჩუნებინა ბაზარსა და ბაზრობაზე თავისი იურისდიქცია. ასე მაგალითად, რიდინგის აბატი სარგებლობდა შეფისაგან ნაბოძებ უფლებით, რითაც თავისუფლდებოდა ბაჟებისა და გამოსაღებთაგან. ის ფლობდა მდინარეებსა და წისქვილებს და ქალაქისადმი იურისდიქციას. გილდია თუმცა უთითებდა იმ უფლებებზე, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა ედუარდ მეფის ქარტიით, მიუხედავად ამისა, მამასახლისსა ან ოსტატს აბატი ნიშნავდა და აბატისთვისვე უნდა მიეცა მას ერთგულების ფიცი. ლ ი ნ ნ შ ი, რომელმაც 1268 წ. მიიღო მეფის ქარტიით ქალაქის მერის არჩევის უფლება, ეპისკოპოსმა შეინარჩუნა ქალაქზე მნიშვნელოვანი კონტროლი და მას საშუალება ჰქონდა მინიმუმამდე დაეყვანა მისი უფლება ვაჭრობის მოწესრიგების საქმეში. სტ.-ალ-

ბანში გაიმოდა ჩივილი იმის გამო, რომ ბერები მოქალაქეებს ნებას არ აძლევდენ საკუთარი წისქვილებით ესარგებლათ და ისე ექცეოდენ მათ, როგორც „მოიჯარადრეებს, რომელნიც ვალდებულნი არიან მხოლოდ მემამულეთა წისქვილებით ისარგებლონ". შემდგომ ხანებში ქალაქი იძულებული გახდა უარი ეთქვა იმ ქარტიაზე, რომელიც წინად მოეპოებინა. ვინჩენსტერი ყოველი მხრით შევიწროებული იყო ეპისკოპოსის ხელისუფლების მიერ, ასე რომ მისი აყვავებული ვაჭრობა დაეცა და 1450 წ., როგორც გადმოგვცემენ, ქალაქში ათასაშდე სახლი დაცარიელებული იყო. ქალაქის ალაყაფის კარს ეპისკოპოსი უწევდა კონტროლს; მის ხელშივე იყო გადასახადთა და ბაჟების უმეტესი წილი, საშდინარო გემებზე დაწესებული გადასახადის თანჩართვით, — ლოდი, რომელიც განსაკუთრებული სიმძიმით აწვა მოქალაქეებს. ბაზრობის დროს ეპისკოპოსის მოხელენი ხდებოდენ ქალაქის სრული ბატონ-პატრონი და ბაზრობის შემოსავლის უმეტეს წილს სასულიერო დაწესებულებათა სასარგებლოდ ითვისებდენ. პეტერბოროში წინამძღვარმა და კაპიტულმა თვით XIX საუკუნემდე შეინარჩუნეს ქალაქის თანამდებობის პირთა დანიშვნის უფლება; ხოლო ნოტინ-ჰემში, ჰენრიხ მე-III მეფობისას, მოსახლეობა ჩიოდა: ლორდთა სხვადასხვა მოურავები თვითნებურად აწესებენ ფასებს ბაზრებზე და იძულებით გვახდევინებენ გაშოსაღებებსო. ბიურიშის ს.-ედმუნდის აბბატი განსაკუთრებული თავგამოდებით იცავდა იმ საბაზრო პრივილეგიებს, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდენ მოქალაქენი. მეცამეტე საუკუნეში მას ჰქონდა უფლება გილღიათა მამასახლისების დანიშვნისა, ქალაქის ალაყაფის კარს იგი იცავდა და მასზე იურისდიქციაც მის ხელთ იყო; ხოლო 1304 წელს კი მან საზოგადოდ უარი უთხრა მოქალაქეებს ვაჭართა გილდიის უფლებაზე. იმავე პერიოდში ექსეტერში ქალაქის ხელისუფლება ურთიერთშორის გაეყოთ ადგილობრივ ეპისკოპოსსა და დევონშირის გრაფს; 1309 წლამდე იქაურიმერი სხვა არა იყო რა, თუ არა „გრაფის მსახური, რომელიც ატარებდა ლივრეას, როგორც ერთ-ერთი მისი შინაყმა".

ადრინდელ ქალაქებს წილად ხვდათ დიდის გაჭირვებითა და ბრძოლით მიეღწიათ ამ პირობათა შეცვლისათვის. მთავრები ხელიდან არ უშვებდენ თავიანთ უფლებებს ქალაქებზე; რადგან ამ გზით უზრუნველეყოთ თავისთვის ბაზარი, რომელიც მათ აწვდიდა ხელოსანთა ნაკეთობას და უცხოეთიდან ჩამოტანილ ფუფუნების საგნებს საშინაო საჭიროებისათვის; ამიტომ ისინი, მთავრები, ძალიან დიდი ეჭვით და მტრულად ეპყრობოდენ ქალაქთა მხრით დამოუკიდებლობის სულ უბრალო შისწრაფების გამოჩენას. ხოლო ისეთ შემთხვე-

ვებში, როდესაც ისინი ქალაქის ბაზარს უყურებდენ არა მარტო, როგორც მომხმარებელნი და ბაჟების ამკრებნი, არამედ როგორც ვაჭრები, რომლებიც სხვა ქალაქებში კომერციული პრივილეგიებით სარგებლობენ, — როგორც, მაგალითად, რიდგინგის აბბატი, — მაშინ მათი მტრობა მეტიჩარა და ყოყოჩი მოქალაქეებისადმი კიდეე უფრო მკაცრად აშკარავდებოდა. ამგვარ შეშთხვევებში გილდიის წევრებს ჩვეულებრივ ბრძოლა უხდებოდათ შეკრების ელემენტარული უფლებისათვის: ფეოდალური ხელისუფლება „დილის მასლაათის" მათ ჩვეულებაში ხედავდა ისეთგვარ შეთქმულობასა და საფრთხეს, როგორადაც შემდგომ ეპოქაში მიაჩნდათ მუშათა გაერთიანებანი (გილდიები და ამხანაგობანი ტიუდორთა ეპოქისა), ხოლო უფრო გვიან, XIX საუკუნეში — ტრედუნიონები. 1191 წ. ლონდონის კომუნის მიმართ — ეს, როგორც ფიქრობენ, იყო უცხო ვაჭრების მიერ რუანიდან შემოტანილი ფორმა, — ფეოდალური მსოფლიოს დამოკიდებულება ენერგიულად იყო გამოხატული რიჩარდ დეევიზელის მიერ: „Communia est tumor plebis timor regni, tepor sacerdotis.

ამიტომ საკვირველი როდია, რომ ყველაზე ადვილად ავტონომიას მოიპოვებდენ ხოლმე ის ქალაქები, რომელნიც სამეფო დომენების ტერიტორიაზე იმყოფებოდენ, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც კონტროლი ბაზარზე უფრო იოლად იყო უზრუნველყოფილი, ვაჭართა გილდია, როგორც ვაჭარ-მოქალაქეთა ორგანიზაცია, დაარსებული ამ კონტროლის უზრუნველსაყოფად და განსახორციელებლად — ყველაზე ნაკლებ როლს თამაშობდა. ამ ქალაქებს, რომელნიც მეფის დომენთა ტერიტორიაზე იყვნენ გაშენებულნი, საშუალება ჰქონდათ შეენარჩუნებინათ თავისი პრივილეგიური მდგომარეობა იმით, რომ ეკისრათ ვალდებულება, რათა ხარკის სახით ეხადნათ უმნიშვნელო თანხა, რომელსაც ერქვა firma burgi, რომლითაც ქალაქი იბეგრებოდა, როგორც მთელი კორპორაცია. კორპორატიული პასუხისმგებლობის ასეთი წესით შეწყნარებული (დაკანონებული) უფლება ქალაქს ავალებდა თავისსავე ინტერესებისათვის ბაზარზე კონტროლი გაეწია. სხვა ქალაქებში, სადაც საქმე ისე იყო, რომ როშელისამე ფეოდალური ხელისუფლების წინააღმდეგობის დაძლევა იყო საჭირო, მოქალაქენი ჩვეულებრივად მიმართავდენ ხოლმე მეფეს და უხვი ქრთამის საშუალებით ცდილობდენ მიეღოთ ქარტია, რომელიც ქალაქის შიგნით გილდიებს ვაჭრობის მონოპოლიის უფლებას მიანიჭებდა. ასეთი ქარტიები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ჰენრიხ I და ჰენრიხ მე-II მეფობის დროს. ისინი საბოლოოდ აღიარებ-

დენ, რომ ქალაქები ისეთს კორპორატიულ ერთეულებს წარმოადგენენ, რომელთა წევრები თავისუფალნი არიან იმ ფეოდალურ ვალდებულება-ბეგარისაგან, ყმებს, რომ აწევთ კისრად. მაგრამ როგორც ზემოხსენებული მაგალითები გვიდასტურებენ, ქალაქები ძალიან ადვილ დარწმუნდენ, რომ მარტოოდენ გილდიის დამტკიცება ჯერ კიდევ ვერ სწყვეტდა მათთვის პრობლემას. იგი მხოლოდ ნიადაგს უმზადებდა ახალ ბრძოლას, რათა მათი კონტროლი ნამდვილ კონტროლად ქცეულიყო. სავაჭრო გილდიის უფლებას მცირე სარგებელი მოჰქონდა, თუ ქალაქს არ ჰქონდა საქონელის კონფისკაციისა და იმ პირთა დასჯის უფლება, რომელნიც საბაზრო წესებს დაარღვევდენ. მოქალაქეთა ხელისუფლება სავსებით ნორმალური იყო, თუ მათ არ შეეძლოთ თავისუფლად დაენიშნათ გილდიისა და ქალაქის თანამდებობის პირნი, და თუ გილდიასა და ქალაქის საზოგადოების წევრებად ახალ პირთა მისაღებად საჭირო იყო უმაღლესი ხელისუფლების თანხმობა. მოქალაქეთა კეთილდღეობა ძალიან ზარალდებოდა, თუ ლორდი ეპატრონებოდა ბაზრობათა შეგროვებას — როგორც ეს იყო ვინჩესტერში, — და თუ ვაჭრობას მძიმე ტვირთად აწვა ის გადასახადები და გამოსაღებნი, რომელთაც ფეოდალური ხელისუფლება მოითხოვდა. ამიტომ ყველაზე ცხარე ბრძოლა, იურისდიქციის დამოუკიდებლობის საკითხის — ფეოდალური სასამართლოისა და სამართლის წაგივრად ქალაქის სასამართლოისა და სამართლის — გარშემო უნდა ამტყდარიყო იმისათვის, რათა თავისი ეკონომიური კონტროლისათვის მომქმედი ძალა მიეცათ. ბუნებრივია, რომ მოქალაქენი ცდილობდენ მოეპოვებიათ პოლიტიკური უფლება, რომ ქალაქის ფარგლებში მომხდარი ყოველგვარი დანაშაული გაერჩიათ თვით ქალაქის და არა ლორდის ხელქვეით სასამართლოებს. ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევდენ, რომ კომერციული საჩივრების გასარჩევად ჰქონოდათ ტრიბუნალები, რომელნიც იხელმძღვანელებდენ lex mercatoria-თი, ანუ სავაჭრო და არა ფეოდალური სამართლით. ეს იყო უმთავრესი შეტევის მიზანი. მაგრამ შემდეგაც იურისდიქციის ამ უფლების მოპოვებისა, ხშირად დადგებოდა ხოლმე კონფლიქტის მესამე სტადია, დაკავშირებული იმგვარ საკითხებთან, როგორიცაა ქალაქის ტერიტორიის ფარგლები, ყონტროლი მდინარისა თუ დიდმნიშვნელოვანი გზებისა, ლორდის უფლება მეზობლად მდებარე პატარა ქალაქში საკონკურენტო ბაზრობის მოწყობისა.

რ. გ. გრეტონმა გამოსთქვა ის მოსაზრება, რომ ხელისუფლებისათვის და ეკონომიური სარფიანობისათვის ბრძოლაში ბრიტანეთის ვაჭართა კლასი არსებითად კონსერვატიულობითა და კონსტიტუ-

ციურობით განირჩეოდა. ვერ ჰბედავდა რა ახალი და რევოლიუციური მოთხოვნების წამოყენებას. იგი იმას ცდილობდა, რომ ძველებურ ადათ-ჩვეულებებს ჩასჭიდებოდა და ხელისუფლების მიერ წინად ნაბოძებ პრივილეგიებისთვის მიეთითებინა. ინგლისის მოქალაქეთა ხასიათის ეს თვისება, უეჭველია თვალში გეცემათ, მაგრამ იგი, რასაკვირველია სავსებით აიხსნება აქ წარმოებული ბრძოლის პირობებით. ინგლისში ქალაქები უფრო პატარები და თანაც უფრო ღარიბნი იყვნენ ვიდრე კონტინენტზე, თავდაპირველად ბევრ ქალაქს სოფლური იერი ჰქონდა და ვაჭრობა ვითარდებოდა არა იმდენად იქ უცხოელთა დასახლების გამო, რამდენადაც ჭარბი, პროდუქტების გასაღებისადმი მისწრაფებისა გამო. გარდა ამისა, ინგლისში ფეოდალურ თავად-აზნაურობაზე მეფის ძალაუფლება ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე კონტინენტზე. და მეფე ყოველთვის გულმოდგინედ ცდილობდა, დაეცვა თავისი ავტორიტეტი, დაჟინებით ითხოვდა რა სხვებსაც ეცნოთ მის მიერ გაცემულ პრივილეგიები და თავისუფლებანი. მეფის კანონი და მ ო ა რ უ ლ ი სასამართლოები ხელს უწყობდენ მთელს ქვეყანაში მისი ხელისუფლების განმტკიცებას. ხანდახან ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ მეფე მზად იყო ქალაქებს დახმარებოდა ლორდების წინააღმდეგ, იმის მაგივრად, რომ ლორდებისათვის ხელი შეეწყო მისი ქვეშევრდომების მეამბოხური და ანარქისტული მისწრაფებათა ჩაქრობაში. ჯვაროსანთა ლაშქრობის დაწყებისა და თავისი სალაროს გაღარიბების შემდგომ — მეფე მზად იყო ხოლმე ქალაქებისათვის, რაც მათ სურდად, ყველაფერი მიენიჭებინა, ოღონდ სანაცვალგებოდ მიეღო საკმაო ჩხრიალა ფული, რომელიც მას ასე ნაკლებად ჰქონდა. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ მოქალაქეები მეფის ხელისუფლებას ისე უცქეროდენ, როგორც თავის მეგობარსა და დამცველს და ცდილობდენ თავიანთი მდგომარეობის განმტკიცებას მეფის ქარტიათა შესყიდვით. ერთხელ შეთვისებულმა ამ მეთოდმა განსაზღვრა შემდგომ მთელი მათი ტაქტიკა. როდესაც ქარტიით ნაბოძებ უფლებებს ლორდი ანგარიშს არ უწევდა, მოქალაქენი მიმართავდენ ხოლმე მეფის მოსამართლეებს; ხოლო იმისათვის, რომ სახეირო გადაწყვეტილებათათვის მიეღწიათ, მათ თავის მოწინააღმდეგეებზე უფრო უკეთესად უნდა სცოდნოდათ ისტორია და კანონები, უფრო მოხერხებულად უნდა გამოეყენებიათ ტრადიციები და პრეცენდენტები. არაკონსტიტუციურად მოქმედება, ეს ნიშნავდა იმას, რომ ძირი გამოეთხარათ იმ ხელისუფლებისათვის, რომლის იმედი ჰქონდათ, რომ იგი მათ სასარგებლოდ ჩაერეოდა საქმეში. სხვა შემთხვევებში მოქალაქეთა კონსტიტუციურობა შეიძლება ყოფი-

ლიყო უბრალო რეაქციონური გულგრილობა; ხოლო არსებულ გარემოებაში იგი ისეთი სტრატეგია იყო, რომელიც ჩინებულად ეგუებოდა ადგილისა და დროის გარემოებას. ხოლო მეფესა და მისი ხაზინის კანცლერს არ ედარებოდათ რა იმიტომ, რომ ამ მეთოდის რაობა იყო: „ქრთამის სულგრძელი სისტემა; ქრთამს აძლევდენ გულუხვად და აშკარად, ქრთამი რეგისტრირდებოდა ოფიციალურ ანგარიშგებებში“.

მიუხედავად ყველა ამისა, ინგლისში ხელისუფლებისათვის ბრძოლა ხშირად ცხარე და რევოლიუციონურ ფორმას ღებულობდა. ეს ყველაზე უფრო ხშირად ხდებოდა რომელსამე საეკლესიო დაწესებულების, ხელისუფლებისათვის დაქვემდებარებულ ქალაქებში. ხშირად ქალაქები აშკარად არღვევდენ ლორდის მიერ შემოღებულ შემზღუდველ წესებს, რასაც ამბოხება მოჰყვებოდა ხოლმე. 1309 წ. ექსეტერში მოქალაქეებმა მოახდინეს დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ გრაფი და ეპისკოპოსი აპირებდენ ბაზარზე გამოტანილი მთელი თევზეულობის შესყიდვას. მოქალაქეთა საერთო მოთხოვნის გამო მერი იძულებული გახდა ბრძანება გაეცა, რომ შემოტანილი საქონლის ერთი მესამედი მოქალაქეთა საჭიროებისათვის გადაედვათ. ამგვარი საქციელის გამო გრაფთან დაბარებულმა მერმა თან წაიყოლა ბლომად მოქალაქენი და უარი სთქვა საგრაფო ლივრეაზე. რიდინგში ხანგრძლივი შეტაკება წარმოებდა აბატთან, რომელიც შეჩერდებოდა ხოლმე მხოლოდ დროებითი შეთანხმების გამო. 1243 წ. მომხდარი არეულობის დროს მოქალაქენი „დღისით და ღამით უდარაჯებდენ აბატის მოურავებს“, ხოლო შემდგომ საუკუნეში მერმა აშკარად უარი განაცხადა აბატის ბოქაულისათვის მორჩილებაზე. ნორვიჩში აშკარა ომი წარმოებდა ქალაქსა და ტაძარს შორის. მოქალაქენი ჩიოდენ — რომ ბერები ეხმარებიან და თავშესაფარს აძლევენ ქალაქის კანონთა დამრღვევებსაო. 1272 წ. მომხდარი არეულობის დროს საკრებულო ტაძარი ძირიანბუდიანად გადაჰბუგეს. ზოგიერთ შეჯახებაში ქალაქებს, როგორ სჩანს, ამბოხებისათვის აქეზებდენ ლონდონის მოქალაქეების მიერ დაგზავნილი ემისარები. ბიურის ს.-ედმუნდსში 1327 წ. მოქალაქენი შეევარდენ სააბატოში და იძულებული გახადეს აბატი, რათა მათთვის სავაჭრო გილდიის დაარსების ნება მიეცა. მათ ძალით გაიტაცეს საბატოს სალარო და დოკუმენტები, დაითხოვეს აბატის მიერ დანიშნული შამასახლისი და ქალაქის მეკარენი. ს. ალბანსის მოქალაქენი საშინლად გააბრაზა აბატმა, რომელმაც აუკრძალა მათი საკუთარი სათელი წისქვილებით სარგებლობა. ისინი იმავე წელს გარს შემოერტყნენ მონასტერს და ათ დღეს

ალყა არ შოუხსნიათ, რითაც ბოლოსდაბოლოს, იძულებული გახდა აბატი მიეცა მათთვის ქარტია, რომლითაც იგი აღიარებდა, სხვათა-შორის, უფლებას, რომ მოქალაქეთ საკუთარი სასამართლო ჰქონოდათ. მაგრამ სამი წლის შემდეგ შეიხდარ შეტაკების დროს, როდესაც მოკლულ იქნა აბატის მარშალი, მოქალაქენი იძულებულნი გახდენ უკან დაებრუნებიათ თავიანთი ქარტია. ამდენ ამბით აღსავსე 1327 წელს წილად ხვდა ენახა ისიც, თუ აბინგდონში ხალხმა, რომელსაც შეუერთდენ ოქსფორდელი მოკავშირენი, როგორ შემოარტყა ალყა სააბატოს, დასწვა ალაყაფის კარები და აბატს, ხელიდან გამოგლიჯა თანხმობა, რომ ქალაქს საკუთარი მმართველების ყოლის უფლება ჰქონოდა.

ასეთი შეტაკებები ხშირად გრძელდებოდა ხოლმე ქალაქებისათვის ავტონომიის მინიჭების შემდეგაც. კენტერბერიში მე-XIV ს. ხშირად წარმოიშობოდა ხოლმე დავა ქალაქსა და არქიეპისკოპოსს და ქრისტეს ეკლესიის მონასტერს შორის. ქალაქი ჩიოდა, რომ მონასტერი არ ასრულებს საბაზრო წესებსო და არქიეპისკოპოსი ანხორციელებს, — ქალაქის საზარალოდ, — თავის იურისდიქციას შეზობლად მდებარე სოფელ უინჰეისა და ვესტჰეტშიო. არქიეპისკოპოსს ხსენებულ სოფლებში დაეარსებინა ცალკე ბაზარი და მოქალაქენი ამტკიცებდენ, რომ უინჰემის მცხოვრებნი თავის ბაზრისათვის ეზიდებიან იმ საქონელს, რომელიც სხვა გარემოებაში, კენტერბერიისაკენ წამოვიდოდაო. დავა ატყდებოდა ხოლმე აგრეთვე საზღვრების გამო, როდესაც ჩვეულებრივად — მერი და ქალაქის საბჭო გამართავდენ ქალაქის „საზღვრების დათვალიერებას", სათანადო მიჯნებთან ბავშვებს ლითონეულ ფულებს ურიგებდენ და პროცესიას ამთავრებდენ ფოოდუიჩს ახლო მინდორში „წაქეიფებით". ერთს შემთხვევაში შეტაკებამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ შეიარაღებულ ბრძოლად გადაიქცა და ანაფორასქვეშ იარაღმქონე ბერებმა დამარცხება განიცადეს. მოქალაქეებმა აჰყარეს მდინარეზე გადებული ხიდი, რომელიც მონასტერს გაეკეთებინა, ხოლო უკანასკნელს ალყა შემოარტყეს და ბლოკადა გამოუცხადეს.

ამგვარსავე ბრძოლას ადგილი ჰქონდა ბრისტოლშიაც. აქ უჩიოდენ ლორდ ბერკლეებს, რომელნიც საკუთრად იჩემებდენ მდინარეს. თავის სამფლობელოდ მიაჩნდათ იგი და საკუთარი ბაზარი ჰქონდათ გამართული რედკლიფ-სტრიტში. ქალაქს, მდინარეზე ლორდის მიერ დაწესებული კონტროლი, თავისი ვაჭრობისათვის შემზღუდველად მიაჩნდა, ხოლო რედკლიფს არსებული ბაზარი კონკურენციას უწევდა ქალაქის ბაზარს — ამას მოჰყვა ის, რომ 1305 წ. მოქალაქენი თავს

დაესხნენ და სახლში შეუცვივდენ მორის ბერკლეის. რის პასუხადაც ახალგაზრდა ლორდი თავს დაესხა ბრისტოლს „მრავალი ცხენოსნითა და ქვეითით". ქალაქის მცხოვრებთა — შესაძლებელია გადაჭარბებული — ცნობით იგი ცხენებით ფეხქვეშ სთელავდა ქალებს, მან ხელთ იგდო საპყრობილე და სასამართლო, რომლებიც ბრისტოლელ ვაჭრებს ეკუთვნოდენ. მხოლოდ 1332 წ. მოხერხდა დავის საბოლოოდ მოგვარება, როდესაც შეფემ სადავო უფლებანი მერს მიანიჭა და სამაგიეროდ 40 გ. სტერლინგი მიიღო.

ქალაქების ამ ბრძოლასა და მებრძოლ კონსტიტუციონალიზმს, — რომელმაც თავი იჩინა ამ ბრძოლაში — ძალიან საინტერესო შუქსა ჰფენს ექსეტერის ისტორიის ერთი ამბავი. 1309 წ. გრაფის წინააღმდეგ მერის პირველი და მეამბოხური გამოსვლის შემდეგ გრაფისა და ეპისკოპოსთა ბრძოლა, როგორც სჩანს, უფრო ნაკლები დრამატიული სახით გრძელდებოდა. მთელი საუკუნის განმავლობაში მოქალაქეთა უფლებრივი წარმატება უმნიშვნელო იყო. გრაფს ეკუთვნოდა ქალაქის მნიშვნელოვანი განაპირა უბანი, იგი კონტროლს უწევდა მდ. ექსსზე ნაოსნობას, ხოლო მერის იურისდიქცია მკაცრად იყო განსაზღვრული. მე-XV საუკუნეში მოქალაქეებს აერჩიათ მერად ვინმე ჯონ შილინგსფორდი, ყოფილი მემამულე-აზნაური, რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უფრო კარგად იცნობდა არსებული საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს, ვიდრე საშუალო მოქალაქენი. შილინგსფორდი პირველად უარობდა მერობის თანამდებობის სიშიმის თავზე აღებას. მაგრამ 1445 წ. მოხდა შეტაკება ტაძართან იმის გამო, რომ ქალაქის ბოქაულმა ტაძარში დააპატიმრა მოსამსახურე კაპიტული. ამან თუ სხვა რამ მიზეზმა შილინგფორდში, როგორც სჩანს, მოქალაქის პატრიოტიზმი გააღვიძა. შემდეგ ამისა საქმეებში ქალაქის ინტერესების შესახებ იგი უკვე მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. 1446 წ., მისი ხელმეორედ მოურავად არჩევისას, მან იკისრა ხელმძღვანელობა ქალაქის შეტევისა მტრების წინააღმდეგ და აწარმოებდა მას სტრატეგიის ყოველგვარი წესების დაცვით. საინტერესოა ამ სტრატეგიის ხასიათი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალაქს შიგნით ეკლესიასა და მოქალაქეთა შორის აშკარა ბრძოლა სრულიად არ წარმოებულა. შილინგსფორდმა სხვა მეთოდს მიმართა, — იგი ძალიან ხშირად დაიარებოდა ლონდონში, სადაც ენერგიულად ეწაფებოდა ისტორიულ და იურიდიულ გამოკვლევებს. ლონდონში იგი დაუღალავი იყო, ხშირად ხვდებოდა და ეგაასებოდა ცნობილ იურისტებს, მთავარ მსაჯულს, ხაზინის მოხელეებს და ლამბეზის სასახლეში იგი გამოჩენილ და გავლენიან პირთა მიმართ მრავალგვარ ფორ-

მალობათა და ცერემონიათა ასრულების მკაცრი სიზუსტის ნიმუშად ითვლებოდა. იმავე დროს იგი წერილობით ხელმძღვანელობდა ქალაქის მოქმედებას: დაწვრილებით აუწერდა, თუ რანაირ ტაქტიკას უნდა დასდგომოდენ ქალაქის მოსამსახურეები ტაძრის მიმართ; ურჩევდა, ამა-და-ამ მოსამართლეებს კარგად გაუმასპინძლდით, კანცლერს ძღვნად გამოუგზავნეთ საუკეთესო თევზეულობა, „ზღვის ლოკოკინები, 400 ცალი გამხმარი მერლანი ან თევზი, რომელსაც კრაბი ეწოდებაო". ერთ წერილში იგი უსაყვედურებს მოსამსახურეებს იმის გამო, რომ მერლანები გვიან იქნა მიღებული, ის იმ დროისთვის ვერ მიუვიდა კანცლერს, როდესაც მასთან ფრიად საყურადღებო ბაასი მქონდაო.

ევროპის კონტინენტზედაც ვაჭართა კლასის ბრძოლის ფორმა არც თუ ძალიან განირჩეოდა ინგლისურისაგან, ვინაიდან მოძრაობას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა და იგი იყო „რასისა, ენისა თუ საზღვრებისაგან დამოუკიდებელი სოციალური პირობების შედეგი". განსხვავებას მხოლოდ ის ჰქმნიდა, რომ კონტინენტზე ფეოდალური არისტოკრატია საერთოდ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ინგლისში, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება — საერთოდ ბევრად სუსტი. ამასთანავე ეკლესიის ძლიერებაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო: იგი წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომელსაც შეეძლო სახელმწიფოს დაპირდაპირებოდა. ევროპის კონტინენტზე იქ, სადაც ფეოდალების, როშელიმე არსებითს ინტერესებს დაემუქრებოდა ხოლმე ქალაქის ზრდა და გაძლიერება, მოქალაქენი მორჩილებაში ჰყავდა ისეთ ძალას, რომლის დაძლევა არც თუ ისე ადვილი იყო უმაღლეს ხელისუფლებისადმი მიმართვით, როგორც ეს შეიძლებოდა ინგლისში. ამის შედეგი მსგავს შემთხვევებში იყო ის, რომ განვითარების გზაზე მდგარ ბურჟუაზიის ბრძოლას ძალმომრეობითი და რევოლიუციონური ფორმების მიღების ტენდენცია ჰქონდა. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. როგორც ინგლისში, ისე კონტინენტზე, ყველაზე უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა საეკლესიო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას; მაშინ როდესაც ბევრი საერო მფლობელი ხშირად მზად იყო მიეყიდა მოქალაქეებისათვის პრივილეგიები.

ასე, მაგალითად, ფლანდრიაში ქალაქების გაძლიერებას ფაქტიურად ხელს უწყობდენ გრაფები. ამ შემთხვევაში მდგომარეობა ძლიერ წააგავდა ინგლისში არსებულს. უკვე მე-XI საუკუნეში გრაფი რობერტ ფრიზელი იწყებს პრივილეგიების გაცემას: ანიჭებს ქალაქებს საბაზრო გადასახადთა აკრეფისა და დამოუკიდებელი იურისდიქციის უფლებას. გრაფები ერთს ადგილას როდი ცხოვრობდენ.

ისინი გადადიოდენ რა ერთი ადგილიდან მეორეში, სარგებლობდენ სხვადასხვა მამულის პროდუქტებით. რის გამოც ისინი არც თუ ასე ძალიან იყენენ დაინტერესებულნი ამა თუ იმ ადგილობრივი ბაზრისათვის კონტროლი გაეწიათ. ამასთანავე მათ საკმაო ჭკუა ჰქონდათ, რომ დაენახათ, თუ რა მდიდარს შემოსავლის წყაროს წარმოადგენდენ ქალაქები, თუმცა უნდა ითქვას კი, რომ ყველა ქალაქი როდი იყო ასეთ ხელსაყრელ შდგომარეობაში; მათ უხდებოდათ ბრძოლა ფეოდალ მფლობელთა და მისი ციხე-კოშკისა, ან ეპისკოპოსისა. და მისი ტაძრის წინააღმდეგ. მეთერთმეტე საუკუნისათვის მრავალი ასეთი ქალაქთაგანი ახალ თემად ჩამოყალიბდა იმის გამო, რომ მათში დასახლდენ გარედან მისული ვაჭრები; ეს ვაჭრები აარსებდენ გილდიებს, ხშირად აშენებდენ აგრეთვე გილდიის შენობას, რომელიც ქალაქთა გაღვიძებული გათვითცნობიერების დედაგულად იქცეოდა. მაგრამ როგორც ინგლისში, ისე ევროპის კონტინენტზეც მარტო გილდიის არსებობა არ კმაროდა, თუ მის წევრებს არ ჰქონდათ უფლება ვაჭრობისადმი თავისი კონტროლი ნამდვილ და მომქმედ კონტროლად ექციათ. ამიტომ გაჩაღდა ბრძოლა ქალაქის ფარგლებში გილდიის იურისდიქციის უზრუნველყოფის მიზნით.

ფორმა, რომელშიაც გამოიხატება ეს ბრძოლა გარემოების მიხედვით სხვადასხვანაირი იყო. იმ შემთხვევაში, როდესაც ქალაქს სერიოზული წინააღმდეგობა არ ხვდებოდა, იგი ცდილობდა მთავართა ციხე-კოშკის ტრიბუნალის იურისდიქცია — მოქალაქეთა შორის ამორჩეული, — ეგრეთწოდებული ეშევენების იურისდიქციით შეეცვალა. ეს ეშევენები მაშინ ქალაქის წარმომადგენლებად იქცეოდენ და თანდათანობით აფართოებდენ თავიანთ ხელისუფლებას. ისინი მართლმსაჯულებას აწარმოებდენ და განაგებდენ ქალაქს „საქალაქო საზოგადოების ახალი კანონის მიხედვით; ისინი იკრიბებოდენ უკვე არა ციხე-კოშკში, არამედ ქალაქის კედლებს გარეთ — საბაზრო შენობაში, ან სამრეველო სასაფლაოზე". წინააღმდეგ, ქალაქ ლიეჟში, კამბრეესა და უტრეხტში. რომელნიც საეპისკოპოსო ქალაქებს წარმოადგენდენ, ეპისკოპოსებს ეშევენები თავის მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყავდათ. ასე. მაგალითად, მეთერთმეტე საუკუნეში ლიეჟის ოლქში ქალაქებმა შეისყიდეს საკუთარი სასამართლოს-უფლება. მაგრამ ეს სასამართლო იმავე საეპისკოპოსო სასამართლოდ დარჩა, რადგან მას ნიშნავდა ეპისკოპოსი და ისიც არა მოქალაქეთა, არამედ მ ი ნ ი ს ტ ე რ ი ა ლ ე ბ ი ს წრიდან. ამის გამო ამ ქალაქებმა მეთორმეტე საუკუნეში დაიარსეს საკუთარი საბჭოები, რომელთაც უწოდებდენ jures (მოსამართლეებს, მსაჯულებს) ანუ jurati-ს (ნაფიც მოსა-

მართლეებს), რათა წინააღმდეგობა გაეწიათ გარეშე ძალის ჩარევისათვის. მართლაც ეს საბჭოები, რომლებშიაც ეპისკოპოსები მომავალ საშიშროებას ჰხედავდენ და რომელთა მოსპობას ცდილობდენ — სავსებით გარკვეულად რევოლიუციის იარაღად გადაიქცნენ. უკვე 1077 წ. ქალაქი კამბრე ეპისკოპოს ჟერარ II-სთან ბრძოლის დროს აჯანყდა, ხელთ იგდო ქალაქის ალაყაფის კარი და გამოაცხადა პირველი კომუნა. ექვსი წლის განმავლობაში ქალაქი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახით არსებობდა. ამ შესანიშნავ მაგალითს წაჰბაძა პიკარდიის საეპისკოპოსო ქალაქთა უმრავლესობამ — ნოიონმა, ბოვემ, ლაონმა, ამიენმა და სუასონმა. ექვსი წლის შემდეგ იმპერატორის ბრძანებით, კამბრეს კომუნა გაუქმებულ იქნა; მაგრამ მე-XIII საუკ. ყველა საეპისკოპოსო ქალაქში ხელახალი აჯანყებები მოხდა იმ მიზნით, რომ ნაფიც მოსამართლეთა (jurati) სასამართლო ხელისუფლების აღიარება მოეპოებინათ.

ასეთსავე ბრძოლას ჰქონდა ადგილი ხსენებულ პერიოდში ჩრდილოეთ იტალიაშიაც, სადაც იგი თითქმის ორ საუკუნეს გრძელდებოდა მტკიცედ გაშაგრებული თავად-აზნაურობისა და მდიდრისა და გავლენიანი ეკლესიის წინააღმდეგ. სადაც ეპისკოპოსებთან ბრძოლა, როგორც სჩანს, მოქალაქეთათვის გამარჯვებით გათავდა უფრო ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებში: მე-XIII საუკუნის დამლევს ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ საეპისკოპოსო ქალაქებში მოქალაქეებს „პრელატების ხელისუფლება გაუქმებამდე მიეყვანათ და ქალაქები გვეხატებიან სრულიად თავისუფალ რესპუბლიკებად". მაგრამ ამ ბრძოლების შესახებ ძალიან ნაკლები ცნობებია დარჩენილი. დანარჩენ ქალაქებში ბრძოლის შედეგი დიდხანს გაურკვეველი და საეჭვო რჩებოდა. ფილანიდან თავადაზნაურობა განდევნილ იქნა მე-XI საუკუნეში და 1055 წ. მან ქარტია მიიღო იმპერატორისაგან. 1150 წ. კი ლომბარდიის არისტოკრატიის უმრავლესობა იძულებული გახდა მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო მოქალაქეებისადმი, ხოლო ზოგან ისინი სავსებით განდევნეს ქალაქიდან. მაგრამ საქმე ამით როდი გათავებულა, რადგან არისტოკრატია განაგრძობდა ინტრიგებს პრივილეგიების უკანვე დასაბრუნებლად; და როგორც სჩანს, მან მოახერხა კიდევაც ესარგებლნა მოქალაქეთა შორის ამტყდარი ბრძოლით, რათა თავისი დაკარგული ძალაუფლება აღედგინა. ამის შედეგი იყო, რომ ქალაქებში მე-XIII საუკ. კვლავ ამბოხებანი და აჯანყებები ხდებოდა. პიაჩენცაში, მაგალითად, 1222 წ. მოქალაქეებმა მოიპოეს უფლება, რომ საზოგადოებრივი თანამდებობათა ნახევარი თვითონ დაეკავებინათ, ხოლო შემდგომ ხანებში კი სავსებით ჩამოაშორეს

არისტოკრატია ხელისუფლებაში მონაწილეობას. მაგრამ, როგორც სჩანს, საქმე უფრო ხშირად კომპრომისით თავდებოდა. არისტოკრატიასა ან, ყოველ შემთხვევაში, დაბალ' თავადაზნაურობას, (valvassori-ებს) — და უფრო მდიდარ ვაჭართა შორის. ასე მოხდა, მაგალითად, ფლორენციაში, სადაც თანამდებობანი გაინაწილეს არისტოკრატიამ და შვიდმა უმთავრესმა გილდიამ. მონოპოლიათა შემოსავლით ზიარად სარგებლობდენ ფეოდალები და მოქალაქენი. რის გამო არისტოკრატიის ნაწილი ხელს იღებდა თავის საშუალო საუკუნოებრივ ზნე-ჩვეულებებზე და ვაჭრობაში მონაწილეობას ღებულობდა; ამან მძლავრად იჩინა თავი, მაგალითად, ვენეციაში. ხოლო მეორე მხრით ვაჭრებიც ცდილობდენ გარეგნობით ფეოდალებს დამსგავსებოდენ და თავად-აზნაურობის ცხოვრების შესახებ ფეოდალური შეხედულებანი შეეთვისებინათ. ისინი მკაცრად აღრჩობდენ თემის სხვა ჯგუფთა თაოსნობას და გამდიდრების ძველისა და ნაცად საშუალებათა დაცვაში დიდს კონსერვატიზმს იჩენდენ. გარდა ამისა ისინი თავის ენერგიასა და საშუალებებს ხარჯავდენ იმ ფეოდალურ ბრძოლა-ქიშპობაში, რომელიც არ შენელებულა საშუალო საუკ. იტალიაში. ამის შედეგი ის იყო, რომ მე-XV — მე-XVI ს. ს. კომერციული თაოსნობა ნელინელ ჰქრებოდა. იმ ხანებში იტალიის ქალაქთა დიდება და სახელი უკვე წარსულს ეკუთვნოდა და როდესაც აღმოსავლეთის ძველი გზები დაკეტილი აღმოჩნდა და აღორძინება იწყეს ატლანტიის ოკეანეს მეტოქე გზებმა, ლომბარდიის ნახევრადფეოდალურმა ვაჭრებმა ახალი პირობებისადმი შეგუების სრული უუნარიანობა გამოიჩინეს. „თაოსნობა-საქმიანობის სული სადღაც გაჰქრა. მოგება-გამდიდრებისადმი მისწრაფება და ვაჭრობის საქმით გატაცება შესცვალა ნახევრად არისტოკრატის, ნახევრად დამოუკიდებელი, მდიდარი კაცის წყნარმა და მშვიდმა ცხოვრებამ... ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილებისადმი ამ მიდრეკილებას უწოდებდენ „ესპანიური ყაიდის ცხოვრებას". მისი დამახასიათებელი ნიშანი იყო შრომისადმი ზიზღი და არისტოკრატიული ტიტულებისადმი მისწრაფება".

ზემოდ დასახელებული გზებით, საბაზრო უპირატესობათა შესახებ უბრალო ეკონომიური საკითხი თითქმის ყველგან პოლიტიკურ კონფლიქტად იქცეოდა, რომელშიაც ახალი ეპოქის ძალები ფეოდალური საზოგადოების ძალთა წინააღმდეგ გამოდიოდენ. ეს ბრძოლა ჰბადებდა ფსიქოლოგიურ კრიზისს და იქ სადაც ბრძოლა ახალი ელემენტების საკეთილდღეოდ თავდებოდა, იმარჯვებდა ახალი იდეოლოგია, რომელსაც ახალი ზნენი და ახალი მორალური შეხედულებანი

ახასიათებდა: რაც გაელენას ახდენდა სოციალურსა და ეკონომიურ განვითარებაზე. ბრძოლის შედეგზე იყო დამოკიდებული, თუ ვის დარჩებოდა კომერციული თაოსნობის ფუნქცია. ვის ხელში დარჩება იგი: ლორდის მოურავის, ეპისკოპოსის მსახურ პირთა, აბატისა თუ საეკლესიო შუამავლებისა? ან, იქნებ, იგი ხელთ ჩაუვარდეს ახალ, გაუნათლებელსა და გამოუცდელ ხალხს, რომელიც ისეთს ელემენტებს შეშოიტანს, რომელიც ძველმა საზოგადოებამ არ იცოდა, თუ როგორ შოეშორებინა თავიდან. მომხდარი ცვლილება, ხელს უწყობდა განსაკუთრებით ინგლისში, შემდგომი საუკუნეების კომერციულ აყვავებას. ქალაქთა გამარჯვებამ „განათავისუფლა კაპიტალისტური სული", როგორც გამოსთქვამს ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი. მან დაანგრია წოდებათა, სამსახურებრივ ურთიერთობათა, ტრადიციათა წინაშე ქედმოხრის ,ძველი, შეზღუდული სტრუქტურა და ამის მაგივრად დაადგინა ურთიერთობისა და გაცვლა-გამოცვლის ახალი საფუძველი და ახალი იდეები ეკონომიური ძრაობის შესახებ. მაგრამ რასაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თემისათვის ეს ისაა, რომ იმან წინ წამოაყენა ახალი პატივმოყვარე ხალხი, რომელიც თავისუფალი იყო გარეგანი ბრწყინვალებისა და კეთილშობილობის შესახებ ფეოდალურ წარმოდგენათაგან და ამრიგად მათი ოცნება მიმართული იყო იმნაირი გზით ამაღლების შესაძლებლობისაკენ, რომელიც ფეოდალიზმისათვის უცნობი იყო. ბუნებრივია, რომ ამ ადამიანებმა, იმის გამო, რომ ყოველთვის საქმე ჰქონოდათ ჩხრიალა ფულთან, გააუმჯობესეს ანგარიშისა და გამოანგარიშების სისტემა და მეთოდი, და რაოდენობრივი გაზომვიდან მათ შეჰქმნეს ახალი ეკონომიური ცხოვრების საფუძველი.

(მ. დ ო ბ ი — კაპიტალისტური მეურნეობის წარმოშობა და განვითარება).

§ 4. „მისწრაფება ქალაქში"

ჩვენ ამდენხანს ვლაპარაკობდით ქალაქთა მხოლოდ პირვანდელ შემქმნელებზე ე. ი. უმთავრესად მიწათმფლობელებზე, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ქალაქთა წარმოშობითა და მათი „ეკონომიური" ლონისძიებათა გაფართოებით. მაგრამ იმისთვის რათა ქალაქი რეალურად შეიქმნას აუცილებელია ქალაქთა წარმოშობის ობიექტებიც. ამიტომ ქალაქთა ისტორიამ უნდა გამოარკვიოს საკითხი იმ მოტივების შესახებაც. რომლებიც ქალაქის კედლების მფარველობის ქვეშ იზიდავდა ადამიანებს.

ამ ადამიანთა ნაწილი უკვე ადრევე ცხოვრობდა იმ ადგილას, სადაც წარმოიშვა ქალაქი; ამათ მიეკუთვნებოდა ყველა შინა-მოსამსახურენი, ამ სიტყვის რაც შეიძლება ფართო გაგებით, ყველა „ადამიანები, რომლებიც პირადათ ემსახურებოდენ „ძმობათა“ და ეკლესიას (და ასევე. სხვა მემამულეთ)“, ამას გარდა სამრეწველო მუშები, რომლებიც ადრე მემამულისათვის მუშაობდენ და თანდათან (როგორც ჩვენ დავინახეთ) გადაიქცევენ დამოუკიდებელ ხელოსნებათ. ყველა ეს ადამიანები და მათი შთამომავალნი შეადგენდენ ძირითად კადრებს, რომლებიც ავსებდენ ქალაქს.

შემდეგში მათთან შეერთება იწყეს მოსულ ელემენტებმა, რამდენადაც უკანასკნელნი იწყებდენ ბინადარ ცხოვრებას: მე მხედველობაში მყავს მოხეტიალე ხელოსნები, რომელთა შესახებ ჩვენ მოგვითხრობენ წყაროები.

მაგრამ, თუ ვიმსჯელებთ მრავალი ნიშნების მიხედვით, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქალაქო მოსახლეობის ძლიერ მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოსდგა იმ ადამიანთაგან, რომლებიც სოფლებიდან გადასახლდენ ქალაქში.

სამწუხაროთ ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ეს ჩასახლება ნამდვილად ხდებოდა, და შედარებით დიდ ციფრებში გამოიხატებოდა. ყოველივე დანარჩენზე მხოლოდ მიხვედრით შეგვიძლია მსჯელობა, რადგან წყაროების საფუძველზე ძლიერ, მცირედი რამის დადგენა შეიძლება.

სოფლიდან ქალაქში გადასახლებამ მასიური ხასიათი რომ მიიღოს, ამისთვის საჭიროა ერთმანეთს ემთხვეოდეს პირობათა ორი წყება: სოფელი უნდა დევნიდეს მცხოვრებლებსა, ხოლო ქალაქი კი მათ თავისკენ უნდა იზიდავდეს.

იმ საუკუნეებში, რომელთა განმავლობაში მტკიცდებოდა ქალაქთა შინაგანი ცხოვრება, სოფლის მცხოვრებთა არსებობა დამძიმებული იყო უმთავრესად შემდეგი გარემოებათა წყალობით.

1. მე-X საუკუნეში ცხოვრება სოფელში მეტად არა უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა ხალხების შემოსევათა გამო, რომლებიც ძარცვავდენ მოსახლეობას, და ადგილობრივ რაინდთა თარეშების წყალობით. მეტად დაწვრილებითი აღწერა ამ მდგომარეობისა მოცემულია მეორე ტომში ფ ლ ა ხ ი ს წიგნისა, რომელიც მეტად დიდ მნიშვნელობას მიაწერს (საფრანგეთის განვითარებისათვის) სოფლის მოსახლეობის არაუზრუნველყოფილ მდგომარეობას. მაგრამ სხვა ადგილებისათვისაც 1000 წლის ახლოს შექმნილი სიტუაცია შეიძლება

დახასიათებულ იქნას, ერთი სიტყვით: არაუზრუნველყოფილობა. ამითვე აიხსნება საქალაქო კედლების აშენებაც *).

2. მრავალ ადგილებში საბეგრო (საბატონო) ვალდებულებანი მეტისმეტად მძიმე იყო. ყოველ შემთხვევაში ასე გვატყობინებს ჩვენ ერთი ბერი შესახებ სამოქალაქო მიწათმფლობელებისა, რომელთაგან გარბოდენ ყმა-გლეხები, რათა თავშესაფარი მონასტერში ეპოვნათ: „ეკლესიას ჰყავდა კაცების დიდი რაოდენობა, რომლებიც გადმოვიდენ ჩვენი სამართლის გამგებლობაში, რადგან მათი საკუთარი მებატონეები მათ ავიწროებდენ და ადებდენ აუარებელ ბეგარებს; მათგან ზოგნი იყვნენ შიწის მუშები, სხვები მეღვინეები, დანარჩენნი პურის მცხობელები, თერძები, მჭედლები და ასევე ვაჭრები და ხელოსნები, რომლებიც სხვადასხვაგვარ ნივთებს აკეთებდენ".

ის ფაქტი, რომ ქალაქებში მოედინებოდა აუარებელი ყმა-გლეხები, ამტკიცებს, რომ მათთვის აუტანელი შეიქნენ საბატონო ბეგარები.

3. მე-XII საუკუნიდან დაწყებული ზოგიერთ ადგილებში მემამულეებმა გაძლიერებულად იწყეს დამოუკიდებელ გლეხებისათვის მიწის ნაჭრების ხელიდან გამოცლა. ეს გაყვლეფილი გლეხები ჭკარგავდენ ყოველგვარ შესაძლებლობას მიწიდან საზრდოს მიღებისა.

უნდა ვიფიქროთ, რომ პერიოდში მე-IX საუკუნიდან მე-XII საუკუნემდე და შემდეგ, — ყოველ შემთხვევაში მრავალ ქვეყანაში, — ხდებოდა მოსახლეობის სწრაფი და ძლიერი ზრდა, რის წყალობითაც კიდევ უფრო იზრდებოდა ადამიანთა არმია, რომლებიც მიწებიდან (სოფლებიდან) მიდიოდენ. ეს ადამიანები სახლდებოდენ საკოლონიზაციო ქვეყნებში ან-და ავსებდენ ქალაქებს.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რითი იზიდავდენ ქალაქები მიწიდან მოწყვეტილ ადამიანებს თავისკენ: ეს უკანასკნელნი უწინარეს ყოვლისა აქეთკენ მოდიოდენ იმიტომ, რომ აქ მათ ჰქონდათ საშუალება უზრუნველეყოთ ცხოვრება თავისთვის და თავისი ოჯახისათვის და მიწის ნაჭრის გარეშე, და აგრეთვე შეეძლოთ ეფიქრათ საშიშროებათაგან დაცულ არსებობაზე. გარდა ამისა ქალაქებში ისინი იმყოფებოდენ თავისუფალთა მდგომარეობაში.

თავისუფლების იდეალი, როგორც სჩანს, ფლობდა იმდენად ძლიერ მიმზიდველ ძალას, როგორაც იმედი დამუშავებაზე (შემოსავალზე) და უშიშარ არსებობაზე. ჩვენ ვიცით, რომ ქალაქები აკე-

---

*) „მთელი ქალაქები საქსონიისა შიშის ქვეშ ცხოვრობდენ"... ინგლისური წყაროები ამბობენ, რომ ქალაქები აშენებული იყვნენ „ხალხის დასაცავად".

თებდენ ყოველივეს, რათა შეექმნათ და უზრუნველეყოთ ჩასახლებულთათვის ის თავისუფლებანი, რომლისაკენაც ისინი მიისწრაფოდენ. ყველა ქალაქებში, საქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპი ლაპარაკობდა: ქალაქის ჰაერი ადამიანს თავისუფალსა ხდის. ყმაგლეხი (გარკვეულ, არა მეტად მძიმე პირობების დროს) თავს აღწევდა თავისი მებატონის დევნისაგან.

ამგვარად ყველა პირობათა ურთიერთ დამთხვევის წყალობით, სოფლის მოსახლეობაში მტკიცდებოდა სიყვარული საქალაქო ცხოვრებისადმი (რომელიც უკვე გარშემოიცავდა არა ერთეულებს არამედ მრავალ პირებს), რომელიც შემდეგში იქცევა „ცრუმორწმუნოებად“ და ჰბადებს იმ საერთო მიდრეკილებას ქალაქისაკენ იმ „მისწრაფებას ქალაქში“, რომელიც ასე ძლიერად აშკარავდება 1000 წლის შემდეგ, ჩვენს ეპოქაში.

(ვ ე რ ნ ე რ ზ ო მ ბ ა რ ტ ი — თანამედროვე კაპიტალიზმი, ტომი I, წიგნი I).

§ 5. საქალაქო ცხოვრების აყვავება გერმანიაში

იმ გადატრიალების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-XII და მე-XIII საუკუნეთა განმავლობაში, სრულის უფლებით ლაპარაკობდენ დიდ „სახალხო-მეურნეულ რევოლიუციაზე“. მართლაც და, როგორაც უკვე ნათქვამი იყო, გერმანიის ისტორიაში არ არის არცერთი პერიოდი, რომელსაც ესოდენი ახალი რამ შეექმნა. ამ მოვლენათა მიზეზები უწინარეს ყოვლისა უნდა ვეძიოთ გერმანიის შინაგან განვითარებაში. მოსახლეობა შეუწყვეტლივ იზრდებოდა. დამუშავებული მიწის მოედანი თანდათან ფართოვდებოდა. მე-XIII საუკუნეში მან თვალსაჩინო საზღვრებს მიაღწია. სოფლის მოსახლეობის რიცხვი ძველ გერმანიაში რამოდენიმედ მნიშვნელოვანად მას შემდეგ დღემდეც არ გაზრდილა. მოზარდი კეთილდღეობა და მოზარდი მოთხოვნილებანი სოფლის მოსახლეობისა პროგრესიულად ადიდებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გასაღებას. შემდეგ, უკვე მე-XIII საუკუნეშივე ემჩნევა სოფლებში ჭარბი მოსახლეობა. ბოლოს და ბოლოს ამ ჭარბ მოსახლეობამ გამოსავალი ჰპოვა კოლონიზაციასა და სლავიანური მიწების გერმანიზაციაში, რამაც სწორეთ მაშინ მიიღო ფართე ხასიათი. მაგრამ უადრეს ამ გარემოებამ ძლიერ შეუწყო ხელი ქალაქებს. ამის შემდეგ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამთა-მადნო სიმდიდრისა და მარილის საბუდოების ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ა, რომელიც უფროდაუფრო ფართოვდებოდა; უკანასკნელ გარემოებამ ხელი შეუწყო მრავალი ქალაქების განვითარე-

ბას. რომელთა პირველი აყვავების ხანა მიეწერება ამ ხანებს. ამ შინაგან მიზეზებს უერთდებოდენ საგარეო გავლენანიც. ჯვაროსანთა ლაშქრობის ეპოქაში წარმომდგარი აღმოსავლეთის ვაჭრობის გაძლიერება, რომელიც უმთავრესად იტალიაზე გადიოდა, უწინარეს ყოვლისა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ გერმანიასაც აძლევდა ახალ ბიძგებს სწრაფ, დამოუკიდებელ სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრების განვითარებისაკენ. უამისოდაც უკვე გაცხოველებული გაცვლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ჯვაროსანთა ლაშქრობის დროს, და ასევე ურთიერთობანი და კავშირები გერმანიასა და იტალიას შორის. სალიერი იმპერატორების დროს, კიდევ უფრო ჰოჰენშტაუფენებისას, ახდენდენ მეტად ნაყოფიერ გავლენას ვაჭრობაზე და მთელი მეურნეული ცხოვრების განვითარებაზე. თანამედროვეთ ძალიან კარგად ესმოდათ ამ გავლენათა შედეგები და ისინი თვითონვე ჩამოთვლიან მთელ იმ ახალ სიახლეთ, რაიც მათ აღმოსავლეთიდან მიიღეს. ჩრდილოეთით ადგილი ჰქონდა მოვლენებს, რომელსაც კიდევ უფრო უშუალო მნიშვნელობა ჰქონდა, სახელდობრ: დაპყრობანი, კოლონიზაცია და სლავიანური მიწების გერმანიზაცია. საქსონიის თავადთა გაშარჯვება მეზობელ სლავიანურ ტომებზე, სლავიანთა თავადების გვარების გერმანიზაცია. გერმანული რაინდთა ორდენების გაბატონება პრუსიასა და ლიფლანდიაში, გერმანელ გლეხთა გადასახლება თვით ოდერსა და ვისლამდე და კიდევ იქეთ, გერმანული ზღვაოსნობის გაფართოება თვით ფინეთის უბემდე. — ყოველივე ეს მოწმობს გერმანული ვაჭრობის სფეროს მეტის-მეტ გაფართოებას. გერმანელი ვაჭრისათვის გზაბნილი იყო არა მხოლოდ თვით გერმანელთაგან დასახლებულ მიწებზე; გერმანული მიწების მილმაც მათ წინ იშლება მოღვაწეობის კიდევ უფრო ფართე მოედანი — პოლონეთი, რუსეთი, სკანდინავიის მიწები. თვით ინგლისიც კი იმყოფებოდა გერმანელი ვაჭრის სავაჭრო დამოკიდებულებაში. უკვე მეთორმეტე საუკუნეში აქ შესამჩნევი იყო ქვემო რეინის ქალაქთა გავლენა. მათ მალე შეუერთდათ აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქებიც.

როდესაც გერმანულმა ვაჭრობამ ხელთ იგდო ასეთი ფართე ქვეყანა, ცხადია, თავისთავად იგულისხმება, რომ გერმანულ საქალაქო ცხოვრებას არ შეეძლო არ განეცადა სწრაფი და ძლიერი აყვავება.

მეთორმეტე და შეცამეტე საუკუნეში იწყება გერმანული საქალაქო ცხოვრების აყვავების პერიოდი. ის გრძელდებოდა თვით ჰე-XVI საუკუნემდე.

თავის ეკონომიური მოღვაწეობის ხასიათით იმ დროის ქალაქები უფრო წარმოადგენდენ ხელოსნურ, ვინემ სავაჭრო, ცენტრებს. ამავე დროს საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ვაჭრობა უფრო წარმოდგენილია ჩრდილოეთ გერმანიაში, განსაკუთრებით სანაპიროებზე, ხოლო ხელოსნობა სამხრეთში.

დრო მე-XIII-დან მე-XVI საუკუნემდე არის ყველაზე ბრწყინვალე ეპოქა ამქრული ხელოსნობის ისტორიაში. მაშინდელ მიწათმოქმედებათა ეს იყო უეჭველად საუკეთესო, ყოველი შესაძლებელი მეურნეული ფორმიდან. ჩვენ გვაკვირვებს, როგორც ის, რასაც მიაღწია მან ტეხნიკის სფეროში, ისევე ისიც, რაც მან შეიტანა ნაციის სოციალური მშენებლობის საქმეში.

სამრეწველო წარმოება მაშინ უმეტეს წილად ატარებდა ადგილობრივ ხასიათს. ყოველი ქალაქი, ბევრად მეტად ვინემ ახლა, წარმოადგენდა თვითკმაყოფაზე მყოფ მთლიანობას. საშუალო საუკუნეთა შედარებით უმნიშვნელო სავაჭრო კავშირის დროს ყოველი ქალაქი აუცილებლობით ამზადებდა თითქმის მთელ მისთვის საჭირო სამრეწველო პროდუქტებს. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ მრეწველობის სხვადასხვა გვარი დარგები ბევრად უფრო თანასწორ ზომიერად იყო გავრცელებული, ვინემ ახლა. ნაცვლად ახლანდელი არა მრავალი მეტად დიდი სამრეწველო ცენტრებისა, იმ დროს იყო აუარებელი რაოდენობა სამრეწველო მოღვაწეობათა წვრილი კერებისა. ამ გარეშოებაში მდგომარეობს სწორეთ საშუალო საუკუნოებრივი საქალაქო ძლიერების მთავარი წყარო. მეორე მხრივ, ზოგიერთი ადგილები მიუხედავად ამისა მაინც უფრო მაღლა იდგენ საერთო დონეზე, მათ მიერ წარმოებული პროდუქტების რაოდენობით, და გერმანიის შორეულ ნაწილებსა და უცხოეთის სახელმწიფოებს ამარაგებდენ მრეწველობის იმ დარგთა ნაწარმოებით, რომელიც მათში განსაკუთრებით განვითარებული იყო. ყველაზე უფრო განთქმული იყო მაუდის წარმოება კელნსა და ფლანდრიაში და საერთოდ ნიდერლანდებში. სწორედ მაუდის წარმოებაზეა რომ თავს იჩენს განსხვავება საშუალო საუკუნოებსა და ახალ დროს შორის: ის მაშინ გავრცელებული იყო რაოდენობით ბევრად უფრო მეტ ადგილებში ვინემ ახლაა. ჩვენში არსებობს რამოდენიმე მსხვილი ცენტრი საფეიქრო მრეწველობისა, რომლებიც არა მხოლოდ ჰფარავენ მთელ შინაგან მოთხოვნილებას, არამედ მეტად დიდის რაოდენობითაც გააქვთ საზღვარგარეთაც, მაშინ როდესაც ქალაქთა უმრავლესობაში მაუდის წარმოებას სავსებით არა აქვს ადგილი. საშუალო საუკუნოებში კი ყოველ ქალაქს თავისი ფეიქრები ყავდა და თავისი საკუთარი ფეიქართა ამქარიც კი გა-

აჩნდა; უმთავრესი მოთხოვნილება ადგილობრივვე კმაყოფილდებოდა. არსებითად წარმოების მსხვილი ცენტრები არსებობდენ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის მაუდთა წარმოებისათვის: ნაწილობრივ ნიდერლანდებში (ფლანდრია) და ქვედა რაინზე (კელნი). ეს ადგილები, რასაკვირველია, წარმოების მასშტაბის საერთო დონეთი, ბევრად უფრო მაღლა იდგნენ. სამხრეთ გერმანიაში თავისი საფეიქრო მრეწველობით განსაკუთრებით განირჩეოდენ რეგენსბურგში და კიდევ უფრო აუგსბურგში, თუმცა ისინი კიდევ შორს ჩამორჩებოდენ ქვემო-რეინის ქალაქებს. მეორე დარგი, რომელშიაც მსხვილი მრეწველობა სჭარბობდა ადგილობრივ მოთხოვნილებას, ეს იყო არა კეთილშობილ ლითონთა დამუშავება; მის მთავარ ცენტრად იყო თანამედროვე ბელგია და თანამედროვე რეინის პროვინცია. ზემო-გერმანული ქალაქები ნაქები იყვნენ თავისი ოქრო-ვერცხლის ნაკეთობებით. განთქმული იყვნენ აგრეთვე აუგსბურგისა და განსაკუთრებით ნიურნბერგის მოქანდაკენი და ჩამომსხმელნი, მესპილენძენი, დურგლები, ხარატები.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ის უზარმაზარი სავაჭრო კავშირები, რომელიც გაჰბა ჰანზათა კავშირმა. ჰანზათა კავშირი სათავეში ჩაუდგა ჩრდილოეთ გერმანიის მთელ მეურნეულ ცხოვრებას. მის გვერდით სდგანან ფლანდრიის ქალაქები. გადაიქცენ რა მსხვილ სავაჭრო ძალათ, თავისი ფეიქართა წყალობით, მათ მე-XIII საუკუნიდანვე ხელთ იგდეს ევროპის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთთან კავშირი, ურთიერთობა, ფრანგ, პორტუგალელ, ესპანიელ და იტალიელ ვაჭრებთან, ერთის მხრივ, და ჰანზის კავშირთან — მეორეს მხრივ. ბრიუგემ პირველმა დაიკავა ასეთი მდგომარეობა. თვით ზღვასთან დაშორებით გაშენებულმა, მან შაინც უზრუნველყო თავისი კავშირი ზღვასთან; დასდვა რა ხელშეკრულებანი სლუიზასა და მისი ნავთსაყუდ ცვეინგთან, და შეუერთდა რა მათ. როგორც იმ დროის საუკეთესო ნავთსადგურ დაშმესთან, ფართე გემთსავალი არხით. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ბაზარი დასავლეთში. ამ დროს იქნენ აშენებული ფლანდრიისა და ბრაბანტიის ქალაქთა დიდებული შენობები, საქალაქო საბჭოები, გილდიათა სახლები, მაუდის რიგი. ეს იყო ფლამანდიელ მოქალაქეთა წოდების დიდების დღეები. მე-XV და მე-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ბრიუგეს თავისი ადგილი უნდა დაეთმო ანტვერპენისათვის. და ესეც თავის მხრივ შეიქნა მსოფლიო ვაჭრობის მთავარ ცენტრად. ზემო-გერმანულ ქალაქთა სავაჭრო კავშირის საქმეში ჯვაროსანთა ლაშქრობებმა ეპოქა შექმნეს. როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ჯვაროსანთა

ლაშქრობის საუკუნემ გამოიწვია გერმანულ ქალაქთა სავსებით ახალი და მნიშვნელოვანი აწევა იტალიასა და აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობაში. აუგსბურგი, ულმი, ბაზელი, და აგრეთვე უფრო სამხრეთის ნიურნბერგმაც მოიპოვეს მეტად თვალსაჩინო მნიშვნელობა როგორც შუამავლებმა იტალიანურ-გერმანულ ვაჭრობაში. ალპების გზები გამოცოცხლდენ და მათი რიცხვი გამრავლდა. ჰანზათა კავშირის გრანდიოზული ვაჭრობა უფრო თვალსაჩინოა ვინემ ზემო-გერმანული; და, მართლაც, ის უფრო მნიშვნელოვანიც არის. მაგრამ არა ჰხამს აგრეთვე ყურადღება არ მივაქციოთ ზემოგერმანულ ქალაქთა სავაჭრო მნიშვნელობასაც. თუ რომ ჰანზათა კავშირს საზღვარგარეთ ჰქონდა თავისი ანგარიანები (Kontoren), ზემოგერმანელ ვაჭრებს კი ჰქონდათ თავისი Fondaco dei Tedeschi ვენეციაში. საშუალო საუკუნეთა მიწურულში ზემო-გერმანულ სავაჭრო სახლებმა ხელი მოკიდეს კიდევ ვაჭრობის ახალ დარგს, — ფულით ვაჭრობას. მე-XV საუკუნის ნახევრიდან მათ მონაწილეობა მიიღეს ტიროლის, კარინტიის, საქსონიის, სამთა-მადნო მრეწველობაში; შემდეგში თავიანთი მეწარმეობითი მოღვაწეობანი განავრცელეს პირველად ვენგრიასა, სილეზიასა და ბოჰემიაში, შემდეგ ესპანეთსა და ინგლისში, ამავე დროს ვერცხლი და სპილენძი მათთვის ყოველთვის პირველ როლს თამაშობდენ. აუგსბურგისა და ნიურნბერგის სავაჭრო სახლთა ეს ვერცხლით ვაჭრობა, უეჭველია უწინარეს ყოვლისა ხელს შეუწყობდა მათს გადასვლას სავაჭროდან საბანკო საქმეზე. იტალიის ფირმების გვერდით ისინი გადაიქცენ მსხვილ ფულად ძალად იმ დროისა. აუგსბურგი შეიქნა ფულით ვაჭრობის ფოკუსი, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ გერმანისათვის. ზოგიერთი სახლები (სავაჭრო ფირმები), როგორც, მაგალითად, ველზერები, იმავე დროს ხელს არ იღებდენ ვაჭრობიდანაც. ფუგერებმა ალბერ ადრე მიატოვეს თავიანთი ვაჭრობა სანელებლებით, აბრეშუმით, და მატყლეული ქსოვილებით და ხელი მოკიდეს ფულით ვაჭრობას. ფუგერები, ველზერები და პაუმგარტნერები მე-XVI საუკუნეში იყვნენ ბანკირებათ თავადებისა, რომლებიც განსაკუთრებით ბატონობდენ ჰაბსბურგთა ქვეყანაში. მათი ფულადი ბრუნვები სულ ფართოვდებოდა, იმისდა მიხედვით, რამდენადაც ჰაბსბურგები სულ უფროდაუფრო საჭიროებდენ ფულებს თავიანთი დიდმპყრობელური პოლიტიკისათვის და ვალთა დასაფარავად თავიანთ საშემოსავლო წყაროებს გამოსყიდვაზე აძლევდენ თავიანთ კრედიტორებს. როდესაც განვითარების გზაზე სწრაფად შიმავალ ანტვერპენშა მიაღწია მსოფლიო ბირჟის მდგომარეობას, ეს მაშინ მოხდა ზემო-გერმანულ

და იტალიურ მსხვილ სავაჭრო სახლების მნიშვნელოვანი დახმარებით. ქვემო-გერმანულ ვაჭართა რიცხვი, რომლებიც შესამჩნევ მონაწილეობას ღებულობდენ მე-XVI საუკუნის საერთაშორისო ფულად ოპერაციებში, ძლიერ არა მრავალია; ჰანზათა კავშირში შემავალი ვაჭრები, როგორც წინად, ისე შემდეგაც თავიანთ ძლიერებას ვაჭრობაში ხედავდნ.

გერმანულ ქალაქთა მეურნეული აყვავების ეპოქას საერთოდ თან ხვდება მათი პოლიტიკურად დამოუკიდებლობის პერიოდიც. რადგანაც საშუალო საუკუნეთა ქალაქისათვის პრივილეგიები წარმოადგენდა განსხვავებულ ნიშნებს, ის მიისწრაფოდა შეძლებისდაგვარად განთავისუფლებულიყო ყოველგვარ შემჭიდროებიდან, რომელიც გარედან ავიწროებდა მის თავისუფლებას და რომელიც აკავშირებდა მას რომელიმე უფრო მსხვილ მთელთან. ის (ქალაქი) მიისწრაფოდა თავი დაეღწია დამოკიდებულებიდან არა მხოლოდ საქალაქო მიწათმფლობელებისა და სენიორისაგან, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებიდანაც, ტერიტორიალური მფლობელის ხელისუფლებისაგან. გერმანულ ქალაქებს. რომელთაც ასე დიდი მსხვერპლი მიიტანეს თავის შინაგანი წყობისათვის, არ სურდათ ეცნოთ თავის თავზე არავითარი ხელისუფლება. თუმცა არა საკუთრებით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ნაწილებში მათ მიაღწიეს თავის მიზნებს. მათ შესძლეს ტერიტორიალური მფლობელის უფლებები შემოეზღუდათ გარკვეულ ფარგლებში, ასევე თემური სენიორისა და მიწათმფლობელის უფლებათა შეზღუდვაც და დამოუკიდებელი მმართველობის დადგენა. ამ მხრივ სხვადასხვა ქალაქებში დიდი მრავალგვარობა მეფობს. საშუალო საუკუნეები, როგორც პრივილეგიათა ყოველი დროები, რომელთათვისაც უცხოა მთლიანობა და ერთგვარობა, ამ მხრივაც წარმოადგენენ უჩვეულო სიჭრელის მაგალითს. ერთსადაიმავე ტერიტორიაზე ქალაქები ხანდისხან წარმოადგენდენ მეტად ჭრელ სურათს. ეს სიჭრელე გაბატონებულია, როგორც საიმპერიო, ისე სამთავროთა ტერიტორიებზე გაშენებულ ქალაქებშიაც. შეცდომა იქნებოდა, რომ პირველნი წარმოგვედგინა როგორც დამოუკიდებელნი, ხოლო მეორენი როგორც დამოკიდებული კომუნები. მრავალ საიმპერიო ქალაქებში შეფეს მეტი უფლებები ეკუთვნის ვინემ ტერიტორიალურ მფლობელს სამთავრო ქალაქებში. მრავალ საიმპერიო ქალაქებში ამას გარდა თავისი უფლებები შეინარჩუნეს ტერიტორიალურ მფლობელებმაც. მაგრამ, ცალკე ქალაქთა მიმართებანი როგორც გინდ მრავალგვარი არ ყოფილიყო, ყველას, მათ, ერთ-

გვარათ ახასიათებთ მისწრაფება პოლიტიკურ დამოკიდებულებისაკენ.

რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ წარმოადგენდა გამონაკლის განსაკუთრებულობას საიმპერიო ქალაქებისა, განსაკუთრებით აშკარად სჩანს იმ დიდ მონაწილეობიდან, რომელსაც სამთავრო ქალაქები ღებულობდენ საშუალო საუკუნეთა ქალაქების კავშირებში. ეს კავშირები, რომლებიც თავისთავადაც მეტყველებენ კომუნალურ დამოუკიდებლობაზე, ისე გავრცელებულნი იყვნენ მე-XIII და მე-XV საუკუნეთა პერიოდში, რომ მათი ჩამოთვლის შესაძლებლობაც არ არსებობს. ყველაზე უფრო სახელი გაითქვენ: რაინის კავშირმა, რომელიც დაარსებულ იქნა 1254 წელს, შვაბიის კავშირმა — მე-XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან და ჰანზამ. რაინის კავშირში დიდის რაოდენობით ღებულობდენ მონაწილეობას თემები, რომლებიც შემდეგში ცნობილი არიან როგორც სამთავრო ქალაქები. ის თავდაპირველად მხოლოდ საიმპერიო ქალაქებისაგან შესდგებოდა, და შესაძლებელია სხვებზე უფრო იწოდოს საიმპერიო ქალაქთა გაერთიანებად, მაგრამ შემდეგ მან თავის წრეში მიიღო ზოგი სხვა ქალაქებიც. ჰანზათა კავშირი შესდგება (უმეტეს შემთხვევაში) სამთავრო ქალაქებისაგან.

მიზნები, რომელსაც ისახავდენ ეს კავშირები, მეტად დამახასიათებელნი არიან გერმანულ ქალაქთა მდგომარეობისათვის. მეტად სერიოზულ მიზნებს ისახავს რეინის კავშირი. თანადროული პირობებისაგან გამოწვეული ის მიისწრაფის ქვეყნად მშვიდობიანობის აღდგენისაკენ, და მონაწილეობას ღებულობდა მეფის არჩევაში. მაგრამ მისი თავდაპირველი და უმთავრესი მიზანი იმყოფებოდა წმინდა საქალაქო ინტერესთა სფეროში: მისი მიზანი იყო რაინის უკანონო ბაჟების მოსპობა. საშუალო საუკუნოებრივი საბაჟოები, დამოუკიდებელ ტერიტორიათა აურაცხელი რაოდენობის წყალობით, რაიც ყოველ ნაბიჯზე ხელს უშლიდა სავაჭრო მოძრაობას, მით უფრო შემვიწროებელნი იყვნენ ვაჭრებისათვის რომ იმყოფებოდენ არა მხოლოდ საზღვრებზე (როგორც ახლა), არამედ ყველგან სადაც კი შეიძლებოდა ვაჭრობის წარმოება. შვაბიის კავშირს მიზნათ ჰქონდა განსაკუთრებით ქალაქების დამოუკიდებლობის მფარველობა, ტერიტორიალური მფლობელებისაგან. ჰანზათა კავშირის მიზანი იყო გერმანელი ვაჭრის დაცვა-მფარველობა საზღვრებს გარეთ, და მისი სავაჭრო მოღვაწეობის სფეროს გაფართოება; ის ისწრაფოდა შეეძინა მისთვის ვაჭრობის თავისუფლებანი და სავაჭრო პრივილეგიები. მრა-

ვალრიცხოვან, უფრო წვრილ საქალაქო კავშირთაგან ერთი უმეტესად მისდევდა უფრო ერთ მიზანს, მეორე-მეორეს.

(გ ე ო რ გ ფ ო ნ - ბ ე ლ ო ვ ი — საქალაქო წყობა და საქალაქო ცხოერება საშუალო საუკუნოების გერმანიაში).

§ 6. საქალაქო მონოპოლია

კონტინენტის მრავალ ქალაქმა თავისი ინდივიდუალობა მოიპოვა იმის გამო, რომ იქ დასახლდენ ვაჭრები, რომელთაც თან მოჰქონდათ ჰანზა ან გილდია. ამ მოსულ ვაჭრებს ალბათ, ზოგიერთი საერთო თვისებები ჰქონოდათ, რომლითაც ისინი განირჩეოდენ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან; უკანასკნელნი, ალბათ სისტემატიურ ვაჭრობას როდი მისდევდენ; არამედ მხოლოდ მოსულ ვაჭრებზე, ან ციხეკოშკის პატრონებზე ჰყიდდენ პროდუქტებს და ფეოდალური საზოგადოებაზე დამოკიდებული კლასის ფსიქოლოგია ჰქონდათ; მაგრამ მე-XII საუკუნემდე ქალაქთა შიგნით მოსახლეობის დაყოფა ფენებად საერთოდ მნიშვნელოვანი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში იგი ბევრად ნაკლები იყო იმ დაყოფაზე, რომელმაც მე-XIV საუკუნეში უკვე მძაფრად იჩინა თავი.

ინგლისში, სადაც ქალაქები უმეტეს წილად, და უფრო სოფლური თემებიდან წარმოიშვნენ, ვინემ უცხოელი ვაჭრების დასახლების გამო, ადრინდელი ქალაქები, როგორც სჩანს, უფრო დემოკრატიულნი იყვნენ და მცხოვრებთა შორის უფრო მეტი თანასწორობით განირჩეოდენ ვიდრე კონტინენტის ქალაქები. არსებული უთანასწორობის მიზეზი, ეს იყო საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მამულთა მფლობელობის უთანასწორობა — მემკვიდრეობად გადმოსული ფეოდალიზმისაგან — და, სრულიადაც არ წარმოშობილა, ან უშუალოდ არ ყოფილა დაკავშირებული სავაჭრო ურთიერთობასთან. ჰერეფორდში რამდენადმე უმაღლესი საზოგადოებრივი მდგომარეობა ენიჭებოდათ იმ მოქალაქეებს, რომელნიც მეფის ცხენოსან ამალს შეადგენდენ ხოლმე, როდესაც იგი ქალაქს ეწვეოდა; ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ ნოტინჰემის რაინდები; ვინჩესტერსა, ჰენტინგდონსა, ნორვიჩსა და დერბიში ღარიბი მოქალაქენი, რომელნიც ქალაქის გალავანს გარეთ ცხოვრობდენ, როგორც სჩანს, დაბალი კლასის ადამიანებად ითვლებოდენ. კენტემბერიის შესახებ გვაქვს ცნობები, რომ მასში უპირატესობით სარგებლობდენ ძველი მიწათმფლობელი გვარიშვილები, თვით ქალაქსა და მის გარშემო. ს. ალბანსის აბატის წინააღმდეგ ბრძოლაში იხსენება ის განსხვავება, რომელიც არსებობდა

majores (ე. ი. მოქალაქეთა უმაღლეს ფენასა) და minores-თა, ე. ი. დაბალთა შორის. 1327 წ. ეს უკანასკნელნი ჩრჩობდენ ძალმომრეობითი მოქმედებისადმი მიმართვას, პირველნი კი მხოლოდ საიდუმლოდ უწყობდენ ხელს ამბოხებას და ცდილობდენ აბატთან საქმე მოეგვარებინათ — უფრო მშვიდობიანი, თუმცა უფრო ნაკლებად სწრაფი საშუალებისათვის — იურისტებისადმი მიმართვით. აქ საქმე გვაქვს კონტინენტალურ ქალაქებთან შედარებით საინტერესო კონტრასტთან, რომელსაც შეუძლია შეგვაძლებინოს ძირითადი განსხვავების გაგება. კონტინენტზე მოქალაქეთა უმაღლესი ფენა საერთოდ ხელმძღვანელობდა ფეოდალური ხელისუფლებისადმი იერიშს, აერთიანებდა ქალაქის მოსახლეობის დანარჩენ მრავალფეროვან ელემენტებს, მაგრამ ს. ალბანსში majores-ს, უმაღლეს წყებას, როგორც სჩანს საკმარისად ჰქონდა ფესვები გადმული ფეოდალურ საზოგადოებაში, რათა კომპრომისის მომხრენი ყოფილიყვნენ.

საერთოდ კი ინგლისის ადრინდელ ქალაქებში, როგორც სჩანს, ეკონომიური ურთიერთობანი ისეთი ტიპისა არ იყო, რომელიც მკაცრი კლასობრივი დანაწილებით ხასიათდებოდეს. ვაჭართა გილდიამ, როგორც სჩანს, თავის წრეში შეიყვანა მოქალაქეთა მხოლოდ ერთი ჯგუფი — ისინი რომელნიც ვაჭრობას მისდევდენ — საკმაოდ ფართო ზომით. მაგრამ გილდიის კარი დახშული არ იყო ხელოსნებისათვის და თვითეულ მოქალაქეს, რომელიც ვაჭრობას მისდევდა და შეეძლო შესასვლელი გადასახადი გადაეხადნა, შეეძლო მისი პრივილეგიებით ესარგებლა. მრავალ ქალაქში გილდიის წევრები ჯერ კიდევ უმთავრესად მიწათმოქმედნი იყვნენ, ხოლო ვაჭრობას მხოლოდ შემთხვევით მისდევდენ და მოქალაქეობის უფლება დაკავშირებული იყო მიწის ანუ სახლის ქონასთან ქალაქის ფარგლებში. რასაკვირველია, ყოველთვის არსებობდა მოსახლეობის ისეთი ნაწილი, რომელიც ისე ღარიბი იყო, რომ შეძლება მიწის ხყიდვისა არ ჰქონდა; ამიტომ ეს მცხოვრებნი ქალაქის სწორუფლებიან მოქალაქეებს როდი წარმოადგენდენ, როგორც, მაგალითად, ვინჩესტერის, ჰენტინგდონის, ნორვიჩისა და დერბის ღარიბი მოქალაქენი, გალავანს იქით რომ ცხოვრობდენ. როგორც სჩანს, ამ პირებს საშუალება არ ჰქონდათ მოწყობილიყვნენ თავის ხარჯზე მომუშავე, დაწოუკიდებელ ხელოსნებად. მაშასადამე, მათ დღიურად უნდა ემუშავნათ, ან მოსამსახურედ დამდგარიყვნენ უფრო შეძლებულ მოქალაქეებთან. მაგრამ მოქალაქის უფლების მოპოება საზოგადოდ არც თუ ისეთი ძნელი იყო. ყმებს შეეძლოთ მოქალაქეებად გამხდარიყვნენ და მართლაც ხშირად იქცეოდენ ხოლმე ქალაქის სრულუფლებიან მოქალაქეებად მას შეშ-

დეგ, როდესაც ქალაქში იცხოვრებდენ. „per unum annum et unum diem", ერთს წელსა და ერთს დღეს.

ამრიგადვე ოსტატ-ხელოსნებთან მომუშავე მუშებს ყოველთვის საკმარისი შანსები ჰქონდათ დამოუკიდებელ ხელოსნებად ქცეულიყვნენ. ისინი საკუთარ ინტერესებს სრულიად არ ანსხვავებდენ თავის ოსტატთა ინტერესებისაგან, ნაცვლად იმისა, რომ ეგრძნოთ ინტერესთა წინააღმდეგობა. როგორც შეიძლება ვიფიქროთ, მათში ხელფასის განსხვავება დიდი არ იყო, რადგან მუშა სახელოსნოში მეპატრონის გვერდით მუშაობდა და ხშირად მასთანვე სვამდა და სჭამდა. ამიტომ მისი მდგომარეობა უფრო მუშა-თანამშრომლისას ჰგავდა. ვიდრე დაქირავებული მუშისას. როდესაც მუშა ან შეგირდი იმდენ ფულს შეაგროვებდა, რომ სახლს შეიძენდა, ან შესძლებდა დამოუკიდებელ ოსტატად და სრულუფლებიან მოქალაქედ გახდომას, მას ნება ჰქონდა აგრეთვე გილდიაში წევრად შესულიყო, დაეწყო წვრილმანი ვაჭრობა, თუ კი შოისურვებდა და შესასვლელ გადასახადს გადიხდიდა. ახალი ოსტატები ადვილად მრავლდებოდენ და ამიტომ შეუძლებელი ხდებოდა ძალიან დიდი მოგების გამოწურვა დაქირავებულ მუშათაგან; ხოლო ვინაიდან მოქალაქისათვის იოლი იყო ვაჭართა გილდიის პრივილეგიებით სარგებლობის უფლების მოპოება, ამ პრივილეგიებს არ შოჰყვებოდა ხოლმე კარჩაკეტილი მონოპოლიის გაჩენა. უეჭველია, არსებობდა უთანასწორობა მფლობელობისა, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და პატივდების მხრით. პოლიტიკური ინიციატივა, როგორც სჩანს, საზოგადოდ, არამრავალრიცხოვან, ცოტაოდენად უფრო მდიდარსა და პატივცემულ მოქალაქეებს ეკუთვნოდათ, რომელთა აზრსაც მათზე დაბლამდგარი მოქალაქენი, ჩვეულებრივად, წინააღმდეგობას ვერ უბედავდენ. მაგრამ ეს უთანასწორობანი ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე თანამედროვე ქალაქებში; და არსებული განსხვავება, როგორც სჩანს, იმდენად დიდი როდი იყო, რომ კლასობრივ ინტერესთა რაოდენამდე ძნიშენელოვანი ხსვაობა გამოეწვია. ინგლისის ადრინდელი ქალაქები — ფეოდალიზმთან, რომლისაგანაც ისინი წარმოიშენენ და იმ კლასობრივ დაყოფასთან შედარებით, ორი საუკუნის შემდგომ რომ არსებობდა ქალაქებში — უფრო უახლოვდებოდენ თავისუფალ და საერთო თანასწორობის მქონე თემებს, რომელთა მსგავსიც იშვიათად თუ შოინახება.

ამიტომ ბაზარზე კონტროლი, რომლისაკენაც მიისწრაფოდენ ქალაქის გილდიები, ხორციელდებოდა ქალაქის ყველა მცხოვრებთა ინტერესების სასარგებლოდ. ზოგიერთი მაღლამდგარი მოქალაქენი

უფრო შეტს სარგებლობას ღებულობდენ გილდიათა პრივილეგიებისაგან, ვიდრე მათი თანამოქალაქენი; შაგრამ პირველ ხანებში მაინც ქალაქის საბაზრო სისტემის ნაყოფი — საერთოდ, თითქმის ყველა მოქალაქეთა შორის ნაწილდებოდა. მხოლოდ შემდგომ ხანებში, როდესაც ქალაქები განვითარდენ და აყვავდენ, აღმოცენდა კლასებად დაყოფა და ქალაქის პოლიტიკის მოკარნახენიც ერთი შუა მოქალაქენი შეიქმნენ.

ქალაქის ეს პოლიტიკა უმთავრესად შეეხებოდა ქალაქის ბაზარზე კონტროლის საკითხებს; ეს პოლიტიკა იყო ის დიადი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო ქალაქთა გამდიდრებასა და აყვავებას და, შაშადმე, ახლად წარმოშობილ კომერციულ თაოსნობასაც. უამისოდ ძნელად საფიქრებელია, რომ ქალაქებს მოეხერხებინათ საკუთარი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება. ისინი რომ სუსტნი, ღარიბნი და დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ, ვერც თუ შესძლებდენ სოციალისტური ცხოვრების ახალი ფულადი სისტემისათვის საფუძველი ჩაეყარათ. ჩვეულებრივად ყურადღებას აქცევდენ საქმის მხოლოდ ერთ მხარეს, სახელდობრ იმ ფაქტს, რომ ბაზარზე კონტროლი საბაზრო ბაჟებისა და გადასახადთა აკრების უფლებას იძლეოდა. ქალაქის შემოსაელის ამ წყაროშა წყალობით მოქალაქენი ნაწილობრივ თავისუფლდებოდენ ადგილობრივ გადასახადთა (scotetllot) მძიმე ტვირთისაგან; რომელსაც ისინი ყველანი უკლებრივ იხდიდენ — firmaburgi-სა ან ქარტიებისა და პრივილეგიებისათვის. ამას არც თუ ისეთი პატარა მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ საქმის მეორე მხარეც, რომელსაც ყოველთვის სათანადო ყურადღებას როდი აქცევდენ. ბაზარზე კონტროლი იმ პირთათვის, რომელნიც მას ანხორციელებდენ, უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო მონოპოლიათა დასადგინებლად. იგი იძლეოდა რა უფლებას, გამოეცათ წესები და განკარგულებანი — იმის შესახებ, თუ ვის ეძლეოდა ნება ვაჭრობისა და რა დროს, — უზრუნველყოფდა ქალაქისათვის იმას, რომ უკანასკნელს ყველა საბაზრო გარიგებათა ბალანსი თავის წევრთა სასარგებლოდ გადაეხარა. ცხადია, ქალაქს არ შეეძლო ამ შემთხვევაში თვითნებურად ემოქმედნა: მას შეეძლო ემოქმედნა მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის ბალანსზე, იმ საქონელთა მოწოდებისა და მოთხოვნის პირობებზე, რომლითაც ქალაქი ვაჭრობდა. — ზეგავლენის საშუალებით.

თუ ქალაქს შეეძლო ზოგიერთ გარიგებათა შესრულების ნება მიეცა მხოლოდ თავის მოქალაქეთათვის; თუ მას შეეძლო მინიმალური ფასი დაედო იმ საქონელზე მოქალაქეები რომ ჰყიდდენ და მაქსი-

ბალური ფასები დაედგინა იმ საქონელზე, რომელთაც ისინი ყიდულობდენ; თუ მას შეეძლო ხელი შეეშალა უცხოელ ვაჭრებისათვის, რომ უკანასკნელთ შოეხდინათ შეთანხმებანი, ყოველმხრივად შეესწავლათ ბაზრის პირობები და დაებრკოლებინათ მოტანილი საქონელის ნაწილის გაყიდვა, ხოლო ამავე დროს თავის მოქალაქეებისათვის კი ყოველივე ამისი სრული შესაძლებლობა მიეცა, — აქედან საკვლევით ცხადია, რომ ქალაქს შეეძლო მნიშვნელოვანი ზეგავლენაც მოეხდინა გაცვლა-გამოცვლის ბალანსზე თავის სასარგებლოდ. ქალაქს საშუალება ჰქონდა თავის სავაჭრო მოღვაწეობისათვის უპირატესი მდგომარეობა უზრუნველეყო, ხოლო ისინი, ვინც მასთან ვაჭრობდენ, არახელსაყრელ პირობებში ჩაეყენებინა. რაკი ქალაქს საშუალება ჰქონდა საზღვარი დაედო იმ საქონლის გამყიდველთა კონკურენციისათვის, რომლითაც ადგილობრივი მოქალაქენი ვაჭრობდენ, რაკი საშუალება ჰქონდა, შეძლებისამებრ, გაეიდიებინა იმ საქონლის მიწოდება, რომელზედაც ადგილობრივ მოქალაქეებში მოთხოვნა არსებობდა; ყოველივე ეს კიდევ უფრო ადიდებდა იმ მონოპოლიურ უპირატესობას, რომლითაც ქალაქი სარგებლობდა. ამიტომ ქალაქთა პოლიტიკა, — რომელიც თავდაპირველად, ალბათ, წარმოადგენდა გილდიის, რომელსამე უსტაბაშის, ან ქალაქის მოურავის გამოგონილ უთანაწიმდევრო, ნაკლებად მოფიქრებულსა და ხშირად უსეირო სისტემას, — არსებითად წარმოადგენდა მონოპოლიის პოლიტიკას. მისი მიზანი იყო ქალაქელების საქონელთა მომხმარებლისათვის ფასის აწევა და ფასის დაწევა იმ საქონელზე, რასაც ქალაქი თვითონ ყიდულობდა. ფეოდალთა ხელისუფლებასთან ქალაქის ბრძოლის უმთავრესი ბიზანი ამ მონოპოლიის მოპოება იყო, ხოლო უკანასკნელი — ის უმთავრესი ფაქტორი, რამაც ახალ თემებს სიმდიდრე და სოციალური გავლენა მიანიჭა.

თავიანთ სავაჭრო ოპერაციებს მოქალაქენი მოსახლეობის ორ ჯგუფთან აწარმოებდენ. პირველ ჯგუფს, შეადგენდენ სურსათ-საზოვაგის მომწოდებელი ახლობელ სოფელთა და მიდამოთა მცხოვრებნი. ესენი ან ყმა-გლეხები იყვნენ, რომელთაც გასაყიდათ მოჰქონდათ ნაკარბი პროდუქტები, ან წვრილი, თავისუფალი ფერმერები, ან კიდევ მეორე მამულიანი ფეოდალური თავად-აზნაურებიც და სკვაირები და მამულის მფლობელნი. მეორე ჯგუფს შეადგენდენ უცხოელი ვაჭრები, რომელნიც ქალაქში ჩადიოდენ უცხოეთის საქონელთა გასაყიდად და სამაგიეროდ ქალაქელი თუ სოფლელი ხელოსნების პროდუქტთა შესაძენად. ამიტომ ბაზრის მოწესრიგების

უმთავრესი მიზანი იყო ამ ორსავე ჯგუფთან ვაჭრობის საქმეში მოქალაქეთათვის უპირატესი მდგომარეობის შექმნა.

ამ მიზნით. პირველ რიგში გამოიცემოდა ხოლმე წესები, რომლებიც დაადგენდენ პურის, ლუდისა და ღვინის ფასთა ნიხრს. „პურის ფასის მხრით, ქალაქი უმთავრესად იმისათვის ზრუნავდა, რომ დაინტერესებულ მხარეებს ფასები არ აეწიათ. ფაქტიურად კი ეს მისწრაფება ედვა საფუძვლად ყოველგვარ წესსა და შეზღუდვას. ხანდიხან ინიხრეპოდა აგრეთვე შეშა, ნახშირი, ქონი და სანთელიც. რათა ამ საქონლებით მომარაგება იაფად დასჯდომოდათ, ნიხრით განსაზღვრული იყო მაქსიმალური ფასები; და ინიშნებოდენ განსაკუთრებული „ზედამხედველები", რომელნიც სახლებსა და დუქნებს ათვალიერებდენ და გამოცემული წესების ასრულებას თვალყურს ადევნებდენ. ზედამხედველობის გასაადვილებლად სასტიკად აკრძალული იყო რისამე გაყიდვა ბაზარს გარეშე; ჩვეულებრივად ისე ხდებოდა, რომ ცალკე უბნებსა თუ ქუჩებში იყიდებოდა ხოლმე მხოლოდ განსაზღვრული საქონელი.

გარდა ამისა, არსებობდა მკაცრი წესები, რომლებიც კრძალავდა საქონლით ყოველგვარ ჩარჩობისა და გადაყიდვის მიზნით შესყიდვას. არც ერთ უცხოელს ნება არ ჰქონდა რაიმე სურსათ-სანოვაგე ეყიდნა მანამდე, ვიდრე მოქალაქენი არ შეიძენდენ თავისთვის საკმარ რაოდენობას და არავის არ ჰქონდა ნება ეყიდნა იმაზე მეტი, რაც პირადად მის ოხმარებისათვის იყო საჭირო. ტიუდორთა დროამდე და შემდგომ ეპოქაშიაც კი, ბითუმად სურსათ-სანოვაგის შესყიდვა მისი ხელახალი გაყიდვის მიზნით საზოგადოებრივი ზნეობის ყველაზე მუხანათურ დარღვევად ითვლებოდა. ის ზიზღი, ამჟამადაც კი რომ არსებობს ხალხში განტევების აუცილებელი ვაცის, — „სპეკულიანტის" წინააღმდეგ, უეჭველად ენათესავება მე-XIII საუკუნის ამ ზნეობრივ კოდექსს.

უცხოელებთან ურთიერთობის საქმეში მოქალაქენი ესწრაფებოდენ აეკრძალათ მათთვის სხვა ვისთანმე ვაჭრობა, გარდა თვით მოქალაქეებისა. უცხოელი ვაჭრების მიერ მოტანილი საქონელის უმეტესი ნაწილი არისტოკრატიისა და მეწამულე თავად-აზნაურობის გემოვნებასთან შეთანხმებული ფუფუნების საგნები იყო. მოქალაქეთათვის ცხადია ხელსაყრელი იქნებოდა, თუ ისინი შუამავლობის როლს დაიმკვიდრებდენ და ამნაირად ამ მომგებიანი ვაჭრების მონოპოლიას ხელთ იგდებდენ: ამნაირი მდგომარეობის დროს მათ შეეძლოთ დაეწიათ ფასი საქონელზე, როცა უცხოელი ვაჭრებიდან ყიდულობდენ და აეწიათ ფასი მეშამულე თავად-აზნაურობისათვის მიყიდვის დროს.

რომელთაც სხვა არჩევანის საშუალება არ ჰქონდათ. ამ მიზნით უცხოელს ეკრძალებოდა გილდიის არა წევრებთან ვაჭრობა და მას ნება ჰქონდა მხოლოდ წვრილმანი ვაჭრობისა ბაზრობის დროს. „გარეგან მისულ ვაჭრებს სიამოვნებით უშვებდენ ხოლმე ქალაქში, როდესაც მათ მოჰქონდათ უცხო საქონელი, რომლის ცალობით გაყიდვა ქალაქელ ვაჭრებს მოგებას მისცემდა, ან როდესაც უცხოელი ვაჭრები გასატანად ყიდულობდენ ისეთ პროდუქტებს, რომელსაც მოქალაქენი ამ მიზნით ყიდულობდენ ინგლისელი ხელოსნებისა და მიწათმოქმედთაგან. მათ სიამოვნებით ღებულობდენ, რამდენადაც ისინი მზად იყვნენ მოქალაქეთა ინტერესებისათვის ემსახურნათ; ხოლო როდესაც ისინი შეეცდებოდენ ხოლმე მოქალაქეთა შუამავლობისათვის გვერდი აეხვიათ, მაშინ ჩაითვლებოდენ იმ წესების დამრღვევებად. რომელთა შესრულების პირობის ქვეშ ქალაქში შემოეშვათ ისინი". ამ წესთა და შეზღუდვათა დასაცველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აკრძალვას ყოველგვარი გარიგების დადებისა ბაზრობის გარეშე. ე. ი., როგორც დროის, ისე ადგილის მხრით. გარდა ამისა, დაწესებული იყო, რომ ქალაქში ჩასული უცხოელი უეჭველად უნდა ჩამომხტარიყო, უსათუოდ სახლის პატრონ ადგილობრივ მცხოვრებთან, რომელსაც უნდა ეკისრნა თავდებობა, რომ მოსული ვაჭარი რიგიანად მოიქცეოდა და ქალაქში ყოფნის დროს არსებულ წესებს აასრულებდა. წესები კი ისეთი იყო, რომ მინიმუმამდე დაჰყავდა ქალაქის მოსახლეობის დამზარალებელი საბაზრო შეთანხმებანი თვით უცხოელთა შორის. ლონდონში უცხოელი ვაჭრების „ფოლადის ქარვასლის" წინააღმდეგ უკმაყოფილება უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ ამ უცხოელ ვაჭრებს საკუთარი პრივილეგიური ორგანიზაცია ჰქონდათ; აქ მათ შეეძლოთ დაუბრკოლებლივ მოეწყოთ ინტრიგები და შეეჯახებანი, რადგან ლონდონელი ვაჭრები უმწეონი იყვნენ, რომ მათთვის ხელი შეეშალათ.

მაგრამ მოქალაქეთა ურთიერთშორის არსებული კონკურენცია ამცირებდა ყველა იმ სარფიანობას, რის მიღებაც ერთ-ერთ ზემოხსენებული საშუალებით ქალაქს შეეძლო და რასაც იგი ანმტკიცებდა სოფლის მცხოვრებთა თუ უცხოელ ვაჭრებთან ურთიერთობის დროს. ამის თავიდან ასაცილებლად თვით მოქალაქენიც უნდა დამორჩილებოდენ განსაზღვრულ წესებსა და შეზღუდვას. ამ წესების შესრულებას თვალყურს ადევნებდენ განსაკუთრებული პირები და გილდიები. დაწესებული იყო იმ საქონლის მინიმალური ფასები, რომელსაც მოქალაქენი ჰყიდდენ. დიდად ცდილობდენ რათა კონკურენცია უკანა კარით არ გაპარულიყო საქონლის ღირსების გაუარესების საშუალე-

ბით, რადგან ეს ავნებდა და სახელს გაუტეხდა ქალაქის ვაჭრობას. ნაკლებად სინდისიერ ხელოსანს შეეძლო ოფიციალური „ზედამხედველობის“ მეთვალყურეობას დაჰმალვოდა და არსებული წესებისთვის გვერდი აეხვია; უმთავრესად ღამე მუშაობით. რის გამოც მუშაობა ღამით აკრძალული იყო. ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქეებს ენიჭებოდათ ამა თუ იმ საქალაქო ხელოსნებისათვის საჭირო ნედლეულის შესყიდვის მონოპოლია. „რათა ის მოგება, რომლის მიღებაც ქალაქს შეეძლო, ხელთ არ ჩავარდნოდათ ახლობელი ოლქების მცხოვრებთ, ხანდახან დაადგენდენ ხოლმე, რომ ზოგი საქონელი საზოგადოდ არ მიეყიდნათ ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის“. ასე, მაგალითად, ქალაქელ ყასბებს ხანდახან აუკრძალავდენ ხოლმე, რომ ქონი, გარდა ქალაქში მცხოვრები მესანთლეებისა სხვა ვისთვისმე მიეყიდათ. გარკვეულ შემთხვევაში ქალაქი შემოიღებდა ხოლმე საბითუმო შესყიდვის სისტემას, განსაკუთრებით მოუსავლიანობის დროს, რომელიც შეეხებოდა ყველაზე მნიშვნელოვან ნედლეულს. მაგალითად, ლივერპულში შემოტანილი საქონელი შესაძენად ჯერ ქალაქის მოურავისათვის უნდა წარედგინათ, როგორც ქალაქის წარმომადგენლისათვის. თუ მას მიზანშეწონილად მიაჩნდა, ბითუმად შეესყიდა მთელი საქონელი, შეიძენდა მას და შემდგომ მოქალაქეებსვე მიჰყიდდა ხოლმე ზომიერ ფასად.

თუ სათანადო ყურადღებით შევაფასებთ ყველა ზემოხსენებულ გარემოებას, ძნელი როდი-ღა იქნება იმის მიხვედრა, თუ რატომ იყო, რომ ქალაქებს ეს საბაზრო წესები და პრივილეგიები ასეთი მედგარი ბრძოლისა, ესოდენი ფულადი ხარჯისა, სისხლისღვრისა და მსხვერპლთა გაღების ღირსად მიაჩნდათ. აშგვარი უპირატესობის ქონა ჩვეულებრივ უზრუნველყოფდა ხოლმე ქალაქის აყვავება-გამდიდრებას. თუ ქალაქი თავის უფლებებს დაჰკარგავდა, ბაზარზე კონტროლის ეს საშუალებანი მისსავე წინააღმდეგ შეიძლებოდა მიმართულიყო; ამით შესაძლებელია მისი მოქალაქენი იძულებულნი გამხდარიყვენ ემუშავნათ, როგორც დამოკიდებულ ხელოსნებს, ან, საუკეთესო შემთხვევაში, როგორც მოხეტიალე მეწვრილმანეებს, რომელნიც თავადაზნაურულ მომხმარებლებზე იქნებოდა დამოკიდებული და მერყეულ მდგომარეობაში მყოფი ბაზრის კაპრიზების ეს მსხვერპლნი იძულებულნი იქნებოდენ თავისი ნაწვავ-ნადაგი, და ბრძოლით მოპოებული უფლებანი სხვებისათვის დაეთმოთ.

ამ მონოპოლიისათვის ბრძოლაში, — როგორც ეს უკანასკნელ თავშია აღნიშნული უნდა განვასხვაოთ ორი უმთავრესი ფაზა. ჯერ ერთი, ბრძოლა სწარმოებდა საბაზრო უფლებებისათვის, რომელიც,

ჩვეულებრივად, ვაჭართა გილდიების დაარსების ნებართვის მოთხოვნაში გამოიხატებოდა. მეორე მხრით თვით ქალაქების შიგნით წარმოებდა პოლიტიკური ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რათა უზრუნველეყოთ ბაზარზე ნამდვილი კონტროლის გაწევა. დავის საფუძველი იყო იურისდიქციისა და დაპატიმრების უფლება. მაგრამ საქმე ამით როდი თავდებოდა. საჭირო ხდებოდა მხედველობაში მიეღოთ ქალაქის ტერიტორიის გარეშე არსებული სხვა ფაქტორებიც, რომელთაც ძალიან არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ მოქალაქეთა ყოველგვარი მონოპოლიისათვის. ამის გამო მას შემდეგ, რაც ქალაქი მოიპოებდა ხოლმე საბაზრო და პოლიტიკურ უფლებებს და განამტკიცებდა თავის დამოუკიდებელ მდგომარეობას, ქალაქის განვითარებაში დგებოდა მესამე ფაზა. ეს მესამე ფაზა მიმდინარეობდა ქალაქთა მონოპოლიების განმტკიცებისა და გაფართოების ნიშნის ქვეშ. აქ ლაპარაკი იყო უკვე არა ქალაქთა საზღვრების შიგნით ავტონომიაზე, არამედ გარედან მოსულ კონკურენტთა შეტევისაგან ქალაქის პრივილეგიათა განმტკიცებაზე.

აქ, უწინარეს ყოვლისა, დგებოდა მეტოქე ბაზრების საკითხი. თუ მოცემული ქალაქის მეზობლად, მის გვერდითვე არსებობდა სხვა ბაზრებიც, ცხადია, მნიშვნელოვნად მცირდებოდა ის სარგებლიანობა, რომელსაც ეს ქალაქი ღებულობდა. მცირდებოდა არა მარტო მოქალაქეებთან ვაჭრობა, არამედ სოფლის მცხოვრებთ და უცხოელებს გვერდით უჩნდებოდათ სულ სხვა ადგილი, სადაც მათ შეეძლოთ ეყიდნათ და გაეყიდნათ საქონელი და ამ რიგად ძირი ეთხრებოდა მოქალაქეთა მონოპოლიურ მდგომარეობას. ბრისტოლსა და ლორდ ბერკლეის შორის ატეხილი დავის ერთერთი მიზეზი, როგორც ჩვენ დავინახეთ, იყო ლორდის მისწრაფება — ცალკე ბაზარი დაეარსებინა რედკლიფსტრიტზე. კენტერბერში პროტესტს იწვევდა ბაზრები, რომლებიც არქიეპისკოპოსს ჰქონდა ვესტგეტსა და უინჰემში. ფეოდალურ ეპოქაში მეტოქე ბაზრებისადმი ასეთი დამოკიდებულება ყველაზე უფრო მეტად ადასტურებს იმ მიზანს, რომლის გამოც ასეთს მნიშვნელობას აწერდენ ბაზარზე კონტროლს. ჩვენ დავინახეთ, რომ ს. ედმუნდსის აბატი გადაჭრით პროტესტს აცხადებდა, როდესაც ბერები ელიდან ლიკენჰიზში ბაზარს მართავენ. პროტესტებს მოჰყვა მუქარა, რომ ის მოვა „ცხენოსანი და ქვეითი ჯარით ბაზრის გასანადგურებლად". და აბატმა ეს თავისი მუქარა შეასრულა კიდევაც, როცა შუაღამისას თავს დაესხა ხსენებულ ბაზარს 600 კაცისაგან შემდგარი რაზმით. ლიაიმის ბაზარი გაუქმებულ იქნა, როგორც ბრიდპორტთან ძალიან ახლოს მდებარე. რუფფორდის პრიორს 1302 წ.

აუკრძალეს ტემის საზარალოდ ბაზრის გამართვა ჰედემგამში. ლონდონი ცდილობდა თავისი მოქალაქეებისათვის აეკრძალა ქალაქის ფარგლებს გარეშე არსებულ ბაზრობასა და ბაზარზე სიარული.

ძალიან ხშირად ქალაქები თავიანთ ხელისუფლებას ავრცელებდენ ირგვლივ მდებარე რაიონზე; რითაც ისინი სარგებლობდენ იმისათვის, რომ სოფლის მცხოვრებნი იძულებულნი გაეხადნათ, რათა მათ ევაჭრნათ მხოლოდ ქალაქის ბაზარზე. ჩვენ ვხედავთ, რომ იტალიის კომუნებს, გერმანიის საიმპერიო ქალაქებს, შვეიცარიისა და ზოგიერთ ჰოლანდიურ ქალაქებს აქვთ ამგვარივე ტენდენცია, რომ თავისი ხელისუფლება გაავრცელონ ახლო-მახლო სოფლებზედაც, მამულებსა და პატარ-პატარა დაბებზე და ამნაირად მოზრდილ სახელმწიფოებად იქცნენ. ულმი და ფლორენცია, მაგალითად, ახლო-მახლო ოლქებს იძულებულს ხდიდენ, რომ შათ მთელი თავისი გასაყიდი შინაური ჯოგი მათ ქალაქში მოერეკათ. ვენეცია ცდილობდა აეკრძალა სხვა ქალაქისათვის ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომლებიდანაც მას შემოჰქონდა საჭირო სურსათ-სანოვაგე და თავის ხელქვეით ქალაქებს ვალდებულს ხდიდა, რომ ევაჭრნათ მხოლოდ ვენეციელ ვაჭრებთან.

მეორე მხრივ იბადებოდა მისწრაფება, რომ თავის ბაზრისაკენ მიეზიდათ რაც შეიძლება მეტი ერთმანეთს შორის მეტოქე ვაჭრები, ან მყიდველები, რომლებთანაც მოქალაქეებს შეეძლოთ ევაჭრნათ. ამ მიზნით, სპეციალური ბაზრობის დროს ქალაქი ზოგიერთ მის მონოპოლისტურ შეზღუდვასაც კი არბილებდა. ამას იმიტომ სჩადიოდენ, რომ ამგვარი ბაზრობა ქალაქისათვის ერთნაირი რეკლამა იყო: ისინი ყველა კუთხეებიდან იზიდავდენ თავიანთ ქალაქში ვაჭრებსა და მყიდველებს. ამიტომ ხიდის ან ქალაქის ახლო შარაგზის ფლობა ძალიან სახეირო იყო, რამდენადაც ეს მოქალაქეებისათვის ვაჭრებისა და საქონელთა უხვად მოზღვავებას უზრუნველყოფდა. ადვილად შესაძლებელია, სწორედ ამით აიხსნებოდეს ის დიდი შიში, რომელიც ჰქონდათ მოქალაქეებს: მეზობელ ხიდზე ან მდინარეზე, რომ ბაჟს ღებულობს რომელიმე სხვა ხელისუფლება, ეაი თუ ეს გარემოება მან ქალაქის ვაჭრობის საზარალოდ გამოიყენოსო. ეს იყო მიზეზი, რომ ქალაქები ბევრ ფულს ხარჯავდენ საბაზრო თუ სასაწყობო უფლებათა შესასყიდად. „მუნიციპალური დიპლომატიისა და, უკიდურეს შემთხვევაში. ძალმომრეობითი პოლიტიკის ყოველგვარ საშუალებას ხმარობდენ, რათა შემოემტკიცებინათ სავაჭრო გზებზე კონტროლი და მიეღოთ საბაზრო უფლებები", — ამბობს შმოლერი. ისინი ცდილობდენ, რაც შეიძლება მეტი გზა ყოფილიყო ქალაქისაკენ მიმავალი და რაც შეიძლება ნაკლები გზა ასცდენოდა მას,

რათა სატრანზიტო ვაჭრობას, ქარავნებით იყო ის თუ გემებით, სწორად აქ ჰქონოდათ შეჩერების სადგური და გზად მიმავალი საქონელი აქ გამოეფინათ და ქალაქის მცხოვრებთათვის შეეძლიათ.

ბოლოს, მოქალაქეთათვის ხელსაყრელი იყო საქონლის გასასაღებელი ბაზრის გაფართოება სხვა სავაჭრო ცენტრებში განსაკუთრებული პრივილეგიების შეძენის გზით. ზოგიერთ ქალაქებს ჰქონდათ ქარტია, სადაც განსაკუთრებულ მუხლად იყო შეტანილი რომ ამ ქალაქის მოქალაქენი მთელ სახელმწიფოში თავისუფალნი არიან ყოველგვარი ბაჟისაგან. ქალაქები ძალიან ცდილობდენ სხვა ქალაქთა ბინადარ მცხოვრებლებთან ვაჭრობის უპირატესობის მოპოებასაც. ამ მიზნით ხშირად შეთანხმებები შეიკვრებოდა ხოლმე, რითაც ერთი ქალაქის ვაჭრებს მეორე ქალაქში ვაჭრობის სპეციალური უფლებები ენიჭებოდათ. ხოლო ბევრთაგან არსებობდა დიფერენციალური ბაჟთა რთული სისტემა, რომლის მიხედვითაც ერთი რომლისაშე ქალაქის ვაჭრებს შეღავათს აძლევდენ, მეორისას კი გაძლიერებულად ბეგრავდენ.

ამგვარი მისწრაფება ჰბადებდა სხვადასხვა ქალაქთა, აგრეთვე ქალაქთა და მეზობელ ლორდთა შორის მეტოქეობასა და შეტაკებას. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთისა და იმავე ქვეყნის საშუალო საუკუნოებრივი ქალაქები, მერკანტილისტური თვალსაზრისის გამო ერთმანეთს ბევრად უფრო მტრულად და სიხარბით ექცეოდენ, ვიდრე თანამედროვე სახელმწიფოები ერთმანეთს ექცევიან. „ელი შურით შესცქეროდა კემბრიჯს, ბატი — ბრისტოლს, ლინნი — ბოსტონს, ოქსფორდი და ვინჩესტერი და ფაქტიურად ყველა დანაჩენი ქალაქები — ლონდონს". სტრატფორდი კოვენტრის ებრძოდა, ხოლო ლეისტერი — ეშბისა და ლოფბორს. ანტვერპენის მაუდის ბაზარი მთელი საუკუნის განმავლობაში გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებდა კალეს შატყლის ბაზართან, ხოლო ჰანზის მეტოქეობას კოპენჰაგენის ვაჭრებთან — 1546 წ. დანიასა და ლიუბეკს შორის ექვსწლოვანი ომი მოჰყვა. იტალიაში მდიდარი კომუნები დაუძლურდენ მეთორმეტე და შეცატმეტე საუკუნის განმავლობაში ურთიერთ ბრძოლისა და დავის გამო; ამას დაემატა გამანადგურებელი ფეოდალური ბრძოლა, რაშაც ძალიან შეასუსტა მათი პოზიცია ეკლესიისა და თავადაზნაურობის მიმართ.

ქალაქთა მონოპოლიისათვის ბრძოლის ამ მესამე ფაზის დროს გერმანიაში როგორც სჩანს, დაიწყო ფეოდალ-მფლობელთა წინააღმდეგობა, რასაც უმრავლეს შემთხვევაში ფეოდალიზმის გადამწყვეტი გამარჯვება მოჰყვა. ეს მოხდა განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიაში, სადაც ფეოდალიზმი მძლავრი იყო მე-XIV—XV

საუკუნეთა განმავლობაში. მემამულეთა მედგარი წინააღმდეგობა, როგორც სჩანს, გამოუწვევია ქალაქთა ცდას — გაეფართოებინათ მონოპოლია. სჩიოდენ იმის შესახებ, რომ სოფლელებს — როდესაც ქალაქებში წათ ჩააქვთ გასაყიდად პური, მატყლი, ან ოთხფეხი საქონელი ჩაჰყავთ — ატყუებენ, ნიხრს თვითნებურად აწესებენ, შის შედგენაში მიწათმომქმედთა ინტერესების წარმომადგენელნი ვერავითარ მონაწილეობას ვერ ღებულობენო. ამის პასუხად ქალაქები სჩიოდენ: მემამულეები თავიანთ საკუთარი საშუალებებით ეწევიან ვაჭრობას და ამნაირად ქალაქთა საბაზრო წესებს არღვევენო. ამ ბრძოლაში პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება, როგორც სჩანს, მოიპოვეს ბრანდენბურგში მე-XV საუკუნეში, როდესაც მემამულეებმა შიაღწიეს იმას, რომ მიიღეს თავისი პროდუქტების დამოუკიდებლად გაყიდვის უფლება, ხოლო სოფლის მცხოვრებთათვის საზოგადოდ — უფლება იმისა, რომ თავისუფლად აერჩიათ ესა თუ ის საბაზრო ქალაქი. შემდგომ ხანებში რამდენსამე დიდ და გავლენიან ქალაქს წაართვეს საბაზრო პრივილეგიები და ფულის მოჭრის უფლება, ხოლო ადგილობრივმა მთავრებმა მიითვისეს ბაჟის დადებისა და ხელოსნობისადმი მეთვალყურეობის უფლება. ამ თავადებმა თავიანთი მამულები ახალ ეკონომიურ ერთეულებად გადააქციეს, სადაც ქალაქთა ხელისუფლება სასტიკად ემორჩილებოდა ფეოდალ-მფლობელს. ქალაქები გართულნი იყვნენ უფრო ფართო ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში, რომლის დროსაც ვაჭრობაზე მერის კონტროლი შეცვალა ადგილობრივი მფლობელ-ფეოდალის კონტროლმა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც მე-XVI საუკ. გერმანიაში სავაჭრო საქმიანობა დაეცა და ფეოდალური ფსიქოლოგია, ფეოდალური ყოფა-ცხოვრება აღორძინდა. იმ დროს, როდესაც ბრიტანეთი უახლოესი სამი საუკუნის განმავლობაში უნდა გადაქცეულიყო ფრიად მტკიცე და მედგარი კომერციული სულის სამშობლოდ, გერმანიაში კაპიტალისტური თაოსნობის პირველივე ნაბიჯი ყინვამ დააზრო. კომერციული საქმიანობა გერმანიაში ფეოდალურ გარსში მოემწყვდა და ინდივიდუალური თაოსნობა-ინიციატივის სულმა ვერ მოახერხა ტრადიციებისა და ფეოდალური პარტიარქალობის ხუნდებისაგან განთავისუფლება.

როგორც სჩანს, ესპანეთშიაც კაპიტალისტური თაოსნობის განვითარება ამრიგადვე იქნება შეფერხებული. „თაოსნობის სული გაჰქრა. ეკონომიური განვითარების მაგიერად ერი ჩაეფლო რელიგიასა, სამეფოს კარის ცხოვრებასა და სარაინდო გასართობებში, სავაჭრო მო-

ღვაწლობას იგივე თვისებები ახასიათებდა, რაც მიწათმოქმედებას". მეფის ხელისუფლება ფრიად ძლიერი იყო, ხოლო ეკლესია თითქმის მასზე უფრო ძლიერი; მომთაბარე მეცხვარეობის ფეოდალურ საქმეს ჯერ კიდევ ჰქონდა მძლავრი ორგანიზაცია სახელგანთქმულ mest-თა სახით. პირველ ხანებში, განსაკუთრებით მავრებთან ომიანობის დაუწყვეტელ პერიოდში, მეფის ხელისუფლება ხელს უწყობდა ქალაქებს და ცდილობდა მათ გაძლიერებასა და განვითარებას. მაგრამ mest-თა სახით, რომელნიც მატყლის ვაჭრობით გამდიდრებულიყვნენ, მას ჰყავდა მდიდარი ფეოდალური მოკავშირე, რომლისაგანაც შეეძლო ფინანსიური დახმარების მიღება. ამიტომ როდესაც „მ ე ს ტ ს" (mest) ქალაქებთან შეტაკება უხდებოდა, ყოველთვის შეეძლო მეფის მოხელეების დახმარების იმედი ჰქონოდა, ამიტომ ბრძოლა დამთავრდა არა წარმოშობის გზაზე შემდგარ ვაჭართა კლასის გამარჯვებით, როგორც ინგლისში, არამედ ებრაელ ბანკირთა განდევნითა და ინკვიზიციის, — ამ საოცარისა და, შეიძლება ითქვას არა სწორად გაგებული დაწესებულების ზეიმით.

ამიტომ ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ბაზართა გამო ბრძოლასა და ქალაქთა პროტექციონისტულ თუ მონოპოლისტურ პოლიტიკას კომერციულ თაოსნობა-საქმიანობაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა შივაწეროთ. ფორმები, რომლითაც გამოიხატებოდა ეს საქმიანობა და ის ადგილები, სადაც იგი ყველაზე ადრე და ყველაზე წარმატებით ვითარდებოდა, ფრიად მნიშვნელოვანად იყო დამოკიდებული ამ ბრძოლის შედეგებზე. მე-XV საუკუნიდან ინგლისის ვაჭრობის წარმატებასა, ხოლო გერმანიისა და იტალიის ვაჭრობის დაცემას, ჩვეულებრივად იმით ხსნიან, რომ აღმოჩენილ იქნა ახალი სავაჭრო გზები ატლანტიის ოკეანეზე და მნიშვნელობა დაეკარგა ბალტიის ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის სავაჭრო გზებს. მაგრამ ზემოხსენებულზე ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზეზი ამისა არ ყოფილა აგრეთვე ახალი კომერციული თაოსნობის გამარჯვება ფეოდალიზმთან ბრძოლაში; მართლაც და, ვინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ახალი ქვეყნის აღმოჩენა იმდენადვე შედეგი არ იყო, რამდენადაც მიზეზი ახალი კომერციული სულის გაჩენისა, რამაც ასეთი სიხალისე და ბრწყინვალება შეჰმატა ტიუდორთა „მხიარულ ინგლისს"? ინგლისში ფეოდალურ იდეებსა და ზნე-ჩვეულებას ისეთივე ბატონობა რომ შერჩენოდა, როგორც ეს იყო ესპანეთში, ინგლისის ვაჭრობა ისეთსავე ხასიათისა იქნებოდა, როგორიც ესპანეთის კოლონიალური პოლიტიკა, რომელიც ფეოდალური არისტოკრატიისა ან ეკლესიის სალაროების ასავსებად ოქროს გამალებულ და მტაცებლურ ძიებაში

გამოიხატებოდა. მაგრამ ამის მაგივრად ინგლისის ოკეანეს იქითა ვაჭრობა რევოლიუციონურ და შემოქმედ ძალას წარმოადგენდა. უფრო მეტიც: საბაზრო და სასაწყობო მონოპოლიის მომგებიანობას ინგლისელი ვაჭრებისათვის მადა რომ არ აღეძრა, საეჭვოა. რომ უცნობსა და გადაკარგულ ინდოეთში მათ ასეთი რისკისა და თავგადასავალთა ატანის გამბედაობა გამოეჩინათ.

(მ ო რ ი ს დ ო ბ ი — კაპიტალისტური მეურნეობის წარმოშობა და განვითარება).

§ 7. ქალაქი და სოფელი

მატერიალური და სულიერი შრომის ყველაზე მსხვილ დანაწილებას წარმოადგენს ქალაქის გამოყოფა სოფლიდან. წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის იწყება ცხოვრების ბარბაროსობიდან ცივილიზაციისაკენ, ტომობრივიდან სახელმწიფოებრივისაკენ, ადგილობრივიდან ნაციონალურისაკენ გადასვლასთან ერთად, და მიმდინარეობს ცივილიზაციის მთელი ისტორიის სიგრძეზე, თვით ჩვენს დრომდე (Anticornlaw-Leaaue). ქალაქთან ერთად იბადება აუცილებლობა ადმინისტრაციისა, პოლიციისა, ხარკებისა და სხვ., მოკლეთ რომ ვსთქვათ, თემური ცხოვრების (Qemeindewescns), და მაშასადამე პოლიტიკისაც საერთოდ. აქ პირველად თავს იჩენს მოსახლეობის დაყოფა ორ დიდ კლასად, რაიც დამყარებულია პირდაპირ შრომის დანაწილებასა და წარმოების იარაღებზე. ქალაქში ჩვენს წინაშე სდგას ფაქტი მოსახლეობის საწარმოო იარაღების, კაპიტალის, სიამოვნება-კმაყოფილების და მოთხოვნილებათა კონცენტრაციისა, მაშინ როდესაც სოფელში ჩვენ მოწამე ვართ დიამეტრულად საწინააღმდეგო განმხოლოებისა და განცალკევებლობის ფაქტისა.

წინააღმდეგობას ქალაქსა და სოფელს შორის შეუძლია იარსებოს, მხოლოდ კერძო საკუთრების ჩარჩოებში, ეს არის ყველაზე უხეში გამოხატულება ინდივიდის შრომის დანაწილებისათვის, და გარკვეული, მისთვის იძულებით თავზე მოხვეული, მოღვაწეობისათვის, დაქვემდებარების ფაქტისა. რაიც ერთ ადამიანს აქცევს განსაზღვრულ ცხოველად ქალაქისა, მეორეს — განსაზღვრულ ცხოველად სოფლისა, და რომელიც ყოველდღიურად ხელ-ახლა ჰშობს ამ ორივეს ინტერესთა წინააღმდეგობას. შრომა აქ ისევ წარმოადგენს მთავარ საქმეს, ის წარმოადგენს ძალას, რომელიც მოქმედობს ინდივიდებზე, და, სანამ არსებობს ეს უკანასკნელი უნდა იარსებოს კერძო

საკუთრებამაც. ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობათა მოსპობა წარმოადგენს ერთერთ პირველ პირობათაგანს კოლექტიურობისა (Gemeinschft), პირობას, რომელიც, თავის მხრივ დამოკიდებულია მთელ რიგ მატერიალურ წინამძღვართაგან და რომელიც, როგორც ამას ყოველი უცბად შეამჩნევს, ერთბაშად არ შეიძლება რომ განხორციელებული იქნას მხოლოდ ერთი ნებით (ეს პირობები კიდევ უნდა განვითარებული იქნას). ქალაქის სოფლიდან გამოყოფა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც გამოყოფა კაპიტალისა სამიწო საკუთრებიდან, როგორც საწყისი კაპიტალის სამიწო საკუთრებიდან დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარებისა, საწყისი საკუთრებისა, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ შრომასა და გაცვლაზე. (ახლა გადავიდეთ ჩვენს მაგალითზე).

ქალაქებში, რომლებიც საშუალო საუკუნოებში არ გადასულან ადრინდელი დროებიდან ჩამოყალიბებული სახით, არამედ წარმოიშვენ ხელ-ახლა განთავისუფლებული ყმა-გლეხებისაგან, ყოველი ინდივიდის ერთადერთი საკუთრება, — გარეშე მათ მიერ თან მოტანილი უმნიშვნელო კაპიტალისა, რომელიც ყველაზე აუცილებელ ინსტრუმენტებში გამოიხატებოდა, — იყო მისი საკუთარი სამუშაო. კონკურენცია ყმა-გლეხებისა, რიმლებიც შეუწყვეტლივ მოედინებოდენ ქალაქში და გაურბოდენ თავიანთ ბატონებს, შეუწყვეტელი ომი სოფლისა ქალაქთან და ამასთან დაკავშირებული აუცილებლობა საქალაქო სამხედრო ძალის ორგანიზაციისა, კვანძები საერთო საკუთრებისა გარკვეულ სამუშაოზე, აუცილებლობა საერთო შენობებისა საქონელთა გასაყიდათ ეპოქაში, როდესაც ხელოსანი იმავე დროს ვაჭარსაც წარმოადგენდა, და ამასთან დაკავშირებული გამორიცხვა ამ შენობებიდან (სახლებიდან) მოუწვეველებისა, ცალკე ხელობათა ინტერესების წინააღმდეგობა, აუცილებლობა დიდის შრომით შესწავლილი ხელობის დაცვა-მფარველობისა და ფეოდალური ორგანიზაცია მთელი ქვეყნისა — ასეთი იყვნენ მიზეზები ყოველი პროფესიის მუშების ამქრებში გაერთიანებისა.

ჩვენ აქ არ შევეხებით დაწვრილებით ამქრულ წყობილების მრავალრიცხოვან ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეული იყვნენ გვიანდელი ისტორიული მოვლენებით. მთელი საშუალო საუკუნოების მიმდინარეობაში შეუჩერებლივ გრძელდება ყმა-გლეხთა გაქცევა ქალაქებში. ეს ყმა-გლეხები, რომელთაც ხოფლებში თავიანთ მებატონეები სდევნიდენ. თვითოეულად მოდიოდენ ქალაქში, სადაც ისინი ნახულობდენ ორგანიზირებულ თემებს, რომელთა მიმართ ისინი ულონონო იყვნენ, რადგანაც ისინი უნდა დაჯერებულიყვნენ

იმ მდგომარეობით, რომელსაც მათ ჰკარნახობდა მოთხოვნილება მათი შრომაზე და ინტერესები მათი ორგანიზირებული ქალაქელი კონკურენტებისა. ამ ქალაქში თვითოეულად ჩამოსულ მუშებს არასდროს არ შეეძლოთ გამხდარიყვნენ ძალად, რადგან, თუ მათი მუშაობა ატარებდა ამქრულ ხასიათს და მოითხოვდა შესწავლას, მაშინ მათ იქვემდებარებდენ ამქრის ოსტატები და აკავშირებდენ მათ თანახმად თავიანთი (ოსტატების) ინტერესებისა; და თუ რომ მათი მუშაობა არ მოითხოვდა შესწავლას და ამიტომ იყო არა ამქრული ხასიათისა, მაშინ მათ არასდროს არ შეეძლოთ ორგანიზირებულიყვნენ და რჩებოდენ უორგანიზაციო შავ მუშებად. ქალაქში დღიური მუშაობის საჭიროებამ დაბადა შავი მუშები. ეს ქალაქები იყვნენ ჭეშმარიტი „კავშირები", რაც გამოწვეული იყო უშუალო მოთხოვნილებებით, ღონისძიებებით, რომ დაცული ყოფილიყო საკუთრება, რომ გამრავლებულიყო წარმოების საშუალებანი და ცალკე წევრების დაცვა-მფარველობისათვის. რადგანაც ამ ქალაქებში შავი მუშები შესდგებოდენ ერთმანეთისათვის უცხო, თვითოეულად მოვლენილ ინდივიდებისაგან, რომლებიც უპირისპირდებოდენ ორგანიზირებულ, სამხედრო წესით შეიარაღებულ და მათთვის ფხიზლად თვალყურის მდევნებელ ძალას, ცხადია, ისინი (შავი მუშები) მოკლებული იყვნენ ყოველგვარ ძალას.

ქარგლები და შეგირდები ყოველ ხელობაში ისე იყვნენ ორგანიზირებულნი, როგორც ამას მოითხოვდენ ოსტატთა ინტერესები. ამათსა და ოსტატებს შორის არსებული პატრიარქალური ურთიერთობანი უკანასკნელებს მატებდა ორგვარ ძალას: უპირველესად, მათ ჰქონდათ პირდაპირი გავლენა ქარგალთა მთელ ცხოვრებაზე, მეორედ, ქარგალთა მუშაობა ერთსა და იმავე ოსტატთან ნამდვილად იყო კავშირი, რომელიც მათ აერთიანებდა სხვა ოსტატების ქარგალთა წინააღმდეგ და რომელიც მათ ანცალკევებდა უკანასკნელთაგან. დასასრულ, ქარგლები არსებულ წყობილებასთან შეკავშირებულნი იყვნენ თავიანთი საკუთარი ინტერესებით, სახელდობრ თვითონ ოსტატებად გახდომის შესაძლებლობით. ამიტომ იმ დროს, როდესაც შავი მუშები (чернь) ხანდისხან ასტეხდენ არეულობას ამ საქალაქო წყობილების წინააღმდეგ, — არეულობანი, რომელთაც, მათი უღონობისა გამო არ მოსდევდა არავითარი შედეგი, — ქარგლები ისაზვრებოდენ წვრილ-წვრილი აფეთქებებით ცალკე ამქრების ფარგლებში, რაიც, საკუთრად, შედიოდა თვით ამქრული წყობილების არსებაში. საშუალო საუკუნოების დიდი აჯანყებები, ყველანი გამომდინარეობდენ სოფლებიდან, მაგრამ, გლეხების დაქსაქ-

ულობისა და ამასთან დაკავშირებული მათი უხეშობისა გამო ესენიც სავსებით უშედეგონი რჩებოდენ.

კაპიტალი ამ ქალაქებში იყო ნატურალურ კაპიტალად; ის გამოიხატებოდა საცხოვრებელ ბინებში, ინსტრუმენტებში და ნატურალურ, მემკვიდრეობით კლიენტურაში და, არასაკმაოდ განვითარებული სამიმოსვლო კავშირსა და არასაკმაო მიმოქცევისა გამო, არ შეიძლებოდა რეალიზირებულიყო, გადაეცემოდა რა მემკვიდრეობით მამიდან შვილზე. ეს კაპიტალი — თანამედროვე კაპიტალისაგან განსხვავებით — გამოიხატებოდა არა ფულებში, როდესაც სულერთია, სახელდობრ რომელ ნივთში გამოიხატება ის, — ეს იყო მფლობელის შრომასთან უშუალოდ დაკავშირებული, მისგან სავსებით განუყოფელი, და ამდენადაც წოდებრივი, კაპიტალი.

ქალაქებში ყველგან გატარებული იყო შრომის დანაწილება ცალკე ამქრებს შორის და ამქრებს შიგნითაც ცალკე მუშებს შორის. ყოველ მუშას უნდა სცოდნოდა მთელი რიგი სამუშაოსი, უნდა შესძლებოდა ყოველივეს გაკეთება, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა მისი ინსტრუმენტების დახმარებით. ურთიერთობის უმნიშვნელობა და მთელი კავშირი ცალკე ქალაქებისა, მოსახლეობის არასაკმარისობა და მოთხოვნილებათა განსაზღვრულობა ხელს უშლიდენ შრომის შემდგომ დანაწილებას. ამიტომაც ყოველი, ვისაც კი სურდა გახდომა ოსტატად, უნდა ყოფილიყო მფლობელი თავისი ხელობის მთელი საიდუმლოებებისა. ამიტომ, საშუალო საუკუნოების ხელოსნებში კიდევ ემჩნევა გარკვეული ინტერესი მათი სპეციალურ მუშაობისადმი და შრომის ხელოვნებისადმი, რომელსაც შეეძლო ამაღლებულიყო რამოდენიმედ განსაზღვრულ მხატვრული გემოვნების ხარისხამდე. მაგრამ სწორედ ამიტომაც ყოველი საშუალო საუკუნოების მუშა სავსებით ეფლობოდა თავის მუშაობაში; მასში იყო მისდამი მიმართება როგორიღაც სენტიმენტალური ბატონყმური დამოკიდებულებისა, და ის ბევრად უფრო დაქვემდებარებული იყო მისთვის, ვინემ თანამედროვე მუშა, რომელიც ინდიფერენტულად უყურებს თავის მუშაობას.

შრომის დანაწილების სფეროში უახლოესი ნაბიჯი იყო წარმოების კავშირის (Verkehr, — კომერციის) ფორმისაგან განცალკევება, ვაჭართა ცალკე კლასის წარმოშობა, — განცალკევება, რომელიც ისტორიულად დაცულ ქალაქებში გადმოვიდა წარსულიდან (სხვათა შორის, ებრაელებთან ერთად) და ძლიერ ჩქარა მოევლინა ახლადწარმოშობილ ქალაქებშიაც. ამით იქმნებოდა შესაძლებლობა საგაჭრო კავშირისა, რომელიც სცილდებოდა უახლოესი მიდამოების ფარ-

გლებს, — შესაძლებლობა, რომლის განხორციელება დამოკიდებული იყო მიმოსვლის არსებულ საშუალებებზე, გზებზე საჯარო უშირშოების მდგომარეობაზე, რომელიც განისაზღვრებოდა პოლიტიკური გარემოებით (როგორც ცნობილია, მთელი საშუალო საუკუნოების განმავლობაში ვაჭრები მიმოდიოდენ შეიარაღებული ქარავნებით), და მოთხოვნილებათა მეტი თუ ნაკლები განვითარებისდამიხედვით სავაჭროდ ხელმისაწვდენ ოლქებში, რაიც განსაზღვრულია კულტურის შესაბამი საფეხურით, იმ დროს, როდესაც კომერციის ფორმა კონსტიტუირდება ცალკე კლასში და ამასთანავე ერთად, ვაჭრების წყალობით, ვაჭრობა ფართოვდება ქალაქის უახლოესი მიდამოების საზღვრებს მიღმა, ჩნდებიან ურთიერთზემოქმედებანიც წარმოებასა და კომერციის ფორმებს შორის.

ქალაქები შედიან **ურთიერთ კავშირში**, შრომის ახალი იარაღები ერთი ქალაქიდან მოაქვთ მეორეში, და დაყოფა წარმოებასა და კომერციის ფორმას შორის მალე იწვევს წარმოების ახალ დაყოფას ცალკე ქალაქებს შორის, რომელთა შორის თვითოეული მალე იწყებს მრეწველობის რომელიმე მნიშვნელოვანი დარგის ექსპლოატაციას. ნელ-ნელა ჰქრება პირვანდელი ადგილობრივით განსაზღვრულობა.

მხოლოდ კომერციული კავშირისაგანაა დამოკიდებული ის, რჩება თუ არა შემდგომი განვითარებისათვის რომელიმე ქვეყანაში მიღწეული საწარმოო ძალთა დონე, განსაკუთრებით მასში გაკეთებული გამომგონებლობანი. სანამ კავშირი განსაზღვრულია უახლოესი საშუალებით, ყოველი გამოგონება უნდა გახდეს ყოველი კუთხის (ქვეყნის) განსაკუთრებულობად. საკმარისი იყო, უბრალო შემთხვევები. როგორც, მაგალითად, ბარბაროსი ხალხების შემოსევანი, ანდა ჩვეულებრივი ომები, რათა რომელიმე, განვითარებული საწარმოო ძალების და მოთხოვნილებათა პატრონი ქვეყანა დაყვანილი ყოფილიყო აუცილებლობამდე, რომ ყოველივე ისევ თავიდან დაეწყო.

პირველდაწყებით ისტორიაში ყოველი გამოგონება ყოველდღე ხელახლა უნდა გაკეთებულიყო და ყოველ კუთხეში დამოუკიდებლის სახით. თუ როგორ ცოტათი იყვნენ გარანტირებული სრული დაღუპვისაგან საწარმოო ძალები თვით შედარებით მეტად ფართე ვაჭრობის შემთხვევაშიაც. გვიჩვენებს ფინიკიელთა მაგალითი (მარქსის ხელით: და საშუალო საუკუნოების მხატვრობანი მინებზე), რომელთა გამოგონებანი თავის უმნიშვნელოვანეს ნაწილში დაიღუპენ დიდი ხნისათვის, მათი ვაჭრობიდან განდევნის წყალობითა და მათი ალექსანდრეს მიერ დაპყრობისა და ამას მოყოლილი მათი დაცემის წყალო-

ბით. იგივე შეეხება, მაგალითად, მხატვრობათ მინებზე საშუალო საუკუნოებში. მხოლოდ მაშინ, როდესაც კომერციული კავშირი ღებულობს მსოფლიო ხასიათს, რომელსაც ესაფუძვლება მსხვილი მრეწველობა, როდესაც ყველა ხალხები ჩათრეული იქნება კონკურენციულ ბრძოლაში, მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი საწარმოო ძალთა განვითარებაში მიღწეული წარმატებების ხანგრძლივი არსებობა.

სხვადასხვა ქალაქებს შორის შრომის დანაწილების უახლოეს შედეგად წარმოსდგა მანუფაქტურის ჩასახვა, ამ ამქრული წყობილების ჩარჩოებიდან წარმოშობილ წარმოების დარგისა. მანუფაქტურის პირველი აყვავების ისტორიულ წინამსრბოლად — იტალიაში, ხოლო შემდეგ ფლანდრიაში, — მოევლინა კავშირი უცხო ქვეყნების ხალხებთან. სხვა ქვეყნებში — მაგალითად, ინგლისში და საფრანგეთში — თავდაპირველად მანუფაქტურა განსაზღვრული იყო შინაგანი ბაზარით. გარდა აღნიშნული წინამსრბოლებისა მანუფაქტურის არსებობა გულისხმობს აგრეთვე კარგად განვითარებულ კონცენტრაციას მოსახლეობისა — განსაკუთრებით სოფლებისა, — და კაპიტალისა, რომელმაც დაგროვება იწყო ნაწილობრივ ამქრებში, მიუხედავად ყოველგვარი ამქრული აკრძალვებისა, ნაწილობრივ ვაჭრების ხელში, ცალკე ვაჭრობაში...

საშუალო საუკუნოებში ყოველ ქალაქში ქალაქელები თავიანთი ქურქის დასაცავად იძულებულნი იყვნენ გაერთიანებულიყვნენ სოფლის აზნაურობის წინააღმდეგ. ვაჭრობის ზრდამ, სამიმოსვლო გზების დამყარებამ, ცალკე ქალაქებს შესაძლებლობა მისცეს გაცნობილიყვნენ სხვა ქალაქებს, რომელთაც იგივე ინტერესები ჰქონდათ იმავე მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცალკე ქალაქების მოქალაქეთა მრავალ ადგილობრივ გაერთიანებათაგან ნელ-ნელა წარმოიშვა მოქალაქეთა, ბიურგერთა კლასი, ცალკე მოქალაქეთა ცხოვრების პირობები, მათი არსებული წყობილებისადმი წინააღმდეგობის წყალობით, და ამით განსაზღვრული შრომის წესის წყალობით, შეიქმნენ ყველა მათთვის საერთო და თვითეულისაგან ცალ-ცალკე დამოუკიდებელ პირობებათ. ქალაქელებმა შექმნს ეს პირობები, რამდენადაც მათ თავი დააღწიეს ფეოდალურ კავშირს, და იყვნენ მათ მიერ შექმნილნი, რამდენადაც ისინი განსაზღვრულნი იყვნენ მათი წინააღმდეგობით ფეოდალიზმისადმი, რომელიც მათ დახვდა. ცალკე ქალაქებს შორის მომხდარ გაერთიანებებთან ერთად ეს საერთო პირობები გარდაიქცენ კლასიურ პირობებად.

ერთდაიმავე პირობებს, ერთდაიმავე წინააღმდეგობათ, ერთდაიმავე ინტერესებს მთლიანად უნდა გამოეწვიათ აგრეთვე ყველგან ერთგვარი ზნე-ჩვეულებანი. თვით ბურჟუაზია ვითარდებოდა მხოლოდ თანდათანობით, თავის პირობებთან ერთად, იყოფოდა, შრომის დანაწილებისადამიხედვით, კვლავ სხვადასხვა ფრაქციებად და დასასრულ ნთქვადა თავისთავში ყველა მისდრომდე არსებულ ქონებიან კლასებს, იმისდამიხედვით, როგორაც მთელი არსებული საკუთრება იქცეოდა სამრეწველო ანუ სავაჭრო კაპიტალად (ამის პარალელურად ის უამრავ უქონებო მოსახლეობას, რომელიც მას თან ხვდება და ნაწილს წინად ქონებიანი კლასისა აქცევს ახალ კლასად, პროლეტარიატად).

ცალკე ინდივიდები წარმოადგენენ კლასს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ უხდებათ აწარმოონ საერთო ბრძოლა რომელიმე სხვა კლასის წინააღმდეგ, დანარჩენში ისინი თვითონ უპირისპირდებიან ერთმანეთს მტრულად, როგორც კონკურენტები. მეორეს მხრივ, კლასი ობიექტივირდება, თავის მხრივ, იქცევა რა რაღაც დამოუკიდებლად ინდივიდთა მიმართ, ისე, რომ უკანასკნელნი თავიანთი ცხოვრების პირობებს ნახულობენ წინდაწინ განსაზღვრულის სახით: კლასი მიუთითებს მათ მათი საყოფაცხოვრებო მდგომარეობას და ამასთან ერთად მათი პირადი განვითარებასაც, ის მათ იქვემდებარებს. ეს მოვლენა ანალოგიურია ცალკე ინდივიდების შრომის განაწილებისათვის დაქვემდებარებისა, და მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ კერძო საკუთრებისა და თვით შრომის მოსპობის წყალობით. ჩვენ უკვე არაერთხელ მიუთითებდით, როგორც ეს ინდივიდების კლასისადმი დაქვემდებარება იმავე დროს იქცევა მათი ყოველგვარი წარმოდგენებისათვის დაქვემდებარებად.

(კ. მარქსი და ფ. ენგელსი — გერმანული იდეოლოგია; „მარქსისა და ენგელსის არქივი“ ტ. I.)

თავი მეშვიდე

ხელოსნობა

§ 1. ხელოსნობის არსება

მრეწველობის პირველ ფორმას, რომელიც სცილდება პატრიარქალურ მიწადმოქმედებას, წარმოადგენს ხელოსნობა, ე. ი. ნაწარმოების დამზადება მომხმარებლის დაკვეთით. მასალა შეიძლება ეკუთვნოდეს მომხმარებელს-დამკვეთს ან ხელოსანს. ხელოსანს შრომის ხელფასი ეძლევა ან ფულად, ანდა ნატურით (ხელოსანის ბინა და შენახვა, მისი პროდუქტის ნაწილით დაჯილდოება, მაგ., ფქვილით და სხვ.). თუმცა ხელოსნობა ქალაქის ცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ის ძალიან გავრცელებულია სოფლადაც, სადაც საგლეხო მეურნეობის დამატების დანიშნულებას ასრულებს. ხელოსანი-სპეციალისტები შეადგენენ სოფლის მოსახლეობის განსაზღვრულ პროცენტს, რომელნიც ამუშავებენ (ხან განსაკუთრებით ხან კი მიწათმოქმედებასთან ერთად): ტყავს, კერავენ ფეხსაცმელს და ტანსაცმელს, ასრულებენ სამჭედლო საქმეს, ღებავენ შინაურ ქსოვილებს, ალამაზებენ გლეხურ მაუდს, ამზადებენ ხორბლისაგან ფქვილს და სხვ. ჩვენი ეკონომიური სტატისტიკის მეტისმეტი არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო არავითარი სწორი ცნობები რუსეთში ხელოსნობის გავრცელების შესახებ არ მოიპოვება, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მასალები კი მრეწველობის ამ ფორმის შესახებ გაბნეულია თითქმის საგლეხო მეურნეობის ყველა აღწერაში ეგრეთწოდებული „შინამრეწველობის“ გამოკვლევებში, შეგხვდებათ აგრეთვე ოფიციალურ საქარხნო-საფაბრიკო სტატისტიკაშიც. საერობო სტატისტიკური კრებულები, როცა საგლეხო სარეწავების რეგისტრაციას ახდენენ, ხანდახან გამოჰყოფენ „ხელოსანთა“ ცალკე ჯგუფს, მაგრამ მას ათვლიან (გავრცელებული სიტყვახმარების გამო) ყველა საალმშენებლო მუშას, პოლიტიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით ასეთი აღრევა ყოვლად მიუღებელია, რადგან საალმშენებლო მუშების მასსა ეკუთვნის არა დამოუკიდებელ მრეწველთა კატეგო-

რიას, რომელიც მუშაობს მომხმარებელთა შეკვეთით, არამედ დაქირავებულ მუშებისას, რომელსაც ამუშავებენ მონარდეები. რასაკვირველია, სოფლის ხელოსნის წვრილ საქონლის მწარმოებლისაგან ანდა დაქირავებულ მუშისაგან გარჩევა ყოველთვის ადვილი არ არის: ამისთვის საჭიროა ყოველი წვრილი მრეწველობის შესახებ ცნობების ცალკე ეკონომიური განხილვა. ხელოსნობის წვრილი მრეწველობის დანარჩენ ფორმებთან მკაფიო გამოყოფის შესანიშნავ ცდას წარმოადგენს 1894-5 წლის პერმის საშინამრეწველო აღწერის ცნობათა დამუშავება. ადგილობრივ სოფლის ხელოსანთა რაოდენობა დაახლოებით გამოიხატა საგლეხო მოსახლეობის ერთ პროცენტში, ამასთანავე (როგორც ეს მოსალოდნელი იყო) ხელოსანთა უდიდესი ნაწილი აღმოჩნდა მაზრებში, სადაც ყველაზე უფრო ნაკლებად არის განვითარებული მრეწველობა. შედარებით წვრილ საქონლის მწარმოებლებთან ხელოსნები უფრო მაგრად არიან დაკავშირებული მიწასთან: 100 ხელოსანზე მოდის 80,6 მიწათმომქმედი (დანარჩენ „შინამრეწველთათვის" ეს პროცენტი უფრო პატარაა). ხელოსანთა შორის საჭირო შრომის გამოყენება თუმცა არსებობს, მაგრამ ამგვარ მრეწველთა შორის ის უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე დანარჩენთა შორის. ამგვარადვე ხელოსანთა სახელოსნოების სიდიდე (მუშების რიცხვის მიხედვით) ძალიან მცირეა. საშუალოდ ხელოსან-მიწათმომქმედი შოულობს — 43,9 მანეთს წელიწადში, არა მიწათმომქმედი კი — 102,9 მანეთს.

ჩვენის აზრით საკმაოა ეს მოკლე შენიშვნები, რადგან ხელოსნობის დაწვრილებითი განხილვა არ წარმოადგენს ჩვენს ამოცანას. მრეწველობის ამ ფორმაში ჯერ კიდევ არ არის საქონლის წარმოება; აქ ჩნდება საქონლის ბრუნვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხელოსანი ხელფასს ფულად იღებს ანდა ყიდის მუშაობაში მიღებულ პროდუქტის ნაწილს და ყიდულობს თავისთვის ნედლ მასალას და საწარმოო იარაღებს. ხელოსნის შრომის პროდუქტი არ ჩნდება ბაზარზე, ის თითქმის არ ცილდება გლეხის ნატურალური მეურნეობის ფარგლებს *). ბუნებრივია ამიტომ, რომ ხელოსნობა ხასიათდება ისეთივე

*) ხელოსნების ნატურალურ მეურნეობასთან სიახლოვე იწვევს ხშირად გლეხების მხრით ხელოსნური შრომის ორგანიზაციის ცდას მთელი სოფლისათვის: გლეხები ხელოსანს აძლევენ ხარჯს და ავალებენ მას სოფლის ყველა მცხოვრებისათვის მუშაობას. ახლანდელ დროში მრეწველობის ამგვარ წესს შეიძლება შეხვდეთ მხოლოდ როგორც გამონაკლისს ან მეტის-მეტად მიყრუებულ კუთხეებში. (მაგ., ამიერ-კავკასიის ზოგიერთ სოფელში ამნაირადაა მოწყობილი სამჭედლო საქმე).

რუტინით, დაშლით და სივიწროვით, როგორც წვრილი პატრიარქალური მიწათმოქმედება. განვითარების ერთად ერთი ელემენტი, რომელიც თან ახლავს მრეწველობის ამ ფორმას, მდგომარეობს იმაში, რომ ხელოსნები სხვა ადგილებში მიდიან საშოვარზე. ასეთი გასვლა საკმაოდ ფართოდ იყო განვითარებული ჩვენს სოფლებში, განსაკუთრებით წინანდელ დროში; ჩვეულებრივად ამას შედეგად მოყვებოდა ის, რომ მისავალ ადგილებში ეწყობოდა დამოუკიდებელი სახელოსნოები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხელოსანი ჩნდება ბაზარზე, თუმცა არა იმ პროდუქტით, რომელსაც თვითონ აწარმოებს. ბუნებრივია, რომ, რადგან ის ერთხელ ბაზარზე გამოვიდა, შემდეგში ის იწყებს ბაზრისთვის წარმოებას, ე. ი. ხდება ს ა ქ ო ნ ლ ი ს მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი. ეს გადასვლა თანდათანობით ხდება, თავდაპირველად ცდის სახით: ბაზარზე გააქვთ პროდუქტები, რომელნიც შემთხვევით დარჩენილან მოუხმარებელი, ან ისეთები, რომელნიც თავისუფალ დროს არის დამზადებული. გადასვლის თანდათანობა გრძელდება კიდევ მით, რომ ბაზარი ნაწარმოების გასასაღებლად პირველად ძალიან ვიწროა ხოლმე, ასე რომ მწარმოებლის და მომხმარებლის შუა იზრდება უმნიშვნელოდ, პროდუქტი წინანდებურად უშუალოდ გადადის მწარმოებლის ხელიდან მომხმარებლის ხელში, ამასთანავე ხანდახან პროდუქტის გაყიდვას წინ უძღვის მისი გადაცვლა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. სასაქონლო მეურნეობის შემდეგი განვითარება გამოიხატება ვაჭრობის გაფართოებაში, სპეციალისტ ვაჭარ-შემსყიდველების გაჩენაში; ნაწარმოების გასაღება აღარ იზღუდება ახლა სოფლის ვიწრო ბაზრით ან ამ ადგილის წლიური ბაზრობით *). არამედ ის ერცელდება მთელ ოლქში, ქვეყნის და ხანდახან სხვა ქვეყნების ბაზარზედაც. მშენებლობის პროდუქტების წარმოება, როგორც საქონლის, პირველ საძირკველს წარმოადგენს მრეწველობის მიწათმოქმედებიდან გამოყოფისა და მათ შორის აღებ-მიცემობისათვის. ბ. ნ. — ონი, თავისი ჩვეულებრივი შაბლონური და აბსტრაქტული გაგებით, მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ „მრეწველობის მიწათმოქმედებიდან გამოყოფას" აცხადებს საზოგადოდ „კაპიტალიზმის" თვისებად და

*) ერთი ასეთი სოფლის ბაზრობის გამორკვევამ გამოააშკარავა, რომ მთელი ბრუნვის 31% (დაახლოებით 15 ათასი მან. 50 ათას მანეთიდან) მოდის სწორედ „საშინამრეწველო" პროდუქტებზე. რამდენად ვიწროა ხოლმე თავდაპირველად გასაღების ბაზარი წვრილ საქონლის მწარმოებლებისათვის, ეს იქიდან სჩანს, რომ პოლტაველი ხარაზები ასაღებენ თავის ნაწარმოებს მხოლოდ 60 ვერსტის მანძილზე თავის სოფლის ირგვლივ.

არ იწუხებს თავს არც ამ გამოყოფის სხვადასხვა ფორმების, არც კაპიტალიზმის სხვადასხვა სტადიების გარჩევით. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ყველაზე უფრო წვრილი საქონლური წარმოება საგლეხო სარეწავებში უკვე იწყებს მრეწველობის მიწათმოქმედებიდან გამოყოფას, თუმცა განვითარების ამ სტადიაზე უმეტეს შემთხვევაში მრეწველი და მიწათმომქმედი ჯერ კიდევ განცალკევებული არ არიან.

(ვ. ლ ე ნ ი ნ ი — კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში).

§ 2. ხელოსნობის ცნება

ჩვენი მუშაობის გეგმასთან შეფარდებით ჩვენ უწინარეს ყოველისა უნდა შევადგინოთ გარკვეული წარმოდგენა „ხელოსნობის იდეაზე", ე. ი. უნდა განვსაზღვროთ ცნება, რომელიც აგვიხსნის იმ მეურნეული სისტემის არსებას, რომელსაც ჩვენ უწოდებთ ხელოსნობაა, ანუ მეურნეობის ხელოსნურ ორგანიზაციას და რომელიც, როგორც ჩვენ ვიცით, გაბატონებული იყო საშუალო საუკუნოებრივი ევროპის მეურნეულ ცხოვრებაში.

როგორც მეურნეული სისტემა, ხელოსნობა არის ისეთი ფორმა გაცვლითი მეურნეობისა, რომელიც ორგანიზირებულია მეურნე სუბიექტთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რომლის დროსაც ეს მეურნე სუბიექტები წარმოადგენენ იურიდიულად და ეკონომიურად დამოუკიდებელ ტექნიკურ მუშებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ თავის გამოკვების იდეით, მოქმედობენ თანახმად ტრადიციებისა და ექვემდებარებიან ერთგვარ საერთო ორგანიზაციას. ეს ცნება ანალიზის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია დავშალოთ შემდეგ შემადგენელ ნაწილებად.

ხელოსნებს ჩვენ უწოდებთ ყველა მეურნე სუბიექტებს, რომლებიც მონაწილეობენ ხელოსნობის ყაიდაზე ორგანიზირებულ მეურნეობაში, დამოუკიდებლად იმისა, მისდევენ ისინი სასოფლო-მეურნეულ თუ სამრეწველო დოვლათთა წარმოებას, ამ დოვლათთა გაცვლას თუ მათ გადატანას. უფრო ვიწრო გაგებით ხელოსნებათ იწოდებიან მხოლოდ სამრეწველო მეწარმენი ხელოსნურ მეურნეობაში. ხელოსნობის მეურნეული სისტემისათვის ისინი ისევე დამახასიათებელნი არიან, როგორც სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლები სამომხმარებლო მეურნეობისათვის და ვაჭრები კაპიტალისტურ გაცვლითი მეურნეობისათვის. ამიტომ მე აქ მათ განვიხილავ როგორც წარმომადგენლებს ყველა სხვადასხვა მეურნე სუბიექტებისა, რომლებიც-კი შედიან ხე-

ლოსნურ საფუძველზე ორგანიზირებულ მეურნეობაში და მათ მაგალითზე შევეცთები გავარკვიო ამ მეურნეული სისტემის არსება.

ჩემის აზრით, ჩვენ „ხელოსნის" შინაგან თავისებურებათა ყველაზე უკეთ გამოვარკვევთ, თუ კი ამთავითვე განვსაზღვრავთ ჩვენს გაგებას უარყოფითი ნიშნებით და „ხელოსნად უწოდებთ ისეთ სამრეწველო მუშაკს, რომელიც მოკლებული არ არის არც ერთ იმ პირობათაგანს, რომელიც აუცილებელია საქონლის წარმოებისა და გასაღებისათვის, როგორიც გინდ — პირად ანუ ნივთიერი — ხასიათისა ეს პირობაც არ იყოს. მაშასადამე, ამ მუშის პიროვნებაში თავს იყრიან სამრეწველო მეწარმის ყველა თვისებანი; თუ ამის შეჯამებით ჩამოვაყალიბებთ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის საწარმოო კვალიფიკაციას კიდევ არ განუცდია არავითარი დიფერენციაცია. რადგანაც წარმოებისათვის აუცილებელია ნივთიერი ქონებისა და პირადი უნარიანობის გაერთიანება; ზემოთქმულიდან ყველაზე უწინარეს გამომდინარეობს, რომ ხელოსანს გარდა პირადი თვისებათა უნდა ჰქონდეს აგრეთვე უფლება წარმოებისათვის აუცილებელ ნივთიერ დოვლათებზე განკარგულებისა, ე. ი. უნდა ფლობდეს ს ა წ ა რ მ ო ო ს ა მ უ ა ლ ე ბ ებ ს. ხელოსნობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა დიფერენციაცია პირად უნარიანობისა და ნივთიერ საშუალებათა შორის ანუ, — იმავე აზრის გამომხატველ სხვა ტერმინებით რომ ვსთქვათ, — ხელოსნის ნივთიერ ქონებას კიდევ არ მოუპოვებია კაპიტალის თვისებები.

მაგრამ ხელოსანი ფლობს არა მარტო ნივთიერ ქონებას, რომელიც აუცილებელია მეწარმოებისათვის. მას აქვს აგრეთვე ყოველი ამისათვის აუცილებელი პ ი რ ა დ ი თ ა ვ ი ს ებ უ რ ე ბ ა ნ ი: ის თავისებური სამრეწველო მიკროკოსმია. თავის პატივცემულ თავში ის აერთიანებს ყველა იმ თვისებათ, რომლებიც შემდეგში ვითარდებიან განსაკუთრებულ უნარიანობაში და იქცევიან მრავალ ცალკე ადამიანთა კუთვნილებათ. თავის თავად იგულისხმება, რომ ეს თვისებანი მასში აღწევენ მხოლოდ მინიატურულ სიდიდეებს. მის უნივერსალობას აუცილებლობით თანა სდევს შუალობა.

ხელოსნობის ნამდვილი ცნება მდგომარეობს იმაში, რომ ხელოსანი არის ისეთი ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო მ უ შ ა კ ი, რომელიც ფლობს ტეხნიკურ უნარიანობათ, რომელნიც შესაძლებლობას იძლევიან შესრულებულ იქნას ნედლ მასალაზე, სახმარი საგნების გამოსამუშავებლად, საჭირო ყველა აუცილებელი ოპერაციები. მაგრამ ამ, ვსთქვათ, ტეხნიკურ დაჯილდოებასთან ერთად ის კიდევ აერთიანებს:

1. აუცილებელ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ალღოს, მხატვრულ აღქმას.

2. წარმოებისათვის საჭირო ც ო დ ნ ა ს, რომელიც მას აგრეთვე შესაძლებლობას აძლევს გადასცეს სხვას თავისი ხელობა. ჩვენ ამ გამოთქმას მივმართავთ, რათა გვერდი აუქციოთ ტერმინ „მეცნიერულ მომზადებას", რომელსაც შეეძლო არასწორად გამოეხატა ჩვენი აზრი. ხელოსანი თავის პიროვნებაში აერთიანებს მთელ სიბრძნეს ჩვენი „საინჟენერო მეცნიერების დოქტორებისა" და მთელ შედეგებს ჩვენი ქიმიური ლაბარატორიათა გამოკვლევებისა.

3. ამასთანავე ერთად ის გამოდის, როგორც ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ ი და როგორც ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი წარმოებისა. ის ერთ პიროვნებაში აერთიანებს მთავარ დირექტორს, ოსტატსა და ფიზიკური შრომის მუშას.

4. ამავე დროს ის ვ ა ჭ ა რ ი ც ა ა. მთელ ოპერაციებს ყიდვა-გაყიდვისა, გასაღების მთელ ორგანიზაციას, ერთის სიტყვით, ყოველივეს რაც შემდეგში შედის სპეკულიაციის სფეროში, და სრულდება საშუალო დონეზე მაღლა მდგარ ცალკე პირთა მიერ, გარშემოიცვება მისი პირადი მოღვაწეობით.

(ვ ე რ ნ ე რ ზ ო მ ბ ა რ ტ ი — თანამედროვე კაპიტალიზმი ტ. I. წ. I).

§ 3. ხელოსნობის ზოგადი დახასიათება

საოჯახო მეურნეობის რღვევას იქამდი მივყეევართ, რომ სამრეწველო შრომის განკერძოებული დარგები ხელოსნობის სახეს ღებულობენ. ხელოსნობის ქვეშ მრეწველობის ისეთ ფორმას გულისხმობენ, რომლის დროს წვრილი მწარმოებელი მუშაობს არა თავისი საჭიროებისათვის, არამედ გარეშე მომხმარებლისათვის, ყოველგვარ ვაჭარ-შუამავალთა გარეშე.

შეიძლება განვასხვაოთ ორი სახის ხელოსნობა — საჭირაო და გამყიდველობითი ხელოსნობა. პირველ შემთხვევაში ხელოსანი მომხმარებლის შეკვეთით ამუშავებს ნედლ მასალას, რომელიც მომხმარებელსვე ეკუთვნის. ხელოსანი არ არის მესაკუთრე, დამზადებული პროდუქტისა, რომელიც წარმოების ყველა სტადიაში შემკვეთს ეკუთვნის. მეორე შემთხვევაში ხელოსანი ამუშავებს ნედლ მასალას, რომელიც თვითონვე ეკუთვნის, მოპოებულია მის საკუთარ მეურნეობაში, ანუ ნაყიდია მის მიერ თავის ანგარიშზე. ამ შემთხვევაში პროდუქტი უწინარეს ხელოსანს ეკუთვნის, ხოლო შემდეგ ის გადადის მომხმარებლის საკუთრებად.

ხელოსნობის პირველი ფორმა უფრო ადრინდელია. ხელოსანი, რომელსაც მეტად პრიმიტიული ხასიათის იარაღები გააჩნია დადის

მომხმარებლებთან კარდაკარ, დაეძებს სამუშაოს, რომელსაც შემკვეთის სახლშივე ასრულებს. საქირაო ხელოსნობის ეს სახე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ხელობაზე გასვლა, აქამდე ძლიერ გავრცელებულია რუსეთის სოფელში, — ასეთი, ქირაზე მიმავალი, ხელოსნებია, მაგ.: მატყლის მთელავნი, დურგლები, კალატოზები, მლესავები, მექურქენი, შუშის ჩამსმელნი და ა. შ. ხელობაზე გასვლის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ხელოსანი შემკვეთის შენობაში მუშაობს. ამნაირი ხელოსნობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ საწარმოო იარაღები ძლიერ მარტივი და ადვილად გასატანია. მაგრამ არის მთელი რიგი ხელობათა, რომელნიც მეტად რთულ საწარმოო იარაღებს მოითხოვენ; ამ შემთხვევაში ხელოსანს სამუშაო თავის სახლში მიაქვს, — ამრიგად ჩვენს წინაშეა საშინაო საქირაო ხელოსნობა. ხელობაზე გასვლის დროს ხელოსანის მთავარი ძალა მის შრომაშია და არა საწარმოო იარაღების მფლობელობაში.

საშიანაო ხელოსნობაში კი, მთავარი როლის თამაშს უკვე საწარმოო საშუალებანი იწყებენ. საშინაო ხელოსნობას წარმოადგენს მაგ., ფეიქრობა, მეწისქვილეობა, მჭედლობა და სხვ.

ორივე ეს ფორმა: საქირაოდ ხელობაზე გასვლა და საშინაო საქირაო ხელოსნობა თავდაპირველად ძლიერ ფართედ იყო გავრცელებული.

საშუალო საუკუნოების ქალაქში პირვანდელ ხელოსნებს სულ უმნიშვნელო ქონებრივი საშუალებანი გააჩნდათ და ამიტომ მხოლოდ ქირაზე შეეძლოთ მუშაობა. ხელოსნური წარმოების ზრდისა და მიხედვით მატულობდა ხელოსანთა შეძლებაც და მათ მიეცათ შესაძლებლობა მასალის საკუთარ ანგარიშზე ყიდვისა, რაიც ხელსაყრელი იყო შემკვეთლებისათვისაც, რადგან ხელოსნებს უკეთ შეეძლოთ მასალის ღირსების გამოცნობა. ამრიგად, ხელოსანმა იწყო თავისი საკუთარი მასალის დამუშავება, — წარმოიშვა გამყიდველობითი ხელოსნობა, რომლის დროსაც პროდუქტი ან გასასყიდათ გამოდიოდა, ანდა მზადდებოდა მომხმარებლის შეკვეთით. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პროდუქტი, ვაჭარ-შუამავლის მონაწილეობის გარეშე უშუალოდ გადადიოდა მწარმოებლიდან მომხმარებელზე.

მართალია, ზოგიერთი მკვლევარი — მაგ., ზომბარტი აღნიშნავს, რომ საშუალო საუკუნოების ხელოსნები (მაგალითად მაუდის წარმოებაში), მუშაობდენ არა მომხმარებლისათვის, არამედ ვაჭრისათვის. საშუალო საუკუნოების გერმანელთა მრავალ ქალაქებში ამქრულ ოსტატ-მემაუდეს უფლებაც კი ჰქონდა თავისი პროდუქტი უშუალოდ მომხმარებლისათვის მიეყიდნა, იგი ვალდებული იყო ის მხოლოდ იმ

ვაჭრებისათვის მიეყიდნა, რომლებიც მაუდის შესყიდვის მონოპოლიას ჰფლობდენ. მომხმარებელს მხოლოდ მემაუდე ვაჭართან შეეძლო ეყიდნა მაუდი. მაგრამ ეს მაგალითები არ უარყოფენ იმ დებულებას, რომ ხელოსნობა ვაჭარ-შუამავლის არსებობასთან ერთად შეუძლებელია. ამქრული მემაუდენი, რომელნიც მაუდით მოვაჭრეებისათვის მუშაობდენ, თუმცა ამქრის წევრები იყვნენ, მაგრამ ეკონომიურად არ იყვნენ ხელოსნები, — მაუდის ასეთი წარმოება იყო არა ხელოსნობა, ნელ-ნელა მსხვილი მრეწველობის საოჯახო სისტემად იქცეოდა. ლოსანსა და მომხმარებელს შორის ჩადგომა, რომ ხელოსნობამ თავისი ბუნება შეიცვალოს, დაჰკარგოს თავისი დამოუკიდებელი წარმოების ხასიათი და მიუახლოვდეს კაპიტალისტურ მრეწველობას. სწორედ სავაჭრო კაპიტალის ზრდამ გამოიწვია საამქრო ხელოსნობის დაცემა. რაც უფრო ფართოვდებოდა ბაზარი, საამქრო მრეწველობის წარმოებისათვის, მით უფრო მეტ გავლენას ჰპოულობდა ვაჭარი და მით უფრო მცირდებოდა საამქრო ოსტატის როლი, ხოლო ხელოსნობა, ნელ-ნელა მსხვილი მრეწველობის საოჯახო სისტემად იქცეოდა.

უახლოესი ხანა დამოუკიდებელი ხელოსნობის ძლიერი დაცემით ხასიათდება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ხელოსნობა საბოლოოდ ჰქრებოდეს. ხელოსანთა რაოდენობა იზრდება კიდევაც. მაგალითად, გერმანიაში 1816 წ. — ½ მილიონი მეპატრონე ხელოსანი ითვლებოდა. 1861 წ. — 1 მილიონი, ხოლო 1895 წ. კი — 1.3 მილიონი. თუმცა, ხელოსანთა ზრდის რიცხვს თუ საფაბრიკო მუშების ზრდას შევადარებთ დავინახავთ, რომ პირველის ზრდა ბევრად უფრო მდორედ მიმდინარეობს.

ხელოსნობის დაცემა უმთავრესად მათი ხელფასის დაცემაში გამოიხატება, რომლის ზეგავლენით შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება: ხელოსნობა, რომელიც დასავლეთ ევროპაში პირველად სპეციფიურ ქალაქურ წარმოებას წარმოადგენდა, უახლოეს დროში სოფელში, ანდა მსხვილი ქალაქებიდან პატარა ქალაქებში გადადის. გერმანიაში, მაგალითად, ხელოსნების ნახევარზე უმეტესობა ცხოვრობს სოფელში ან პატარა ქალაქებში. დიდ ქალაქში ხელოსანისათვის სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება მრეწველობის ახალ ფორმასთან კონკურენციის ატანა. ხელოსანი ან ფაბრიკაში მიდის სამუშაოდ ანდა შინამომუშავედაც ხდება და მაღაზიისათვის ან მრეწველი კაპიტალისტის შეკვეთით მუშაობს.

მაგრამ ხელოსნობის ეს დაცემა დიდ ქალაქებში აიხსნება არა მარტო იმით, რომ ხელოსნობას კონკურენციის გაწევა უხდება მანქანასთან, რამდენათაც ქალაქში ვაჭრობის განვითარებით. ქალაქის მო-

სახლეობა სულ უფრო და უფრო ეჩვევა თავისი აუცილებელი მოთ-ხოვნილებანი მაღაზიებში ყიდვით დაიკმაყოფილოს. ნივთების შეკეთებაც კი, რომელიც უწინ ხელოსანს ენდობოდა ახლა სულ უფრო მეტად და მეტად იმავე მაღაზიაში იყრის თავს, სადაც ნაყიდია მოცემული ნივთი. სახელდობრ მაღაზიები, და არა ფაბრიკაა, შთავაული მტერი ხელოსნობისა, რომელიც ხელოსანს კაპიტალისტისათვის ქირაზე შინ მომუშავედ ხდის.

(Ѳ. ტუგან-ბარანოვსკი — პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები).

§ 4. ხელოსნობის ტექნიკა

მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის გამოყოფის ნელ პროცესს და მის მრეწველობის განსაკუთრებულ სპეციალისტთა საქმიანობად გადაქცევას ორ ძირითად შედეგამდე მივყევართ: 1) მომუშავე ორგანიულად ეგუება წარმოების თავის სპეციალურ დარგს; 2) შრომის იარაღი მის სპეციალურ დანიშნულებისამებრ მოიქნება.

მთელი თავისი ზოგადი ხასიათით ხელოსნობის ტექნიკა წარმოადგენს უშუალო გაგრძელებას ფეოდალური ეპოქის საწარმოო ტექნიკისა. შრომითი გამოცდილების მეცნიერული განმარტებასა და სისტემატიზაციას ადგილი არა აქვს. შესატყობი ნიშნები, რომელთა მიხედვით ხდება, საწარმოო პროცესისათვის მნიშვნელოვანი მომენტების დადგენა, მხოლოდ ცოტაოდნად არიან დაშორებული ნიშნეულობათ (განსაკუთრებით ლუდის გამოხდასა, ღვინის დაყენებისა და სხვა წარმოებებში, სადაც საქმე გვაქვს ორგანიულ პროცესებთან). უდიდეს როლს თამაშობენ ნიშნეულობანი — ამ სიტყვის მეტად ვიწრო მნიშვნელობით. შემთხვევითი შეხვედრანი და შეფარდებანი, რომლებიც სრულებით სხვადასხვა რიგის მოვლენებს ეკუთვნიან, მიაჩნიათ მუდმივ და აუცილებელ კავშირად. ამაშია ერთერთი იმ მიზეზთაგანი, რომ ხელოსნობას „მისტერიის", საიდუმლოების ხასიათი ჰქონდა (საშუალო საუკუნეების ინგლისსა და საფრანგეთში ხელოსნობანი ხანდისხან პირდაპირ „მისტერიებათ" იწოდებოდენ), და აგრეთვე ახსნაც იმ დიდი როლისა, რომელსაც ხელოსნების ცხოვრებაში ჩვეულებანი, ცერემონიალები თამაშობდენ.

გამოცდილებათა მეცნიერული სისტემატიზაციის უქონლობა, შრომითი მოღვაწეობანი ნიშნეულობათა მიხედვით, — ეს მხოლოდ განსაკუთრებული საშუალებაა იმ გარემოების გამოხატვისა, რომ ხელოსნობის ტექნიკაში გაბატონებულია მეტად შეზღუდული ემპირიზმი. მუშაობის განსაზღვრული ხერხები, თაობიდან თაობამდე, უცვლე-

ლად მეორდებიან. ოსტატი მიისწრაფის რა, მეტისმეტი სიზუსტით გაიმეოროს თანმიმდევარი პროცესები, და ვერ წარმოუდგენია რა თვითოეული მათგანის შინაგანი მნიშვნელობა, — ვერ არჩევს აუცილებელ სტადიებსა და რგოლებს დამატებითი მოვლენებისა და ზედმეტი ოპერაციებისაგან. რკინის კეთების ტეხნიკის მაგალითზე ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ მივყევართ ხელოსნობის ასეთ ემპირიზმს რუტინის განუსაზღვრელ ბატონობამდე, — მოცემულ შემთხვევაში იქამდე, რომ ჩამოსხმის ტეხნიკა, რომელიც სამჭედლო ხელოსნობის წყალობით განვითარების პროცესით უკვე სავსებით მზად იყო, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ ჰპოულობდა გამოყენებას.

რჩებიან, რა, მთლიანად ემპირიზმში შეუძლებელი ხდება ხელოსანთა მუშაობის ხერხთა ობიექტივიზაცია, ე. ი. შეუძლებელი ხდება ამ ცნობათა მეცნიერულად სისტემატიზაცია, რომელშიაც ისინი ხელოსანის პიროვნებისაგან განცალკევებულად იარსებებდენ, იარსებებდენ ისე, როგორც, მაგ., თანამედროვე მეტალურგია ქიმიასა და ფიზიკაში არსებობს. ხელოვნური ხერხი განუყოფელია მის მატარებელ პიროვნებასთან. მათი შეთვისება შესაძლებელია „შესწავლის", ე. ი. პირდაპირი გადაღების, უშუალო მიბაძვის საშუალებით. ტრადიცია, — ემპირიული მოქნილობის, გადაცემა, გადაპირება ერთიდან მეორე პიროვნებაზე, — ხდება ერთერთ ძირითად დასაყრდენად მრეწველობის ხელოსნური წყობილებისა. ხელოსანთა შეგირდების მთელი ორგანიზაცია წარმოადგენს ხელოსნური ტეხნიკის თავისებურ სუბიექტივიზმისადმი შეგუებას.

მთელი თავისი სიძნელისა და მიუხედავად, დაგროვება შრომითი გამოცდილებისა თაობათა წყებაში მდიდრდება და ფართოვდება, რადგანაც ის განუყოფელია ხელოსნის პიროვნებიდან, ცხადია უკანასკნელს ეკუთვნის ბუნებრივი მონოპოლია აუცილებელ შრომითი მოქნილობათა ფლობაში: სწორეთ ისევე, როგორც თავის დროზე ქურუმებს ეკუთვნოდა ბუნებრივი მონოპოლია შრომითი გამოცდილებათა ყველაზე განზოგადოებული ფორმების ცოდნისა. ზოგიერთ წარმოებაში, მაგალითად, მშენებლობასა, მჭედლობასა და ამ უკანასკნელის ახალ განცალკევებულ დარგებში საჭირო იყო განსაკუთრებით დიდი მასა ემპირიული ცოდნათა. მაგრამ სხვა დარგებშიაც საჭირო იყო დიდი ხნის სწავლა იმისთვის, რათა ადამიანს შეეთვისებინა მასალათა თვისების გამოცნობის ხერხები და მათი დამუშავების მეთოდები. გადასცემდა რა წლიდან წლამდე შეგირდს თავის ოსტატი მართლაც „აზიარებდა" მოწაფეს ხელოსმობის ნამდვილ მისტერიებში: სწორედ

ისევე, როგორც ქურუმის პროფესიისათვის განმზადება იყო ნამდვილი „ზიარება“ მის საიდუმლოებებში.

და ხელოსნობის საიდუმლოებათა ბედიც ისეთივე იყო, როგორიც ქურუმთა საიდუმლოებებისა. წინამსრბოლავი კაპიტალიზმი ანგრევს ყოველგვარ საშუალო საუკუნოებრივ მისტერიებს. მას საწარმოო პროცესებში შეაქვს რაციონალიზმი და მათ მეცნიერულ განმარტებას აძლევს. მაშინ ხელოსანთა საიდუმლოებანი საიდუმლოებანის თამაშს წააგავს: ისინი ჯერ იმის უღონო საშუალებებად იქცევიან, რათა ხელოვნური ღონისძიებათა წყალობით დაიცვან ხელოსანთა მონოპოლიური მდგომარეობა, ხოლო შემდეგ ისეთ უბრალო ცერემონიალებათ იქცევიან, რომელიც დაშორებულია ყოველგვარ დასაყრდენს, — ნამდვილ ტეხნიკურ მიმართებებში.

ხელოსნის პიროვნებასთან განუყოფელად დაკავშირებული შროშის ხელოსნური ხერხები ჯერ კიდევ მრავალ მიმართებებში უდიდესი სუბიექტივიზმით ხასიათდება. ობიექტიურ მეთოდების გაზომვისა და აწონისა, საერთოდ რაოდენობრივის განსაზღვრას, იშვიათ შემთხვევაში მიმართავენ. მაგრამ იქაც, როდესაც მას ხმარობენ, ისინი ჩვეულებრივ კიდევ არ განცალკევებულან ხელოსნის პიროვნებისაგან, მის ორგანიზმისაგან; მანძილი, სიგრძე იზომება ნაბიჯებით, წყრთით და მტკაველით, კუთხეს „თვალით“ ზომავენ და ა. შ. ადამიანი რჩება „საზომად ყოველი ნივთისა“, ამ სიტყვას ყველაზე პირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ ძლიერ ხშირად რაოდენობრივ განსაზღვრამდე საქმე არც კი მიდის: ოსტატი „თითით“ ანუ „ხელით“ ცნობილობს ტემპერატურას, ორგანიული პროცესის სტადიებზე „სუნით“ ანუ „ენით შეხების“ მიხედვით მსჯელობს და ა. შ., — მთლიანად წმინდა სუბიექტურ მეთოდებს მიმართავს.

სუბიექტიური მეთოდების ბატონობის დროს, საშუალო საუკუნოებრივი შეგირდობის მთელი წყობა განუყრელად დაკავშირებული იყო ხელოსნურ ტეხნიკასთან: მართლაც მთელი წლები იყო საჭირო იმისთვის რათა ადამიანი ორგანიულად შეგუებოდა ხელოსნურ წარმოებათა მოთხოვნილებებს განსაკუთრებით კი ზოგიერთ მათგანს.

როდესაც რომელიმე ოსტატი იწყებს რაიმე საწარმოო ოპერაციას, მხოლოდ იმავე ხელოსან ოსტატს (ანდა მის უახლოეს თანაშემწეს, რომელიც უკვე განდობილია წარმოების საიდუმლოებაში) შეუძლია ის ბოლომდე მიიყვანოს; შეუდგება რა რაიმე საგნის წარმოებას, მხოლოდ იმავე მომუშავეს შეუძლია მისი დეტალური ნაწილების სათანადო შეხამებას მიაღწიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ხელოსანი პროდუქტს მთლიანად ამზადებს. ცხადია, რომ ამ მთლიანი-

ბის ცნება შედარებითია. მაგრამ როგორიც გინდ დიფერენციაცია არ მომხდარიყო ხელოსნობის ცალკე დარგებში, ხელოსანი მაინც არ ხდებოდა რაიმე დეტალზე, ცალკეულ ნაწილზე მომუშავედ. ხელოსნობაში ორგანიზატორული შრომა აღმასრულებელი შრომისაგან, ხოლო გონებრივი — ფიზიკურისაგან- გამოყოფილი არ არის.

ამ მიმართებაში ხელოსანის მოქმედება ნათესაურ კავშირშია მხატვრულ მოქმედებასთან, ხელოვნებასთან. ხელოსანი მთელი თავისი არსებით ღებულობს მონაწილეობას წარმოებაში. ხელოსნის პროდუქტი — უზადო, მთლიანი პროდუქტია, და ხელოსანიც მთლიანად სახელდება თავის ნაწარმოებში.

მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ თითქოს ხელოსნური მრეწველობა და მხატვრული მრეწველობა გასაიგივებელი ცნება იყოს. დეე ხელოსანმა ჩააწნას მთელი თავისი არსება პროდუქტში, მაგრამ ეს არსება ხომ ღატაკი იყო, როგორც მთელი მისი გარშემომცველი მიმართებანი. შუალობა, ორიგინალობის უქონლობა, განზრახულობისა და აღსრულების პრიმიტიულობა იმდენადვე დამახასიათებელი მოვლენაა საშუალო საუკუნოების დაბალი ხელოსნური ნაწარმოებისათვის, როგორც მაგ., თანამედროვე რუს ღურგლებისა და ხუროების ნაკეთებათათვის. და უნდა ითქვას, რომ დასავლეთ ევროპის მუზეუმების დათვალიერების დროს, — სადაც საშუალო საუკუნეთა ხელოსნობის უბრალო პროდუქტებიც წარმოდგენილია, — ხანდისხან ძნელია გარკვევა შთაბეჭდილებაში, რომ ეს სკამები, შკაფები, ყუთები და კოლოფები თანამედროვე რუსეთის მივარდნილი კუთხეების ხუროების გაკეთებული არ არის.

საკმაოდ გავრცელებული რომანტიული წარმოდგენა, რომ თითქოს ხელოსნობასა და მხატვრულ მრეწველობას შორის აუცილებელი შინაგანი კავშირი არსებობდეს, ემყარება საშუალო საუკუნეთა ხელოსნობის ისეთ ნაწარმოებთ, როგორიცაა თავისი ხუროთმოძღვრებით განთქმული ტაძრები და მათი ცალკე ნაწილები, თავისი სიმშვენიერით განმაცვიფრებელი სპილოს ძვლისაგან და ხისაგან გამოჭრილი ათასგვარი ყუთები, სავარძლები ეკლესიათა საგალობლებში, ზოგი ლითონეულის, თიხისა და ქანდაკური ნაკეთობანი და ა. შ. მაგრამ ამ დროს ჩვეულებრივად ივიწყებენ იმ ფაქტს, რომ ეს მხატვრული ნაწარმოებნი იყვნენ არა ის ჩვეულებრივი პროდუქტები, რომელთაც ჰქმნიდა ხელოსნობა საერთოდ, არამედ იგინი იშვიათ შემოქმედების სავსებით განსაკუთრებულ პროდუქტს წარმოადგენენ, რომლის სიმაღლემდეც, მრეწველობის ხელოსნური ორგანიზაციისა და მიუხედავად, მაღლდებოდენ ნამდვილი მხატვრები, ხელოვანები, — რომელ-

ნიც იშვიათად ხელოსანთა შორისაც მოიპოებოდენ. ასეთ ნაწარმოებთა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მარტოოდენ დაცვა და შენახვა იმას მოწმობს, რომ საერთოდ ხელოსნები როდი იყვნენ მხატვარ-ხელოვანნი.

ოსტატი, ორგანიულად ეგუებოდა რა თავის ხელობას, დროთა ვითარებაში, იგი, ანვითარებდა გასაოცარ მოქნილობა-მოხერხებულობას, სიმტკიცეს ხელისა, თვალის სისწორეს, და ა. შ. მონაწილეობდა რა წარმოებაში მთელი თავისი არსებით, და არა მხოლოდ როგორც აღმასრულებელი ანდა აღმასრულებელი რომელიმე დეტალური ანუ ნაწილობრივი ოპერაციისა, ხელოსანი პროცესში და პროცესზე წარმოებისა ანვითარებდა რიცხვეულ-გონებას, საზრისიანობას. ამაშია საფუძველი გულუბრყველო, ძველებურ წინაკაპიტალისტური დროის ანეგდოტებისა იმის შესახებ, თუ როგორ შეარცხვინა თავისი ტეხნიკური საზრიანობით გერმანელ უბრალო ხელოსანმა — ინგლისელი ინჟენერი, ან ჩამორჩენილ რუს მესახურაევმ, თუ უბრალო გლეხმა, მიწათმოქმედების ხელოსანმა — განსწავლული გერმანელი.

ამგვარ მოვლენებში გამოიხატება და ამგვარ შედეგებამდე მივყევართ მუშაკის თავის ხელოსნობისადმი ორგანიულ შეგუებას. ამ შეგუებითვე განისაზღვრებოდა ხელოსნური შრომის იარაღთა განვითარებაც.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად იზრდებოდა ხელოსნობისათვის ბაზარი — მრეწველობის ცალკეული დარგები სულ უფრო დაწვრილებით იმყოფებოდენ, ქუცმაცდებოდენ. ასე, მაგალითად, ერთ დროს მთლიან სამჭედლო საქმეს საწყისი მისცა ისეთ ურთიერთისაგან განცალკევებულ დარგებს, როგორიც არიან ცხენების დაქედვა, დანების კეთება, ზეინკლობა, ლურსმანებისა და თოფ-იარაღების სარეწაები: ეს უკანასკნელი თავის მხრივ ნაწილდება: მუზარადების, ფარების, მახვილების, ხმლის ვადებისა და პირის, მოქედილი აბჯარის, ჯაჭვის ჯავშანის და ა. შ. წარმოებად. ძნელი იქნებოდა ყველა იმ დარგების ჩამოთვლაც კი რომლებადაც პროფესიონალურად დანაწილდა მე-XV საუკუნეში ძველი მჭედლობა.

ბაზრის იმავე გაფართოებას, რომელიც შესაძლებელს ხდის ხელოსანთა პროფესიონალურ სპეციალიზაციას, აუცილებლად თან მოაქვს შრომის იარაღების სპეციალიზაციის შესაძლებლობა. ამ პროცესის საერთო ხასიათისა და მისი როგორც შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეში და ასევე ნაკეთობის სრულ ქმნილობაში, მნიშვნელობა გასაგები იქნება, თუ გავეცნობით უდიდეს მრავალგვარობას იმ სპეციალური ფორმებისა, რომლებიც წარმოიშვენ. მაგ., უბრალო და თავისი

გამოყენებით უნივერსალური ჩაქუჩისაგან. მჭედლის, ზეინკალის, კალატოზის, ოქრომჭედლის, მელურსმნის, მედანისა და სხვ. ჩაქუჩები დროთა განმავლობაში იმდენად ეგუებოდენ თვითოეული თავის გასაკუთრებული საწარმოო დარგის მოთხოვნილებებს, რომ უზრუნველყოფდენ რა მასში შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმს, ისინი ნაკლებ გამოსაყენებელი ხდებიან სადაც გინდ იყოს, გარდა თავისი სპეციალური დარგისა.

მაგრამ როგორც გინდ არ შეცვლილიყო და გაუმჯობესებულიყო სახელოსნო შრომის იარაღები, ისინი მაინც მიდღემში ვერ გასცილდებოდენ მათთვის დამახასიათებელ საზღვარს. როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს ხელოსნობა, ხელის-საქმე (Handverk) ყოველთვის ხ ე ლ ი ს შრომად დარჩება. ყველაზე სრულქმნილ იარაღსაც არ ძალუძს გასწყვიტოს ის უშუალო, ღრმა კავშირი, რომელიც შრომისა და ხელოსნის პიროვნებას, მის ორგანიულ ფუნქციათა შორის რომ არსებობს, და რომელზედაც ზემოდ ვილაპარაკეთ: ჩაქუჩს არ ძალუძს აღემატოს ხელის კუნთების ძალ-ღონეს; ბურღვის დროს გეომეტრიულ სიზუსტისადმი და ა. შ., მიღწევა ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვალი უშუალოდ აღიპყრობს უსწორ-მასწორობას, რამდენადაც ხელი მტკიცედ მიმართავს ბურღვს. შრომის იარაღების, ხელსაწყოს განვითარებას, რომელიც თან სდევს ხელოსნობის სპეციალიზაციას, არა მხოლოდ არ მივყეევართ იქითკენ, რათა შრომის პროცესის ობიექტივიზაცია მოხდეს, არამედ, იქნებ, კიდევ უფრო მჭიდროთ უკავშირებს მის მიმდინარეობასა და შედეგებს ოსტატის პიროვნებას. ხელოსნობის ზოგიერთ დარგებში ამ გარემოებამ მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა მოიპოვა (ზარბაზნების, ქვამეხების და სხვ. წარმოება; ზარების ჩამოსხმა; ფოლადისა და ფოლადისავე იარაღების წარმოება). ხელოსნობის თანმიმდევარი განვითარების დროს შექმნილი, სწორეთ ამ ახალ დარგების ტეხნიკური ამოცანები, ყველაზე ადრე შეეტაკებოდა ხოლმე წარმოების ხელოსნური ორგანიზაციის მიჯნებს.

(ა. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი და ი. ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი — პოლიტიკური ეკონომიის კურსი, ტომი I).

§ 5. ამქრების წარმოშობა

საქალაქო კორპორაციათა შორის პირველ რიგში, თავისი მნიშვნელობით, დგანან ოსტატებისა ანუ ძმობათა ხელოსნური გილდები (gild, corporation, métier, arte, officum, Amt, Hanbuverk, Zunft, Innung, Gewerk). იტალიის ქალაქებში, სადაც ისინი ყველაზე

ადრე ჩნდებიან, ჩვენ უკვე მე-IX — X ს.ს., ხოლო მე-XI საუკუნეში კი დიდის რაოდენობით ვხდებით. საფრანგეთში კი, პირიქით, ისინი მხოლოდ გამონაკლისის სახით ჩნდებიან მე-XI საუკუნეში, უმრავლეს შემთხვევებში მათი პირველი სტატუტები ეკუთვნის დროს, არა უადრეს მე-XII საუკუნისა. კიდევ უფრო გვიან წარმოიშობიან, ანდა უკიდურეს შემთხვევაში ღებულობენ თავის წესდებათ, ინგლისსა და გერმანიაში, ...ამავე დროს სხვადასხვა ქალაქებში ამქრები სხვადასხვა დროს წარმოიშობიან: მაგალითად, რომში ჩვენ მას ვხდებით მნიშვნელოვანად უფრო გვიან ვინემ ვენეტიკსა ანუ ბოლნიში, ჰამბურგსა და ლიუბეკში — ადრე, ვინემ მაინის ფრანკფურტში, დრეზდენსა და მიუნსტენში; ფლამანდიის ქალაქებში უფრო ადრე ვინემ ბრაბანტის ქალაქებში. სწორეთ ასევე ერთსა და იმავე ქალაქში ხელოსნობის ეროი რომელიმე დარგი უფრო ადრე ღებულობს ამქრულ ორგანიზაციის სახეს, ვინემ სხვები, — ხშირად მთელი საუკუნეთა სიგრძეზე. პირველად მცირეოდენი ამქრებიდან როგორც დიფერენციაციის, ისევე ხელოსნობის ახალ დარგთა წარმოშობისა, ანუ ძველთა ამქრული ორგანიზაციაში ჩამოყალიბების გზით მე-XIV — XV ს.ს. წარმოიშობიან უკვე რამდენიმე ასეული ამქრები; მათი წესდებანი, რომელიც წინად რამდენიმე მუხლისაგან შესდგებოდა, უფრო და უფრო ფართოვდება. და იკრება რეწვისა და ამქრულ ცხოვრების ყოველგვარ წვრილმანებში.

ხელოსანთა ამქრების წარმოშობის საკითხმა ისტორიკოს-ეკონომისტთა და ისტორიკოსთა შორის ძლიერ დიდი დავა გამოიწვია. არსებობს რამოდენიმე სხვადასხვაგვარი თეორია ამქრების წარმოშობაზე.

ეიხგორნის თანახმად ამქრები წარმოიშვენ რომის კორპორაციებიდან, რომელთა ხელშიაც იმყოფებოდა საბაზრო და სარეწაო პოლიცია. მრავალი მეცნიერი (მარტენი, ჰარტმანი. ფანიე) ჯერ კიდევ დღემდეც ამგვარ თვალსაზრისზე დგას. სამაგიეროთ, სხვები (კიდევ ვალიდა, მაურერი, განსაკუთრებით ჰეგელი და შტიდა), მიუთითებდენ იმაზე, რომ საბაზრო პოლიცია შეიძლება წარმოშობილიყო გერმანიაში რომისაგან დამოუკიდებლად, რომ რომის ამქრები ორგანიზირებული იყვნენ მთავრობის მიზნებისთვის სასამსახუროდ. რომ გადატრიალება, რომელიც მოხდა 600 — 1200 წ.წ. პერიოდში, მეტად მნიშვნელოვანია და მეტად ხანგრძლივი, ხოლო სარეწაოთა განვითარება კი, ამ ეპოქაში, მეტად უმნიშვნელოა, რომ, მით, რომის ინსტიტუტებს დღეანდლამდე თავდაცვა შესძლებოდათ.

მეცნიერებაში ძლიერ დიდხანს გასძლო მეორე თეორიამ — ამ-ქრების წარმოშობისა საბატონო სახლ-კარის ხელოსანთაგან, რომელიც თავადთა ადგილ-მამულში, ადრინდელ საშუალო საუკუნეებში არსებობდა. ამ თვალსაზრისზე იდგნენ განსაკუთრებით ნიჩში და გირკე; მაგრამ სხვა მეცნიერებიც — მაურერი, ჰეისლერი, არნოლდი, ეიხჰორნი, შტიდა, და აგრეთვე ლევასიორი, ვიოლლე, ლესპინასი — მნიშვნელოვან ნაწილში სწორად თვლიდენ მას. აქ ამოსავალ დებულად მიღებული იყო სენიორთა მამულებში სასახლის ხელოსანთა კორპორაციების არსებობა. თავდაპირველად უკანასკნელთ არ ჰქონდათ კორპორატიული ორგანიზაცია, მაგრამ უკვე იმ დროსაც ყმაგლეხები, რომელნიც ფეოდალის სახლ-კარში სამრეწველო საქმიანობათ ასრულებდენ, ერთიანდებოდენ სხვადასხვა ჯგუფებში, სპეციალობისა და მიხედვით. ამავე დროს ყოველ ჯგუფს ჰყავდა თავისი უხუცესი, მამასახლისი. ასეთივე ორგანიზაციები ჰქონდათ სხვა მუშაკებსაც, მონადირეებს, მწყემსებს და ა. შ. ასეთი ჯგუფი იწოდებოდა ministerium ანუ officum-ად, ხოლო მის სათავეში მდგარნი კი — magister ანუ praepositus-ად. უკანასკნელს ნიშნავდა ადგილ-მამულის პატრონი და ხელოსნები გამოდიოდენ მის ქვეშევრდომებად — Subjecti, famuli. ხელფასს ისინი არ ღებულობენ, სარგებლობდენ მხოლოდ სარჩოთი; მათ არც არავითარი კორპორატიული უფლებები ჰქონიათ. მაგრამ, ნელ-ნელა მათი მდგომარეობა გამოიცვალა — მემამულე, რომელიც არ საჭიროებდა მთელი მათი სამუშაო ძალას, ნებას აძლევდა მათ ეძებნათ გარეშე პირთათვისაც; მათ შეეძლოთ ეცხოვრათ ფეოდალის მამულის გარეთაც; ნატურალური გადასახადი ფულადით შეიცვალა; ისინი ღებულობდენ ნადაგებს, რომელიც მალე მემკვიდრეობითად გადაიქცენ, ისევე როგორც მემკვიდრეობითი იყო მემამულისათვის სამრეწველო ნაკეთობათა მიწოდებაც, რომელიც ამ ხელობით უერთდებოდა; ისინი თანდათან ჰპოულობდენ პირად თავისუფლებას; დასასრულ მათ შეუერთდენ ახალი თავისუფალი ელემენტები, რომლებიც მემამულის მფარველობის ქვეშ შემოდიოდენ. ყოველივე ამის შედეგად მემამულის სახლ-კარის სახელოსნო ორგანიზაციები ღებულობდენ კორპორატიულ ხასიათს, კორპორატიულ უფლებებს, ხდებოდენ თავისუფალ კორპორაციებათ, და მხოლოდ ზოგიერთნი მათი ვალდებულებანი, მიმართ ფეოდალისა, შემდეგაც კი მიუთითებდენ მათი თავდაპირველი წარმოშობის წყაროზე.

ამ თეორიის დასასაბუთებლად და სასარგებლოდ უწინარეს ყოვლისა ასახელებენ იმ ვალდებულებათ და გამოსაღებთ, რომელთა ქა-

ლაქის პატრონ ფეოდალისათვის გადახდა, ჯერ კიდევ გვიანდელ ეპოქაში, თავს აწვა საქალაქო ხელოსნებს. თუმცა ეს გამოსაღებნი მეტად უმნიშვნელონი იყვნენ, მაგრამ წარმოადგენენ ხელოსანთა არა თავისუფალი მდგომარეობის ნაშთებს. მეორე მსრივ ტერმინი officium, რომლითაც აღინიშნებოდენ ცეხები, იმავე დროს წარმოადგენენ ფეოდალის სახლ-კარის ხელოსანთა ორგანიზაციის ტეხნიკურ სახელწოდებასაც. შემდეგ, ამქრების უხუცესები (მამასახლისები) თავდაპირველად ინიშნებოდა ფეოდალის მიერ, რომელსაც ქალაქი ეკუთვნოდა; გვიან ამქრებმა მიიღეს უფლება რათა მიეთითებინათ პირები, რომელთა წრიდან უნდა ყოფილიყო არჩეული მათი მამასახლისი, ხოლო უფრო გვიან მათ თვითონ იწყეს თავიანთი მამასახლისთა ამორჩევა. დასასრულ, ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ სოფლიდან ქალაქში გადასვლისას წინანდელი ყმები მოიპოებდენ თავისუფლებას, გვაქვს აგრეთვე ცნობები რომ შემამულეები ნებას აძლევდენ თავიანთ ყმებს ემუშავნათ გარეშე შემკვეთლებისათვისაც.

ამქრების ფეოდალის სახლ-კარიდან წარმოშობის თეორიამ თანდათან იწყო თავისი წმინდა ფორმის დაკარგვა, მას შეუერთეს აგრეთვე ამქრულ ორგანიზაციათა თავისუფალი წარმოშობის მითითებანიც. უახლეს მწერლებში (კ. ბიუხერი, შმოლერი, გერინგი, ზომი და სხვ.) სასახლის ხელოსანთა კავშირები, ერთის მხრით, და თავისუფალი ორგანიზაციები, მეორეს მხრით, წარმოადგენენ ორ წყაროს საიდანაც წარმოიშობიან ამქრები.

თუმცა უკანასკნელ ხანებში, გვევლინება მეტად მკაცრი პროტესტი ამ უცვლელ თეორიის წინააღმდეგაც; იწყეს მითითება, რომ პირველი იმ ორ წყაროთაგან, — ამქრების ფეოდალის სახლ-კარიდან წარმოშობა — უაზროა და არაფრით არ მტკიცდება. ამ თეორიის წინააღმდეგ ყველაზე მკაცრად გაილაშქრა ბ ე ლ ო ვ მ ა, რომელიც უარყოფს ამის სასარგებლოდ გამოთქმულ არგუმენტებს და ამტკიცებს, რომ ამქრები წარმოადგენენ თავისუფალ ადამიანთა კავშირებს, რომლებიც გაერთიანებული არიან საერეწველო მიზნებისათვის. უპირველეს ყოვლისა ის ამტკიცებს უსწორობას ფეოდალის სახლ-კარიდან წარმოშობის თეორიის მომხრეთა მითითებისა, რომ ამქრებიც და ფეოდალის ადგილ-მამულის ორგანიზაციებიც ატარებდენ ერთსა და იმავე სახელწოდებას — officium: სინამდვილეში ფეოდალის სახლ-კარის ორგანიზაციები სავსებით არ იწოდებიან officium-ად, როგორც ამქრები, არამედ — ministerium-ად. შემდეგ ის ყურადღებას აქცევს, რომ იმუნიტეტებს (საქალაქო თავისუფლება) მთელი საშ. საუკ. განმავლობაში, დამოუკიდებლად საქალაქო ამქრების არსებობისა, ჰყავ-

დათ თავისი ხელოსნები. ამრიგად გვიანდელ საშ. საუკუნოებში ჩვენ საქმე გვაქვს ორგვარ ხელოსნებთან, რომლებიც სასტიკად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ რომ ამ იმუნიტეტებიდან ხელოსნებმა შემდეგში მოაწყვეს ამქრები, მაშინ, მხედველობაში გვექნება რა ქალაქში არსებობა არა ერთ, არამედ რამოდენიმე იმუნიტეტებისა, ქალაქში უნდა წარმოშობილიყვნენ ერთსა და იმავე სპეციალობის რამოდენიმე ამქრები. და თვით ხსენებაც ამ სასახლის ხელოსნებზე გვხვდებიან არა უადრეს, ვინემ წყაროები ლაპარაკობენ თავისუფალ ხელოსანთა შესახებ. საერთოდ, უდიდეს უმრავლეს შემთხვევებში, როდესაც ლაპარაკია ფეოდალის სახლ-კარის ხელოსნებზე, ჩვენ საქმე გვაქვს ყველაზე გვიანდელი პერიოდის წყაროებთან, როდესაც ამქრები უკვე არსებობდენ. რამდენად ემჩნევა მსგავსება გვიანდელი საშუალო საუკუნოების ამქრებსა და ასოციაციებს შორის, არის მრავალი საფუძველი ვიფიქროთ, რომ, პირიქით, ფეოდალის სახლ-კარის ორგანიზაციებმა შემდეგში გადაიღეს სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნები თავისუფალ ამქრებიდან. რაც შეეხება ადრინდელ საშუალო საუკუნეებს, ამ დროს ხელოსნები ფეოდალის მამულში გვხდებიან არა ჯგუფებათ, არამედ ერთეულებათ; მათი რიცხვი იშვიათად აღემატება 4-5-ს, ხოლო მრავალ შემთხვევებში ისინი საერთოდაც არ იყვნენ.

ნამდვილად, როგორც ჩვენ ზემოდ დავინახეთ, სამრეწველო ნაკეთობათა საქმიანობაზე, როგორც პროფესიაზე დაბანდებულ პირთა რიცხვის უმნიშვნელო რაოდენობა, ხელს უშლიდა საბატონო ადგილ-მამულში ხელოსანთა ორგანიზაციების წარმოშობას. იქ, მართალია, მოხსენებულია magistri — მამასახლისები, რომლებიც გამგებლობდენ საოჯახო მეურნეობის ამა თუ იმ დარგებს, — უფროსი მეფურნეები, (magister ანუ princeps pistorum), უფროსი მზარეულები (magister coquinae, princeps coquorum), პირები რომლებიც ხელმძღვანელობდენ ლუდის გამოხდას, უფროსი მწყემსები (magister pastorum), მათხოვართა მეთვალყურენი (Super mendicos et pauperes magistri), გვხდება აგრეთვე magister negotiatorum, რომელიც აწესრიგებს და არჩევს მოვაჭრეთა შორის ატეხილ დავებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთები არც არსებობაზე რაიმეგვარ ანალოგიური ცეხებისა ფეოდალის ადგილ-მამულის ორგანიზაციებში, არც იმის შესახებ რომ ასეთ კორპორაციებში ერთიანდებოდენ პირები, რომლებიც ნედლი მასალის სამრეწველო გადამუშავებას მისდევდენ, არც იმაზე, რომ ქალაქის ამქრებსა და რომელიმე ფეოდალის ადგილ-მამულის კავშირებს შორის არსებობდა

კავშირი, რომ პირველნი წარმოიშვენ რომელიმე ორგანიზაციათა მიხედვით, რომელიც წინ უსწრებდა მათ ფეოდალის სახლ-კარში.

თუ, ბელოვი. კეიტგენი, გოტეინი, ზელიგერი და სხვა ავტორები. ამის გამოისობით ასე სასტიკად ეარყოფენ ამქრების ფეოდალის სახლ-კარიდან წარმოშობის თეორიას, მაგრამ არა გვგონია რომ ისინი მართალნი იყვნენ, როდესაც კიდეე იქით მიდიან და აცხადებენ. რომ ამქრები საერთოდ შექმნილი იყვნენ თავისუფალი მდგომარეობის პირთაგან. ეს მტკიცება მჭიდრო კავშირში იმყოფება იმ ფაქტთან, რომ ფეოდალის სახლ-კარის თეორიის მომხრეებმა საჭიროდ სცნეს მისი გამაგრება იმ ცნობებით. რომელნიც მოწმობენ საქალაქო ამქრების თავდაპირველ არა სრულ თავისუფლებაზე, რომლებიც წარმოადგენენ ნაშთებს მისი წევრების არა თავისუფალი მდგომარეობისა. დასამტკიცებლად მოჰყავთ პირადი ვალდებულებანი და გამოსაღებნი. რომელთაც უხდიდენ ხელოსნები ქალაქის პატრონ ფეოდალებს, ასევე ის გარემოებაც, რომ ამქრების მამასახლისები თავდაპირველად ინიშნებოდენ ფეოდალის მიერ. გვიან მათ წამოაყენებდენ ამქრები და ინიშნებოდენ ამ პირთაგან და მხოლოდ შემდეგში ამოირჩეოდენ ამქრის წევრთა მიერ. მაგრამ რისი მტკიცება შეუძლიათ ამგვარ ფაქტებს? მხოლოდ იმისა, რომ თავდაპირველად ამქრებში შედიოდენ არათავისუფალი ელემენტები, როგორც ეს, სხვათა შორის, მოსალოდნელიც იყო, რადგან ქალაქი წარმოიშვა სოფლის მცხოვრებთა გადასახლებით, რომლებიც წარმოადგენდენ ან სავსებით არა თავისუფალ პირებს, ანდა თუ გინდ ფაქტიურად დამოუკიდებელთ, მაგრამ ფორმალურად სრულ თავისუფლებას მაინც მოკლებული იყვნენ. მაგრამ ამქრების ფეოდალის სახლ-კარიდან წარმოშობის თეორიის სასარგებლოდ ეს გარემოება ჯერ კიდეე არაფერს არ ლაპარაკობს, რადგან საკითხი მდგომარეობს არა იმაში, იყვნენ თუ არა ამქრის წევრები თავისუფალ ანუ არა თავისუფალ მდგომარეობისა, არამედ მასში, არსებობდენ თუ არა თავისუფალთა კორპორაციები შეგატონის მამულში და არსებობდა თუ არა ურთიერთობა ამ კავშირებსა და ამქრებს შორის.

იმის გამო, რომ ამქრების ფეოდალის მამულიდან წარმოშობის თეორიის მომხრეები ამქრის წევრთა პირვანდელი არა თავისუფალი მდგომარეობის ფაქტს მნიშვნელობას აძლევდენ, გასაკვირველი როდია, რომ ამ თეორიის მოწინააღმდეგენიც ილაშქრებდენ პირველთაგან მოყვანილი დასაბუთების წინააღმდეგ, — ცდილობდენ რა დაეტკიცებინათ საქალაქო ამქართა ხელოსნების თავდაპირველი პირადი თავისუფლება. ესენი ამტკიცებდენ, რომ ის გამოსაღებნი, რომელიც

ამქრებს ქალაქის მფლობელთან შექონდათ, წარმოადგენდენ საჯასურს მიწის ნაკრებით სარგებლობისათვის, ანდა გამოსაღები დუქნებისა და დარაბების მოწყობისათვის (განსაკუთრებით მეპურეებისა და ყასბებისა), ანდა ბეგარას, რომელიც იმ დროს შეჰქონდათ არა ფულის სახით (ფული მეტად იშვიათი იყო), არამედ თვითეულის მიერ დამზადებული პროდუქტებით. როგორც გ ო ტ ე ი ნ ი აღნიშნავს მთელ რიგ სტრასბურგელ ამქართა (მჭედლების, მეჩექმეების, მეხელთათმანეების, სასმის-თასების და მახვილთა დანების მკეთებლების) ვალდებულებას — უნაცვალგებოდ მოეწოდებინათ ეპისკოპოსისათვის თავიანთ სპეციალობათა ნაკეთობანი, — ადგილი ჰქონდა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში და ვრცელდებოდა მთელ ქალაქის მცხოვრებლებზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყველა დანარჩენები იხდიდენ ბეგარას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ამქართა სპეციალურ ვალდებულებათ ბაზელში საერთოდ ვერ ვნახულობთ, ხოლო ერსებობდა საერთო ბეგარა მიწაზე, რომელზედაც ესახლენ ქალაქელები და რომელსაც ერთსა და იმავე ფორმით იხდიდენ ყველანი, მათ შორის ხელოსნებიც. ზოგიერთ შემთხვევაში ხელოსნები იხდიან საბატონო ბეგარას, მაგრამ ამას იხდის სასულიერო წოდებაც, რაინდებიც, ვაჭრებიც. სწორედ ასევე — დასძენს გ ო ტ ე ი ნ ი, — ის ფაქტი, რომ ამქრების სათავეში იდგნენ ეპისკოპოსთა მოსამსახურენი (Ministerialien), სრულებითაც არ მოწმობენ მათი არა თავისუფალ ხასიათზე; ასე რომ მივიღოთ, მაშინ ქალაქის მთელი მცხოვრებლები არა თავისუფალთ უნდა მივაკუთვნოთ, რადგან Schultheiss-იც, რომელიც ქალაქის მმართველობის სათავეში სდგას, ასევე Ministerialen-ის ეპისკოპოსის კაცთა რიცხვიდან იყო.

თუმცა, რომ არა ვსთქვათ ხელოსანთაგან სულობრივი გამოსაღების გადახდისა, როგორც სიკვდილის შემდეგ მათი ქონების ნაწილის მიცემისა, საერთოდ იმ გადასახადებსა და ვალდებულებებში, რომელთაც ისინი იხდიდენ, ძლიერ ძნელია გარჩევა საჯარო-უფლებრივ და კერძო-უფლებრივი ხასიათის გამოსაღებისა, რომლითაც ისინი ვალდებული იყვნენ ფეოდალისა როგორც მეფის წინაშე, ერთის მხრივ, და როგორც მემამულისა, მეორეს მხრივ. როგორც ზ ა ნ დ ე რ ი გვიჩვენებს ამ ეპოქაში საჯარო და კერძო უფლება არეულია, ერთიცა და მეორე სფეროც განუსაზღვრელია, გადასახადებსა და ვალდებულებათ აქვთ ორმაგი ხასიათი, და როგორც სჩანს, ორმაგობითვე განსხვავდებოდა ხელოსანთა მამასახლისების დანიშვნის საქმეც.

ამჟამად გაბატონებულ თეორიად უნდა იქნას მიჩნეული ამქრების თავისთავადი წარმოშობის თეორია. ამავე დროს სიმძიმის ცენტ-

რი უნდა იმყოფებოდეს არა მათს თავისუფლებაში, არამედ მათი დამოუკიდებელ (ფეოდალის ადგილ-მამულის ორგანიზაციიდან) წარმოშობაში, როგორც სავსებით ახალი წამოწყებანი. ამქრები შექმნილ იქნენ ხელოსანთაგან, რომლებიც ადრე უკვე მუშაობდენ ბაზრისათვის მაგრამ მაინც მათი მიმართებანი გამოიხატებოდა გარკვეულ, ერთ-ხელ და სამუდამოდ დადგენილ ვალდებულებებში. ეს თეორია არსებობს ორი სხვადასხვა ვარიანტის სახით. ერთნი, მიუთითებენ რა ამქრების დამოუკიდებელ წარმოშობაზე, უმთავრეს მნიშვნელობას მიაწერენ არა ხელოსანთა კავშირების შექმნას, არამედ ამ კავშირების დამტკიცების, სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ მათი ცნობის ფაქტს. ამ-რიგად; ისინი ხაზს უსვამენ, საჯარო-უფლებრივ ხასიათს (განსხვავებით კერძო-უფლებრივიდან, ამქრების ფეოდალის მამულში ჩასახვის თეორიისა) ამ ორგანიზაციებისა. ამ შეხედულების მომხრენი დიდ მნიშვნელობას აძლევდენ იმ გარემოებას, რომ ქალაქებში ხელოსნები უკვე ძლიერ ადრე თავს იყრიან სავაჭრო რიგში ბაზარზე და ცხოვრობდენ გარკვეულ ქუჩებზე, ამავე დროს ყოველ ხელობას ჰქონდა თავისი ქუჩა, თავისი რიგი. ამ, ერთსა და იმავე სარეწავის პირთა შეერთებას ისინი ხსნიან საჯარო ხელისუფლების განკარგულებით, რომელიც ხელოსნებზე მეთვალყურეობის გაწევისა და მათგან გამოსაღებთა და ბეგარათა უფრო ადვილ აკრების მიზნით, აუცილებელს თვლიდა მათი დარაბებისა და სახელოსნოების ამრიგ კონცენტრაციას. ამ გარემოებას განსაკუთრებით ხაზს უსვამს: კ ე ი ტ გ ე ნ ი (Keutgen), რომლის აზრითაც საჯარო ხელისუფლება, აჯგუფებდა რა ბაზარზე ხელოსნებს მათი ხელობის მიერ წარმოებული ნაკეთობათა მიხედვით სწორედ მითიევ ჰქმნიდა გარკვეულ ხელოსნურ ორგანიზაციებს (Aemter). აქედან, უკვე შემდეგში, წარმოიშვენ ხელოსანთა დამოუკიდებელი ასოციაციები, რომლებიც თავიანთი სარეწავის დარგში სარგებლობდენ ავტონომიით — ესენი იყვნენ ამქრები. ამრიგად კრეიტგენის მოძღვრების თანახმადაც, რომელსაც ემხრობა ზ ე ლ ი გ ე რ ი (Seeliger) (როგორც ამქართა ფეოდალის ადგილმამულში წარმოშობის თეორიაშიაც), ამქრები წარმოიშობიან ორგვარად, თუმცა იმთავითვე წარმოადგენენ საჯარო-უფლებრივი ხასიათის საქალაქო ორგანიზაციებს, თუმცა, კ ე ი ტ გ ე ნ ი ს მტკიცება, რომ ხელოსნები მათთვის მეთვალყურეობის გაწევისა და გამოსაღებათა გადახდევინების მიზნით იყვნენ თავდაპირველად ხელისუფლებათა მიერ საბაზრო ჯგუფებად — Aemter — დანაწილებულნი, არ მტკიცდება ფაქტებით. როგორც გამოარკვიეს ბ ე ლ ო ვ მ ა (Below), ლ ი ო შ მ ა (Loesch) და სხვ. მრავალ ქალაქებში, რომელთაგან საერ-

თოდ შენახული იქნენ მრავალი ცნობები სარეწაოების შესახებ, ჩვენ ვერ ვპოულობთ არავითარ მითითებებს საბაზრო ორგანიზაციების არსებობაზე.

მწერალთა მეორე ჯგუფი, გამოდის რა აგრეთვე ამქართა თავისუფალი წარმოშობის თვალსაზრისიდან, არა მხოლოდ უარყოფს ამქართა ორგვარ წარმოშობას (როგორც ამტკიცებს კ ე ი ტ გ ე ნ ი), არამედ საერთოდ უმთავრეს მნიშვნელობას აძლევს თვით ხელოსანთა მისწრაფებას კავშირებში გაერთიანებისა, — მათ მიერ საკუთარი ნების კარნახით ასოციაციების შექმნას. შემდეგ კი ასეთი ასოციაციები უკვე მტკიცდებიან საჯარო ხელისუფლების მიერ; მათი უფლებათა ცნობა ამათთვის აუცილებელი იყო, მაგრამ მას ჰქონდა მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა, ხოლო ფაქტიურად ამქრები მათი დამტკიცებამდეც არსებობდენ. მ ა უ რ ე რ ი უურადღებას აქცევს ხელოსანთა ამქრების მთელ მსოფლიოში, თვით ჩინეთამდე გავრცელების ფაქტს. საიდანაც სჩანს, რომ მათი წარმოშობა გამოწვეული იყო ერთი და იმავე მოთხოვნილებებით, ცნობილ შინაგანი აუცილებლობით. მართალია, გ ი რ კ ე ვერ ამჩნევს მათი საყოველთაო გავრცელებას და ამტკიცებს, რომ ამქრები წარმოადგენენ წმინდა გერმანულ ინსტიტუტს. მაგრამ იმავე დროს ის მიუთითებს, რომ ამქრების წარმოშობა ეკუთვნის ძველ საგვარეულო კავშირთა დაშლის დასაწყისის ეპოქას; ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხელოსნები იყვნენ პირველნი, რომელთაც შექმნეს ახალი ორგანიზაციები და რომელნიც გამოეყვენ უძველეს ტომობრივ, თემობრივ, ოჯახურ კავშირებიდან, რომ ჩვენ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ამ საგვარეულო და ადგილობრივ კავშირთა გაგრძელება; პროფესია აქ გვევლინება როგორც განმაერთიანებელი მომენტი, როგორც ადრე ასეთი იყო საერთო შთამომავლობა და ერთად ცხოვრება. მ ი. კ უ ლ ი შ ე რ ი *), მეორე მხრივ, იხილავს ხელოსნობას, მისი განვითარების ადრინდელ ხანში, როგორც ხელობაზე გასვლის სარეწავს: ყოველ მოცემულ ადგილზე ხელოსნობას მისდევენ უცხოელები ანუ სხვა ტომელები, საერთოდ სხვა მხარეებიდან გამოსული ხალხი.

როგორც არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში ამქრები წარმოადგენენ მთლიან, ერთიან თემებს, რომლებიც, როგორაც სხვა საშუალო საუკუნოებრივი კორპორაციები, მისდევდენ ფრიად მრავალგვარ მიზნებს, ყველა იმ მიზნებს, რომლებიც აუცილებელი იყვნენ ამქრის წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ლიტერატურაში

*) მ. ი. კ უ ლ ი შ ე რ ი მამაა ამ ნარკვევის ავტორისა.

უკვე დიდი ხანია აღძრული იყო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიზნებს ისახავდენ ამქრები, რა ყო მიზანი მათი წარმოშობისა. ამ კითხვაზე აძლევდენ ფრიად სხვადასხვაგვარ პასუხებს. ასე, ვ ი ლ დ ა (Wilda) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რელიგიოზურ ხასიათს ამქრებისა და მასში ხედავდა მათი წარმოშობის თავდაპირველ მიზანს, სხვები მიუთითებდენ იმაზე, რომ ამქრები იმთავითვე იყვნენ სამხედრო ორგანიზატორები და მიზნათ ისახავდენ ურთიერთ დაცვას. შ ე ნ ბ ე რ გ ი ს აზრით, ამქრები გამოწვეულია როგორც შედეგი სურვილისა, რომელიც მდგომარეობდა იმ დრომდე გაბატონებულ თავისუფალი კონკურენციის მოსპობაში. შ მ ო ლ ე რ ი მათი წარმოშობის მიზანს ხედავს დამოუკიდებელი სასამართლოს დაარსებაში ხელოსანთა მიმართ, და უკანასკნელების სხვა პირთა მიერ გასამართლებისაგან განთავისუფლებაში; გ ი უ ლ მ ა ნ ი — გარეშე პირების სამრეწველო ნაკეთობათა გასაღებაში მონაწილეობისა და დარბაბებითა და დუქნებით სარგებლობის დაუშვებლობაში, ყოველგვარი კონკურენციის მოსპობაში და პრივილეგიათა მემკვიდრეობითი ხასიათის მიცემაში; დასასრულ. შ ტ ი დ ა — ხელოსნობის განვითარების ხელის შეწყობაში.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამქრისათვის პირველ რიგში იდგა სარეწავში მუშაობა და ერთმანეთდასათვის (ამქრის წევრებისათვის) ამ მიმართულებით ხელის შეწყობა; მაგრამ ამქრისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა წევრთა მიერ რელიგიოზური ურთიერთ კავშირის, ურთიერთ დაცვის (ამქარი როგორც სამხედრო ლაშქარი) მოთხოვნილებათა საერთო დაკმაყოფილებას. თავის წევრებზე საკუთარი სასამართლოს ორგანიზაციის სურვილს და ა. შ. მაგრამ, — და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, — ამქართა მოღვაწეობის ყველა ეს მხარეები წარმოადგენენ თვით მისი ორგანიზაციის აუცილებელ შედეგებს, და არა სპეციალურ მიზნებს, რომელსაც ისინი მისდევენ. გ ი რ კ ე სამართლიანად მიუთითებს, რომ ამქარი, როგორც აგრეთვე გილდია და სხვა კავშირები, და განსაკუთრებით პირველდაწყებითი საგვარეულო თემი, როგორც პირველი სახე ამ კავშირებისა, შემოიცავს ადამიანს მთლიანად, მის ყოველ გამოვლინებაში, — წინააღმდეგ უახლოესი კავშირებისა, რომელთაც მხედველობაში აქვთ, ყოველთვის, მხოლოდ გარკვეული მხარე ცხოვრებისა. თანამედროვე ასოციაციები, — ამბობს ის, — შეიძლება შევადაროთ მთელ მასას ერთმანეთის გადამჭრელი წრეებისა; ისინი ემყარებიან შესაძლებლობაზე რომ ერთ კავშირს შეიძლება ეკუთვნოდეს ერთი ნაწილი თავისი „შე"-სი, მეორეს — თავისი პიროვნების სხვა მხრით. თავისი ქონების

მხოლოდ გარკვეული ნაწილითაც კი. ეს გარემოება ჰგულისხმობს პიროვნების თავისუფლებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს კულტურის მხოლოდ უფრო მაღალ საფეხურებზე. საშუალო საუკუნოების ასოციაცია კი გარშემოიცავდა მთელ ადამიანს, მის ყოველ გამოვლინებაში. მიუხედავად კორპორაციების მრავალგვარობისა, რომელსაც ჩვენ ვნახულობთ ამ ეპოქაში, სახელმწიფო წარმოადგენდა კონცენტრიულ წრეთა წყებას, რომელთაგან ერთი შემოიცავდა მეორეს ან რამოდენიმე სხვებს, მაგრამ არც ერთი არ გადაიჭრებოდა მეორით.

ასეთი იყვნენ ყველა ასოციაციები საშუალო საუკუნეთა პერიოდისა, ასეთი ხასიათი ჰქონდათ ნაწილობრივ ამქრებსაც.

ამქრებს გვერდით ვხვდებით მრავალრიცხოვან ერთგვარ კორპორაციებს—კავშირებს, გილდიებს, ძმობებს, რომელნიც ორგანიზირებულნი არიან იმავე საფუძველზე, და გარშემოიცვენ ადამიანს მთელ მის გამოვლინებაში. ასეთებია გილდები, ძმობები და ასოციაციები ვაჭრებისა, ნოტარიუსებისა, ექიმებისა, და მასწავლებლებისა, აგრეთვე ოქრომჭედლებისა და მესაფლავეებისა, მათხოვრებისა და მეძავი ქალებისა. ყველა ესენი ერთიანდებიან კავშირებში, ირჩევენ მამასახლისუხუცესებს, ადგენენ თავიანთ სასამართლოს, აწყობენ რელიგიოზურ პროცესიებს, სასტიკად იცავენ თავიანთი რეწვის პრივილეგიებს. ამგვარად ჩვენ ყველგან და ყოველთვის გვხვდებიან ერთნი და იგივე პრინციპები, ყოველგვარ ორგანიზაციებში; ისინი სავსებით არ წარმოადგენენ მხოლოდ ხელოსანთა კორპორაციების დამახასიათებელ მოვლენებს, არამედ მათ აქვთ საერთო ხასიათი, რაც გამომდინარეობს თვით საშუალო საუკუნოებრივი ცხოვრების პირობებიდან, იმ დროის შეხედულებებთაგან და მოთხოვნილებათაგან.

(ი. მ. კ ულ ი შ ე რ ი — დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების ისტორია, ტომი I).

§ 6. ამქარი — დაბრკოლებაა გამოგონებლობისათვის

ამქრული რეგლამენტაციები მალე ხდებიან დაბრკოლებად გამომგონებლობისა, საერეწველო პროგრესისა.

პირველ ხელოსნებს, რომლებიც გაბედავენ ახალი მიმართულებით წასვლას, წინ ეღობებოდა ოპოზიცია განმტკიცებული რუტინის მხრიდან. მათ საქონლებს კონფისკაციას უშობდენ და კრძალავდენ, და რადგანაც ისინი მეტად სუსტნი იყვნენ, რომ ამქრებთან ამ არათანასწორი ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოსულიყვნენ, ცხადია, საჭირო იყო, რომ მათთვის ზურგი გაემაგრებია ხალხის დახმარებას

და რომ რიცხვი ასეთი ხელოსნებისა, რომლებიც ეწეოდენ ახალ გამოგონებათა ექსპლოატაციას, საკმაოდ დიდი ყოფილიყო. წინააღმდეგში მათ მოელოდათ განადგურება და გალატაკება.

მე-XIV საუკუნის დასასრულს წარმოიშვა ბრძოლა უბრალო ზონარებისა და მეტალის თავებიან ზონარებს შორის. ზონარით (ხვანჯარით) იმაგრებდენ შარვალს: ეს იყო ძველი სისტემა. ხოლო მეტალის თავებიანი ზონარები, მოდის შვილები, შარვალს აერთიანებდენ ნახევარზიფთანთან (с полукафтаньем). მაშინ ძველებურ მეშარვლეებმა, რომელთაც არ შეეძლოთ თავებიანი ზონარების გაკეთება, მოაწყვეს აჯანყება მოდის წინააღმდეგ და, ცუდი იყო თუ კარგი, მიაღწიეს იმას, რომ თავებიანი ზონარების ფაბრიკანტები დასჯილ იქნენ. საზოგადოება, თავის მხრივ, აღსდგა რუტინის წინააღმდეგ: მისთვის საჭიროველი იყო თავებიანი ზონარი; რომ ესიამოვნებიათ საზოგადოების გემოვნებისათვის ზოგიერთი მეშარვლენი არაფრად აგდებდენ მუქარას, რომელიც ამქრიდან მოისმოდა. ბოლოსდაბოლოს, გაიმარჯვა თავებიან ზონარმა, მაგრამ ეს გამარჯვება მას ძვირად დაუჯდა.

სწორედ იმავე საუკუნეში დამარცხდენ „კუვრშიფები" (couvrechiefs). ამ სახელწოდებით ტრუაში აკეთებდენ მომცრო სიგანის თხელ ქსოვილს, რომელიც წარმატებით სარგებლობდა მყიდველებში, და ამავე დროს მწარმოებელთ შესაძლებლობას აძლევდა რათა მუშებისათვის უფრო მაღალი ხელფასი გადაეხადათ, რადგანაც ის მათ იაფად უჯდებოდა. ეს იყო პროგრესი. მაგრამ... ფეიქართა სტატუტები სავსებით არაფერს ლაპარაკობდენ ამ სიახლეზე! ფეიქრები, რომელთაც არ შეეძლოთ ასეთ ქსოვილის გაკეთება, პროტესტს აცხადებდენ, ლაპარაკობდენ რა, რომ მაკი მწარმოებელნი ხელთ იგდებენ მთელ ბეწვეულს, ყველა მუშებს, მთელ ვაჭრობას ტილოებით და რომ მის წარმოებას არაფერი არ მოაქვს ხაზინისათვის. „კუვრშიფები" დამარცხებულ იქნენ: სამეფო ორდონანსმა აკრძალა მათი დამზადება.

ამქრული სული სამი საუკუნის გასვლის შემდეგაც არ გამხდარა უფრო ლიბერალური: ამის დამტკიცებას წარმოადგენს კასტორის ქუდებისა და ფოლაქების ისტორია.

საფრანგეთი განთქმული იყო თავისი კასტორის ქუდებით, მაგრამ კასტორი ძვირობდა. ზოგიერთ მექუდეებს აზრად მოუვიდათ დაემატებინათ კასტორისათვის ბოჭკოიანი მატერია: მათი ქუდები იწოდებოდა ნახევრადკასტორიანად. მათ ჰქონდათ წარმატება. იმიტომ რომ ისევე ლამაზნი იყვნენ და ბევრად იაფი ფასობდენ, ვინემ ნამდვილი თახვიდან გაკეთებული ქუდები. მაგრამ ნახევრადკასტორის ქუდები არ იყო გათვალისწინებული სტატუტებით, და, აგრეთვე, გარდა

ამისა, ბოჭკოიანი მატერია კონკურენციას უწევდა კანადის თახვს! ნახევრადკასტორი დაისაჯა. 1664 წელში მექუდეებს, რომლებიც მას ამუშავებდენ, უნდა გადაეხადათ 200 ლივრი ჯარიმა.

ამავე დროს ხალხი მოითხოვდა ნახევრადკასტორს; მექუდეები განაგრძობდენ მათთვის მის მიწოდებას. ჩვენ აქ ეხედებით ჯარიმების წვიმას, რომელიც 3.000 ლივრამდე (5.800 ფრანკი ოქროს წონით) აღწევდა. ადმინისტრაცია იქამდეც კი მივიდა, რომ თექვსმეტ მორჩილ მექუდეს, რომლებიც საზოგადოებაში გაერთიანდენ, მიანიჭა მონოპოლია თახვზე, იმ პირობით, რომ მათ მიეცათ დაპირება, რომ ყოველწლიურად იყიდდენ 340 მილიონ ტყავს. ეს საზოგადოება ჩავარდა, გალატაკდა და მის ნანგრევებზე, დაბოლოს, მე-XVIII საუკუნეში წარმოიშვა ნახევრადკასტორის თავისუფალი დამზადების უფლება. საუბედუროდ, სანამ ეს დავები დასრულდებოდა, ნახევრადკასტორი გადავიდა ინგლისში და ჰოლანდიაში, ნანტის ედიექტის გაუქმების შემდეგ.

არანაკლებ საინტერესოა ფოლაქების ისტორია. პარიზის მეფოლაქეებს ჰქონდათ სპეციალობა — აბრეშუმ-გადაკრული ფოლაქები. ასეთი ფოლაქები ძვირი ღირდა. მაგრამ მათზე დიდი მოთხოვნილება იყო. ამასთანავე ერთად თერძები და საგალანტერეო ვაჭრები სარგებლობდენ მაუდით-გადაკრული ანდა დაზგაზე გაკეთებული ფოლაქებით. მიიღო რა ცნობები იმ მნიშვნელოვანი ზარალის შესახებ, რომელიც სამეფოს მოსდიოდა ახლო ხანში შემოსული ჩვეულებით, — რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ატარებდენ იმავე მატერიაგადაკრულ ფოლაქებს, რომლიდანაც შეკერილი იყო თვით ტანისამოსი, ნაცვლად იმისა, რომ როგორც იყო წინად, ეტარებინათ აბრეშუმის ფოლაქები, — სამეფო საბჭომ, „მიიღო რა მხედველობაში, რომ მსგავსი ბოროტმოქმედება, თუ კი ის გაგრძელდება, გამოიწვევს სრულ განადგურებას ამ თემისა, რომელიც შესდგება მომუშავეთა მნიშვნელოვანი რიცხვიდან, რომელთაც არა აქვთ სხვა საშუალება არსებობისა, გარდა თავიანთი პროფესიისა“, აუკრძალა ყოველ მუშას აკეთოს ფოლაქი, თუ არა აბრეშუმიდან, ყოველ მღებავს — შეღებოს ის, ყოველ ვაჭარს — გაყიდოს ის, ყოველ კერძო პირს — ატაროს ის, დამუქრებით 300 ლივრით დაჯარიმებისა, რომელიც 1700 წელს აყვანილ იქნა 500 ლივრზე.

და იყო შემთხვევები, როდესაც მშვიდობიან მოქალაქეთ აჯარიმებდენ 500 ლივრით, იმისთვის, რომ ისინი ბედავდენ ეტარებინათ ფოლაქი, რომელიც მეფოლაქეთა ამქრის მიერ არ იყო ცნობილი და მიღებული და არც მთავრობის მიერ იყო პატენტირებული!

აი ასეთი მიზეზებით ადგენენ ამქრები თავიანთ სასიკეთილო განაჩენს. და თუ რეოლიუციამ, ტიურგოს შემდეგ, აღგავა ისინი ზედაპირიდან დედამიწისა, ეს აიხსნება იმითი, რომ ისინი დაბრკოლებად წარმოადგენდენ მრეწველობისა და ვაჭრობის პროგრესისათვის.

(პ ი ე რ ბ რ ი ზ ო ნ — შრომისა და მშრომელთა ისტორია).

§ 7. ქარგალთა წარმოშობა

დაქირავებულ მუშათა მასას ქალაქებში ხ ე ლ ო ს ა ნ თ ა ქ ა რ გ ლ ე ბ ი შეადგენდენ. მშვიდათ და კმაყოფილად ცხოვრობდენ ისინი, „არ შურდათ მაღლა მდგომთა ცხოვრება“, თავისი ცოდნით ამაყნი და „სრულიად შეძლებულნი“ „საკუთარი შრომის პროდუქტია სამართლიანი რაწილით“ სარგებლობდენ. მეტი რა უნდოდათ? ისინიც ოსტატებსავით, „ამქრის მფარველობის ქვეშ“ იმყოფებოდენ, ამქარი არჩევდა მათ. და ოსტატებს შორის წარმომდგარ დავას და „ყველა მათ უფლებებს“ იცავდა. ისინი ოსტატის ოჯახის წევრები იყვნენ, ოსტატთან ერთად ერთ სუფრაზე სჭამდენ და სვამდენ, იმავე მდგომარეობაში იყვნენ, რაც ოსტატის შვილები, პატიოსანსა და კეთილზნეობრივ ყოფა-ცხოვრებას ეჩვეოდნენ, რათა ღირსი გამხდარიყვნენ ოსტატობისა, რომელიც ხომ „ღვთით ბოძებული თანამდებობა“ იყო. ამ პატივს ქარგალი ისეთივე მოკრძალებით უახლოვდებოდა, როგორც სასულიერო პირი — მღვდლათ კურთხევას, როგორც აზნაური — რაინდობაში აყვანას. „ხელოსნები ამქრებში ჯერ კიდევ ურთიერთ ძმურს სიყვარულში და ერთგულებაში ცხოვრობდენ“ და შრომობდენ „არა მარტო შემოსავლის გულისთვის, არამედ ღვთის მცნების თანახმად“; „ძმობისა და ერთობის“ პრინციპებს ჯერ კიდევ შერჩენოდა თავისი ძალა ამქრებში.

ასე ხატავენ საამქრო წესწყობილების მეგობრები და საშუალო საუკუნეების თაყვანისმცემელნი ქარგალთა მდგომარეობას საამქრო ხელოსნობის აყვავების ხანაში. ამ სურათიდან კი ზოგიერთმა წრეებმა ჩვენს დროში ის დასკვნა გამოიტანეს, რომ საკმარისია მხოლოდ აღვადგინოთ საამქრო წყობილება, რომ ამით მოისპოს კლასობრივი წინააღმდეგობა კაპიტალისტებსა და მუშებს შორის და დამკვიდრდეს სოციალური ჰარმონია. ამქრებიო, ამბობენ, ძალიან მოხერხებული ორგანიზაციაა იმისთვის, რომ თანასწორათ დაცული იქნეს ოსტატებისა და ქარგლების ინტერესები.

ი ო ჰ ა ნ ი ა ნ ს ე ნ ი — ყველაზე ახალგაზრდა მკვლევარია გამოჩენილ გერმანელ ისტორიკოსთა შორს, რომელნიც ასე იდილიუ-

რად გვიხატავენ ხელოსან ქარგალთა მდგომარეობას საშუალო საუკუნეების მიწურულში. ზემოთ ჩვენ ნაწილობრივ მოვიყვანეთ მისი საკუთარი სიტყვები. მაგრამ არ შეიძლება იმ გარემოებამ არ ჩაგვაფიქროს, რომ ქარგალთა კეთილდღეობის დასამტკიცებლად მას მოყავს ხელისუფლების ოსტატების და ბურჟუაზიულ მწერლების ჩ ი ვ ი ლ ი ქარგლების აუტანელ ა მ პ ა რ ტ ა ვ ნ ო ბ ი ს ა და ფ უ ფ უ ნ ე ბ ი ს შესახებ.

ამგვარ ჩივილს რომ დამამტკიცებელი ძალა ჰქონდეს, სულ ადვილი იქნებოდა იმის დამტკიცება, რომ დაქირავებული მუშები ყოველ ხანაში უბედნიერეს მდგომარეობაში იმყოფებოდენ.

მაგრამ თუ უფრო საფუძვლიანად გამოვიკვლევთ ფაქტებს, ჩვენ თვალ წინ სულ სხვა სურათი გადაიშლება.

პირველი ცნობები ხელოსან ქარგალთა ანუ „კნეხტების" ე. ი. მსახურთა შესახებ, როგორც მათ წინეთ უწოდებდენ, მე-XIII საუკუნის გერმანიას შეეხება. ამაზე ადრე ხელოსნებს იშვიათად თუ ყავდათ ქარგლები და ამიტომ არ იყო საბაბი მათი მოხსენებისათვის. სტრასბურგელ მატყლის მქსოველთა შორის მე-XIII საუკუნეშიაც ერთი სიტყვით არ არიან მოხსენებული ქარგლები და თვით მე-XIV საუკუნეში ოსტატები და ქარგლები ძალიან სუსტად განირჩევიან ერთმანეთისაგან.

მე-XIV საუკუნემდე პირობები ქარგალთა განსაკუთრებულ წოდების შექმნისათვის უაღრესად ჯერ ხელსაყრელი იყო. როგორც უკვე ვიცით, ხელოსნები მაშინ ნაწილობრივ ფეოდალურად დამოკიდებული იყვნენ მსხვილ სენიორების მამულებში, ნაწილობრივ კი თავისუფალნი, მაგრამ არა სრულუფლებიანი მოქალაქენი. მხოლოდ მიწათმფლობელთ, ქალაქის მარკის წევრებს ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები, ხელოსანთა ორგანიზაციები ჯერ სავსებით არ იყო კანონიერად ცნობილი და უმთავრესად ბ რ ძ ო ლ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ს წარმოადგენდენ მაშინ. გარედან მოსულ ყოველ ხელოსანს ან ხელობის სწავლის დამწყებს ესალმებოდენ როგორც ამხანაგს და თანამებრძოლს, ამქრის დამხმარეს; არავითარი საფუძველი არ არსებობდა ამქრიდან მისი გამოსარიცხავად: პირიქით ყოველ ღონეს ხმარობდენ იმის მოსაწვევად. ეს აზრი ჰქონდა მაშინ იმ დებულებას, რომლის თანახმათ მხოლოდ ამქრის წევრებს ეძლეოდა ხელობაში მუშაობის უფლება. ჯერ კიდევ 1400 წ. სტრასბურგელ ფეიერებს დადგენილი ჰქონდათ: დაუყოვნებლივ და შ ე გ ი რ დ ო ბ ი ს ვ ა დ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა მ დ ე, მიღებულ იქნეს ამქარში ყოველი პირი, ვინც ამქრის ხუთი წევრის აზრით, პატიოსანი შთამომავლობის კაცია.

ხელობის ტეხნიკა ჯერ უკიდურესად პრიმიტიული იყო და არ ძოითხოვდა მრავალი პირის თანამშრომლობას ან კოოპერაციას. ყოველ ხელოსანს ადვილად შეეძლო შეეძინა ხელსაწყო და სხვა წარმოების საშუალებანი. მრავალ ხელობაში ნედლ მასალას თვითონ შემკვეთელი შოულობდა და ხელოსანი მასალას ჩვეულებრივად შემკვეთელის სახლშივე გადაამუშავებდა. ხელოსანთა უმრავლესობა ჯერ ისეთნაირად ღარიბი იყო, რომ ხელოსანთა ყოლა არ შეეძლო. არც ერთ ხელოსანს არ აიძულებდენ ქარგლად ემუშავნა: არც ტეხნიკური და ეკონომიური პირობები და არც კანონმდებლობა არავის არ უზღუდავდა დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას. საიდან უნდა გამსდარიყვნენ ასეთ პირობებში ქარგლები?

ყოველივე ეს მე-XIV საუკუნის შემდეგ შეიცვალა. განვითარდა ქარგალთა განსაკუთრებული წოდება განსაკუთრებულის უფლებებით; შეგირდობამ გარკვეული ფორმები მიიღო. მაურერის აზრით ხელოსანთა ორგანიზაციამ რაინდობისაგან აიღო მაგალითი. როგორც რაინდთა შორის განირჩეოდენ პაჟები, საჭურვლის მტვირთველნი და რაინდები, ასევე განირჩეოდენ საამქრო ხელოსნობაში შეგირდები. ქარგლები და ოსტატები; მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვა პირობებიც მოახდენდა გავლენას ხელოსანთა დაყოფაზე.

მე-XIV საუკუნეში ხელოსნობა უმთავრეს სარეწავს წარმოადგენდა ქალაქებში: თავისი მნიშვნელობით ხელოსნობა სულ უფრო სჯარბობდა მიწათმოქმედებას და თვით ვაჭრობასაც. ხელოსნების შეძლებულობა და ამქრების გავლენა სულ მატულობდა. იზრდებოდა მათი როლიც ქალაქის მართვა-გამგებლობაში.

ცალკე ხელოსანთა შეძლებულებამ საშუალება მისცა მათ ქარგლები დაეპირათ; ამქრებმა მოიპოვეს კანონმდებლობაში მონაწილეობის უფლება და, მაშასადამე, თავისი განსაკუთრებული ინტერესების საზოგადოების მფარველობის ქვეშ დაყენების შესაძლებლობაც. და სწორეთ იმ პირობებმა, რომლებიც ამ განვითარებას ედო საფუძვლად, ის ელემენტებიც მოამზადა, რომელთაგან ხელოსან ოსტატებს შეეძლოთ აეყვანათ ქარგლები.

ხელოსნობის და ვაჭრობის პროგრესმა სოფლად ძირიანად შესცვალა იქ არსებული ურთიერთობანი. როდესაც გლეხთა ომების შესახებ გვექნება საუბარი, ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ამ ცვლილებებზე. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სოციალურ დამოკიდებულებათა გადატრიალებამ სოფლად, გლეხთა ომების გარდა, ისიც გამოიწვია, რომ მიწისაგან მოწყვეტილმა სოფლელებმა იწყეს

დენა ქალაქებისაკენ, სადაც თავშესაფარს, თავისუფლებას და კეთილდღეობას ეძებდენ.

ბ ი უ ხ ე რ მ ა თავის საუცხოო შრომაში მაინის ფრანკფურტის მე-XIV და XV საუკუნეთა მოსახლეობის შესახებ ცხადათ გვიჩვენა, თუ შედარებით რამდენად ძლიერი იყო ეს დენა სოფლებიდან, დაბებიდან და ქალაქის მიდამოებიდან მსხვილი ქალაქებისაკენ.

ასე, ფრანკფურტის მამაკაცთა მოსახლეობას ქრისტიანულ სარწმუნოების ახალ მოქალაქეთა შემდეგი რიცხვი ემატებოდა (გამორიცხულია ადგილობრივ მოქალაქეთა შვილები):

წლები	ნამატი	ყოველწლიური საშუალო ნამატი.
1311 — 1350	1293	32
1351 — 1400	1535	31
1401 — 1450	2506	50
1451 — 1500	2537	51

მაშასადამე, რაც უფრო უახლოვდებით მე-XVI საუკუნეს მით უფრო მატულობს მოსახლეობის დენა.

ფართოვდება ის რაიონიც, საიდანაც ახალი მოქალაქენი გამოდიოდენ. ფრანკფურტის ყოველ 100 მოქალაქედან შემოსულა შემდეგი მანძილით დაშორებულ მიდამოებიდან:

წლები	2 მილამდე	2 — 10 მილამ.	10 — 20 მილამ.	20 მილზე შორიდან
1311 — 1350	54,8	35,5	6,5	3,2
1351 — 1400	39,4	42,9	11,1	6,6
1400 — 1450	22,9	54,4	12,6	10,1
1451 — 1500	23,2	51,2	11,3	14,3

გარედან მოსულთაგან ყველას კი არ იღებდენ მოქალაქობაში: რაც უფრო სჭარბობდა ქალაქად წასულ მოსახლეობაში პროლეტარული ელემენტები, მით უფრო იზრდებოდა დროებითი, უმკვიდრო მოსახლეობის რიგები. ჩვენ არა გვაქვს არავითარი ცნობა, რომ სტატისტიკურად შეგვეძლოს ამ ელემენტების რიცხვის გამორკვევა და ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ფაქტის უბრალო აღნიშვნით, რომ მე-XV საუკუნის დამლევში და XVI-ის დასაწყისში გერმანიის ქალაქებში გასაოცარი სისწრაფით იზრდებოდა ღ ა რ ი ბ თ ა რიცხვი. 1451 — 1538 წ.წ. ისინი შეადგენდენ ქ. ჰამბურგის მოსახლეობის და-

ახლოვებით 16 — 24%; 1520 წ. ქ. აუგსბურგში 2.000-მდე ღარიბი კაცი იქნებოდა. საიდან გაჩნდენ ისინი, დანამდვილებით ვერ ვიტყვით; მაგრამ მრავალგვარი მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ სოფლის მოსახლეობის პროლეტარიზაციამ ძალიან დიდი როლი ითამაშა ქალაქების ბოგანო მოსახლეობის განსაცვიფრებელ ზრდაში.

ახალი მოსახლენი, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა ხელოსნობაში ეძებდენ შემოსავალს ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდენ თავის შვილებისათვის შეესწავლებინათ ხელობა. ხელოსან ოსტატებს კი ახლა საკმაოთ ყავდათ ქარგლები და შეგირდები, — იმაზე მეტიც, რაც მათ სჭიროდათ. ქარგლები, რა თქმა უნდა, ცდილობდენ რაც შეეძლება მალე გამხდარიყვნენ დამოუკიდებელ ოსტატებად; ხელოსანთა რიცხვი იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე მოთხოვნილება მათი შრომის პროდუქტზე. თუ წინეთ ამქარი სიხარულით ეგებებოდა ყოველ ახალ ამხანაგს, რადგან ეს ამქრის ძალას ადიდებდა, ახლა უკვე ყოველ ახლად მოსულში ხედავდა არასასურველ კონკურენტს ისედაც მრავალრიცხოვან კოლეგებისა. ამქრის ძლიერების საფუძველი ახლა მუშტები კი არ იყო, არამედ ამქრის წევრთა ფულის ქისები. ქისები კი მით უფრო გასქელდებოდა, რაც უფრო ნაკლები იქნებოდა ხელოსანთა ურთიერთ მეტოქეობა. განკერძოების სული ბატონდებოდა ამქრებში; სულ უფრო გულმოდგინეთ სარგებლობდენ ისინი თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ძალით, რათა შეეზღუდათ უცხოელების განსაკუთრებით ს ო ფ ლ ი ს ელემენტების ამქარში შესვლის შესაძლებლობა და ოსტატობა გადაექცია ისეთ პრივილეგიად, რომლის დამსახურება სულ უფრო და უფრო ძნელი ყოფილიყო. ამ მიზნის მისაღწევად ზომებს იღებდენ არა მარტო საამქრო წესწყობილების „გაყინვის“ ხანაში. ასეთი ზომები ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში იყო შემოღებული, ხოლო მე-XVI საუკუნეში მათი განვითარება არსებითად უკვე დამთავრებული იყო. შემდეგ საუკუნოებს ამ მხრივ არაფერი მნიშვნელოვანი არ მოუტანია. მაშასადამე ეს ზომები, საამქრო წყობილების ნაყოფი, ამ წყობილების აყვავების ხანაში წარმოიშვა: იმ ხანაში, რომელიც საამქრო წყობილების მრავალ თანამედროვე ენტუზიასტის თვალს იტაცებს, როგორც იდეალი.

(კ. კაუცკი — უახლოესი სოციალიზმის წინამორბედნი).

§ 8. შეგირდი, ქარგალი, ოსტატი

ჯერ შეგირდების მიღებისას მეღავნდებოდა ამქრების კარჩაკეტილობა. ეს კარჩაკეტილობა დაიწყო დედაკაცების გამორიცხვით ხე-

ლობის სფეროდან. შეგირდათ შეიძლებოდა მხოლოდ მამაკაცი ყოფილიყო. მამაკაცებს თავიდანვე როდი ეკუთვნოდათ ხელოსნობის მონოპოლია. ამის შესახებ გერმანიაში არ შენახულა საკმაოთ სანდო საბუთები. სამაგიეროთ საფრანგეთის შესახებ საქმე ნათელია. იქ ჯერ კიდევ მე-XIII საუკუნეში დედაკაცები არ იყვნენ პრინციპიალურად გამორიცხული ხელოსნობიდან. „ასეულ ხელობიდან, რომლის სტატუტებს შეიცავს ბუალოს შრომა, დედაკაცთა შრომა სასტიკად აკრძალულია მხოლოდ ორში და, გარდა ამისა, ერთ ხელობაში მათი შრომა ნებადართულია მხოლოდ ზოგიერთ გარკვეულ სამუშევრებისათვის. როგორც ამ სამი ამქრის სტატუტებიდან და დადგენილებებიდან სჩანს, სამივე ხელობაში მანამდე დედაკაცთა შრომა და დედაკაცთა მიერ საქმის წარმოება ნება დართული იყო. რვა ხელობის შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ხელოსნურ შრომაში დედაკაცებს იგივე უფლებები აქვთ, რაც მამაკაცებს. ექვს შემდეგ ხელობაში მუშაობენ მხოლოდ ან უმთავრესად დედაკაცები, რომელნიც, როგორც ყველა დანარჩენ ხელობაში, შეგირდებად, მუშაკებად და ოსტატებად განიყოფებიან. ამ ხელობებს ყველა ის ნიშნები ახასიათებს, რაც ყოველ სხვა ხელობას. ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა დაკისრებული აქვს ან მარტო დედაკაცებს, ან დედაკაცებსა და მამაკაცებს. დანარჩენ ხელობათა შესახებ პირდაპირ არ არის აღნიშნული, რომ, ოსტატის ცოლისა და ქალიშვილების გარდა, სხვა დედაკაცებს ეძლევა მუშაობის უფლება; მაგრამ სტატუტებში არ სჩანს არც პირდაპირი აკრძალვა დედაკაცთა შრომისა“.

თუმცა, გერმანიისთვისაც შენახულა ზოგიერთი ნიშნები იმისა, რომ ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში დედაკაცები ან საკუთარ ამქრებს შეადგენდენ, როგორც ჰქონდათ, მაგალითად, მატყლის მჩეჩელ დედაკაცებს, ქ. კიოლნში, ან შედიოდენ ამქარში მამაკაცებთან ერთად და ღამოუკიდებლად ხელოსნობდენ.

ფრანკფურტელ (მაინზე) თერძების 1377 წლის წესდებაში ნათქვამია: „თუ გაუთხოვარ ქალს ხელოსნობა სურს, ის უწინარეს ყოვლისა მოქალაქე უნდა იყოს და თავისი სურვილი საბჭოს უნდა განუცხადოს; ამის შემდეგ უნდა გადაიხადოს 30 შილინგი ხელობის სასარგებლოდ და ერთი ჩარექი ღვინო ხელოსანთა გასამასპინძლებლად. ამის შემდეგ მას და მის შვილებს უფლება ეძლევათ იმუშავონ ხელობაში“. ამასვე მოითხოვდენ მამაკაცებისაგანაც.

სხვა ხელობებიც ღია იყო მე-XIV საუკუნეში დედაკაცებისათვის: კიოლნში, მაგალითად, მეხორცენი და ის ხელოსნები, რომელნიც ფულის ქისებს და აშირმებს ამზადებდენ და ღერბებს ქარგავდენ თავის

ამჭრებში დედაკაცებსაც იღებდენ მამაკაცის სწორი უფლებით. საზოგადოთ კი უცხო დედაკაცები უკვე მე-XIV საუკუნიდან გამორიცხული იყვნენ ხელოსნობიდან. მე-XIV საუკუნის შემდეგ უმრავლეს ხელობაში მხოლოდ ოსტატების ცოლებსა და ქალიშვილებს შერჩათ სახელოსნო მუშაობაში მონაწილეობის უფლება. შემდეგ ესეც მოისპო. დედაკაცთა გამორიცხვა სახელოსნო შრომის სფეროდან საყოველთაო და პრინციპიალურ მოთხოვნილებად იქცევა.

მამაკაც-შეგირდებსაც გარკვეული შერჩევით იღებენ, და ამგვარად მოსახლეობის სულ უფრო ფართო წრეები თანდათან კარგავენ თავის შვილების ხელობაში მიცემის უფლებას. ბოლოს ზოგიერთ ხელობაში საქმე იქამდე მივიდა, რომ შეგირდებისაგან მოითხოვდენ მოწმობას მისი წინაპრების შესახებ. ოსტატს უფლება ეძლეოდა მხოლოდ ის ყმაწვილი მიეღო შეგირდათ, რომელიც დაამტკიცებდა თავის შთამომავლობას მთელ რიგ თაობისუფალ. პატიოსან და კანონიერ სქორწინო კავშირში შობილ წინაპრებისაგან.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთი მოთხოვნილება შესაძლებლად ხდიდა ყოველგვარ მომიზეზებას არა სასურველ პირის მოსაშორებლად. მოთხოვნილება რამოდენიმე თაობის კანონიერ ქორწინებისაგან წარმოშობის დამტკიცებისა პროლეტართა უმრავლესობას ართმევდა ხელოსნად შედგომის საშუალებას. მოთხოვნილება თავისუფალ წინაპრებისაგან წარმოშობის დამტკიცებისა შეუძლებლად ხდიდა ფეოდალურად დამოუკიდებელ გლეხთა შვილების შესვლას საამქრო ხელობაში. და ბოლოს, „უპატიოსნოთ" ითვლებოდა უმთავრესად ის ხელობანი, რომლებსაც ყველაზე უფრო ადვილად შოულობდნენ ქალაქად შეხიზნული გლეხები. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა სოფლის ხელობები, რომელსაც არ ჰქონდათ ამქრული ორგანიზაცია, და, შემდეგ, ის პროფესიები, რომელსაც ხელს კიდებდა უმთავრესად ქალაქის მოსახლეობის დეკლასსიური ნაწილი. მაურერი ასახელებს შემდეგ „უპატიოსნო" პროფესიებს: მეცხვარეებს, მეწისქვილეებს, ტილოს მქსოველებს, ქალაქის დაწესებულებათა და სასამართლოთა ხელის მსახურთ, მესაფლავეებს, ღამის გუშაგებს, მათხოვართა მამასახლისებს, მხვეტელებს, ასსენიზატორებს, ჯალათებს და აგრეთვე საბაჟო მოსამსახურეებს, მეზურნე და მებუკეებს და ზოგჯერ დალაქებსა და მეაბანოეთაც.

სელის ქსოვა უმთავრესად სოფლის შინაური წარმოება იყო. მე-XV საუკუნეში სელის მქსოველები მასიურად გადადიოდენ ქალაქებში. მაგალითად, 1448 წელს 400 სოფლელი მქსოველი გადაესახლა

შვაბიიდან ულმში. რა გასაკვირალია, რომ თავდასაცავ ზომებს ილებ-დენ ამოდენა კონკურენტთა ზვავის წინაალმდეგ.

უძველეს დოკუმენტად, რომელიც ამგვარ ელემენტების გამო-რიცხვას აწესებს, შეიძლება ჩაითვალოს 1300 წელს დაწერილი მე-ჩექმეთა ამქრის გრაგნილი (მართალია, დაცულია მხოლოდ მისი ასლი, მე-XVII საუკუნეში გადმოღებული, რომელიც, შეიძლება ამ დროის მოთხოვნილებას ემსახურებოდა). ამ დოკუმენტში ხელობის შესწავლა აკრძალული აქვს სელის მქსოველთა და ტვირთის მზიდვე-ლთა შვილებს.

შეგირდების ვადას აჭიანურებდენ რამდენათაც შეიძლებოდა.

თავდაპირველად ამ პუნქტის შესახებ არავითარი დადგენილე-ბა, და საზოგადოთ, არავითარი იძულება შეგირდობის ვადის შესრუ-ლებისათვის არ არსებობდა. ჩვენამდე მოსული უძველესი სტატუტე-ბი, რომლებიც ამგვარ იძულებას აწესებენ, 1304 წელს ეკუთვნის, როდესაც იგი ციურიხში იქნა შემოღებული მეწისქვილეებისა, მექუ-დეებისა და ქურქჩებისათვის. და მხოლოდ მე-XV საუკუნეში იძუ-ლება საყოველთაო ხდება.

თვით შეგირდობის ვადა სხვადასხვანაირი იყო. ჩვენ ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც იგი ერთი წლიდან (მაგ., მაუდის მკეცელე-ბისათვის კიოლნში, მე-XIV საუკ.) რვა წლამდის გრძელდებოდა (იშა-ვე ხანის ოქრომჭედლებისათვის კიოლნში). ყველაზე ხშირი სამი წლის ვადა იყო. ინგლისში შეგირდობის ვადა ძალიან გრძელი იყო — თორმეტ წლამდე (ჩვეულებრივ ვადათ ბოლოს შეიდი წელიწადი და-წესდა); სამაგიეროთ იქ შეგირდობის განვლის შემდეგ აღარ არსებობ-და. კანონიერი დაბრკოლება ოსტატად შედგომისათვის.

ამაშია, ალბათ, იმის ერთი მიზეზთაგანი, რომ ინგლისში არ გვხდება ქარგალთა ორგანიზაციის კვალი, იმ ტიპის ორგანიზაციისა, როგორიც გერმანიაში არსებობდა.

გერმანიაში შეგირდობის ვადა არ იყო ამდენად გაჭიანურებუ-ლი. მაგრამ სამაგიეროთ შეგირდობასა და ოსტატობას შორის იყო პერიოდი, რომელიც მუშას ქარგლობაში უნდა გაეტარებინა; ამ ვა-დას რამდენადაც შეიძლებოდა აგრძელებდენ და ამისთვის საგანგე-ბოთ შემოღებულ იქნა ქარგალთა სავალდებულო მოგზაურობის პე-რიოდი.

ქარგალთა მოგზაურობის ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა უკვე მე-XIV საუკუნე-ში იხსენიება; მაგრამ მაშინ ჯერ არ იყო მოგზაურობის ი ძ უ ლ ე ბ ა; პირიქით, მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ი ყ ო. ჩვენამდე შენახული პირველი ცნობა იძულებითი მოგზაურობის შესახებ შეეხე-

ბა 1477 წელს: მატყლის მქსოველნი ლიუბეკში მოითხოვდენ, რომ ოსტატის შვილს ერთი წელიწადი და ერთი დღე ემოგზაურნა, სანამ ოსტატი გახდებოდა. ქარგლებზე აქ ჯერ ლაპარაკი არ არის. მე-XVI საუკუნეში მოგზაურობის იძულება უფრო ხშირი ხდება. ინგლისში კი ამას არასოდეს არ ჰქონია ადგილი.

მოგზაურობისათვის დაწესებული დრო ერთი წლიდან ექვს წლამდე ადიოდა, უმრავლეს შემთხვევაში კი სამი-ოთხი წელიწადი იყო.

შემდეგ ხელოსანთა მომრავლებას წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას წარმოადგენდა, ოსტატის ხელქვეით მყოფ შეგირდთა და ქარგალთა რიცხვის განსაზღვრა. თუმცა ამ საშუალებით სხვა მიზანსაც აღწევდენ: აბრკოლებდენ მდიდარ ოსტატების ნამდვილ კაპიტალისტებად გადაქცევას და ამგვარათ იცავდენ წვრილ ოსტატებს დამღუპველი კონკურენციისაგან.

შეგირდთა და ქარგალთა რიცხვის განსაზღვრა ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში დაიწყო.

ასე, მაგალითად, კონსტანცის ბურგომისტრმა და თერძთა ამქრის ოსტატებმა 1386 წელს გამოსცეს დადგენილება, რომელშიაც სჩიოდენ, „რომ ზოგიერთ ოსტატს ბევრი მოსამსახურე ჰყავს, რაიც სხვებისათვის საზიანო და საშიშარია. ამიტომ ყოველ ოსტატს ეკრძალება 5 თანაშემწესა და შეგირდზე მეტის დაჭერა“.

მე-XV საუკუნეში ამგვარმა განსაზღვრამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

ახლა ყოველ ქარგალს უკვე როდი შეეძლო დამოუკიდებლად გახდომა. მამულებში ბოლო მოეღო ფეოდალურად დამოკიდებულ ხელოსნის სავალდებულო საბატონო სამუშავრებს; თავისუფალ ხელოსნობის სფეროშიაც სრულიად გაჰქრა ან ჰქრებოდა მუშაობა შემკვეთლის სახლში. ახლა ხელოსნები საკუთარს სახელოსნოებში ამუშავებდნენ საკუთარსავე ნედლ მასალას, ისინი სახლის მფლობელნიც იყვნენ და ყოველივე საჭირო მასალა მათ თვითონ უნდა ეყიდნათ. საქმის წესიერი წარმოება ყველა ხელობაში ერთგვარ დამოუკიდებლობას მოითხოვდა. ამიერიდან ნივთიერი შეძლებულება წარმოადგენდა არა შედეგს, არამედ მიზეზს დამოუკიდებელ ხელოსნურ წარმოებისათვის. საკვირველიც არ არის, რომ სულ უფრო იზრდებოდა იმ ქარგალთა რიცხვი, რომელთაც არ შეეძლოთ დამოუკიდებლობის მიღწევა და მთელი თავისი სიცოცხლე ქარგლებად უნდა დარჩენილიყვნენ.

მიუხედავათ ამისა ოსტატობაში გამოსულ ქარგალთა რიცხვი მაინც უფრო სწრაფად მატულობდა, ვიდრე ოსტატებისათვის იყო სა-

სურველი. ამიტომ ეკონომიურ განვითარების ტენდენციის დასახმარებლად ღებულობდენ საკანონმდებლო ზომებსაც: ოსტატის წოდებაში ჩარიცხვა, რაიც ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში არავითარი პირობით არ იყო შეზღუდული, ახლა სულ უფრო ბრკოლდებოდა. დაბრკოლებათა უმრავლესობა მე-XV საუკუნეში წარმოიშვა.

ოსტატად რომ გამხდარიყო, ქარგალს წინასწარ მოქალაქეობის უფლებები უნდა მიეღო ქალაქში; ამ პირობის შესრულების შემდეგაც ქარგალს ხშირად წლობით უნდა ემაცადინა, რომ ოსტატის უფლებები მიეღო.

ასე, მაგ., ულმის ფეიქართა 1403 წ. სტატუტში ნათქვამია: „მოქალაქეებს, რომელნიც ხ უ თ ი წ ლ ი ს განმავლობაში ცხოვრობენ ულმში, როგორც სახლის მფლობელნი, შეუძლიათ თავის შვილებს ქსოვის ხელობა შეასწავლონ და სწავლის დამთავრების შემდეგ იყიდონ მათთვის ამქარში შესვლის უფლება. ხოლო თუ უცხო ფეიქარს, სოფლიდან თუ სხვა ქალაქიდან მოსულს, სურს მიიღოს მოქალაქეობა, მან ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იმუშავოს ფეიქრად და საამქრო უფლებების მიღება შეეძლება არა უადრეს ამ ვადისა. მაგრამ თუ საფეიქრო ხელობის ქ ა რ გ ა ლ ს ხუთი წელი უცხოვრია აქ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მისთვის, — საამქრო უფლებები მიეცემა მას მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ხ უ თ ი წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი ი ს ა რ გ ე ბ ლ ებ ს მ ო ქ ა ლ ა ქ ი ს უ ფ ლ ე ბ ებ ი თ“.

შემდეგი პირობა იყო შ ე დ ე ვ რ ი ს, სანიმუშო ნაწარმოების შექმნა. დამაკმაყოფილებელია თუ არა ეს ნაწარმოები, ამას რა თქმა უნდა ამქრის ოსტატები, მაშასადამე მომავალი კონკურენტები, სწყვეტდენ. წინაპართა საკითხის შემოწმება ოსტატად მიღებისას, რასაკვირველია, უფრო მკაცრი იყო, ვიდრე შეგირდათ მიღების დროს. ამის შემდეგ საჭირო იყო კიდევ დიდი თანხის შეტანა ამქარში მიღებისათვის და ოსტატებისათვის, ამქრელ ამხანაგებისათვის, ძვირფასი ნადიმის, ბანკეტის გამართვა.

ყველა ამ მოთხოვნილების შესრულება ქარგლისთვის ადვილი არ იყო. რომანტიკოს-ფანტაზიორებს სურთ დაგვარწმუნონ, რომ ამ ზომებს მიზნათ ჰქონდათ მხოლოდ მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, თავდებობის შექმნა ნაწარმოებთა კარგი ღირსებისათვის. ნამდვილად კი ამგვარი მოსაზრება უმნიშვნელო როლს თამაშობდა. ეს ნათლად სჩანს დაინტერესებულ პირთა სხვადასხვა განცხადებიდან. მაგალითად, მაუდის მწარმოებელთა ამქრის თხოვნაში ქ. იგლაუს საქალაქო საბჭოს სახელზე გარკვეულად არის განცხადებული, რომ ამქარი მოი-

თხოვს შეგირდობის ვადის გაგრძელებას 4 წლამდე. „რათა არავინ არ აღწევდეს ხელოსნობას ასე ადვილათ“. მაინც ის არქიეპისკოპოსი 1597 წ. სხვადასხვა ქალაქის დაბაღებსა და სირაჯებს ურჩევდა დაწესებინათ შეგირდობის და მოგზაურობის ხანგრძლივი ვადები, „რათა დაბაღებმა და სირაჯებმა დაიცვან თავისი ხელობის აყვავებული მდგომარეობა და ნება არ მისცენ გამოუცდელ მჩიჩქნელებს წ ა ჰ გ ლ ი ჯ ო ნ მ ა თ ლ უ კ მ ა პ უ რ ი“. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ხსენებული დაბრკოლებანი სრულიად იხსნებოდა ან იმდენად ადვილდებოდა, რომ უბრალო ფორმალობად იქცეოდა, როდესაც ამქარში ოსტატის შვილი ან ოსტატის ქვრივთან ან ქალიშვილთან შეღლებული პირი უნდა შესულიყო. მათ წინაშე საოცარის ძალით ჰქრებოდა მოკრძალებითი ზრუნვა „წოდებრივ ღირსების დაცვისათვის“. ყოველივე ეს მოხდა არა ამქართა „გადაგვარების“ ხანაში, როგორც ამქრული წყობილების ენტუზიასტები გვიამბობენ. უკვე მე-XIV საუკუნეში ფრანკფურტის ყასბების და ბრემენის მეჩექმეთა ხელობები მხოლოდ ოსტატთა ქალ-ვაჟებისათვის იყო მისაწვდომი. კიდევ მეტი კ, უკვე მე-XV საუკუნეში ვხვდებით ამქრებში შესვლის ს რ უ ლ ი ა კ რ ძ ა ლ ვ ი ს, — ოსტატთა რიცხვის ერთჯერ და სამუდამოთ განსაზღვრის ცდებს. 1468 წელს ჰამბურგელმა მეთევზეებმა მიმართეს საბჭოს თხოვნით, რომ მათი რიცხვი 50-დან 40-მდე შემცირებულიყო; იქვე 1469 წ. ოქრომჭედელთა რიცხვი განსაზღვრულ იქნა 12-ით. ვორმსში 1463 წ. სირაჯთა რიცხვი 44-ით განისაზღვრა. იმავე ხანაში ეხვდებით აგრეთვე მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ოსტატობასაც.

ამ განსაზღვრის ზომებმა უწინარეს ყოვლისა ორი მნიშვნელოვანი შედეგი გამოიწვია: ერთის მხრით სოფლის მოსახლეობის პროლეტარიზაციის შედეგები გაამწვავა და ამქრულ ორგანიზაციის გარეშე მდგომი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ზრდა დააჩქარა; მეორეს მხრით კი თვით საამქრო ხელოსნობაში ანტაგონიზმი შექმნა — ო ს ტ ა ტ ე ბ ს ა და ქ ა რ გ ლ ე ბ ს შორის. ქარგალთა რიცხვთან შედარებით ოსტატთა რიცხვი სულ უფრო ნაკლები ხდებოდა; სულ მეტის სიმკაცრით იდევნებოდენ „მკონკველნი“ და „ბრიყვები“, ე. ი. ისინი, ვინც ცდილობდენ ამქარში შეუსვლელად მოეპოვა დამოუკიდებლობა, იკრძალებოდა ხელოსნობა ქალაქის გარეუბნებში, და ცოტა თუ ბევრად დაშორებულ სოფლებში, ზოგჯერ ქალაქიდან მრავალ მილის მანძილზე, უფრო ხშირად კი ერთ მილის სიშორეზე ქალაქის გარშემო (ეგრე წოდებული Bannmeile). ცვიკკაუში, მაგალითად, 1500 წ. დადგენილი იყო,რომ სელის მქსოველნი არ უნდა დასახლებულიყვნენ ქალაქის გარშემო „აკრძალულ სივრცეზე“, გარდა დიდი

სოფლებისა, სადაც თითო ხელოსანს შეეძლო ეცხოვრა. ამის მზგავსი-ვე შემზღუდველი დადგენილებანი გამოიცა 1421 და 1492 წლებში. ცხადია, ეს ზომები წინააღმდეგობას იწვევდა, გააფთრებულ ბრძოლას აჩაღებდა ქალაქის ამქრელ ოსტატებსა და გარეშე მდგომ სოფლელ და გარეუბნელ ხელოსანთა შორის; მათ შორის ჩამოვარდნილმა ანტაგონიზმმა თავისი კვალი გლეხთა ომებსაც დააჩნია. იმ დროს, როდესაც სოფლის მოსახლეობა მასსიურად ილტვოდა ქალაქებისაკენ და ქარგლად დადგომის მსურველთა რიცხვი სულ მატულობდა, სწორეთ ამ დროს ქარგლებს სულ უფრო უძნელდებოდათ ოსტატობის მიღება ან დამოუკიდებლობის მოპოება ამქრულ ორგანიზაციის გარეშე. იმათი რიცხვი, ვისაც წილად ხვდა მთელი სიცოცხლე ქარგლად ყოფნა, შეუჩერებლივ იზრდებოდა. შეგირდობიდან ოსტატობაზე გადასვლის უბრალო საფეხურის ნაცვლად ქარგლობა მრავალ ხელოსან მუშაკისათვის სამუდამო მდგომარეობად გადაიქცა. ქარგალმა მალე შეიგნო, რომ ის მომავალი ოსტატი კი არ არის, არამედ კაცი რომელსაც ოსტატი ყვლეფს; მისი ინტერესები სულ უფრო ხშირად ეჯაბნებოდა ოსტატის ინტერესებს.

(კ. კაუცკი — უახლესი სოციალიზმის წინამორბედნი).

§ 9. ბრძოლა ქარგლებსა და ოსტატებს შორის

ანტაგონიზმი ოსტატებსა და ქარგლებს შორის განსაკუთრებით საშუალო საუკუნეთა მიწურულში გამწვავდა. სანამ მთავარი მუშაკი ოსტატი იყო, რომელიც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იწვევდა თანაშემწეს, მას არ ჰქონდა განსაკუთრებული სტიმული სამუშაო დროის გაგრძელებისათვის: გრძელი სამუშაო დღე უმთავრესად თვით ოსტატისთვის იყო საზიანო. ქარგალი მასთან ერთად ჭამდა ერთ სუფრაზე: არ ღირდა ერთი ქარგლისთვის ცალკე საჭმელის მზადება. ქარგათ ცხოვრობდა ოსტატი, და მასთან ერთად, ქარგალიც. ორივეს თითქმის ერთი და იგივე ინტერესები ჰქონდათ. გარდა ამისა საქონლის მწარმოებელ საზოგადოების ადრინდელ ხანაში ფულადი ხელფასი უმნიშვნელო როლს თამაშობდა, ოსტატი და ქარგალი ხშირად პირდაპირ იყოფდენ თავის შრომის შემოსავალს.

სტრასბურგის ფეიქრებს ჩვეულებად ჰქონდათ, რომ ქარგალი მუშაობდა ოსტატთან მესამე ან მეორე პფენინგის ფასად, ე. ი. იღებდა შემოსავლის მესამედს ან ნახევარს.

ასეთ პირობებში იშვიათი იყო ისეთი შეხლა-შემოხლა, რომელსაც წმინდა პირადი ხასიათი არ ჰქონოდა და კლასობრივ წინააღმდეგობით ყოფილიყო გამოწვეული.

ყოველივე ეს იცვლებოდა იმისდამიხედვით, რამდენადაც იზრდებოდა ქარგალთა რიცხვი თვითეულ სახელოსნო წარმოებაში. ოთხი ან ხუთი ქარგლის მუშაობის მეთვალყურეობა ისე ადვილი აღარ არის, როგორც ერთისა. მთავარ მუშიდან ოსტატი თანდათან ზედამხედველად გადაიქცა, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლება მეტი შრომა გამოეწურა ქარგლებიდან. რამდენადაც ქარგლებისათვის იზრდებოდა შრომის სიმძიმე, იმდენად ოსტატისათვის იგი მსუბუქდებოდა. თუ მეურნეობაში ძალიან ბევრი ქარგალი მუშაობდა, მარტო მათი შრომა კმაროდა არა მარტო თვით ქარგალთა შენახვისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ ოსტატს კარგი შემოსავალი ჰქონოდა. ხანდახან დატუქსვის შრომაც მეტად მძიმე ხდებოდა ოსტატისათვის რომელიც აქედან თავს აღწევდა ს ა ც ა ლ ო ხ ე ლ ფ ა ს ი ს შემოღებით. ეს სისტემა მე-XIV საუკუნის დამლევიდან განვითარდა და, როგორც სჩანს, საფეიქრო ხელოსნობაში განსაკუთრებით პროგრესი გამოიჩინა. უკვე მე-XV საუკუნეში ხანდახან საჭირო გამხდარა აკრძალვა ამ წესისა, რომლის საშუალებით ოსტატი თავს იხსნიდა მუშაობისაგან.

რაც უფრო ნაკლებ მონაწილეობას იღებდა ოსტატი მუშაობაში, მით უფრო ცდილობდა იგი, რომ ქარგლებს მისთვის ზედმეტი ღირებულება შეექმნათ, მით უფრო უნდოდა მათი სამუშაო დროის გაგრძელება. მუშაობის ხანგრძლივობა დ ღ ე შ ი, შეიძლება ვიფიქროთ, დიდათ არ მერყეობდა; სამაგიეროთ დაჟინებით ცდილობდენ გაეუქმებიათ ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ა და სამუშაო დღეებათ გაეხადათ მრავალი დღესასწაული და თვით კვირა-დღეები.

1522 წ., გლეხთა ომის დაწყების წინ, ჰერცოგ ჰენრიხმა გამოსცა საქსონიაში სასტიკი დადგენილება, რომლითაც კრძალავდა მუშაობას დღესასწაულებში, მაგრამ იმავე დადგენილებაში აცხადებდა, რომ ქარგლებს არ ევალებათ „თავისუფალი" ან „კეთილი ორშაბათის" მართვაო. 1503 წ., როდესაც ვეზელში თერძთა ქარგლები გაიფიცენ, ბურგომისტრმა ამქრის კამერაში განაცხადა, რომ თერძთა ქარგლები — მოუსვენარი ხალხია, მაგრამ „ოსტატებსაც დიდი დანაშაული მიუძღვით, რადგან არ სურთ დღეში სამჯერ რიგიანად ჭკვებონ ქარგლები, რასაც უკანასკნელნი სამართლიანად მოითხოვენ, და ძალიან დიდი მუშაობით ტვირთავენ მათ". ბურგომისტრი სასჯელით დაემუქრა ოსტატებს, თუ ისინი მომავალშიაც ამუშავებენ ქარგლებს „კვირა დღეებში და დღესასწაულებში დილიდან წირვამდე, თმით ათრევენ

და სცემენ ქარგლებს". ბურგომისტრის სიტყვა აღნიშნულია იანსენის მიერ, მაგრამ ვერ ეხამება ეს სიტყვა მის ამქვრულ იდილლიას!

მუშაობის სიმძიმის გადიდებასთან ერთად ძლიერდებოდა მისწრაფება ქარგალთა კვების გაუარესებისა და ხელფასის შემცირებისაკენ. როცა ოთხი-ხუთი ქარგალი და ორი ან მეტი შეგირდი ხდება სარჩენი, მაშინ მათთვის ცალკე საჭმელის მზადება უფრო ხელსაყრელია. მათი სარჩოდან ცოტა რამეს „გამორჩენა" შეიძლება ისე რომ ოსტატის ოჯახის სარჩოს არაფერი დააკლდეს. ქარგლის მჭიდრო კავშირი ოსტატის ოჯახთან, რაშიაც იანსენი და მისი აზრთა მოზიარენი ამდენ სინაზესა და გულკეთილობას ხედავენ, ქარგალთა ექსპლოატაციის საშუალებად გადაიქცა.

ცხადია, „მომჭირნე" ოსტატები ფულადი ხელფასის შეკვეცას კიდევ უფრო შეეცდებოდენ, ვიდრე სარჩოსი.

ხელფასის შეკვეცის ცდა, დანარჩენ თანასწორ პირობებში, მით უფრო ძლიერი იყო, რაც მეტი იყო, დაქირავებულ მუშათა რიცხვი. როდესაც მხოლოთ ერთი მუშაა დაქირავებული, მაშინ ოსტატისთვის მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს ორი კაპეიკით მეტს თუ ნაკლებს გადაიხდის დღეში; მაგრამ თუ ის ასი მუშის ექსპლოატაციას ეწევა, განსხვავება დღეში 2 მანეთს შეადგენს, ხოლო წელიწადში კი რამოდენიმე ასეულამდე გაიზრდება. მცირე მასშტაბით ამ პირობის გავლენა უკვე საშუალო საუკუნეების მიწურულში გამოაშკარავდა. რა თქმა უნდა, ჯერ შორს იყო ის დრო, რომ სამრეწველო მეწარმე ასეულ მუშას ქირაობდა. ექვსი-შვიდი ქარგლის დაქირავებით ოსტატი, საერთოთ რომ ვთქვათ, უკვე ფრიად საგრძნობად სცილდებოდა ჩვეულებრივს და ნებადართულ ნორმას. მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ მისწრაფება ხელფასის შეკვეცისაკენ ახლა უფრო ძლიერი ყოფილიყო, ვიდრე მაშინ როდესაც ხელოსნობა ჯერ არ „ჰყვაოდა" და როდესაც, საზოგადოთ, ხელოსანთა მეტად მცირე რიცხვს შეეძლო თუნდაც ერთი ქარგლის დაქირავებაც.

იმავე დროს ძლიერდებოდა, — განსაკუთრებით გერმანიაში ფასების რევოლიუციის გამო, — ქარგალთა მისწრაფებაც ხელფასის გადიდებისაკენ: ფასების ხსენებული რევოლიუცია მე-XV საუკუნეში დაიწყო ვერცხლისა და ოქროს ამოღების სწრაფი ზრდის გამო. ეს რევოლიუცია წინამორბედი იყო მეორე, გაცილებით უფრო მძლავრი ფასთა რევოლიუციისა, რომელიც ამერიკის ოქრო-ვერცხლის აღმოჩენამ გამოიწვია მე-XVI საუკუნეში და რომელიც მთელს განათლებულ ევროპას მოედო. კეთილშობილ ლითონების წარმოებაში მომხდარ გადატრიალების გარდა, ფასების ზრდაზე გავლენა იქონია აგ—

რეთვე სავაჭრო საზოგადოებათა მონოპოლიამ. ამავე დროს ყ ვ ე ლ ა წოდებაში და, სხვათა შორის ხელოსან ოსტატებშიაც, იზრდებოდა ფუფუნება და მოთხოვნილებანი. საკვირველიც არ არის, რომ ქარგლები, რომელნიც ოსტატებთან ერთად ცხოვრობდნენ და ცოტა ხნის წინეთ ოსტატთა სწორად მიაჩნდათ თავი, ცდილობდენ აემაღლებიათ თავისი ცხოვრების დონე.

ხელფასის საკითხები, მე-XV საუკუნეში მე-XVI საუკუნის დამდეგში სულ უფრო ამწვავებდა ოსტატთა და ქარგალთა ანტაგონიზმს.

ამან, ჩვენ მიერ აღნიშნულ სხვა წინააღმდეგობებთან დაკავშირებით გამოიწვია ის, რომ უკვე მე-XIV საუკუნეში დაწყებული ბრძოლა ოსტატებსა და ქარგლებს შორის სულ უფრო მკაცრ ხასიათს იღებდა, რაც უფრო უახლოვდებოდა მე-XVI საუკუნეს.

ჩვენი რომანტიკოსები და საამქრო წყობილების მოტრფიალენი სიამოვნებით ადარებენ ხოლმე კაპიტალისტურ მრეწველობას და ამქრულ ხელოსნობას, როგორც ისეთ წარმოების წესს, რომელიც ნამდვილი ელდორადო იყო მუშებისათვის და რომელმაც არ იცოდა კლასობრივი სიძულვილი. მხოლოდ კაპიტალიზმმა ანუ, როგორც ნახევრად აზიატები იტყვიან ხოლმე, „ებრაელობამ" განდევნა „ეთიკა" ეკონომიურ ცხოვრებიდან და დასთესა კლასობრივი სიძულვილის დრაკონისებური სამკალი. მაგრამ მიწათმფლობელნი და ამქრის ოსტატები ჯერ კიდევ მე-XIV და მე-XV საუკუნეებში ძალიან შორს იყვნენ წინაკაპიტალისტური ხანის სახელგანთქმულ უმანკოებისაგან; შემდეგი საუკუნეები კი სჯობს სულ არ ვახსენოთ, რადგან ამ ეპოქაში, როგორც რომანტიკოსები ამბობენ, უკვე გამომჟღავნდა კაპიტალისტური ცოდვის შედეგები. ნამდვილად კი უკვე ხელოსნობის „აყვავებული მდგომარეობა" დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციას ემყარებოდა და გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლას ჰბადებდა.

შ ა ნ ც ი, თავის საუცხოვო წიგნში, რომელთაც, სასტიკათ დაამარცხა ქარგალთა მდგომარეობის „ეთიკურად" შემამკობელი „ისტორიული" სკოლა, სრულიად სამართლიანად ამბობს შემდეგს:

„საჭიროა ჩაუფიქრდეს კაცი ამ ფაქტს (შრომის დაუნდობელ ექსპლოატაციას), როდესაც, შენბერგის მზგავსათ ლაპარაკობენ მრეწველ მუშათა დიად წარმატებაზე და ხელოსანთა საყოველთაო კეთილდღეობაზე მე-XIV და მე-XV საუკუნეებში; ეს იმიტომ რომ, უეჭველია, ამ კეთილდღეობისთვის ოსტატები უმთავრესად ქარგალთა შრომის ნაწილობრივ მითვისებას უნდა უმადლოდენ, მაშინ როდესაც

ქარგლები მთელი თავისი ჰაპან-წყვეტის მიუხედავათ, მუდამ შიშით შეჰყურებდენ თავის მომავალს".

თუმცა ამქრები თავის თავადაც ძლიერი იყვნენ და თვითონ ამაყობდენ თავისი დამოუკიდებლობით, მაგრამ მათ არ რცხვენოდათ ესარგებლათ „სახელმწიფოს დახმარებით" ქარგალთა დასამორჩილებლად. უკვე მე-XV საუკუნეში (ინგლისში კი მე-XVI საუკუნეშიაც) საქალაქო ხელისუფლება, ქალაქთა საბჭოები და, — თუ ქალაქებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მოპოებული თავისუფლება, — მათი სიუზერენები ხ ე ლ ფ ა ს ი ს ნ ი ჩ რ ე ბ ს აწესებდენ. იმავე ხანაში ამგვარივე ნიხრები წესდებოდა მთელს ქვეყანაში, როგორც ხელოსანთა, ისე სოფლის მუშებისათვისაც.

(ქ ა რ ლ კ ა უ ც კ ი — უახლოესი სოციალიზმის წინამორბედნი).

§ 9ა ქარგალთა კავშირები

ფართო მასების ბრძოლა, მაშასადამე, კლასობრივი ბრძოლაც ძეუძლებელია ორგანიზაციის გარეშე. გარემოება ქარგლებისაგანაც მოითხოვდა ორგანიზაციის შექმნას.

იგი მათთვის მით უფრო აუცილებელი იყო, რაც უფრო სისტლის მღვრელი ხდებოდა მათი კლასობრივი ბრძოლა. უკვე 1385 წ. დანციგში გაფიცულ ქარგლებს ყურები მოჭკვეთეს. იანსენი არაფერს არ გვიამბობს ამგვარ საგნებზე. ასეთი რამ მის იდეალებს არ ეხამება. მაგრამ ეს ხომ მაშინ ხდებოდა, როდესაც ამქრის წევრები ჯერ კეთილი კათოლიკენი იყვნენ, მოყვასისადმი სიყვარულის ქრისტიანული სულით აღსავსენი. ქარგალთა პირველი გაერთიანებანი დროებით ხასიათს ატარებდა და ჩვეულებრივად დროებითი მიზნების მისაღწევად არსდებოდა. პირველი ამგვარი კავშირი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, შესდგა გერმანიაში 1329 წელს: აშურმის მკეთებელ ქარგლებს ბრესლავლში გადაუწყვეტიათ დაეწყოთ გაფიცვა და არ ემუშავათ ერთი წლის განმავლობაში.

მაგრამ ამაზე ცოტა უფრო გვიან ვწვდებით ქარგალთა უფრო მკვიდრ ორგანიზაციებს.

სწორეთ იმ პირობებმა, რომლებიც ხელოსან ქარგლებს ქალაქებისაკენ იზიდავდა, ნიადაგი მოუმზადა კავშირთა ორგანიზაციას და გავლენა მოახდინა ამ კავშირთა ხასიათზე. საშუალო საუკუნეებში ხალხის თავმოყრის შემთხვევას იძლეოდა ს ა მ ი კ ი ტ ნ ო და ე კ ლ ე ს ი ა, ხანდახან კიდევ ო მ ი. ზოგიერთი საერო ხასიხათის საზოგადოება ამნაირად არსდებოდა: ხელოსანი ოსტატები თავისუფლდე-

ბოდენ სამხედრო სამსახურისაგან და თავის მაგიერ გზავნიდენ ქარგ-ლებს, რომელნიც ამისთვის ჯილდოს იღებდენ ამქრის სალაროდან. ქარგლები თავის სამხედრო ორგანიზაციას მშვიდობიან დროშიაც ინახავდენ. მაგრამ ჩვენამდე არ შენახულა ორგანიზაციების ამგვარად წარმოშობის დამამტკიცებელი საბუთები.

ქარგალთა ორგანიზაციების უფრო გავრცელებულ ფორმას წარ-მოადგენდა საეკლესიო ძმათა კავშირები და სამიკიტ-ნოებთან აღმოცენებული ორგანიზაციები. ძმათა კავშირებს უმთავრესად ურთიერთ-დახმარების საქმე ეკისრე-ბოდა, სამიკიტნოები კი წარმოადგენდა ოსტატებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის კერებს. მაგრამ ორივე სახის კავშირთა ფუნქციები ერთმანეთისაგან სწორად გამიჯნული არ იყო და საეკლესიო ძმათა კავშირები ხ'შირად ბრძოლისათვის საჭირო სა-ლაროების როლს ასრულებდენ.

ქარგალთა პირველ ძმათა კავშირებს გერმანიაში ეხვდებით ფეი-ქრებთან, — XV საუკუნის დასაწყისში ან, შეიძლება, XIV საუ-კუნის დამლევშიაც. უკვე 1389 წ. შპეიერში ეხვდებით სა-ლაროს გამგეს თანამდებობას ფეიქარ-ქარგლებში, ეს კი გუ-ლი'ხმობს ურთიერთ დახმარების სალაროს არსებობას. 1402 წ. ფეი-ქარ-ქარგლებს ულმში დაარსებული ჰქონდათ ძმათა კავშირი, რო-მელსაც ჰოსპიტალში ორი საწოლი ეჭირა უღარიბეს ქარგლებისა-თვის და გარდა ამისა დასაფლავების სალარო დაუარსებია.

ამ ძმათა კავშირების დასახასიათებლად ჩვენ მოვიყვანთ რამო-დენიმე მუხლს სტრასბურგელ ტილოს ფეიქარ ქარგლების წესდები-დან, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1479 წ. ამ მუხლებში ნათქვამია.

„ჩვენ, ჰანს გერბოტტი, ოსტატი, და საფეიქრო ხელობიდან ხუ-თი არჩეულნი, ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, ვინც კი ამას დაი-ნახავს და წაიკითხავს, რომ ჩვენთან გამოცხადდენ პატივცემულნი ჰანს ბლეზინგი და მარტინ შუსტერი ვისტორნიდან, სტრასბურგის სელის მქსოველ ქარგალთამოლარენი; წარმოგვიდგინეს ქვემოთ აღ-ნიშნული პუნქტები, მუხლები და დადგენილებანი, და გამოსთქვეს სურვილი, რომ ისინი დამტკიცებულ იქნენ“...

„მქსოველი ქარგლები სამუდამოთ აარსებენ ძმათა კავშირს სტრასბურგის დიდ ჰოსპიტალთან და არსად სხვაგან; იქ უნდა და-ჩეს ის მომავალშიაც. ყოველ ნახევარ წელიწადში ირჩევენ თავისთვის ორ მოლარეს: ორს — შობის დღესასწაულში და მათ მონაცვლე ორ ახალს — სული წმინდის მოფენის დღეს. დანიშვნის შემდეგ მოლარე-ებმა ფიცი უნდა დასდონ, რომ ყოველ ლონეს მოიხმარენ ჩვენი

ძეირფასი ქალბატონის (ე. ი. ძმათა კავშირის ქონების) სასარგებლოთ და დაიფარავენ მას შეძლების დაგვარათ ყოველგვარი ზიანისაგან. ვინც მოლარეთ არჩეული იქნება მაგრამ უარს განაცხადებს ამ თანამდებობაზე, მას ჯარიმათ ნახევარი გირვანქა სანთელი გარდახდება და ვინც დატოვებული იქნება თანამდებობაზე, რამდენიც არ იჯიუტოა, თუ რომ, რა თქმა უნდა, ოსტატები ამის თანახმა იქნებიან. თუ გინდ ორი კვირა მოუხდეს მოლარეებს სიარული წევრთა ყოველკვირეულ გადასახადის შესაკრეფად, მათ არაფერი არ უნდა დააკლონ საერთო სალაროს. მაგრამ თუ რომელიმე ქარგალს მართებს სალაროსი ორი ფენიგი და არ აბრუნებს როცა მოლარენი ვალის გადახდას მოსთხოვენ, მას ორი ფენიგი ჯარიმა გადახდება. აგრეთვე მომავალშიაც სალარომ არ უნდა გაასესხოს ფული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვინმე ავათ გახდება; მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც სესხი გაიცემა მხოლოდ ოსტატების თანხმობით და ისეთი გირაოს აღებით, რომელიც ფასით გასესხებულ თანხაზე მეტი იქნება. ყოველ დღესასწაულს თვითეულმა ქარგალმა ერთი კეთილი სტრასბურგული ფენიგი უნდა შესწიროს ძმათა სალაროს; უკეთუ იმ დროს რომელიმე ქარგალი ქალაქში არ იმყოფება, ფენიგი უნდა შემოიტანოს დაბრუნების უმალ".

შემდეგ გამოცხადებულია დადგენილებები საეკლესიო პროცესიების, წმინდა სანთლებისა და სხვათა შესახებ; ამის მიმყოლ სტატუტებში ნათქვამია: „ქარგალს, რომელიც ახლახან ჩამოვიდა ქალაქში და არასოდეს მანამდე აქ არ უმუშავნია, შეუძლია ერთი ან ორი კვირის განმავლობაში იმუშაოს დაუბრკოლებლად. ხოლო თუ ის ამაზე მეტი ხანი დარჩა, ვალდებულია შეიტანოს სალაროში 2 ფენიგი წევრად შესვლის გადასახადი და შემდეგ განაგრძოს სამსახური ძმათა კავშირის წევრებთან ერთად, მათი წესების თანახმათ. თუ ქარგალი განიზრახავს ოსტატზე საჩივრის აღძვრას სასამართლოში, საამისო ხარჯი მან საკუთარი ჯიბიდან უნდა დაფაროს და არა ძმათა სალაროდან". შემდეგ — ისევ ახალი დადგენილებები ეკლესიაში სიარულზე, წმინდა სანთლებზე და სხვა. და ბოლოს ინიშნება შემდეგი სასჯელი კავშირის წესების დარღვევისათვის: „თუ ქარგალმა არ მისცა მოლარეებს წევრად შესვლის გადასახადი ან ყოველკვირეული ფენიგი, მას აღეკრძალება აქ მუშაობა სანამ ვალს არ დაფარავს ან რომელიმე კეთილი ქარგალი მის მაგიერ ფულს არ გადაიხდის; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სახელი აღნუსხული იქნება და ყოველ კრებაზე საჯაროთ გამოცხადებული, ძმათა კავშირის წევრთა წინაშე".

„მოლარენი ქარგალთა კრებას აბარებენ ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ: თანახმად ფიცისა, მათ არა აქვთ უფლება გამოიტანონ სალაროდან ერთ შილინგზე მეტი. მოლარენი ფიცს სდებენ აგრეთვე, რომ სამართლიანად მოკრეფენ გადასახადს, თანასწორად ყველა ძმისაგან. უფლის სხეულის ყოველ დღესასწაულს წირვა უნდა იმართებოდეს ძმებისა და დებისათვის, რათა ილოცონ როგორც გარდაცვლებულთა, ისე ცოცხალთათვის. ხოლო რომელიმე ძმა თუ ავად გახდა, რისგანაც ღმერთმა დაგვიფაროს, და ჰოსპიტალში მოხვდა, მას ძმათა სალაროდან ყოველდღიურად თითო ფენიგი უნდა ეძლიოს. თუ რომელიმე ქარგალი გარდაიცვალა — ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან, — და ეს მოხდა ოსტატის სახლში ან სხვა ადგილას და არა ჰოსპიტალში, მოლარეებმა ყველა ქარგალს 2 ფენიგის ჯარიმის დამოქრებით უნდა მოსთხოვონ, რომ გარდაცვალებულის გვამი საფლავამდე მიაცილონ“.

„ყველა უცოლო სელის მქსოველმა ქარგალმა ამიერიდან ძმათა კავშირში უნდა იმსახუროს“.

ამგვარათ, ძმათა კავშირები არსებითად ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო საექიმო და დასაფლავების სალაროებს წარმოადგენდენ.

ამქრებისა და ქალაქის ხელისუფლებისათვის ძმათა კავშირები თვალში ჩავარდნილი ჩხირი იყო. მაგრამ მათი საეკლესიო ხასიათი უხერხულად ხდიდა მათს აკრძალვას. მეორეს მხრით, რაც უფრო იზრდებოდა ქარგალთა რიცხვი და მატულობდა ავადმყოფობისა და სიკვდილის შემთხვევისთვის დაზღვევის მნიშვნელობა, მით უფრო საჭირო ხდებოდა ძმათა კავშირები. ამქრის სალაროები მეტის მეტად დაიტვირთებოდა, დაზღვევის საქმე მათ რომ დაკისრებოდა. ამის გამო ბრძოლა ძმათა კავშირების წინააღმდეგ ასეთ ფორმას იღებდა: ცდილობდენ განესაზღვრათ მათი მოქმედება უბრალო ურთიერთ დახმარების ფარგლებით და დაექვემდებარებიათ ისინი ამქრებისა და ქალაქის ხელისუფლების კონტროლისათვის.

ძმათა კავშირების გვერდით ეთანარდებოდა ს ა მ ი კ ი ტ ნ ო ე ბ თ ა ნ დ ა ა რ ს ე ბ უ ლ ი ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ნ ი. ამ დაწესებულების მაგალითი ქარგლებმა ოსტატებისაგან აიღეს. ყოველ ამქარს თავისი ს ა მ ი კ ი ტ ნ ო ჰქონდა. „ამ ს ა მ ი კ ი ტ ნ ო ე ბ შ ი მზადდებოდა ამქრების ბრძოლა პატრიციების წინააღმდეგ; ს ა მ ი კ ი ტ ნ ო დემოკრატიული აგიტაციის კერა იყო“. ქარგლები თავდაპირველად ოსტატებთან ერთად სვამდენ საერთო სამიკიტნოებში. მაგრამ რაც უფრო მწვავდებოდა წინააღმდეგობა მათ შორის, რაც უფრო მატულობდა ოსტატების ზეიადობა ქარგალთა მიმართ, მით უფრო იმიჯნებოდენ ქარგლებიც ნებით თუ იძულებით და საკუთარ სამიკიტნოებს

აწყობდენ. ქარგლების სამიკიტნოებმა ისეთივე როლის თამაშობა დაიწყეს ამქრების მიმართ, როგორიც ამქრის სამიკიტნოებმა ითამაშეს პატრიციებთან ბრძოლაში. საკვირველიც არ არის, რომ საშუალო საუკუნეების მიწურულში გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა ქალაქებში სამიკიტნოების გარშემო. ქალაქის ხელისუფლება ცდილობდა სულ მიეკეტა ისინი. ხანდახან, — იქ, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა ანტაგონიზმი ამქრებსა და ქალაქის მმართველთა შორის და ქალაქის საბჭოს ჯერ პატრიციული ხასიათი შერჩენოდა, — იკრძალებოდა ხელოსან ოსტატების სამიკიტნოებიც, ხშირათ, ყველასი კი არა, არამედ მხოლოდ იმ ხელობების, რომლებიც ამქრებში შედიოდენ. ხოლო ქარგალთა სამიკიტნოების დევნას XIV და XV საუკუნ. ჩვენ ვხვდებით ყველგან. კელავ და კელავ მეორდებოდა ხელოსან ქარგალთა სამიკიტნოების აკრძალვა.

ჩვენ მიერ რამოდენიმეჯერ ნახსენებ შმოლერისა და ბიუხერის შრომებში ხშირათ ვხვდებით შენიშვნებს სამიკიტნოების დევნის შესახებ სტრასბურგში, ფრანკფურტში და სხვა ქალაქებში. „მაინცში, ვორმსში, შპეიერში და ფრანკფურტში 1421 წელს სცადეს აეკრძალათ ქარგლებისათვის სამიკიტნოების მოწყობა და იძულებით ჩამოერთვათ მათგან ფიცი, რომ ქარგალთა კრებებს მხოლოდ საეკლესიო მიზნები ექნება; კონსტანცაში 1390 და 1423 წ.წ. ქარგლების ყოველგვარ ორგანიზაციებს დევნიდენ; იგივე ხდებოდა ყველა სხვა ქალაქშიაც. ამ დევნის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს სტრასბურგის წესდება ქარგალთა შესახებ (1465 წ.). წესდება შედგენილი იყო სხვადასხვა ქალაქებს შორის მოლაპარაკების შემდეგ და გამოქვეყნდა არა მარტო სტრასბურგში, არამედ საერთო ხელშეკრულებით დაკავშირებულ სხვა ქალაქებშიაც. სტრასბურგის წესდებას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღო ბოლო არეულობისათვის“.

„წესდება მოჯამაგირეთა შესახებ“, — ეს „კანონი სოციალისტების წინააღმდეგ“, — რომელიც ჩვენს წინაპრებს 400 წლის წინეთ გაუტარებიათ ცხოვრებაში, ღირსია იმის, რომ აქ უცვლელათ მოვიყვანოთ მისი არსებითი ნაწილები. წესდებაში ნათქვამია:

„მთისა და ბარის ქალაქებიდან წარმოგზავნილი მოციქულნი, რომელნიც სტრასბურგში შეიკრიბენ იუბილიატის (მესამე კვირა აღდგომის შემდეგ) კვირა-ორშაბათს ხელოსან ქარგალთა და სხვა მოჯამაგირეების შესახებ მოსალაპარაკებლათ, ასეთს აზრს დაადგენ და შემდეგის შესახებ შეთანხმდენ:

„პირველად ყოვლისა, ხელოსანი ოსტატები და ქარგლები არ უნდა აღგენდენ კავშირებს, გაერთიანებებსა და შეთანხმებებს, არ უნდა

აწყობდენ საზოგადოებებს და აწესებდენ მცნებებსა და რაიძეს აკრძალვას იმ ქალაქის საბჭოსა და ოსტატთა ნებადაურთველად, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ.

„შემდეგ, ყველა მოჯამაგირემ, ვისაც არ უნდა ემსახურებოდენ ისინი — რაინდებს, მოსამსახურეებს თუ მოქალაქეებს, — აგრეთვე ქალაქში მოსამსახურე ყველა ხელოსანმა ქარგალმა უნდა აღთქვას და ფიცი დასდოს, რომ ბურგომისტრს, ქალაქის საბჭოს და მის სასამართლოს დაემორჩილებიან და სხვა რომელიმე ადგილას საგვარეულოს ძიებას არ მიმართავენ.

„ხელოსანმა ქარგლებმა არ უნდა დაუშალონ ამიერიდან თავისი ხელობის ოსტატებს ამა თუ იმ ქარგლის დაქირავება და არ უნდა აუკრძალონ ქარგლებს ამა თუ იმ სამუშაოვრის აღება". თანამედროვე ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, ეს ჩმას ნიშნავს, რომ აკრძალულია გაფიცვა, ოსტატის უპატიოსნოთ გამოცხადება ან ბოიკოტი, შტრეიკბრეხერების (ე. ი. იმ ქარგლების, რომელნიც სამუშაოდ ჩადგებიან წინააღმდეგ ამხანაგთა დადგენილებისა გაფიცვის გაგრძელების შესახებ) გაკიცხვა. იგივე პარაგრაფი შემდეგ მოითხოვს, რომ ქარგალმა ქალაქის ოსტატებს მოახსენოს ოსტატთან ან სხვა ქარგლებთან მისი უთანხმოების შესახებ და მათს (ოსტატების) განაჩენს დაემორჩილოს, თუ ეს საქმე ქალაქის საბჭოს არ ეკვემდებარება. ყოველმა ოსტატმა, რომელიც ქარგალს ქირაობს, უკანასკნელი ამქრის მამასახლისს უნდა წარუყენოს, მამასახლისმა კი ფიცი უნდა მიიღოს ქარგლისაგან, რომ ის ყოველთვის ოსტატთა სასამართლოს დაემორჩილება. ამის შემდეგ ახალი ქარგლის სახელი შეტანილი იქნება საგანგებო დავთარში. ოსტატი, რომელიც არ წარუყენებს ამქარს თავის ქარგალს დანიშნულ ვადაში, ხუთ შილინგს გადაიხდის ჯარიმათ ყოველ დაყოვნებულ დღისათვის. პოლიციური ზედამხედველობის საუკეთოვო ჩანასახია!

შემდეგს პარაგრაფში ხელოსან ქარგლებსა და მოსამსახურეებს ეკრძალებათ დანების ტარება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ისინი ქალაქ გარეთ მოგზაურობენ.

„ხოლო თუ ვინცობაა რომელიმე მოჯამაგირე დაარღვევს ამ დადგენილებების, პუნქტებს და მუხლებს და არ მოისურვებს მათ შესრულებას, არც ერთმა ამ ოლქის ოსტატმა არ უნდა მიიღოს ის ქარგლად, არც შეუშვას თავის სახლში ან ეზოში იმის შემდეგ, რაც ამის შესახებ გამოცხადებული იქნება; ხოლო ის ოსტატი, რომელიც ამ დადგენილებას დაარღვევს, ოთხი გულდენით იქნება დაჯარიმებული". ჯარიმის ნახევარი ეძლევა საბჭოს და მეორე ნახევარი ამქარს.

არც ერთ მოკავშირე ქალაქს არ შეუძლია შეიცვალოს ეს წესდება დანარჩენთა თანხმობის გარეშე.

არც ერთმა მოჯამაგირემ და არც ერთმა პირმა, რომელიც სტრასბურგის მოქალაქე არ არის, „არ უნდა იაროს ღამ-ღამობით საიდუმლო გზებით ჩვენს ქალაქში". აღდგომიდან მიხეილის დღემდე საღამოს 10 საათის შემდეგ და მიხეილის დღიდან აღდგომამდე 9 საათის შემდეგ მათ არ შეუძლიათ ქუჩაში დარჩენა, იმ შემთხვევის გარდა, როცა მათ ბატონი ან ოსტატი გზავნის. ამ დადგენილების დარღვევისათვის ინიშნება ოცდაათი შილინგი ჯარიმა ან ოთხი კვირით ციხეში ჯდომა, პურისა და წყლის ანაბრათ.

აღნიშნულ საათის შემდეგ მოჯამაგირეებს და ქარგლებს უფლება არა აქვთ თავი მოიყარონ სამიკიტნოებში ან ბაღებში; ეს ისჯება ისეთივე ჯარიმით, როგორიც ზემოთ იყო აღნიშნული.

სამიკიტნოს პატრონებმა არ უნდა გააღონ თავისი დარბაზები და არ უნდა შეუშვან შიგ მოჯამაგირენი ხსენებული დროის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში 5 გირვანქა ჯარიმას გადაიხდიან. „მაგრამ ეს არ შეეხება ბატონებს, პაჟებს, ვაჭრებსა და პილიგრიმებს, რადგან ისინი პატიოსანი და ღირსეული პირნი ბრძანდებიან".

„ხოლო თუ რომელიმე მოჯამაგირე გაკადნიერდება და არ მოისურვებს აქ დადგენილის შესრულებას, მას არ ექნება უფლება იმსახუროს როდისმე სტრასბურგში ოსტატთა და საბჭოს ნებადაურთველად".

გარდა ამისა წესდება მოჯამაგირეთა შესახებ კიდევ ოთხ შემდეგ მუხლს შეიცავს:

1) „არც ერთს ხელოსან ქარგალს და სამსახურში მყოფ მოჯამაგირეს არ უნდა ჰქონდეს ამიერიდან სასასმელო ოთახი ან ქირად აღებული სახლი და ბაღი, აგრეთვე არავითარი კავშირი, რომელშიაც კრების გამართვა შეიძლებოდეს, თუ ეს წესიერად არ ხდება და რაიმე მხრით საშიშროებას წარმოადგენს. 2) მათ შეუძლიათ შეიკრიბონ დიდი მარხვის შემდეგ მეორე კვირა-დღეს სანთლების შეძენის საქმეზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ არ უნდა შეიყარონ ა მ ქ რ ი ს ო ს ტ ა ტ ი ს ა თ ვ ი ს (ამქრის მამასახლისისათვის) წინასწარ შეუტყობინებლად; ამავე მამასახლისმა უნდა დანიშნოს და კრებაზე გაგზავნოს დასასწრებლად ერთი ან ორი ოსტატი იმ ხელობისა, რომელშიაც ხსენებული ქარგლები მსახურობენ. 3) დასაფლავებაც ქარგლებმა დღესასწაულებში უნდა მოახდინონ, და არა სამუშაო დღეებში. 4) მხოლოდ სამ ქარგალს ან მოჯამაგირეს შეუძლიათ დაუსჯე-

ლად ატარონ ერთნაირი ქუდები, სერთუკები, შარვლები და ტანსაცმელის სხვა ნიშანდობლივი კუთვნილება".

ამგვარად, სასასმელო ოთახები და თავმოყრის სხვა საშუალებები სასტიკათ აკრძალული იყო ქარგლებისათვის. ნებადაურთული ჰქონდათ მხოლოდ საეკლესიო კავშირები (რა თქმა უნდა, არა მარტო სანთლების შეძენისათვის მოსალაპარაკებლად", არამედ საზოგადოდ ურთიერთ დახმარების მოსაწესრიგებლათაც), მაგრამ ასეთი კავშირებიც ოსტატთა კონტროლის ქვეშ იყო დაყენებული.

მაგრამ ჩვენ მიერ მოყვანილი ოთხი უკანასკნელი დადგენილება გამორიცხულია 1473 წლის წესდებიდან მოჯამაგირეთა შესახებ, დანარჩენი ნაწილი კი იგივე დარჩა, რაც 1465 წ. წესდებაში იყო. ჩვენ აქ მოვიყვანეთ 1551 წლის მაუდის მქსოველთა წიგნში დაცული 1473 წლის რედაქცია.

ამრიგად, უკვე რვა წლის შემდეგ საჭირო გამხდარა „სოციალისტთა წინააღმდეგი კანონის" დრაკონისებურ დადგენილებათა გაუქმება; ამის მზგავსი სხვა დადგენილებებიც გაუქმდა.

ასე, მოხდა ყველგან. ფრანკფურტში 1400 წლის შემდეგ ქალაქის საბჭომ დღიურ მუშებს და ქარგლებს აუკრძალა თავისი სამიკიტნოების გახსნა. დიდი ჯარიმით, — ერთი გულდენით დღეში, — ემუქრებოდა საბჭო იმათ, ვინც აკრძალვის მიუხედავად, სამიკიტნოთ დასთმობდა ოთახს ან სახლს. ამ სასტიკი დადგენილების ბოლოში კი აღნუსხულია მას შემდეგ ნებადართული თერთმეტი სამიკიტნო, ამათ შორის, ქარგალ-მებაღეებისა და ქარგლებისა საზოგადოდ.

მართლაც, აკრძალვა უნაყოფო შეიქნა; მე-XV საუკუნეში ქარგლებს ყველგან იერიში მიაქვთ ამ დადგენილებებზე და მალე გააუქმეს კიდეც ისინი. აღნიშნულ საუკუნის დამლევში ქარგლებმა, უეჭველია, საპატიო ადგილი დაიჭირეს და მათმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. მაგრამ რომ გავითვალისწინოთ, თუ როგორი ბრძოლით მოიპოვეს მათ ეს გამარჯვება, ჩვენ სულ სხვანაირად წარმოგვიდგება ამქრების ხასიათი საშუალოსაუკუნეების მიწურულში, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ამ ბრძოლით მოპოებულ უფლებებს შევხედავთ, როგორც საშუალო საუკუნეების „სულიდან" აღმოცენებულს და მთელი საშუალო საუკუნეთა ეპოქის დამახასიათებელ მდგომარეობას. მაგრამ სწორედ ასე იქცევა კულტურის ისტორიკოსთა უმრავლესობა; იმას, რაც გარკვეულ პერიოდის ბოლოში მოხდა, როგორც ხანგრძლივი და წვავე ბრძოლის შედეგი, ისინი ხატავენ, როგორც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უცვლელად არსებულ მდგომარეობას.

ქარგალთა ორგანიზაციის მოსპობის ყოველი ცდა რომ დამარ-ცხდა, ამისი მიზეზი უპირველესად ყოვლისა ის იყო, რომ ქარგლობა აუცილებელი იყო და მისი მნიშვნელობა ქალაქის წარმოებისათვის მუდამ დღე იზრდებოდა. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ქალაქთა უმრავლესობისათვის ხელოსნური მრეწველობა მთავარ საარსებო წყაროს წარმოადგენდა: თვით ამ მრეწველობაში ქარგლები ოსტატებთან შედარებით რიცხვითაც და მნიშვნელობითაც ფრიად ანგარიშგასაწევ ძალას შეადგენდენ. ქალაქის წარმატება სულ უფრო დაქირავებულ ხელოსან მუშებზე იყო დამოკიდებული. მუშაობას რომ თავს დაანებებდენ და წავიდოდენ, ხელობას დაღუპვა დაემუქრებოდა და ქალაქს — მძიმე ზარალი. თან პირობებიც ხელს უწყობდა ქარგალთა შეკავშირებას. ქალაქები ჯერ დიდი არ იყო. ფრანკფურტის მოსახლეობას 1440 წლისათვის ბიუხერი 8.000 კაცათ ანგარიშობს, ნიურენბერგის მოსახლეობა 1449 წ. 20.000 კაცს შეადგენდა. ქარგალთა რიცხვი კი მთელი მოსახლეობის 10%-ზე მეტი არ იქნებოდა.

ბუნებრიეია, რომ ასეთ მცირე მოსახლეობიან ქალაქში ყოველი ხელობის ქარგალი პირადათ იცნობდა თავის ამხანაგებს. მათი ურთიერთ დაახლოება მით უფრო ადვილი იყო, რომ ერთი რომელიმე ხელობის წევრნი ერთსა და იმავე ქუჩაზე ესახლენ; ქუჩა ხელობისაგან იღებდა სახელს და ზოგიერთ შემთხვევაში დღემდისაც ამ სახელს ატარებს. შემდეგ, მეთუთხმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეში ჯერ არ არსებობდა ის მშვენიერი ეხლანდელი ჩვეულება, რომ მუშებს, კატორღელებსავით, გარეშე ქვეყნისაგან ღობავენ გამურული ან ბადით დახურული ფანჯრებით. იმ დროს მუშაობა უყვარდათ ქუჩაში, სახლის წინ ან, ყოველ შემთხვევაში, ღია კარითა და ფანჯრებით, რამდენადაც კლიმატიური პირობები ამის საშუალებას იძლეოდა. საჭირო არ იყო არც პრესსა და არც კრება იმისათვის, რომ საერთო მოქმედებაზე შეთანხმებულიყვნენ. და ვაი იმას, ვინც სოლიდარობას დაარღვევდა და კერძოთ იმოქმედებდა! სიცოცხლეს გაუმწარებდენ. თვითეული მუშა უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ამხანაგებთან არა მარტო მუშაობაში, არამედ ყოველდღიურ ურთიერთობაშიაც.

მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ქარგლებს უფრო მოძრავად ხდიდა, მძიმე ოსტატებთან შედარებით, და მჭიდრო კავშირს აბამდა სხვადასხვა ქალაქის ქარგალთა სოლიდარულ ამხანაგობებს შორის. ისეთი გაფიცვები იცოდენ მაშინ, რომ გაფიცულებს ვერავინ ვერ შეინაცვლებდა! ამის შესახებ შმოლლერი სჩივის: „ის ფაქტი, რომ უმრავლესობა არ იყო დაკავშირებული ამა თუ იმ ქალაქთან მკვიდრი სახლობით, ცუდ გავლენას ახდენდა ქარგალთა მორალურსა (!) და საქმიან ყოფა-ქცევაზე;

ეს იწვევდა ფუქსავატობას, უპასუხისმგებლობის გრძნობას, დიდ-გელობას და თავისი უპირატესობის შეგნებას ოსტატთა მიმართ. ოსტატები ერთ ადგილზე იყვნენ დაბმულნი; იქაც კი, სადაც უმთავრეს ამქრებს შორის კავშირი არსებობდა. ისინი დიდი გაჭირვებით და დაგვიანებით ახერხებდენ სხვა ქალაქის კოლეგებთან შეთანხმებას. ქარგლებს კი მუდამ ჰქონდათ კავშირი და ყოველის მხრიდან ცნობების მიღების შესაძლებლობა; ისინი არ გრძნობდენ თავს იმ ქალაქის მოქალაქეებად, რომელშიც მუშაობდენ; წლობით ნამოგზაურთ, ძრიფერი არ დაუშლიდა, რომ ზურგზე თავისი გუდა-ნაბადი წამოეკიდათ და ხელში სამოგზაურო ჯოხი აეღოთ. ფლეიტების და ბუკის ძახილით გამოდიოდენ შეტაკების დროს, უსაქმოთ დაბინავდებოდენ მეზობელ ქალაქში და თუ მოწინააღმდეგე ზავის ჩამოგდებას მოისურვებდა, მოითხოვდენ: ქეიფებზე გაწეული ხარჯიც გაისტუმრეთ ამ ქალაქშიო.

უფრო მჭიდრო დამოკიდებულება და უფრო ძლიერი კორპორაციული სული საშუალებას აძლევდა მათ არ დაეშვათ მეტოქენი მუშაობაზე და ხშირათ გამარჯვებული გამოდიოდენ ბრძოლიდან".

ქარგლებს მით უფრო დამოუკიდებლათ შეეძლოთ დაეჭირათ თავი, რომ ისინი იშვიათათ იყვნენ დატვირთული ცოლ-შვილით. ცოლ-შვილიანი ქარგალი გამონაკლისი იყო, მრავალ ხელობაში კი ასეთი სრულებით არ ერია. ისინი ხომ ოსტატის „ოჯახს" ეკუთვნოდენ; ოსტატი კი ფიქრობდა, რომ თუ ქარგალს დაცოლშვილებას დაუშლიდა და თავის სახლში დაამკვიდრებდა, ის გაცილებით უფრო ადვილათ დაუმორჩილებდა მას თავის „მამაშვილურ" დარიგებას, ამხანაგებს ჩამოაშორებდა, ნამდვილ ხელმძღვანელობას გაუწევდა და უფრო იოლად შესძლებდა მისი შრომის მითვისებას საკმელ-სასმელის გაუარესებით (შედარებით) და ათასნაირი შევიწროებით. ესეც რომ არ იყოს, ცოლიანი ქარგალი უფრო მოწადინებული იქნებოდა დამოუკიდებლობის მოპოებას თუ კანონიერი საშუალებით არა როგორც ამქრის ოსტატი, ყოველ შემთხვევაში უკანონოთ როგორც სოფლის ან გარეუბნის „მჩიჩქნელი" ან Störer-ი (მოხეტიალე ხელოსანი).

მაგრამ სწორეთ ამ უცოლშვილობამ მისცა მათ არა ჩვეულებრივი წინააღმდეგობის უნარი. უცოლშვილობამ, ალბათ, გაცილებით მეტად, ვიდრე მოგზაურობამ, ხელი შეუწყო ქარგლებში იმ თვისებათა და უპირატესობის გამომუშავებას, რომლებიც შმოლერმა დაგვიხატა ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში: სიმტკიცის, უდარდელობის და საკუთარი ძალის შეგნების.

რამდენად უფრო მძიმეა თანამედროვე პროლეტარის ბრძოლის პირობები! ყოველ გაფიცვაში, ყოველ არჩევნებში, მუდამ, როდესაც

ის პირადათ იცავს თავის საქმეს, ცოლშვილზე ვრცელდება მისი მოქმედების შედეგი. პატარა ქალაქებში, სადაც მუშებს ადვილათ შეუძლიათ ერთმანეთთან შეთანხმება გაზეთების დაუხმარებლად, ოჯახური მოსაზრებები აიძულებს მათ კაპიტალისტისადმი დამორჩილებას. დიდ ქალაქებში კი, პირიქით, მუშები ერთმანეთს არ იცნობენ; შეთანხმებისთვის საჭიროა გაზეთები, დიდი კრებები და კავშირები. წმინდა პირადი მოლაპარაკება უკვე არ კმარა ისეთი ერთობისა და სოლიდარობის შესაქმნელად, რომელიც მძლავრ და გაერთიანებულ კაპიტალთან ბრძოლაში გაცილებით უფრო საჭიროა, ვინემ წვრილი ხელოსან ოსტატთა წინააღმდეგ. გასაგებია ამიტომ, რომ ამჟამათ მუშათა ეკონომიური ბრძოლა სულ უფრო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ბრძოლათ იქცევა; გასაგებია რომ თავისუფლება მათთვის ლუკმა პურის საკითხია; რომ პოლიტიკურ უფლებების წართმევა მათთვის პურის წართმევას უდრის, და რომ გარემოება მათ ყველგან ა ი ძ უ ლ ე ბ ს გააფართოვონ ხელფასისა და სამუშაო დროის შემცირებისათვის ბრძოლის ფარგლები პოლიტიკურ ძ ა ლ ა-უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლამდე.

წინააღმდეგ ამისა ქარგალთა მოძრაობა საშუალო საუკუნეების დამლევს და ახალი დროის შესამჩნევი ნაწილის განმავლობაში არ იჩენდა პოლიტიკურ ტენდენციებს, როგორც თავის დამახასიათებელ თვისებას. ეყრდნობოდენ რა მხოლოდ თავის პროფესიონალ ორგანიზაციებს, ქარგლები ისეთ წარმატებას აღწევდენ და ისეთ მდგომარეობას იჭერდენ საზოგადოებაში, როგორც ახლა მხოლოდ ზოგიერთ მუშათა ორგანიზაციას თუ შეუძლია მოიპოვოს, ისიც განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში და მხოლოდ მცირე ხნით, თუმცა ფართო პოლიტიკური უფლებებით კი არიან აღჭურვილნი. თავის თავად ცხადია, რომ ქარგლებს ყველა ხელობაში ერთნაირად ხელსაყრელი პირობები არ ჰქონდათ. მათი ორგანიზაციები ერთმანეთისაგან განირჩეოდენ სიმდიდრით და გავლენიანობით. იმ ქარგალთა მრავალრიცხოვან ფენებს, რომელთა შენაცვლება გაფიცვის დროს ადვილი საქმე იყო, არ შეეძლოთ პროფესიონალ ორგანიზაციების შექმნა, ისინი სავსებით ექსპლოატატორთა ნება-სურვილზე იყვნენ დამოკიდებულნი. უკვალიფიკაციო მუშათა მიმართ ქარგლებს არ გამოუჩენიათ არც ის „კორპორატიული სული“ და არც ის „მოყვასისადმი სიყვარულის იდეა“, რომლითაც, როგორც გვარწმუნებენ, გამსჭვალული იყო საშუალო საუკუნეების საზოგადოებრივი წესწყობილება.

ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ მე-XIII და მე-XIV საუკუნეებში შექმნილი კავშირები შემდეგ ისევ იშლებოდენ. ასე დაემართა უბრა-

ლო დღიურ მუშათა კავშირებს; სოფლიდან შემოხვეწილი ამქრის გარეშე კონკურენტები ადვილად შლიდენ ამ კავშირებს. საფიქრებელია, რომ ამ მოვლენას რამდენიმედ ქალაქებში მიწად-მოქმედების დაცემა იწვევდა, მაგრამ იღუპებოდა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო მოჯამაგირეთა კავშირები. მაგალითად, ხუროებს, მეღვინეებსა და ტვირთის მზიდველთ ფრანკფურტში ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში (1387 წ.) ჰქონდათ თავისი ამქრები. მაგრამ მათ გვერდით ჩვენ უკვე დღიურ მუშებსაც ვხედავთ: 16 მეღვინე-ქარგალს, 4 ტვირთის მზიდველს, 10 მხერხავს და 6 ხუროს. 1440 წ. ამქრის ხუროქარგლები უკვე აღარ არსებობენ, მეღვინე-ქარგალთა ორგანიზაცია მე-XV საუკუნეში სულს ღაფავს, ხოლო ტვირთ-მზიდველთა ორგანიზაციამ მე-XVI საუკუნის პირველ ნახევრამდე ძლივს მოატანა; ამქრის გარეშე ელემენტები კი, პირიქით, სულ მატულობდა.

ქალაქის შეუკავშირებელ პროლეტარების მდგომარეობა თანდათან სულ უარესი ხდებოდა შეკავშირებულ ქარგალთა მდგომარეობასთან შედარებით, და ხშირათ — აბსოლიუტურადაც. უუსკრული შეკავშირებულ და შეუკავშირებელ მუშებს შორის დღითი-დღე ღრმავდებოდა.

(კ. კაუცკი — უახლესი სოციალიზმის წინამორბედნი).

§ 10. მანქანა ხელოსნებისათვის ხელმიუწვდომელია

დაკვირვება გვიდასტურებს, რომ ხელოსანთა მატერიალური ქონებისა და წარმოების ოდენობა, საერთოდ რომ ითქვას, საკმარისი ვერ არის იმისათვის, რომ სამანქანო ტეხნიკის ხმარების სათანადო მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. ჩვეულებრივად ისე ხდება, რომ მანქანების შესაძენად გაღებული ხარჯები ფრიად დიდია, ან საჭიროა სახელოსნო ორგანიზაციის ფარგლების მნიშვნელოვანად გაფართოება, რომ შესაძლებელი იქნეს ყველა სამუშაო მანქანის გამოყენება: ან ბაზარი ისე ვიწროა, რომ მანქანათა სისტემის სრული უტილიზაცია შეუძლებელია, ან ყველა ეს სამი დაბრკოლება (ეს, რასაკვირველია, უფრო ხშირია) ერთად თავს იყრის და ხელოსნის სახელოსნოში სამანქანო ხერხთა შემოღებას ხელს უშლის. მეორე მხრით, როდესაც რაციონალურად მიიჩნევენ ხოლმე ხელოსნურ წარმოებაში ერთის, ან რამდენსამე ნაწილობრივი მანქანის შემოღებას, მანქანის ხმარების მიერ შექმნილი უპირატესობანი ჩვეულებრივად იმდენად მცირეა, რომ საკონკურენციო ბრძოლაში რაიმე არსებითი როლის თამაში არ შეუძლიათ (ხორცის საჭრელი მანქანა, ცომის საზელი მანქანა). მაგრამ

თუ სამუშაო მანქანების ხელმომჭირნეთ გამოყენება მიუღწეველი რამაა, ცხადია, ვერც საუკეთესო მოტორი უშველის რასმე ხელოსანს. რამდენიმე რიცხვობრივი ცნობა ნათქვამის ცხადყოფას ხელს შეუწყობს.

წიგნთა მკინძაობა იმისთანა საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიაც ჯერ კიდევ შესაძლებელია საკმაოდ იაფად სამუშაო მანქანათა სრული ასორტიმენტის შეძენა. ვთქვათ, წარმოებაში ასე თუ ისე უკვე ერთგვარი სპეციალიზაცია მომხდარა: მაგალითად, მას გამოუყოფია საკანტორო წიგნების დამზადების საქმე. ყოველ შემთხვევაში, წიგნთა მკაზმავს დასჭირდება ჩამოსაპრელი მანქანა, დამკეცავი მანქანა და ნუმრის დამსმელი მანქანა, რომელთა შეძენა რამდენიმე ათას მარკად დაჯდება. ერთ-ერთ ადგილობრივს, ჩემი ნაცნობის ამკინძველის სახელოსნოში ზემოხსენებულ სამ მანქანაზე, რომლებსაც ხელით ან ფეხით ატრიალებენ, უკვე 12-15 მუშა მუშაობს, მათ შორის 2-3 ქალია. მიუხედავად ამისა, მესაკუთრე სჩივის: მანქანებს ჯეროვანად ვერ ვამუშავებთ და ვიყენებთო. რათა შესაძლებელი გახდეს მანქანათა სრულად გამოყენება (განსაკუთრებით, როდესაც მექანიკურ მამოძრავებელს ხმარობენ), საჭიროა წარმოების ფარგლების კიდევ უფრო მეტად გაფართოება. ნამდვილად კი, თუ ზემოხსენებულ მაგალითებს გავიხსენებთ, ჩვენს წინაშეა უკვე არა ხელოსნური წარმოება, არამედ წვრილ-კაპიტალისტური საწარმო.

სავარცხლების ფაბრიკაციაში საწარმოს აღჭურვას ყველა აუცილებელი სამუშაო მანქანებით — დაახლოებით 7000 მარკის დახარჯვა სჭირდება, ხოლო ყველა ამ მანქანათა სრულიად გამოყენებას — 7-9 კაცი მაინც დასჭირდება.

გაზომოტორებისა და ელექტრომოტორების ხმარების განხილვა მოწმობს, რომ სამრეწველო წარმოების მიზნით პატარა მოტორები იხმარება ყველაზე უფრო მეტად — იმ მანქანათა ასამუშავებლად, რომლითაც ხის ან ლითონის მასალას ამუშავებენ. მაშასადამე, იხმარება: დურგლობასა, მეკასრეობასა, ურმებისა და საზეინკლო, საჭედლო და სათუნუქო წარმოებაში. მაგრამ ამ დარგებშიაც კი, სადაც ხელოსნობას ყველაზე მეტი შანსი აქვს თანამედროვე სამანქანო ტექნიკის შეთვისებისათვის, — სინამდვილე საკითხს მის სასარგებლოდ როდი სწყვეტს. მიუნხენის სადურგლო დარგზე ჩვენ ვკითხულობთ: შედეგი ყოველთვის ერთი და იგივეა — წვრილს დურგალს ფრიად და ფრიად უმნიშვნელო შესაძლებლობა აქვს თავისი მანქანების გამოყენებისაო. კარლსრუედან მოწერილი ამბების ძალიან ფრთხილი ავტორი ჰფიქრობს: წვრილ წარმოებაში სამუშაო მანქანების შემოღება

აბსოლიუტურად უვარგისია... მანქანათა მხოლოდ მნიშვნელოვანი ასორტიმენტის დროს თუ იქნება შესაძლებელი მექანიკური მამოძრავებელით მათი ამუშავების ანაზღაურება. მაგრამ მეორე მხრით საამისოდ საჭიროა უფრო დიდი მოტორი და ამ უკანასკნელისათვის კიდევ — საკმაო სამუშაო. იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სადურგლო წარმოების მინიმალური ოდენობა, რომ შესაძლებელი გახდეს მასში ყოველგვარი სამანქანო ხელსაწყოს შემოღება, — აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. არტურ კ ო პ ე ნ ი ს ცნობების მიხედვით, სახელოსნოს, რომელიც დაკმაყოფილდება მხოლოდ სავსებით აუცილებელი სამანქანო ხელსაწყოებით (მრგვალი ხერხი, რტყელა ხერხი, ორი სარანდავი მანქანა, მღარღვი მანქანა, მბურღავი მანქანა). მანქანების მოუცდენლად ასამუშავებლად მშენებელ-სადურგლო სახელოსნოში დასჭირდება 20 მუშა, ხოლო სადგამო-სადურგლოში — 70-იც კი. ვთქვათ, ეს ციფრები გაზვიადებულია. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უეჭველი ხდება: სადურგლო საქმეშიაც კი სამუშაო მანქანათა მთელი სისტემის ხელმომჭირნედ გამოყენება — შესაძლებელია მხოლოდ ისეთს წარმოებებში, რომელნიც თავისი სიდიდით ფრიად აღემატებიან ხელოსნურ წარმოებებს.

იმ გარემოებას, რომ ხელოსნისათვის შეუძლებელი საქმეა საკუთარი სახელოსნოს აღჭურვა აუცილებლად საჭირო მანქანებით, — მოჰყვა გაჩენა ისეთი სადურგლო სახელოსნოებისა, რომელნიც მანქანათა გაქირავებით ბოგინობენ. ეს ისეთი საწარმოებია, სადაც ყოველ ხელოსანს შეუძლია განსაზღვრული ფასის გადახდით ისარგებლოს სადურგლო მანქანათა მთელი სისტემით. იმის თაობაზე, თუ რამდენად გაამართლეს ამისთანა სახელოსნოებმა მათზე დამყარებული იმედები, სხვადასხვა აზრი არსებობს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: მწარმოებელ-, რომელიც იძულებულია ხის მასალის დასამუშავებლად სხვისი საწარმოთი ისარგებლოს, უფრო უხეირო მდგომარეობაშია იმ კონკურენტთან შედარებით, რომელიც მანქანებით სარგებლობს თავის საკუთარ-საც საწარმოში.

ვერც მეთუნუქეობა ასცდა ზოგადი კანონის ზეგავლენას. „მანქანები, რომლებშიაც დიდძალი ფულია ჩაყრილი, თავის ხარჯს ვერ ანაზღაურებს“, — ეს დებულება ხელოსნური წარმოებისათვის ამ შემთხვევაშიაც მართალია და ძალაში რჩება. გასული საუკუნის 50 წლების ნახევრიდან, ზალცვეველის სათუნუქო წარმოებაში ნელ-ნელა შემოდის პატარა-პატარა, ხელით ასამოძრავებელი მანქანები. ამჟამად ქალაქელ ოსტატებს და აგრეთვე სოფლელ ოსტატთა უმრავლესობას სამ-სამი და ოთხ-ოთხი მარტივი მანქანა მაინც მოეპოებათ; თანახმად

პროფესორ რ ე ლ ი ს აზრისა, ყოველ სახელოსნოს ზემოხსენებული მანქანების დახმარებით, მუშა-ხელის რიცხვის შეუცველელად, — 5-6 ჯერ უფრო მეტი ხელით სამუშაოს შესრულება შეუძლია, ვიდრე წინად შეეძლო, მას რომ იმდენი მუშა ჰყავდეს, რომ მანქანებით რეგულიარულად სარგებლობა შესაძლებელი იყოს.

გავიხსენოთ ყველა ეს აზრები, ერთმანეთს საოცრად რომ ეთანხმება, მიუხედავათ იმისა, რომ სრულიად სხვადასხვა პირებს ეკუთვნის. მე მგონია, მის შემდეგ ეჭვი აღარ გვექნება ზემოდ წამოყენებული დებულების სიმართლეზე: თანამედროვე სამანქანო ტეხნიკა, მიუხედავად თავის განვითარებისა და მიუხედავად იმისა, რომ ეს განვითარება პატარ-პატარა მოტორებისათვის სახეიროა, საზოგადოდ ვერ ეგუება ხელოსნური წარმოების ბუნებას. მან რომ იმუშაოს, წარმოების ისეთი ოდენობაა საჭირო, რაიც თითქმის ყოველ შემთხვევაში ხელოსნური წარმოების ფარგლებს აღემატება. გარდა ამისა, რათა ეს მანქანები ცხოველმყოფელი იყოს, საჭიროა ხელოსანს სულ სხვა სული ედგას, ვიდრე დღეს მას უდგას. სრულიად სამართლიანად უთქვამთ: მანქანა — ხელოსნის მიმართ ჰეტეროგენური ელემენტია. მასთან იგი შისულია იდეათა და სოციალური აღზრდის რაღაც უცხო სამყაროდან. თანამედროვე მანქანები — თანამედროვე ეკონომიური რაციონალიზმის უკანონიერესი შვილებია. და ხელოსანი, რომელიც ამ რაციონალიზმს იგემებს, — კვდება. მაგრამ ხელოსნისაგან იმისთანა თვისებას, რაც მას არ მოეპოება, მარტოოდენ შეძენილი მანქანების ხმარება როდი მოითხოვს: ხელოსანს უნარი არა აქვს დააკმაყოფილოს აგრეთვე მრავალი სხვა მოთხოვნილებაც, რაიც სამანქანო წარმოების შემოღებას მყისვე მოსდევს. მას არც ორგანიზატორის ნიჭი აქვს (რაც აუცილებლად საჭიროა, რაკი მუშა პერსონალი იზრდება), არც საკომერციო ფუნქციათა შესასრულებლად აუცილებელი თვისებანი. უამისოდ კი საქმის გაძღოლა შეუძლებელია, მას შემდეგ, რაკი წარმოება გაფართოვდება. მაშასადამე თანამედროვე ტეხნიკას, კერძოდ ელექტროტეხნიკას, შეიძლება მხოლოდ ერთი შედეგი მოჰყვეს: ალბათ, განსაზღვრულ პირობებში, წვრილ კაპიტალისტურ არსებათა რიცხვი გაიზრდება. მაგრამ მათ საერთო არა ექნებათ რა ხელოსნობის აღორძინებასთან: პირიქით, მათი არსებობა ხელს შეუწყობს მის გაქრობას, მით უმეტეს, რომ ისინი გამოსულნი არიან ხელოსნობის კუთვნილი სფეროდან და ამიტომ უფრო მეტი უნარი აქვთ და უფრო მალეც შეუძლიათ ხელოსნობა მის ძველთა-ძველ საწარმოო სფეროდან გამოდევნონ, ვიდრე მსხვილ-კაპიტალისტურ საწარმოებს. ამ მიმართულებით განვითარება (პირველ ხანებში იგი ხელს შეუშლიდა კა-

პიტალის კონცენტრაციის პროცესს) — ხელოსნობას არსებითად შეუქმნიდა ახალ მტერს, რომელიც მისსავე რიგებიდან იქნებოდა გამოსული და მასვე ზურგში მახვილს ჩასცემდა.

(ვ ე რ ნ ე რ ზ ო მ ბ ა რ ტ ი — თანამედროვე კაპიტალიზმი, ტომი II.)

§ 11. ხელოსნობის გამოდევნა

ფართო საზოგადოება ხელოსნობაში წარმოებული პროცესის შესახებ თავის აზრს მოკლე ფორმულებით გამოხატავს და ამით კმაყოფილდება: ხელით მუშაობას მანქანა გამოდევნის, ხელოსნობას ქარხანა სპობსო. ამის ერთად ერთ მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ მანქანათა ხმარების დროს საწარმოო ხარჯები ნაკლებიაო.

ხელოსნობის შესახებ უახლოეს გამოკვლევათა უდიდესი დამსახურება ის არის, რომ ამ გამოკვლევებმა თვალი აგვიხილა ხსენებულ ფორმულათა ნამდვილ ღირებულებაზე. გამოკვლევამ ცხადაყო, რომ ხელოსნობაში მომხდარი ცვლილებების მიზეზი უმთავრესად არის არა სამრეწველო ტეხნიკის წარმატება, არამედ მოთხოვნის ხასიათის შეცვლა. ამ შემთხვევაში ხელოსნობა ეცემა სამანქანო წარმოებიდან კონკურენციის გარეშეც. ამიტომ თავდაპირველად საჭიროა მოკლედ დავახასიათოთ მოთხოვნის ორგანიზაციაში მომხდარი ცვლილებანი, ვინაიდან ეს ცვლილებანი ჰქმნიან იმ პირობებს, რომელშიაც ხელოსნობის განვითარება სწარმოებს.

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მოხდა მოთხოვნის ადგილობრივი კონცენტრაცია, დიდ ქალაქებში დიდძალი ხალხის დაგროვების სახით, რასაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა — ჯარი, სახელმწიფო და სათემო მსხვილი დაწესებულებანი (საპყრობილეები, საავადმყოფოები, სასწავლებლები), ფართო სატრანსპორტო საწარმონი, ფაბრიკები და მსხვილი საკაპრო დაწესებულებანი, ბანკები და დამზღვევი საზოგადოებანი — ყველაფერი ეს მრეწველობის პროდუქტების მასიური მოთხოვნის ცენტრებს ჰქმნის. ამას უნდა დაემატოს დიდი მაღაზიები, საექსპორტო და მომხმარებელთა საზოგადოებანი, რომელნიც მოსახლეობის ფართო წრეების მოთხოვნას რამოდენსამე პუნქტში უყრიან თავს. ყოველ შემთხვევაში მათთვის შეუძლებელი საქმეა დააკმაყოფილონ ვინმე საქონლით ისე, როგორც ხელოსანი თავის ცალკე შემკვეთელს აკმაყოფილებდა.

მეორე მომენტი შემდეგნაირია: თანამედროვე კულტურულმა ცხოვრებამ მრავალ დარგში მრეწველობას ისეთი გრანდიოზული ამოცანები დაუსახა, რომელთა განხორციელება სრულიად შეუძლებელი საქმეა ხელოსნური საშუალებებით და წარმოების ხელოსნური წესით; თუმცა თვითეულ ამ ამოცანათაგანს ჩვეულებრივ — დიდი ხელოსნური შრომაც სჭირია. ლოკომოტივის, ორთქლის ელევატორის, მსწრაფლმბეჭდავი მანქანის გამზადება, ხიდის გადება ან სამხედრო გემის აგება, ქალაქის რკინის გზის მოწყობა რელსებით და სამოძრავო შემადგენლობით — განუხორციელებელია მარტოოდენ ხელოსნური ხელსაწყოებისა და ხელოსნის ძალთა საშუალებით. საამისოდ საჭიროა უდიდესი ძალის მექანიკური ხელსაწყოები, მაღალგანვითარებული ტეხნიკოსები და ათასგვარი სპეციალობის მუშები.

იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მსგავსი ამოცანების განხორციელება შესაძლებელია ხელოსნური წესების საშუალებით, ხელოსანთადმი საქმის მინდობა ეკონომიურადაც არამიზანშეწონილია, ვინაიდან ამას დიდძალი პროცენტის დაკარგვა მოსდევს. საშუალო საუკუნეებში ტაძარი შეიძლებოდა აეშენებინა ორ-სამ თაობას და რამდენიმე საუკუნეც მოენდომებინა მისი აგებისათვის. მაგრამ რა იქნება, ახლაც ამდენს ხანს რომ უნდებოდენ, მაგალითად, სადგურის აგებას? როდესაც 1896 წ. საქსონია-ტურინგიის სამრეწველო გამოფენისათვის საჭირო გახდა მთავარი პავილიონის აგება, პირველად ადგილობრივ ხელოსნებს მიმართეს, ე. ი. ისეთს მწარმოებლებს, რომელნიც ფრიად მნიშვნელოვანი თანხებით მუშაობდენ და დიდ-დიდი შეკვეთებსაც შეჩვეულნი იყვნენ. მიუხედავად ამისა, ვერც ერთმა მათგანმა ეს საქმე ვერ იკისრა: დიდი რისკია და ვადაც მოკლეაო. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება მაინის ფრანკფურტის მშენებელთა ერთ მსხვილ ფირმასთან და რამდენისამე საათის შემდეგ ხელშეკრულება უკვე მზად იყო. იმავე საღამოს ტელეგრაფი ყოველი მხრისაკენ ამუშავდა. რვა დღის შემდგომ მომავალი პავილიონის ადგილას უკვე ამუშავდა ბურჯის ჩამყრელი ორთქლის მანქანები და გალიციიდან მთელი მატარებლებით ეზიდებოდენ საჭირო საშენ მასალას.

შეიძლება პირდაპირ ითქვას: ამჟამად სამრეწველო დარგში ისეთი დიდი ამოცანები არსებობს, რომ შეიძლება მხოლოდ რამდენიმემ (მთელ ევროპაში ორმა-სამმა ფირმამ) შესძლოს მათი განხორციელება. საამისოდ, გარდა ფაბრიკისა, რომლის ძალას ერთგვარი სახის საქონლის მასიური დამზადება შეადგენს, გაჩნდა საწარმოთა ახალი ტიპი, რომლის არსებობა დიდ-დიდ ამოცანათა განხორციელებაზეა დამყარებული. მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ეს უახლოესი დარ-

გი შეიძლება აღვნიშნოთ უკვე მიღებული ტერმინით: კომბინაციური საწარმო (fabrikationsanstalt). მათ სათავეში უდგას მთელი რიგი გამოცდილი ტეხნიკოსებისა, რომელთაც ისეთი ფართო მექანიკური ხელსაწყოები აქვთ, რომლებშიაც ერთმანეთს ფრიად ნაყოფიერად ეფარდება საჭირო ხელოსნური შრომაც.

მაგრამ სამრეწველო შრომის მოთხოვნა არა მარტო ადგილის მხრით დაგროვდა და მსხვილ საწარმოო ამოცანებად შედედდა, არამედ თანაბარ სახოვანიც გახდა და ამიტომ უფრო მასიური ხასიათი მიეცა. ჩვენს ეპოქაში ყველაფერს ეტყობა გათანაბრებისადმი ტენდენცია, რომელიც მოსახლეობის ნაირ-ნაირ ადათ-ჩვეულებებს სახეს უკარგავს და ჰშლის. ხალხური ტანისამოსი თითქმის გაჰქრა, ბინის, სამზარეულოს მოწყობილობა უფრო უხვია, მაგრამ ერთფეროვანი. სულ ულარიბეს მეურნეობაშიაც კი მოიპოება ნავთის ლამპა, ყავის მოსახარში მანქანა, ცოტაოდენი სამზარეულო ემალიანი ჭურჭელი, ჩარჩოში ჩასმული რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი. რათა მოთხოვნის საგანი, საქონელი — მოსახლეობის უფრო ნაკლებად შეძლებული კლასებისათვისაც ხელმისაწვდომი გახდეს, იგი მასიურად და იაფად უნდა მზადდებოდეს. თუ რომელიმე საგანი მოდათა ხშირი ცვლის მსხვერპლი ხდება, იაფფასიანი საქონლის მოთხოვნა ჩნდება საზოგადოების შეძლებულ კლასებშიაც, რომელნიც ამ გზით ცდილობენ მოდის ჟინიანობით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას. ასე ჩნდება მასიური მოთხოვნა იაფფასიან საქონელზე, რომლის დამზადებული წარმოების სათანადო ფორმას — ფაბრიკის ტიპი წარმოადგენს; ხელოსნური შრომა საამისოდ ძლიერ ძვირია. იქ, სადაც იგი ტეხნიკურად შესაძლებელია, მან უკიდურესი სპეციალიზაცია უნდა მოახდინოს და მაშინ იგი უეჭველად ჰკარგავს მომხმარებლისათვის უშუალოდ მუშაობის ნიადაგს.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება, რომელიც საშინაო მეურნეობის დარგს ეკუთვნის. საოჯახო მეურნეობა სულ უფრო მეტად და მეტად ჰკარგავს ძველი დროიდან დატოვებულ საწ -- მოო ელემენტებს და მხოლოდ საშინაო მოხმარების მოწესრიგებით კმაყოფილდება. როდესაც ჩვენი მამა-პაპა სავარძლის ქონას მოისურვებდა, უპირველესად ყოვლისა დურგალს დაუძახებდა და მას ხის ნაწილებს გააკეთებინებდა. შემდეგ ჩვენი წინაპრები ტყავს იყიდდენ. აგრეთვე ცხენის ძუას, ზამბარს. მერე ყველა ამის შემკერველს შინ მოიწვევდენ. ასევე იქცეოდენ მამა-პაპანი თვითეულ, ასე თუ ისე მსხვილი ნივთის დამზადების დროს. ამჟამად საკუთარი პროფესიონალური მუშაობაში თვითეული ჩვენთაგანი იმდენად ჩათრეულია, იმდენად

გვღლის ჩვენი ხელობა, რომ უკვე შეუძლებელია წარმოებაში ასეთი მონაწილეობის მიღება. რაც დაგვეპირდება, იძულებული ვართ, სავსებით გამზადებული ვიყიდოთ: ჩვენ საკუთარი მოთხოვნილების სწრაფად დაკმაყოფილება გვწყურია და ადვილად ვამბობთ უარს ჩვენთვის მოსაწონ ნივთებზე, ოღონდ ათასგვარ ხელოსნებთან დაკვეთას და ხეტიალს თავი დავაღწიოთ. ამას მრეწველობამ ანგარიში უნდა გაუწიოს.

იგივე ტენდენცია თავს იჩენს იმისთანა დარგებშიაც, სადაც კერძო ხელოსანი ძველადგანვე გამზადებულს ფაბრიკატს იძლეოდა. ამ დარგშიაც თანამედროვე ქალაქელ მომხმარებელს აღარ სურს ხელოსანთან უშუალო დამოკიდებულება და აღარ უკვეთავს ყოველ ცალკე ნივთს. მას რომ სჭირია. მას ცდა და ლოდინი როდი უყვარს. მან იცის, რომ შეკვეთით გაკეთებული ხშირად მის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ვიდრე იყიდდეს, მას სურს ბევრი არჩიოს, სინჯოს და ერთმანეთს შეადაროს.

ამნაირად, იმ დარგებშიაც კი, სადაც საწარმო ამოცანა ხელოსნისათვის ტექნიკურად სავსებით ხელმისაწვდომია, მას აღარ შეუძლია მომხმარებლისათვის ამზადოს ნივთები. იგი უკვე აღარ ამზადებს რასმე შეკვეთით, არამედ მუშაობს მარაგისათვის, რასაც იგი წინად მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში სჩადიოდა. მომხმარებელთან მისვლისათვის — მას მაღაზიის შუამავალი სჭირია. მაგრამ იმის გამო, რომ მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის პირადი ურთიერთობა მოისპო, წარმოება ხელოსნობის ხასიათს ჰკარგავს. იგი უკვე კაპიტალისტური წარმოება ხდება, კომერციულად გაძღოლას მოითხოვს და მერე ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომელი უფრო სახეირო — წვრილი თუ მსხვილი წარმოება.

პირველს შემთხვევაში ხელოსნობის დარგს ფაბრიკა ეპატრონება, მეორე შემთხვევაში — შინამრეწველობა.

ერთად თავმოყრილ მოთხოვნას ცალკე ნაწილებად გაფანტული წარმოება ვეღარ აკმაყოფილებს. მოთხოვნის კონცენტრაციის პარალელურად — წარმოების დარგშიაც კონცენტრაცია ხდება და სწორედ ეს გარემოება ჰლუპავს ხელოსნობას.

მაგრამ ეს ფრიად რთული პროცესია და შეუძლებელია ერთმანეთისაგან გამოცალკევება იმ მომენტებისა, რომელთაგან იგი შესდგება. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეცდებით ამ გამოცალკევებას და ამას ჩავიდენთ ისე, რომ ჩვენს მიერ გამოცალკევებათა საფუძველს ხელოსნობის ბედი შეადგენდეს. ამ მხრით ხუთი შემთხვევა გვაქვს.

1. ხელოსნობის გამოდევნა საფაბრიკო წარმოების მიერ.

2. ფაბრიკის ან შინამრეწველობის მიერ ხელოსნობის წარმოების ფარგლების შევიწროება.

3. ხელოსნობის შესვლა მსხვილ საწარმოში.

4. მოთხოვნის ხასიათში მომხდარი ცვლილებების გამო ხელოსნობის დამშლელება.

5. ხელოსნობის ჩამოქვეითება მაღაზიათათვის საოჯახო გაჭირვებულ წარმოების დონემდე.

ხშირად ყველა ეს გარემოება ერთად მოქმედებს. მაგრამ საქმის შემდგომი განხილვის დროს ჩვენ შევეცდებით ისინი ცალ-ცალკე აღებული განვიხილოთ.

1. კაპიტალისტური წარმოება ხელოსნობის მიერ დაჭერილ საწარმოო დარგებიდან გამოსადევნად — შედარებით იშვიათად მიმართავს მთელი ფრონტით იერიშს. წინანდელი დროის მაგალითებიდან დავასახელებ ფეიქრობას, საათებისა და თოფების დამზადებას, ეგრეთვე ამათზე წვრილ ხელობებს, როგორიცაა ქინძისთავების, ფოლადქების, იარაღის, ბანქოს და წინდების წარმოება. ახალი დროის მაგალითებიდან აღვნიშნავ — მექუდეობას, მეწაღეობას, მღებრობას, მესაპნეობას, მეკანაფეობას, მედანეობასა და მელურსმნეობას, მესავარცხლეობას. ერთის მხრით ამავე მოვლენებში შეიძლება ჩაითვალოს ლუდის გამოხდა და მეკასრეობაც.

ხელოსნობის გამოდევნა ხდება ხან სწრაფად, ხან უფრო ნელა, იმის და მიხედვით, მუშაობდენ თუ არა ესა თუ ის ხელოსნები ბაზრობისა თუ მაღაზიებისათვის, თუ მხოლოდ შინაკვეთს ამზადებდენ. მაგრამ, მაგალითად, ბაზრობისათვის დამზადებამ ნიადაგი მოუმზადა წაღების მექანიკურ წარმოებას, იმიტომ რომ ბაზრობამ უკვე დიდი ხანია მოსახლეობა დამზადებული ფეხსაცმლის ყიდვას მიაჩვია.

ამისთანა გარემოების შედეგი სხვადასხვა ხელობისათვის ნაირნაირია იმის და მიხედვით, შესაძლებელია თუ არა საფაბრიკო მრეწველობის გაცვეთილი პროდუქტის შეკეთება. თუ შეუძლებელია — ხელოსნობა საკსებით ჰქრება. თუ შეკეთება შესაძლებელია, ხელოსნობა შემკეთებლობად, მეჯღანობად იქცევა, რომელიც მაღაზიასთან არის დაკავშირებული, ან ცალკე არსებობს. ხელოსნის მიერ საფაბრიკო საქონლის მაღაზიის ქონა არ შეიძლება უხეირო მეტამორფოზად ჩაითვალოს. მაგრამ ამას მიაღწევენ მხოლოდ ისეთი ხელოსნები, რომელთაც რაიმე კაპიტალი მოეპოებათ. პირიქით, მეჯღანეობა ხშირად ნიადაგს ჰკარგავს, თუ საფაბრიკო საქონელი მთლად ვაჭრებს უვარდება ხელთ. ეს იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მყიდველთა უმრავლე-

სობა შეკეთებისათვის იმავე მაღაზიას მიმართავს, სადაც ნივთი უყიდნია. მაღაზიის პატრონს საამისოდ ქარგალი ჰყავს, ან სამუშაოს აძლევს წვრილ ხელოსნებს, რაიც ფრიად ამცირებს ამ უკანასკნელთა შემოსავალს და საკუთარი მაღაზიის პატრონზე დამოკიდებულად ჰხდის. გარდა ამისა, ნივთთა შეკეთების საქმეც შესაძლებელია ფართოდ მოეწყოს, როგორიცაა, მაგალითად, ნაჭრების გადაღება; ეს წარმოება დიდი თანხით მუშაობს და საკუთარი დიდი საწყობებიც აქვს. მეორე მხრით, ახალ ნივთთა იაფფასიანი ფაბრიკაციის გამო (საათები, წაღები) შეკეთება საკუთარი ზედმეტი ხდება, რადგან იგი ხშირად უფრო მეტად ჯდება, ვიდრე ძველის მაგივრად ახალი ნივთის ყიდვა.

2. უფრო ხშირია განვითარების პროცესის მეორე მხარე. აქ საქმე ეხება ხელოსნობის მიერ ახალ ნივთთა დამზადების საშუალების არა მთლად დაკარგვას, არამედ წარმოების ფარგლების შეზღუდვას ფაბრიკისა ან შინამრეწველობის მიერ. მაგრამ ამ პროცესის მიზეზი ათასნაირია. ჩვენ ყველა მათგანს ვერ შევეხებით, მაგრამ ოთხ მათგანს აღვნიშნავთ:

ა) სხვადასხვა ხელობა ერთ სამრეწველო დაწესებულებაში იყრის თავს: მაგალითად, დურგლები, ხარატები, ხის ამომჭრელნი, მჩითავნი, მღებრები, მესალანდაზენი — სადგამო ფაბრიკაში; მეკარეტეები, მჭედლები, მეუნაგრეები. მეშუშეები — საკარეტო ქარხანაში; მეკალათეები, დურგლები, მეუნაგრეები, მჭედლები, ზეინკლები, მესალანდაზეები — საბავშო ეტლების ფაბრიკაში. აღვნიშნავ აგრეთვე ათასგვარ მანქანათა, ორთქლმავალთა და ვაგონების ამგებელთა ქარხნებს, როიალების, სამგზავრო ნივთების, ბილიარდების ფაბრიკებს და საფაბრიკო საწარმოთა მოწყობისათვის საჭირო დაწესებულებებს (ლუდის და არაყის გამოსახდელი და სხვ. ქარხნებისათვის). ამისთანა გაერთიანების გამო ცალკე ხელოსნობა, უეჭველია, ჰკარგავს წინანდელი შრომისა და გასაღების დარგის წილს, მაგრამ ეს წილი ფრიად უმნიშვნელოა. მაგრამ თუ ასეთი სისხლის გამოშვება ხშირია, (როგორც დურგლებსა, მეუნაგრეთა და ზეინკლებში) ბოლოს და ბოლოს საქმე იმით თავდება, რომ ხელოსნობა შეიძლება სისხლიდან დაიცალოს და გაჰქრეს.

ბ) ხელოსნობა ჰკარგავს ისეთ ცალკე სარფიან ნივთებს, რომელთა საფაბრიკო ან შინამრეწველობის საშუალებით მასობრივად დამზადება შეიძლება; მაგალითად, წიგნთა ამკინძაობამ დაჰკარგა თავისი წარმოების ფრიად ფართო ასპარეზი, რომელიც დაინაწილა თითქმის ორმოცნაირმა სპეციალურმა საწარმოომ: ამკინძაობას დარჩა მხოლოდ ყდის გაკეთება შემკვეთელთათვის. მეკალათეობას უმაღლესი ხარის-

ხის სამუშაო შინამრეწველობამ წაართვა. საბავშვო ეტლების, ურმების და სხვ. გამზადება ფაბრიკებმა იკისრეს, ხელოსნებს კი ტირიფის წნელის უხეირო წვნა-ღა დარჩათ. ზეინკალმა დაჰკარგა ის ნივთიც კი, საიდანაც მისი სახელწოდება წარმოსდგა (schloss — ბოქლომი), ჯაგარმჭრელმა *) — ფოჩის, კბილისა და ფრჩხილებისათვის ჯაგარის გაკეთების საშუალება, დურგალმა — საშუალო ხარისხის დგამის (ბერლინური დგამის) მზადების საშუალება, ხოლო უბრალო დგამს (ცალხვისას) იგი მალაზიის შეკვეთით ამზადებს. ხაბაზობას, ქალაქებში მაინც, საფრთხე მოელის იმ მხრით, რომ შეიძლება ფაბრიკამ პურისცხობის საქმე წაართვას. მეთუნუქე — უკვე აღარ ამზადებს თუნუქის ჭურჭელს. ერთი სიტყვით, ორიოდე ხელობა თუ იქნება, რომ ამ მხრით არ დაზარალებულიყოს.

გ) წარმოების თავდაპირველი სტადიების შესრულება ფაბრიკაზე გადადის. მასალის თავდაპირველი უხეში დამუშავება დიდი ძალ-ღონის დახარჯვას მოითხოვს და საამისოდ მანქანათა ხმარებას უფრო ხალისით მიმართავდენ. წარმოების პროცესის მერმინდელ სტადიებში პროდუქტის ფაქიზად და ინდივიდუალურად დამუშავება ნაკლებად იზიდავდა მწარმოებელს. თითქმის ყველა იმ ხელოსნობაში, სადაც ლითონსა და ხეს ამუშავებენ, მასალა უკვე ნახევრად ფაბრიკატის სახით გვხვდება. ჭონი უკვე დამუშავებულ ბეწვეულ-ტყავეულობას ხმარობს, მჭედელს — გამზადებული ნალები აქვს, მეშუშეს ფანჯრის ჩარჩოები, ჯაგარმჭრელს — უკვე დაჭრილი და დაჩერეტილი ფიცრები და გამზადებული ჯაგარი, ხუროს — დაჭრილი პარკეტი და სავსებით გამზადებული კარები.

პირველ ხანებში ხელოსნობას ამისთანა გარემოება ვერასა ვნებს, პირიქით — ხელს უწყობს კიდეც. საწარმოო პროცესი — მოკლდება. თვითეულ ოსტატს საშუალება ეძლევა წინანდელზე მეტი ნივთები დაამზადოს და თუ იგი თვითეულ მათგანზე იმდენსავე იგებს, რასაც წინად იგებდა, მისი შემოსავალი სწრაფად იზრდება, თუ კი საკმაო სამუშაო ექნა. ზეინკალი, რომელიც რკინეულობის მაღაზიაში ყიდულობს გამზადებულს ათასგვარ რკინეულობას, ერთს ზაფხულს რამდენიმე შენობას მოათავებს. წინად კი, როდესაც ყველა ამ ნივთის გამზადება თვითონ მას უხდებოდა საკუთარ სახელოსნოში, იგი წელიწადში ერთსაც ვერ დაამთავრებდა. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, ხელოსნების ფესვების ამნაირად მოჭრის გამო, ხელოსანთა ნაწილი

*) „შოთქების“ მკეთებელი.

მაინც ზედმეტი ბარგი ჰხდება. ამასთანავე ერთად იზრდება საჭირო საბრუნავი თანხაც, ვინაიდან აქ ხელოსანს უხდება არა მარტო ნედლი მასალის ხარჯების დაფარვა, არამედ ნახევრად ფაბრიკატების შესაძენად გაწეული ხარჯების გასტუმრებაც, რასაც მექარხნის და ვაჭრის მოგებაც ზედ ერთვის.

ამას მით უფრო დიდი მონაწილეობა აქვს, რომ მასალის უშუალოდ შეძენასა და მის მართებულ დახარისხებას ხშირად ფრიად დიდი მოგება მოსდევს. ამიტომ ვაჭრობა წარმოების ამ შესამზადებელ სტადიებს მაშინაც კი ეპატრონებოდა, როდესაც ნახევრად ფაბრიკატის მანქანით დამზადებაზე ჯერ ფიქრიც არ შეიძლებოდა. მაგრამ ისიც ხომ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ხის დამმუშავებელის საქმე მაშინ უფრო ბევრად კარგად იყო, როდესაც იგი ტყეში ყიდულობდა ხის შორებს, ვიდრე დღეს, როდესაც იგი ამ მასალას ფიცრების, თამასებისა და ფირფიცრების სახით ვაჭართან ყიდულობს. ცხადია ჯაგარმჭრელი უფრო მეტს იგებდა მაშინ, როდესაც იგი პირდაპირ ყასბისაგან ყიდულობდა ჯაგარს, ვიდრე დღეს, როდესაც მას უხდება გამზადებული ათასნაირი ხარისხის ჯაგარის ყიდვა მეჯაგრისაგან.

ისიც უნდა ითქვას, რომ ხელოსნისათვის ძალიან ხელსაყრელი საქმეა ამგვარი ნახევრად ფაბრიკატებით ვაჭრობა: მედუქნესთან მას შეუძლია მასალა სულ წვრილწვრილადაც შეიძინოს, მაგრამ სწორედ ეს გარემოება იყო ხელოსნობის დაცემას ხელი რომ შეუწყო, ვინაიდან ამჟამად ქარგალს ძითქმის სრულიად უთანხოდ შეუძლია საკუთარი სახელოსნოს გაჩენა. მაგალითად ფეხსაცმელების წარმოებაში ფეხსაცმელების ცალკე დამზადებული ნაწილების სახელოსნოთა გაჩენამ ფრიად ხელი შეუწყო წვრილი წარმოების განვითარებას. მაგრამ ეს არა იმიტომ, რომ იგი საწარმოო პროცესს ახანმოკლებდა, არამედ იმიტომ რომ ხელოსანს საშუალება ჰქონდა ყოველი წყვილი ჩექმისათვის სათანადო ძალაზიაში შესაფერი ყელი ეყიდნა, წინად კი მას დაბალისაგან, სულ ცოტა, ამისათვის მთელი ტყავი მაინც უნდა შეეძინა.

საფაბრიკო მანქანური წინასწარი შემზადების და ხელოსნის მიერ საბოლოოდ დამუშავების შეფარდება განსაკუთრებით საინტერესოა იმ დარგებში, სადაც შრომის პროცესის გამამზადებელი ნაწილი უკვე დაჰშორებია ხელოსნობას. ამისთანა გარემოებაში ხელოსანი ბოგინობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტს რაიმე ადგილას დადგმა, ან მიმაგრება სჭირია. მაგრამ მაშინ იგი კვლავ უბრუნდება ძველს მდგომარეობას და მხოლოდ შეკვეთით მუშაობს. მაგალითად, დურგლისა და ზეინკლის საქმე (დურგლისა — გამზადებული კარების,

პარკეტების შეძენისას) მხოლოდ მიმაგრება და მიკვრა-ლაა. ასეთივეა მჭედლის როლი, რომელიც გამზადებულ ნალებს ყიდულობს.

მეორე მხრით, საწარმოო პროცესის გახანმოკლების გამო, საწარმოს უფრო კაპიტალისტური ხასიათი ეძლევა, ბრუნვაც იზრდება. მაგრამ ხელოსნობის სასიცოცხლო ელემენტს კაპიტალზე მოგება კი არა, შრომის ხელფასი წარმოადგენს, — ეს უკანასკნელი კი, უეჭველია, მცირდება.

მსხვილი წარმოებისათვის უფრო გამოსადეგია ახალ-ახალი ნედლი მასალისა და წარმოების ახალიანი მეთოდები (იმასთან შედარებით, რაც ხელოსნობაში იხმარებოდა) — ხელოსნობას მისი წარმოების ასპარეზის ერთ ხაწილს ართმევს. გაგახსენებთ თუნდა გრეხილი (ვენის) ავეჯეულობის გაჩენას, მავთულ-ლურსმნების ფაბრიკაციასა და ამის გავლენას მელურსმნეობაზე, მავთულის თოკების გამზადებას (კანაფის თოკის მაგივრად), ტყავისა და სელის მოხმარების დარგში — გუტაფისის (გუტაფერჩა) შეკრასა და სხვ. მინანქრიანი სამზარეულო ჭურჭლის გაჩენამ, მეთუნეთა, მეთუნუქეთა და მექვაბეთა წარმოებანი შეამცირა; წიგნის ყდათათვის განსაკუთრებული სელის (პერგამენტისა და ტყავის მაგივრად) შემოღებამ — ხელი შეუწყო საამკინძაო საქმის მსხვილ, მანქანური წარმოების წარმოშობას.

ამნაირად, ხელოსნობაზე მრავალი მხრიდან იერიში მიაქვს წარმოების ახალ ფორმებს და მას, უმეტეს შემთხვევაში, წინააღმდეგობის გაწევის საშუალებაც კი არა აქვს. ხშირად ეს ჰხდება უფრო შეძლებული მეგობრის ნიღაბით: მოდი, გიშველი და ტვირთს შეგიმსუბუქებო. ეს გრძელდება იქამდე, ვიდრე ხელოსნობა იმდენად არ დაეცემა, რომ არა შერჩება რა, რაიც მოსაქმე კაპიტალისტის მადას აღიზიანებდეს.

3. ახლა ჩვენ გადავდივართ იმ შემთხვევათა აღწერაზე, როდესაც ხელოსნობა დამოუკიდებლობას ჰკარგავს იმის გამო, რომ იგი უფრო მსხვილ საწარმოს შეერთვის. ყოველ დიდ საწარმოს, ფაბრიკა იქნება, საეკჩრო თუ სატრანსპორტო, ათასნაირი ხელოსნური შრომა სჭირია. ვიდრე ასეთი სამუშაო ცოტაა, მას ოსტატებს სახლში აძლევენ. მაგრამ როდესაც იგი იზრდება და, ასე თუ ისე, მუდმივი ჰხდება, მაშინ უფრო ხელსაყრელია ამგვარ სამუშაოთა შესასრულებლად საწარმოს საკუთარსავე შენობაში დამატებითი სახელოსნოს მოწყობა. თვითეულ არყის თუ ლუდის ქარხანას ამჟამად უეჭველად აქვს კასრების (ბოჩკების) დასამზადებლად საკუთარი სახელოსნო. ცხენის რკინის გზებს საკუთარი სამჭედლოები, საუნაგირო, საკარეტო და საზეინკლოები აქვთ. საკონსერვო ფაბრიკებს საკუთარი სახელოსნოები აქვთ

თუნუქის კოლოფების დასამზადებლად. გემთსაშენებში საკუთარი დურგლები, მჭედლები ჰყავთ გემთა შიგნითი ნაწილის დასამუშავებლად. თითქმის ყოველს დიდს ქარხანას საზეინკლო და შესაკეთებელი სახელოსნო აქვს. ცხადია, როდესაც ოსტატი ამისთანა დიდს დაწესებულებაში შედის სახელოსნოს გამგედ — დამოუკიდებლობას ჰკარგავს, მაგრამ სამაგიეროდ მისი მგდომარეობა, ასე თუ ისე. უფრო უზრუნველყოფილია და სახეირო, ვიდრე წინად.

თავისუფალი ხელოსნებისათვის ზემოხსენებულისთანა მსხვილი მუშტრების დაკარგვა ფრიად საზარალოა. ხსენებულ სისტემას შეუძლია მოჰყვეს ხელოსნობის მთელ დარგთა მოსპობა, როგორიცაა, მაგალითად, ხარატობა, რომელიც შედის ყველა იმ წარმოებაში, სადაც მის პროდუქტებს ნახევრად ფაბრიკატების სახით ხმარობენ. მაგრამ საქმის ასეთ წაყვანას ეკონომიის მხრით იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მასთან ბრძოლა თითქმის შეუძლებელია.

უნდა ითქვას, რომ მსხვილ საწარმოებთან მოწყობილი დამატებითი სახელოსნოებისათვის პროფესიონალურ მომზადებას მუშები ღებულობენ ხელოსნობაში, ვიდრე იგი დამოუკიდებელია. ამის გამო, შესაძლებელია მასში ფრიად ბევრი შეგირდი იყოს ჩაბმული, მაშინ როდესაც ბაზარზე ქარგალთა შრომის მოთხოვნა აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც ხელოსნობას სჭირდება. ამით აიხსნება, მაგალითად, ის, რომ ზეინკლობაში ზოგიერთ ადგილას ათჯერ მეტი შეგირდია, ვიდრე ქარგალი.

4. ხელოსნობა მჭლევდება მოთხოვნის ხასიათის შეცვლის ან სრულიად მოსპობის გამო. ასეთ შეცვლას ყოველ ხანაში ჰქონდა ადგილი (გავიხსენოთ თუნდ პარიკების ან პერგამენტის ხმარება), მაგრამ ეს შეცვლა არასოდეს ისეთი არ ყოფილა, როგორადაც ჩვენს სწრაფად წინმავალ დროში. რამდენიმე მაგალითი დავასახელოთ.

მეკასრე ჩვენს მამა-პაპათა მეურნეობისათვის ათასგვარ ისეთს ჭურჭელს ამზადებდა, რასაც დღევანდელ ოჯახში (ქალაქებში მაინც) უკვე ვერსად შეხვდებით: ხორცისათვის ფლასვებს, მჟავე კომბოსტოს და ლობიოსათვის კასრებს, წყლის ვედროებს, წვიმის წყლისათვის კასრებს, ვანნებსაც კი, აგრეთვე სარეცხისათვის გაზმაროთებს (ლოხანკა) და სხვ. ჩვენ ახლა უკვე აღარ ვიმარაგებთ ხორცსა და სხვადასხვა წნილებს. წყალს წყალსადენი გვაწვდის, ხოლო ხის პატარ-პატარა ჭურჭლის მაგივრობას თუნუქის ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი სწევს. მეორე მაგ. შეგვიძლია დავასახელოთ ხარატი, რომელიც წინად თითქმის ყოველ ოჯახისათვის ამზადებდა ერთს ან რამდენიმე თითისტარს, კოჭსა და ჯარას. ახლა თითისტარი „გერმანიის ძველთა-

ძველი ყოფაცხოვრების" ნიმუშად თუ იხსენიება. თუმცა ისიც მართალია, რომ დაკარგული მუშტრების მაგივრად ორთავე ხელობამ ახლები მოიპოვა: მეკასრემ, მაგალითად, იმის გამო, რომ ხშირია სხვადასხვა ნივთთა გადაგზავნა კასრების საშუალებით. მაგრამ ახალი კლიენტები — ეს ფაბრიკებია, რომელნიც, როგორც კი მოხერხებული გახდება, მეკასრეობას თავის დამატებითს წარმოებად გადააქცევენ ხოლმე. მესამე მაგალითს წარმოადგენს მჭედელ-მკალავი. წინად სასმისები და თეფშებიც კი კალისაგან კეთდებოდა, ახლა მათ მაგივრად როგორც ქალაქებსა, ისე გლეხობაში სოფლად, ფაიფურს და ქაშანურის ჭურჭელს ხმარობენ. ამიტომ მკალავთა ხელობას ნიადაგი გამოეცალა. ბოლოს გაგახსენებთ, თუ რა მნიშვნელოვანად შეიცვალა მიმოსვლის საშუალებათა ხასიათი, რამაც განსაკუთრებით მეუნაგრეებსა, მეხურჯინეებსა და ჭონებზე იმოქმედა.

5. მაგალითთა უკანასკნელ კატეგორიას წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ხელოსნობა სავსებით ვაჭართა მონობაში ვარდება: ოსტატი შინამრეწველად იქცევა, ვინაიდან, მომხმარებლამდე მიღწევა მის ნაწარმოებს მხოლოდ მაღაზიის გზით შეუძლია. ამ მოვლენის მიზეზი ორნაირია: ერთის მხრით ქალაქთა ცენტრებში ბინები ძვირია და ხელოსანი იძულებულია საცხოვრებელი და სამუშაო ბინა სადმე მიგდებულ ალაგას გაიჩინოს. იქ მისი ნახვა ძნელია, ყოველ შემთხვევაში შეძლებული საზოგადოება მას ძებნას არ დაუწყებს; მეორე მიზეზია საზოგადოების სურვილი — ნივთი იყიდოს უეჭველად იქ, სადაც მისი დიდი არჩევანია და სადაც ნივთის პატრონი მას აამებს: ე. ი. სახლში გაუგზავნის ნიმუშს, თუ მუშტარს არ მოეწონა, საქონელს უკან დაიბრუნებს და სხვ. ისეთს ნივთებს, მაგალითად, როგორიცაა: ჯაგარა, სავარცხელი, კოხტა წნული ან ტყავეულისაგან გაკეთებული ნივთები, ხის თუ ლითონის პატარ-პატარა საგნები, დიდს ქალაქებში ჩვენ არასოდეს არ ვიძენთ უშუალოდ ნაწარმოებლისაგან, არამედ საფართლე ან საგალანტერეიო მაღაზიაში ვყიდულობთ. ჩვენ იქვე შეუკვეთთ ხოლმე, რომ ნივთი ისე გაამზადონ, როგორც ჩვენ გვსურს. ამჟამად განა ვინ არის, რომ სადარბაზო ბარათებს სტამბაში, ან სათუთუნეს ხარატს უკვეთდეს? ყველა ჩვენთაგანი ყოველ დღე, როდესაც ქუჩაში დადის, არა ერთხელ ჰხედავს და ათვალიერებს მაღაზიაში გამოფენილ თავისთვის აუცილებელ ნივთებს, სავსებით გამზადებულს. თვითეულ ჩვენთაგანს ყოველ წუთში შეუძლია, რომელიც მოეწონება, ის შეიძინოს. ამისთანა შემთხვევაში ვინ-ღა მოინდომებს განწირული ხელოსნობის გულისათვის ქალაქის განაპირას გავიდეს, კითხვა-კითხვით მიაკვლიოს ხელოსანს, ავიდეს ბნელი კიბით მეოთხე თუ მეხუთე

ნართულში და იქ შეუკვეთოს რამე ისიც იმ ფიქრით, რომ შეიძლება შენაკვეთი ვადაზე მზად არ იყოს. განა ვინ იქნება ისეთი, ვინც ავეჯეულობის მაღაზიაში ჰპოებს ყველაფერს, რაც მისი ბინის მოსაწყობად საჭიროა და სხვას მიმართავს? რომელი ახალგაზრდა დიასახლისი იქნება ისეთი, რომ ჭურჭლის მაღაზიაში რამდენიმე საათის განმავლობაში მთელი სამზარეულოს მოწყობილობის შეძენის საშუალება ჰქონდეს და ძებნა დაუწყოს ხუთ-ექვს ხელოსანს, რომელთა დახმარებით იგი მიზანს მხოლოდ რამდენსამე კვირის შემდეგ თუ მიაღწევს?

(კარლ ბიუხერი — სახალხო მეურნეობის წარმოშობა; კრებულიდან: „ხელოსნობა").

თავი მერვე

შინამრეწველობა

§ 1. შინამრეწველობის არსება

შინამრეწველობას ჩვენ ეუწოდებთ ნედლი მასალის გადამუშავებას, იმავე მეურნეობაში (გლეხის ოჯახში), სადაც მოპოებულია ეს მასალა. შინაური სარეწავები შეადგენენ ნატურალური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას, რომლის ნაშთები თითქმის ყოველთვის ინახებიან იქ, სადაც კი წვრილი გლეხობა არსებობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ რუსეთის ეკონომიურ ლიტერატურაში ხშირად უთითებენ ამგვარ მრეწველობაზე (ნაწარმოების შინ დამზადება სელიდან, ქენაფიდან, ხიდან და სხვ. საკუთარ მოხმარებისათვის). მაგრამ შინაური მრეწველობის რამოდენიმედ ფართო გავრცელება ახლანდელ დროში შეიძლება აღნიშნულ იქნეს მხოლოდ იშვიათ უფრო მიყრუებულ ადგილებში; მათ რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, სულ უკანასკნელ დრომდე ციმბირი. მრეწველობა, როგორც პროფესია ამ ფორმით ჯერ არ არსებობს: სარეწავი განუყოფლად დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან და მასთან ერთად შეადგენს ერთ მთელს...

საქონლური წარმოების ჩანასახი ფორმების დროს „შინამრეწველთა" შორის კონკურენცია ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ბაზარი ფართოვდება და გარშემოიცავს ფართო რაიონებს, ეს კონკურენცია უფრო და უფრო ძლიერდება, ის ანგრევს წვრილი მრეწველობის პატრიარქალურ კეთილდღეობას რომელიც დამყარებულია ამის ფაქტიურად მონოპოლიურ მდგომარეობაზე. წვრილი საქონლის მწარმოებელი გრძნობს, რომ მისი ინტერესები, წინააღმდეგ დანარჩენი საზოგადოების ინტერესებისა, ითხოვენ ამ მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნებას და ამიტომ ე შ ი ნ ი ა მას კონკურენციის. ის მიმართავს ყოველნაირ საშუალებას, როგორც პირადათ, ისე კოლექტიურად, რომ შეაჩეროს კონკურენცია, რომ მეტოქეები „არ შემოუშვას" თავის რაიონში, რომ განამტკიცოს მისი —

წვრილი მეპატრონის — უზრუნველყოფილი მდგომარეობა, რომელსაც ჰყავს მყიდველთა განსაზღვრული წრე. კონკურენციის ეს შიში ისე რელიეფურად ააშკარავებს წვრილი საქონლის მწარმოებლის საზოგადოებრივ ბუნებას, რომ ჩვენ საჭიროდ ვთვლით უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მის მაჩვენებელ ფაქტებზე. ჯერ მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელსაც ხელოსნობასთან აქვს კავშირი. კალუგის გუბერნიის ცხვრის ტყავის დამამზადებლები დადიან სხვა გუბერნიებში ტყავის მოსაქნელად; ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ ეს სარეწავი ეცემა; მებატონეები ტყავის მოსაქნელად გაშვებულთ დიდ ბეგარას ახდევინებდენ და თანაც სასტიკად თვალყურს ადევნებდენ, რომ მათ ცოდნოდათ თავის „განსაზღვრული ადგილი" და არ მიეცათ სხვა მომქნელებისთვის სხვის რაიონში შეჭრის ნება. ასე მოწყობილი სარეწავი იმდენად მომგებიანი იყო, რომ „სტანის" გაცემაში იღებდენ 500 და 1.000 მანეთს და ოსტატის სხვა რაიონში შესვლა-კი ხანდახან სისხლის ღვრით თავდებოდა. ბატონყმობის მოსპობამ ძირი გამოუთხარა ამ საშუალო საუკუნოების დროის კეთილდღეობას: „რკინის გზით მიმოსვლის სიადვილეც ხელს უწყობს ამ შემთხვევაში კონკურენციას". წვრილი მრეწველების მიერ ტეხნიკურ გამოგონებათა და გაუმჯობესებათა დამალვა და სხვებისგან მოსაგები ხელსაქმის დაფარვა, „დამღუპველი კონკურენციის" თავიდან ასაცილებლად, ამგვარ მოვლენას ეკუთვნის, რაც შემჩნეულია მთელ რიგ სარეწავებში და რასაც აქვს საერთო წესის დადებითი ხასიათი. ახალი სარეწავების დამაარსებელნი ან ის პირნი, რომელთაც ძველ სარეწავში რაიმე გაუმჯობესება შეაქვთ, ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავის თანამესოფლეთ დაუმალონ მოსაგები ხელობა, ამ მიზნით მიმართავენ სხვადასხვა ხერხს (მაგ., მოსატყუებლად სტოვებენ ძველ მოწყობილობას), არ უშვებენ არავის თავის სახელოსნოებში, მუშაობენ სარდაფებში და წარმოების შესახებ არაფერს ეუბნებიან საკუთარ შვილებსაც-კი. ფოჩის მქსოველთა სარეწავის ნელი განვითარება მოსკოვის გუბერნიაში „აიხსნება იმით, რომ ახლანდელ მწარმოებელთ არ სურთ გაიჩინონ ახალი კონკურენტები. ამბობენ, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, ისინი ცდილობენ გარეშე პირებს არ დაანახონ თავისი მუშაობაო, ასე რომ გარეშე მოწაფეები ყავს მხოლოდ ერთ მწარმოებელს". — ნიჟეგოროდის გუბერნიის სოფელ ბეზვოდნის შესახებ, რომელიც ცნობილია თავის საფეთონო სარეწავით, ვკითხულობთ: „ღირსშესანიშნავია, რომ ბეზვოდნის მცხოვრებლები აქამდე" (სახელდობრ მე-80 წლების დასაწყისამდე; სარეწავი არსებობს მე-50 წლების დასაწყისიდან) „თავდადებით უმალავდენ თავის ხელობას მეზო-

ბელ გლეხებს. არა ერთხელ ცდილან ისინი სათემო მართველობაში გამოეტანათ დადგენილება, რომ ის, ვინც გადასცემდა ხელობას სხვა სოფელში, დასჯილი ყოფილიყო; რადგანაც ეს ფორმალური დადგენილება ვერ მიიღეს, დადგენილება ზნეობრივად ვრცელდება მაინც ყოველ მათგანზე, რის გამოც ისინი არ ათხოვებენ თავის ქალიშვილებს მეზობელ სოფლელებზე და, რამდენადაც შესაძლებელია, არ ირთავენ იქაურ ქალებს".

ეკონომისტ-ნაროდნიკები არა თუ ცდილობდენ დაეჩრდილათ ის ფაქტი, რომ აუარებელი წვრილი მწარმოებელი გლეხი საქონლის მწარმოებლები არიან, არამედ მთელი ლეგენდა შექმნეს რაღაც ღრმა ანტაგონიზმის შესახებ, რომელიც თითქოს არსებობს წვრილ საგლეხო სარეწავთა ეკონომიურ ორგანიზაციის და მსხვილ მრეწველობის შორის. ამ შეხედულების უნიადაგობა, სხვათა შორის, სჩანს ზემოთ მოყვანილ ცნობებიდანაც. თუ მსხვილი მრეწველი არაფერს არ ზოგავს, რომ თავის მონოპოლია უზრუნველყოს, „შინამრეწველი" — გლეხი ამ მხრით მისი ღვიძლი ძმაა; წვრილი ბურჟუა ისწრაფვის მცირე საშუალებებით დაიცვას არსებითად იგივე კლასობრივი ინტერესები, რომელთა დასაცავად მსხვილ ფაბრიკანტს ასე ესაჭიროება პროტექციონიზმი, პრემიები, პრივილეგიები და სხვ. *).

(ვ. ლ ე ნ ი ნ ი — კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში).

§ 2. შინამრეწველობის ჩანასახები

მრეწველობის შინამრეწველური ფორმა, — სადაც ოსტატი უშუალოდ კი არ ყიდის თავის საქონელს მომხმარებელზე, არამედ შემსყიდველ-მეწარმეზე, თუმცა ის ძველებურად საკუთარ სახელოსნოშია, — მოეევლინება ჩანასახითი ფორმებში უკვე საშუალო საუკუნოების ეპოქაში, მაშინ როდესაც მისი განვითარება ეკუთვნის მხოლოდ უფრო გვიანდელ პერიოდს. მრეწველობის ამ ფორმას ჩვენ ვნახულობთ განსაკუთრებით აბრეშუმეულისა და შალეულის წარმოების დარგებში (აგრეთვე ნიურნბერგის ლითონის ნაკეთობათა, და ულმისა და კონსტანტის და ა. შ. ნახევრად-ბამბისა და ტილოს ქსოვილთა წარმოებაში.

---

*) წვრილი ბურჟუა გრძნობს, რომ კონკურენცია მას დაღუპავს, ცდილობს მის შეჩერებას, — ისე როგორც მისი იდეოლოგი, ნაროდნიკი, გრძნობს, რომ კაპიტალიზმი ანგრევს მის საყვარელ „ბურჯებს" და ამიტომ მიისწრაფვის „თავიდან აიცილოს", არ დაუშვას, შეაჩეროს და სხ. და სხ.

აბრეშუმეულის მრეწველობა საშუალო საუკუნოებში არსებობდა მხოლოდ იტალიის ქალაქებში, სხვა ქალაქთაგან გამონაკლისებს წარმოადგენდენ პარიზი და კელნი. ეს მრეწველობა შემოტანილ იქნა აღმოსავლეთიდან სიცილიაში შეფე როჯერის მიერ, რომელმაც 1174 წ. აბრეშუმის ფეიქრები ბიზანტიიდან გადაასახლა პალერმოში, და ამგვარად ქრისტეანული დასავლეთი პირველად გაეცნო ამ წარმოებას. აბრეშუმის მრეწველობა აქედან გავრცელდა ლუკაში, ხოლო ლუკიდან კი ფლორენციაში, ვენეციაში, გენუაში. მას ყველგან ჰქონდა საოჯახო მრეწველობის ფორმა, რომლის დროსაც მეწარმე თავის ნაკეთობას ასაღებს არა მომსმარებელზე, არამედ შემსყიდველზე. ქსოვილების გასაღებას ყველგან მისდევდენ ვაჭრები, და მათვე ეკუთვნოდათ მასალა, რომელსაც ფეიქრები და მღებავები ამუშავებდენ ოჯახში.

ბევრად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საშუალო საუკუნოებში შალეულის მრეწველობას, რომელიც მუშაობდა ფართე ბაზრისათვის. ის არსებობდა განსაკუთრებით ნიდერლანდებში და იტალიაში. მე-XIII — XIV ს. ს. მიეწერება შალეულის მრეწველობის განვითარება ფლამანდიის ქალაქებში — იპრში, ბრიუგეში, გენტში, სენტ-ომერში, არრაში, დუეში, ლილში (ამათთან ერთად იყვნენ მთელი რიგი წვრილი ქალაქებისა და დაბებისა სადაც გვხვდება ის). მე-XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე იწყება დაცემა. ფლანდრიასა და ბრაბანტში საქალაქო ამქრები ქსოვილებს აკეთებდენ ინგლისური მატყლისაგან, რომელიც განსხვავდებოდა მაღალი ხარისხით, და აწარმოებდენ შეღებასა და აპრეტურას ქსოვილებისა, რითაც ეს ქალაქები განთქმული იყვნენ. ამიტომაც გერმანიის ქალაქები ცდილობდენ თავიანთ კედლებში მიეზიდნათ ფლამანდიის მღებავები. გერმანიის ქალაქებში ჩვეულებრივად არ იყო ეს სარეწავი. სამღებრო და საბაპრეტურო წარმოება ნიდერლანდების ხელში იყო შემდეგშიაც, როდესაც, ინგლისური მატყლის მიუღებლობის შედეგად და ფეიქრების ემიგრაციისა გამო, თვით მაუდის წარმოება დაეცა, — დასამუშავებლად (მაუდისა) ინგლისელები ძველებურად კიდევ დიდხანს მიმართავდენ ფლამანდელებს. ფლამანდრიაში უკვე ადრე გამოეყო განსაკუთრებული კლასი შემსყიდველ-კაპიტალისტებისა, რომლებიც იძენდენ მატყლსა და ასაღებდენ ქსოვილებს. ნართები იწარმოება ჩვეულებრივად ქალაქების მიერ, არაიშვიათად სოფლებში, ხოლო შემდეგ ის მიდის შემსყიდველიდან ფეიქართან, მთელავთან და მღებავთან, ამავე დროს პროდუქტი ყოველთვის უკანვე უბრუნდება შემსყიდველს, რომელიც გადასცემს ხოლმე მას შემდგომ ოსტატს.

ბრიუგეში შალეულის სარეწავის სამი მთავარი ამქარი — ფეიქრები, მთელავები, მაუდის მკეეცელები შეადგენდენ (1300 წ. ახლოს) 68% მთელი სრულწლოვანი მამრობითი მოსახლეობისა. მათი შრომის ხელფასი ისაზღვრებოდა ქალაქის მიერ გამოცემული ნიხრებით. შალეულის სარეწავთა ოსტატებს შორის მღებავებს ყველგან ეჭირათ პრივილეგიური მდგომარეობა.

მდიდარი მასალები ფლამანდრიის შალეულის მრეწველობის შესახებ, რომელიც უმთავრესად შეეხება მე-XIV საუკ. და გამოქვეყნებულია ესპინისა და პირენის მიერ, ამჟამად შესაძლებლობას იძლევა გარკვეულ იქნას ამ მრეწველობის ხასიათი საშუალო საუკუნოებში. სამწუხაროდ ჯერჯერობით დამუშავებულია მხოლოდ წყაროები შესახებ საფრანგეთის ფლანდრიისა, რომელიც ახასიათებს შალეულის მრეწველობას ისეთი ქალაქებისა, როგორიცაა არრა, ლილი, დუე, სენტ-ომერი, ერი, ბენტიუნი, მაშინ როდესაც ამ მრეწველობის ყველაზე მსხვილი ცენტრების მიმართ (ბრიუგე, გენტი, იპრი) ეს არ გაკეთებულა. ესპინის (Espinas) ორტომიანი შრომიდან სჩანს, რომ საფრანგეთის ფლანდრიის ხსენებულ ქალაქებში, როგორც მის გარშემო მდებარე სოფლებშიაც, უკვე მე-XIII საუკ. შალეულის მრეწველობას ჰქონდა შინამრეწველური ხასიათი. მისი „ეკონომიური ცენტრები" იყვნენ „სახლები" მემაუდეებისა (drapier). ესენი იყვნენ საწყობები როგორც მატყლისა და საღებავი ნივთებისა, ისევე მზა პროდუქტებისაც, უკანასკნელ შემთხვევაში ქსოვილებზე აქვე დაიდებოდა დაღი და აქიდანვე (ბაზრებზე ვაჭრობასთან ერთად) სწარმოებდა მათი გაყიდვაც. მემამულეთა ამ სახლებშივე ხდებოდა, აგრეთვე, მასალების დარიგება შინამრეწველთათვის, რომლებიც აქ მოდიოდენ როგორც სამუშაოს მისაღებად, ისევე დამზადებულის ჩასაბარებლადაც; დასასრულ, ზოგიერთ შემთხვევაში შემაუდეებს ჰქონდათ საქსოვი დაზგები და ქსოვილები მზადდებოდა მათს შენობებში. ამ უკანასკნელში მუშაობა, როგორც სჩანს, წარმოადგენდა გამონაკლისს; მხოლოდ ცალკე შემთხვევებში ქირაობდა შემაუდე მჩეჩავ-ქალებს მატყლის დასაჩეჩავად მისსავე შენობაში ანდა აქ ხდებოდა გამომუშავება (აპრეტურა) ქსოვილებისა. ქ. არრაში მას ნება ჰქონდა თავისთან ჰქონდა 4, შემდეგ სულ 2 საქსოვი დაზგა. საერთო წესის თანახმად წარმოება ხდებოდა შინამრეწველთა სახლში. მემაუდე მათ აძლევს შეკვეთას (fait faire), მათ სახლში მიაქვთ სამუშაო მოსაქსოვათ, შესაღებად (faire tendre, faire tisser), ის უგზავნის მათ სახლში მაუდს შესაკეეცად, მუშაობა სწარმოებს მისი (მემაუდის) საკუთარი სახლის გარედ (hos de sa maison), ამავე დროს ოსტატებს

ეკრძალებათ იარონ მემაუდეთა კანტორებში სამუშაოს საძებრად. მემაუდე მათ აძლევს სამუშაოს თვითონ ან პირადათ, ანდა უგზავნის თავისი აგენტების ან მოსამსახურეთა საშუალებით, ამავე დროს შესრულებული სამუშაო უბრუნდება მას, და არ გადაეცემა შემდგომ ოსტატს. ხოლო მემაუდე უკვე აძლევს მას შემდგომ მიმართულებას.

მე-XIV საუკუნიდან სხვადასხვა ჩრდილოეთ-იტალიის ქალაქებშიაც, ფლორენციაში, ვენეციაში, გენუაში შალეულის ქსოვილთა წარმოება ღებულობს შინამრეწველურ ხასიათს, რომელიც გატანისათვის მუშაობს. და სხვა ქალაქებშიაც — ლონდონში, ამიენში, სტრასბურგში, შპეიერში — ჩვენ ვხედავთ ხელოსანთა დამოკიდებულებას, შალეულის მრეწველობაში, ერთი ჯგუფი ოსტატებისაგან, მემაუდეებისაგან, რომელთათვისაც მუშაობენ ყველა დანარჩენები. მაგრამ, მაინც, აქ არის მხოლოდ ჩანასახები საოჯახო მრეწველობისა; მხოლოდ ლონდონში და ზოგ სხვა ქალაქებში წარმოების ეს ფორმა განვითარდა უკვე მე-XIV საუკუნის დასასრულისა და მე-XV საუკ. დასაწყისიდან.

(ი. კულიშერი — დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების ისტორია. ტომი I).

§ 3. საოჯახო მრეწველობის ზოგადი დახასიათება

არის განსაზღვრული სხვადასხვაობა, როგორც შუამავლისა და მისთვის მომუშავე მუშათა ურთიერთობის, ისე თვით წარმოების ორგანიზაციის მხრით და ეს სხვადასხვაობა ჰქმნის საოჯახო მრეწველობის სხვადასხვა ფორმას. აღვნიშნოთ, უპირველესად ყოვლისა, ის მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც არსებობს შინ მუშაობასა (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) და სახელოსნოში მუშაობის შორის.

1. შინ მუშაობა (Heimarbeit) ჰქვია ყველა იმ შემთხვევას, როდესაც საოჯახო შრეწველობაში ჩაბმული მუშები საკუთარ ბინაზე მუშაობენ. სოციალური მხრით ეს ერთფეროვანი მასაა. კაპიტალისტ-მწარმოებელს აქ საქმე აქვს შინა-მრეწველობის უდიფერენციაციო ჯგუფთან. წარმოების ფორმა — ეს ერთპიროვნული ან საოჯახო საწარმოა, ე. ი. ისეთი ფორმა, რომელშიაც მუშები ერთი ოჯახის ორგანიულად დიფერენციაციაქმნილ წევრთაგან შესდგებიან. სწორედ ოჯახური კარჩაკეტილობაა ამ საწარმოო ფორმის შეზღუდულობის მიზეზი. ამისთანა ერთპიროვნული ანუ შინ ოჯახობით მუშაობის ტიპიური ფორმა ახალი ტიპის საოჯახო მრეწველობაში — ესაა რთვაქსოვა საერთოდ და კერძოდ აბრეშუმის ქსოვა, სათამაშოების და ნა-

წილობრივ კიდევ — სამეურნეო ინსტრუმენტების წარმოება. ახალი ტიპის მრეწველობის ფორმაა ხშირად: მეწაღლობა, უმთავრესად კი ტანისამოსის კერვა („ლატაკი მკერავი ქალის ტიპი"). შინ მუშაობის ეს ფორმა არსებითად არ იცვლება მაშინაც კი, როდესაც თვით საოჯახო მრეწველობის ორგანიზაციაში ცვლილება ხდება: როდესაც კაპიტალისტსა (შემსყიდველს) და შინა-მუშას შორის ჩნდება შუამავალი ფაქტორი (Faktor, Farger, Eercsher, Ausqeber fakteur, comis de ronde, fattorino, faktor contrastor), რომლის მოვალეობასაც პირველ ხანებში შეადგენდა შინა-მუშებს შორის კაპიტალისტის შეკვეთათა განაწილება, ნედლი მასალის გაცემა, კაპიტალისტისადმი გადასაცემად გამოგზავნილი საქონლის მიღება. ასეთი შუამავალნი აუცილებლად საჭირონი არიან, როდესაც ერთი შემსყიდველისათვის დაბანდებულ მუშათა რიცხვი განსაზღვრულ ნორმას აღემატება, ან. როდესაც შემსყიდველისათვის მომუშავენი სხვადასხვა ადგილს არიან გაფანტულნი.

წარმოების განვითარების მხოლოდ შერმინდელ სტადიაში გადაიქცა ასეთი შუამავალი შემსყიდველის რწმუნებულიდან — დამოუკიდებელ კონტრაგენტად. მან მოსპო შემსყიდველსა და მუშათა შორის უშუალო ურთიერთობა, საკუთარი თაოსნობითა და რისკით ღებულობდა შემსყიდველისაგან შეკვეთებს და შემდგომ მუშებს გადასცემდა ხოლმე. შუამავლობის ეს ფორმა ხშირად საოჯახო მრეწველობის ორგანიზაციის მეორე დარგისადმი გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს.

2. სახელოსნოებში მუშაობა. კერძო ბინიდან მუშაობა სახელოსნოში გადადის. საოჯახო მრეწველობის ამ ფორმის რაობას ის წარმოადგენს, რომ შემსყიდველისათვის მომუშავეთა მასის დიფერენციაცია ხდება: შეკვეთის მიმღები მუშა შეკვეთას მარტო თვითონ, ან. საკუთარი ოჯახის წევრთა დახმარებით კი არ ასრულებს, არამედ საამისოდ ქირაობს გარეშე პირებს, რომელნიც განსაზღვრულ ფასად მას თავის სამუშაო ძალას ახმარენ. ამნაირად, ასეთი მუშა შემსყიდველთან შედარებით — დაქირავებული მუშაა; ამავე დროს კი იგი თავის დაქირავებულ მუშებთან შედარებით — მწარმოებელი, ან ყოველ შემთხვევაში სამუშაოს მიმცემი ხდება. ეს აორებს მის მდგომარეობას და ამით ხშირად მისი ინტერესებიც გაორებულია. ტეხნიკის მხრით წარმოების ამ ფორმას ის ახასიათებს, რომ იგი უკვე გამოსულია ერთპიროვნული თუ ოჯახური წარმოების ფარგლებიდან. საერთოდ კი მრეწველობის საშინაო ფორმის დროს სახელოსნოში მუშაობა შეიძლება ორ ტიპად ჩამოვაყალიბოთ.

სიმარტივისათვის ამ ტიპებს დავარქვათ ძველი და ახალი ტიპი, თუმცა ასეთი სახელწოდება საესებით მართებული ვერაა. ძველი ტიპი სხვა არა არის რა, თუ არა უშუალო გაგრძელება წინანდელი სახელოსნო ორგანიზაციისა, რომლის დროსაც ოსტატი მუშაობდა თავის ქარგალთან ერთად. განსხვავება აქ ისაა, რომ ოსტატმა ადგილი გადინაცვლა. მრეწველობის ამისთანა საშინაო ფორმის ტიპიური მაგალითია სხვადასხვა საფეიქრო დარგი, ოდესღაც სახელოსნო წესით მოწყობილი, როგორც იყო წინად მატყლის ქსოვა და ნაწილობრივ ახლაც არის აბრეშუმის ქსოვა ლიონსა და კერეფელდში, აგრეთვე წინანდელი მუშაობა საშინამრეწველობო ქოხში; აგრეთვე რკინეულობის დამზადება რეინის პროვინციასა, ვესტფალიასა, ბირმინჰამსა და სხვაგან; გარდა ამისა, ზოგიერთი ხელობა, როგორიცაა: ავეჯის გადამკვრელობა, ხეროობა, ნაწილობრივ — თერძობაც. სახელოსნოში ძველი ტიპის მუშაობის განსაკუთრებით აღსანიშნავ მაგალითად — შეიძლება ჩაითვალოს ლიონის აბრეშუმის მრეწველობის ორგანიზაცია, რომელიც, უნდა ითქვას, თანდათან ჰკარგავს თავის ძველ ხასიათს. იგი შემდეგნაირად არის მოწყობილი. კაპიტალისტი (fabriquant, enfrepreneur, negociant) ხელმძღვანელობს წარმოებას. მისი მოვალეობაა: ა) აბრეშუმის შესყიდვა, ბ) წარმოებისადმი თვალყურის დევნება და გ) ქსოვილების გაყიდვა. მას კანტორა აქვს, შიგ მოსამსახურენი არიან, თვითონ კი უმთავრესად კომერსანტია. იგი შეკვეთებს აძლევს სახელოსნოს მეთაურს (maitre, chef d'atelier). ეს ოსტატი თავის სახელოსნოში სდგამს რამოდენსაშე საფეიქრო დაზგას, რომლებზედაც მის მიერ დაქირავებული მუშები, ეგრედწოდებული Compagnons — მუშაობენ. ამ ტიპის ორგანიზაციის დამახასიათებელი ისაა, რომ maitr-ის როლი ორმაგია: ერთის მხრით იგი შინა-მუშაა, მეორე მხრით — დამქირავებელი, სამუშაოს შემცემი. სოციალური მხრით აშნაირი ოსტატის მდგომარეობა ლიონის მრეწველობაში წარმოადგენს რაღაც საშუალოს მეპატრონესა (pafron) და მუშას (ouvrier) შორის. თავის ორმაგი მდგომარეობის და მიხედვით ასეთი ხელოსანი ორმაგსავე შემოსავალს ღებულობს. ეს შემოსავალი შესდგება:

1) მის ხელფასისა და

2) იმ ქირისაგან, რომელსაც იგი მუშას ართმევს დაზგით სარგებლობაში.

მუშის (compagnon) ურთიერთობა ოსტატისადმი შეიძლება მიეიჩნიოთ, როგორც ურთიერთობა მუშისა კაპიტალისტისადმი, ან როგორც ურთიერთობა დამქირავებელისა იმ პირისადმი, ვისაც მისთვის

მიუქირავებია. მისი შეშოსავალი მარტოოდენ მისი ხელფასისაგან შეესდგება. ქარგალი სრულიად არაა შინამუშა ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ვინაიდან იგი თავის სახლში როდი მუშაობს. ორგანიზაციის ლიონურს ფორმას, ცხადია, ოსტატის შედარებითი კეთილდღეობა მოსდევს, ხოლო მუშა ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

სულ სხვა ხასიათისაა მრეწველობის საშინაო ფორმის დროს სახელოსნოებში მუშაობის ის ტიპი, რომელსაც ჩვენ ა ხ ა ლ ი ვუწოდეთ. ის წმინდა კაპიტალისტური სულის პროდუქტია. იგი ჩვეულებრივად მაშინ ჩნდება, როდესაც შემსყიდველისა და შინამუშას შორის მესამე პირი, ეგრედწოდებული შუამავალი (Zwischenmeister) ჩამოერევა. ამისთანა შუამავალი სპეციალურ სახელოსნოში აგროვებს ნუშებს, რომელნიც წინად სამუშაოს მხოლოდ შინ ასრულებდენ, იგი, როგორც შუამავალი, საკუთარი თაოსნობითა და რისკით ასრულებს შემსყიდველის შეკვეთებს. ამისთანა სახელოსნოში მუშაობის მოწესრიგებაა საჭირო. ამ მოწესრიგებას განსაზღვრული მიზანი აქვს და წარმოების ორგანიზაციის მიზანშეწონილობა მისივე ხასიათით მტკიცდება. გაფართოებული ინდივიდუალური წარმოების მაგივრად, რომელშიაც დამხმარე ძალები (erweiferter gehiltęnbefrieb) არიან დაბანდებულნი და რაიც ძველი ტიპის საოჯახო მრეწველობაში გვხვდებოდა — აქ უკვე დასანახი ხდება საზოგადოებრივი წარმოება. თუ ძველი ტიპის სახელოსნოების მუშაობას ძველი სამრეწველო წესების ნაშთები ემჩნევა, სახელოსნოთა ამ ახალ ორგანიზაციაში ჩვენ ვამჩნევთ მრეწველობის უფრო განვითარებული ფორმების ჩანასახს. ახალი ტიპის მრეწველობის საოჯახო ფორმის სახელოსნოში მუშაობის ყველაზე თვალნათლივ მაგალითს წარმოადგენს ეგრედწოდებული კონფექციონური ინდუსტრია (გამზადებული ტანისამოსის წარმოება). მან პირველად განვითარება იწყო ინგლისში, სადაც წარმოების სხვა ფორმებიც უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში. ეს ფორმები ინგლისიდან შემდგომ ყველა დანარჩენ კულტურულ სახელმწიფოში ვრცელდება ხოლმე.

(ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი — კრებულიდან „შინამრეწველობა").

§ 4. შინამრეწველობის წარმოება

შინამრეწველობაზე გადასვლის დროს წარმოებაში მომხდარი გადატრიალება — მის სრულიად ახალ ორგანიზაციაში გამოიხატება.

უკვე საშუალო საუკუნეთა დამლევს მრეწველობის ზოგიერთ დარგში ამქართა შორის შრომის ისეთი განაწილება მოხდა, რომ ხე-

ლოსნები ველარ ასერხებდენ თავისი ნაკეთობის უშუალოდ მომხმარებელზე გასაღებას.

ხელოსანი, პროდუქტის დამზადებაში მხოლოდ რაიმე ნაწილობრივ მუშაობას ასრულებდა, და იძულებული იყო საბოლოოდ დაუმთავრებელი პროდუქტი სხვა ხელოსნისათვის გადაეცა. მაგალითად, მატყლის მრეწველობაში არსებობდა ამქარი მრთველებისა, ფეიქრებისა, მთელავებისა, მკრეჭელებისა, მღებრებისა და სხვ. რკინეულობის წარმოებაში — ამქარი მჭედლებისა, მწრთობელებისა, მფერავებისა, იარაღის ქარქაშის დამამზადებელთა და ა. შ.

შრომის ასეთი დანაწილების დროს პროდუქტის გაყიდვა, რასაკვირველია, შეეძლოთ მხოლოდ ისეთს ხელოსნებს, რომელნიც ამ პროდუქტს საბოლოოდ ამზადებდენ. ცხადია, შრომის ასეთი დანაწილების გამო წარმოება იზრდებოდა, რასაც ბაზრის გაფართოებაც მოსდევდა. ამიტომ ის ხელოსნები, რომელნიც თავის ნაკეთობით ასაღებდენ მომხმარებელსა ან ვაჭრებზე, ხელმძღვანელის როლს თამაშობდენ. ისინი მეპატრონეები ხდებოდენ, ხოლო დანარჩენი ხელოსნები, წინასწარ მუშაობას რომ ასრულებდენ, — დაქირავებულ მუშებად იქცეოდენ.

ასეთი მეპატრონენი წარმოდგებოდენ ან იმ ვაჭართაგან, რომელნიც ხელოსნებისაგან ყიდულობდენ გასასაღებლად მათს საქონელს, ან ისეთ ხელოსნებისაგანვე, რომელნიც პროდუქტების გასაღების ფუნქციებს კისრულობდენ და ამიტომ მეწარმე-ვაჭრად გადაიქცეოდენ ხოლმე. ორსავე შემთხვევაში შედეგი ერთნაირი იყო: ხელოსნები ხდებოდენ დაქირავებულ მუშებად, მეპატრონე-შემკვეთლისაგან ღებულობდენ სამუშაოს და ხშირად დამზადებულ მასალებსაც; ისინი, როგორც დაქირავებულნი, მეპატრონეებისაგან განსაზღვრულ ჯილდოს იღებდენ.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, თუ როგორაა მოწყობილი მატყლის ქსოვილთა წარმოება ინგლისში. ასეთივე იყო მრეწველობის სხვა დარგთა ორგანიზაციაც იქ, სადაც წარმოება ფართოდ განვითარდა. ზოლინგენში ეს ხელოსნები, მჭედლებისა, მფერავებისა და მექარქაშეთა მიერ წინასწარ დამუშავებულ იარაღს რომ აგროვებდენ, ბოლოს და ბოლოს წარმოების ორგანიზატორებად იქცენ. ისინი მიღებულ იარაღს აგროვებდენ, დაჰქონდათ ბაზარ-ბაზარ და იქ მომხმარებლებზე ასაღებდენ. ზოგიერთი ხელოსანი თანდათან, იარაღის ბარტო გასაღებას ეწეოდა, შინამრეწველ ხელოსნებს შეკვეთებს აძლევდა, და თანაც წარმოებისათვის საჭირო ყველა მასალას აწვდიდა.

ზოლინგენის დანების მრეწველობაში ზოგიერთი ხელოსანი ყიდულობდა სხვადასხვა ხელოსნის მიერ დამზადებულ დანის ცალკე ნაწილებს, აგროვებდა თავის სახელოსნოში და ამნაირად გამზადებულ ნაკეთობათა მასიურ გასაღებას აწყობდა. დანების ცალკე ნაწილთა გამკეთებელი ხელოსნები ნელ-ნელა დაქირავებულ მუშებად საკუთარი შემსყიდველთაგან დამოკიდებულ ადამიანებად გადაიქცენ.

ქალაქელ ხელოსანთა შორის წარმოების ორგანიზაციის დარგში მომხდარი ცვლილებები შედარებით უმნიშვნელო ამბავი იქნებოდა, მრეწველობაში სოფლის მოსახლეობა რომ არ ყოფილიყო ჩაბმული. გლეხთა მიერ მიწის დაკარგვისა და მიწის რენტის აწევის პროცესმა წარმოშვა მზამზარეული კადრები სოფლელი ხელოსნებისა, რომელნიც თავის შრომას ქალაქელ ხელოსნებზე ბევრად უფრო იაფად ჰყიდდენ. შემსყიდველ-ვაჭრები წარმოების ორგანიზაციას შეუდგნენ სწორედ სოფლელ შინამრეწველ მუშათა დაქირავების გზით.

ეს ორგანიზაცია ისეთივე იყო, როგორც ქალაქში. შემსყიდველი აწვდიდა მასალას სოფლელ შინამრეწველს და ეს უკანასკნელიც დაამუშავებდა მას შემკვეთელ მეპატრონისათვის. შემსყიდველის მიერ მოწყობილი წარმოების სიდიდე დამოკიდებული იყო დასამუშავებლად დარიგებულ მასალის ოდენობასა და დაქირავებულ შინამრეწველთა რიცხვზე. შემსყიდველს შეეძლო გაეფართოებინა ან შეეზღუდა წარმოება მხოლოდ და მხოლოდ ბაზრის მოთხოვნის მიხედვით.

სოფლელ შინამრეწველთა კონკურენცია ქალაქელ ხელოსნებისათვის განსაკუთრებით დამღუპველი იყო. ეს იმიტომ რომ სოფლელ შინამრეწველს ცოტაოდენი მიწა მაინც მოეპოებოდა და ქალაქელ ხელოსანთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლები ხელფასით კმაყოფილდებოდა.

სოფლის მოსახლეობის ჩაბმა წარმოებაში — იაფფასიან მუშახელის უსაზღვრო დიდს რეზერვუარს ჰქმნიდა, და ეს მუშა ხელი ფართოდ მოწყობილი წარმოებისათვის საკმარისი იყო. ამიტომ მეწარმე კაპიტალისტი მუშახელის ნაკლებობას არა გრძნობდა. მას პროდუქტთა გასაღებისათვის მხოლოდ ბაზრის გაფართოება ესაჭიროებოდა. ამიტომ შინამრეწველობაზე გადასვლა იწვევს ბაზრის უზრუნველყოფისა და გაფართოებისათვის მუდმივს ზრუნვას. ამ ზრუნვას კისრულობს სახელმწიფო.

(პ. მ ა ს ლ ო ვ ი — სახალხო მეურნეობის ისტორიის კურსი; კრებულიდან: „შინამრეწველობა“).

§ 5. შინამრეწველობის ზოგადი დახასიათება

შინამრეწველობად იწოდება ისეთი წვრილი წარმოება, რომელიც ფართო ბაზრისათვის მუშაობს; შინამრეწველობა ხელოსნობისაგან არსებითად მითი განირჩევა, რომ ამ შემთხვევაში მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ყოველთვის სდგას შუამავალი. მრეწველობის ეს ფორმა თავისი ეკონომიური ბუნებით სასტიკად განსხვავდება ხელოსნობისაგან, რადგანაც კაპიტალისტ-შუამავლის აუცილებლობა მეტად თუ ნაკლებათ ავიწროებს წვრილ მწარმოებლის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. მიუხედავად ამისა უნდა განვასხვავოთ ორი ძირითადი ტიპი შინამრეწველობისა. ერთ ტიპში ვამჩნევთ, რომ მწარმოებელი სავსებით დამორჩილებულია კაპიტალისტისადმი. ეს ტიპი შეიძლება შინამრეწველობის დამოკიდებულ ფორმად იწოდოს. მეორე ტიპი შეიძლება თავისუფალ ფორმად იწოდოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში წვრილი მწარმოებლის კაპიტალისტისადმი მორჩილება არც ისე აშკარად გეევლინება, — საქონლის წვრილი მწარმოებელი შედარებით (მაგრამ მხოლოდ შედარებით და არა მთლიანად) თავისუფალია.

დამოკიდებული ფორმა (რომელიც სხვანაირად მსხვილი მრეწველობის საოჯახო სისტემად იწოდება) თავის მხრივ, — მსგავსად ხელოსნობის ორ ფორმისა — არსებობს ორგვარ სახეში, როგორც საოჯახო მრეწველობის გამყიდველობითი (Kaufsystem) და საქირაო (Lohnsystem) სახე, ორივე ეს სახეობანი მითი ხასიათდებიან, რომ წვრილი მწარმოებელი მუდმივად ერთსა და იმავე ვაჭარ ანუ მრეწველ კაპიტალისტისათვის მუშაობს, რომელთანაც ის ეკონომიურად იმდენად ჭიდროთაა დაკავშირებული, რომ ამა თუ იმ კაპიტალისტური საწარმოს ორგანიულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს ორი სახე საოჯახო მრეწველობისა ერთმანეთისაგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდებიან. გამყიდველობითი სახის დროს წვრილი მწარმოებელი ფორმალური მხრით თავის პროდუქტის მესაკუთრედ გამოდის. გარეგნულად კაპიტალისტსა და წვრილი მწარმოებლის ურთიერთ მიმართება ამ შემთხვევაში თავისუფალ ხასიათს ატარებს, მაგრამ რამდენადაც მწარმოებელი ფაქტიურად იძულებულია რათა თავისი საქონელი მიჰყიდოს სახელდობრ მოცემულ კაპიტალისტ-მოვაჭრეს, რომელთანაც ის ეკონომიურად დაჭოკიდებულია (მაგ., ყიდულობს რა მისგან ნედლ მასალას, ჩაფლულია მის გამოუვალ ვალებში), ცხადია რომ ფაქტიურად მოცემულ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა საქირაო შრომა, მუშაობა კაპიტალისტის შეკვეთაზე.

შინამრეწველობის მეორე სახეში წვრილი მწარმოებელი არა მხოლოდ არსებითად, არაშედ ფორმალურადაც იურიდიულად გვევლინება როგორც კაპიტალისტის დაქირავებული მუშა. საოჯახო მრეწველობის ამ სახეობაში შინამრეწველი მუშაობს, როგორც კაპიტალისტის მიერ უშუალოდ დაქირავებული, ღებულობს რა მისგან ნედლ მასალას და ხანდისხან სამუშაო იარაღებსაც. ამ შემთხვევაში წვრილი მწარმოებელი მხოლოდ იმით განსხვავდება მუშისაგან, — რომელიც დაქირავებით მუშაობს კაპიტალისტის სახელოსნოში, — რომ ის საკუთარ სახლში შუშაობს. ამრიგად დამოკიდებული შინამრეწველობის სისტემის ეს სახე იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ მასში დამქირავებელი (მეპატრონე) გამოდის როლში მრეწველი კაპიტალისტისა, ხოლო პირველ სახეში კი — ვაჭარ-კაპიტალისტის, შემსყიდველის როლს თამაშობს.

მაგრამ დამოკიდებული საოჯახო სისტემის ამ ორი სახით არ ამოიწურება შინამრეწველობის ყველა ფორმები: შინამრეწველობა შეიძლება მოგვეველინოს უფრო თავისუფალ ფორმაშიაც. ავიღოთ, მაგალითად, მე-XIX საუკუნის დამდეგის ინგლისელი წვრილი მემაუდენი; ოსტატი-მემაუდე თვითონ ჰყიდულობდა მატყლს, რომელსაც უხეშ მაუდათ აქცევდა, მაგრამ ამ მაუდს მომხმარებელზე უშუალოდ როდი ყიდდა, არამედ განსაკუთრებულად მოწყობილ მაუდის ბირჟაზე, რომელიც იორკშირის ყველა უმთავრეს ქალაქებში იყო, ასაღებდა მას მაუდით მოვაჭრეებზე. ყოველ ოსტატს თავისი განცალკევებული ადგილი ჰქონდა ბირჟაზე და იგი მაუდს თავისუფალ ფასებში ჰყიდდა. ასეთი ოსტატი ხელოსანი არ იყო, რადგანაც ხელოსნის განმასხვავებელ ხასიათს წარმოადგენს მუშაობა მომხმარებლისათვის და არა ვაჭრისათვის. მეორე მხრით ეს არც საოჯახო კაპიტალისტური სისტემაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ წვრილი მწარმოებლის თავისუფლებას — მიჰყიდოს თავისი საქონელი ვისაც მოესურვება. მაშასადამე, მაუდით მოვაჭრე არ-ყოფილა წვრილი მემაუდის დამქირავებელი. მართალია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წვრილი მწარმოებელი სავსებით დამოუკიდებელი ყოფილიყოს ვაჭრისაგან. რადგანაც ვაჭარი ფლობდა კაპიტალს, და მაუდის ბაზარიც მის ხელში იყო, ცხადია, წვრილი მწარმოებელი აუცილებლად მოხდებოდა შეტად თუ ნაკლებ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ვაჭრის მიმართ, — მისი თავისუფლება მხოლოდ შედარებითი იყო, და მხოლოდ ამგვარ შედარებითი გაგებით შეიძლება ლაპარაკი შინამრეწველობის თავისუფალ ფორმაზე.

ამრიგად ჩვენ ვაკვირდებით ორ ტიპს შინამრეწველობისა. ერთ შემთხვევაში (დამოკიდებული ფორმა) პროდუქტის გამომუშავება ხდება რომლისამე გარკვეულ მრეწველ-კაპიტალისტისათვის სანაჭრო სისტემა), ან ვაჭრისათვის (გამყიდველობითი სისტემა). ხოლო მეორე შემთხვევაში (თავისუფალი ფორმა) წვრილ მწარმოებელს აქვს არჩევანის თავისუფლება, მას შეუძლია თავის პროდუქტი ამა თუ იმ ვაჭარს. საკუთარი შეხედულებისა და მიხედვით, მიჰყიდოს. ეს ორი ფორმა სასტიკად უნდა იქნეს განსხვავებული. საერთოდ, დაკვირვებიდან სჩანს, რომ კაპიტალისტური შეურნეობის განვითარებისადა მიხედვით, შინამრეწველობის თავისუფალი ფორმა დამოკიდებულ ფორმად იქცევა, კაპიტალი სულ მეტად და მეტად იმორჩილებს წვრილ მწარმოებელს.

მსხვილი მრეწველობის საოჯახო სისტემამ (სხვა სიტყვებით — შინამრეწველობის დამოკიდებულმა ფორმამ) ფრიად დიდი როლი ითამაშა კაპიტალიზმის განვითარების ისტორიაში, — მხოლოდ ამ სისტემის საშუალებით ნელ-ნელა დაიპყრო კაპიტალმა წარმოება. სახელდობრ ეს სისტემა იყო გაბატონებულ ტიპად კაპიტალისტური წარმოებისა მე-XVIII საუკუნეში. ეს ფაქტი შეიძლება სავსებით დამტკიცებულად ჩაითვალოს, თუმცა ზუსტი სტატისტიკური ცნობების მოყვანა შეუძლებელია, რადგან მე-XVIII საუკუნეში საშრეწველო სტატისტიკა მხოლოდ ჩანასახების სახით არსებობდა.

ინგლისში მე-XVIII საუკ. საოჯახო სისტემის ზრდა მტკიცდება ძველ რიგ არაპირდაპირი ნიშნებით — მაგ., ინგლისის პარლამენტის ბიერ შთელ რიგ სასტიკი კანონების გამოცემით, რომელიც დამქირაკებელთა მასალის გაფუჭებისათვის სასჯელს აწესებდა. ბამბეულის წარმოება ინგლისში პირველად წარმოიშვა გაყიდვითი საოჯახო სისტემის ფორმაში, რომელმაც შემდეგში ძლიერ ჩქარა საჭირო სისტემის ფორმაში, რომელმაც შემდეგში ძლიერ ჩქარა სანაჭრო ბიდამოების ფეიქრები ყიდულობდენ მსხვილი ვაჭრებისაგან ბამბის ნართს, ქსოვდენ მას და პროდუქტს იმავე ვაჭრებზე ყიდდენ ხოლმე. ხოლო შემდეგში კი-დაახლოვებით მე-XVIII საუკ. შუა წლებში საწარმოს შეპატრონეთა და მწარმოებელთა მიმართებანი სულ უფრო დამოკიდებული ხდებიან: კაპიტალისტი ახლა თვითონ ურიგებს მუშებს ნართს. ხოლო მუშა კი განსაზღვრულ სანაჭრო ფასად ქსოვს შემკვეთ-კაპიტალისტისათვის.

მსხვილი მრეწველობის საოჯახო სისტემა მე-XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნებში ვითარდება. ის შეუმჩნეველი გარდამავლობით ნაწილობრივ საამქრო ხელოსნებისაგან წარმო-

სდგა. ამავე დროს ძნელია იმის დადგენა, თუ სად თავდებოდა ამქრული ხელოსნობა და სად იწყებოდა საოჯახო სისტემა. ნაწილობრივ საოჯახო სისტემა წარმოსდგა საკუთარ საჭიროებისათვის, გლეხთა საოჯახო წარმოებიდან, — გლეხებმა, რომელნიც თავდაპირველად თავიანთ ნაჭარბ პროდუქტებს ბაზარზე ყიდდენ ბოლოს, მუშაობა სპეციალურად გასაღების მიზნით დაიწყეს და თავიანთი ნაკეთობათ გარკვეულ ვაჭრებზე ყიდდენ ე. ი. საოჯახო მუშაობად გადაიქცნენ. საოჯახო სისტემის განვითარებისათვის სოფელი მით უფრო კეთილგანწყობილი ასპარეზი იყო, რომ სოფლის მრეწველობა ამქრის ხელისუფლების მიღმა იდგა, შემავიწროებელი საამქრო წესებისაგან თავისუფალი იყო. ამიტომ ვაჭრები არა იშვიათად, ამქრის კონტროლისაგან აცილების მიზნით სოფლებში არიგებდენ ნედლ-მასალას დასამუშავებლად და, ამრიგად ისინი სოფელში ქმნიდენ სულ ახალ სარეწაოებს, რაიც საოჯახო სისტემის წარმოშობის მესაზე წყაროდ მოევლინა. — მიუხედავად ამისა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს დროში საოჯახო სისტემამ შეჭამა თავისი დრო და მას აწი არ შეეძლოს კაპიტალისტური ფაბრიკასთან კონკურენციის გაწევა. წინააღმდეგ, სახელდობრ კაპიტალისტური განვითარების უახლოესი პირობები ზოგიერთ შემთხვევებში ხელს უწყობს კაპიტალისტური მრეწველობის ამ ფორმის განვითარებას. ასე. იგი ძლიერ გავრცელებულია ლონდონში, ბერლინში და სხვა მრავალ მსხვილ ქალაქებში. ინგლისში ამ სისტემას „Sweating system"-ს „ოფლის გამოწურვის სისტემას" წოდებენ.

თანამედროვე მეურნეულ წყობაში საოჯახო სისტემის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კაპიტალისტს საშუალებას აძლევს რათა მუშის ექსპლოატაცია მაქსიმუმამდე აიყვანოს. საოჯახო სისტემაში კაპიტალისტის მიმართ მუშა სრულიად უმწეოა. მუშაობენ რა ოჯახში მუშებს არ შეუძლიათ ორგანიზირება თავიანთ საერთო ინტერესების დასაცავად, რადგანაც ისინი ჩვეულებრივად არც კი იცნობენ. მუშების ასეთი უორგანიზაციულობა კაპიტალისტისათვის სახეიროა: მას საშუალება ეძლევა ხელფასი მინიმუმამდე დასწიოს, ხოლო სამუშაო დღე მაქსიმუმამდე აიყვანოს. გარდა ამისა საოჯახო სისტემის დროს კაპიტალისტი არ საჭიროებს სამუშაო შენობათა აგებასა და მუშების საწარმოო იარაღებით მომარაგებისათვის ხარჯების გაწევას. — მის მიერ გაწეული წარმოების ხარჯები შესდგება მხოლოდ ხელფასისა და ნედლი მასალის ყიდვისაგან. შემდეგ, საოჯახო სისტემის დროს კაპიტალისტს შეუძლია, დასტოვოს რა თავისი მუშები უმუშევრად საქონლის მოთხოვნის, ყოველგვარ შეშცი-

რებისთანავე წარმოება სწრაფად შეამციროს. მაშინ როდესაც ფაბრიკანტი ამ შემთხვევაში საფაბრიკო შენობებისა და მანქანების უქმად დგომისათვის ჰკარგავს პროცენტებს. ამგვარად, საოჯახო სისტემის დროს სამრეწველო კრიზისის (застой) მთელი სიმძიმე მუშებს აწვება. დასასრულ, საოჯახო სისტემის დროს კაპიტალისტს საშუალება ეძლევა გვერდი აუაროს საფაბრიკო კანონმდებლობის მისთვის საზიანო მოთხოვნებს. ერთი სიტყვით, კაპიტალისტის თვალსაზრისით საოჯახო სისტემის სარფიანობა იმაშია, რომ შესაძლებელი ხდება მუშის ექსპლოატაციის უმაღლეს წერტილამდის აყვანა, და სწორედ ამიტომაა, რომ ეს სისტემა ასე სიცოცხლის უნარიანია, მიუხედავად იმისა, რომ მის დროს წარმოება აუცილებლობით წვრილი და ტეხნიკური მხრივაც ფრიად პრიმიტიული რჩება. ამ სისტემის უხეირობა კაპიტალისტის თვალსაზრისით იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მეპატრონისაგან დასამუშავებლად წაღებული ნედლი მასალა მუშამ გააფუჭოს ან გაყიდოს, და ასევე კაპიტალისტს არ შეუძლია გაუმჯობესებული საწარმოო იარაღებისა და ხერხების შემოღებით ასწიოს შრომის ნაყოფიერება.

როგორც არ უნდა იყოს, საოჯახო სისტემა მრეწველობის ფრიად სიცოცხლე უნარიანი ფორმა აღმოჩნდა, რომელმაც ბუდე გაიდგა განსაკუთრებით მსოფლიო სატახტო ქალაქებში, სადაც თავს იყრიან უმუშევარ პროლეტართა მასები — რომლებიც „ოფლის გამოწურვის სისტემის" მსხვრეპლი ხდებიან.

ფაბრიკებში და სხვ. შრომის სანიტარული პირობების მზრივ კანონის სასტიკ მოთხოვნათა გაძლიერებას ინგლისში მოყვა ის, რომ წარმოების მთელ რიგ დარგებში იწყო განვითარება შინა მუშაობამ. მეფაბრიკეს ფაბრიკის დაკეტვა და საოჯახო სისტემაზე გადასვლა უფრო ხელსაყრელად შიაჩნდა.

გერმანიაში ვამჩნევთ, რომ საოჯახო სისტემა საერთოდ ეცემა, განსაკუთრებით ტექსტილურ წარმოებაში; ეს იმის გამო, რომ ამ დარგში მანქანურ შრომას ხელით მუშაობასთან შედარებით უდიდესი უპირატესობა აქვს, და ხელით მომუშავე ფეიქარს ვერ ძალუძს წარმატებით კონკურენციის გაწევა ორთქლის საქსოვ დაზგასთან. წინაალმდეგ ქალალდის წარმოებათა, ტანისამოსის, საკვებ პროდუქტთა დამზადებისა და შრომის სხვა დარგებში, საოჯახო სისტემა ბევრათ უფრო სიცოცხლე უნარიანი გამოდგა. საერთოდ, გერმანიაში, შინამუშა 1882 წ. (მეპატრონეთა ჩვენებით) იყო 544.980, 1895 წ. — 490.711, 1907 წ. — 482.436.

მიუხედავად ტეხნიკის პრიმიტიული პირობებისა საოჯახო სისტემა სცვლის რა შრომის ნაყოფიერების აწევას (რომელსაც შანქანა იძლევა) მუშის გაძლიერებული ექსპლოატაციით, — არა იშვიათად წარმატებით ებრძვის ფაბრიკას. ამრიგად, კაპიტალიზმი მოცემულ შემთხვევაში ხელს უწყობს რა ხელით მუშაობაზე და წვრილ წარმოებაზე დამყარებულ მრეწველობის ფორმებს, მით აბრკოლებს ტეხნიკურ პროგრესს.

(მ. ტუგან-ბარანოვსკი — პოლიტ.-ეკონომიის საფუძვლები).

§ 6. შინამრეწველობის განვითარება

მრავალ სამრეწველო ნაკეთობათა გასაღების ხასიათში მომხვდარ ცვლილებებმა, ქვეყნის შიგნით კონკურენციის გაჩენამ, — როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, — გამოიწვია ცვლილებები მათი წარმოების ფორმაში და მრეწველობის ახალი ფორმების წარმოშობა. ერთის მხრივ, მრავალ სამრეწველო ნაკეთობათათვის აუცილებელი იყო შორეულ ბაზრებზე სიარული და, მაშასადამე, ხელოსნების მიერ მთელი აძ დროის განმავლობაში წარმოების მიტოვება; ხოლო, მეორეს მხრივ, კონკურენცია მოითხოვდა სხვადასხვა ადგილების მცხოვრებ მყიდველთა მოთხოვნილებების დიდ-ცოდნას, დიდ ენერგიას, დიდ ჯაფას საქონლის გასაღებაში. ორივე ამ მიზეზებისა გამო ამქრის ოსტატს არ შეეძლო თავის ხელში შეენარჩუნებინა გასაღების საქმე. მას არ შეეძლო შეეჩერებინა წარმოება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მას არ ჰქონდა გამოცდილება ვაჭრობაში, — ეს უკანასკნელი მისთვის შეადგენდა ყოველთვის არა უმთავრეს, არამედ დამატებით საქმიანობას. უნდა მომხდარიყო დიფერენციაცია ამქრის ოსტატთა შორის, უნდა მომხდარიყო ფუნქციების დანაწილება საქონელთა მწარმოებლებსა და გამყიდველთა შორის, რომელიც წინად გაერთიანებული იყო ერთსადაიმავე ხელოსნის პიროვნებაში. ზოგიერთები, არა მრავალი მათთაგან, რომლებიც ფლობდენ კომერციული უნარიანობით და რომლებმაც უკვე წინდაწინ მოასწრეს გარკვეული კაპიტალის დაგროვება, თანდათან სტოვებდენ წარმოებას, და სულ უფრო აბანდებდენ თავიანთ თავს განსაკუთრებით გასაღების სამრეწველო ნაკეთობებისა; ისინი იქცეოდენ შემსყიდველ-მეწარმეებად. თავდაპირველად მათი სავაჭრო ბრუნვები არც ისე მნიშვნელოვანნი იყვნენ; მათ მიჰქონდათ ნაწილი საგნებისა, რომელთაც აკეთებდენ ამქრის სხვა წევრები, მათი ბაზარზე გასასაღებლად, და იქიდან დაბრუ-

ნებისას, თვითონაც ხელახლა შეუდგებოდენ მუშაობას. მაგრამ თავის სავაჭრო მოღვაწეობის გაფართოებასთან ერთად, ისინი თანდათან ამცირებდენ და, დასასრულ, საესებით სწყვეტდენ წარმოებას, და თავიანთ სპეციალობად განსაკუთრებით ნაკეთობათა გასაღებას იხდიდენ, იმ ნაკეთობათა გასაღებას, რომელიც სხვა ოსტატებს დაემზადებინათ, რომელთაც ისინი ახლა შეკვეთებს აძლევენ. უკანასკნელნი, სახელდობრ ოსტატთა უდიდესი უმრავლესობა, ამასთანავე ერთად იქცეოდენ განსაკუთრებით საქონელთა მწარმოებლებათ, თანდათან უფროდაუფრო სწყვეტდენ კავშირს მომხმარებლებთან და თავიანთ პროდუქტებს ასაღებდენ მხოლოდ ერთ შემსყიდველებზე; მაშასადამე მათ ტარი სთქვეს მოვაჭრის ყოველგვარ ფუნქციებზე.

ამგვარად წარმოიშვა წარმოების მრავალ დარგში საოჯახო მრეწველობა ანუ შინამრეწველობა, სადაც ოსტატი, მუშაობს რა ძველებურად თავისთან ოჯახში, თავის სახელოსნოში, ქარგლებითა და შეგირდებით, ამავე დროს პროდუქტებს უკვე მომხმარებელზე კი არ ასაღებდა, არამედ აწოდებდა მათ შემსყიდველ-მეწარმეს — მისსა და მომხმარებელს შორის არსებულ შუამავალს. ასე, ზოლინგენის ცივი იარაღების წარმოებაში, თოფ-იარაღის მრეწველობის განთქმულ ცენტრში „თავდაპირველად, — ამბობს ტ უ ნ ი (Thun) — მოვაჭრეები, რომლებიც იარაღებს ასაღებდენ, იმავე დროს ხელოსნებადაც იყვნენ, და დაბრუნდებოდენ რა ბაზრობიდან ხელახლად შეუდგებოდენ თოფების კეთებას და დაშნებისათვის დანების გამოჩარხვას. მაგრამ რაც უფრო ფართოვდებოდა ზოლინგენის ვაჭრობა, რაც უფრო ცალკე მოვაჭრეები, უფრო ენერგიულნი, უფრო მომჭირნენი და მეტი წარმატების მქონენი, იწყებდენ განსაკუთრებით სავაჭრო მოღვაწეობაზე გადასვლას, მით უფრო ისინი გამოეყოფოდენ ვაჭართა დამოუკიდებელ კლასად. ამასთანავე ერთად წარმოების ხელოსნური ფორმა თანდათან გადადის შინამრეწველობაში. თვითონ მჭედლები სულ უფროდაუფრო იშვიათად ჰყიდიან დაშნებს, სულ უფროდაუფრო საყოველთაო მოვლენად ხდება, რომ ისინი მუშაობენ, როგორც სხვა ოსტატები, ვაჭართა შეკვეთების თანახმად“. ამგვარად ჩნდება შემსყიდველი-მოვაჭრე (Händler, marchand). „კომპანიის წევრთა მთავარ მოღვაწეობას შეადგენს ის, რომ ისინი აძლევენ ბამბას დასართველად გარკვეულ გასამრჯელოზე ანდა ჰყიდულობენ ნართს, რომლიდანაც უკვეთავენ სხვადასხვა ქსოვილთა მოქსოვას, შემდეგში, უკანასკნელს აძლევენ მთეთრებელს, და როდესაც ისინი საესებით მზად არიან, ჰყიდიან, რისთვისაც მათ უნდა ეწოდებოდესთ „ბამბეულის საქონლით მოვაჭრეები“ (Baumwollwaren-Händler).

წარმოების ამ ახალი ფორმის ჩანასახები ჩვენ შეგვიძლია ვიპოვნოთ უკვე ძლიერ ადრე, საქონელთა დამზადების ერთეული შემთხვევების სახით ხმქრის ოსტატების მიერ, სხვა ოსტატებისავე ანუ ვაჭრების შეკვეთის თანახმად. მაგრამ, იმ დრომდე, სანამ ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო, და საერთო წესის თანახმად ოსტატი აწარმოებდა უშუალოდ მომხმარებლისათვის, ჩვენ საქმე გვაქვს კიდევ ხელოსანთან და არა შინამრეწველთან. ცალკე ქვეყნებსა და დარგებში წარმოებისა უკვე საშუალო საუკუნოებში განვითარება მიდის, ბევრად შორს, და მუშაობა შემსყიდველისათვის უფროდაუფრო უმნიშვნელოვანესი ხდება. ეს ხდებოდა იმ არა მრავალ შემთხვევებში, როდესაც უკვე საშუალო საუკუნოებში ნებადართული იყო ქალაქებში ამათუიმ სამრეწველო ნაკეთობათა თავისუფალი შემოტანა, ე. ი. მაშინ, როდესაც რომელიმე კუთხე სარგებლობდა ფაქტიური მონოპოლიით მოცემული მრეწველობისა. აქედან იყო, რომ უკვე მე-XIV საუკ. განვითარდა შინამრეწველური წარმოების ფორმა იტალიის ქალაქებში: ლუკკში, ვენეციაში, გენუაში, რომლებიც აწარმოებდენ აბრეშუმის ნაქსოვებს მთელი ევროპისათვის; — ფლამანდიისა და იტალიის ქალაქებში სადაც თავმოყრილი იყო სათუთად-ქსოვილ შეღებილ მაუდთა წარმოება (ბრიუგე, გენტი, იპრი, სენტ-ომერი, ლილი, დუე, არრა, ფლორენცია, მილანი, ვენეტიკი). ამ შემთხვევებში პროდუქტები მზადდებოდენ არა მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისათვის, მაგრამ აგრეთვე, უწინარეს ყოვლისა, გატანისათვის, რისთვისაც წარმოსდგა კიდევაც შემსყიდველ-მეწარმეთა კლასი. ამასვე ვამჩნევთ, მეტალის ნაკეთობათა წარმოებაში ნიურნბერგისა, იარაღების წარმოებაში ბრესტისა და მილანისა, რადგან ეს ქალაქები საშუალო საუკუნოებში სარგებლობდენ ფაქტიური მონოპოლიით ამ წარმოებაში.

მაგრამ ამ და მხოლოდ ამ შემთხვევათა გამონაკლისს გარდა საშუალო საუკუნოებში შინამრეწველობა არ არსებობდა და არც შეეძლო მას არსებობა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გასაღების ფართე ბაზარი. მხოლოდ მეურნეული წყობის ცვლილებისადა მიხედვით, შემდგომ საუკუნეებში, წარმოების ამ ფორმას შეეძლო მიეღო ძლიერი გავრცელება; ახლა ის შეესაბამებოდა გასაღების ახალ პირობებს. ამასთანავე ერთად, შინამრეწველობამ შეინარჩუნა წინანდელი ხასიათი წვრილი წარმოებისა და „ხელის" ტეხნიკისა, მაშასადამე, მას არ გამოუწვევია არავითარი სხვა ცვლილებები, არ გაუკეთებია არავითარი ნახტომები წინანდელი ხელოსნური ფორმიდან მსხვილი წარმოებისაკენ; მხოლოდ გასაღება კი იყო ორგანიზირებული მსხვილი წარმოების საფუძვლებზე. ამიტომაც თანამედროვეთა თვალში, ის,

არსებითად წარმოადგენდა, იმავე ხელოსნობას (თვით მე-XIX საუკუნის ეკონომისტებიც კი დიდი ხნის განმავლობაში ვერ არჩევდენ წარმოების შინამრეწველურ ფორმას ხელოსნური ფორმისაგან), მხოლოდ ისეთ ხელოსნობას, რომელიც ვაჭრის სამსახურით სარგებლობდა; ამ გარემოებამ, უდავოა, გაადვილა მისი გავრცელება, იმ დაბრკოლებათა დაძლევა, რომელსაც მას წინ უყენებდა ამქრული ორგანიზაცია.

დაბრკოლებანი, რომელთაც თავის მხრივ ხვდებოდა შინამრეწველობა, უწინარეს ყოვლისა მდგომარეობდა, იმაში, რომ, თანახმად საშუალო საუკუნოებრივი ამქრული სტატუტებისა, ყოველი ოსტატი ვალდებული იყო დამოუკიდებლად გაესაღებინა მის მიერ დამზადებული ნაკეთობანი მომხმარებლებზე; და შემდგშიაც, მე-XVI — XVII საუკუნეებში, ამქრები გადაწყვეტით მოითხოვდენ ამ წესის დაცვას. მხოლოდ თანდათანობით ამქრები იძულებული შეიქნენ უარი ეთქვათ ამ პრინციპიდან და დაეშვათ, რადგან წარმოშობილიყო დიდი რაოდენობა ღარიბი ოსტატებისა, რომლებიც ვერ ასაღებდენ თავიანთ საქონელს, რათა უფრო შეძლებულებს შეეძინათ მათგან ეს საქონლები გასაყიდათ და მიეცათ მათთვის ახალი შეკვეთები. ხოლო შემდეგში კი ამქრებს მოუხდათ კიდევ შემდგომ დათმობაზე წასვლა: დათანხმება იმაზე რომ ერთი ამქრის ოსტატები შეკვეთებს აძლევდენ მეორისას, შესწყვიტონ რა ამავე დროს თვითონ წარმოება და გახდენ განსაკუთრებით მოვაჭრეებათ. პარიზში 1575 წ. სტატუტის თანახმად სამუშაოს სახლში აღება, სხვა ოსტატების შეკვეთით, მხოლოდ იმ ხელოსნებს შეეძლოთ, რომლებიც გაღარიბებული იყვნენ, და რომელთაც არ შეეძლოთ საკუთარი სახელოსნოს შენახვა ანდა გახსნა; „ამ შემთხვევაში შეიძლება მათ მიეცეს სამუშაო, რათა მათ შეეძლოთ მოიპოონ თავიანთთვის საზრდო". 1548 წ. გამოსული ინგლისური კანონი უკრძალავდა ტყავეულობის ამქრის მდიდარ ოსტატებს, რომ ამათ მასალით მოამარაგონ ღარიბები, მაგრამ შემდეგი წლისათვის იძულებული შეიქნენ მოეხსნათ ეს აკრძალვა, მოტივირებით, რომ „სხვაგვარად მოქცევა არ შეიძლება"...

...მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან როლს შინამრეწველობის განვითარებაში თამაშობდა არა საქალაქო, არამედ სასოფლო მოსახლეობა, რომელთა შორისაც ისევ ქალები სჭარბობდენ. შინამრეწველობა სოფლებში მრავალ შემთხვევაში წარმოიშვა საოჯახო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მუშაობიდან, ხოლო აქედან უკვე გადავიდა ქალაქებში. მაგრამ იმ შემთხვევებშიაც, როდესაც ის პირველად გაჩნდა ქალაქებში, შემდეგში ის ვრცელდება ქალაქის მოსაზღვრე სოფლებში; სწორედ იმ ადგილებში, სადაც წარმოების ამ ფორმამ

ძიილო მნიშვნელოვანი განვითარება, სოფლის მცხოვრებლები შეადგენდენ მუშების მთავარ კონტინგენტს. იმის გამო, რომ მიწათმოქმედებას არ შეეძლო გამოეკვება მოსახლეობა, უკანასკნელი მიმართავდა შინამრეწველობას, როგორც დამხმარე-დამატებითი სარეწავს. შემსყიდველთათვის კი ეს გარემოება განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო, — რადგან სოფლის მოსახლეობა ჯერდებოდა უფრო დაბალ გასამრჯელოს, რადგან გარდა ამისა მას შემოსავალი ჰქონდა მიწიდანაც, — და წარმოადგენდა მათთვის იარაღს ქალაქის შინამრეწველთათვის გასამრჯელოს შემცირების საქმეში. ინგლისში, მე-XVI საუკ., განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სოფლელი ოსტატები უკვე ვაჭრებთან არიან დამოკიდებული, რომლებიც მათ აწვდიან ნედლეულს, და მათგან ყიდულობენ მზა ქსოვილებს, და შემდეგ ახდენენ უკანასკნელის გამოქნას. მე-XVII საუკუნიდან წარმოება მაუდისა, წინდებისა, ქუდებისა, მეტალიური ნაკეთობებისა ფართედაა გავრცელებული სოფლებში შინამრეწველური წარმოების ფორმებით. ის ფაქტი, რომ შინამრეწველობას საფრანგეთში მე-XVIII საუკ. ჰქონდა სოფლური ხასიათი, ამჟამად მტკიცეთ დაადგინა პროფ. ე. ვ. ტ ა რ ლ ე მ , მრავალრიცხოვანი ფაქტიური მასალების საფუძვლებზე, რომლებიც მან იპოვნა არქივებში, და რომლებიც ეხებიან საფრანგეთის ფრიად მრავალ ოლქებს. დოკუმენტები რომლებიც მიეწერება ლიუდოვიკო მე-XVI-ს ეპოქას, — ლაპარაკობს ის, — მოგვითხრობენ ფართე განვითარებაზე სასოფლო შინამრეწველობისა არა მხოლოდ ჩრდილოეთში, სამხრეთ-დასავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში საფრანგეთისა, არამედ მთელი სამხრეთის სამრეწველო რაიონშიაც. ყოველი ადამიანი „ფაბრიკანტია", სასოფლო ინდუსტრია გლეხებისათვის წარმოადგენს „მიწათმოქმედების სასარგებლო დამატებას"; „მიწათმოქმედების არარენტაბელობისა გამო მუშაობენ ქალაქის მეზობლად მდებარე სოფლები, არაიშვიათად 15 ლიოს რადიუსში (ორგელივ) ზოგიერთ ადგილებში სარეწავები შეადგენდენ შემოსავლის მთავარ წყაროს, რომელსაც „მისდევენ ქალები და ბავშვები 8 თვის განმავლობაში წლიურად". მაგრამ იქაც, სადაც მიწა უფრო ნაყოფიერი იყო და უკეთ ასაზრდოებდა მოსახლეობას, ხაზს უსვამდენ სარეწავთა გავრცელების მნიშვნელობას. მიწასა და ინდუსტრიას შორის „კავშირის" ხელსაყრელობას, და მხოლოდ ხანდისხან გაისმოდა ჩივილი, რომ გლეხები თავს ანებებენ უფრო მძიმე სამიწათმოქმედო შრომას და ეგუებიან უფრო მსუბუქ სამრეწველო მუშაობას. ამას ამტკიცებს სხვა გამოკვლევებიც. ორლეანი წარმოადგენდა მსხვილ სამრეწველო ცენტრს, რომლის გარშემო თავს იყრიდა

ვრცელი ოლქის მრეწველობა. მის ირგვლივ მდებარე სოფლებს არ შეეძლოთ მარტო მიწათმოქმედებით არსებობა. რთვისა და შაუდის სამრეწველო ოლქის 55 შემსყიდველისათვის მუშაობდა დაახლოებით 400 დაზგა ქალაქსა და სოფელში, 45 შემსყიდველი სამუშაოს ურიგებდა 12 ათას ადამიანს, რომლებიც მას ანდომებდენ არა მთელ თავიანთ დროს, რადგან ქალები დაკავებული იყვნენ საოჯახო მეურნეობით, ხოლო მამაკაცები ზაფხულობით ქირაზე გადიოდენ სოფლის სამუშაოებში. შინამრეწველები მატყლს ღებულობდენ ფაქტორებიდან, რომლებიც თემში ცხოვრობდენ, და მათვე აბარებდენ თავიანთ ნაკეთობებს. 1789 წ. ჭ. ტრუას. შალეულის, ბამბეულის და აბრეშუმეულის ნაკეთობათა მწარმოებლები თავიანთ ნაკაზში ჩიოდენ, რომ ქალაქის მოვაჭრეები ხელს უწყობენ სასოფლო სარეწავების განვითარებას, სყიდულობენ რა სოფლელთაგან უკანასკნელთა ნაკეთობათ და მით ღუპავენ ქალაქის ოსტატებს. ბრეტონის მრეწველობის უმთავრესი დარგი, ნარმის წარმოება, გავრცელებული იყო განსაკუთრებით სოფლებში, და წარმოადგენდა მნიშვნელოვან სარეწავს სასოფლო მოსახლეობისათვის, ძალზე ამდიდრებდა რა იმავე დროს ქალ. რენნის ვაჭრებსაც. ფლანდრიასა, პიკარდიასა, და ზემო ნორმანდიაში მიწათმოქმედება ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მცირემიწიანი გლეხები აქაც არა მხოლოდ მუშაობდენ შემსყიდველთათვის, არამედ უკანასკნელთაგან ნედლეულსაც ღებულობდენ, და ხშირად — საწარმოო იარაღებსაც. ბურგუნდიაში, დიჟონის მიდამოებში მე-XVII საუკ. ეხვდებით განვითარებულ სამაუდო წარმოებას. მაგრამ მხოლოდ არა მრავალი ფეიქარი მუშაობდა თავის ანგარიშზე, — ყველა დანარჩენი მატყლს ღებულობდა დიჟონის მოვაჭრეებისაგან და იწოდებოდენ „taconnir de drap“, ხოლო შემსყიდველები კი იწოდებოდენ „drapieres drapants“-ად. ბელგიაში მე-XVII საუკ. ემჩნევა მრეწველობის დაცემა ქალაქებში, ხოლო სოფლებში კი ვითარდება წარმოება შალეულის, ტილოსი, მაქმანების, ლურსმნეულისა და თოფ-იარაღის სარეწავები, ამავე დროს მუშაობა სწარმოებდა შემსყიდველთა შეკვეთით, რომლებიც არაიშვიათად ნედლეულსა და აგრეთვე შეკვეთილი საქონლის ნიმუშებსაც არიგებდენ.

თუ რომ გარეგნულად შინამრეწველობა არ ააშკარავებდა, ხელოსნობასთან შედარებით, მნიშვნელოვან ცვლილებებს, — ცვლილებები მოხდა მხოლოდ გასაღების ორგანიზაციაში, — ნამდვილად კი სახელდობრ უკანასკნელი გარემოება — გასაღების შემსყიდველის ხელში გადასვლა — წარმოადგენდა დიდ გადატრიალებას ხელოსან-

მწარმოებლის ეკონომიურსა და სოციალურ მდგომარეობაში. ის, დამოუკიდებელი ოსტატიდან, რომელიც (უშუალოდ) მომხმარებლისათვის მუშაობდა, გადაიქცა შემსყიდველისაგან დამოკიდებულ მუშად. შემსყიდველები იმთავითვე მიისწრაფვიან რათა დაიქვემდებარონ შინამრეწველები; ამას ადგილი აქვს იქაც კი სადაც ჩვენ უკვე საშუალო საუკუნოებშიც ვნახულობთ წარმოების შინამრეწველური ფორმის ჩანასახებს. ასე, მაგალითად, აუგსბურგელ ვაჭარ ოტტ რულ ა ნ დ მ ა, რომელიც შეკვეთებს აძლევდა ქარვის საამქროებს, ვეხასა და ზალცბურგს, მე-15 საუკუნის ნახევარში, თითქო როგორღაც აიყვანა ისინი თავისთან სამსახურში განსაზღვრული დროის განმავლობაში; ის მოითხოვს რომ მთელი ამ დროის განმავლობაში საამქროების მიერ დამზადებული საქონელი მხოლოდ და მხოლოდ მას ჩაბარდეს, და ხელოსნები კი პირობას სდებენ რომ სხვა არავისთვის არ იმუშავებენ. ასეთი დამოკიდებულება მით უფრო მყარდება იქ, სადაც ხელოსნობას სცვლის წარმოების შინამრეწველური ფორმა. ასე, იტალიის აბრეშუმის მრეწველობაში უკვე მე-XIV — XV საუკუნეებში ოსტატები ჰკარგავენ შესაძლებლობას, რომ ვისმეზე გაასაღონ თავიანთი ნაწარმოებნი გარეშე შემსყიდველებისა; მიღებდენ რა ბეს ან მასალას გარკვეული ვაჭრიდან, ისინი ჰკარგავენ თავისუფლებასაც, რომ მიჰყიდონ თავიანთი ნაწარმოებნი სხვა ვაჭრებს გარეშე დამბეველისა. ზოგიერთ შემთხვევებში როგორც სჩანს, თავდაპირველად შინამრეწველები სარგებლობდენ შედარებით თავისუფლებით; მათ შესაძლებლობა ჰქონდათ დამოუკიდებლად გაესაღებინათ თავიანთი ნაწარმოები ბაზარზე ვაჭრებისათვის საკუთარი შეხედულებისამებრ და არ იყვნენ დავალიანებულნი გარკვეულ პირთა წინაშე; მათი დამოკიდებულება მხოლოდ შემდეგში დამყარდა. მაგრამ სხვა ადგილებსა და სარეწავებში ისინი იძულებულნი იყვნენ, ყოველ შემთხვევაში მე-XVII — XVIII ს.ს., „თვალში ეცქირათ ვაჭრისათვის, მის სალამურზე ეთამაშნათ", სხვარიგად დაჰკარგავდენ ლუკმა პურს და მოხვდებოდენ „შავ დაფაზე". ისინი ვალდებული იყვნენ ატესტატი აეღოთ შემსყიდველთაგან, რათა სამუშაო მიეღოთ სხვებიდან, რადგან არავის არ ჰქონდა უფლება სამუშაო მიეცა ოსტატისათვის, თუ კი წინდაწინ არ დარწმუნდებოდა, იმაში რომ მისი წინანდელი „დამქირავებელი" (შემსყიდველი) მისგან კმაყოფილი დარჩა; ამგვარად საკმარისი იყო რომ შინამრეწველს კარგად არ ეამებინა შემსყიდველისათვის, რომ კარგა ხნის განმავლობაში სამუშაო დაეკარგა.

მსგავსად ხელოსნობის სფეროში არსებულ საამქრო წესდებებისა, იმ დარგებში სადაც წარმოებობა წარმოების შინამრეწველური ფორმა, ჩვენ ვხვდებით რეგლამენტებს, რომლებითაც მოწესრიგებულია როგორც ტეხნიკა წარმოებისა, პირობები გასაღებისა, ასევე ურთიერთობანი დამქირავებელ-მეწარმესა და მუშებს შორის. ამავე დროს, საეჭვოა რომ შეიძლებოდეს დავეთანხმოთ იმ ეკონომისტებს, რომლებიც (როგორც, მაგალითად, Ш м о л е р и, ტ р е ლ ტ ш и. ბ е и н и და სხვ.) ამტკიცებენ, რომ თითქოს ამ სტატუტების გამოცემის მიზანი იმაში მდგომარეობდა, — რამდენადაც ლაპარაკია უფლებებზე და ვალდებულებათა შესახებ მეწარმეებსა და მუშებს შორის, — რომ მოესპო სოციალური უსამართლოებანი. ნამდვილად კი როგორც ეს ქვემოდ მოყვანილი ფაქტებიდან სჩანს, ეს რეგლამენტები შედგენილია განსაკუთრებით შემსყიდველთა სასარგებლოდ და მათ მხედველობაში არა აქვთ შინამრეწველთა ინტერესები, რითაც ისინი სასტიკად განსხვავდებიან მე-XIX საუკ. საფაბრიკო კანონმდებლობათაგან.

(ი. მ. კ უ ლ ი შ ე რ ი — დასავლეთ ევროპის ეკონ. ცხოვრების ისტ. ტ. II)

§ 7. მუშათა შრომის პირობები საოჯახო მრეწველობაში

შინაკაპიტალისტური მუშაობა, — ე. ი. ოჯახში ნარდათ მეწარმისაგან მიღებული მასალის გადამუშავება, — როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, წვრილ საგლეხო სარეწაოებშიაც გვხვდება. ქვემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მას ადგილი აქვს აგრეთვე (ფართო მასშტაბით) ფაბრიკის, ე. ი. მსხვილი საშანქანო ინდუსტრიის გვერდითაც. ამნაირად, შინაკაპიტალისტური მუშაობა გვხვდება მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების ყველა საფეხურზე, მაგრამ ყველაზე დამახასიათებელია იგი სწორედ მანუფაქტურისათვის. როგორც წვრილ საგლეხო სარეწაოებს, ისე მსხვილ საშანქანო ინდუსტრიას დიდათ არ ესაჭიროებათ საშინაო მუშაობა. ხოლო კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურული პერიოდი, — მშრომელის მიწასთან კავშირის შენარჩუნებით და მსხვილი საწარმოების ირგვლივ წვრილების სიმრავლით, — ძნელია, თითქმის შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ოჯახებში სამუშაოს დაურიგებლად *). და როგორც დავინახეთ,

*) დასავლეთ ევროპაშიაც, როგორც ვიცით, კაპიტალიზმის მანუფაქტურულ პერიოდს ახასიათებდა შინ მუშაობის ფართო განვითარება, მაგ., საფეიქრო

რუსეთის ცნობები მართლაც ადასტურებს იმას, რომ კაპიტალისტური შანუფაქტურის მაგვარად მოწყობილ სარეწავებში შინ სამუშაოს დარიგება ფართოდაა გავრცელებული. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო სწორე იქნება სწორედ ამ თავში განვიხილოთ შინაკაპიტალისტური მუშაობის დამახასიათებელი თავისებურობანი, თუმცა ზოგიერთი ქვემოთ მოყვანილი მაგალითები არ შეიძლება სპეციალურად შანუფაქტურას მიეკუთვნოს.

პირველ ყოვლისა საშინაო მუშაობის დროს უნდა აღვნიშნოთ შუამავლების სიმრავლე კაპიტალისტსა და მუშას შორის. მსხვილ მწარმოებელს არ შეუძლია თვითონ დაურიგოს მასალა მრავალ ასეულ და ათასს მუშას, რომელნიც ხშირად სხვადასხვა სოფლებში არიან გაფანტულნი; საჭირონი ხდებიან შუამავალნი (ბევრ შემთხვევაში შუამავალთა იერარქიებიც), რომელნიც მასალას ბითუმად ღებულობენ და ცალობით არიგებენ. იბადება ნამდვილი sweating sytsem-ა, სისტემა ოფლის გამოდენის, სისტემა გამძაფრებული ექსპლოატაციის: მუშასთან ახლო მდგომმა „ხელოსანმა" (ან „მესანთურემ" თუ „ტორგოვკამ" სამანქანო სარეწავში და სხ. და სხ.) იცის, როგორ ისარგებლოს უკანასკნელის გაჭირვების განსაკუთრებული შემთხვევებით და იმუშავებს ექსპლოატაციის ისეთ წესებს, რომელიც მსხვილ საწარმოში წარმოუდგენელია, რომელიც სრულიად სპობს ყოველივე კონტროლის და მეთვალყურეობის შესაძლებლობას *).

Sweating sytsem-ასთან ერთად და, შეიძლება, როგორც ერთ-ერთი მისი ფორმა, უნდა აღინიშნოს trucksytsem-ა, ხელფასის სანოვაგით გადახდა, რაც ფაბრიკებში იდევნება, ხოლო საშინამრეწველო სარეწავებში ისევ ბატონობს, განსაკუთრებით სამუშაოების შინ დარიგების დროს. ზემოთ, ცალკე სარეწავების აღწერის დროს, მოყვანილი იყო ამ გავრცელებული მოვლენის მაგალითები.

შემდეგ, შინაკაპიტალისტურ მუშობას თან ახლავს შრომის

სარეწავებში საყურადღებოა, რომ საათის წარმოების, როგორც მანუფაქტურის კლასიკური მაგალითის, აღწერის დროს მარქსი ამბობს, რომ საათის ციფერბლატი, ზამბარაკი და ყუთი იშვიათად კეთდება თვით მანუფაქტურაში, რომ საზოგადოდ დეტალური მუშა ხშირად შინ მუშაობს („Das Kapital", I, 2-te Aufl. S. 353—4).

*) ამიტომ, მ. წარ. ფაბრიკა ებრძვის ასეთ შუამავლებს, მაგალ., მოცალე („штучник") მუშებს, რომელნიც თვითონ ქირაობენ თანაშემწე ხელქვეით მუშებს. საშინამრეწველო სარეწავების მთელი ლიტერატურა სავსეა ფაქტებით, რომელიც ამტკიცებს შინამრეწველთა საშინელ ექსპლოატაციას ოჯახებში სამუშაოს დარიგების დროს.

შეტად ანტიჰიგიენური პირობები. მუშის სრული სილატაკე, მუშაობის პირობების მოწესრიგების სრული შეუძლებლობა, საცხოვრებელ და სამუშაო სადგომის გაერთიანება, — აი ის პირობები, რომელიც შინ მომუშავეთა ბინებს სანიტარული უმსგავსოების და პროფესიონალური ავადმყოფობის კერად აქცევს. მსხვილ საწარმოებში კიდევ შესაძლებელია ბრძოლა ანალოგიური მოვლენების წინააღმდეგ. — საშინაო მუშაობა კი ამ შემთხვევაში კაპიტალისტური ექსპლოატაციის ყველაზე „ლიბერალური" ფორმაა.

უზომოდ დიდი სამუშაო დღე აგრეთვე ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა საშინაო მუშაობის საზოგადოდ კაპიტალისტისა და წვრილი სარეწავებისათვის. ზემოთ უკვე იყო მოყვანილი ზოგიერთი მაგალითები „ფაბრიკებში" და „საშინამრეწველო სარეწავებში სამუშაო დღის შედარებითი სიდიდის შესახებ.

საშინაო მუშაობის დროს თითქმის ყოველთვის აქვს ადგილი წარმოებაში ქალების და ბავშვების ჩაბმას. საილუსტრაციოდ შოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას მოსკოვის გუბერნიის ქალთა სარეწავების აღწერიდან. ქაღალდის ხვევის საქმეში 10.004 ქალი მუშაობს; ბავშვები 5 — 6 წლიდან (!) იწყებენ მუშაობას. დღიური ხელფასი — 10 კაპ., წლიური — 17 მან. ქალთა სარეწავებში საზოგადოდ სამუშაო დღე 18 საათამდე ადის. საქსოვ სარეწავში მუშაობას იწყებენ ექვსი წლიდან, დღიური ხელფასი — 10 კაპ., წლიური — 22 მან. ქალთა სარეწავების საერთო ჯამი: მუშა ქალები 37.514; მუშაობა იწყება 5 — 6 წლიდან (19-იდან 6 სარეწავში, ამასთან ეს 6 სარეწავი იძლევა 32.440 მუშა-ქალს); საშუალო დღიური ხელფასი — 13 კაპ., წლიური — 26 მან. 20 კაპ.

შინა-კაპიტალისტური მუშაობის ერთი ყველაზე შავნებელ მხარეთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი იწვევს მუშის მოთხოვნილების დონის დაწევას. მეწარმეს შეუძლია მუშები აირჩიოს ისეთ შივარდნილ კუთხეებში, სადაც მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალიან დაბალია და სადაც მიწასთან კავშირის არსებობის გამო სულიაფია მუშაობა. მაგალითად, სოფლის წინდის საწარმოს პატრონი ამბობს, რომ მოსკოვში ბინები ძვირია, ამასთან ერთად ხელოსან ქალებს „თეთრი პური... უნდა აჭამოთ... ჩვენთან კი თავისივე ქოხებში შუშაობენ, ჭამენ შავ პურს... აბა, ამაში ჩვენ მოსკოვი როგორ შეგვედრება?". ქაღალდის სახვევ სარეწავში შრომის ხელფასის სიიაფე იმით აიხსნება, რომ გლეხების ცოლთათვის, მათი ქალიშვილებისათვის და სხ. ეს მხოლოდ მაშველი სამუშაო, დამხმარე საშოვარია. „ამნაირად, ამ წარმოების არსებული სისტემა იმათ, ვინც მ ხ ო-

ლ ო დ დ ა მ ა რ ტ ო ო დ ე ნ მისი შემოსავლით ცხოვრობს, მეტისმეტად უმცირებს შრომის ხელფასს, ხოლო იმათთვის, ვინც მარტო საფაბრიკო შრომით ცხოვრობს, იგი ხელფასს მოთხვნილებათა minimum-ზე ძირს სწევს, ანდა აფერხებს უკანასკნელთა დონის ამაღლებას. ერთიც და მეორეც მეტად არანორმალურ პირობებს ჰქმნის". „ფაბრიკა იაფ ფეიქარს ეძებს", — ამბობს ბ-ნი ხარიზომენოვი — „და ამგვარ ფეიქარს ის ნახულობს მის მშობლიურ სოფელში, შრეწველობის ცენტრიდან ფოშორებით... შრომის ხელფასის თანდათანობითი დაკლება მრეწველობის ცენტრებიდან დაწყებული პერიფერიისაკენ — უდაო ფაქტია". მაშასადამე, მეწარმენი საუკეთესოდ სარგებლობენ იმ პირობებით, რომელნიც ხელოვნურად აჩერებენ მოსახლეობას სოფლებში.

ამ სიტემის არა ნაკლებ წაენცბელი მხარეა საშინაო მუშების დაქსაქსულობა. აი საქმის ამ მხარის რელიეფური დახასიათება, რომელსაც თვითონ შემყიდველნი იძლევიან: „როგორც ერთის, ისე მეორეს" (ტვერელ მჭედლებში ლურსმნის წვრილი და მსხვილი შემყიდველების) „ოპერაციები ერთსადაიმავე საფუძველს ემყარება, — ეს საფუძველია ლურსმნის წაღებისას ნაწილის ფულად გადახდა, ნაწილის რკინით და ყოველთვის ყოლა მჭედლებისა თავის სახლში დ ა თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს გ ა ს ა ა დ ვ ი ლ ე ბ ლ ა დ [147]) ამ სიტყვებში იმალება ჩვენი „შინამრეწველობის" „ცხოველმყოფელობის" საიდუმლოების უბრალო ახსნა!

საშინაო მუშათა დაქსაქსულობა და შუამავალთა სიმრავლე ბუნებრივად იწვევს დამონების გაძლიერებას, პირადი დამოკიდებულების ყოველგვარ ფორმებს, რომელნიც თან ახლავს ჩვეულებრივ „პატრიარქალურ" ურთიერთობას სოფლის მივარდნილ კუთხეებში. მუშების დავალიანება პატრონების შიმართ — ყველაზე გავრცელებული მოვლენაა „საშინამრეწველო" სარეწავებში საზოგადოთ და საშინაო მუშაობის სისტემაში კერძოთ. ჩვეულებრივ მუშა არა მარტო Lohnsklave (დაქირავებული მონა), არამედ Schundsklave-ცაა (სავალო ვალდებულებითი მონა). ზემოთ იყო მოყვანილი ზოგიერთი მაგალითები იმ მდგომარეობისა, რომელშიაც აყენებს მუშას სოფლური ურთიერთობის „პატრიარქალობა".

(ვ. ლ ე ნ ი ნ ი — კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში).

§ 8. ინგლისის მუშათა დამოკიდებულება შინამრეწველობისადმი

როგორ უცქერიან თვით მუშები, თავის ყველაზე ინტელიგენტ წარმომადგენელთა სახით, საოჯახო მრეწველობას? დაე თვით ამ წარმომადგენლებმა ილაპარაკონ ეს.

აი, კიდევ ჩვენებანი ტომას ჰომერისა, Society of the small Counties Trade Federation-მდივნის ჯიგინსის ჩვენებანი, მიცემული ლორდთა პალატის კომისიისადმი.

კ ი თ ხ ვ ა. რით ხართ უკმაყოფილო, სამეველოს უხეირო მოწყობით? პ ა ს უ ხ ი. ოჰ, არა, ჩვენ უკმაყოფილონი ვართ საზოგადოდ შინ მუშაობით. კ. თქვენ შინ მუშაობის წინააღმდეგნი ხართ? პ. დიაღ. კ. იმიტომ რომ პატარა სახელოსნოები უარეს სანიტარულ პირობებში არიან? პ. იმიტომ რომ საშინაო სახელოსნოებში კონკურენცია უფრო ძლიერია, ვიდრე ფაბრიკებში. ფაბრიკებში უფრო მეტ ხელფასს იძლევიან, ვიდრე საშინაო სახელოსნოებში. კ. როგორ გგონიათ, თვითონ მუშები ფაბრიკაში მუშაობას არჩევენ საშინაო სახელოსნოებს? პ. დიაღ, აგრე მგონია. კ. როგორ გგონიათ, შინ მუშაობის თავისუფლება, თავისუფლება იმუშაო, როგორც გნებავს და რამდენიც გნებავს, განა მრავალს არ აცდენს, განა ამ სისტემის მიტოვების ნებას მისცემს? პ. დიაღ, უპრინციპო ხალხს მართლაც აცდენს. კ. რატომ უწოდებთ მათ უპრინციპოებს? პ. იმიტომ რომ როდესაც ადამიანი არ ერიდება მეზობლის მუშაობის გაბახებას, მას პრინციპი არა აქვს. კ. მაშ თქვენის აზრით, შუშათა უმრავლესობა ისევ ხალისით იმუშავებდა ფაბრიკებში, როგორც შინ? პ. დიაღ, ახლა ასე იქნება. წინად ისინი სხვა აზრისანი იყვნენ. კ. მიისწრაფით თუ არა ამ საოჯახო სახელოსნოების აბსოლუტურად მოსპობისაკენ (adsolute abolition of these family workshops). პ. დიაღ. კ. თქვენი აზრით მრეწველობისათვის საზოგადოდ და კერძოდ მუშებისათვის— უკეთესია, რომ მუშაობა ფაბრიკებში სწარმოებდეს. პ. დიაღ, მე მგონია ეს ზეელი საზოგადოებისათვის უკეთესი იქნება.

აი, კიდევ ჩვენებანი ტომის ჰომერისა, Society of the small Chainmackers-ის პრეზიდენტისა (ჰომერს საკუთარი პატარა სამეველო აქვს. მის თავმჯდომარეობის ქვეშ მყოფ კავშირში 500-მდე შინამრეწველი-მეჯაჭვე წევრი ითვლება).

კ ი თ ხ ვ ა. რა აზრისა ხართ თქვენ ფაბრიკებთან შედარებით საშინაო სახელოსნოების სარფიანობისა თუ ზარალიანობის შესახებ? პ ა ს უ ხ ი. წინად ფაბრიკები ძლიერ ცოტა იყო. მე მხოლოდ ერთი

ფაბრიკა მაგონდება და იმ დროს მეჯაჭვეები ფაბრიკებს ძალიან მტრულად უყურებდენ. ეშინოდათ, ფაბრიკა გვავნებს, გვაზარალებსო. მაგრამ მერე ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა მაინც დარწმუნდა, რომ ფაბრიკა ბევრად სჯობია იმ წესს, როდესაც მუშაობას შინ ეწევიან.

საინტერესოა აგრეთვე გაცნობა იმ ადამიანების აზრისა, რომელნიც თვითონ არ ღებულობენ სარეწავში მონაწილეობას, მაგრამ იმავე დროს მუშათა ინტერესებს ფრიად დიდი თანაგრძნობით ეპყრობიან. აი, ჩვენებანი ადგილობრივი მღვდლის მ — რ რაილეტისა.

კ ი თ ხ ვ ა. როგორ ჰფიქრობთ, სასარგებლო იქნებოდა თუ არა საოჯახო მრეწველობის სისტემის ანა თუ იმ საშუალებით გაუქმება და შისი ფაბრიკულ სისტემად გადაქცევა? პ ა ს უ ხ ი. დიაღ, რასაკვირველია. ამის მსგავსი რისამე გაკეთება თუ მოხერხდება, ეს ფრიად სასარგებლო საქმე იქნება მუშებისათვისაც, მრეწველთათვისაც. კ. თუ თქვენი სიტყვები მართებულად გავიგე, სახელოსნოებში მუშაობა თქვენ გსურთ ფაბრიკაში მუშაობით შესცვალოთ. პ. დიაღ. კ. და აშისათვის თქვენ გსურთ აეკრძალოს ცალკე პირებს სახლში მუშაობა და აგრეთვე თავის ოჯახის წევრებისადმი მუშაობის დავალება? პ. დიაღ, ამ სარეწავებში. კ. მარტო ამ სარეწავებს ჰგულისხმობთ თუ საზოგადოდ ყოველგვარ საწარმოო საქმიანობას? პ. მე ყველა საწარმოო საქშიანობა მაქვს მხედველობაში. კ. თქვენის აზრით, მაშ ისე გაშოდის, რომ ერთად-ერთი საშუალება, რითაც შეიძლება ამ ხალხისადმი დახმარება, ეს ისაა, რომ სახელოსნოების მაგივრად ფაბრიკები გაიმართოს; მაშინ ისინი უფრო ადვილად შეკავშირდებიან და თავის ინტერესებსაც ადვილად დაიცავენ: ისინი უკეთეს სანიტარულ პირობებში იქნებიან... და შუაშაელთა და ფოგერთაგან განთავისუფლდებიან. პ. დიაღ.

მუშათა კლასის ის წარმომადგენელნი, რომელნიც ჩვენებას აძლევდენ ლორდთა პალატის კომისიას, სახალხო მრეწველობასთან ბრძოლის საშუალებად ასახელებდენ საქარხნო კანონმდებლობისადმი მის დამორჩილებას. ინგლისელთა თვალსაზრისით ეს ლონისძიება, ცოტა არიყოს უკიდურესია: ხალხს კერძო სახლებში უნდა შეეკრე, ადამიანებს უნდა დაუშალო თავის სახლში, საკუთარ ოჯახში ის გააკეთონ, რაც სურთ. მღვდელი რაილეტი ამის შესახებ ამბობს: „ჩვეულებრივად ისე ჰგონიათ, თითქოს საკუთარი ოჯახის შემწეობით მომუშავესა და იმ პირს შორის, მუშებს რომ ქირაობს — განსხვავება იყოს რამე. მე მგონია, ამ აზრს საფუძველი არა აქვს. ჩემის აზრით, თავის ოჯახის წევრთა შემწეობით მომუშავეც სავსებით უნდა

ემორჩილებოდეს სამუშაო დროის შესახებ იმავე წესებს, რასაც დაქირავებული მუშების შემწეობით მომუშავენი ემორჩილებიან“.

ამის შემდეგ ჩვენ სრულიად აღარ უნდა გაგვაკვირვოს იმ პოზიციამ, შრომის საკითხების თაობაზე შემდგარი სამეფო კომისიის რადიკალურმა უმცირესობამ ამ საკითხში რომ დაიჭირა. ეს უმცირესობა, რომელსაც მეთაურობდა 1892 წ. ლონდონის დოკიორების გაფიცვის სახელგანთქმული ორგანიზატორი ტომ წენი, ფრიად უარყოფითად უცქეროდა შინ მუშაობას.

„ათასობიდ ოჯახი (საოჯახო მრეწველობაში ჩაბმული) — ვკითხულობთ უმცირესობის ანგარიშში — ერთ-ერთს ყველაზე დაჩაგრულსა და დემორალიზაციურ საზოგადოებრივ ჯგუფს წარმოადგენს. ამ სარეწავების ნუშათა განსაკუთრებული დაჩაგრულობის ძირითადი მიზეზი, ჩვენის აზრით, ის არის, რომ იქ სამუშაოს შინ დარიგების სისტემა ბატონობს. ჩვენ არ გირჩევთ შინ მუშაობის ფაქტიურად აკრძალვას, მაგრამ ფრიად საყურადღებო საქმედ მიგვაჩნია, რომ ამისთანა მუშაობის გავრცელების შესაფერხებლად პრაქტიკულად ასასრულებელი ყოველგვარი საშუალება იქნეს გამოყენებული. ამჟამად კი კანონი შინ მუშაობას ყოველგვარად ხელს უწყობს. მწარმოებელი, რომელიც მუშას შინ სამუშაოს აძლევს, მეფაბრიკისადმი დაკისრებულ მოვალეობას თავს არიდებს.

კომისიის უმრავლესობა თავის მოხსენებაში შინ მუშაობის საკითხს სრულიად არ შეხებია. მაგრამ უმცირესობამ მოითხოვა დაქირავებულ პირთა შემწეობით შინ მუშაობა საქარხნო კანონმდებლობისადმი დამორჩილება და ამ კანონის დარღვევისათვის მწარმოებლის პასუხისმგებლობა. თუ მუშა კანონით გათვალისწინებულზე მეტს დროს მუშაობს შინ, პასუხი უნდა აგოს სამუშაოს მიმცემმა, ისევე, როგორადაც საქარხნო საათების გადიდებისათვის პასუხისმგებელია არა მუშა, არაშედ მეფაბრიკე. ჩარლზ ბუტსმა, შესანიშნავი ნაშრომის Life and Labour of the People of London-ის ავტორმა კიდევ უფრო რადიკალური ღონისძიება წამოაყენა: მუშაობის შესახებ კანონთა ყოველგვარი დარღვევისათვის პასუხისმგებელი გავხადოთ იმ სახლის პატრონი, სადაც შინამუშა ცხოვრობსო. ყოველ შემთხვევაში კომისიის უმცირესობას სამუშაოს შინ დარიგების წინააღმდეგ გადაჭრილი საკანონმდებლო ღონისძიებანი აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა. „მაგრამ შინ მუშაობის დემორალიზაციური გავლენა (demoralising effects of home work) — ვკითხულობთ შემდგომ მოხსენებაში, — ჩვენის აზრით უფრო დიდ რასშეს მოითხოვს, ვიდრე კანონის შეცვლაა. ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ მთავრობამ ყო-

ველგვარი ლონისძიება იხმაროს ამისთანა მუშაობის განვითარების შესაფერხებლადო". უმცირესობის წევრებმა სავსებით მოიწონეს დადგენილებანი ლონდონის საპოლიციო მმართველობისა, რომელმაც თავისთვის მაუდის დამზადების შესახებ ხელშეკრულებაში მუხლი შეიტანა: მაუდი აუცილებლად მიმწოდებელის ფ ა ბ რ ი კ ა შ ი უნდა დამზადდესო. ამისთანავე პუნქტი შეაქვს ხელშეკრულებებში ინგლისის სავაჭრო სამინისტროსაც (Board of Trade). მიმწოდებელი ვალდებულია ყველა ის ნივთები, ხელშეკრულებით რომ არის გათვალისწინებული, მის საკუთარსავე ფაბრიკაში იქნეს დამზადებული და მუშებს სამუშაო შინ ეძლეოდეს... ამ მუხლის დარღვევისათვის მიმწოდებელი ვალდებულია 100 გირ. სტერლინგი ჯარიმა გადიხადოს. ლონდონის საგრაფოს საბჭოც თავის ხელშეკრულებით უკრძალავს თავის მიმწოდებლებს შინ ნამუშევარი მიაწოდონ და საამისო ჯარიმაც აქვს განსაზღვრული. „წინადადებას ვიძლევითო, აცხადებს ამის გამო კომისიის უმცირესობა, — რომ ასეთი მუხლი მიწოდების შესახებ ყველა საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში იყოს ხოლმე შეტანილი და რომ მის შესრულებას სასტიკად ადევნონ თვალყური".

(მ. ტ უ გ ა ნ - ბ ა რ ა ნ ო ვ ს კ ი — რუსეთის ფაბრიკა).

§ 9. შინამრეწველი და შემსყიდველი

ცნობილია, რომ წვრილი საგლეხო სარეწავები მრავალ შემთხვევაში წარმოშობენ განსაკუთრებულ შემყიდველებს, რომელნიც სპეციალურად სავაჭრო ოპერაციებს ეწევიან პროდუქტების გაყიდვის და ნედლეულის ყიდვის სახით და ჩვეულებრივად ამა თუ იმ ფორმით იმორჩილებენ წვრილ ფრეწველთ. ვნახოთ, რა კავშირი აქვს ამ შოვლენას წვრილ საგლეხო სარეწავების საერთო წყობილებასთან და როგორია მისი მნიშვნელობა.

შემსყიდველის ძირითადი სამეურნეო ოპერაცია მდგომარეობს საქონლის (პროდუქტების) ან ნედლეულის ყიდვაში და მის გაყიდვაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, შემყიდველი .სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელია. ყოველი კაპიტალის, — როგორც სამრეწველო, ისე სავაჭროს, — დასაბამი მდგომარეობს ცალკე პირთა ხელში თავისუფალ ფულად საშუალებათა დაგროვებაში (სიტყვა თავისუფალი აქ გულისხმობს ისეთ ფულად საშუალებას, რომლის პირადი მოხმარება არ წარმოადგენს საჭიროებას და ს.ხ.,) თუ როგორ სწარმოებს ეს ჭონებრივი დიფერენციაცია ჩვენს სოფელში, ამის შესახებ ჩვენ

დაწვრილებითი ცნობები მოვიყვანეთ ზემოთ, როცა ვლაპარაკობდით სამიწათმოქმედო და სარეწაო გლეხობის დაშლაზე. ამ ცნობებით გამორკვეულია ერთ-ერთი პირობა, რომელიც იწვევს შემყიდველის გაჩენას, სახელდობრ: წვრილი მწარმოებლის დაქსაქსულობა, მათი განკერძოება, მათ შორის სამეურნეო მეტოქეობის და ბრძოლის არსებობა. მეორე პირობა ეკუთვნის იმ ფუნქციების ხასიათს, რომლებსაც ასრულებს სავაჭრო კაპიტალი, ე. ი. ნაწარმოების გასაღებას და ნედლი მასალის ყიდვას. საქონლურ წარმოების უმნიშვნელო განვითარების დროს წვრილი მწარმოებელი ჰყიდის თავის ნაწარმოებს მხოლოდ ადგილობრივ მომხმარებლებზე. ეს არის საქონლური წარმოების დაბალი სტადია, რომელიც მხოლოდ იწყებს ხელოსნობიდან გამოყოფას. რაც უფრო ფართოვდება ბაზარი, ასეთი დაქსაქსული გასაღება (რომელიც სრულებით ეთანხმება წვრილ დაქსაქსულ წარმოებას) უკვე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ხდება. დიდ ბაზარზე გასაღებაც დიდი უნდა იყოს, მასიური. და აი წარმოების წვრილმანი ხასიათი შეურიგებელ წინააღმდეგობაში ვარდება მსხვილი, საბითუმო გასაღების საჭიროებასთან. არსებულ საზოგადოებრივ-სამეურნეო პირობებში, წვრილი მწარმოებლების განკერძოების და დაშლის დროს, ამ წინააღმდეგობიდან სხვა გამოსავალი არ იყო, გარდა იმისა, რომ შეძლებულ უმცირესობის ხელში უნდა მოვხდარიყო მთელი გასაღების კონცენტრაცია. ნაწარმოების (ან ნედლეულის) მასიური შეყიდვით შემყიდველები ამცირებდენ გასაღების ხარჯებს, აკეთებდენ გასაღებას წვრილ, შემთხვევით და უწესო მოვლენიდან მსხვილ და რეგულიარულ ოპერაციად, — და ეს მსხვილი გასაღების ეკონომიური უპირატესობა აუცილებლად იწვევს იმ შედეგს, რომ წვრილი მწარმოებელი რჩება მოწყვეტილი ბაზრისაგან და თავდაუცველი სავაჭრო კაპიტალის ძლიერების წინაშე. ამნაირად, სასაქონლო მეურნეობის პირობებში წვრილი მწარმოებელი აუცილებლად ხდება დამოუკიდებელი სავაჭრო კაპიტალისაგან იმ წმინდა ეკონომიურ უპირატესობის გამო, რომელიც აქვს მსხვილ, მასიურ გასაღებას შედარებით წვრილმან და დაქსაქსულ გასაღებასთან. თავისთავად ცხადია, რომ სინამდვილეში შემყიდველების მოგება ხშირად სრულიადაც არ ისაზღვრება იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს მასიური გასაღების და წვრილმანი გასაღების ღირებულებათა შორის, — სწორედ ისე, როგორც მრეწველი კაპიტალისტის მოგება ხშირად შესდგება ნორმალური შრომის ხელფასის შეკვეცილან (გამონაკლისებიდან). მიუხედავათ ამისა მრეწველი კაპიტალისტის მოგების ასახსნელად ჩვენ უნდა დავუშვათ, რომ სამუ-

შაო ძალა იყიდება მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით. აშნაირადვე — შემყიდველის როლის ასახსნელად ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ საქონლის ყიდვა-გაყიდვას ის აწარმოებს საქონლურ გაცვლა-გამოცვლის საზოგადო კანონების წესისამებრ, მხოლოდ სავაჭრო კაპიტალის ბატონობის ამ ეკონომიურ მიზეზებს შეუძლიათ მოგვცენ გასაღები იმ სხვადასხვაგვარი ფორმების გასაგებად, რომლებსაც ის ღებულობს სინამდვილეში და რომელთა შორის მუდმივად ადგილი აქვს (ეს ყოველნაირ ეჭვის გარეშეა) სრულიად ჩვეულებრივ მოტყუებას. ამის წინააღმდეგ გალაშქრება, — როგორც ჩვეულებრივად იქცევიან ნაროდნიკები, — ე. ი. მხოლოდ „კულაკების" სხვადასხვა ხრიკებზე მითითებით დაკმაყოფილება და ამით მოვლენის ეკონომიურ ბუნების საკითხის საესებით თავიდან აცილებაა ეს ნიშნავს ვულგარულ ეკონომიის თვალსაზრისზე დადგომას.

ჩვენი დებულების დასასაბუთებლად აუცილებელ მიზეზობრივ კავშირის შესახებ ბაზრისთვის მომუშავე წვრილ წარმოებისა და სავაჭრო კაპტალის ბატონობის შორის, ჩვენ შეეჩერდებით უფრო დაწვრილებით ერთ საუკეთესო აღწერილობაზე, თუ როგორ ჩნდებიან შემყიდველები და რა როლს თამაშობენ ისინი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მაქმანის („კრუეეეოს") სარეწავის გამოკვლევა მოსკოვის გუბერნიაში. „ვაჭარ-ქალების" გაჩენის პროცესი ასეთია. დაახლოვებით 1820 წელში, ე. ი. როცა პირველად ეს სარეწავი გაჩნდა და ამის შემდეგაც, როცა მაქმანის მქსოვნი ჯერ კიდევ ცოტანი იყვნენ, — უმთავრეს მყიდველებს წარმოადგენენ მემამულეები, „ბატონები". მომხმარებელი ახლოს იდგა მწარმოებელთან. რამდენად სარეწავი ვრცელდებოდა, იმდენად გლეხები აგზავნიდენ პროდუქტს მოსკოვში, რისთვისაც სარგებლობდენ „რაიმე შემთხვევით", მაგ., ატანდენ მესავარცხლეებს. მაგრამ ასეთი პრიმიტიული გასაღების უხერხულობა მალე შეიქნა საგრძნობი: „სად შეუძლია გლეხს, რომელიც ამ საქმის მკეთებელი არ არის, სახლიდან სახლში სიარული". გასაღება მიენდო ერთ-ერთ შაქმანის მქსოველ ქალს, რომელსაც აჯილდოვებდენ დაკარგული დროისათვის. „მანვე მასალაც მოიტანა მაქმანის საქსოვად". ამნაირად, ცალ-ცალკე გასაღების საზარალო უხერხულობა იწვევს ვაჭრობის ცალკე ფუნქციად გამოყოფას, რასაც ასრულებს ერთი პიროვნება, რომელიც აგროვებს მრავალ მუშა ქალების ნაშუშევარს. ამ მუშა-ქალების ურთიერთ შორის პატრიარქალური სიახლოვე (ნათესავები, მეზობლები, ერთსოფლელები და სხვ.) იწვევს ჯერ გასაღების ამხანაგური ორგანიზაციის ცდას, გასაღების ერთ-ერთი ხელოსან ქალისათვის მინდობის ცდას. მაგრამ ფულადი

ბეურნეობა დაუყოვნებლივ იქრება ძველ პატრიარქალურ ურთიერთობაში, დაუყოვნებლივ იწვევს იმ მოვლენებს, რომელნიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ გლეხობის დაშლის შესახებ მასიური ცნობების საშუალებით პროდუქტის წარმოება გასასაღებლად ასწავლის დროის ფულად დაფასებას. საჭირო ხდება იმ შუამავალი ქალის დაჯილდოვება დაკარგული დროისა და შრომისათვის, რომელიც ეჩვევა ამ საქმეს და აქცევს მას პროფესიად. „ასეთი შიმოსვლა, რომელიც რამოდენიმეჯერ მეორდება, ჰქმნის ვაჭარი ქალის ტიპს". ის, ვინც მოსკოვში რამოდენიმეჯერ ყოფილა, იქერს იქ შუდმივ კავშირს, რაც ასე საჭიროა წესიერი გასაღებისათვის. „იქმნება საჭიროება და ჩვეულება კომისიონერობით ცხოვრების". საკომისიო ქირის გარდა „ვაჭარი-ქალი მოწადინებულია წაუმატოს მასალაზე, ქაღალდზე, ძაფზე", ის ჯიბეში იდებს მოგებას პროდუქტზე დანიშნული ფასის ზევით; ის აცხადებს, რომ მან მიიღო დანიშნულზე ნაკლები ფასი. „გინდა მომეცი, გინდა არაო". „ვაჭარი-ქალები იწყებენ... საქონლის ქალაქიდან ზიდვას და სარგებლობენ ძნიშვნელოვანი მოგებით". კომისიონერი ქალი, შაშასადამე, იქცევა დამოუკიდებელ ვაჭრად, რომელიც უკვე თავის მონოპოლიად ხდის გასაღებას და სარგებლობს ამ მონოპოლიით ხელოსანი ქალების სრულ დასამორჩილებლად. სავაჭრო ოპერაციებთან ერთად ჩნდება შევახშური ოპერაციებიც, ფულის სესხება ხელოსანი-ქალებისთვის, მათგან საქონლის მიღება დაკლებულ ფასებში და სხ. „ქალიშვილები... საქონლის გაყიდვაში მანეთზე 10 კაპეიკს იხდიან, და ამასთანავე... მათ კარგად ესმით, რომ ვაჭარი-ქალი ამის გარდა კიდევ ღებულობს მათგან, რადგან ის ყიდის საქონელს უფრო ძვირ ფასში, მაგრამ მათ სრულებით ვერ წარმოუდგენიათ საქმის სხვანაირად მოწყობა. როცა მე მათ ვეუბნებოდი, მათთვის უკეთესი იყო მორიგეობით ეარათ მოსკოვში— ისინი მიპასუხებდენ, რომ ასე უარესი იქნებოდა, რადგან მათ არ იციან ვის მიყიდონ, და ვაჭარ-ქალმა კი უკვე კარგად იცის ყოველი ადგილიო. ვაჭარი-ქალი უსაღებს მათ გამზადებულ საქონელს და ბრუნდება უკან შეკვეთებით. მასალებით, მოსაქსოვი ნიმუშებით და სხვ.; ის მათ ყოველთვის წინდაწინ აძლევს ფულს, ან ასესხებს, და მას შეიძლება პირდაპირ მიჰყიდო ნაქერი, თუ რაიმე გაჭირვება დაგირჩა. ერთი მხრით, ვაჭარი-ქალი ყველაზე უფრო საჭირო და აუცილებელი პიროვნებაა, მეორე მხრით კი ის თანდათან იქცევა პიროვნებად, რომელიც სხვისი შრომის დიდ ექსპლოატაციას ეწევა, ის გვევლინება როგორც ქალი-კულაკი" აქ საჭიროა დავუმატოთ, რომ ასეთი ტიპები მუშავდებიან იმავე წვრილი მწარმოებლებისაგან:

„რამდენი შემთხვევა არ გვქონია შეკითხვის, ყოველთვის ირკვეოდა, რომ ყველა ვაჭარი-ქალი წინედ თვითონ ქსოვდა მაქმანებს, მაშასადამე, თვითონ იცოდენ ეს წარმოება; ისინი გამოსული არიან ამავე მქსოველებიდან; მათ პირველად არავითარი კაპიტალები არ ჰქონიათ, და მხოლოდ ცოტ-ცოტათი იწყებდენ ვაჭრობას ჩითებით და საქონლით იმისდა მიხედვით, თუ როგორ იძენდენ ისინი კომისიონერობით". ამნაირად, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სასაქონლო მეურნეობის პირობებში წვრილი მწარმოებელნი აუცილებლად გამოჰყოფენ თავის წრიდან საზოგადოდ არა თუ უფრო შეძლებულ მრეწველებს, არამედ; კერძო სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებსაც. და თუ ეს უკანასკნელები უკვე გაჩნდენ, მაშინ აუცილებელი ხდება წვრილი დაქუცმაცებული გასაღების მსხვილი საბითუმო გასაღებით შეცვლა *). აი რამოდენიმე მაგალითი იმისა თუ როგორ აწყობენ გასაღებას უფრო მსხვილი მეპატრონეები „შინამრეწველთაგან", რომელნიც იმავე დროს შემყიდველებიც არიან. სავაჭრო საანგარიშოებს მოსკოვის გუბერნიის შინამრეწველნი ასაღებენ უმთავრესად წლიური ბაზრობის დროს მთელ რუსეთში. წლიურ ბაზრობაზე სავაჭროდ აუცილებლად საჭიროა: 1-ლი, მნიშვნელოვანი კაპიტალი, რადგან აქ ვაჭრობა მხოლოდ საბითუმოა; მე-2, საჭიროა საკუთარი კაცის ყოლა, რომელიც შეიყიდის საქონელს ადგილობრივად და გაუგზავნის ვაჭარს. ამ პირობებს აკმაყოფილებს „ერთადერთი გლეხი-ვაჭარი". იმავე დროს „შინამრეწველი", რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი კაპიტალი, რომელიც აყალიბებს საანგარიშოებს, ე. ი. ამზადებს მათ ჩარჩოებისა და ძვლისაგან და ვაჭრობს შით; მისი ეჭვსი შვილი განსაკუთრებით ვაჭრობას ეწევა, ასე რომ ხვედრი მიწის დასამუშავებლად საჭირო ხდება ორი მუშის დაქირავება. „გასაკვირალი არ არისო", — შენიშნავს მკვლევარი, — „რომ მას ეძლევა საშუალება თავის საქონლით მიიღოს მონაწილეობა... ყველა ბაზრობაში, შედარებით წვრილი მწარმოებელნი კი ასაღებენ თავის საქონელს ჩვეულებრივად ახლო-მახლო ადგილებში. ამ შემთხვევაში სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელი იმდენად ვერ გამოყოფია ჯერ კიდევ „მხვნელ-მთესველ-გლეხობის" მასას, რომ მას შერჩენილი აქვს თავის სანადელო მეურნეობა და პატრიარქალური დიდი ოჯახი. საჩეჩ-

*) ძალიან ხშირად შინამრეწველთა ის მსხვილი მეპატრონეები, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ დაწერილებით ვილაპარაკეთ, თვით არიან ხოლმე რამოდენიმეთ შემყიდველები, მაგ., მსხვილი მრეწველების მიერ წერილებისგან ნაწარმოების ყიდვა ძლიერ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს.

ლების მკეთებლები მოსკოვის გუბერნიაში სრულ დამოკიდებულებაში არიან იმ მრეწველთაგან, რომელნიც ყიდულობენ მათ ნაწარმოებს (საჩეჩელის დაზგებს). ეს შემყიდველები — იმავე დროს „შინამრეწველებიც" არიან, რომელთაც საკუთარი სახელოსნოები აქვთ; ისინი ურიგებენ გაჭირვებულებს ნედლ მასალას იმ პირობით, რომ ისევ მათ მიუტანონ დამზადებული პროდუქტი და სხ. წვრილი მრეწველები შეეცადნენ თვითონ გაეყიდებიათ მოსკოვში პროდუქტი წრილმანად, მაგრამ ვერ იხეირეს: ძალიან არახელსაყრელი გამოდგა წვრილმანად გასაღება, რაღაც 10 — 15 მანეთობით. რიაზანის გუბერნიის მაქმანის სარეწავში ვაჭარი-ქალები ხელოსნების ხელფასის ზევით 12 — 50% მოგებას იღებენ. უფრო „შეძლებულ" ვაჭარ-ქალებს დაკავებული აქვთ გასაღების ცენტრთან წესიერი კავშირი და აგზავნიან საქონელს ფოსტით, რითაც სამგზავრო ხარჯებიდან ინთავისუფლებენ თავს. რამდენად საჭიროა საბითუმო გასაღება, იქიდან სჩანს, რომ ვაჭრები სთვლიან გასაღების ხარჯებს აუნაზღაურებლად ძაშინაც კი, როცა 150 — 200 მანეთისას ასაღებენ. ბელევის მაქმანის გასაღების ორგანიზაცია ასეთია. ქ. ბელევში არის სამი ხარისხის ვაჭარი-ქალები: 1) „პრასოლჩიცები", რომელნიც არიგებენ წვრილ შეკვეთებს, შემდეგ თვითონ ჩამოუვლიან ხელოსნებს და აძლევენ საქონელს მსხვილ ვაჭარ-ქალებს; 2) ვაჭარი ქალები-შემკვეთავები, რომელნიც პირადათ უკვეთავენ ანდა ყიდულობენ საქონელს პრასოლჩიცებიდან" და შიაქვთ ხს სატახტო ქალაქებში და სხ. 3) მსხვილი ვაჭარი-ქალები (2 — 3 „ფირმა") აწარმოებენ საქმეს უკვე კომისიონერების საშუალებით, უგზავნიან მათ საქონელს და იღებენ მათგან მსხვილ შეკვეთებს. პროვინციალურ ვაჭარ-ქალებისათვის „თითქმის შეუძლებელია" საქონელის ზიდვა მაღაზიებში: „მაღაზიები ამჯობინებენ საქმის დაჭერას ისეთ შემყიდველებთან, რომელნიც აწვდიან აღნიშნულ საქონელს... მრავალნაირ ქსოვილებიდან შემდგარს და დიდ რაოდენობით; ვაჭარიქალები იძულებული არიან მიჰყიდონ საქონელი ამ „შიმწოდებელს"; „მათგან გებულობენ ისინი ვაჭრობის ყოველნაირ პირობებს; „შიმწოდებლები" უნიშნავენ ფასებს; ერთი სიტყვით — იმათ გარეშე ხსნა არ არის". ამგვარივე მაგალითების რიცხვი შეგვეძლო მრავალჯერ გაგვედიდებია. მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც სავსებით საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ აბსოლიუტურ შეუძლებლობას წარმოადგენს წარმოების დროს წვრილმანად გასაღება მსხვილ ბაზრებზე. წვრილ მწარმოებელთა დაქსაქსულობის და მათი დაშლის დროს მსხვილი გასაღება შესაძლებელია მოწყობილ იქნეს მსხვილი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შიერ,

რომელიც ამის გამო შინამრეწველთ სრული უმწეობისა და დამოკიდებულების პირობებში აყენებს. ამიტომ შესაძლებელია განვსაჯოთ თუ რამდენად შეუსაბამოა გავრცელებული ნაროდნიკული თეორიები, რომლებიც ურჩევენ „შინამრეწველობისათვის" დახმარებას „გასაღების ორგანიზაციის" საშუალებით. წმინდა თეორიული მხრით ასეთი თეორიები ეკუთვნიან „მეშჩანურ" უტოპიებს, რომელნიც დამყარებულია ს ა ქ ო ნ ლ უ რ წარმოების და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ გასაღების შორის არსებულ განუწყვეტელ კავშირის გაუგებლობაზე *). რაც შეეხება რუსეთის სინამდვილეს, ამას თეორიებს შემთხზველები თავის ყურადღების გარეშე სტოვებენ: ყურადღებას არ აქცევენ წვრილ მწარმოებლების დაქსაქსულობას და მათ სრულ დაშლას; ასევე ეპყრობიან იმ ფაქტს, რომ მათ წრიდან გამოდიოდენ და გამოდიან „შეშყიდველები"; რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გასაღების ორგანიზაცია შესაძლებელია მოწყობილ იქნეს მხოლოდ მსხვილი კაპიტალის მიერ. ცხადია, თუ ყველა ამ არასასიამოვნო, მაგრამ უეჭველად ნამდვილ მხარეს არ მივიღებთ მხედველობაში, ძნელი აღარ იქნება ფანტაზიების შეთხზვა in,s Blaue hinein **).

ჩვენ არა გვაქვს საშუალება შევებოთ დაწვრილებით იმის აღწერილობას, თუ როგორ იჩენს თავს სავაჭრო კაპიტალი ჩვენ „შინამრეწველურ" სარეწავებში და როგორ უმწეო და საცოდავ მდგომარეობაში აყენებს ის წვრილ მრეწველებს. აშასთან ერთად შემდეგ თავში ჩვენ დაგეჭირდება სავაჭრო კაპიტალის დახასიათება მისი განვითარების უმაღლეს სტადიაზე, როცა ის (როგორც მანუფაქტურის დამატება) აწყობს მასიურ მასშტაბით საშინაო კაპიტალისტურ მუშაობას. აქ კი ჩვენ საკმარისად ვთელით იმ ძირითად ფორმებზე მითითებას, რომლებსაც სავაჭრო კაპიტალი იღებს წვრილ სარეწავებში. პირველსა და უფრო მარტივ ფორმას წარმოადგენს ვაჭრის (ან მსხვილი სახელოსნოს პატრონის) მიერ წვრილ საქონლის მწარმოებლისაგან ნაწარმოების ყიდვა. შეყიდვის სუსტი განვითარების ანდა მეტოქე შემყიდველების სიმრავლის გამო საქონლის მიყიდვა ვაჭრისთვის შეიძლება არ განსხვავდებოდეს ყოველი სხვა გაყიდვისაგან; მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ადგილობრივი შემყიდველი

---

*) „საქმე კულაკში არ არის, არამედ შინამრეწველთა შორის კაპიტალების ნაკლებობაშია" — აცხადებს პირველი ნაროდნიკი. რა არის კულაკი, თუ არა შინამრეწველი კაპიტალით? უბედურებაც სწორედ ისაა, რომ ნაროდნიკებს არ უნდათ გამოიკვლიონ წვრილ მწარმოებელთა დაშლის პროცესი, რომელიც მათ წრიდან გამოყოფს მეწარმეთა და „კულაკებს".

**). „ჰაერში": ფუჭედ. რ ე დ.

არის ერთადერთი პიროვნება, რომელსაც ყოველთვის შეიძლება გლეხმა მიჰყიდოს თავისი ნაწარმოები, და მაშინ შემყიდველი სარგებლობს თავის მონოპოლიური მდგომარეობით და უზომოდ ამცირებს იმ ფასს, რომელსაც ის აძლევს მწარმოებელს. საკაპრო კაპიტალის მეორე ფორმა მდგომარეობს მისი შეკავშირებასთან შეერთებაში: ფულის მხრით მუდამ გაჭირვებაში მყოფი გლეხი სესხულობს შემყიდველისაგან ფულს და შემდეგ ვალში აძლევს მას თავის საქონელს. ამ შემთხვევაში საქონლის გასაღება (რაც ძალიან გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს) ხდება ყოველთვის ხელოვნურად დაწეულ ფასებში. რის გამოც შინამრეწველს ხშირად ხელში იმდენიც არ რჩება, რამდენის მიღებაც შეუძლია დაქირავებულ მუშას. ამასთან ერთად კრედიტორის და მოვალეს შორის ურთიერთობა აუცილებლად იწვევს უკანასკნელის პირად დამოკიდებულებას, დამორჩილებას; კრედიტორი სარგებლობს მისი გაჭირვების განსაკუთრებული შემთხვევებით და სხ. საკაპრო კაპიტალის მესამე ფორმას შეადგენს ნაწარმოების ფასში საქონლის მიცემა, რაც სოფლის შემყიდველების ჩვეულებრივ თვისებას წარმოადგენს. ამ ფორმის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ის შეთვისებული აქვს არა მარტო წვრილ სარეწავებს, არამედ საზოგადოდ ყველა სასაქონლო მეურნეობის და კაპიტალიზმის განუვითარებელ სტადიებს. მხოლოდ მსხვილმა მანქანურმა ინდუსტრიამ, რომელმაც განასაზოგადოებრივა შრომა და რადიკალურად გასწყვიტა კავშირი ყოველგვარ პატრიარქალობასთან, განდევნა ეს მონური ფორმა და გამოიწვია მისი კანონმდებლობითი აკრძალვა მსხვილ სამრეწველო დაწესებულებებში. საკაპრო კაპიტალის მეოთხე ფორმა არის ფასის სწორედ იმგვარი საქონლით გასტუმრება, რომელიც სჭირდება „შინამრეწველს“ წარმოებისთვის (ნედლი ან დამხმარე მასალები და სხ.). წვრილი მრეწველობისათვის საწარმოო მასალების მიყიდვა შეიძლება შეადგენდეს საკაპრო კაპიტალის დამოუკიდებელ ოპერაციას, სწორედ იმგვარს, როგორიც არის ნაწარმოების შეყიდვის ოპერაცია. თუ-კი შემყიდველი იწყებს საქონლის ფასის გადახდას, იმ ნედლი მასალებით, რომელნიც ესაჭიროება „შინამრეწველს“, ეს მოასწავებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა. განვითარებაში მეტად დიდ ნაბიჯს. მას შემდეგ, რაც შემყიდველმა წვრილი მრეწველი მოსწყვიტა დამზადებულ ნაწარმოებთა ბაზარს, ახლა ის მას სწყვეტს ნედლეულობის ბაზარს და ამით საბოლოოდ იმორჩილებს შინამრეწველს. ამ ფორმიდან უკვე ერთი ნაბიჯია საკაპრო კაპიტალის იმ უმაღლეს ფორმამდე, როცა შემყიდველი პირდაპირ ურიგებს მასალას „შინამრეწველებს“ დასამუშავებლად

განსაზღვრულ ფასებში შინამრეწველი de facto ხდება დაქირავებულ მუშად, რომელიც ბუშაობს კაპიტალისტისთვის თავის საკუთარ სახლში; აქ შემყიდველის სავაჭრო კაპიტალი იქცევა სამრეწველო კაპიტალად *). იქმნება შინაკაპიტალისტური მუშაობა. წვრილ სარეწავებში ის გვხვდება ცოტად თუ ბევრად სპორადიულად; მისი მასიური გავრცელება-კი ეკუთვნის კაპიტალისტურ განვითარების შემდეგ უმაღლეს სტადიას.

(ვ. ლ ე ნ ი ნ ი — კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში).

§ 10. ფაბრიკის მიერ შინამრეწველობის განდევნა

რეფორმათა წინადროინდელ რუსეთში ფაბრიკა არა თუ შინამრეწველის ქოხის მაგიერ ადგილს არ იჭერდა, არამედ, პირიქით, ძალიან ენერგიულად უწყობდა ხელს შინამრეწველობის ზრდას. წვრილი წარმოება მსხვილს სჯობნიდა კიდეც. ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავდა კაპიტალისტურ მრეწველობაზე „ხახალხო" მრეწველობის გამარჯვებას, ვინაიდან ორთავეს კაპიტალისტური ხასიათი ჰქონდა: ფაბრიკაში წარმოებას უძღვებოდა სამრეწველო კაპიტალი, ხოლო შინამრეწველობაში კი — სავაჭრო კაპიტალი. და ჩვენი ისტორიის ამ ეპოქაში — სავაჭრო კაპიტალი სამრეწველოზე ძლიერიც იყო, ამარცხებდა მას. კაპიტალისტს უფრო სახეიროდ შიაჩნდა მხოლოდ გასაღების საქმისათვის მოეკიდა ხელი; იგი ბ ა ზ ა რ ს განაგებდა, ხოლო წარმოების პროცესს — მწარმოებელს ქოხის ანაბარა ტოვებდა. ზემოდ მე აღვნიშნე, რომ მწარმოებლის წარმატება საესებით დამოკიდებული იყო წარმოების ტეხნიკაზე: იმ დროს მანქანა ჯერ კიდევ არ შეჭრილიყო ხალხის შრომის მნიშვნელოვან დარგებში. აქედან ბუნებრივად ის დასკვნა გამოდის, რომ ტეხნიკის პირობათა შეცვლას, წარმოებაში მანქანის შემოღებას — მრეწველობის ფორმის შეცვლაც უნდა მოჰყოლოდა. ფაბრიკას შინამრეწველის ქოხი უნდა დაეჯაბნა. სწორედ ეს ახასიათებს საზოგადოდ რუსეთის შინამრეწველობის უახლოეს ევოლიუციას. ამ თავში მე შეეეცდები აღვსახო ეს ევოლიუცია, დავასურათო ფაბრიკისა და შინამრეწველის ბრძოლა ისე, როგორი სახეც მას დღეს აქვს.

---

*) სავაჭრო კაპიტალის წმინდა ფორმა მდგომარეობს საქონლის ყიდვაში და მის მოგებით გაყიდვაში. სამრეწველო კაპიტალის წმინდა ფორმა მდგომარეობს საქონლის ყიდვაში და მის გადამუშავებული სახით გაყიდვაში. მაშასადამე, ნედლეულობის და სხვ. ყიდვა და მასთან ერთად სამუშაო ძალის ყიდვაც. რომელიც ამ მასალას ამუშავებს.

ძველებური ხელით სამუშაო ფაბრიკის რღვევას განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა საფეიქრო მრეწველობაში. მე-XVIII საუკუნის საფეიქრო ფაბრიკებში (სელის, აბრეშუმის, ბამბის) დაზგებზე ხელით მუშაობდენ და მანქანა ძალიან იშვიათად იხმარებოდა. მხოლოდ მაუდის საქარხნო დამზადებას ჰქონდა უფრო მანქანური ხასიათი. ამიტომ იყო, რომ მაუდის ფაბრიკები სელის, ბამბისა და აბრეშუმის ფაბრიკებზე ბევრად ნაკლებად განიცდიდენ წქრილ საწარმოო ერთეულებად დანაწილებისა და დაქუცმაცების პროცესს. მე-XVIII ს. მეორე მეოთხედში მიტკლის ქსოვა მთელ ცენტრალურ სამრეწველო რაიონში გასაოცარი სისწრაფით გაიზარდა. ბამბის საქსოვი ფაბრიკები უმეტეს შემთხვევაში უბრალო საფაბრიკო კანტორებად იქცნენ: ისინი მარტოოდენ საშუამავლო საქმეებს ასრულებდენ, წარმოებას სრულიად არ მიუდგენენ, შინაფეიქრებს მხოლოდ ნედლ მასალას ურიგებდენ და მათგან გამზადებულს პროდუქტს ღებულობდენ. ნიკოლოზ პირველის ეპოქაში აგრეთვე ძალიან გავრცელებული იყო (უფრო მეტად, ვიდრე საფაბრიკო ფეიქრობა) აბრეშუმისა და ხელის ქსოვა სახლებსა და ქოხებში. მაუდის ფაბრიკამ უფრო შეინარჩუნა თავისი პოზიციები, ვინაიდან მაუდის საფაბრიკო დამზადებას მრავალი ტეხნიკური უპირატესობა ჰქონდა და იქ უკვე საკმაოდ იხმარებოდა მანქანა.

სამრეწველო ევოლიუციის ახალმა ბაზისმა ყველაზე უწინ და ყველაზე მძლავრად თავი იჩინა სწორედ ბამბის საქსოვ წარმოებაში. თუ მკითხველი გაიხსენებს, — ჯერ კიდევ 50-იან წლებში ფაბრიკანტები სჩიოდენ: ხელით მომუშავე ფეიქრები ნედლ მასალას იპარავენო და იმუქრებოდენ — მექანიკურ დაზგას შემოვიღებთ, იგი ბოლოს მოუღებს ურჩ შინამრეწველთა „ბოროტმოქმედებასაო“. ასეთი დრო მართლაც მალე დადგა. მექანიკური დაზგა ვლადიმირის გუბერნიაში უკვე 40-იან წლებში გაჩნდა; მაგრამ მექანიკური ქსოვა ბამბეულისა მხოლოდ 60-იან, 70-იან წლებში ვრცელდება და შინამრეწველობისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. 1866 წელს რუსეთში ბამბეულის მხოლოდ 42 მექანიკური საქსოვის ფაბრიკა იყო, 1876 წ. კი უკვე 92 ბამბის ქსოვის მრეწველობის ფორმათა-ცვლილების შესახებ ზოგად წარმოდგენას შემდეგი ციფრები მოგვცემს: (იხ. ცხრ. 343 გვ.).

ჩვენ ვხედავთ, რომ ფაბრიკის შენობაში მომუშავეთა რიცხვი სწრაფად იზრდება, ხოლო შინ მომუშავეთა რიცხვი ასევე სწრაფად მცირდება. 1886 წელს შინ მომუშავეთა რიცხვი ფაბრიკის შენობაში მომუშავეთა რიცხვის 70%-ს შეადგენდენ, ხოლო 1894 — 95 წ. წ.

ევროპის რუსეთის 50 გუბერნიაში ბამბის საქსოვ ფაბრიკებში დაბანდებულ მუშათა რიცხვი.

წ ლ ე ბ ი	ფაბრიკის შენობაში მომუშავენი	სახლში მომუშავენი
1866 .	94.566	66.178
1879 .	162.691	50.152
1894—95 .	242.051	20.475

შინამუშები უკვე მხოლოდ 8% იყვნენ. 60-იან წლებამდე საოჯახო სისტემა სჯაბნიდა ფაბრიკას. ამ ხნიდან კი ფაბრიკა საოჯახო მრეწველობის ადგილს იკავებს.

ყველა ადგილობრივი მკვლევარი უკვე 60-იან წლებს დამლევიდან აღნიშნავს მიტკლის ქსოვის დაცემას. მაგრამ 80-იან წლებამდე წვრილი შინამრეწველური ფეიქრობა მაინც სჯაბნიდა საფაბრიკოს. მაგალითად, მოსკოველ სტატისტიკოსების გამოანგარიშებით, 70-იანი წლების დამლევს მოსკოვის გუბერნიაში ყველა იმ ქსოვილთაგან, რომელიც ხელით მზადდებოდა, 20% ფაბრიკებში მზადდებოდა, ხოლო 80% — გლეხთა ქოხებსა და სახელოსნოებში. მაგრამ უკვე იმ ხანებში ზოგიერთ ადგილებში შინამრეწველური ფეიქრობა უკვე ჩაკლული იყო მანქანის მიერ. მაგალითად, ვერნერის სიტყვით, „სერპუხოვის და კოლომნის მაზრებში ჯერ კიდევ ოცი წლის წინად თითქმის ყოველი გლეხის სახლში მიტკალს ამზადებდენ — აშკამად კი არც ერთი სამიტკლო დაზგა აღარ მოიპოვებაო“.

მეორე მკვლევარის, პოგოჟევის აზრით — „1880 — 81 წლებში მოჟაისკის მაზრაში... ძველად 29 ხელოსნუკა იყო (1871 წ.), ახლა სამჯერ უფრო ნაკლებია. საკვირველია აგრეთვე აღინიშნოს, ეს ხელოსნუკებიც მხოლოდ იმიტომ გადარჩენილან, რომ მრავალს მათგანს ბამბის იაფფასიანი ქსოვილების ბაზარალებელი მზადება მიუტოვებია... და ნახევრად აბრეშუმის ლენტების მზადება დაუწყია“.

ვოლოკალამის მაზრის შესახებ პოგოჟევი აღნიშნავს: „მრავალ ფრიად მსხვილი ხელოსნის სიტყვით, წვრილი მრეწველობისათვის სულ უფრო ძნელი და ძნელი ხდება ბრძოლა მექანიკურ ფაბრიკებთან, რომელნიც ხელით მომუშავე ფეიქრებზე იაფადაც ბუშაობენ და ბათზე უფრო სწრაფადაც ამზადებენ სამუშაოს“.

თუ ახლა „მოსკოვის სტატისტიკურ წელიწდეულს“ გადავხედავთ, იქ 80-იანი და 90-იანი წლების შინამრეწველური ფეიქრობის დაცემის შესახებ მრავალრიცხოვან ფაქტებს ამოვიკითხავთ. მაგალითად, 1887 წლის „წელიწდეულში“ ვკითხულობთ: „შინამრეწველობა, რომელიც სხვადასხვა სახით ძალიან გავრცელებული იყო მაზრაში, ახლა სრული დაცემულობის გზაზეა დამდგარი; განსაკუთრებით ეს მძლავრად ემჩნევათ ხელით მომუშავე ფეიქრებს. იშვიათია ისეთი სახელოსნო, სადაც რამდენიმე, დაზგა, საესებით გამართული, — გვერდზე მიგდებული არ იყოს, როგორც სრულიად გამოუსადეგარი რამ. სახელოსნოთა რიცხვი წლითი-წლობით მცირდება. შინამრეწველობის პროდუქტთა ბაზანდა საშინლად დაცემულია. ეგრედწოდებული ხელოსნუკები, რომელნიც მეპატრონის შეკვეთით მუშაობენ, მხოლოდ ხანგამოშვებით მუშაობენ. შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში შინამრეწველობის შემწყობით მცხოვრებ მუშახელის რიცხვის სტატისტიკა ნათლად დაგვანახებს, თუ როგორ მძლავრად და მგონია, საბოლოოდ დაეცა გლეხის ცხოვრებაში ეს დიდი მნიშვნელობის მქონე სარეწავი... ოზერეცკის თემში იყო 2.000 დაზგა. ეს რიცხვი შემცირდა და 1.100 დაზგამდე ჩამოვიდა. დაბანდებულ შუშა-ხელის შემცირება, შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, შინამრეწველობის ყველა დარგებში ხდება. მას მისდევს ხელფასის შემცირებაც, იგი ეცემა იმისთანა მინიმუმამდე, რომელზედაც დაბლა დაცემა ყოვლად შეუძლებელია“.

ბრონიცკის მაზრის შესახებ 1890 წ. „წელიწდეულში“ ჩვენ ვკითხულობთ წერილს ერთი გლეხკორესპონდენტისას, რომელსაც, რედაქციის მოწმობით, იქაური პირობები კარგად სცოდნია. „ჩვენს მხარეს ასე თუ ისე მსხვილი შინამრეწველნი მოიპოვნებიან (ბაბბეულის მქსოველნი) და ყველანი ისინი ამჟამად სწორედ რომ რიყეზე დარჩნენ; მათი საქონელი სულ არ იყიდება... ნაშდვილ მეფაბრიკეებს მათი საქონელი მუქთადაც არ სურთ. ამის გამო ისინი იძულებულნი გახდენ დროებით თავი გაენებებიანათ შინამრეწველობისათვის, მით უმეტეს, რომ არც თუ ფეიქრებს აქვთ ხალისი მეფაბრიკეებისათვის თითქმის მუქდად იმუშაონ“.

აღსანიშნავია, რომ მსხვილ საფაბრიკო საფეიქროებში, როგორც „წელწდეულის“ შემდგენელნი აღნიშნავენ, 1889 — 1890 წ. წ. ზამთარში საქმე მშვენივრად მიდიოდა: ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილი შინამრეწველური ფაბრიკებისა და ქოხების დაცემა საერთოდ საფეიქრო მრეწველობის შეფერხებას როდი გამოუწვევია. იგი გა-

მოიწვია მხოლოდ და ძხოლოდ იმან, რომ შინამრეწველური ფეიქრობა საფაბრიკო ფეიქრობას კონკურენციას ვერ უწევდა.

ვერნერმა დაწვრილებით გამოიკვლია 1890 წ. ბოგოროდსკის მაზრის სარეწავები. მისი სიტყვით, შინამრეწველური საფეიქროები ზოგ ადგილას კიდევ ბოგინებს, „მაგრამ (შინამრეწველური საფეიქროების კონკურენცია საფაბრიკოებთან) საფაბრიკო ფეიქრობის სრული გამარჯვებით დამთავრდება. ამაში არავითარი ეჭვი არ შეიძლება აშკარად გვქონდეს. მეფაბრიკეებთან ლაპარაკში და მათი ანგარიშების განხილვით... ჩვენ ვრწმუნდებით, რომ მეპატრონეებსა და ადგილობრივს მეფაბრიკეებს — წარმოებისაგან არავითარი სამოსაქმეო მოგება არა აქვთ. უმრავლეს შემთხვევაში ისინი იმით კმაყოფილდებიან, რომ მათი ოჯახის წევრებს ფაბრიკებში მუდმივი სამუშაო აქვთ“.

1891 და 1892 წლების ზიმზილობის დროს რუსეთის მთელს მეურნეობას დიდი გაჭირვება დაადგა; ამან გავლენა მოახდინა დამუშავებულ მრეწველობაზედაც და სამანაუფაქტურო პროდუქტებზე მოთხოვნა შემცირდა, განსაკუთრებით შემცირდა გლეხის მოსახმარ საგნებზე მოთხოვნა. მაგრამ ზემოხსნებული კრიზისი მთელი თავისი სიმძიმით წვრილ მეპატრონ-შინამრეწველთ დაატყდა თავს. 1893 წ. „წელიწდეულში“ ვკითხულობთ: „ბამბეულის წარმოებაში უკვე დიდი ხანია წვრილისა და მსხვილ მწარმოებელთა შორის ბრძოლა სწარმოებს; ცხადია, ეს ბრძოლა წვრილ მწარმოებელთათვის არის საზარალო. ისეთი კრიტიკული მომენტები, როგორიც იყო სულ ახლა განცდილი 1891 — 1892 წლები, მრავალ წვრილ მწარმოებელთათვის საბედისწეროა ხოლმე; ალბად სწორედ ამით აიხსნება ჩვენი კორესპონდენტების ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები: ზოგიერთმა მეფაბრიკემ მთლად მიჰკეტა ფაბრიკები, ზოგიერთის საქმე ცუდათ მიდის, ზოგიერთისა კი (უფრო შეძლებულებისა) დამაკმაყოფილებლადო“ („წელიწდეული“ — სარეწავები, გვ. 6).

მაშასადამე, მოსკოვის გუბერნიაში მსხვილი სამანქანო ფეიქრობისა და შინამრეწველური ფეიქრობის ბრძოლის შედეგი უკვე საკმაოდ ნათელია: წვრილი ფეიქრობის სავაჭრო-კაპიტალისტური ორგანიზაცია, რომელმაც ნიკოლოზ პირველის ეპოქაში მრავალ პუნქტიდან ფაბრიკა გამოდევნა, ახლა უკვარგისი აღმოჩნდა და მექანიკური საფეიქრო დაზგით აღჭურვილ ფაბრიკას უთმობს ადგილს. ეს საკმაოდ გასაგებია. როგორ შეიძლება შინამრეწველმა — მანქანიან ფეიქარს მეტოქეობა გაუწიოს, როდესაც ბამბეულის წმინდა ქსოვილების

კაბზადება ორთქლის დაბგაზე 20-ჯერ უფრო ნაყოფიერია ხელით შუშაობაზე?

ამგვარად, ფაბრიკაში მუშების სამრეწველო გაერთიანება სცვლის შუშების სავაჭრო გაერთიანებას. კაპიტალიზმი თავის უმაღლეს ფაზაში შედის. ასეთსავე მოვლენას ვამჩნევთ ბამბეულის ქსოვის სხვა ცენტრებშიაც. ვლადიმირის გუბერნიაში 70-იანი და 80-იანი წლების განმავლობაში ბამბეულის საფეიქრო ფაბრიკამ. უფრო მძლავრადაც კი დაამარცხა შინამრეწველი, ვიდრე მოსკოვის გუბერნიაში. მაგალითად ალექსანდროვსკის მაზრის მიტკლის წარმოების შესახებ ხარიზომენოვი გადმოგვცემს. „ფეიქრების სიტყვით, ეს წარმოება უკანასკნელი ხნის განმავლობაში დაცემის გზაზეა დამდგარი". ხელით ქსოვა საზარალოა და ამიტომ ნართს შინ აღარავის ურიგებენ; ქოხ-სახელოსნოები იკეტება: „მიტკლის ქსოვას თავს ანებებენ, რადგან თვით მქსოვ ფაბრიკასთან კონკურენცია საზარალოდ მიაჩნიათ... მიტკლის ქსოვას ახლა მხოლოდ ქალებიღა მისდევენო". წინად მიტკლის წარმოება ალექსანდროვსკის მაზრის 40 სოფელში არსებობდა, ახლა კი მხოლოდ 15-შია. პოკროვსკოეს მაზრაში ფაბრიკამ მთლად განდევნა მიტკლის შინამრეწველური ქსოვა. ამ მაზრაში, პრუგავინის მოწმობით, ხელის დაზგაზე მიტკლის ქსოვა სრულიად მოსპობილა.

(მ. ტუგან-ბარანოვსკი — რუსეთის ფაბრიკა; კრებულიდან: „შინამრეწველობა").

§ 11. თანამედროვე შინამრეწველობა (ჩინეთში)

ხელით წარმოების შენარჩუნება და შრომის განაწილების ფართე გატარება, შედარებითი უძრაობა, წვრილ შინამრეწველთა მანუფაქტურისათვის დაქვემდებარება, მანუფაქტურის სავაჭრო კაპიტალისათვის დამორჩილება — აი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები მანუფაქტურული ტექნიკისა და ეკონომიური წყობისა ლენინის მიხედვით. კაპიტალისტსა და მუშას შორის შუამავლების სიმრავლე საოჯახო მუშაობის დროს, sweting sysfem, ე. ი. ოფლის გამოწურვის სისტემა, მეტისმეტად დაძაბული ექსპლოატაციის სისტემა, truck system, ე. ი. სურსათ-სანოვაგით ხელფასის გადახდა, სამუშაოს ანტიჰიგიენური მოწყობილება, საცხოვრებელი და სამუშაო სადგომის გაერთიანებისა გამო, სამუშაო დღის უზომო სიგრძე, წარმოებაში ქალებისა და ბავშვების მიზიდვა, მუშების მოთხოვნილებათა დონის დაწევა-დაქვეითება, მუშის მიწათმოქმედებასთან კავშირის

ვაძთ, მუშათა დაქსაქსული მდგომარეობა, ჩაგვრისა და პირადი დამოკიდებულების ყოველგვარი ფორმის აყვავება, მუშის სამიწო ურთიერთობიდან დამოკიდებულება — აი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები საოჯახო მუშაობისა (შინამრეწველობისა) ლ ე ნ ი ნ ი ს მიხედვით. (ლ ე ნ ი ნ ი — თხზულებანი, ტ. III). საოჯახო მუშაობის ფართე გავრცელება ჰგულისხმობს ორ პირობას: 1) სასოფლო პროლეტარიატის მასიურობას, რომელიც ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა, და ამავე დროს იაფად გაჰყიდოს; 2) არსებობას ადგილობრივ პირობებთან კარგად გაცნობილ შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი გლეხობისა, რომელთაც შეეძლებათ თავზე აიღონ აგენტების როლი სამუშაოთა ჩამორიგების დროს. ჩინეთში ადგილი აქვს ორივე პირობას. მაგრამ ჩვენ მაინც გვინდოდა მიგვეთითებინა, რომ შეძლებული გლეხი უფრო იშვიათად, ხოლო ვაჭარი უფრო ხშირად ასრულებს შემსყიდველისა და (სამუშაოს) ჩამომრიგებელის როლს. შემსყიდველის წარმოშობის ეკონომიური აუცილებლობა გამომდინარეობს გასაღების ორგანიზაციის აუცილებლობიდან, რაიც სავსებითაც არ საზღვრავს თავისთავად, რომ შემსყიდველის მოგება შესდგება მხოლოდ იმ განსხვავებიდან რომელიც მსხვილ და წვრილ გასაღებას შორის არსებობს. ურთიერთობას შემსყიდველსა და საოჯახო (მრეწველობის) მუშას შორის შეუძლია მიიღოს სხვადასხვაგვარი ფორმა. პირველი და ყველაზე მარტივ ფორმას წარმოადგენს ვაჭრის მიერ ნაკეთობის შესყიდვა. სავაჭრო კაპიტალის მეორე ფორმა მდგომარეობს მისი სავახშოსთან შეერთებაში. მესამე ფორმას სავაჭრო კაპიტალისა წარმოადგენს ნაკეთობათათვის გასამრჯელოს საქონლის სახით გადახდა. მეოთხე ფორმას სავაჭრო კაპიტალისა წარმოადგენს ვაჭრის მიერ სახელდობრ იმ საქონლებით გადახდა შინამრეწველის გასამრჯელოისა, რომელიც უკანასკნელისათვის აუცილებელია წარმოებისათვის (ნედლეული ანუ დამხმარე მასალები და ა. შ.) ამ ფორმიდან უკვე ერთი ნაბიჯია რჩება სავაჭრო კაპიტალის იმ მაღალ ფორმამდე, როდესაც შემსყიდველი პირდაპირ ჩამოურიგებს „შინამრეწველთ" მასალებს გადასამუშავებლად გარკვეულ გასამრჯელოზე. შინამრეწველი de facto იქცევა დაქირავებულ მუშად, რომელიც თავის სახლში მუშაობს კაპიტალისტისათვის; შემსყიდველის სავაჭრო კაპიტალი აქ გადადის სამრეწველო კაპიტალში" (ლენინი, ტ. III). აი სხვადასხვა საფეხურები და ფორმები საოჯახო მრეწველობის სავაჭრო კაპიტალისათვის დაქვემდებარებაში. იმ მომენტში, როდესაც შემსყიდველი იქცევა ჩამომრიგებლად, ს ა ვ ა ჭ რ ო კაპიტალი იქცევა ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო დ. აქედან უკვე მხოლოდ ერთი

ნაბიჯია დაქსაქსული მუშებისა და დაქუცმაცებული საწარმოო პროცესის მანუფაქტურაში გაერთიანებამდე. მაგრამ ჩამომრიგებელი საშინაო მუშებს ამარაგებს მხოლოდ ნედლეულითა და დამხმარე მასალებით. წარმოების იარაღები ეკუთვნის შინა მუშას ანუ შინამრეწველს, აქედან კიდევ ერთი ნაბიჯი — და ჩამომრიგებელს შეეძლება შინა მუშა მოამარაგოს საწარმოო იარაღებითაც. ნანკინში ჩამომრიგებელი ამარაგებს მაქმანების მქსოველ და მქარგავ ქალებს, აგრეთვე წარმოების იარაღებითაც. ჩეილში მეტად გავრცელებულია საქსოვი დაზგების გლეხებისათვის მიქირავება. ტიანცძინში არის ფირმები, რომლებმაც სამი წლის განმავლობაში გააქირავეს 200 საქსოვი დაზგა. გუანხუს მაზრის ჩეეცძიანში 10 ათასზე მეტი სატრიკოტაჟო მანქანაა გაქირავებული. ასევე, ქალაქებშიაც ძლიერ გავრცელებულია სატრიკოტაჟო და საკერავი მანქანების გაქირავება. კარგად ცნობილია ის მეეახშური პირობები რომელიც მანქანის გაქირავებაში არსებობს. (მანქანაში რომელიც 20 დოლარი ღირს შინა მუშა თვიურად იხდის ერთ დოლარს!) მანქანების ჩამორიგების შემთხვევაში, ჩამომრიგებელი უკვე სამრეწველო კაპიტალისტს წარმოადგენს; არ ჰყოფნის კიდევ მხოლოდ ტერიტორიალური გაერთიანება დაქსაქსული მანქანებისა და მუშებისა ერთ სახელოსნოში. მაგრამ სახელდობრ საქსოვი დაზგების, საკერავი და სატრიკოტაჟო მანქანების ჩამორიგება ამტკიცებს, რომ განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში შესაძლებელია ტექნიკური პროგრესი გამოყენებულ იქნას ექსპლოატაციის ცუდი ფორმების გასავრცელებლად.

ჩინეთში მანუფაქტურიდან და შინამრეწველობიდან მსხვილ მრეწველობაში გადასვლა შედარებით ნელა სრულდება, რადგან, როგორც სჩანს, კიდევ შესაძლებელია „სამუშაო ძალის გაიაფება ქალების და მცირეწლოვანთა მუშაობის ბოროტად გამოყენების წყალობით, შრომის ყოველგვარი პირობების წართმევის წყალობით, ყოველგვარი პირობების, რომლის დროსაც შრომასა და ცხოვრებას შეეძლებათ ნორმალური მდინარება, უზომო და ღამით შრომის საშინელებათა წყალობით". იქ ჯერ კიდევ, როგორც სჩანს, ექსპლოატაციის ეს სახეები არ დაჯახებიან ბუნებრივ საზღვრებს, რადგან „როდესაც ეს პუნქტი მიღწეულია, — აქამდე დიდი ხანი გადის, — რეკავს მანქანების შემოღების საათი და ამ მომენტიდან დაქსაქსული საშინაო შრომის (და აგრეთვე მანუფაქტურის) მალე საფაბრიკო წარმოებად გადაქცევისაც" (კ. მ ა რ ქ ს ი — კაპიტალი, ტ. I გვ. 450). ჩინეთის გაღატაკებული სოფლები და საქალაქო ღარიბების მილიონიანი მასები თავის თავში წარმოადგენენ ჯერ კიდევ „ადამიანთა მასალებს"

უარესი ექსპლოატაციის სახეებისათვის. და სწორედ ეს გარემოება ბრკოლებს მსხვილი ინდუსტრიის განვითარებას. „ასეთი მიმართებანი წარმოადგენენ დაბრკოლებებს ნამდვილი კაპიტალისტური წარმოების წესისათვის და ილუპებიან უკანასკნელის განვითარებისა და მიხედვით (კ. მარქსი — კაპიტალი, ტ. III, წ. I გვ. 319).

საოჯახო მრეწველობის ყველა დარგებიდან ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ფეიქრობას, და განსაკუთრებით ბამბეულის საფეიქრო მრეწველობას. ინდოეთში საოჯახო ფეიქართა საკითხი — ერთ-ერთი უდიდესი სოციალური პრობლემათაგანია. მათი რიცხვი 5 მილიონ კაცს აღემატება. მათი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია ვინემ მდგომარეობა ლარიბი გლეხებისა. ყველა ანგარიშმოხსენებებში სიმშილიანობათა შესახებ ინდოეთში აღნიშნულია, რომ, პირველ რიგში საზოგადოებრივ მუშაობაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეხმარებიან ფეიქრები. მათ აღატაკებთ შემოტანილი ქსოვილებისა და ინდოეთის მსხვილი საფეიქრო ფაბრიკების ქსოვილთა კონკურენცია. 1926 წ. ითვლიდენ, რომ უცხოეთის ქსოვილის შემოტანა ინდოეთში ჰფარავს 20 — 25%, ინდოეთის საფეიქრო ფაბრიკების პროდუქციაკი— 20-25% ინდოეთის მთელ მოთხოვნილებას ქსოვილში. ჩვენ ვიცით, რომ ჩინეთში არაფაბრიკის ფეიქართა რიცხვი და მნიშვნელობა (აქვე მანუფაქტურებში დაბანდულნიც რომ ჩაურთონ) ბევრად უფრო მეტია ვინემ ინდოეთში. 1925 წ. საფეიქრო ფაბრიკების პროდუქცია ჩინეთში ჰფარავდა (27 მილ. გირ. ქსოვილი) 2,13%, შემოტანილი ქსოვილი (265 მილ. გირ.) — 22,6%, და საოჯახო და მანუფაქტურული წარმოება (870 მილ. გ. — 74,2% მთელი მოთხოვნილებისა. მას შემდეგ ორთქლით საქსოვი დაზგების რიცხვი გადიდდა 22 ათასიდან 29 ათასამდე 1928 წლისათვის, და ტენდენციაა სახელდობრ შედარებით ტექსტილური ფაბრიკების ჩქარი ზრდისა, მაგრამ მაინც ქსოვილის ძირითადი მასა იწარმოება საოჯახო წესით.

ინდოეთში, ბენგალიაში, ბომბეის საპრეზინდენტოში, შეერთებულ პროვინციებში, ცენტრალურ პროვინციებში და პენჯაბში ფაბრიკის და საოჯახო მრეწველობის ფეიქართა რიცხვის შეფარდება შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

	1901 წ.	1911 წ.
საფაბრიკო ფეიქრებისა და მრთველების რიცხვი	137.000	204.000
ხელით მქსოველ ფეიქართა და მრთველთა რიცხვი	1.482.086	1.296.186

ბენგალიაში, ტექსტილური (საფეიქრო) და კორხორული მრეწველობის ერთერთ ცენტრთაგანში, საფაბრიკო მუშების რიცხვი უდრის 600.000, ხოლო ხელით მქსოველ ფეიქართა რიცხვი კი — 1.800.000. მადრასში 1911 წ. ხელით მქსოველ ფეიქართა რიცხვი შეადგენდა 368.000, ხოლო 1921 წ. კი — 300.000 კაცს. უ დ ა ო ა, რ ო მ ჩ ი ნ ე თ შ ი შ ე დ ა რ ე ბ ი თ მ ე ტ ი ხ ე ლ ი თ მ ქ ს ო ვ ე ლ ი ფ ე ი ქ ა რ ი ა ვ ი ნ ე მ ი ნ დ ო ე თ შ ი. უ დ ა ო ა, რ ო მ მ ა თ ი რ ი ც ხ ვ ი კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ნ ე ლ ა მ ც ი რ დ ე ბ ა, ვ ი ნ ე მ ი ნ დ ო ე თ შ ი. ამავე დროს უეჭველია, რომ საფეიქრო მრეწველობის ჩქარ ზრდას, უცხოეთის ქსოვილის შემოტანასთან ერთად და მოთხოვნილების შემცირებასთან ერთად ეს სარეწავი მიყავს მძიმე კრიზისისაკენ. ორთქლის დაზგათა რიცხვი მსხვილ ფაბრიკებში შეადგენდა:

1925 წელს... 22.924; 1926 წ... 24.057; 1927 წ... 29.788.

უდაოა რომ ამ მხრივ ჩინელ ფეიქრებსა და გლეხებს, რომლებიც ფეიქრობას მისდევენ, მოელით კატასტროფა. ინდოეთის გამოცდილება გვიჩვენებს რომ ამ ფეიქრების ბედი — ნელი გადაშენებაა, სიმშილისაგან თანდათანი სიკვდილია. მაგრამ ჯერ მთელ რიგ პროვინციებში საოჯახო ფეიქრობა თამაშობს კოლოსალურ როლს არა მხოლოდ სოფელში, არამედ ქალაქებშიაც. ჩვენ ვამტკიცებთ რომ ზოგიერთ ადგილებში ჩეილისა და აგრეთვე შანდუნშიაც გლეხობის უღარიბესი ფენები უფრო მეტ შემოსავალს ღებულობენ საოჯახო ფეიქრობიდან, ვინემ მიწათმოქმედებიდან.

უდიდეს როლს თამაშობს კიდევ აგრეთვე ა ბ რ ე შ უ მ ი ს მ ო ქ ს ო ვ ი ს ს ა ქ მ ე. აბრეშუმის სართავ მანქანებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს გამოედევნათ აბრეშუმის საოჯახო დართვის წესი. ამ სფეროში თანამედროვე ინდუსტრიის განვითარება თანდათან ავიწროებს შინამრეწველობას. ის (შინამრეწველობა) კიდევ არსებობს შორეულ მივარდნილ კუთხეში, სადაც არ არის სათანადო ტრანსპორტი აბრეშუმის პარკის მსხვილ მანქანურ სართავებში მისაწოდებლად, ანდა არ არსებობს შესაძლებლობა ფაბრიკების მფენვე აშენებისა. აბრეშუმის დართვის საქმე კიდევ უფრო მტკიცედ სდგას, რადგან აბრეშუმის სართავი მსხვილი ფაბრიკები მხოლოდ რომ იწყებენ განვითარებას ამ უკანასკნელ ხანებში და მოთხოვნილება აბრეშუმის ქსოვილებზე შინაურ ბაზარში სულ კიდევ დიდია. ხელოვნური აბრეშუმი, იაპონიის კონკურენცია, ევროპიული სტილის ტანისამოსის გავრცელება, აბრეშუმის საფაბრიკო ნაქსოვის გავრცელება — ყოველივე ესენი მოქმედებენ აბრეშუმის შინამრეწველურ ფეიქრო-

ბაზე. ვაძლიერებულად ვითარდებიან აბრეშუმის მანუფაქტურული საფეიქროები. ვითარდებიან აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკებიც. ხანჭოუში 11 აბრეშუმის მქსოველ საწარმოოში 460 საქსოვი დაზგა ითვლება; შანხაიში უკვე 1924 წ. იყო 8 აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა; ხანჭოუში ერთ ფაბრიკაში იყო 150 საქსოვი დაზგა. ერთი სიტყვით (შინამრეწველური) აბრეშუმის ქსოვის საქმეს ყოველი მხრიდან საფუძვლები ეცლება; მაგრამ ის ჯერჯერობით მაინც განაგრძობს არსებობას, და თუ დაახლოებით 60% მთელი ნედლი აბრეშუმისა, რომელიც ჩინეთში იწარმოება ამავე ქვეყანაში რჩება, მაშინ უეჭველია, რომ 70—80%. მთელი ამ რაოდენობისა ქსოვილის სახეს ღებულობს ხელის (შინამრეწველობის) წესით. ხოლო პონჟეს მიმართ საოჯახო მუშაობის განდევნის პროცესი ძლიერ შორს წავიდა (უკანასკნელ ხანებში 90% მთელი გატანისა შეადგენდა ფაბრიკის ნართს, და მხოლოდ 10% ნედლი აბრეშუმისა წარმოადგენდა საოჯახო მრეწველობის ნაწარმოებს). მაგრამ შინამრეწველური აბრეშუმის ქსოვა კიდევ სძლებს, თუმცა აქაც ვითარდებიან მსხვილი მანუფაქტურები. აღმოსავლეთში, შანდუნის პროვინციაში ოთხ მაზრაში პონჟეს ქსოვა სწარმოებს კიდევ ძველის წესით, მაგრამ მანუფაქტურაში, იქ არსებობს 191 საწარმო 6.540 საქსოვი დაზგით და 981 ათასი თოფი პროდუქციით. მანუფაქტურები კიდევ უფრო ძლიერად აცლიან საფუძვლებს შინამრეწველურ ქსოვას მანჯურიაში.

ამავე დროს იმპერიალიზმი არა მხოლოდ არღვევს საოჯახო მრეწველობის სხვადასხვა დარგებს, არამედ იწვევს და ანვითარებს მის ცალკე დარგებს. ძუის ბადეებისა, ნოხებისა, მარაოებისა, ჭილოფებისა, ტრუშულებისა, ჩალის ქუდებისა, სატკაცუნებლებისა, შესაწირავი ფულებისა, მაქმანებისა, ჩინური ქსოვილებისა, ნაქარგებისა, ტრიკოტაჟულ ნაკეთობათა და სხვ. ჩინეთიდან გატანა მსახურებს ამის საუკეთესო მაგალითად. მთელ ამ წარმოებათ, რომელთა დაწვრილებით აღსაწერად ჩვენ არ ვემზადებით, აქვთ თავიანთი მდიდარი, მოვლენებითა და კრიზისებით აღსავსე ისტორია. ძუის ბადეები ოდესღაც ლუკმა პურს აჭმევდენ ასეულ ათას ჩინელ ქალებს შანდუნისა, რათა შემდეგში დაეკარგად წინანდელი მნიშვნელობა მოდის ცვლილებების გამო. ოდესღაც ათეული ათასი ჩინელი ქალები ამზადებდენ მაქმანებს ნანკინში, უსში, შანხაიში და სვატოუში. ახლა კი, მათი დიდი ნახევარი უმუშევრადაა დარჩენილი. თანდათან ეცემა ნამჯების, ჭილოფების და ტრუშულების, ჩინური მარაოების, ნაქარგების, მაქმანების და სხვ. გატანა. სამაგიეროდ იზრდება გატანა ჩალის ქუდებისა და ტილოსი, შესაწირავი ფულების და ა. შ.

(მაგრამ ესენი გააქვთ უმთავრესად იმ ქვეყნებში სადაც ცხოვრობს ჩინური ემიგრაცია და სადაც ზნეჩვეულებანი ემსგავსებიან ჩინურს, მაგ., კორეაში)...

... მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც საოჯახო მრეწველობა გამოწვეულია მოდის კაპრიზებით (ნაქარგები, ძუის ბადეები, მაქმანები, ქოლგები და სხვ.) საოჯახო მუშის მდგომარეობა პირდაპირ საშინელია. მოდის გასვლა ასეულ და ასეულ ათას ჩინელ გლეხ ქალს და ქალაქის მუშა ქალს უკარგავს ლუკმა პურს. ვაჭარი, რომელიც წარმოების აყვავების დროს „გამოიმუშავებდა" ხოლმე 100-200%, (მაშინვე) სწყვეტს შესყიდვასა და ჩამორიგებას და მიდის თავისი მოგებით, ხოლო მუშა ქალს კი არაფრით არ შეუძლია შეივსოს ამ ხელფასის დანაკლისი. განსაკუთრებით კატასტროფიულ ხასიათს ღებულობს ამ წარმოებათა შემცირება კრიზისების დროს, როდესაც ფუფუნების საგანთა მოხმარება ყველაზე უფრო ეცემა.

... (არსებული) სამიწო ურთიერთობა და ჩაგვრა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ა გ ა ნ საზღვრავენ საოჯახო მრეწველობის ღატაკურ მდგომარეობას, და ჩინეთის პირობებშიაც კი, მისთვის მეტისმეტად დაბალ გასამრჯელოს. გაღატაკებული სოფლის მშიერი და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა ხელს ჰკიდებენ ყოველგვარ სამუშაოს ყოველგვარ გასამრჯელოზე. ხოლო იმპერიალიზმი აბრკოლებს რა მსხვილი ინდუსტრიის განვითარებას, აძნელებს გაღატაკებულ გლეხობისათვის ანუ ქალაქის ღარიბებისათვის, შესაძლებლობას მოეწყონ მრეწველობაში. მუშა ხელის მეტისმეტად სიიაფე, პირადი დამოკიდებულების ურთიერთობა, ჩაგვრა-ყვლეფა, მევახშეობა, — ერთი სიტყვით თვით არსებობა კაპიტალისტური საოჯახო მრეწველობისა (მუშაობისა) მსხვილი მრეწველობის განვითარებას და ხდება ერთერთი მიზეზთაგანი ტექნიკის გაყინვისა (სტაგნაციისა).

(ლ. ბადიარი — ნარკვევები ჩინეთის ეკონომიკაზე)

სახალხო მეურნეობის ისტორიაში ქართულად არსებული ლიტერატურა.

ა. **ტიუმენევი** — შრომის ისტორია, მეორე გამოცემა, 1925 წ. ტფილისი.

ფრ. ენგელსი — ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1907. ტფილისი. მზადდება დასაბეჭდად ახალი თარგმანი.

„ხელოსნობა“, სხვადასხვა ავტორთა ნარკვევების კრებული, **გ. კვიცარიძის** წინასიტყვაობით. 1926. ტფილისი.

„შინამრეწველობა“, ნარკვევების კრებული, 1926. ტფილისი.

ედუარდ მეიერი — ძველი ქვეყნიერების ეკონომიური განვითარება. 1927. ტფილისი. ეს წიგნი სხვებზე უფრო მოითხოვს კრიტიკულ მოპყრობას.

ვ. ლენინი — იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა, 1928. ტფილისი.

ვ. ლენინი — კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში; თხზულებათა სრული კრებული **მამია ორახელაშვილის** რედაქციით, ტომი III, 1930. ტფილისი.

მორის დობი — კაპიტალისტური მეურნეობის წარმოშობა და განვითარება, თარგმანი **პ. გუგუშვილის** რედაქციით. 1931. ტფილისი.

ვ. რეიმესი — შესავალი მეურნეობის ისტორიაში. თარგმანი **პ. გუგუშვილის** საერთო რედაქციით, მზადდება დასაბეჭდად.

პ. გუგუშვილი — სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება. ქრესტომატია, ტომი პირველი, წიგნი პირველი: პირველყოფილი, თემური და მონათმფლობელური მეურნეობა. 1931. ტფილისი.

პ. გუგუშვილი — სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება; ქრესტომატია, ტომი I წიგნი II: ფეოდალური ფორმაცია, 1931. ტფილისი.

პ. გუგუშვილი — სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება. ტომი მეორე, ორ წიგნად: კაპიტალისტური ფორმაცია, მზადდება დასაბეჭდად.

პ. გუგუშვილი — საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციებისა და ისტორიის მამოძრავებელი ძალების შესახებ. ნარკვევი. მზადდება დასაბეჭდათ.

მზადდება აგრეთვე გამოსაცემად **კ. ბიუხერის** ცნობილი წიგნი — „სახალხო მეურნეობის წარმოშობა“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

პირველი ტომის პირველი წიგნისა

	გვ.
წინასიტყვაობის მაგიერ (პ. გუგუშვილი) .	3

შესავალი

1. შრომის პროცესი (კ. მარქსი)	10
2. ისტორიის მატერიალისტური გაგება (ფრ. ენგელსი)	19
3. საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების მარქსისტულ-ლენინური გაგება (ვ. ლენინი) .	22
4. პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი (კ. მარქსი)	29
5. რობინზონადები (კ. მარქსი) .	39
6. შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში (ფრიდრიხ ენგელსი)	43
7. საარსებო საშუალებათა დონის განვითარება (კ. კაუცკი)	56
8. შრომა — ადამიანთა საზ.-ბის საფუძველია (ვ. რეიმესი)	75

თავი პირველი

პირველყოფილი მეურნეობა

1. პირველყოფილ საგვარეულო კომუნიზმი: a. პირველყოფილი კაცობრიობის ტეხნიკა, b. პირველყოფილი ჯგუფის სტრუქტურა (ა. ბოგდანოვი და პ. სტეპანოვი)	101
2. პირველყოფილი ოჯახი (ფრ. ენგელსი) .	116
3. ნადირობა ყინულოვან პერიოდში (ჰაინრიხ კუნოვი) .	120
4. პირველყოფილი ჯგუფის რიცხობრივი შემადგენლობა (ჰ. კუნოვი). . . .	122
5. პირველყოფილ ადამიანთა ასაკობრივი ჯგუფი (ჰ. კუნოვი).	124
6. პირველყოფილი დროების ნაშთები თანამედროვე ჩამორჩენილ ხალხების მეურნეობაში (გ. შურცი)	127

7. მიმთვისებელი მეურნეობა (გ. შურცი) 128
8. ნებაყოფლობითი სიკვდილი (ბოგორაზი) . 132
9. მოხუცებულთა მოკვლა ესკიმოსებში (ელიზე რეკლიუ) 133
10. ცეცხლოვანი მიწის მკვიდრნი (ჩარლზ დარვინი) 134
11. ველური ხალხი ვედა: a. მოგზაურის შთაბეჭდილებანი (მინაევი), b. ველური ვედების ცხოვრება (Sarasin-ით) 140
12. კანიბალიზმი ფიჯის კუნძულებზე (ჰარტვიგი) . . 147
13. პირველყოფილი კომუნიზმის ნაშთები ჩამორჩენილ ხალხებში (ნ. ზიბერი). 148

თავი მეოთხე

საგვარეულო თემი

1. საგვარეულო თემის შესახებ (კ. მარქსი) . . 159
2. პირველყოფილ მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის წარმოშობა. — იარაღის განვითარება. — მოთხოვნილებათა ზრდა (ბოგდანოვი და სტეპანოვი) . 161
3. ბუშმენებისა და ავსტრალიელების ველური მინდვრები. — გარეული ბრინჯის მინდორი. — თესვის დასაწყისი (კრეიციკი). 171
4. ცეცხლის როლი მიწათმოქმედების განვითარებაში (ლ. კრეიციკი). 173
5. შრომის დანაწილება საგვარეულო თემში (ბოგდანოვი და სტეპანოვი). 182
6. ნეოლითის ეპოქის ტეხნიკა (ობერმეიერი) 190
7. სპილენძის დამუშავება (ობერმეიერი). 194
8. ძაღლის მოშინაურება (პ. კუნოვი). 197
9. ბოძებიან ნაგებობათა პეროდი (კუნოვი) . 198
10. ავსტრალიელთა მოხეტიალური ცხოვრება (ტახტარევი). 201
11. საზრდოს მარაგი ავსტრალიელებში (ტახტარევი). 204
12. ავსტრალიელთა სარეწაოები (ტახტარევი). 205
13. მორიანების პაპუასები (Christman u. Oberlaender) . 207
13-ა. პაპუასების ყოველდღიური ცხოვრება (მიკლუხო-მაკლაი) 208
14. ზანგთა ცხოვრების მატერიალური პირობები(დიუ-შალიუ) 212
15. დინკას ცხოვრება (შვეინფურტი) 214
16. ზანგთა მეფის სასახლე (კარლ ვეილე) 220
17. ესკიმოსების ცხოვრება (Rink) . 222
18. დედაკაცის მდგომარეობა ახალ გვინეაზე (Dctzner) 225

19. ქორწინების ეკონომიური საფუძველი (გროსსე) 226
20. სოციალური დიფერენციაცია (ჰ. ეილდერმანი) 227
21. პატრიარქალური წყობის განმტკიცება (ა. ბებელი) . 233
22. პატრიარქალური საგვარეულო თემი. — პატრიაქორგანიზატორი. — ექსპლოატაციის დასაწყისი (ა. ტიუმენევი) 237
23. კერძო საკუთრების განვითარება. — აღება-მიცემობის წარმოშობა (ა. ტიუმენევი) 240

თავი მესამე

მონათმფლობელური მეურნეობა

1. გარდამავალი ხანა და მონობის წარმოშობა (ჰარპრუდერი). 245
2. მონობა: a. მონობა, როგორც საყოველთაო მოვლენა. — b. კულტურული განვითარების რომელ საფეხურზე ჩნდება მონობა. — c. რომელი ხალხები იძლევიან მონებს. — d. დამოკიდებულება ტყვეებთან. — e. მონობის წარმოშობა (ლ. კრეივიცკი) . 249
3. ანტიური ქვეყნის მონათმფლობ.-რი მეურნეობა (ვ. რეიმესი) 256
4. ვაჭრობის განვითარება რომის იმპერიაში: a. უმთავრესი საქონლები და სავაჭრო ადგილები. — b. კომერციული კანონები და ჩვეულებანი, ბაჟები, გზები და სხვ. (ადოლფ ბერი) 283
5. თანამედროვე მწერლები რომის მეურნეული ცხოვრების შესახებ (პლუტარქოსი, აპანე, პოლიბიუსი, სტრაბონი) 291
6. მეურნეობის ტეხნიკური ჩამორჩენილობა (კ. კაუცკი) . 295
7. ანტიური ქვეყნის ეკონომიური დეგრადაცია: a. პროლეტარიატი: b. კოლონატი; — c. კლასიკური ქვეყნის მემკვიდრეობა 304

ს ა რ ჩ ე ვ ი

პირველი ტომის მეორე წიგნისა

თავი მეოთხე

ფეოდალიზმი

	გვ.
შემდგენელისაგან	3
1. ფეოდალიზმის დახასიათება (კ. კაუცკი)	5
2. ფეოდალიზმის წარმოშობა (ლ. კრეივიცკი)	8
3. ტექნიკის განვითარება ფეოდალიზმის პერიოდში	11
4. სასოფლო მეურნეობა და მამულის ორგანიზაცია მე-IX-XI საუკუნეებში (ი. კულიშერი)	30
5. ფეოდალური ეპოქის სოფელი. — ორგანიზატორის ფუნქციის გამოცალკევება. — ფეოდალური გაერთიანების პროცესი (ბოგდანოვი და სტეპანოვი)	39
6. ფეოდალური საკუთრება (პოლ. ლაფარგი)	67
7. გაცვლა ადრინდელ საშუალო საუკუნეებში (ი. კულიშერი)	70
8. მევახშეობა (კ. მარქსი)	82

თავი მეხუთე

ბატონყმობა

1. საბეგრო-საბატონო მეურნეობის ძირითადი თვისებები (ლენინი)	89
2. ბატონყმობის შესახებ (ფ. ენგელსი)	91
3. ბატონყმური მეურნეობის საერთო დახასიათება: a) ბატონყმური მეურნეობის დამოკიდებულება სხვა ეკონომიურ ფორმებთან — 93; — b) ფეოდალის მემამულეთ გადაქცევა. — მსხვილ მიწათმფლობელებისა და წერილი გლე-	

ხური მეურნეობის განვითარება (ბოგდანოვი და სტეპანოვი) . . 93
4. საბატონო ბეგარა, პირადი ვალდებულებანი და გამოსაღებნი (ი. მ. კულიშერი) 110
5. საბატონო მეურნეობა. — ყმა-გლეხთა ვალდებულებანი (ბოგდანოვი და სტეპანოვი) 125
6. გლეხთა ომის საფუძვლები გერმანიაში (ფრ. ენგელსი) 135
7. გლეხთა ომების ეკონომიური ფესვები (კ. კაუცკი) . 141
8. 1381 წლის გლეხთა ომი (კაუცკი) . . 148
9. მეფის ორდანონსი მუშებსა და შინამოსამსახურეებზე 1399 წ. (დ. პეტრუშევსკი) . . 157
10. გლეხთა თანდათანი განთავისუფლების მიზეზები (ი. კულიშერი) 158

თავი მეექვსე

ქალაქების წარმოშობა და განვითარება.

1. ქალაქის არსება (ვ. ზომბარტი) 168
2. ქალაქის წარმოშობა (ს. ლოზინსკი) 171
3. ბრძოლა ბაზარზე კონტროლისათვის (მ. დობი). 191
4. „მისწრაფება ქალაქში" (ვ. ზომბარტი) 205
5. საქალაქო ცხოვრების აყვავება გერმანიაში (გ. ფონ-ბელოვი) 208
6. საქალაქო მონოპოლია (მ. დობი) 215
7. ქალაქი და სოფელი (კ. მარქსი და ფრ. ენგელსი) 228

თავი მეშვიდე

ხელოსნობა

1. ხელოსნობის არსება (ვ. ლენინი) 235
2. ხელოსნობის ცნება (ვ. ზომბარტი). 338
3. ხელოსნობის ზოგადი დახასიათება (ტუგან ბარანოვსკი). 240
4. ხელოსნობის ტეხნიკა (ა. ბოგდანოვი და ი. სტეპანოვი) 243
5. ამქრების წარმოშობა (ი. კულიშერი). . . . 248
6. ამქარი — დაბრკოლებაა გამომგონებლობისათვის (პიერ ბრიზონი) 258
7. ქარგალთა წარმოშობა (კ. კაუცკი) 261
8. შეგირდი, ქარგალი, ოსტატი (კ. კაუცკი) 265

9. ბრძოლა ქარგლებსა და ოსტატებს შორის (კაუცკი). 272
9 ა. ქარგალთა კავშირები (კაუცკი) 276
10. მანქანა ხელოსნებისათვის ხელმიუწვდომელია (ზომბარტი) 287
11. ხელოსნობის გამოდევნა (კ. ბიუხერი) 291

თავი მერვე

შინამრეწველობა

1. შინამრეწველობის არსება (ვ. ლენინი) 303
2. შინამრეწველობის ჩანასახები (ი. კულიშერი) 305
3. საოჯახო მრეწველობის ზოგადი დახასიათება (ვ. ზომბარტი) 308
4. შინამრეწველობის წარმოშობა (პ. მასლოვი) 311
5. შინამრეწველობის ზოგადი დახასიათება (ტუგან-ბარანოვსკი) 314
6. შინამრეწველობის განვითარება (ი. კულიშერი). 319
7. მუშათა შრომის პირობები საოჯახო მრეწველობაში (ვ. ლენინი) . . 326
8. ინგლისის მუშათა დამოკიდებულება შინამრეწველობისადმი (ტუგან-ბარანოვსკი) . 330
9. შინამრეწველი და შემსყიდველი (ვ. ლენინი) 333
10. ფაბრიკის მიერ შინამრეწველობის გამოდევნა (ტუგან-ბარანოვსკი) . 341
11. თანამედროვე შინამრეწველობა (ლ. მადიარი) 346
ლიტერატურის სია 353
პირველი ტომის პირველი წიგნის სარჩევი 354
პირველი ტომის მეორე წიგნის სარჩევი 357